ვ. ს. სერგეევი

ძველი რომის ისტორიის ნარკვევები

ნაწილი I

დაშვებულია როგორც დამხმარე სასწავ-
ლო წიგნი ისტორიის ფაკულტეტებისათ-
ვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არ-
სებულ უმაღლესი სკოლის საკავშირო
კომიტეტის მიერ

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი—1940

ვ. ს. სერგეევის შრომაში „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“ მოცემულია რომის ისტორიის სისტემატური თხრობა, დაწყებული ქალაქის დაარსებიდან ვიდრე რომის იმპერიის დაცემამდე. შრომის დიდი ნაწილი დაწერილია წყაროთა შესწავლის საფუძველზე.

წიგნი წარმოადგენს საუნივერსიტეტო კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს.

მესავალი





წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნების გაერთიანება და აგრეთვე წარმოქმნეს და დაშალეს რომის იმპერია. რომის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა მდგომარეობს მის საშუამავლო როლში ანტიკურსა და თანამედროვე სამყაროს შორის, ახალ ხალხებისათვის იმ კულტურულ ღირებულებათა და პოლიტიკურ გამოცდილების გადმოცემაში, რაც დაგროვილ იქნა ძველი მსოფლიოს შიერ. თანამედროვე მომენტის თვალსაზრისით, რომის ისტორიას აქვს პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა. რომის ისტორიის გაცნობა ხელიდან იარაღს ართმევს ჩვენს მტრებს, ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს, რომელნიც მეცნიერებას აყალბებენ. ისტორიის მიხედვით, სავსებით აბსურდულად გვესახება ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ოცნებანი რომის იმპერიის აღორძინების შესახებ და მტკიცება იტალიკების რასობრივი მემკვიდრეობითობისა და მათი ისტორიული მისიის შესახებ. ამგვარ რომსა და ანტიკური დროის ნამდვილ რომს შორის შეხვების არავითარი წერტილი არ მოიპოება. რომის იმპერია წარმოიქმნა ანტიკური სამყაროს თავისებურ და გაუმეორებელ პირობათა შედეგად, რომელნიც თანამედროვე პირობებისაგან პრინციპულად განსხვავდებიან. კერძოდ, რომის იმპერია არ ყოფილა მარტო და მხოლოდ იტალიკების ქმნილება, არამედ მის წარმოქმნაში საკმაოდ თვალსაჩინო წილი უძევთ სხვა ხალხებსაც—ბერძნებს, ესპანელებს, კელტებს, აფრიკისა და მცირე აზიის ხალხებს, და ამიტომ ანტიკურ დროის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე პრეტენზიის განცხადება შეუძლია ყველა ევროპელსა და ევროპის გარეშე მყოფ ხალხებს. გარდა ამისა, საჭიროა ისიც გავიხსენოთ, რომ ანტიკური ისტორიის უკანასკნელ პერიოდში კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები იმყოფებოდა უკვე არა დასავლეთ ნახევარში, არამედ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც დასახლებული იყო სულ სხვადასხვა ეროვნებებით, მათ შორის სლავებით, ჩვენი წინაპრებით. ამ

მიზეზის გამო, რასაკვირველია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იტალიკების რაიმე რასობრივ მემკვიდრეობითობაზე და განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე, რასაც ასე თავგამოდებით ავრცელებს ბურჟუაზიული მეცნიერება. ჩვენც ვცდილობთ სწორედ ეს გავხადოთ თვალსაჩინოდ ძველი რომის კონკრეტული ისტორიის შემდგომი მონათხრობით.

1. იტალიის ბუნებრივი პირობები

რომისა და იტალიის ისტორია შეადგენს ხმელთაშუაზღვეთის ისტორიის ნაწილს. ხმელთაშუაზღვეთი წარმოადგენს დიდს ამფითეატრს, რომელსაც წარმოქმნიან ხმელთაშუა ზღვასთან მდებარე ქვეყნები, ერთმანეთს შორის რომ განსხვავდებიან რელიეფით, ნიადაგით, ჰავით, ფლორით და ფაუნით. აქ შედის აფრიკის ზეგანი, მდინარე ნილოსის ხეობა, ზღვისპირა ფინიკია და საბერძნეთი, მთაგორიანი მაკედონია, ესპანეთი და უთვალავი კუნძულები, დაკავშირებულნი ერთმანეთთან ხმელთაშუა ზღვით. ანტიკური სამყაროს ხმელთაშუაზღვეთის სამყაროა.

ამ სამყაროს ცენტრში მდებარეობდა ი ტ ა ლ ი ა და მის მახლობლად მყოფი წვრილი და მსხვილი კუნძულები, რომელთა შორისაც უფრო მეტი მნიშვნელობა ს ი ც ი ლ ი ა ს ჰქონდა. სიცილიაზე, რომელიც თითქოს აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა, გადიოდა გზა აფრიკის ჩრდილო სანაპიროებისკენ, სადაც II საუკ. შუა ხანამდე არსებობდა საზღვაო სავაჭრო რესპუბლიკა კართაგენი, რომელიც ზღვაზე ჰეგემონიისათვის ბრძოლაში რომის უაღრესად სერიოზული მეტოქე იყო. სიცილიის სრუტე (fretum Siculum), რომელიც იტალიას ჰყოფს სიცილიასგან, ადრიატიკის ზღვასა და იონიის ზღვას აკავშირებდა ტირენის ზღვასთან, იტალიის აღმოსავლეთ ნაწილს—დასავლეთ ნაწილთან. აპენინის ნახევარკუნძულზე მიიმართებოდა გზა ჩრდილოეთისკენ—ალპისა და ალპის გადაღმა ქვეყნებისკენ.

იტალიას ის ბედნიერი თავისებურება ახასიათებდა, რომ იგი სამი მხრიდან გარშემორტყმული იყო ზღვებით, რომელთა მეშვეობითაც უკავშირდებოდა მთელს იმდროინდელ სამყაროს, და მასში თავსდებოდა კონტინენტური და საზღვაო ქვეყნის თვისებები. თავისი აღნაგობით აღმოსავლეთი სანაპირო მკვეთრად განირჩეოდა დასავლეთ სანაპიროსგან. აღმოსავლეთი სანაპირო ანკონიდან მოკიდებული ბრუნდიზიუმამდე კლდოვანია, ნაკლებად დასერილია და უდაბურია. მის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს დასავლეთი სანაპირო, რომელსაც აქვს დახრამულ-შეჭრილი სანაპირო ხაზი და

მოეპოება მრავალი ხელსაყრელი უბე და პატარა კუნძულები. ამაშია მიზეზი დასავლეთ სანაპიროს ადრეული და სწრაფი განვითარებისა და იქ ქალაქთა სიმრავლისა, რომელნიც მუდმივ ერთი მეორეს ებრძოდნენ.

აპენინის ქედი ისე არ არის კლდოვანი და მწირი, როგორც ბალკანეთისა. გადაჭიმული მთელი ნახევარკუნძულის გაყოლებაზე, ის განშტოვდება რამდენიმე მთაგრეხილად, რომელთა შორისაც მოქცეულია ბალახით უხვი ხეობები და ველები, დღესაც რომ საუკეთესო საიალაღო ადგილებს წარმოადგენს ყველა ჯიშის საქონლისათვის. მთის ფერდობებზე შეიძლება ვაზის, ზეთისხილის და საბაღო მცენარეულობის გაშენება.

ნაყოფიერების მხრივ იტალიის ნიადაგი ხელსაყრელად განირჩეოდა საბერძნეთის ნიადაგისგან. შრომის შედარებით ზომიერ დახარჯვისას, ბუნებრივი ან ხელოვნური მორწყვის დროს მიწა მდიდარ მოსავალს იძლეოდა და მიწათმომქმედის შრომას უხვად აჯილდოებდა.

უფრო მეტი ნაყოფიერებით განთქმული იყო ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი, რომელსაც აქვს გეოლოგიურად გვიანდელი დროის ვულკანური ნიადაგი. იტალიის ოდესღაც ხშირი და მასიური ტყეების გადანაშთისგან წარმოქმნილ მპალასთან ნარევი ვულკანური ნაცარი ძალიან ნაყოფიერი იყო და დიდ მოსავალს იძლეოდა. გარდა ამისა, სხვადასხვა ჯიშის ტყეების სიუხვე ძველ იტალიას იფარავდა გვალვისგან, რომელსაც თანამედროვე იტალია ხშირად განიცდის. თეოფრასტე ლაციუმს უწოდებს საშენი ხეტყის ქვეყანას. იტალიის ეკონომიკის საფუძველს ძველი რომის მთელი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. მაშინაც კი, როცა რომის ვაჭრობა და ხელოსნობა უაღრესად განვითარებული იყო, იტალია მაინც რჩებოდა აგრარულ ქვეყნად, რამაც თავისი ნიშანქვალი დაადო იტალიის ცხოვრების ნირს, მის ისტორიას და ხალხის ხასიათს.

გეოგრაფიულ და ისტორიულ თავისებურებათა მიხედვით, მიღებულია იტალიის სამ ნაწილად დაყოფა; ესაა: ჩრდილო-იტალია, შუა და სამხრეთი იტალია.

ჩ რ დ ი ლ ო-ი ტ ა ლ ი ა, რომელსაც რწყავს მდინარე პო, ძველად პადუსი (Padus), მრავალი შენაკადებით, მოქცეულია ორი მთის მასივის —ალპისა და აპენინს—შორის. პოს უმნიშვნელოვანესი შენაკადებია: მარცხენა მხრით—დიდი და პატარა დურია (Duria maior, Duria minor), ტიცინუსი (Ticinus), ოლონა (Olonna), ადუა (Addua), ოლი-

უსი (Ollius); მარჯვენა მხრით—ტანარუსი (Tanarus), ტრებია (Trebia), ტარუსი (Tarus), პარმა (Parma), რენუსი (Renus).

ჩრდილო იტალიაში შედიოდა სამი ოლქი:

1. ლ ი გ უ რ ი ა (Liguria) ქალაქებით: ტავრასია (Taurasia), შემდგომ რომ გადარქმეულ იქნა Augusta Taurinorum-ად (ახლა ტურინი), გენუა (Genua), ვადა საბატია (Vada Sabatia) და ნიკეა (Nicaea), ყოფილი ბერძნული ახალშენი.

2. ც ი ზ ა ლ პ ი უ რ ი გ ა ლ ი ა (Gallia Cisalpina), რომელიც იყოფოდა ტრანსპადანურ გალიად (Gallia Transpadana) და ცისპადანურ გალიად (Gallia Cispadana).

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს შორის, რომელნიც სხვადასხვა დროს აღმოცენდნენ, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ ქალაქებს: მედიოლანიუმს (Mediolanium), ახლანდელ მილანს, პლაცენტიას (Placentia), კრემონას (Cremona), ბონონიას (Bononia), ვერონას (Verona) და რავენას (Ravenna).

3. აღმოსავლეთით ეკრ ვ ე ნ ე ც ი ა (Venetia); აქ იყო ქალაქები: აკვილეა (Aquileia), პატავიუმი (Patavium) და ძველი ბერძნული ახალშენი ატრია (Atria), პოს შესართავთან.

შ უ ა ი ტ ა ლ ი ა მდებარეობდა ჩრდილოეთით მდინარეების—მაკრასა (Macra) და რუბიკონს (Rubico) შუა, ხოლო სამხრეთით—სილარისსა (Silaris) და ფერტურს (Fertur) ანუ ფრენტოს (Frento) შუა; იგი შეიცავდა შემდეგ ექვს ოლქს:

1. ეტრურია (Etruria), 2. ლაციუმი (Latium), 3. კამპანია (Campania)—ტირენის ზღვაზე (Mare Tyrrhenum ანუ Inferum), 4. უმბრია (Umbria), 5. პიცენუმი (Picenum), 6. სამნიუმი (Samnium)—ადრიატიკის ზღვაზე.

1. ე ტ რ უ რ ი ი ს ქ ა ლ ა ქ ე ბ ი: არეტიუმი (Arretium), პერუზია (Perusia), ვოლსინია (Volsinii), ვეი (Veii), პიზე (Pisae) და ფლორენცია (Florentia)—მდ. არნუსზე (Arnus).

2. ლ ა ც ი უ მ ი ს ქ ა ლ ა ქ ე ბ ი: ტიბრის მარცხენა ნაპირას რომი (Roma) შვიდ გორაკზე; ეს გორაკებია: კაპიტოლიუმი (Capitolium ანუ collis Capitolinus), პალაციუმი (Palatium ანუ collis Palatinus), ავენტინუმი (Aventinus), ცელიუსი (Caelius), ესკვილია (Esquiliae ანუ collis Esquilinus), ვიმინალისი (Viminalis), კვირინალისი (Quirinalis), ოსტია (Ostia)—რომის ნავსადგური, არდეა (Ardea), ალბა-ლონგა (Alba Longa), ანციუმი (Antium), ტიბური (Tibur), ტარაცინა (Tarracina) და სხვ.

3. კამპანიის ქალაქები: კიმე (Kyme) ანუ კუმე (Cumae) და ნეაპოლი (Neapolis)—ძველი ბერძნული ახალშენები; კაპუა (Capua), პუტეოლი (Puteoli) და სხვ.

4. უმბრიის ქალაქები: არიმინუმი (Ariminum), გალიის სენა (Sena Gallica).

5. პიცენუმის ქალაქები: ასკულუმი (Asculum), ჰადრია (Hadria) და ძველი ბერძნული ახალშენი ანკონა (Ancona).

6. სამნიუმის ქალაქები: კორფინიუმი (Corfinium), ბოვიანუმი (Bovianum), ბენევენტუმი (Beneventum).

სამხრეთ იტალია იყოფა ოთხ ოლქად: 1. აპულია (Apulia), 2. კალაბრია (Calabria)—აღმოსავლეთით, 3. ლუკანია (Lucania) და 4. ბრუტიუმი (Bruttium)—დასავლეთით.

სამხრეთ იტალიის მთავარი ქალაქებია:

1. აპულიაში—ლუცერია (Luceria), აუსკულუმი (Ausculum), არპი (Arpi) და სხვ.

2. კალაბრიაში—ბრუნდიზიუმი (Brundisium) და ძველი ბერძნული ახალშენი ტარენტუმი (Tarentum).

3. ლუკანიაში—ბერძნული ახალშენები ჰერაკლეა (Heraclea), მეტაპონტო (Metapontum), პოსიდონია (Posidonia), რომელიც შემდეგში იყო რომაული ახალშენი პესტუმის (Paestum) სახელწოდებით, და ბუქსენტუმი (Buxentum)—აგრეთვე რომაული ახალშენი.

4. ბრუტიუმში—ბერძნული ახალშენები თურია (Thurii), დანგრეულ სიბარისის ადგილას, კროტონი (Croton) და რეგიონი (Rhegium).

საერთო მსგავსებასთან ერთად იტალიის თვითეულ ოლქს ჰქონდა თავისი ინდივიდუალური სხვაობანი, რაც მათ შერჩათ მთელი ისტორიის მანძილზე. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩრდილო იტალიაზე, რომელსაც ზომიერი ჰავა აქვს, გარშემო მთები აქვს შემოკრული და სხვებზე უფრო დიდხანს შერჩა დამოუკიდებლობა. თვითონ სახელწოდება იტალია ბერძნული წარმოშობისაა და თავდაპირველად მიეკუთვნებოდა მარტო აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს, ხოლო შემდგომ გავრცელდა მთელს იტალიაზე. იტალია—ხბორების ქვეყანაა (Viteliu) და ღვინის ქვეყანაც (Oenotria).

2. უძველესი სამოსახლონი ხმელთაშუაზღვეთში

იტალიის ისტორია შეადგენს ხმელთაშუაზღვეთის საერთო ისტორიის ნაწილს. კავშირი ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთ და

აღმოსავლეთ ნაწილებს შორის არსებობდა ანტიკური მსოფლიოს მთელი ისტორიის მანძილზე. ხმელთაშუაზღვეთის უძველესი კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ ეგეოსის ზღვის კუნძულები—კრეტე და კვიპროსი, და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი—ქალაქებით მიკენი, ტირინთო, ორხომენი.

უკვე სამი ან ორი ათასი წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე დამყარდა კავშირი კრეტე-მიკენურ საზოგადოებებისა სიცილიასთან და უკიდურეს დასავლეთთან—ესპანეთთან, რომელიც განთქმული იყო თავისი ნაყოფიერებით და მადნეულის სიმდიდრით. სამხრეთ ესპანურ ქალაქ ტარტესზე (ტარსისზე) მიიმართებოდა გზები ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანესკენ. ქარვისა და კალის ძიებაში ხმელთაშუაზღველი ხალხები კაბოტაჟური ნაოსნობით აღწევდნენ ჩრდილოეთის ზღვებს, ბრიტანეთის, ირლანდიის, შოტლანდიის, დანიისა და შვეიცის ნაპირებს.

აპენინის ნახევარკუნძულსა და სიცილიას, სადაც გადაიშალა რომაულ-იტალიკური ისტორია და წარმოიქმნა რომაული კულტურა, ეკავათ საშუალედო მდგომარეობა უკიდურეს დასავლეთსა და „ატლანტის კულტურას“ შორის, ერთის მხრივ, ხოლო, მეორის მხრივ, უკიდურეს აღმოსავლეთსა და „წინააზიურ კულტურას“ შორის.

„ძველ ატლანტის კულტურის“ აყვავება-გაფურჩქნა ემთხვევა ეგვიპტეში მეთორმეტე დინასტიას, ბაბილონეთში—ჰამურაბის სამეფოს, ტროას მეორე ქალაქსა და მიეკუთვნება რამოდენიმედ უფრო ადრინდელ დროს, ვიდრე არის კნოსის მეორე სასახლე კრეტეზე.

ხმელთაშუაზღვის დასავლეთი ნახევრის აღმოსავლეთ ნახევართან ურთიერთობის განვითარების მეორე ეტაპს წარმოადგენს IX საუკუნე, ფინიკიელთა ბატონობა-უპირატესობის ხანა. ფინიკიელების კოლონიზაცია ძალუმ ტალღად გავრცელდა და მოეფინა მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზის მიდამოებს. უმთავრესი ფინიკიური ფაქტორიები—გადესი და ლიქსი—იმყოფებოდა სამხრეთ ესპანეთისა და მავრიტანიის ნაპირებზე და სიცილიის დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე—პანორმი, სოლუნტი, მოტიე, ლილიბეუმი. ესპანეთი ფინიკიელ კოლონისტებს, როგორც ამაზე უწინ კრეტე-მიკენელ კოლონისტებს, აძლევდა კალას, ვერცხლს, სპილენძს და წარმოადგენდა სატრანზიტო პუნქტს ქარვით, სპილოს ძვლითა და ძოწით ვაჭრობის საქმეში. აფრიკის ჩრდილო ნაპირზე ფინიკიელების მიერ IX საუკ.-ში დაარსებულ იქნა ქალაქები: უტიკა, მდინარე ბაგრადის შესართავის ჩრდილოეთით, ნაყოფიერ ადგილას, და კართაგენი, მომავალი დედაქალაქი კართაგენის რესპუბლიკისა. ძნელი და-

სადგენია, იყო თუ არა დაარსებული ფინიკიური ახალშენები აპენინის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ფინიკიელთა გავლენა კი იტალიის განვითარებაზე ეჭვს გარეშეა.

ფინიკიურ კოლონიზაციას ზედ მიჰყვა ბერძენთა კოლონიზაცია, რომელმაც მოიკვა იტალიის სამხრეთი და დასავლეთი სანაპიროები და სიცილიის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები. იტალიაში პირველი ბერძნული ახალშენი იყო ქალაქი კიმე—კამპანიაში; VIII საუკ.-ში ჩნდება სირაკუზი, გელე და აკრაგანტი—სიცილიაში; ლოკრი, სიბარისი, ტარენტუმი და კროტონი—სამხრეთ იტალიაში.

ბერძნული ახალშენების ეკონომიურ საფუძველს, ისევე როგორც მათ წინათ არსებულ ფინიკიური ფაქტორიებისას, შეადგენდა საშუამავლო ვაჭრობა და მიწათმოქმედება. ბერძნული ახალშენები იტალიის აღმოსავლეთ ნაწილს აკავშირებდნენ დასავლეთ ნაწილთან, აერთიანებდნენ იონიის ზღვას ტირენის ზღვასთან, იტალიის ჩრდილო ნაწილებს სამხრეთ ნაწილებთან. ხოლო აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთის ნაყოფიერი და საძოვრებით მდიდარი ნიადაგი, მცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა ხელი მიეყოთ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისთვის.

ბერძნული გავლენა ადგილობრივ იტალიკურ ტომებზე თავიდანვე მეტად ძლიერი იყო. აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ და შუა ნაწილების მკვიდრი მოსახლეობა ბერძნებს ხვდებოდა, მათ გავლენის ქვეშ ექცეოდა, ითვისებდა მათ კულტურას, ჩვეულებებს, ზნეს და სარწმუნოებას და შედარებით ნაკლებად ენასაც.

3. უძველესი მოსახლენი იტალიაში

მეცნიერებაში გაბატონებული აზრის თანახმად, იტალიკები არ არიან აპენინის ნახევარკუნძულის პირვანდელი მოსახლენი. მატერიალური კულტურის ნაშთები და შემონახული თქმულებები მოგვითხრობენ აპენინის ნახევარკუნძულის უძველეს მოსახლეებზე—ლიგურებზე ანუ პელასგებზე, რომელნიც შემდგომ იქიდან გამოიდევნა ან აითქვიფა იტალიკურ ხალხებთან. სავსებით შესაძლებელია, რომ ლიგურები ეწოდებოდა არა ერთს რომელსამე გარკვეულ ტომს, არამედ ყველა ტომებს, ვინც კი აპენინის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა წინაიტალიკურ ხანაში.

უძველეს ბინადართა კვალს პოულობენ თანამედროვე იტალიისულ სხვადასხვა კუთხეში. ეთნოლოგიური მასალების საფუძველზე,

რასაც ადასტურებს ანთროპოლოგიისა და ლინგვისტიკის ცნობებიც, შეიძლება დადგენილ იქნას, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაახლოებით, თანამომდევნო ფაზისები აპენინის ნახევარკუნძულისა და მისგან განუყოფელ სიცილიის ისტორიაში.

იტალიის მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები მიეკუთვნება ძველი ქვის (პალეოლითის) საუკუნეს. აქ შედის ნაშთები პირველყოფილი ადამიანისა, რომელიც ცხოვრობდა გამოქვაბულში ანუ მღვიმეში, მისდევდა მონადირეობას, მეთევზეობას, აგროვებდა მიწის ნაყოფს და ჯერ კიდევ არ იცნობდა კერამიკას. პალეოლითური კულტურა შესცვალა ნეოლითურმა. ნეოლითის ეპოქას ეკუთვნის ოვალური სახის ბინები, გათლილი ქვისა, ძვლებისა და რქისგან ნაკეთი იარაღისა და ხელსაწყოების გაჩენა, აგრეთვე ტლანქი თიხის ჭურჭლეულობის გაჩენა და ცხოველების მოშინაურების დაწყება.

მესამე ათასეული წლების ბოლოდან ჩნდება ლითონები, რაც ჯერ შემოაქვთ ჩრდილოეთიდან, ალპის გადაღმა მხარეებიდან, მერე კი ადგილობრივი წარმოებისაა ეტრურიის, უმბრიის, სარდინიისა და კუნძ. ილვას მადნეულობიდან დამზადებული. ქვიდან ბრინჯაოზე გადასვლის ნეოლითურ ხანაში ჩნდება მიწათმოქმედება მარცვლეულთა მოყვანის სახით და პურის მომზადება.

მეორე ათასეული წლების პირველ ნახევარში ჩვენ წელთაღრიცხვამდე იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე პოს ხეობაში, ჩნდება ხიმინჯიანი ნაგებობანი (პალაფიტები), რომელნიც მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას. წყალსა და ხმელეთზე ამ ხიმინჯიან ნაგებობათა ნაშთებს, რომელთაც აშენებდნენ ნადირებისა და მტრებისგან თავის დასაცავად, პარმელი გლეხების ადგილობრივ დიალექტზე ეწოდებათ ტერამარები (წარმოებულია terra mara ანუ marna-დან), რაც ნიშნავს შავს, სასუქით ნაპატიებს მიწას. განათხარ მასალათა მიხედვით, შეიძლება იმის დადგენა, რომ ტერამარების მცხოვრებნი სახლდებოდნენ პატარ-პატარა სოფლებად, რომელთაც ამაგრებდნენ თხრილით და მიწაყრილით. ამის წინათ არსებულ მომთაბარეობასთან შედარებით ხიმინჯიან ნაგებობათა მცხოვრებლებმა უკვე გადადგეს წინ ნაბიჯი კულტურული განვითარების გზაზე: ისინი მისდევდნენ, როგორც არქეოლოგია გვიჩვენებს, მითვისებით მეურნეობასთან ერთად მიწათმოქმედებას, ვაზისა და ზეთისხილის მოშენებას. ემჩნევა აგრეთვე ცვლილებები რიტუალის დარგშიაც. გვამების მიწაში ჩაფლვის მაგიერ ახლა მათ წვავენ, მიცვალებულთა ნეშტი ინახება განსაკუთრებულ ჭურჭლებში (ოსუარიებში). ნაბინევ ადგი-

ლებში ნაპოვნი ბრინჯაოს ცულები, ხის გუთნები, თიხის ჭურჭელი, თიხისა, ბრინჯაოსა და რკინისგან დამზადებული ნივთები, სავარცხლები, ქინძისთავები, სამართებლები და მისთანა სხვ. მიგვითითებს სახელოსნო ტექნიკისა და გაცვლა-გამოცვლის არსებობაზე. ამდროინდელ კერამიკულ ნაკეთობა-ნაწარმოებთა შორის დიდ ინტერესს იწვევს დოქები მთვარისებრი სახელურით (ansa lunata).

ბრინჯაოს ხანას, როგორც მისი გაგრძელება, მოსდევს რკინის საუკუნე, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია ვილანოვას კულტურისა[1] ანუ ხანის (1000—700 წწ.) სახელით; ასე ეწოდება მას არქეოლოგიურ მონაპოვართა ადგილისდა მიხედვით, ესაა დაბა ვილანოვა (Villanova) ჩრდილო იტალიაში, ქალაქ ბოლონიას მახლობლად. ვილანოვას სამარხები სავსეა ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით, რაც გვიჩვენებს მოსახლეობის კულტურულ დონესა და თვალსაჩინო დიფერენციაციას შედარებით ამის უწინარე ტერამარების სტადიასთან. ვილანოვას კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ჭა-საფლავები, სადაც ინახებოდა ოსუარიები, ჩამოსხმული და ნაჭედი ბრინჯაო, რკინის ნაკეთობანი, გეომეტრიული ორნამენტი, კერამიკული ნაკეთობანი და დამწერლობის ჩანასახი.

ვილანოვას ხანაში იტალიაში ჩნდება ქალაქები. თავდაპირველად გამაგრებული გვაროვნული დაბა-სოფლები (oppida—პატარა ქალაქები), რომელთაგანაც შემდგომ განვითარდა ქალაქები ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. ძველი თქმულება, რომელიც ვილანოველებს აიგივებს უმბრებთან, მათ მიაწერს ეტრურიაში 300 ქალაქის დაარსებას. რკინის გადადნობა და გალავნებით და კოშკებით შემოვლებულ ქალაქების გაჩენა ახასიათებს ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესში ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს.

„ტყუილად კი არაა ცაში აზიდული ახალ გამაგრებულ ქალაქების ირგვლივ მრისხანე გალავნები და კედლები: მათი თხრილებიდან პირდაფჩენით გამოიყურება გვაროვნული წყობილების სამარე, ხოლო მათი კოშკები უკვე ცივილიზაციის სფეროშია ატყორცნილი“ [2].

ხიმინჯიან ნაგებობათა მოსახლეებს თვლიან სწორედ იმ ისტორიულ იტალიკების წინაპრებად, რომელნიც განსახლდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე, ალპიდან სამხრეთის მიმართულებით.

---

[1] Helbig, Die Italiker in der Poebene; Модестов, Введение в римскую историю.

[2] ენგელსი, ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1938 წ., გვ. 167.

ვილანოვას ხანას მოსდევს ეტრუსკული ხანა, წარმოდგენილი იმ არქეოლოგიური ძეგლებით, რომელნიც ნაპოვნია უმთავრესად ეტრურიაში, შუა იტალიის ოლქში. ეტრუსკების საკითხი ეკუთვნის ანტიკური ისტორიის, ანთროპოლოგიისა და ლინგვისტიკის უაღრესად რთულ და სადაო საკითხთა რიცხვს და, მასალის წინააღმდეგობისა და სიმწირის გამო, იგი დღემდე ჯერ კიდევ ღია საკითხად რჩება. ეტრუსკული პრობლემა შეიცავს სამ საკითხს: 1) ეტრუსკების წარმოშობის, 2) იტალიაში მათი გაჩენის დროისა და 3) ეტრუსკული ენის საკითხებს.

ეტრუსკები უცნობი წარმოშობის ხალხია. მაშინ როდესაც მეცნიერთა ერთი ჯგუფი ეტრუსკებს თვლის იტალიკური ანუ ევროპული წარმოშობის ხალხად, ალპის გადაღმიდან მოსულ ხალხად (კელტებად), სხვებს ეტრუსკები მცირე აზიიდან გამოჰყავთ.

ბოლო ხანებში ეტრუსკების იტალიკურ ანუ ევროპულ წარმოშობის აზრს გამოსთქვამს მრავალი ავტორიტეტული ეტრუსკოლოგი, განსაკუთრებით იტალიელები და ფრანგები. რამოდენიმე ცვლილებით ეტრუსკების იტალიკური ჩამომავლობის თეორიას იზიარებენ, მაგალითად, დე სანქტისი[1], ერთერთი გამოჩენილი იტალიელი ისტორიკოსი, პარეტო, პაისი, ბელოხი და სხვები. ერთნი ეტრუსკებს თვლიან ნეოლითური ხანის ადგილობრივი იტალიკური ტომების პირდაპირ ჩამომავლობად, რომელთაც გათქვიფეს გვიან მოსული ელემენტები. მეორენი (დე სანქტისი) ეტრუსკებს აახლოებენ ვილანოველებთან, ხოლო მათი მეშვეობით კი ბრინჯაოს ხანის ხიმინჯიან ნაგებობათა მცხოვრებლებთან. ანტიკურ ისტორიკოსთა შორის ეტრუსკების ადგილობრივ ჩამომავლობის აზრს ადგია დიონისე ჰალიკარნასელი.

„ტირენები,—წერს დიონისე,—არსაიდან არ მოსულან, არამედ წარმოადგენდნენ ადგილობრივ წარმოშობის ხალხს, და ამიტომ სწორი არაა ეტრუსკების გაიგივება პელასგებთან ანუ ლიდიელებთან. ეტრუსკებად რომაელები უწოდებდნენ ეტრურიაში მცხოვრებ რაზენებს.

იყო დრო, როცა ლათინებს, უმბრებს, ავზონებს და მრავალ სხვა ხალხებს ბერძნები ეტრუსკებს უწოდებდნენ[2].

სხვა მეცნიერთა აზრით, ეტრუსკები არიან გამოსულები მცირე აზიიდან, ლიკიიდან ან კილიკიიდან[3]. ჭარბად დასახლებული მცირე

---

[1] De Sanctis, Storia dei Romani, 117.
[2] Dion. Halic., Antiq. Rom., I, 26—31.
[3] G. Meyer, Geschichte des Altertums, II, 497.

აზიის ნაპირები მუდმივ გადმოისროდნენ ხოლმე კოლონისტებსა და მეკობრეებს, რომელნიც სახლდებოდნენ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებსა და კუნძულებზე. მეკობრეთა რიცხვს ეკუთვნოდნენ იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში—ეტრურიაში დაბინავებული ეტრუსკებიც. ეტრურია მუდმივ ივსებოდა მცირე აზიელ კოლონისტების ახალ-ახალი ჯგუფებით და მას არას დროს არ გაუწყვეტია კავშირი მეტროპოლიასთან. თავიანთ შეხედულებათა დასამტკიცებლად მეცნიერთა ხსენებულ ჯგუფს მოჰყავს ანტიკურ ისტორიკოსებისა და მწერლების—ჰეროდოტეს, პლინიუს უფროსის, ვარონის და სხვათა—მოწმობანი [1].

პლინიუსი ეტრურიის უძველეს მცხოვრებლებად თვლის უმბრებს, რომელნიც ეტრურიიდან გააძევეს პელასგებმა (ლიგურებმა), ხოლო ეს უკანასკნელნი უკან დასწიეს ლიდიელებმა, თავიანთ თავს ტ ი რ ე ნ ებ ს რომ უწოდებდნენო. ტირენები ბერძნული სახელწოდებაა, რომელიც შეესაბამება ლათინურ წოდებას ტუსკებისას (tusci) ანუ ეტრუსკებისას (etrusci), თვითონ თავიანთ თავს კი ესენი უწოდებდნენ რაზენის (rasena), რაც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ალპიური ოლქის რეციას სახელის თანახმიერია.

ეტრუსკოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში ეტრუსკული პრობლემა სრული სახით არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს, მაგრამ მაინც უფრო მეტი საფუძვლიანობა აქვს ეტრუსკების ავტოხტონობის ჰიპოთეზას. სავსებით სიმართლის მსგავსია ის აზრი, რომ ეტრუსკების ბირთვს შეადგენდნენ აპენინის ნახევარკუნძულის უძველესი მცხოვრებნი—ლიგურები ანუ პელასგები, კრეტე-მიკენელებისა ანუ ეგეელების მონათესავენი [2]. ამ თავდაპირველ ბირთვს მიემატნენ სხვა ადგილებიდან გამოსულები, ამათ რიცხვში რეციიდან გამოსულები (რაზენები ანუ ტუსკები) და მცირე აზიიდან გამოსულები (ლიდიელები ანუ ტირენები). დასახელებულ ეროვნებათ შემდეგში ეტრუსკების სახელწოდება მიიღეს.

სამწუხაროდ, არსებული მასალის საფუძველზე ძნელია, ხოლო ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიცაა, დადგენა ეტრუსკთა ისტორიის პერიოდებისა. სწორედ ისტორიული პერსპექტივის უქონლობა ახასიათებს ეტრუსკთა ისტორიის იმ ნარკვევთა და მიმოხილვათა დიდ ნაწილს, რომელნიც ერთ სიბრტყეზე უყრიან თავს ისეთ მოვლენებს, ერთი მეორეს მთელი საუკუნეების მანძილით რომ არიან დაშორებული.

---

[1] Herod., I, 94.

[2] Б. Л. Богаевский, Этруски в работах Н. Я. Марра, ამ შრომაში ბ. ლ. ბოგაევსკი დაწვრილებით აშუქებს ეტრუსკების წარმოშობის საკითხს.

გარდა ამისა, ეტრურიის მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი წარმოადგენს ხელოვნების ძეგლებს, რომელთა ზუსტად დათარიღებაც ძნელად ხერხდება. თვითეული ძეგლის შესახებ ათეულობით მოიპოება ერთი მეორისაგან განსხვავებული ჰიპოთეზა. ამის მიზეზით ეტრურიის სოციალური ისტორიის წარმოდგენა ეტრუსკოლოგიის თანამედროვე დონის პირობებში შეიძლება მხოლოდ და მარტო ძირითად ხაზებში.

ეტრუსკები ისტორიას ახსოვს უკვე განვითარების იმ შედარებით მაღალ სტადიაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩრდილო და შუა იტალიაში ქალაქთა გაჩენასთან. თავის აყვავების ხანაში ეტრურია შესდგებოდა მთელ რიგ საქალაქო ტერიტორიებისაგან. იმ დროს, როდესაც ვილანოვას ქალაქები წარმოადგენდნენ მარტო გვაროვნულ დაბა-სოფლებს, რომლებიც გარშემორტყმულები იყო თხრილითა და მიწაყრილით, ეტრუსკული ქალაქები, მეტადრე უფრო გვიანდელი დროისა, გაშენებულია მაღლობ და ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებში, კლდეებზე, ციცაბოებსა და ზეგანებზე, გაშლილ მაღლობებზე, უახლოვდება კლასიკური ანტიკური დროის ქალაქების ტიპს. ეტრურიის ბუნება, რომელიც უხვია თირის სხვადასხვა ჯიშით, ქმნიდა წინაპირობას ქვის შენობათა, ციხეების, კოშკიან (turris) გალავნების, ციხე-დარბაზების და სხვა. მსგავსთა აგებისათვის, და ხელს უწყობდა საქალაქო წყობილების განვითარებას.

გვაროვნულ წყობილებასთან ეტრუსკული ქალაქების კავშირზე მიგვითითებს ეტრურიის მრავალი ქალაქის სახელწოდება, რომელნიც წარმოშობილია გავლენიანი გვარების (ეპონიმების) სახელებისგან. ასე, მაგალითად, ქალაქი ტარკვინია (Tarquinii) თავის წარმოშობას უკავშირებს ტარკვინიუსების გვარს, ეტრუსკულად ტარხნას (Tarchna), მანტუა უახლოვდება სახელს Mantual-ს, რომი—რომულს (Romulus) და ა. შ. გვიანდელი დროის (V—IV საუკ.-ში) ეტრუსკული ქალაქის ტიპის თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევენ ეტრუსკული ქალაქის ნანგრევები დაბა მარცაბოტოში (Marzabotto), ბოლონიის აპენინებში. ეტრუსკთა ისტორიისათვის მარცაბოტოს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პომპეას რომის ისტორიისათვის. მარცაბოტო ეტრუსკთა პომპეაა.

ქალაქის დაარსებას თან სდევდა სარწმუნოებრივი ცერემონიები, რაც შემდეგ გადაიღეს რომაელებმა. ქალაქის შუაგულში ირჩევდნენ ოთხკუთხა ფართობს, რომელსაც ტაძარი (templum) ეწოდებოდა და მეზობელი მინდვრისგან (ager) განიყოფებოდა კვალის გავლებით, კვალს ავლებდნენ ხის გუთნით; გუთნის უღელში აბამ-

დნენ ხარსა და ძროხას—ეს იყო სიმბოლო ძალოვანებისა და ნაყოფიერებისა. საღვთო კვალის ორივ კიდეზე ორრიგად იდგმებოდა სასაზღვრო ქვები (cippi). ტაძრის მომიჯნავე მიწის ნაწილს მოუხვნელად სტოვებდნენ და მას პომერიუმის (pomoerium) სახელი ჰქონდა მინიჭებული.

ტაძრების გარდა, ეტრუსკულ ქალაქებში იყო ლამაზი კერძო შენობები, ლუკუმონების (არისტოკრატების) ციხე-დარბაზები, რომელნიც სავსე იყო მსახურებითა და მონებით.

ეტრუსკებში სოციალური წყობილება, ისევე როგორც იტალიკების შორისაც, ვითარდებოდა გვარიდან სახელმწიფოებრიობის მიმართულებით. შრომის დანაწილებისა, გაცვლა-გამოცვლისა და მონების გაჩენისათანავე გვაროვნული დემოკრატია გადაგვარდა და მოსახლეობის მასისგან გამოიყო სამხედრო ქურუმული დიდკაცობა — ლ უ კ უ მ ო ნ ე ბ ი (lauchme, lucumones). ლუკუმონების ბატონობის სოციალურ საფუძველს შეადგენდა მიწა და მათზე დამოკიდებული ხალხი—მონები და კლიენტები.

სხვა დამამტკიცებელ საბუთებს გარდა, ეტრუსკებში მონათა არსებობაზე მიგვითითებს გლადიატორული ბრძოლები, რომელთაც მართავდნენ წარჩინებული პირების—ლუკუმონებისა და მეფეების—დაკრძალვის დროს.

მონა-სამხედრო ტყვეებთან ერთად ეტრუსკებს შორის ფართოდ გავრცელდა კ ლ ი ე ნ ტ ო ბ ა ც. კლიენტებად ანუ „მორჩილებად", იწოდებოდა ერთიდაიგივე გვარის ან სხვა გვართა თავისუფალი ხალხი, რომელიც დამოკიდებული იყო გვარის ძლიერ და მდიდარ წევრებზე.

დამოკიდებული ხალხისგან—კლიენტებისა და მონებისგან—ადგენდნენ ლუკუმონების რ ა ზ მ ე ბ ს, რომლებთანაც ერთად ლუკუმონები აწყობდნენ თარეშს მეზობელ ციხე-დარბაზებზე, მისდევდნენ მეკობრეობას, შუამავლურ ვაჭრობას და ქეიფ-ნადიმობდნენ თავიანთ სქელ კედლებშემოვლებულ ციხე-დარბაზებში.

სარკოფაგებზე დაცულ გამოხატულებათა და არქეოლოგიურ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ ეტრუსკული არისტოკრატიის ხელგაშლილ ცხოვრებაზე, სილაღესა და ფუფუნებაზე. უფრო გვიანდელი დროის ეტრუსკელი ლუკუმონები წარმოდგენილი არიან ყვავილებით შემკულ ბალიშებზე წამოწოლილებად, მათ თავზე ადგას ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი უთვალავი მსახურები. მდიდარი ლუკუმონების ციხე-დარბაზები სავსე იყო სხვადასხვანაირი ძვირფასი ნივთით, იარაღითა და სამკაულით.

თავისი გავლენით, კლიენტების, მსახურებისა და მონათა რაოდენობის მიხედვით, ლუკუმონებს შორის განირჩეოდა მათი წრიდან არჩეული მეფე (zilath). სამეფო ღირსების ნიშნები იყო: ძოწეული მანტია, სპილოს ძვლის სავარძელი, ძოწეული ტოგა და მეფის თანამავალ-გამყოლი მსახურები ანუ ლიქტორები, რომელნიც ატარებდნენ ცულებსა და წკეპლებს, როგორც უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლოს.

შემდეგში მეფის ძალაუფლების სწორედ იმავე ნიშნებს ჩვენ ვხედავთ რომაელებს შორისაც.

ეტრუსკების მთავარი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება და კლიენტებისა და მონების დიდი ნაწილი მუშაობდა მეფეებისა და ლუკუმონების მინდვრებში და უკანასკნელთ აძლევდა აქედან აღებულ პროდუქტის ნაწილს. ეტრურიაში მიწათმოქმედება, ნიადაგის თავისებურობის გამო, დაკავშირებულია სარწყავ სამუშაოებთან. ეტრურიის ნიადაგი დაფარულია თირით და სხვადასხვაგვარი ვულკანური წარმონაქმით, რაც ზედ აძევს ქვის ჯიშებს და წყალს არ უშვებს. ჭაობების გამოყენება შესაძლებელია მარტო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სადრენაჟო ნაგებობანი, სხვადასხვაგვარი არხები და „კლოაკები“ წყლის გადასაგდებად; ყოველივე ეს კი გულისხმობს მასობრივი შრომის გამოყენებას და მის სათანადო ორგანიზაციას. ამით აიხსნება ეტრუსკების ის გიგანტური ნაგებობანი და მაღალი საამშენებლო ტექნიკა, რაც მათ ასე აახლოებს ეგვიპტელებსა და ბაბილონელებთან.

„მარტივი კოოპერაციის კოლოსალური მასშტაბით მნიშვნელობა ჩანს იმ გიგანტურ ნაგებობებში, რომელიც აღმართული იყო ძველი აზიური ხალხების, ეგვიპტელების, ეტრუსკების და სხვათა მიერ“.[1] ამ სამუშაოთა ორგანიზატორები ქურუმები იყვნენ.

მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ეტრურია იყო და დარჩა მიწათმომქმედ ქვეყნად, მაგრამ მიწათმოქმედებასთან ერთად ეტრურიაში არსებობდა აგრეთვე ვაჭრობა და ხელოსნობა, განსაკუთრებით დასავლეთის ზღვისპირა ქალაქებში. ეტრუსკები განთქმული იყვნენ როგორც ვაჭარ-ჰეკობრეები, რომელნიც თავიანთი ექსპედიციების დროს შავი ზღვის ნაპირებს აღწევდნენ ხოლმე[2].

ეტრურიის კულტურული აღმავლობა მიეკუთვნება VI საუკუნეს ძვ. წ., და, ცხადია, მას პირდაპირი კავშირი აქვს ხმელთაშუა

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I.

[2] Н. Марр, Яфетическая теория, 1927 г.

ზღვის დასავლეთი ნაწილის სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების საერთო გამოცოცხლებასთან. ეტრუსკები ვაჭრობაში შუამავლები იყვნენ იტალიურ ბერძნებთან, კართაგენელებთან და ჩრდილო-იტალიკურ ხალხებთან. ეტრურიისა და ლაციუმის მრავალი ქალაქის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებითაც სავსეა თანამედროვე იტალიური მუზეუმები, მოგვითხრობენ მაღალ მხატვრულ გემოვნებას, რთულ რელიგიურ წარმოდგენათა და დამწერლობის არსებობას. ამას წინათ რომის ფორუმზე, ლაციუმისა და ეტრურიის ქალაქებში წარმოებულმა გათხრებმა მეცნიერება გაამდიდრა ეტრუსკული ხელოსნური ტექნიკის, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნებათა უთვალავი ძეგლებით.

მთელი ანტიკური დროის მანძილზე ეტრუსკები განთქმული იყვნენ ლითონის სრულყოფილი დამუშავებით, მოხატული კერამიკის დამზადებით, საღებავების მოპოებით, სარკეების, ვაზების, ქილების, დოქების, ტერაკოტის პაწაწა ქანდაკებების, კრამიტის, ფიბულების, ზედადგარიან ყუთების, ოქროს, სპილოს ძვლის ნაკეთობისა და სხვა ამგვარის წარმოება-დამზადებით.ეტრუსკული ჟურნალეულობის ორნამენტიკა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, წმინდა ნამუშევარი და უფრო რთულია, ვიდრე მისი წინამორბედი ვილანოვას ხანის გეომეტრიული ორნამენტი. ამასთან ერთად ვითარდებოდა სამხედრო და საწარმოო ტექნიკა; ხელოსნობაში იწყეს სადნობ ღუმელების ხმარება, ხოლო მიწათმოქმედებაში—ბრინჯაოსა და რკინის, გუთნების გამოყენება.

ეტრურიის ხელოვნების დარგში ჩვენი ცნობები უფრო სრული და მრავალფეროვანია. გადარჩენილ შენობათა ფრაგმენტების ტერაკოტის მოპირკეთებათა, ფრესკებისა და კედლის მხატვრობის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად დიდი მხატვრული ღირებულება აქვთ ხელოვნების ეტრუსკულ ძეგლებს.

სახვითი ხელოვნების ძეგლებს შორის დიდი მხატვრული ღირებულება აქვს ეტრუსკელ ლუკუმონების მოხატულ სარკოფაგებს ქვასა და მარმარილოზე გამოჭრილ-ამოკვეთილ ადამიანის ფიგურებით, რაც ნაპოვნია ეტრურიის მრავალ ქალაქში,—ქალაქ ცერეში ტარკვინიუსების რომაული დინასტიის საგვარეულო აკლდამაც კია ნაპოვნი. საფლავზე გამოყვანილ წარწერაში შეიძლება ადამიანმა გაარჩიოს: „გნეი ტარკვინიუს რომაელი“ (Kneve Tarchunies Rumach).

ეტრუსკული ხელოვნების სტილის გასაგებად დიდ ღირებულებას წარმოადგენს ვოლუმნიუსების მარმარილოს სარკოფაგი

(Sepolehro dei Volumni) პერუჯიოში. სარკოფაგზე შემდეგი წარწერაა: „აქ განისვენებს პუბლი ვოლუმნიუს დაუცხრომელი, კ ა ფ ა ტ ი ნ ი ს შვილი“ (Volumnius violens Cafatin natus).

საფლავის ჭერზე გამოხატულია მედუზას თავი, სიკვდილის ორი ფრთოსანი გენია, გველებიანი თავები, სარკოფაგებზე ბარელიეფები შემკულია მიცვალებულთა გამოსახულებით. ლუკუმონების ბარელიეფებზე გამოხატულია მთელი სცენები მითოლოგიიდან, ტროას ომიდან, ჰერკულესის მითები (ჰერკულესი ფურ-ირემს იტაცებს), მკაფიოდ ჩანს სურათები, ყვავილები, ბიჭი და მეომარი ფარით, მეფლეიტე, ურნები ყურძნის აკიდოებით და სხვა. შესანიშნავია აგრეთვე ტერაკოტის ქანდაკება სარკოფაგებზე და აპოლონის ქანდაკება ვეიდან. სუფთა ნაკეთობის მხრივ შესანიშნავია ბრინჯაოსაგან გაკეთებული ეტრუსკელი მეომარისა და რომის ძუმგელის ქანდაკებანი.

ეტრუსკული ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრული მოტივებისა და მითოლოგიური სუჟეტების მეტი ნაწილი გვიმჟღავნებს ჩვენ მათ აღმოსავლურსა და ბერძნულ ჩამომავლობას. თვითონ ეტრუსკელ ხელოსნებს კი, როგორც ჩანს, ცოტა-რამ აქვთ შეტანილი ორიგინალური და ახალი.[1] ბერძნული გავლენა ემჩნევა აგრეთვე ე ტ რ უ ს კ უ ლ რ ე ლ ი გ ი ა ს ა ც რელიგიურ წარმოდგენათა გართულებისა და გაკეთილშობილების მხრივ.

საკუთრივ ეტრუსკული რელიგია მეტად პრიმიტულია, ტლანქი და კუშტი. მასში სრულიადაც არა ჩანს ბერძნული რელიგიის ნათელი ფერები, მხატვრული სახეები და უშრეტი მითების შემოქმედება. ეტრუსკებს,—მეკობრეებსა და ყაჩაღებს, რომელნიც ცხოვრობენ ბნელსა და ციკლოპურ კედლებშემოვლებულ ციხე-დარბაზებში,—ქვეყანა წარმოდგენილი აქვთ როგორც სამკვიდრებელი სასტიკი და პირქუში ბოროტი სულებისა, დემონებისა, რომელნიც ადამიანმა შეიძლება მხოლოდ მოიმადლიეროს და დააშოშმინოს, მაგრამ მათი კეთილად ქცევა კი შეუძლებელი საქმეა. ეტრუსკების რელიგიურ წარმოდგენათა მეტი ნაწილი დაკავშირებულია მიცვალებულთა კულტთან, ქვესკნელის სულებისა და საშინელ სამსჯავროს რწმენასთან. ეტრუსკული რწმენით, ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ ხვდება ქვესკნელში, რომელიც სავსეა შავი დემონებით და მას (სულს) ეცილებიან თეთრს (კეთილ) დემონებს. ქვესკნელში ხალხი მიჰყავს საშინელ გადამყვან ხარონს, რომელიც თავის მსხვერპლთ თავებს უჩეჩქვავს მძიმე ქვის ჩაქუჩით.

[1] P. Ducati, Storia dell'arte etrusca, 1927.

ეტრუსკულ ღმერთებს შორის ცნობილი არიან: ნ ო რ ტ ი ა, სვე-ბედის ქალღმერთი, ს ე ფ ლ ა უ ს ი—ცეცხლისა და მჭედლების ღმერთი, ფ უ ფ ლ ი უ ს ი—ღვინის ღმერთი და ა. შ. უფრო გვიან ჩნდება ეტრუსკული სამება: ტ ი ნ ი ა (Tinias), უ ნ ი (Uni) და მ ე ნ ე რ ვ ა (Menerva), რომელიც შემდგომ გადაიქცა რომაულ სამებად: იუპიტერად, იუნონად და მინერვად.

ღმერთების შესაწყნარებლად და მათი ნება-სურვილის გასაგებად არსებობდა რთული კულტი ადამიანის მსხვერპლად შეწირვით. ეტრუსკელი ქურუმები (ჰარუსპიკები—haruspices) ღმერთების ნება-სურვილს იგებდნენ ფრინველთა ფრენის მიხედვით, საღვთო ქათმების კენკვის მიხედვით, სამსხვერპლო ცხოველების ანუ ზვარაკების შიგნეულობის და სხვა ამგვარის მიხედვით.

„ეტრუსკული სახელმწიფოს“ ძლიერების ხანაში ეტრუსკების სამფლობელოები ჩრდილოეთით ვრცელდებოდა მდ. პომდე, ხოლო სამხრეთით კამპანიამდე, უკანასკნელის ჩათვლით. ლაციუმი აგრეთვე ეტრურიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, ხოლო რომში VI საუკ.-ში განმტკიცდა ეტრუსკული დინასტია ტარკვინიუსებისა. „ჯერ კიდევ რომის ძლიერების შექმნამდე ეტრუსკებმა თავიანთი მბრძანებლობა განამტკიცეს შორს, ხმელეთსა და ზღვაზე. სახელწოდებაც კი ამ ორივე ზღვისა, ზემოსი და ქვემოსი, რომელნიც იტალიას, როგორც კუნძულს, გარს აკვრიან, მოწმობს ამ ხალხის ძლიერებას. ერთს ამ ზღვათაგანს იტალიკები უწოდებდნენ ეტრუსკულ ზღვას მთელი ხალხის სახელისდა მიხედვით, მეორეს კი—ა დ რ ი ა ტ ი კ ი ს ზ ღ ვ ა ს, ეტრუსკული ახალშენის ჰადრიას (Hadria) სახელის მიხედვით. ხოლო ბერძნებმა ეტრუსკულ ზღვას გადაარქვეს სახელი, უწოდეს რა მას ტირენის ზღვა, ადრიატიკის ზღვის სახელწოდება კი დარჩა“ [1].

ჩრდილოეთში ეტრუსკული კულტურის ცენტრი იყო ქალაქი ფ ე ლ ზ ი ნ ა (Felsina), უფრო გვიანდელ დროს ბ ო ლ ო ნ ი ა დ წოდებული, სამხრეთით კი ეტრუსკულ ცენტრს წარმოადგენდა კ ა პ უ ა, კ ა მ პ ა ნ ი ი ს მთავარი ქალაქი. შემდეგ, წყაროებში იხსენიება თორმეტი ეტრუსკული ქალაქის ფედერაცია ქალაქ ვეის მეთაურობით. კავშირის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა საერთო-საკავშირო ყრილობაზე ქალღმერთ ვოლტუმნას სალოცავში ვადიმონის ტბაზე. საკავშირო კრებას, რომელსაც თან სდევდა მსხვერპლშეწირულებანი და ასპარეზობა-თამაშობანი, ხელმძღვანელობდა უ მ ა ღ ლ ე ს ი ქ უ რ უ მ ი (zilath mexl), ერთერთი ეტრუსკული მეფე, იგივე ფედერაციის უმაღლესი ხელმძღვანელი.

[1] Liv., I, 34; II, 13.

„ცნობილია, რომ მთელ ეტრურიაში იყო თორმეტი ლუკუმონი, რომელთა სათავეშიც იდგა ერთი მთავარი ლუკუმონი“ [1]. VI საუკ. დასასრულიდან იწყება დასუსტება, ხოლო შემდეგ ხანებში ეტრუსკული ფედერაციის დაშლა, რაც გამოიწვია მთელ რიგ შინაგანი და გარეგანი ხასიათის პირობებმა. ეტრუსკულ ქალაქებს შორის წარმოებდა მუდმივი ბრძოლა სავაჭრო მეტოქეობისა და მიწების წართმევის ნიადაგზე. კლიენტობის, მონობისა და დიდი ექსპლუატაციის არსებობის პირობებში არ შეიძლებოდა, რომ თვითონ ეტრუსკული ქალაქების შიგნითვე ყოფილიყო მშვიდობიანობა.

შინაგან მიზეზებს ზედ დაერთო საგარეო მიზეზებიც: ხმელთაშუაზღვეთის საერთო დაქვეითება ბერძენ-ირანელთა ომიანობასთან დაკავშირებით, ბერძნების გაძლიერება, რომელთაც ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში შემუსრეს ირანელები კუნძ. სალამინთან ბრძოლის დროს და თითქმის ერთდროულად იმავე ხმელთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში, ჰიმერასთან მათ გაიმარჯვეს ეტრუსკების მოკავშირე კართაგენელებზედაც. VI საუკ. დასასრულს ტარკვინიუსების ეტრუსკული დინასტია გაძევებულ იქნა რომიდან, ხოლო მალე, მას შემდეგ, რაც კართაგენელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს ჰიმერასთან, თვითონ ეტრუსკებიც განადგურებულ იქნენ კუმესთან, კამპანიაში. ამასთან ერთდროულად ჩრდილოეთშიც ამოძრავდნენ კელტები (გალები), რომელნიც ანადგურებდნენ და ეუფლებოდნენ ეტრურიის ჩრდილო ნაწილებს. ასეთ შეტევათა შედეგად ქალაქები ღარიბდებოდა და ეტრუსკული ფედერაციაც იშლებოდა და იქსაქსებოდა. ეტრურიის საზღვრები მცირდებოდა და იკუმშებოდა: მეზობელი სახელმწიფოები მას თანდათან ნთქავდნენ. V საუკ.-დან ხელმძღვანელი როლი ჩრდილო იტალიაში ნელნელა გადადის ლათინური ფედერაციის ხელში, რომელსაც სათავეში უდგა რომი [2].

ეტრუსკოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში შეუძლებლად გვესახება დადგენილ იქნას კავშირი ეტრუსკული ფედერაციის და ეტრუსკული კულტურისა მომდევნო რომაულ-იტალიკურ ფედერაციასა და კულტურასთან. ეჭვს გარეშე მარტო ისაა, რომ მომდევნო რომაულ-იტალიკური ისტორია ვითარდებოდა ეტრუსკების მიერ შემზადებულ ნიადაგზე და რომ მან ბევრ-რამეში აითვისა უფრო მაღალი ეტრუსკული კულტურის გავლენა. დროთა განმავლობაში საწარმოო ძალებისა და ტექნიკის საერთო ზრდის ზეგავლენით, ეტრუსკულმა გავლენამ იწყო დასუსტება და გაქრობა,

[1] Serv., Aen., X, 202.

[2] „Cambridge Ancient History“, IV, Cambridge, 1926.

თვითონ ეტრუსკებიც თანდათან გაითქვიფნენ რომაულ-იტალიკურ მასივში, ხოლო ეტრუსკული ენა, რომელიც თავისი აღნაგობით მახლობელია ძველი იტალიკური დიალექტებისა[1], გამოდევნა კლასიკურმა ლათინურმა ენამ. კლასიკური ხანის ლათინური ენა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების უფრო მაღალ კულტურულ დონეს, ეტრუსკულ ენასთან შედარებით განირჩევა მეტი მოქნილობით, და თავისი ლექსიკური და გრამატიკული შინაარსით უფრო მდიდარია.

ერთხანს ეტრუსკულ გავლენას რომის წესწყობილებასა და რომაულ კულტურაზე მიაკუთვნებდნენ განსაკუთრებულ განმსახღვრელ მნიშვნელობას, ამჟამად კი ამ მხრივ ემჩნევა უეცველი რეაქცია. რომზე ეტრუსკული გავლენის გაზვიადებული შეფასება მოცემულია, მაგალითად, კუნოს შრომაში „რომის წინაისტორია“[2] და ვილჰელმ შულცის წიგნში „ლათინური საკუთარი სახელების ისტორიისათვის“[3]. რომის წესწყობილებაზე ეტრუსკული გავლენისა და ეტრუსკულ კულტურაში იტალიკური კულტურის განზავების გადაჭარბების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, პროტესტს აცხადებს არქეოლოგია, რომის ფორუმზე წარმოებული გათხრები.

---

[1] L. Martha, La lingue étrusque, Paris, 1913

[2] J. G. Cuno, Vorgeschichte Roms, I, 1873, II, 1888.

[3] W. Schulz., Zur Geschichte lateinischer Eigennamen, 1904.

რომი
მეფეთა ხანაში





თ ა ვ ი I

ქალაქ რომის ამაღლება და რომაელი მეფეები (753—509)

1. წინარომაული ლაციუმი

„ეტრუსკული სახელმწიფოს“ წარმოქმნის პარალელურად და მისი ზეგავლენით წარმოებდა ჩრდილო, შუა და სამხრეთ იტალიის ტომთა გაერთიანება[1]. აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი — მდინარე პოს ხეობა და ადრიატიკის ზღვის სანაპირო ანკონამდე — ეკავათ გალებს. თანამედროვე ვენეციის ოლქი ეჭირათ ვენეტებს, ილირიული ტომის ხალხს. ალპის შტოები ხმელთაშუა ზღვამდე ლიგურების ტომს ეკავა, ტოსკანა და უმბრიის დასავლეთის ნაწილი ეტრუსკებს ჰქონდათ.

აპენინის ფერდობებზე, მთებსა და ველებში მომთაბარეობდნენ საკუთრივ იტალიკური ტომები (იტალიოტები), რომელნიც განიყოფებოდნენ ორ ძირითად შტოდ: უ მ ბ რ ო-ს ა ბ ე ლ ე ბ ა დ და ლ ა თ ი ნ ე ბ ა დ. უმბრები ცხოვრობდნენ უმბრიაში, საბელები — უმბრების სამხრეთით. საბელებს ეკუთვნოდა მრავალი მსხვილი და პატარა ტომი—საბინები, ვესტინები, მარუცინები, ფრენტანები, პიცენები, მარსები ფუცინუს ტბის მახლობლად, პელიგნები, სამნიტები, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ტომი იტალიურ ტომებს შორის, ლუკანები და ბრუტიები. ლათინურ ჯგუფს, გარდა თვით

---

[1] C o n w a y, Italy in the Etruscan age, „Cambridge ancient history“, t. IV.

ლათინებისა, ეკუთვნოდნენ, ალბათ, ფალისკები, ექვები, ჰერნიკები და ვოლსკები.

ბრუტიუმში ცხოვრობდნენ იტალები, რომელთა სახელიც შეერქვა აპენინის ნახევარკუნძულის ყველა ტომს. ბერძნები სამხრეთ-იტალიკურ ტომებს ეძახდნენ ოპიკების ანუ ოსკების, ანუ „მიწათმოქმედების“, სიკულების — „მკელების“ საერთო სახელს. სიკულების მთავარი სამოსახლო ადგილი იყო სიცილია, „სიკულების ქვეყანა“. ლათინურ ტომებს მიაკუთვნებენ აგრეთვე კამპანიაში მცხოვრებ ავრუნკებს ანუ ავზონებს, რომელნიც შემდეგში ბერძნების მიერ იქნა ჩანთქმული.

დასასრულ, ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი, უფრო გვიანდელი კალაბრია, ეკავათ იაპიგებსა და მესანებს, ილირიული წარმოშობის ხალხებს, რომელთა ენა გადარჩენილია ეგრეთწოდებულ მესაპიურ წარწერებში.

იტალიის ეთნიკური რუკა ეტრუსკულსა და მის მომდევნო რომაულ ხანაში IV საუკ. ბოლომდე მიემსგავსებოდა თანამედროვე ბალკანეთის ნახევარკუნძულს ან კავკასიას. ყოველი ტომი ლაპარაკობდა საკუთარ დიალექტზე. თანამედროვე ლინგვისტიკა აერთიანებს ყველა იტალიკურ დიალექტს სამ ლინგვისტურ ჯგუფად, ეს ჯგუფებია: უმბრული, ოსკური და ლათინური[1]. ტომების გაერთიანება დიდხანს წმინდა გარეგნული იყო, არსებითად კი თვითეული ტომი ცხოვრობდა თავისი საკუთარი ცხოვრებით და მაგრად ებღაუჭებოდა თავის ზნე-ჩვეულებებს და სარწმუნოებრივ წარმოდგენებს.

ერთი მეორესთან ურთიერთობაში მყოფი იტალიკები მუდამ შოძრაობაში იყვნენ. ბუნებრივი ზრდა დაბალი საწარმოო ტექნიკის პირობებში ქმნიდა ჭარბ მოსახლეობას და მუდმივ ემიგრაციათა მიზეზს წარმოადგენდა. როგორც ანტიკური მწერლები გადმოგვცემენ, იტალიკურ ტომებს შორის დიდხანს იყო დარჩენილი „საღვთო გაზაფხულის“ (ver sacrum) ჩვეულება; იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ლოცვის აღვლენის, მსხვერპლის შეწირვისა და ღმერთების პატივსაცემად დღესასწაულების გადახდის შემდეგ, ასაკში მოსული ახალგაზრდობის ნაწილი დაიძვრებოდა ხოლმე თავთავიანთ ადგილებიდან და მიდიოდა ახალ, უფრო ნაკლებად დასახლებულ და ნაკლებად გამოფიტულ მიწების საძებნელად. თვითეულ ტომს თავისი ტოტემი ჰყავდა, რომელიც ითვლე-

[1] Th. Mommsen, Die unteritalischen Dialekte, 1850; R. Conway, The italic dialects, Cambridge, 1897.

ბოდა ამ ტომის სიმბოლიურ მეთაურად. ამან თავისი ანარეკლი პოვა გადასახლებათა შესახებ თქმულებებში: პიცენების ქვეყანაში გადმოსახლებულები მოვიდნენ კოდალას (picus, აქედანაა წარმოებული Picenum) ჩვენებით, ბენევენტუმში გადმოსახლებულები მოიყვანა თხამ (hircus), ბოვიანუმს კავშირი აქვს სიტყვა ხართან (bos, bovis) და ასე შემდეგ. საბინები გამოიყვანა თვითონ ღვთაება მარსმა, მათმა წინაპარმა.

ლათინებისა და უმბრ-საბელების სამოსახლო ადგილების პირვანდელ ფორმას, ისევე როგორც საერთოდ იტალიკების სამოსახლო ადგილებისას, წარმოადგენდა ს ო ფ ე ლ ი (pagus). „იყო დრო, როცა ხალხი ამუშავებდა მინდვრებს (cum rura colerent), არ გააჩნდა მას ქალაქები (neque urbem haberent) და ცხოვრობდა უბრალო ქოხმახებში (in casis et tuguriis habitabant), არ იცოდა მან არც გალავნები და არც კარიბჭეები“ [1]. სოფლებიდან წამოიზრდებოდა ხოლმე ქ ა ლ ა ქ ე ბ ი (oppida, vici) — ეს იყო გალავანშემოვლებული, გამაგრებული ადგილები, რომელნიც წარმოადგენდნენ თავშესაფარს მეზობელი სოფლების მცხოვრებლებისათვის ომის დროს და მტრის თავდასხმის შემთხვევებში, ან კიდევ ლაშქრის თავმოსაყრელ ადგილს, აგრეთვე ყრილობის (comitia), ბაზრებისა და იარმუკების ადგილს. „თავდაპირველად ქალაქები თითქმის არაფრით არ განირჩეოდა სოფლებისგან. ეს იყო, ასე ვთქვათ, გაფართოებული, მოზრდილი დაბები, სადაც მოსახლეობდნენ ერთი ან რამდენიმე გვარის წევრები. ქალაქის გამოყოფა სოფლისგან მოხდა უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიურ დონეზე დგომისას.

საქალაქო წყობილება იტალიის ყველა ნაწილში ერთნაირი სისწრაფით როდი ვითარდებოდა. ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი ძალიან განირჩეოდა დასავლეთ ნაწილისაგან. უმბრ-საბელელ ტომებს შორის საქალაქო წესწყობილება სუსტად ვითარდებოდა, აქ მთელი ისტორიის მანძილზე სჭარბობდა სოფელი ან ძველი ტიპის ქალაქები. სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა დასავლეთი — ლათინური სანაპირო, მოფენილი ქალაქებით, რომელთა შორის ბევრი ძველისძველ დროშივე გაჩნდა.

რომის სახელმწიფოს გაბატონებულ ეროვნებას შეადგენდნენ ლ ა თ ი ნ ე ბ ი, რომელნიც დამკვიდრდნენ ტირენის ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე, ლაციუმის ბორცვ-გორაკებსა და ხეობა-ველებ-

[1] V a r r o, De re rust., III, 1.

ში. უმბრ-საბელელთა ეროვნებანი (საბინები და სამნიტები) რომის სახელმწიფოს ისტორიაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ.

ლაციუმის პატარა, ზღვისკენ მიზიდული და სადრენაჟო სამუშაოთა პირობებში ნაყოფიერი ტერიტორია, ძველათგანვე დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით, რომელთაც ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ. მოსახლეობის სიხშირე, გაცვლაგამოცვლითი ურთიერთობა და რელიგიური კავშირი, თანაც საკუთარ სამფლობელოთა დაცვის აუცილებელი საჭიროება, იყო მიზეზი იმისა, რომ იტალიის დასავლეთ ნაწილში ადრე განვითარდა საქალაქო წესწყობილება. ლათინურ სამოსახლო ადგილების უძველესი ცენტრი იყო ა ლ ბ ა ს მ თ ე ბ ი, რომელნიც მდებარეობდნენ ნაყოფიერსა და კლიმატური თვალსაზრისით საღ ადგილას, თავისი სუფთა ჰაერით და ანკარა წყლით.

ეტრუსკული ქალაქების მსგავსად, ლათინური ქალაქები ერთიანდებოდნენ ქ ა ლ ა ქ თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ შ ი ანუ ფედერაციებში. ისტორიამ შემოგვინახა ხსოვნა ერთერთი ასეთი ფედერაციისა — ეს იყო ო ც დ ა ა თ ი ლ ა თ ი ნ უ რ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ა, რომელსაც სათავეში ედგა ალბა-ლონგა, ალბას მთებთან მდებარე ლათინების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ქალაქი. ძველი იტალიკური ქალაქები, მათ შორის ალბა-ლონგაც, უფრო სოფლებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ქალაქებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. წინარომაული ლაციუმის სხვა ქალაქ-სოფლებს შორის უნდა მოხსენებულ იქნას ტუსკულუმი, ლანუვიუმი, ლავრენტუმი, არიცია, ტიბური, პრენესტე და, ბოლოს, რომი. ქალაქები შენდებოდა მდინარეების პირას (ტიბური — ანიოს პირას), ტბების პირას (ალბა-ლონგა — ალბას ტბასთან), ხეობა-ველებში (ლანუვიუმი, არდეა), მთაგორიან გასავლებში (ტუსკულუმი, პრენესტე) და სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში.

ალბას მთაზე სრულდებოდა საერთო მსხვერპლშეწირულებანი და რელიგიური დღესასწაულები ლაციუმის მფარველი-ღვთაების — იუპიტერ ლაციარის ანუ ლაციუმელის (Juppiter Latiaris) — პატივსაცემად. მსხვერპლის შეწირვის წესი და საერთო ლათინური დღესასწაული — ლათინური ფერია (feriae latinae), რაც მას თან სდევდა ხოლმე, დარჩენილი იყო ისტორიულ დროშიაც რომის იმპერიის უკანასკნელ ხანამდე. კავშირის მეთაური, ალბას მეფე, იგივე უმაღლესი ქურუმი, კლავდა თეთრ ხარს და შესწირავდა ხოლმე მას მსხვერპლად მთელი ლათინელი ხალხის სახელით, ქოჯეულობასა და ძვლებს წვავდა, ხოლო ხორცს სჭრიდა 30 ნაწილად

და ურიგებდა 30 მოკავშირე ქალაქის წარმომადგენლებს, შემდეგში ალბას მეფე-ქურუმის ფუნქციები გადავიდა რომის მეფის ხელში, ხოლო, სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, ამ ფუნქციებს ასრულებდა კონსული.

Feriae latinae-ს დროს ფედერაციაში შემავალ ქალაქებს შორის ცხადდებოდა საღვთო ზავი (induciae). საერთო საქმეებზე მოსალაპარაკებლად ქალაქთა წარმომადგენლები თავს იყრიდნენ საერთო კრებებზე (concilium populorum Latinorum) ჭალასთან ფერენტინის წყაროს (ad lucum Ferentinae)მახლობლად, რასაც იხსენიებენ ლივიუსი[1] და დიონისე[2]. ალბას ფედერაციაში შემავალ ქალაქებს შორის არსებობდა არა მარტო საამხედრო, არაბედ აგრეთვე კომერციულ ინტერესთა ერთიანობა, რაც თვითეულ მოქალაქისათვის უზრუნველყოფდა იმის უფლებას, რომ მას მოკავშირე ქალაქის ტერიტორიაზე ჰქონოდა უძრავი ქონება და ექორწინა მეორე ქალაქის მცხოვრებ ქალთან (jus commercii et jus connubii).

თქმულება მოგვითხრობს, რომ ლათინების პირველი მეფე იყო იანუსი (Ianus), მეორე სატურნი (Saturnus), მესამე პიკუსი (Picus), მეოთხე კი ფავნი (Faunus). ფავნისა და მისი ცოლის ფავნასგან გაჩნდა ლათინი (Latinus), აღნიშნულ მეფეებს იმავე დროს თაყვანსცემდნენ როგორც მთავარ ლათინელ ღმერთებს: იანუსი — სინათლის ღმერთი იყო, სატურნი — დედამიწის ღმერთად იყო მიჩნეული, პიკუსი — ტყისა და ტყის ფრინველთა ღმერთად იყო ცნობილი, ფავნი და ფავნა კი განასახიერებდნენ ოთხფეხა ცხოველებს. ჩვენთვის ცნობილ ლათინელ მეფეთა სახელების მეტი ნაწილი მიეკუთვნება მითოლოგიას და მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ განვითარების საერთო ხაზის დასადგენად. ლათინი კი იყო ადამიანი, ლათინთა ტომის წინაპარი და მფარველი. შემდეგში ამ საფუძველზე წარმოიქმნა ლეგენდა ალბა-ლონგას დაარსებისა და რომის წარმოშობის შესახებ. ალბა-ლონგას დამაარსებლად მიჩნეული იყო ასკანიუსი, იმ ტროელი ენეუსის შვილი, რომელიც ლაციუმში დასახლდა ტროას შემუსვრის შემდეგ.

---

[1] Liv., I, 50; VI, 10; VII, 26.
[2] Dion., Halic., III, 14.

2. ქალაქ რომის ამაღლება

ლათინურ ქალაქთა შორის ყველაზე უფრო ბრწყინვალე ბედი ჰქონდა ქალაქ რ ო მ ს (Roma) მდინარე ტიბრზე, რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა ჯერ მარტო ერთი ოლქი — ლაციუმი, მერე მთელი აპენინის ნახევარკუნძული და, ბოლოს, მთელი ხმელთაშუაზღვეთი და მისი მომიჯნავე ქვეყნები. რომის უძველესი ისტორია, ისევე როგორც საერთოდ ყველა ლათინური ქალაქის ისტორია, უცნობია. მაგრამ რომის მნიშვნელობა შემდგომი ისტორიისათვის იმდენად დიდი იყო, რომ არ შეიძლებოდა მომდევნო თაობათა გონებაში არ აღეძრა ცნობისმოყვარეობა საკითხს იმის შესახებ, თუ საიდან და როგორ გაჩნდა ეს ქალაქი, ვინ იყვნენ მისი დამაარსებლები და რა ურთიერთობა ჰქონდა ამ ქალაქს სხვა ქალაქებთან და ქვეყნებთან. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ რომის გარშემო შეითხზა მთელი რიგი ლეგენდები, რითაც ცდილობდნენ აეხსნათ მისი გაჩენის დრო და მიზეზები და აღედგინათ მისი დამაარსებლის სახელი.

„ვინ და რატომ მისცა ქალაქ რომს მისი სახელოვანი და ყველასათვის ცნობილი სახელი, ამაზე მწერლები სხვადასხვანაირად ლაპარაკობენ. ერთნი მოგვითხრობენ, რომ პელასგები, დაყიალობდნენ ცნობილ ქვეყნების მეტ ნაწილში და, დაიპყრეს რა თითქმის ყველა მათგანი, მერე დასახლდნენ იმ ადგილას და ქალაქს „რომა“ უწოდეს (რომა ბერძნულად ნიშნავს ძალას, სიმტკიცეს), რითაც ხაზს უსვამდნენ თავიანთ იარაღის წარმატებას. მეორენი ფიქრობენ, რომ ტროას აღების შემდეგ ერთი მუჭა გადარჩენილ ტროელებისა ჩაჯდა ხომალდებში. ქარიშხალმა ისინი მიაყენა ეტრურიის ნაპირებს, და იმათაც ღუზა ჩაუშვეს ტიბრის შესართავთან. მათი ცოლები ზღვაზე მოგზაურობა-ნაოსნობამ იმდენად მოქანცა, რომ მისი ატანა აღარ შეეძლოთ, ამიტომ ერთმა მათგანმა — რომამ, რომელიც უფრო წარჩინებული და ჭკვიანი იყო, ხომალდები გადასწვა. ქმრები ჯერ საშინლად გაჯავრდნენ მის ასეთ საქციელზე, მაგრამ მერე დამორჩილდნენ აუცილებლობას და პალანტიუმის მიდამოებში დასახლდნენ...“ [1]

არ არსებობს აგრეთვე ერთი აზრი, განაგრძობს პლუტარქი, იმათ შორისაც, ვინც სრული საფუძვლიანობით რომის ისტორიას უკავშირებს რომულს. ერთი რიგის აზრით, რომული იყო ენეუსისა და ფორბანტის ქალის — დექსითეას შვილი და ბავშვობაშივე მოყვა-

[1] P l u t., Romulus, I, II.

ნილი იყო იტალიაში თავის ძმა რემთან ერთად. ტიბრის ადიდების დროს ყველა ნავი, ერთის გარდა, დაიღუპა. არ ჩაიძირა ის ნავი, რომელშიაც ბავშვები იმყოფებოდნენ. იგი წყნარად მიადგა გაშლილ ნაპირს, და ბავშვებიც მოლოდინის წინააღმდეგ გადარჩნენ. იმ ადგილს, სადაც ნავი მიადგა, რომი დაერქვა. მეორენი ამბობენ, რომ ხსენებული ტროელი ქალის ქალიშვილი ლათინა დედა იყო რომულისა და რომ მას იგი გაუჩნდა მარსისგან... არის კიდევ ამაზე უფრო მეტად დაუჯერებელი მოთხრობები ალბა-ლონგას ლათინელ მეფეებზე, ნუმიტორზე და ამულიუსზე, რომელნიც შვილები იყვნენ მეცამეტე ლათინელი მეფისა, ტროელი ენეუსის ჩამომავლისა.

ამ ლეგენდის შინაარსი ასეთია: ალბა-ლონგას მეფე პროკას ჰყავდა ორი ვაჟი — ნუმიტორი და ამულიუსი. უმცროსმა ძმამ, ამულიუსმა, ტახტიდან ჩამოაგდო თავისი უფროსი ძმა, ნუმიტორი, რომელიც მეფედ შეიქმნა მამის სიკვდილის შემდეგ. იმის შიშით, რომ ვაი თუ დამხობილი მეფის შვილმა დამიწყოს მამის ტახტის შეცილებაო, ამულიუსმა ბრძანება გასცა იგი მოეკლათ, ხოლო ნუმიტორის ქალი რეა სილვია ვესტას ქურუმად დაედგინათ, რათა მას შთამომავლობა ვეღარ გაეჩინა. მაგრამ რეა სილვიამ აღთქმა არ შეასრულა და გააჩინა ტყუპი — რომული და რემი.

ამულიუსმა დედა სიკვდილით დასაჯა, ბავშვებზე კი ბრძანა ტიბრში დაეღრჩოთ. მაგრამ ამულიუსმა ეს ვერ შესძლო. ბავშვები წყალმა ნაპირზე გამორიყა და გამოკვება ძუ მგელმა, ხოლო შემდეგ ისინი აიყვანა მეფის მწყემსმა ფაუსტულმა და აღზარდა. როცა სრულასაკოვანი შეიქნენ, რომულმა და რემმა ამულიუსს წაართვეს სამეფო, დაანგრიეს ალბა-ლონგა და დააარსეს ახალი ქალაქი — რომი. ახალი ქალაქისთვის სახელის დარქმევასთან დაკავშირებით ამტყდარ დავის დროს რომულმა მოჰკლა რემი და ქალაქს დაარქვა თავისი საკუთარი სახელი — Roma[1].

რომის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდების მიზანი იყო დაემტკიცებინათ რომაელების წარმოშობა ბერძნებისა ან ტროელებისგან, დაედგინათ კავშირი რომის ისტორიისა საბერძნეთის ისტორიასთან, და აეხსნათ რომის ამაღლება სხვა ლათინურ ქალაქებს შორის. იმ არქეოლოგიური გათხრების წყალობით, რომელიც წარმოებულა თვითონ რომში, მის მიდამოებსა და რომის მახლობელ ქალაქებში, ჩვენ ამჟამად გაცილებით უფრო მეტი ვიცით უძველესი რომისა და ლაციუმის შესახებ, ვიდრე იცოდნენ, მაგალითად,

[1] Plut., III, 19.

წარსული, XIX საუკუნის დასასრულს, მაგრამ მაინც არც ეს ცოდნაა საკმარისი იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ლაციუმისა და რომის ისტორიის უძველეს ხანაზე.

მომავალი რომის ტერიტორიაზე პირველი სამოსახლო ადგილები, ალბას მწყემსების წყალობით რომ გაჩნდა, შესდგებოდა შვიდი სოფლისგან, რომელნიც გაშენებული იყო მეზობელ გორაკებზე, ბორცვებზე. ყველაზე უწინ მოსახლეობა გაჩნდა კაპიტოლიუმის და კვირინუსის ბორცვებზე, რომელთა შორისაც მდებარეობდა მთის ფლატე კ ა პ ი ტ ო ლ ი უ მ ი (capite tollium), შემდეგ რომ გადაიქცა რომის ციხე-სიმაგრედ. პალაციუმისა და კვირინუსის ბორცვების მახლობლად სხვა ბორცვებიც იყო, რომელნიც უფრო გვიან გაშენდა. ესენია: ესკვილია, ავენტინუმი (mons Aventinus), ვიმინალისი და ცელიუსი და ა. შ. პალაციუმზე მდებარე შვიდი სოფელი გაერთიანდა შვიდი საქალაქო ტიპის დაბის ფედერაციად (septimontium); და ეს იყო მომავალი რომის დასაბამი.

პირველ სინოიკიზმს (გაერთიანებას) მოჰყვა მეორე სინოიკიზმი, მეორეს — მესამე და ა. შ., სანამ რომის შვიდი ბორცვი არ გაერთიანდა ერთ ქალაქად, რომლის ცენტრიც იყო კაპიტოლიუმი, უმაღლესი ქურუმისა და მეფის ადგილსამყოფელი. ლათინური ფედერაციის დანარჩენ ქალაქებს შორის თავისი ამაღლება-დაწინაურებით რომი უნდა უმადლოდეს მთელ რიგ ხელსაყრელ ფაქტორებს. რომი მდებარეობდა მდინარე ტიბრზე, რომელიც იტალიის ცენტრალურ ნაწილს აკავშირებს ზღვასთან. აქედან მიიმართებოდა ყოველი მიმართულებით გზები მეზობელ კულტურულ ქვეყნებში — ეტრურიაში, დ ი დ ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ შ ი, აქედან უფრო მარჯვე იყო კავშირის დაჭერა და მისვლამოსვლა კართაგენთან. გარდა ამისა, რომზე გადიოდა „სამარილო გზა" (via Salaria), რომელიც საბინების ზეგანს აკავშირებდა ტიბრის შესართავთან, სადაც მარილს იღებდნენ. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მაღალ ბორცვებზე გაშენებული რომი იმყოფებოდა ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში და წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს, იყო რა პირველ ხანებში მწყემსებისა და ყაჩაღების თავშესაფარი.

რომის დაარსების წელიწადად თვლიან 753 წელს (ვ ა რ ო ნ ი ს ანგარიშით) ან 751 წელს (კ ა ტ ო ნ ი ს ანგარიშით). რომის ისტორიაში წელთაღრიცხვა ორგვარი წესით წარმოებს: დაღმავალი წესით — ქალაქის დაფუძნებიდან ქრისტეანულ ერამდე, და აღმავალი წესით — ქალაქის დაფუძნებიდან (ab urbe condita).

ქვემორე მონათხრობში ქრონოლოგია მოცემულია დაღმავალი წესით ვარონის ვარიანტის მიხედვით. წელთაღრიცხვა ქალაქის დაარსებისდა მიხედვით არ შეადგენს მარტო ერთ რომაელების თავისებურობას, იგი მიღებული ჰქონდათ ანტიკური დროის სხვა ხალხებსაც, კერძოდ, ეტრუსკებს. ეტრუსკების რწმენით, პირველი საუკუნე თავდებოდა მაშინ, როცა კვდებოდა უკანასკნელი ადამიანი, ქალაქის დაარსების შემსწრე. ეტრუსკების მსგავსად იტალიკები ქალაქისთვის საძირკვლის ჩაყრას უყურებდნენ როგორც მისტიკურ აქტს, რომელსაც თან სდევდა რელიგიური წესები. გუთნით გავლებული კვალი (pomoerium) ითვლებოდა ქალაქის საღვთო საზღვრად. ქალაქში შესვლა შეიძლებოდა მარტო პომერიუმის იმ ადგილიდან, რომელსაც მოუხვნელად სტოვებდნენ; ეს იყო ქალაქის კარიბჭე (portae), ხოლო პომერიუმს იქით მდებარე ტერიტორია უკვე აღარ ითვლებოდა ქალაქად. ეს იყო ქალაქისპირა მდებარე მინდორი ანუ რაბათი (ager).

3. ძველი რომაული თემის სოციალური ორგანიზაცია

მიღებულია რომის ისტორიის დაყოფა რამდენიმე პერიოდად: 1) მ ე ფ ე თ ა პ ე რ ი ო დ ი (VIII—VI საუკ.-ბი), 2) რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ა (VI—I საუკ.-ბი) და 3) ი მ პ ე რ ა ტ ო რ თ ა პ ე რ ი ო დ ი (I—V საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვით).

ჩვენი ცნობები რომის ისტორიის უძველეს ხანაზე — მეფეთა პერიოდზე და რესპუბლიკის ადრინდელ ხანაზე — მეტისმეტად მწირია, არაა ყოველთვის სანდო და ნაწილობრივ ერთიმეორის საწინააღმდეგოა. ჩვენამდე მოღწეულ რომის ძველი დროის შესახებ მოთხრობებში გადახლართულია სულ სხვადასხვანაირი ვარიაციები ლათინური, ეტრუსკული და ბერძნული წარმოშობისა. შემდეგში, მოკიდებული III საუკუნის ბოლო დროიდან, როცა რომი უკვე იტალიის სათავეში იდგა, ვითარდება ისტორიული პუბლიცისტიკა, რომელიც ისტორიულ ლეგენდებსა და გადმოცემებს ამუშავებდა თავის მიზნების შესაბამისად და მათ უხამებდა. რომის პირველ ისტორიკოსად ითვლება ფ ა ბ ი უ ს პ ი ქ ტ ო რ ი (200 წ. ძვ. წ.), რომლის ნაწარმოებითაც სარგებლობდნენ უფრო გვიანდელი დროის რომაელი და ბერძენი ისტორიკოსები—დ ი ო დ ო რ ე, ლ ი ვ ი უ ს ი, დ ი ო ნ ი ს ე, პ ლ უ ტ ა რ ქ ე და სხვანი. ფაბიუს პიქტორი და ზემოხსენებული ისტორიკოსები თავიანთ მონათხრობს ამყარებდნენ და სათანადო დასკვნებსაც იძლეოდნენ ძვ. წ. I საუკ. ისტორიკოს-პუბლიცისტებზე დამყარებით; ესენი იყვნენ:

არისტოკრატული მიმართულების მწერალი ვალერი ანციატი და დემოკრატიული მიმართულების მწერალი ლიცინიუს მარკოზი.

სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლების შესახებ, სადაც ლაპარაკია რომის პირვანდელ ისტორიაზე, დღესაც კი გამოითქმის სულ საწინააღმდეგო აზრები. XIX საუკ. დასასრულს და XX ს. დასაწყისში გაბატონებული იყო ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება როგორც ბერძნული, ისე რომაული ტრადიციის მიმართ. იმდენად მწირი და არევდარეული ეჩვენებოდათ ძველი რომაელი და ბერძენი მწერლების მიერ გადმოცემული ცნობები, რომ მრავალი თანამედროვე ისტორიკოსი სრულ სკეპტიციზმამდე მივიდა და უარს აცხადებდა რაიმე სარწმუნო ცნობის გადმოცემაზე მეფეთა პერიოდისა და რესპუბლიკის ადრინდელი დროის რომის ძველი ამბების შესახებ.

ამ მხრივ უაღრესი სკეპტიციზმით გამოირჩევა იტალიელი მეცნიერის ე ტ ო რ ე პ ა ი ს ი ს შრომები, რომელიც იქამდეც კი მიდიოდა, რომ უარჰყოფდა XII ტაბულის კანონმდებლობის ისტორიულობას. ძველი რომის ისტორიის გმირები, პაისის წარმოდგენით, ადამიანებადქცეული ღმერთებია, ხოლო გმირების ერთნაირი სახელები მას მიაჩნია შეგნებულად მოგონილ ამბად, ბერძნულიდან თარგმნილად და მისთანა სხვად.

მაგრამ ბოლო ხანებში ამ მხრივ ემჩნევა გარკვეული ძვრა იმ მიმართულებით, რომ აღიარებულ იქნას რომაული და ბერძნული ძველი დროის უფრო მეტი რეალობა. ძვრა ეტყობა თვითონ ეტორე პაისის შეხედულებებსაც კი, რომელიც ავტორია ორი კაპიტალური შრომისა — „Storia di Roma“, 1899, და „Storia critica di Roma durante i primi cinque secoli“, 1925. ამ დასახელებულ შრომათა შორის მეორეში პაისი ხელს იღებს ბევრს თავის წინანდელ შეხედულებაზე და საერთოდ უფრო ფრთხილად ეკიდება ტრადიციას. იგივე უნდა ითქვას სხვა ქვეყნის მრავალ ისტორიკოსზეც.

რომის ძველი პერიოდისადმი მიძღვნილი კრიტიკული შრომების უმრავლესობის შედეგად გამოირკვა, რომ რომის უძველესი ისტორია მეფეთა პერიოდისა და რესპუბლიკის ადრინდელ ხანისა ატარებს რესპუბლიკის ბოლოდროინდელი სამოქალაქო ომის ეპოქის ისტორიული პუბლიცისტიკის გავლენის კვალს და რომ პუბლიცისტური მიზნების შესაბამისად მრავალი ამბავი წინა რიგშია წამოწეული ან კიდევ უკანა რიგშია მიწეული და მიჩქმალული. მრავალი სახელი, თარიღი და ამბავი დამახინჯებულია, გადაწეულია

და მოგონილიც კია. თქმული ეხება უმთავრესად ძველი რომის ისტორიის ორ ძირითად წყაროს — ტიტე ლივიუსსა და დიონისე ჰალიკარნასელს, რომელნიც ცხოვრობდნენ რესპუბლიკის დასასრული დროის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ხანაში და თავიანთ ნაწარმოებთ სწერდნენ ისტორიულ პუბლიცისტიკაზე დამყარებით. „მეფეთა ხანას“ მიაკუთვნებდნენ ყველა სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტსა და კანონს, რომელთაც ვერ გამოუძებნეს საჭირო ახსნა-განმარტება, და ყველა ძველისძველი დაწესებულება, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა, მიაწერეს რომელსამე მეფეს [1].

რომის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახები ლიტერატურის ზემოაღწერილ მდგომარეობის პირობებში მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დამხმარე დისციპლინებს — არქეოლოგიას, ლინგვისტიკას და ანთროპოლოგიას. ამ დისციპლინათა მოშველიებისა და გამოყენების გარეშე ისტორიკოსის თვალთახედვის არედან სრულიად ამოვარდებოდა პირველი (მეფეთა) პერიოდი. ბოლო ხანებში გაზვიადებაც კი ემჩნევა ხსენებულ დისციპლინათა მნიშვნელობას, განსაკუთრებით ანთროპოლიგიისას, რომლისგანაც მოელიან უაღრესად ძნელ და რთულ პრობლემათა გადაწყვეტას [2].

გათხრები პალაციუმზე, კვირინუსზე, ესკვილიასა და „საღვთო გზაზე“ (sacra via), რომელთაც აღმოაჩინეს IX—VIII საუკუნეებისადმი მიკუთვნებული დროის მატერიალური კულტურის კვალი, მიგვითითებენ ლაციუმის ძველისძველ ბინადართა დაბალ კულტურულ დონეზე. გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები (რკინის შუბები, ჭურჭლეულობა, ბალთები, ქარვის ნაკეთობანი და მისთ.) ეკუთვნის რკინის საუკუნეს; პალეოლითისა და ნეოლითის ნიშანკვალი რომის ნეკროპოლისებში თითქმის არაა გადარჩენილი. თიხით შელესილი ხის დაბალი ქოხმახები (tuguria) შეესაბამება იულიოს ცეზარის (კეისარის) და ციცერონის წინაპართა მწირ ყოფაცხოვრებას [3].

---

[1] რომის წარმოშობის საკითხის ირგვლივ არსებულ თეორიათა და შეხედულებათა სისტემატური მიმოხილვა და წყაროების კრიტიკა მოცემულია გ. ბ ა რ ბ ა გ ა ლ ო ს წიგნში, Il problema delle origine di Roma da Vico a noi, Milano, 1926.

[2] A. R o s e n b e r g, Einleitung und Quellenkunde zur römischen Geschichte, 1921.

[3] G. P i n z a, Monumenti primitivi di Roma e del Lazio antico, XV, 1905, p. 519—705.

არქეოლოგია გვიჩვენებს, რომ ბინადარ მიწათმოქმედების ხანას წინ უსწრებდა მ ე მ წ ყ ე მ ს ე ო ბ ა და მ ო მ თ ა ბ ა რ ე მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რის შესახები ცნობებიც დაცული აქვთ აგრეთვე რომაელ მწერლებსაც — ლივიუსს[1], ვარონს[2], პლინიუსს[3]. რომის პირვანდელი ისტორიის შესახები არქეოლოგიური მასალები ქვეყნდება სპეციალურ, უმთავრესად იტალიურ, ჟურნალებში.[4]

უძველეს სოციალურ უჯრედს როგორც ყველა იტალიკებს შორის, ისე რომაელებშიც წარმოადგენდა გვარი (gens) და კ უ რ ი ა (curia). კურიები იყო უძველესი გვაროვნული და თვით წინაგვაროვნული ორგანიზაციებიც კი არა მარტო რომაელებისათვის, არამედ საერთოდ იტალიკებისათვის. ზოგიერთი მეცნიერი რომაულ კურიებს ადარებს „მამაკაცთა სახლებთან“ ან „ახალგაზრდობის სახლებთან“, რაც ჩვენ გვხვდება ზოგიერთ თანამედროვე დაბალ კულტურულ დონეზე მდგომ ხალხებს შორის. კურიათა გამაერთიანებელი ცენტრი იყო სამსხვერპლო ტრაპეზი ანუ ტაძარი (curia) და მისი მომიჯნავე საღვთო ტერიტორია. მახლობელ სამოსახლო პუნქტების კურიებში შემავალი სრულასაკოვანი მამაკაცები იკრიბებოდნენ კურიებში სადღესასწაულოდ, მსხვერპლის შესაწირავად და საერთო საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

ძველ რომაულ თემში, გადმოცემის თანახმად, კურიათა საერთო რიცხვი უდრიდა 30-ს. ყველა 30 კურიის საერთო შეკრების ადგილს წარმოადგენდა პალაციუმის ბორცვი. კ უ რ ი ა ტ უ ლ კ რ ე ბ ე ბ ზ ე (comitia curiata) ხმებს აძლევდნენ კურიებისდა მიხედვით. კურიებში ყველა ხმისმიმცემი წევრების კრებული ერთობლივ შეადგენდა „კვირიტების რომის ხალხს“, ე. ი. კვირინის — ომის ღმერთის — მფარველობის ქვეშ მყოფი პირების კრებულს (populus Romanus Quiritium). კურიატული კომიციები იყო სამხედრო-რელიგიური კრებები, რომელთაც იწვევდა და ხელმძღვანელობდა უმაღლესი ქურუმი — კურიონი (curio). თვითონ ქურუმს, იმავე მეფეს (rex), ირჩევდნენ კურიატულ კრებებზე, აქვე წყდებოდა ომისა და ზავის საკითხებიც. ლაშქარი ეწყობოდა ხოლმე კურიებისდა მიხედვით, ერთი კურიის წევრები ერთიმეორის გვერდით დგებოდნენ.

---

[1] Liv., I, 4, 8.

[2] Varro, De re rust., II, 1, 9.

[3] Plin., Nat Hist., XVIII.

[4] „Bulletino della Commissione archeologica communale di Roma“; „Bulletino dell Instituto di correspondenza archeologica“, Roma.

ყოველ კურიას გამოჰყავდა შეიარაღებული ხალხის გარკვეული რაოდენობა: ქვეითა ჯარისკაცთა „ასეული“ (centuria) და მხედართა ანუ ცხენოსანთა ათეული. ტრადიციის თანახმად, რომაელთა ლაშქრის საერთო რიცხვი რომის პირველი მეფის რომულის დროს შეადგენდა 3.000 ქვეითა და 300 ცხენოსან ჯარისკაცს.

კურიებთან — „ახალგაზრდობის“ კრებებთან — ერთად ყველა იტალიკურ ხალხს ჰყავდა კიდევ მ ო ხ უ ც თ ა ს ა ბ ჭ ო ანუ სენატი.

გვაროვნულმა წესწყობილებამ და გვაროვნულმა ურთიერთობამ თავისი გამოსახულება ჰპოვეს აგრეთვე რ ო მ ა უ ლ ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა შ ი ც, რაც წარმოადგენდა რომის იდეოლოგიის პირველ ორგანიზებულ ფორმას. რელიგიის ქვეშ (religio ზმნა religare-დანაა, რაც ნიშნავს მიბმას, დაბმას, შეკვრას, შეკონვას) რომაელები გულისხმობდნენ ადამიანის შიგნით არსებულს გარეგანსა და შინაგან ძალას (numina), რომელიც მოქმედებს ადამიანზე და ჰბოჭავს მის ნებას. ასეთი ძალა აქვს ბუნების მოვლენებს, ზოგიერთ ადგილს (religiosa loca), წელიწადის დროებს; დღეებს (religiosi dies), პირებს და ა. შ. რელიგიის პირველი მოთხოვნა იყო ზოგიერთი ისეთი მოქმედების და საქციელის ჩადენის აკრძალვა (ტაბუ), რომელთაც შეეძლოთ ზებუნებრივ ძალთა უკმაყოფილების გამოწვევა. აქედანაა წარმომდგარი ასეთი გამოთქმები: რელიგიისადმი დამორჩილება (religioni parere), რელიგიის წესების შესრულება (parendum religioni), რელიგიით შებოჭვა, შეკვრა, შეზღუდვა (religione vinciri, teneri, obligari), religio-ს გაიგივება nefas-თან, ე. ი. უკანონობასთან, აკრძალვასთან და მისთანასთან. რელიგიის ასეთი უარყოფითი მომენტისგან გამომდინარეობდა ბრძანება საწინააღმდეგო დადებით მოქმედებათა, რაც მიმართული უნდა ყოფილიყო ღვთაების შეწყნარებისა და თავისკენ მიმხრობისაკენ. ასეთი გზით საძირკველი ჩაეყარა რელიგიურ კ უ ლ ტ ს ანუ რ ი ტ უ ა ლ ს, როგორც საკრალურ წესთა და იმ ნორმების ერთობლიობას, რასაც მოითხოვს რელიგია ღვთაების მიერ შეწყნარებისათვის. „რელიგიური წესები და კეთილმსახურება (religiones et castus), — შენიშნავს ციცერონი, — ჩვენ გვიხსნიან ხოლმე ხიფათისგანო“ (ex periculo eripiunt nostro)[1].

მზის სინათლის, ელვისა, ჭექა-ქუხილის და ქარიშხალის ძალის, განსახიერებას წარმოადგენდა მზის ღმერთი — დ ი ე ს პ ი ტ ე რ ი

---

[1] Cicer., De divin, II, 7.

ანუ ი უ პ ი ტ ე რ ი, რომელიც დამკვიდრებული იყო მაღალ (ალბას) მთებზე. შემდეგში მზის ენერგიის ღვთაებისგან იუპიტერი გადაიქცა პანთეონის მთავარ ღვთაებად — „უაღრესად კეთილ და დიად იუპიტერად“ (Jupiter Optimus Maximus). მთვარის ქალ-ღმერთად ითვლებოდა დ ი ა ნ ა, იუპიტერის ქალი, ცისა და ცის კამარის მეკარე ი ა ნ უ ს ი იყო (ორსახოვანი ანუ ორპირა), — მცველი შესავალი და გასავალი კარებისა, ყოველი საქმის დასაწყისისა და დასასრულისა, ომისა და ზავისა. იანუსს მიძღვნილი ჰქონდა იანვრის თვე, ზამთრის მზისმოქცევის პირველი თვე, წელიწადის დროთა ცვლის თვე. რომის ერთერთ მოედანზე, საიდანაც სალაშქროდ მიდიოდა ხოლმე ჯარი, იდგა იანუსის კამარა, რომლის კარიბჭეც გაიღებოდა ხოლმე სამხედრო მოქმედებათა დაწყებისას, ხოლო დამთავრებისას იხურებოდა. იანუსის, ომის ღმერთის, გარდა, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობდა ძველი რომის სოციალურ წყობილებაში, იყო მარსი (Mars, Mavors), თავდაპირველად საწარმოო და მცენარეულობის ძალთა ღვთაება, ვაჟკაცური ძლიერების (mas) ღმერთი, შემდეგ გაზაფხულის, დაბადების ღმერთი და, მეორის მხრივ, როგორც დაბადება-გაჩენის ანტითეზა, სიკვდილის ღვთაება. ყოველ ღვთაებას ჰყავდა თავისი ტოტემი, მისდამი მიძღვნილი ცხოველი ან ფრინველი. მარსის ტოტემებად ითვლებოდნენ მგელი და კოდალა.. მარსისთვის დადგენილი რიტუალის შესრულებას მეთვალყურეობდა ქურუმთა ცალკე კოლეგია — სალიები (Salii — ხტუნიები); ეს სალიების კოლეგია შედგებოდა თორმეტი მეტად ცნობილ-წარჩინებული რომაელი მოქალაქის წარმომადგენლებისგან. მარსის პატივსაცემად მოწყობილი დღესასწაულის დროს მარტის პირველ რიცხვებში სალიები მართავდნენ ზეიმით და ბრწყინვალებით მსვლელობას ქუჩებში, ხტოდნენ და გაჰყვიროდნენ, თანაც ურტყამდნენ რგვალ ფარს და ძველისძველი გამოთქმებით მოუწოდებდნენ ღვთაება მარსს დაეცვა და დაეფარა მოსახლეობა.

რომის უძველეს ღვთაებათა რიცხვს ეკუთვნოდა ცეცხლისა და ოჯახის კერის ქალ-ღმერთი ვესტა (Vesta). ვესტას ტაძარში ენთო უქრობელი საღვთო ცეცხლი, რომელსაც არ ანელებდნენ „წმინდა და უმანკო“ ვესტას ქალ-ქურუმები, მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში ქალწულებად რომ რჩებოდნენ. ვესტას ქალ-ქურუმებად იყვნენ უწარჩინებულესი რომაული გვარის ქალები 6-დან 10 წლის ასაკამდე, რომელთაც იტაცებდა უმაღლესი ქურუმი (pontifex maximus), „სამეფო სახლში“ (regia) მცხოვრები, სადაც ცხოვრობდნენ აგრეთვე ვესტას ქალ-ქურუმებიც.

წმინდა გვაროვნულ ღვთაებებად ითვლებოდნენ ლარები, მანები ანუ პენატები, რომელნიც განასახიერებდნენ გვარის გენიას (genius generis), მფარველობდნენ ამ გვარს და იცავდნენ მის წევრებს. ყოველ სახლში იყო ლარების ცალკე სახატე (laurarium), სადაც ინახებოდა პენატების გამოსახულებანი ხისა, თიხისა ან ბრინჯაოსი.

სხვა ძველისძველ ღვთაებათა შორის, რომელნიც განასახიერებდნენ ბუნების რომელიმე ძალას, ადამიანის ნებაზე რომ გავლენას ახდენდნენ, ვნებდნენ ან ეხმარებოდნენ ადამიანს, — პატივსა და თაყვანს სცემდნენ ფ ლ ო რ ა ს — აყვავება-გაფურჩქვნის ქალღმერთს, ფ ე რ ო ნ ი ა ს, — ნაყოფიერების ქალღმერთს, ც ე რ ე რ ა ს — მკის ქალღმერთს, ს ა ტ ურ ნ ს — თესვის ღმერთს, ო პ ს ს (Ops) — მინდვრის სამუშაოთა ღმერთს, ტ ე რ მ ი ნ უ ს ს — საზღვართა ღვთაებას, ფ ა ს ს (Fas) — უფლება-სამართლის ქალღმერთს. ი უ ვ ე ნ ტ უ ს ს — ჭაბუკობის ღმერთს, ფ ა ვ ნ ს — ტყეებისა და საქონლის ღმერთს და ა. შ.

აქ დასახელებულ ღვთაებათა შორის თვითეულს მიძღვნილი ჰქონდა ცალკე დღეები, როცა წარმოებდა მსხვერპლშეწირულებანი, იმართებოდა დღეობა-დღესასწაულები და ასპარეზობა-გართობანი. თებერვლის შუა ხანებში ფავნის პატივსაცემად იმართებოდა „მგლის უქმე“ — ლუპერკალია (lupercalia), რომლის დროსაც მგლის ტყავში გამოწყობილი ქურუმები (luperci) დარბოდნენ ქალაქში და ყველა შემხვედრ ადამიანს არტყამდნენ სამსხვერპლო ცხოველის ანუ ზვარაკის ტყავისგან გაკეთებულ შოლტს. ლუპერკუსის შეხვედრა გზაზე კეთილ ნიშნად იყო მიჩნეული, რომელიც მოასწავებდა ბედნიერ ცხოვრებას, ბედნიერ ქორწინებას, შვილების ყოლას და მისთანას. მარტში იმართებოდა ა მ ბ ა რ ვ ა ლ ი ა ს დღესასწაული (ambarvalia), გაზაფხულის დღესასწაული, რაც მიძღვნილი ჰქონდა ცერერას და მარსს;ამ უქმობის დროს მღეროდნენ სადღესასწაულო ღვთაებათა სახელობის ჰიმნებს; „მამავ მარსო, გევედრები შენ და გთხოვ იყო კეთილი და მოწყალე ჩემდა, მთელი ჩემი სახლისა და მეურნეობის მიმართ“-ო.

აპრილში ეწყობოდა ნაყოფიერების დღესასწაული ცერერასი, რომელიც ითვლებოდა პლებეების მფარველ ქალღმერთად; დღესასწაულს თან სდევდა სიმღერა-გალობა, ცეკვა, თამაში (ludi Cereales) და ცხენთა ჯირითი. განსაკუთრებული ზეიმით განირჩეოდა პირველი მაისის დღესასწაული ბუნების მწარმოებელი ძალის (Dea Dia, Ops), პატივსაცემად. თორმეტი ა რ ვ ა ლ ი ს ძ მ ა (fratres arvales), უძველესი საქურუმო კოლეგია, თავთავებისგან დაწნული

გვირგვინებით შემკული, გარს უვლიდა რომის საქალაქო მინდორს და თან მღეროდა ძველისძველ ხალხურ სიმღერებს: „ლარებო, გვიშველეთ ჩვენ“. „განარინე, მარსო, სიკვდილი და დაღუპვა მრავალ ჩვენგანისგან“ (Enes. Lares, iuvate! Neve rue, Marmar sins incurere in pleores“) და ა. შ. საზაფხულო თვეებზე მოდიოდა ცეცხლის დღესასწაული (Vestalia), ქვესკნელი ძალების უქმე (Volcanalia), წყლის უქმე (Neptunalia); ზამთარში, 15 დეკემბერს, იმართებოდა სატურნალია (Saturnalia), რომელსაც თავდაპირველად თან სდევდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

რომაულ რელიგიას არ გააჩნდა ისეთი რთული და განვითარებული მითოლოგია, როგორიც ჰქონდა ბერძნების რელიგიას. რომში უძველესი დროიდან სარწმუნოება შეიქნა სხვადასხვანაირ ქურუმთა კოლეგიების სამკვიდროდ და ეს კოლეგიები მოითხოვდნენ რელიგიური რიტუალისა და კულტის წეს-ადათთა სასტიკსა და წვრილმანამდე ზუსტ შესრულებას.

არცერთი სახელმწიფოებრივი და კერძო საქმე ისე არ დაიწყებოდა და არ დამთავრდებოდა, რომ წინასწარ არ შეკითხებოდნენ ღვთაების ნება-სურვილს და არ ცდილიყვნენ ღვთაებათა გულისმოგებას. მხოლოდ კულტის მიერ დადგენილი წესების სათანადო შესრულება და საკრალური ფორმულების წარმოთქმა იძლეოდა დაწყებული საქმის ბედნიერად და სასიკეთოდ დამთავრების გარანტიას. რელიგიური წესების დამრღვევს თავს ატყდებოდა მაგიერის მიზღვა არა მარტო ამ ქვეყნად, არამედ აგრეთვე სიკვდილის შემდეგაც; ასეთი პირი იმ ბოროტ სულების კერძი ხდებოდა, რომლებითაც სავსე იყო მსოფლიო და რომელნიც ვნებდნენ ადამიანს; ესენი იყვნენ მერვები ანუ ლემურები[1].

რელიგიის გავლენა მთელ სახელმწიფოზე და კერძო ყოფაცხოვრებაზე რომის საზოგადოებაში ძალიან დიდი იყო მთელი ისტორიის მანძილზე.

4. რომის შვიდი მეფე

რომის თემის უძველეს სოციალურ ინსტიტუტთა რიცხვს ეკუთვნოდა მეფის ხელისუფლების ინსტიტუტი. მეფის ხელისუფლება რომში ისევე, როგორც საბერძნეთშიაც, განვითარდა გვაროვნული წყობილებიდგან და მან შეინარჩუნა პატრიარქალობის ნიშნები. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ რომში მეფის ძალა-

[1] W. Towlker, Roman festivals, London, 1899.

უფლებამ უფრო დიდხანს გასძლო და იგი გაცილებით უფრო ძლიერი იყო[1].

გადმოცემის თანახმად რომის პირველ მეფედ იყო რ ო მ უ ლ ი (Romulus), რომელთანაც დაკავშირებულია რომის დაარსება, პირველი ომები მეზობელ ტომებთან — საბინებთან (თქმულება საბინელ ქალების მოტაცების შესახებ), და ეტრუსკულ ქალაქებთან — ფიდენთან და ვეისთან. მასვე მიეწერება მცხოვრებთა დაყოფა სამ ტრიბად (ტომად) — ტიციებად, რამნებად და ლუცერებად. მეორე მეფის, ნ უ მ ა პ ო მ პ ი ლ ი უ ს ი ს (Numa Pompilius) დროს რომში ჩნდება ხელოსანთა კავშირები და ქურუმთა კოლეგიები — ს ა ლ ი ე ბ ი ს, ფ ე ც ი ა ლ ე ბ ი ს და პ ო ნ ტ ი ფ ე ქ ს ე ბ ი ს კოლეგიები; მესამე მეფის, ტულუს ჰოსტილიუსის (Tullus Hostilius) დროს რომი წარმატებით აწარმოებს ომს ქალაქ ალბა-ლონგასთან; მის მომდევნო მეფის ა ნ კ უ ს მ ა რ ც ი უ ს ი ს (Ancus Martius) დროს ავენტინუმის გორაკზე, გადმოცემით, ჩნდებიან პლებეები, რომელნიც ამ დროიდან დაწყებული დიდი როლის თამაშს იწყებენ რომის თემის ისტორიაში.

ლაციუმისა და რომის ისტორიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ე ტ რ უ ს კ თ ა შ ე მ ო ს ე ვ ა-დ ა პ ყ რ ო ბ ა მ, რამაც თავისი გამოხმაურება პოვა მეფის ძალა-უფლებაზედაც მისი გაძლიერების მხრივ. გადმოცემის თანახმად, VII საუკუნის შუა ხანებში რომს იპყრობენ ქალაქ ტარკვინიადან მოსული მეფე-ლუკუმონები, რომელნიც მთელი 150 წლის განმავლობაში ბატონობენ რომსა და ლაციუმში. თვითონ ფაქტი ტარკვინიუსების განმტკიცებისა და მათი შემოსევისა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ადამიანთა იმ შეიარაღებული ჯგუფის, რაზმის, ყაჩაღური თავდასხმა, რომელსაც სათავეში ედგა ეტრუსკელი კონდოტიერი. ეტრუსკელ მეფეებისთვის რომის, როგორც სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის გადამცემი პუნქტის, დაუფლებას ჰქონდა დიდი ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა. მაგრამ თვითონ რომისთვისაც ეტრუსკულ ფედერაციაში მოქცევას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლებელია, თვით რომის სახელწოდებაც (Roma ანუ Ruma) ეტრუსკული წარმოშობისა იყოს. თვითონ რომის სახელმწიფოსი და ქალაქ რომის ისტორია იმ სახით, როგორითაც შემოგვინახა იგი ლიტერატურულმა ტრადიციამ, იწყება ეტრუსკთა ჰეგემონიის დროიდან, ე. ი. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ტარკვინიუსების დროს მოხდა სწორედ რ ო მ ი ს გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი თემის გ ა დ ა ქ ც ე ვ ა რ ო-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის... წარმოშობ., თბილისი, 1938 წ., გვ. 29

მ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ, პალაციუმისა და კვირინუსის გორაკებზე მდებარე ქალაქური სამოსახლოსი (oppidum) — ქალაქად (urbs) გადაქცევა, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში სახელმწიფოს გაჩენას, როგორც ახალ ფაქტორს, ეს ჩანს ენგელსის შრომიდან ამოღებულ და ქვემორე მოყვანილ ამონაწერიდან:

ამგვარად, „ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გმირული პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო: შემოღებული იყო მამის უფლება და ქონების გადაცემა შვილებზე; ეს ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახის ხელში, რის წყალობითაც ოჯახი ძალად იქცა გვარის წინააღმდეგ; სიმდიდრე-სიღარიბის წარმოშობა ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ წესწყობილებაზე იმით, რომ ხელს უწყობდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობისა და მონარქიის ჩასახვას; იქმნებოდა მონობა ჯერ მხოლოდ სამხედრო ტყვეებისგან, მაგრამ ტენდენციით საკუთარი მეტომეებისა და თვით მეგვარეობის დამონებისაკენ; ძველებური ბრძოლა ტომებს შორის უკვე სისტემატურ ყაჩაღობად და მეკობრეობად იყო გადაგვარებული; იგი რეგულარული შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და შინაური საქონლის, მონების, განძეულობის ხელში ჩასაგდებად ხდებოდა; ერთი სიტყვით, ამ დროის ბერძნები სიმდიდრეს პატივს სცემდნენ და შესხმას უძღვნიდნენ როგორც უდიდეს სიკეთეს, ხოლო ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოროტად იყენებდნენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებინათ. ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება, რომელიც არა მარტო უზრუნველჰყოფდა კერძო პირების მიერ ახლად შეძენილ ქონებას გვაროვნული წესწყობილების კომუნისტური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო წინათ ათვალწუნებული კერძო საკუთრების ჟურთხევას წარმოადენდა და ამ კურთხევას ყოველი ადამიანური კოლექტივის უმაღლეს მიზნად სახავდა, არამედ საკუთრების შეძენის ახალ ფორმებს, მაშასადამე, სიმდიდრის გაძლიერებულ დაგროვებას საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედს აჭდობდა; ეს ისეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ამუდმივებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ დაყოფას კლასებად, არამედ შეძლებული კლასების უფლებასაც ებატონა შეუძლებელ კლასებზე და მათი ექსპლოატაცია მოეხდინა“ [1].

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის... წარმოშობა, თბილისი, 1938 წ., გვ. 108—109.

ეტრუსკების დინასტიის დროს რომი აწარმოებს ენერგიულ შეტევით პოლიტიკას თავისი მეზობლების — ლათინების, საბინების და ეტრუსკების — მიმართ, იპყრობს რა ერთი მეორეზე მათ ტერიტორიას. პირველი ტარკვინიუსის (პრისკეს) დროს რომმა, ტიტე ლივიუსის სიტყვით, თავისი ჰეგემონია განავრცო ლაციუმის ყველა ქალაქზე (omne Latium domuit). დამორჩილებული ლათინური ქალაქების ერთი ნაწილი დანგრეულ იქნა, ხოლო მათი მცხოვრებლები გაჰყიდეს მონებად ან გადაასახლეს რომში.

ტარკვინიუსების დროს რომი გადაიქცევა ტირენის ზღვის ერთ-ერთ მთავარ ნავსადგურად ხე-ტყის, საქონლის, პურის და მონების გასაღება-გაყიდვის ხაზით, რაიც იგზავნებოდა სამხრეთი იტალიისა და სიცილიის ბერძნულ რესპუბლიკებსა და კართაგენში. სამეურნეო ცხოვრება ვითარდება, იზრდება კულტივირებული პურის მარცვლეულის რაოდენობა, უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მრავლდება საქონლის ჯოგები, ჩნდება ხელოსნობა და ფართოვდება მონური შრომის გამოყენება.

ტრადიციის თანახმად, უკვე ნუმა პომპილიუსის დროს რომში არსებობდა ხელოსანთა კავშირები (collegia) — მესპილენძეთა, დურგლების, მაუდის მთელავთა, ჩამომსხმელთა, ხარაზების, მეჭურჭლეთა, ოქრომჭედლების, მემუსიკეებისა და აგრეთვე ხელობისა და პროფესიის ზოგიერთი სხვა სახეობის კოლეგიებიც[1]. ყოველ მეცხრე დღეს (nundinae) სოფლის მცხოვრებნი მოდიოდნენ ქალაქში ერთდროულად ბაზრობაზე, რელიგიურ დღესასწაულებზე და საერთო ყრილობებზე. რომისა და მის მეზობლად არსებულ ლაციუმის ქალაქების ეკონომიურ განვითარებას VII—VI საუკ.-ებში ადასტურებს სარწყავი არხების ნაშთები, აგრეთვე გვირაბებისა (cuniculi), ,დრენაჟებისა, დასაკრძალავ აკლდამებისა, გზების, შენობათა და სხვა ამგვარის ნაშთები, რაც კი მიწის წიაღიდან გაათავისუფლეს არქეოლოგებმა. რომში, პრენესტში, პალესტრიაში, სერვეტრიაში და სხვაგან გადარჩენილ შენობათა ნაწილები მოწმობენ მეფის დროინდელი რომის შენობა-ნაგებობათა დიდ სიმრავლეს, სიდიდესა და მხატვრულ ღირებულებას.

ტარკვინიუსთა დინასტიის მონუმენტალურ ძეგლების რიცხვს ეკუთვნის სახელგანთქმული კ ლ ო ა კ ა მ ა ქ ს ი მ ა (cloaca maxima) (მის უძველეს ნაწილებით), ესაა ვეება, 47 ფუტის სიღრმეზე მიწისქვეშა დერეფანი, სამწყება დიდრონი ქვებით ნაგები თაღიანი ჭერით.

---

[1] P l u t., Numa, XVII.

ამ კლოაკის დახმარებით რომის ყველა ნიადაგქვეშა წყალი თავს იყრიდა ერთს არხში და გადიოდა ტიბრში. კლოაკის აშენება, რომელიც დიდ სახსრებს მოითხოვდა, გულისხმობს საამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეს და მონური ან იძულებითი შრომის სხვა რომელიმე ფორმის არსებობას. რომის იმავე მეხუთე მეფეს ტარკვინიუს პრისკუსს, რომლის დროსაც აგებულ იქნა კლოაკა მაქსიმა, მიეწერება ფორუმის (Forum) აგება, საბაზრო მოედნის (macellum) გამართვა და ცირკის (circus maximus) აშენება, სადაც იმართებოდა ცხენების ჯირითი და ქვეითად შეჯიბრებანი. საამშენებლო მოღვაწეობის გაცხოველება რომში იზიდავდა ეტრუსკელ და ბერძენ ოსტატებსა და მხატვრებს, რომელნიც ამ შენობებს აგებდნენ. ტარკვინიუს ამაყის დროს პალაციუმზე აგებულ იქნა კაპიტო ლიუმელ-იუპიტერის ტაძარი (Juppiter Optimus Maximus).

გათხრების დროს ნაპოვნი ბერძნული და აღმოსავლური წარმოების ნივთები (ვაზები, ოქროს და ვერცხლის სამკაულები) გვიჩვენებენ რომის სავაჭრო კავშირ-ურთიერთობას სამხრეთ იტალიურ საბერძნეთთან, ეტრურიასა და კართაგენთან. ვაჭრობის საგანი იყო პური, საქონელი, თევზეულობა, ფუფუნების საგნები და იარაღი.

VI საუკუნეს ეკუთვნის პირველი სავაჭრო ხელშეკრულება რომსა და კართაგენს შორის, რომლის ტექსტიც მოჰყავს პოლიბიოსს. კართაგენთან რომის ამ პირველი ხელშეკრულების შინაარსი, პოლიბიოსის გადმოცემით, შემდეგია: 1) თუ კართაგენელები აიღებენ რომელიმე ლათინურს ქალაქს, მაშინ მათ შეუძლიათ მოიხმარონ ხელთჩაგდებული დოვლათი, მაგრამ ტერიტორია კი უნდა რომაელებს მისცენ, 2) რომაელებს შეუძლიათ თავისუფლად ივაჭრონ სიცილიაში და აფრიკაშიაც კი, ოღონდ თვითონ კართაგენში კი არა.

შემდეგ, რომაელი ისტორიკოსები და არქეოლოგები VI საუკ. დასასრულს მიაკუთვნებენ საკრალური ფორმულების, ეგრეთწოდებული „მეფის კანონების“ (leges regiae) პირველი კრებულის გაჩენას, რომელიც შედგენილ იქნა ტარკვინიუს ამაყის დროს მცხოვრებ იურისტ პაპირიუმის მიერ (ius Papirianum).

ქალაქ რომის მოედანი მეფეთა პერიოდის უკანასკნელ ხანებში უდრიდა 700 კვ. აკრს. ტარკვინიუსების დროს, ამბობს ციცერონი, რომი მცირედ დასახლებული დაბა კი არ იყო, არამედ მეცნიერებათა და ხელოვნებათა სამკვიდრებელ ადგილს წარმოადგენდაო (non

tennis vivulus, sed abundantissimus omnium doctrinarum atque artium).

ტარკვინიუსების დროს რომის სოციალური განვითარება მიმდინარეობდა იმავე მიმართულებით, როგორც წინა საუკუნეებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სოციალური დიფერენციაცია უფრო ჩქარი ნაბიჯითა და ღრმად მიდიოდა. რომის თემის ფენებად დაყოფა დაიწყო ჯერ კიდევ ტარკვინიუსებზე გაცილებით ადრე. გადმოცემის მიხედვით, უკვე რომულის დროს რომის თემი იყოფოდა სამ არათანასწორ ჯგუფად — პ ა ტ რ ი ც ი ე ბ ა დ, კ ლ ი ე ნ ტ ე ბ ა დ და პ ლ ებ ე ე ბ ა დ.

უძველესი თემი პალაციუმზე, რომელმაც დააარსა „კვადრატული რომი“ (Roma quadrata), საიდანაც შემდეგში გაჩნდა ისტორიული შვიდგორაკიანი ანუ შვიდბორცვიანი რომი, იყოფოდა პ ა ტ რ ი ც ი ე ბ ა დ და კ ლ ი ე ნ ტ ე ბ ა დ, კეთილშობილებსა (patricius — წარჩინებული მამის შვილი, დიდგვარისშვილი) და „მორჩილებად“ (cliens წარმოებულია ზმნა cluere-დან, რაც ნიშნავს მორჩილად, გამგონედ, დამოკიდებულად ყოფნას). პატრიციებად და კლიენტებად დანაწილება მიმდინარეობდა იმის შესაბამისად, რაც უფრო მეტად ირღვეოდა პატრიარქალური თემი, ხდებოდა შრომის განაწილება, ძლიერდებოდა ქონებრივი უთანასწორობა და ჩნდებოდა მონა — სამხედრო ტყვეები.

პატრიციული გვარების გაღარიბებულ-გაღატაკებულ წევრების გარდა, კლიენტებად ხდებოდნენ გათავისუფლებული მონები, ე. ი. თავისუფლება მინიჭებული მონები, და მთელი დაპყრობილი ტომები, რომელნიც ნებდებოდნენ ხოლმე მათ დამპყრობელ გვარის ან სახელმწიფოს ნება-სურვილს (clientes—qui sese in fidem patrociniumque nostrum dediderunt)[1]. ცნება „კლიენტი“ ახლოსაა ცნება „ღარიბთან“, თავის მფარველზე — პ ა ტ რ ო ნ ზ ე (Patronus) — დამოკიდებულ ადამიანთან. ასეთი გაგებით კლიენტობა დარჩა მთელი რომის ისტორიის მანძილზე. უფრო გვიანდელი დროის კლიენტობის განსხვავება ადრინდელი ხანის კლიენტობისგან იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეთა პერიოდში და რესპუბლიკის ადრინდელ ხანაში კლიენტები წარმოადგენდნენ არა ცალკე პირის ან ცალკეულ ოჯახის, არამედ მთელი გვარის საკუთრებას.

ურთიერთობა პატრონსა და კლიენტს შორის წესრიგდებოდა გვაროვნული ჩვეულებებით, რომელნიც ბოჭავდნენ როგორც კლი-

---

[1] Aul. Gell., V, 13..

ენტს, ისე პატრონსაც. „პატრონი, რომელიც წყენას ან ზიანს მიაყენებს კლიენტს, დაე წყეულიმც იყოსო“ (Patrones, si clienti fraudem fecerit, sacer esto) [1],— ამბობს ერთი XII ტაბულათაგანი. კლიენტი ცხოვრობდა გარკვეული გვარის ტერიტორიაზე, ჰქონდა მას მიწის ნაჭერი (ager) და სარგებლობდა იგი გვარის მფარველობით. რომაელი არქეოლოგები ცდილობდნენ სიტყვა patricii — მამებიც კი დაეკავშირებინათ სიტყვა pars-თან (ნაწილთან), ჰქონდათ რა მხედველობაში პატრონის მიერ კლიენტისადმი მიცემული მიწის ნაკვეთი. ისინი „პატრიციებად“ იმიტომ იწოდებოდნენ, რომ თავიანთი მიწების ნაწილს (agrorum partes) აძლევდნენ მცირემქონეებს (tenuioribus)[2]. კლიენტების ვალდებულებანი თავიანთი პატრონების მიმართ გამოიხატებოდა საერთო ტერმინით პატივისცემით (obsequium), რომელიც შეიცავდა სხვადასხვა სახეობის დახმარებასა და პატივისცემას ომისა და ზავის დროს [3].

დროთა განმავლობაში მდიდარი პატრიციული გვარები, რომელთა რიცხვიც საერთოდ დიდი არ იყო, ეტრუსკელ ლუკუმონების მსგავსად, გამოიყო და ჩამოყალიბდა კარჩაკეტილ სამხედრო-ქურუმულ არისტოკრატიად. პატრიციული გვარები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულებს, რომელნიც ცხოვრობდნენ გარკვეული გვარის ტერიტორიაზე (pagus), ჰქონდათ საგვარეულო სალოცავები და კულტები (sacra gentilicia), საგვარეულო სასაფლაოები და გვაროვნული საკუთრება მიწაზე, შრომის იარაღზე, მუშა ხელზე და მისთანა სხვაზე. მიწის დამუშავება წარმოებდა გვარის საკუთარი ძალღონით კლიენტებისა და მონების დახმარებით.

მონათა მდგომარეობა მეფეთა დროინდელ რომში მხოლოდ მცირედ განირჩეოდა კლიენტების მდგომარეობისგან. კლიენტის მსგავსად მონა ატარებდა nomen gentilicium მონაწილეობდა ოჯახის კულტში (sacrarium), ცხოვრობდა ერთ ჭერ ქვეშ თავის ბატონებთან, „გვარის წევრებთან“ ერთად, და მათთან ერთადვე იმარხებოდა ერთს საერთო საფლავში [4].

გვარების წევრთა რიცხვი სხვადასხვა იყო ხოლმე, ზოგჯერ მეტად თვალსაჩინოც. ფაბიუსების გვარი[5], მაგალითად,

---

[1] Leges XII tab., VIII, 21.
[2] Fest., 1. 246.
[3] Dion., Halic., Rom. Antiquit., II, 10.
[4] Plin., Hist. Nat, XXXIII, 26; Plut., Cato maior, 20.,
[5] Dion., V, 40; Liv., II, 16.

შესდგებოდა 300 წევრისგან, პოტიტიების გვარი ითვლიდა 30 ოჯახს და ა. შ. დიონისეს მიერ[1] მოხსენებულ აპიუს ჰერდონიუსს, რომელიც 460 წ. შეეცადა ხელთ ეგდო კაპიტოლიუმი და სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა, მეგობრები, მონები და კლიენტები ჰყავდა საერთო ჯამით 4.000 კაცზე მეტი. კლავდიუსების გვარს ჰყავდა 5.000 კლიენტი.

პატრიციული გვარები იყოფოდა პატრიარქალურ (დიდ) ოჯახებად (familiae) ან სახლებად (domus), რომელთაც მეთაურობდნენ ოჯახთა მამები (patres familias). რომაული ფამილია წარმოადგენდა თავისებურ საწარმოო კოლექტივს, რომელშიაც შედიოდნენ არა მარტო გარკვეული ოჯახის წევრები — თავისუფალნი, არამედ მონებიც[2].

საერთო გვაროვნულ სახელთან (nomen gentilicium) ერთად ყოველ გვარს ჰქონდა კიდევ საკუთარი სახელი ან ზედმეტი სახელი (cognomen). ასე, მაგალითად, კლავდიუსების გვარი (gens claudia) იყოფოდა რამდენიმე შტოდ ანუ სახლად (Claudius Pulcher, Claudius Centho, Claudius Nero). კორნელიების ანუ კორნელიუსების გვარს (gens Cornelia) ეკუთვნოდნენ კორნელი სციპიონი (Cornelius Scipio), კორნელი სულა (Cornelius Sulla) და ა. შ.

მთელი გვარის სათავეში იდგა გვარის მამასახლისი — „გვარის წინამძღოლი“ (princeps ან dux generis), — რომელიც ერთსადაიმავე დროს სამხედრო წინამძღოლიც იყო, ქურუმიც და მოსამართლეც. მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ გვარის მამასახლისი თათბირობდა ოჯახთა მამების საბჭოსთან ანუ სენატთან (senex — მოხუცი; senatus — მოხუცთა ანუ უხუცესთა საბჭო), და ყველა უფლებამოსილ თანამოგვარეთა კრებასთან.

მტკიცე გვაროვნულ ორგანიზაციაზე, რომელმაც თანდათან დაჩრდილა უფრო ადრინდელი კურიების ორგანიზაცია და უკან დასწია მეფის ძალაუფლება, — იყო დამყარებული რომის იმ პატრიციატის ძლიერება, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე სათავეში ედგა რომის თემს[3].

დამოკიდებულ პირთა ორ ხსენებულ კატეგორიას, მონებსა და კლიენტებს, დროთა განმავლობაში მიემატა დამოკიდებულ პირების

---

[1] Dion, X, 14.

[2] Moritz Wlassak, Studium zum altrömischen Erb und Vermächtnisrecht, I, 1931.

[3] De Sanctis, Storia dei Romani, „Klio“, II, 9.

კიდევ მესამე კატეგორია — პ ლ ებ ე ებ ი (plebs ანუ plebes). პლებსის თავდაპირველ ბირთვს შეადგენდნენ პატრიციების მიერ დაპყრობილი ხალხები, უმთავრესად ლათინები, და ნებაყოფლობით გადმოსახლებულები (incolae), რომელნიც სახლდებოდნენ ნაყოფიერ ხეობაში ავენტინუმისა და ველაბრის გორაკებს შუა. პლებეების მეტი ნაწილი (plebs — მასა, ხალხი, წარმოებულია ზმნა plere-დან, რაც ნიშნავს ავსებას, გავსებას) შეადგენდა დამოუკიდებელ თემს, იყო მიწათმოქმედების მიმდევარი, მცირე ნაწილი კი მისდევდა ვაჭრობასა და ხელოსნობას. პლებეები გაჩნდნენ ჯერ კიდევ წინაეტრუსკულ ხანაში, მაგრამ პლებსის სწრაფი ზრდა იწყება ტარკვინიუსების დროიდან და დაკავშირებულია რომის მიდამოებში ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ადგილების ამოშრობასთან, ახალ ტერიტორიათა დაპყრობასთან და დაპყრობილი ადგილების მცხოვრებთა რომის ტერიტორიაზე გადასახლებასთან.

გადმოცემის თანახმად, პლებეური თემები თავიდანვე დამოკიდებული იყვნენ პატრიციულ თემზე, პლებეებს არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები და ტერიტორიულად გამოყოფილი იყვნენ პატრიციებისგან. პალაციუმის და კვირინუსის გორაკები, სადაც პატრიციები ცხოვრობდნენ, მაღლა აზიდული იყო და თავისი მდებარეობითაც თითქოს მბრძანებლობდნენ იმ ვაკეს, სადაც პლებეები ცხოვრობდნენ.

პლებეებს გაბატონებულ თემში არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები, მაგრამ მოცემული თემის ფარგლებში შეეძლოთ ჰქონოდათ საკუთრება, მისდევდნენ ისინი მიწათმოქმედებას, ვაჭრობას და ხელოსნობას, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სრულუფლებიანები იყვნენ კერძო-უფლებრივად (ius commercii) და არასრულუფლებიანები სახელმწიფოებრივ-უფლებრივად (ius honorum). პლებსის დამოკიდებულება პატრიციული თემის მიმართ გამოიხატებოდა ზოგიერთ ვალდებულებათა მოხდა-შესრულებაში, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო არსებითი იყო დამხმარე რაზმებში სამსახური. პლებეების მდგომარეობა, რომელიც თავდაპირველად შედარებით ასატანი იყო, მერე თანდათან უარესდებოდა, რაც უფრო მეტად ხდებოდა რომის თემის ფენებად დანაწილება მიწის ნაკლებულობისა და მოსახლეობის რიცხვობრივად ზრდის გამო. პლებსის ერთი ნაწილი ჰკარგავდა ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ვარდებოდა რა სავალო კაბალაში მდიდარ პატრიციების მიმართ (nexum inibat). თავისი ეკონომიური მცირეძალოვნობისა და დავალიანების გამო პლებეები თანდათან ქვეითდებოდნენ კლიენტების მდგომარეობამდე და სიტყვა „პლებეი“ სინონიმი ხდებოდა სიტყვისა — ღარი-

ბი, — მცირესმქონე და უუფლებო ადამიანი. რომაელი მწერლები (ლივიუსი, დიონისე, ციცერონი, ტაციტუსი) ყოველივე თუობისა და ეჭვის გარეშე პლებეებს აიგივებენ კლიენტებთან. თვითონ რომაელი მოსახლეობის დანაწილებას კი პატრიციებად და პლებეებად ანტიკური მწერლები მიაწერენ ქალაქ რომის მითიურ დამაარსებელს — რომულს.

„რომულმაო, — ეკითხულობთ დიონისე ჰალიკარნასელის „რომის სიძველეთა ისტორიაში“ („არქეოლოგიაში“), — გადასცა პლებეები პატრიციებს როგორც მძევლები (კლიენტები) და თვითეულ პლებეის უფლება მისცა თავისთვის აერჩია პატრონი პატრიციებს შორის. ეს საქმე რომულმა შეამკო პატრონატის კეთილშობილი სახელწოდებით, რაც ნიშნავს ღარიბი და უბრალო ხალხისთვის მოსარჩლეობას“-ო [1]. „პატრო�inიები ჩნდება იმ დროიდან, — ამბობს მეორე წყარო [2], — როცა პლებსი განაწილებული იქნა პატრიციებს შორის“ (cum plebs distributa inter patres). ანალოგიური მსჯელობა პლებეებისა და კლიენტების შესახებ მოეპოება ციცერონსაც [3]. პლებეების საკითხი ეკუთვნის უაღრესად რთულ და საკამათო საკითხთა რიგს. პლებსისა და რომაული გვარის ისტორიაში კლასიკურ შრომას წარმოადგენს ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. აკადემიკოს ნ. ი. მარის [4] შრომები რომის ადრინდელი ისტორიის საკითხებს წყვეტენ იაფეტური თეორიის მიხედვით.

თეორიები პლებსის წარმოშობის საკითხის შესახებ გადმოცემულია ბინდერის [5], ედუარდ მაიერის [6], ობერციენერის [7] და სხვათა შრომებში.

ტერმინის —„პლებს“—სოციალური შინაარსი უცვლელი როდი რჩებოდა. მეფეთა პერიოდში და რესპუბლიკის ადრინდელ ხანაში პლებეებად გულისხმობდნენ იმ ადამიანთა ჭრელ მასას, რომელნიც პატრიციატში არ შედიოდნენ და არც მონები იყვნენ. რესპუბლიკის არსებობის მეორე ნახევარში ცნება „პლებსი“ თანაბარი იყო

---

[1] Dion., Halic., Rom. Antiquit., II, 9.

[2] Festus.

[3] Cic., De Rep., II, 9, 16.

[4] Н. Марр, Карфаген и Рим; Сена, Саона, Лютеция и первые обитатели Галли—этруски и пеласги, 1922 г.

[5] J. Binder, Die Plebs, 1911.

[6] Ed. Meyer, Der Ursprung des Tribunats, „Hermes“, XXV, 1898.

[7] Oberziner, Patriziato e plebs nello svolgimento delle origine romane, Milano, 1912.

თავისუფალი წვრილი მიწათმფლობელებისა და ხელოსნების ცნებისა, გვიანდელ იმპერიაში კი პლებეებს აიგივებდნენ ყმა კოლონებთან და საერთოდ ქალაქისა და სოფლის დაბალ ფენებთან.

იცვლებოდა აგრეთვე სიტყვა „პატრიცი"-ს შინაარსიც.

ბრძოლა პატრიციებისა პლებეებთან შეადგენს ადრინდელი პერიოდის რომის ისტორიის მამოძრავებელ ძალას. ამ ბრძოლის ცენტრში იყო მოქცეული ბ რ ძ ო ლ ა მ ი წ ი ს ა თ ვ ი ს და მისგან განუყრელი ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისთვის, პლებეების პატრიციულ თემში ჩარიცხვისათვის. პლებეების გათანასწორება პატრიციებთან სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მდგომარეობის მხრივ ხდებოდა იმისდა მიხედვით, რაც უფრო იზრდებოდა რომის თემი სოციალურ-ეკონომიურად, ხშირდებოდა ლაშქრობები, ფართოვდებოდა მონობა.

5. სერვიუს ტულიუსის რეფორმა

პატრიციების პლებეებთან ბრძოლაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რომის მეექვსე მეფის — ს ე რ ვ ი უ ს ტ უ ლ ი უ ს ი ს (VI საუკ. ძვ. წ.) — სახელმწიფო რეფორმას.

ძველი მწერლების მონათხრობის თანახმად, სერვიუს ტულიუსი იყო ტარკვინიუს პრისკუსის მეუღლის, ტანაკვილის, მსახური მონა ქალის (serva) ოკრიზიას ვაჟი. არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი, და ღმერთების განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი სერვიუს ტულიუსი, იზრდებოდა მეფის ოჯახში, მეფესთან ერთად მონაწილეობდა ლაშქრობებში და სახელი გაითქვა როგორც მამაცმა მეომარმა. ტარკვინიუსის სიკვდილის შემდეგ სერვიუს ტულიუსი ტანაკვილის დახმარებით არჩეულ იქნა რომის მეფედ და „თავისი გამეფების უკანონობის გამოსყიდვა მან შესძლო თავისი რეფორმების სიბრძნით"..

სერვიუს ტულიუსის კონსტიტუცია იმ სახით, როგორც მან მოაღწია ჩვენამდე ანტიკურ მწერლების ნაწერებში, მრავალ ანაქრონიზმს შეიცავს და გაცილებით უფრო გვიანდელ დროს მიეკუთვნება, ყველაზე უფრო კი IV — III საუკუნეებს—სამნიტური და პუნიკური ომების ხანას. მაინც, მიუხედავად ყველა ამ ანაქრონიზმისა და თვითონ რეფორმატორის პიროვნების ლეგენდარობისა, სერვიუსის კონსტიტუციის სოციალურ-პოლიტიკური ჩონჩხი ეჭვს არ იწვევს.

სერვიუს ტულიუსის დროიდან თავისუფალი მოსახლეობა (populus Romanus) როგორც პატრიციები, ისე პლებეები, იყო-

ფოდა ხუთ წყებად ანუ კლასად (classes), ქონებისა და მეზობლობის მიხედვით. ნაცვლად წინათ არსებულ გვარებისდა მიხედვით დანაწილებისა, ახლა შემოდიოდა ახალი დანაწილება — ქ ო ნ ე ბ რ ი ვ-ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, რომელიც წინანდელი გვაროვნული დანაწილების გვერდით არსებობდა. ტერიტორიული დანაწილების საფუძვლად ითვლებოდა ახლა ტერიტორიული ტრიბა (tribus), რაც არ უნდა შეურიოთ ძველ ტერმინ ტრიბასთან, — ტომს ანუ ეროვნებას რომ აღნიშნავდა.

პირველ კლასს ანუ წყებას ეკუთვნოდნენ მოქალაქენი, ვისიც ქონებრივი ცენზი იყო 100 ათასი სპილენძის ასსი, ანუ, მიწის ცენზზე გადატანით, ვისაც ჰქონდა მიწის სრული ნაკვეთი; მეორე კლასს ისინი ეკუთვნოდნენ, ვისიც ცენზი 75 ათას ასს უდრიდა, ანუ ვისაც ჰქონდა მიწის ნაკვეთის სამი მეოთხედი; მესამე კლასისას უნდა ჰქონოდათ 50 ათასი ასსი ანუ ნახევარნაკვეთი; მეოთხე კლასის მოქალაქენი ფლობდნენ 25 ათას ასს ანუ ნაკვეთის მეოთხედს; მეხუთე კლასისას კი უნდა ჰქონოდა 12 ნახევარ ათასი ასსი ანუ ნაკვეთის მერვედი. ფულადი ცენზი გამოიხატებოდა უძველესი მოჭრილი მონეტით ასსით (as), რომელიც 12 ნაწილად — უნციად (unciae) იყოფოდა.

ყოველ კლასს გამოჰყავდა გარკვეული რაოდენობის სამხედრო ერთეული — ცენტურიები (centuria). ყველაზე მეტი ცენტურია გამოჰყავდა პირველ კლასს — სულ 98 ცენტურია, ამათში 80 ქვეითა (ჰოპლიტები) და 18 ცხენოსანი (equites). ექვსი ცხენოსანი ცენტურია იკრიბებოდა პატრიციებს შორის, თორმეტი — პლებეებს შორის. მეორეს, მესამეს და მეოთხე კლასს გამოჰყავდათ ოც-ოცი, მეხუთეს კი 30 ცენტურია.

ყოველ კლასს თავისი გარკვეული შეიარაღება ჰქონდა. პირველი კლასის მოქალაქეებს უნდა ჰქონოდათ სრული (მძიმე) შეიარაღება-შეჭურვილობა, რასაც შეადგენდა მუზარადი ანუ ზუჩი (galea), ჯავშანი (lorica), საბარკული (ocreae), რგვალი ფარი (clipeus), მახვილი (gladius) და შუბი (hasta). მეორე კლასის ლეგიონებს არ ჰქონდათ მძიმე აბჯარი (ocreae) და clipeus-ის მაგიერ ისინი ატარებდნენ ოთხკუთხა ფარს (scutum). ხოლო ყოველი დანარჩენი კლასის შეჭურვილობა უფრო უბრალო და იაფი იყო. მეხუთე კლასის მეომრები მეტწილად მეშურდულეები იყვნენ (funditores), მათ ჰქონდათ შურდული (funda)და სატყორცნი ქვები (lapides).

ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი კლასობრივი დანაწილების გარეშე იმყოფებოდნენ (infra classem) და ყველას საერთოდ გამოჰყავდათ მარტო ერთი ცენტურია.

უკანასკნელი ცენტურიის მეექვსე კლასის მოქალაქენი თავისუფალი იყვნენ გადასასადებისა, ბეგარისა და სამხედრო სამსახურისგან, მაგრამ სამაგიეროდ არც ითვლებოდნენ მოქალაქეებად ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, რადგანაც ისინი კომიციებში არ მონაწილეობდნენ. ხოლო თუ უკიდურესი საფრთხის დროს მათ ლაშქარში ჩარიცხავდნენ ხოლმე, მაშინ მათ ეძლეოდათ იარაღი-შეჰურვილობა და სახელმწიფოს ხარჯზე ინახებოდნენ. მეექვსე კლასის მოქალაქეები იწოდებოდნენ proletarii ან capite censi. გარდა ამისა, მოწყობილი იყო კიდევ ორი ცენტურია იმ ხელოსნებისგან, რომელნიც ლაშქრის ტექნიკურ ნაწილს ემსახურებოდნენ (fabi qui machinas in bello ferrent), და ორი ცენტურიაც მემუსიკეებისა (cornicinum et tubicinum).

პლებეების ჩარიცხვა მოქალაქეებში და ერთიანი პლებეურ-პატრიციული ლაშქრის შექმნა იწვევდა აგრეთვე ცვლილებებს რომის პოლიტიკურ წესწყობილებაშიაც. მას მერე, რაც პლებეები ლაშქარში ჩარიცხეს, კურიატულმა კომიციებმა თავიანთი აზრი დაჰკარგეს, დაუთმეს რა პირველი ადგილი ახალ ცენტურიატულ კომიციებს (comitia centuriata), რომელნიც წარმოადგენდნენ ასეულებად (centuriae) დაყოფილ რომის თემის შეიარაღებულ ხალხს. ცენტურიატულ კომიციებში ხმის მიცემა წარმოებდა არა გვარებისდა მიხედვით, არამედ ცენტურიების მიხედვით, თანაც თვითეულ ცენტურიას ჰქონდა მარტო ერთი ხმა. ყველაზე მეტი ცენტურიები მოიპოებოდა პირველ კლასს, რომელიც შესდგებოდა უფრო შეძლებულ მოქალაქეებისგან, პატრიციებისგან, პლებეებისგან და მათ კლიენტებისგან. პირველ კლასს ეკუთვნოდა ცენტურიატულ კომიციებში გადამწყვეტი ხმა და ამით, მაშასადამე, რომის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაც. „რათა ხმის მიცემა დაფუძნებული იყოს არა უმრავლესობის (მასების, multitudo) უპირატესობაზე, არამედ სიმდიდრეზე (potestas locupletium)“,— ასე ახასიათებს ცენტურიატულ კომიციებს ციცერონი[1].

ხმის უფლება (suffragium) მინიჭებული ჰქონდა არა ყველას ერთნაირი, თანასწორი იურიდიული ძალით, როგორც ეს იყო პირველი მეფეების დროს რომულიდან დაწყებული. დაწესებული იყო თანრიგები (gradus facti). არავინ არ იყო მოკლებული ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლებას, მაგრამ „თემის მთელი ძალა თავ-

---

[1] Cicero, De re publica, II, 22, 39.

მოყრილი იყო პირველი კლასის ხელში“ (vis omnis penes primores civitatis esset)[1].

სქემატურად სერვიუსის კონსტიტუცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

კლასი	ცენტურიათა რაოდენობა	ქონება ასსებად	შეიარაღება	იარაღი
	18 ცხენოსანი ცენტურია (equites cum equo publico)			
1	80	100.000	galea, clipeus, ocreae, lorica.	gladius, hasta
2	20	75.000	galea, scutum, ocreae,	
3	20	50.000	galea, scutum	
4	20	25 000	scutum	
5	30	11.000		fundae.

აქვე უნდა მიემატოს ხელოსანთა ორი ცენტურია, მემუსიკეთა ორი ცენტურია და პროლეტარების ერთი ცენტურია.

საერთოდ იყო 193 ცენტურია, რომლებშიაც სულ ირიცხებოდა 19.300 კაცი.

ქონებრივი ცენზის გარდა, სერვიუსის კონსტიტუცია აწესებდა აგრეთვე ასაკობრივ ცენზს. თვითეულ ლეგიონში არსებობდა ახალგაზრდობის ცენტურიები (centuriae iuniorum) 17 წლიდან 46 წლამდე, რომლებიც ასრულებდნენ საველე სამსახურს, და ხნიერთა ცენტურიები (centuriae seniorum), რომელნიც საგარნიზონო სამსახურს ეწეოდნენ. ოთხი ლეგიონისგან (legiones) შემდგარი არმიის წინამძღოლობა ეკუთვნოდა ამორჩეულ მეფეს, რომელიც ომისა და ზავის შესახებ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე ეთათბირებდა ხოლმე გვაროვნულ უხუცესთა საბჭოს — სენატს (senatus).

თავისი ისტორიულ-სოციოლოგიური აზრით სერვიუსის რეფორმა მოგვაგონებს სოლონის ტიმოკრატიას და კლისთენეს ტერიტორიულ ფილეებს ათენში. სოლონისა და კლისთენეს კონსტიტუციათა მსგავსად, სერვიუს ტულიუსის კონსტიტუციის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი პრინციპულად უარჰყოფს გვაროვნულ წესწყობილებას და ცვლის მას სახელმწიფოებრივი პრინციპით. ეს იყო პატრიციულ-გვაროვნული წყობილებისათვის მიყენებული პირველი ბზარი.

---

[1] Liw., I, XLIII.

„ამგვარად, რომშიც, — ამბობს ენგელსი, — ეგრეთწოდებულ მეფობის მოსპობამდე, დაინგრა ძველი, პირად სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესწყობილება და შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც ტერიტორიულ დანაწილებასა და ქონებრივ სხვადასხვაობაზე იყო დაფუძნებული. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მატარებელი აქ სამხედრო სამსახურით დაბეგრილი მოქალაქეები იყვნენ, მათ პირისპირ იდგნენ არა მარტო მონები, არამედ სამხედრო ბეგრისაგან გათავისუფლებული და იარაღაყრილი ეგრეთწოდებული პროლეტარები“.[1]

რომის საზოგადოებრივ წესწყობილებაში ზემოაღწერილ ცვლილებათა შეტანის უახლოესი მიზეზი იყო სამხედრო ხასიათის მოსაზრებანი — პატრიციული ლაშქრის უკმარობა და მისი ტექნიკური სინაკლულე. გახშირებული ლაშქრობანი და შეტაკებანი მეზობლებთან მოითხოვდნენ ცხენოსანი და ქვეითი ჯარის გადიდებას და მისი საბრძოლო უნარიანობის გაუმჯობესებას, რაც განხორციელებული იყო კიდეც სწორედ სერვიუს ტულიუსის რეფორმით.

სერვიუსის კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა რომის სამოქალაქო მილიცია, რომელიც დგებოდა მოქალაქე-მესაკუთრეებისგან, პირველი კლასის უპირატესობით, ქვეითა და ცხენოსანი ჯარი რომ გამოჰყავდა. იტალიის პირობებში ცხენოსანი ჯარი გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე მთაგორიანი საბერძნეთის პირობებში.

სერვიუს ტულიუსის სამხედრო-ტექნიკური რეფორმის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გასაგები გახდება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმას, რომ რომის ისტორიაში, როგორც მეფეთა ხანაში, ისე მომდევნო, — რესპუბლიკურ, — პერიოდში ომი წარმოადგენდა გამდიდრების, ტერიტორიის დაპყრობისა და მუშახელის (მონების) შეძენის წყაროს.

სამხედრო ძლიერების განმტკიცებამ უზრუნველჰყო რომის მესვეურობა ლათინურ კავშირში, რომელიც დაშლისა და რღვევის გზაზე იყო შემდგარი. კავშირის განმტკიცების ნიშნად ავენტინუმის გორაკზე აგებულ იქნა ქალღმერთ დიანას ტაძარი (commune Latinorum Dianae templum), რომელსაც უნდა დაეჩრდილა ლათინური კავშირის ძველი რელიგიური ცენტრი — ალბას მთაზე არსებული იუპიტერ ლაციარის (ლაციუმელის) ტაძარი.

---

[1] ენგელსი, ოჯახის... წარმოშობა, თბილისი, 1938 წ, გვ. 131—132.

ლათინებთან ერთად რომის ჰეგემონია უნდა აღეარებინათ აგრეთვე საბინებისა და ეტრუსკების ქალაქებს—ცერეს, ტარკვინიას და სხვათ.

დაპყრობათა გამო რომის თემის ტერიტორია გაიზარდა და, გადმოცემის თანახმად, იგი დაყოფილ იქნა 30 ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ო ლ ქ ა დ (ტრიბად), რომელთაგან 4 ტრიბა მოდიოდა ქალაქზე (tribus urbanae), ხოლო დანარჩენი 26 — ქალაქს გარეთ მდებარე სოფლის ტერიტორიაზე (tribus - rusticae). ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტრიბებში ხდებოდა მოსახლეობის აღწერა, წესდებოდა ქონებრივი განრიგები, იკრიფებოდა გადასახადი (tributum) და წარმოებდა ლეგიონებში მოლაშქრეთა გაწვევა. აღწერის წარმოებასთან, ტრიბუტუმის აკრეფასა და მოლაშქრეთა გაწვევა-შეგროვებასთან დაკავშირებით ფართოვდებოდა სახელმწიფოებრივი ფუნქციები, უმჯობესდებოდა ადმინისტრაციული აპარატი და ძლიერდებოდა მეფის ძალა-უფლება.

„სერვიუს ტულიუსმა პირველმა დაჰყო რომის ხალხი კლასებად, კურიებად და კოლეგიებად და დაამყარა სრულყოფილი სახელმწიფოებრივი წესრიგი ქონებრივი ცენზის საფუძველზე... ფართო თემს ისეთივე მზრუნველობით განაგებდნენ, როგორითაც წარმოებს პატარა სახლის მართვა-გამგებლობა“ [1].

მეფის ადგილსამყოფელად ითვლებოდა ქალაქი რომი. რომის კარიბჭესთან, მარსის ველზე, წარმოებდა ცენტურიატული კომიციები, ქალაქში იმყოფებოდა მთავარი სალოცავები და წმინდა ადგილები, აქვე სრულდებოდა განწმენდა-განსპეტაკების წესები და დღესასწაულები. ქალაქში ცხოვრობდნენ: არისტოკრატია, ყველაზე უფრო შეძლებული რომაელი მოქალაქეები და უცხოელები. ყოველივე ეს ამაღლებდა ქალაქს დანარჩენ ტერიტორიის მიმართ, რამაც თავისი გარეგანი გამოხატულება პოვა კიდეც სერვიუს ტულიუსის მიერ „სერვიუსის“ ქვის გალავნის აგებაში, რომლის ნაშთები ჩვენ დრომდეც კია გადარჩენილი.

სერვიუს ტულიუსის ტიმოკრატიულმა კონსტიტუციამ რომის სახელმწიფოში მთავარი უფლებები განუმტკიცა შეძლებულ მოქალაქეთა პირველ კლასს, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ პატრიციები. და მაინც გვაროვნული დიდკაცობა მტრულად შეხვდა სერვიუსის რეფორმას, რომელსაც აფასებდა როგორც მეფის ძალა-უფლების გაძლიერებას და საკუთარ უპირატესობათა შეზღუდვას.

მეფესა და არისტოკრატიას შორის უთანხმოება გაძლიერდა სერვიუს ტულიუსის მომდევნო მეფის — ტ ა რ კ ვ ი ნ ი უ ს

[1] Flor., I, VI.

ა მ ა ყ ი ს (Tarquinius Superbus) დროს, რომელიც იყო რომის უკანასკნელი, მეშვიდე, მეფე. ძველი ისტორიკოსები ტარკვინიუსს გვიხატავენ, როგორც პატივმოყვარე ტირანს, რომელიც ქედმაღლურად ეექცეოდა არისტოკრატიას, არ იწვევდა სენატს, აწუხებდა და ავიწროებდა ხალხს ათასი ბეგარით და გადასახადით. ბოლოსდაბოლოს, მოთმინებიდან გამოსული მოქალაქეები აღშფოთდნენ, მოაწყეს აჯანყება და განდევნეს ათვალწუნებული მეფე. აჯანყების საბაბი იყო ის შეურაცხყოფა, რომელიც ტარკვინიუსის შვილმა ს ე ქ ს ტ მ ა მიაყენა ლ უ კ რ ე ც ი ას, გამოჩენილი რომაელის ტარკვინიუს კოლატინის ცოლს. ქალის შეგინებული სახელის კეთილშობილი შურისმაძიებელნი აღმოჩნდნენ იუნიუს ბრუტიუსი და ვალერი პოპლიკოლა, „ხალხის მეგობარი“, რომის რესპუბლიკის ფუძემდებლები.

ტარკვინიუს ამაყის გაძევებას და რომში მეფის ხელისუფლების გაუქმებას ანტიკური ისტორიოგრაფოსები მიაკუთვნებენ 509 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე, ე .ი. 110 წლით ადრე, სანამ მოხდებოდა რომის ისტორიაში მეორე დიდი ამბავი — გალების მიერ რომის გადაწვა (390 წ.).

ტარკვინიუსების განდევნის შემდეგ მეფის ხელისუფლება რომში აღარ არსებობდა. რომის თემი გადაიქცა არისტოკრატიულ (ოლიგარქიულ) რესპუბლიკად. უმაღლესი ხელმძღვანელობა გადავიდა იმ გავლენიან პატრიციულ გვარების ხელში, რომელთაც ტარკვინიუსები განდევნეს, „მეფეთა დროინდელი“ მრავალი დაწესებულება გაუქმებულ იქნა, და კვლავ აღორძინდა გვაროვნული წესები. პლებეების მდგომარეობა გაუარესდა, რამდენადაც რომი ჩამოსცილდა ეტრუსკების ფედერაციას და მან დაჰკარგა საშუამავლო ცენტრის მნიშვნელობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. რომის თემის სამხედრო ძლიერებაც აგრეთვე შესუსტდა, რის შედეგიც იყო ნადავლის შოვნისა და დაპყრობილ ოლქებში კოლონიების მოწყობის (Coloniae regiae) შეწყვეტა. შინაგანი წინააღმდეგობანი გაძლიერდა, ეს წინააღმდეგობანი ჩამოყალიბდა პატრიციებსა და პლებეებს შორის იმ ბრძოლის სახით, რომელიც ფართოდ გაიშალა რომის რესპუბლიკის პირველ საუკუნეებში.

რესპუბლიკა

თ ა ვ ი II

რომის რესპუბლიკა VI—IV საუკუნეებში

1. პატრიციების ბრძოლა პლებეებთან

ტარკვინიუსების განდევნა ქმნის ზღვარს მეფეთა ხანასა და რესპუბლიკურ პერიოდს შორის. რესპუბლიკური თანამდებობანი და დაწესებულებანი ცხოვრებაში ნელნელა შემოდიოდნენ, თანდათან ეგუებოდნენ კონკრეტულ პირობებს და იცვლებოდნენ. რესპუბლიკური კონსტიტუციის პრინციპული განსხვავება მეფისდროინდელი კონსტიტუციისგან მდგომარეობდა მმართველების (მაგისტრატების) კ ო ლ ე გ ი ა ლ ო ბ ა ს ა, მ ო კ ლ ე ვ ა დ ი ა ნ ო ბ ა ს ა და ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი თ ო ბ ა შ ი. იმის შიშით, რომ ძალა-უფლება მთლიანად ერთი ადამიანის ხელში არ ჩავარდნილიყო, მმართველობას ანდობდნენ ისეთ მაგისტრატების კოლეგიებს, რომელთაც ირჩევდნენ ცენტურიატული კომიციები, და მათ ერთი წლის ვადით ზღუდავდნენ.

მეფის ძალა-უფლების ფუნქციები ნაწილდებოდა ორ მრჩეველს — კ ო ნ ს უ ლ ს (consules) — შორის, რომლებსაც თავდაპირველად პრეტორები (praetores) და მსაჯულები (iudices) ეწოდებოდათ. ძალა-უფლების სისრულე გამოიხატებოდა ცნება imperium -ით.. კონსულები სარდლობდნენ ლაშქარს, ასრულებდნენ საღვთო წესებს (auspicia publica), იწვევდნენ სენატსა და კომიციებს, აწარმოებდნენ სასამართლო საქმეებს. კონსულის წოდების გარეგანი ნიშანი იყო: სათანამდებო სავარძელი (sella curulis), ტოგა, რომელსაც გარშემო შემოკერებული ჰქონდა ძოწეული არშია (toga praetexta) 12 ლიქტორი წკეპლებით (fasces) ხელში, ხოლო ლაშქრობის დროს ცულებით (secures). ქალაქის საზღ-

არს იქით კონსულს ჰქონდა განუსაზღვრელი უფლება, მაშინ როდესაც თვითონ ქალაქში კონსულების ძალა-უფლება შეზღუდული იყო გარკვეული ნორმებით. კონსულები თვითონ ინიშნავდნენ თანაშემწეებს — კვესტორებს (quaestores), რომელნიც აწარმოებდნენ სამართალს ზოგიერთ საქმეებში და განაგებდნენ ფინანსებს (aerarium).

განსაკუთრებულ შემთხვევებში — ომის დროს ან შინაგანი მღელვარების პირობებში — ხელისუფლება მთელი სისრულით (imperium) ენიჭებოდა საგანგებო მაგისტრატს — დ ი ქ ტ ა ტ ო რ ს (dictator), რომლის რწმუნება-უფლებანიც სასტიკად იყო განსაზღვრული ექვსთვიანი ვადით. დიქტატორის თანაშემწედ იყო ცხ ე ნ ო ს ა ნ ი ჯ ა რ ი ს ს ა რ დ ა ლ ი (magister equitum).

რომის რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდნენ ც ე ნ ტ უ რ ი ა ტ უ ლ ი კ ო მ ი ც ი ე ბ ი (იხ. სერვიუს ტულიუსის რეფორმა). ცენტურიატულ კომიციებში რესპუბლიკის პირველ ხანებში უპირატესობა ჰქონდათ პატრიციებსა და მდიდარ პლებეებს, რომელნიც პატრიციებთან შეზრდილი იყვნენ ერთი პრივილეგიური ფენის სახით. ამ არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები ხდებოდნენ სენატის წევრებად და იჭერდნენ უმაღლეს თანამდებობებს რესპუბლიკაში. კონსულებს ირჩევდნენ ცენტურიატულ კომიციებში, მაგრამ მხოლოდ იმ კანდიდატებს შორის, რომელთაც სენატი წამოაყენებდა. სენატის სანქციის (senatus auctoritas) გარეშე მაგისტრატი ვერ მიიღებდა ვერც ერთს რამოდენიმედ მაინც სერიოზულ გადაწყვეტილებას.

რელიგიური ფუნქციები, რომლებსაც ოდესღაც მეფეები ასრულებდნენ, მეფის ხელისუფლების გაუქმებისთანავე გადავიდ ქ უ რ უ მ თ ა კ ო ლ ე გ ი ე ბ ი ს ხელში. ჯერ კიდევ მეფეების დროს წარმოშობილ ქურუმთა კოლეგიებს შორის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამ კოლეგიას: 1) პონტიფექსებს (pontifices), 2) ავგურებს (augures) და 3) ფეციალებს (fetiales). პონტიფექსები მეთვალყურეობას უწევდნენ კულტს, სამართლის (ius divinum) მცველები იყვნენ, ადგენდნენ უქმ და სამუშაო დღეების კალენდარს, აწარმოებდნენ მომხდარ ამბების ქრონიკას (მატიანეებს), განაგებდნენ სახელმწიფო შენობებს. ავგურების სპეციალურ ფუნქციას შეადგენდა იმ ნიშნების განმარტება, რომელთაც ღმერთები გზავნიდნენ, და ღმერთების ნება-სურვილის შეტყობა. ფეციალების გამგებლობაში იყო საერთაშორისო საქმეები: ხელშეკრულებათა დადება, ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა. ყველა დანარჩენ მაგისტრატებისგან განსხვავებულად, რომელნიც

შეზღუდული იყვნენ ერთი წლის ვადით, ქურუმთა კოლეგიების ახალ წევრებს კი არ ირჩევდნენ, არამედ თვითონ ქურუმების ძიერ შეივსებოდა ხოლმე კოლეგიები (კოოპტაციის წესით). რესპუბლიკის პირველ საუკუნეებში რომის სახელმწიფო ყოველმხრივ არისტოკრატიული იყო. მართვა-გამგებლობა გავლენიანი პატრიციული გვარების ხელში იყო, რომელთა სოციალური წონაც 509 წ. გადატრიალების შედეგად თვალსაჩინოდ გაიზარდა. ხოლო ხალხის, ქალაქისა და სოფლის პლებსის მასა, ფაქტიურად მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს.

„...რომში გვაროვნული საზოგადოება კარჩაკეტილ არისტოკრატიას წარმოადგენს, მრავალრიცხოვანი, უუფლებო, მაგრამ ვალდებულებებით დატვირთული პლებსით გარშემორტყმულს“ [1].

რომის საზოგადოების არისტოკრატიზაცია რესპუბლიკის პირველ საუკუნეებში აიხსნება პატრიციების ნივთიერი მდგომარეობის, გაუმჯობესებით და პლებსის გაღატაკებით. პლებეების გაღატაკება, რაც მეფეთა პერიოდშივე დაიწყო, გრძელდებოდა აგრეთვე რესპუბლიკის პირველ საუკუნეშიაც. გამუდმებული ომების წყალობით პლებეები სუსტდებოდნენ, მათ არ გააჩნდათ მიწის ნაკვეთი საკმაო ფართობით და არც მუშახელი, და ამიტომ ისინი თანდათან ცვივდებიან პატრიციების სავალო კაბალში (nexum). სავალო სამართალი კი V საუკ.-ში, როგორც გვიჩვენებს XII ტაბულის კანონებში, არაჩვეულებრივ სასტიკი იყო და სავსებით იცავდა კრედიტორის ინტერესებს. იურიდიული თვალსაზრისით, პირადი კაბალა (mancipium) მონობისგან განსხვავდებოდა, თუმცა პრაქტიკულად კაბალში ჩავარდნილ პიროვნებას შეეძლო მონაზე უფრო უარეს პირობებში ყოფილიყო. კაბალას ეკავა საშუალო ადგილი მონობასა და თავისუფლებას შორის.

განსასხვავებლად სრულიად უუფლებო მონისგან, რომელსაც უყურებდნენ როგორც ნივთს (res), კაბალაში მყოფი ადამიანი ინარჩუნებდა თავისუფლებას და სამოქალაქო უფლებებს. ქონებრივად კი ის მონასავით სავსებით დამოკიდებული იყო თავის ბატონისგან (dominus), რომელსაც შეეძლო როგორც მისი ქონებისა, ისე თვით მისიც სხვის ხელში გადაცემა (mancipatio) და აეძულებინა იგი შეესრულებია ყოველნაირი სამუშაო. კაბალში მყოფი ადამიანის კაბალისგან განთავისუფლება ისეთივე ხერხითა და საშუალებით ხდებოდა, როგორითაც მონის განტევება წარმო-

---

[1] ენგელსი, ოჯახის... წარმოშობა, თბილისი, 1938 წ., გვ. 172.

ებდა: სხვადასხვა სახის ფორმალობით მოწყობილი „განტევებისა“ ანუ მანუმისიის (manumissiones) საშუალებით.

მაინც მიუხედავად იმისა, რომ პლებსის თვალსაჩინო ნაწილი გაღატაკდა და გაბოგანოვდა, პლებსი საერთოდ და მთლიანად V საუკ.-ში წარმოადგენდა დიდ სოციალურ ძალას, რომლისთვისაც პატრიციებს არ შეეძლოთ სერიოზული ანგარიში არ გაეწიათ.

„...თავისი მრავალრიცხოვნობით, თავისი სამხედრო გაწვრთნით და შეიარაღებით პლებსი სახიფათო ძალას წარმოადგენდა ძველი პოპულუსის წინააღმდეგ, რომელსაც გარედან ახალი ელემენტები არ ემატებოდა. ამას ზედ ერთოდა ის, რომ, როგორც ეტყობა, მიწა თანაბრად იყო განაწილებული პოპულუსსა და პლებსს შორის. სავაჭრო და სამრეწველო სიმდიდრე კი უმთავრესად პლებსის ხელში დაგროვდა, თუმცა ეს სიმდიდრე ნაკლებ იყო განვითარებული“ [1].

რომის რესპუბლიკის პირველი სამი საუკუნის შინაგანი ისტორია ესაა ისტორია პლებეებსა და პატრიციებს შორის კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც საბოლოოდ პლებსის გამარჯვებით დამთავრდა.

პატრიციული ოლიგარქიის წინააღმდეგ გამოსული პლებეები მოითხოვდნენ: 1) სავალო კაბალის მოსპობა-გაუქმებას, 2) მიწის ნაკვეთების გადიდებას და 3) პლებეების მიმართ პოლიტიკურ უფლებათა აღიარებას. პლებეების ბრძოლა პატრიციებთან წარმოებდა ორი საუკუნის განმავლობაში და დიდი დაჭიმულობითაც მიმდინარეობდა იგი. პლებსის გამარჯვება ისტორიულად აუცილებელი იყო როგორც ეკონომიურად პროგრესული კლასის გამარჯვება. გვაროვნული წყობილების დაშლა პლებეებს შორის დაიწყო ადრე და გაცილებით უფრო შორს წავიდა, ვიდრე პატრიციებს შორის, მათში უფრო ძლიერად განვითარდა კერძო საკუთრება მიწაზე და უფრო ადრე გაჩნდა ეკონომიური უთანასწორობა. პლებსის მასას გამოეყო შეძლებული ზედაფენა, პლებეური პლუტოკრატია, რომელიც მიისწრაფოდა სახელმწიფო თანამდებობებისკენ და გზას იკვლევდა სენატისკენ.

პლებსის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პლებეების ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ა ლ ა მ. რომის რესპუბლიკას, რომელიც ომის მდგომარეობიდან ვერ გამოდიოდა, არ შეეძლო მხოლოდ პატრიციატისა და მისი კლიენტელის ძალ-ღონეს დასჯერებოდა. პატრიციები ცოტანი იყვნენ და, გარდა ამისა, ომებისა და გადატრიალე-

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის... წარმოშობა, თბილისი, 1938 წ., გვ. 130.

ბის დროს პატრიციული გვარები თხელდებოდნენ, მცირდებოდნენ რიცხვობრივად, ლაშქრობა კი ხშირდებოდა და რთულდებოდა. ამის შედეგი იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი სერვიუს ტულიუსის სამხედრო რეფორმა, რომელიც რესპუბლიკის არსებობის პირველ საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ იქნა დამტკიცებული და სახეშეცვლილი. რაც უფრო მეტი დემოკრატიზაცია ხდებოდა რომის ლეგიონებისა, მით უფრო მეტი ენერგიულობით გაისმოდა პლებეების ხმა, რომელნიც იმუქრებოდნენ სამხედრო სამსახურზე უარის თქმით.

სამხედრო გაფიცვისა და ქალაქიდან გასვლის (secessio) მუქარით შეფიქრიანებული პატრიციული ოლიგარქია ბოლოსდაბოლოს იძულებული შეიქნა პლებეების მოთხოვნების მიმართ დათმობის გზაზე დამდგარიყო: გაეფართოვებინა პლებსის პოლიტიკური უფლებები და გამოენახა ღონისძიებანი მისი ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად — გაედიდებინა მიწის ნაკვეთები და შეემცირებინა ვალები. იმდროინდელ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში და საწარმოო ძალთა დაბალი დონის პირობებში კრიტიკული მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა მეზობელთა ტერიტორიის დაპყრობა. ეს ის გზა იყო, რომელსაც დაადგნენ ჯერ ისევ რომაელი მეფეები, განსაკუთრებით ტარკვინიუსი.

მეზობელ ტერიტორიებზე თავდასხმა კი აუცილებლად იწვევდა შეტაკებას მეზობელ ტომებთან, რომელნიც თავის მხრივაც პრეტენზიას აცხადებდნენ ლაციუმის ნაყოფიერ ველზე და ზღვისპირა ბიცნიადაგიან სანაპიროზე. რომაელი ანალისტები სავსებით სწორად ასახავენ მეფეთა პერიოდის დასასრულსა და რესპუბლიკის პირველ საუკუნეებს, როგორც იტალიკური ტომების გაბმულსა და განუწყვეტელ შესლა-შემოხლას რომთან — და ერთმანეთ შორის. წვრილ-წვრილ შეტაკებებიდან, რაც ძალიან ემსგავსებოდა ყაჩაღურ თარეშს, ნელნელა ვითარდებოდა ნამდვილი ომები. ასეთი იყო, როგორც ამას დავინახავთ შემდგომი მონათხრობიდან, მაგალითად, IV—III საუკ.-თა სამნიტური და ლათინური ომები [1].

პლებეების ბელადების როლში გამოდიოდნენ გავლენიანი პატრიციები და მდიდარი პლებეები, რომელნიც მიისწრაფოდნენ მეფის ხელისუფლების აღდგენისაკენ. მეფეთა განდევნის შემდეგ არაერთხელ ყოფილა ცდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა და, VII—VI საუკ.-თა ბერძნული ტირანიების მსგავსად, ერთპიროვნული მმართველობის დაწესებისა. ასე, მაგალითად, 486 წლის ქვეშ

---

[1] Liv., II–IV; Flor., 1, 5, 11; E. Pais, Storia critica di Roma durante i primi cinque secuii, 1920, I, 677.

იხსენიება კონსული ს პ ურ ი უ ს კ ა ს ი უ ს ი (Spurius Cassius), რომელმაც წინადადება შეიტანა მცირემიწაწყლიანი პლებეებისთვის საზოგადო ფონდიდან მიწების მიცემის შესახებ; ხოლო 439 წლის ქვეშ — მოხსენებულია მდიდარი პლებეი ს პ ურ ი უ ს მ ე ლ ი უ ს ი (Spurius Maelius), რომელიც ხალხს იზიდავდა პურის დარიგებით და „მეფის ძალა-უფლების" ხელში ჩაგდებას ლამობდა.

მაგრამ ყველა ცდა რომში ტირანიის დამყარებისა უშედეგო იყო. ერთგვარი მსგავსება ტირანიასთან რომში ჰქონდა პლებეურ ანუ ს ა ხ ა ლ ხ ო ტ რ ი ბ უ ნ ა ტ ს (tribuni plebis), რომლის ისტორიული ფესვებიც მთლიანად ნათელი და გარკვეული არ არის. უფრო საფიქრებელი ისაა, რომ სახალხო ტრიბუნები იყვნენ იმ ტრიბათა წარმომადგენლები, სადაც წარმოებდა სერვიუსის კონსტიტუციით დაწესებული გადასახადების აკრეფა და ლაშქრის გაწვევა. ისიც კია შესაძლებელი, რომ თვითონ ტრიბუნებივე სარდლობდნენ ამ ლაშქარს ან უკიდურეს შემთხვევაში ლაშქრის ნაწილს მაინც[1].

ლივიუსი ტრიბუნატის გაჩენას მიაკუთვნებს 494 წელს, დიოდორე — 471 წელს. უკანასკნელ თარიღს იზიარებს თანამედროვე ისტორიკოსების უმრავლესობა: ედუარდ მაიერი, პაისი, ბერტოლინი და სხვები.

ლივიუსი სახალხო ტრიბუნების გაჩენას აკავშირებს პლებეების პირველ ს ე ც ე ს ი ა ს თ ა ნ (გადასახლებასთან) (secessio plebis in Montem Sacrum). ექვებთან ომის დროსო, — მოგვითხრობს ლივიუსი, — თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო პლებეებმა უარი განაცხადეს ლაშქარში წასვლაზე და შეიარაღებულნი წავიდნენ რომიდან საღვთო მთაზე, მდინარე ანიოს გადაღმა, სამი მილით რომაა ქალაქზე დაშორებული. მტრებისგან შევიწროებულმა პატრიციებმა იცნეს სახალხო ტრიბუნების უფლებანი და შეუვალობა — ხელშეუხებლობაო.

ტრიბუნებს ირჩევდნენ პლებეების განსაკუთრებულ კრებებზე ტრიბებისდა მიხედვით (concilia plebis tributa). ტრიბუტული კომიციები (comitia tributa) V ს. შუა ხანებიდან დიდ როლს თამაშობენ რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ტრიბუნატის განმასხვავებელი ნიშანი იყო მისი ღვთიური, მაგიური ხასიათი. სახალხო ტრიბუნები იმყოფებოდნენ ქვესკნელ ტექტონიურ ღვთაებათა განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ. არა მარტო სახალხო ტრიბუნის პიროვნება, არამედ მისი ტანისამოსიც და

---

[1] V a r r o, De Lingua Latina, V, 181.

ბინაც კი ხელშეუხებლად და საღვთოდ ითვლებოდა. ადამიანი, რომელიც ხელს აღმართავდა ტრიბუნზე, წყეულ-კრულვილად (sacer esto) ცხადდებოდა. პატრიციები, რომელნიც დიდხანს ვერ ურიგდებოდნენ ტრიბუნატს, ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდნენ ტრიბუნატი აღიარებინათ როგორც რომის კონსტიტუციის ერთ-ერთი საფუძველი.

თავდაპირველად ტრიბუნებს, რომელთა რიცხვიც სხვადასხვა დროს ერთნაირი არ იყო (ერთი ვერსიით 2, 5, 10, ხოლო მეორე ვერსიით — 4, 8, 10)[1], ეკუთვნოდათ იმ ცალკეული პლებეების მოსარჩლეობისა და შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, რომელნიც დამცირებულ-შეურაცხყოფილი იყვნენ პატრიციული მაგისტრატების მიერ, აგრეთვე დახმარების უფლება (ius auxilii). შემდეგში კი აქედან განვითარდა ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და მაგისტრატების ცალკე განკარგულებათა შეჩერების უფლება (veto, ius intercedendi), უფლება ტრიბუნის განკარგულებათა დამრღვევთა დაპატიმრებისა (ius prehensionis) და, ბოლოს, უფლება პლებეების კრებებთან თათბირისა (ius agendi cum plebe).

ტრიბუნატის ირგვლივ დატრიალდა ნამდვილი ომი, რომლის გამოხმაურებაც საკმაოდ შეიგრძნობა პატრიცი გ ნ ე ი მ ა რ ც ი უ ს კ ო რ ი ო ლ ა ნ უ ს ი ს (Cn. Marcius Coriolanus) შესახებ ლეგენდაშივე; მან უცხო ჯარის დახმარებით ალყა შემოარტყა რომს იმ იმედით, რომ დამშევის წყალობით პლებეებს აიძულებდა უარი ეთქვათ პატრიციებისთვის საძულველ სახალხო ტრიბუნატზე. სხვა. დათმობათა შორის, პლებეების მიმართ რომ ჰქონდა ადგილი V საუკუნეში, უნდა აღნიშნულ იქნას ტ ა რ პ ე ი-ა ტ ე რ ნ ი ს კ ა ნ ო ნ ი (lex Tarpeia Aternia), რომელიც კონსულების უფლებას ზღუდავდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენისათვის ჯარიმის შეწერის დროს. ამ კანონით კონსულებს შეეძლოთ ჯარიმა დაედოთ არა უმეტეს 2 ხარისა და 30 ცხვრისა. იმავე წლებს მიეკუთვნება ტრიბუნ ი ც ი ლ ი უ ს ი ს კანონი (lex Icilia de Aventino publicando) პლებეებისთვის ავენტინუმზე მიწების მიცემის შესახებ. ტრიბუნატის სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა და სახალხო ტრიბუნების როლი რომის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ყოველ საუკუნეში უფროდაუფრო იზრდებოდა.

ტრიბუნის ხელისუფლების ერთერთ მთავარ უპირატესობას შეადგენდა კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება სენატის წინასწარი დასტურის გარეშე. სხვა მაგისტრატურებთან შედარებით სახალხო ტრიბუნატი ნაკლებად იყო სენატზე დამოკიდებული; ყვე-

[1] Ed. Meyer, Kleine Schriften.

ლა საკითხს ტრიბუნები სწყვეტდნენ ტრიბუტულ კომიციებში; მათ შეეძლოთ თავიანთი veto დაედოთ ყოველ კანონზე და სახალხო სასამართლოსთვის გადაეცათ ყოველი თანამდებობის პირი. ტრიბუნებს ირჩევდნენ ერთი წლის ვადით, და თავიანთ რწმუნების ვადის განვლის შემდეგ ისინი, სხვა მაგისტრატებივით, ხდებოდნენ სენატის წევრებად, ხოლო თანამდებობაზე ყოფნის დროს შეეძლოთ დასწრებოდნენ სენატის სხდომას.

2. XII ტაბულის კანონები

სახალხო ტრიბუნატის დაწესების შემდეგ, რომის პლებსის პოლიტიკური ჩამოყალიბების გზაზე შემდგომ ეტაპს წარმოადგენს XII ტ ა ბ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი (g duode .m tabularum)— რომის სამოქალაქო სამართლის პირველი ჩანაწერი. უკვე კარგა ხანია გრძნობდნენ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის საჭიროებას, რაც შეზღუდავდა პატრიციული მაგისტრატების თვითნებობას და სახალხო ტრიბუნებსაც არაერთხელ ჰქონდათ შეტანილი წინადადება იმ კანონთა კოდიფიკაციისა, რომელნიც ზუსტად განსაზღვრავდნენ მაგისტრატების უფლებას, მეტადრე კონსულებისას, ყველაზე უფრო მეტად ბოროტად რომ იყენებდნენ თავიანთ ძალა-უფლებას. 462 წ. სახალხო ტრიბუნი ტ ე რ ე ნ ტ ი ლ ი უ ს ა რ ს ა (Terentilius Arsa) პლებეების კრებაზე, (concilium pleb) გამოვიდა წინადადებით შეექმნათ 5 კაცისგან შემდგარი კომისია და დაევალებინათ მისთვის წერილობით უფრო ზუსტად გაერკვია კონსულების უფლებანი. დაბოლოს, 451 წ. სენატი დათანხმდა აერჩია სპეციალური კომისია 10 კაცისგან, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა განუსაზღვრელი რწმუნებით, არსებული ჩვეულებების ჩასაწერად და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციისათვის (decemvirī consulari imperio legib is scribundis). კომისიაში შევიდნენ გამოჩენილი პატრიციები — აპიუს კლავდიუსი, პოსტუმ ალბა, სულპიციუს კამერინი, მანლიუსი და სხვ.

თავისი კანონმდებლობითი მოღვაწეობის დრის დეცემვირები სარგებლობდნენ სამხრეთი იტალიის ბერძნული კანონმდებლობითი კრებულების ნიმუშებით, აგრეთვე სოლონის ათენური კანონებით, რომელთაც ისინი წინასწარ გაეცნენ ადგილობრივ და იტალიელ ბერძნების საშუალებითაც. ისიც კი შესაძლებელია, რომ მთავარი სარედაქციო სამუშაოც შესრულებული იყო ბერძენი ჰერმოდორეს მიერ, რომელიც რომაელებს თან ახლდა მათი საბერძნეთში ყოფნის დროს.

XII ტაბულის კანონმდებლობა ასახავს კერძო საკუთრების ჩამოყალიბებისა და კლასობრივ სახელმწიფოს წარმოქმნის მომენტს, რომლის (სახელმწიფოს) სოციალურ საფუძველს წარმოადგენდა პატრიარქალური ოჯახი და ოჯახის საკუთრება. ოჯახის სათავეში იდგა „ოჯახის მამა“ (pater familias), რომლის პირად ხელშეუხებლობასაც კანონი იცავდა. „თუ შვილი მამას გაარტყამს და იგი ატირდება, დაე შვილი იქნას დაწყევლილი“. („Si parentem puer verberit, ast olle prorassat puer Divis parentum sacer esto“). ოჯახის ნივთიერ საფუძველს წარმოადგენდა მიწის საკუთრება, რომელიც არ უნდა გასცილებოდა გვარის საზღვრებს Morte patris continuatus, dominium,“ — გვაუწყებს ერთერთი მუხლი ამ XII ტაბულიდან [1]. სახელმწიფოებრიობის პრინციპი გამოიხატებოდა იმაში, რომ გვაროვნულ ჩვეულებას (mores maiorum), სცვლიდა კანონი (lex), რომელიც თანასწორად ვრცელდებოდა პატრიციებზედაც და პლებეებზედაც, აგრეთვე იმაში, რომ სისხლის აღების (parricidium) ნაცვლად წესდებოდა ფულადი ჯარიმა; შემდეგ კანონი ერეოდა მამა-შვილის ურთიერთობაში, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში, აწესრიგებდა აგრეთვე პატრონისა და მისი კლიენტის ურთიერთობას და, ბოლოს, ცნობდა უფლებას მიმართვისას ხალხისადმი (provocatio ad populum), ე. ი. ცენტურიატულ კომიციებისადმი, როგორც სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოსადმი მიმართვის უფლებას.

XII ტაბულის კანონმდებლობა სტოვებს პატრიციებად და პლებეებად დაყოფას, არ აღიარებს შეუღლებას პატრიციებსა და პლებეებს შორის. მაგრამ კანონმდებლობის მთელი შინაგანი აზრი სპობს წოდებრივ დანაწილებას, აწესებს რა მის ნაცვლად ქონებრივ დანაწილებას. ახლა უკვე უპირისპირდებიან ერთმანეთს იმდენად არა პატრიცი და პლებეი, გვაროვანი და არაგვაროვანი, რამდენადაც შეძლებული (assiduus) და არაშეძლებული (proletarius). ქონებრივი ზიანის მიყენებისათვის დაწესებულია სასტიკი სასჯელი: ჯარიმები, ფიზიკური დასჯა, საზოგადოებრივი გაკიცხვა და სიკვდილით დასჯა.

ყველაზე მეტი მუხლი შეეხება მიწის საკუთრების დარღვევას: ნაყოფის მოპარვას, საძოვრის წახდენას, ტყის გაჩეხვასა და მისთანას. თუ ვინმე ღამით საქონელს გაუშვებდა სხვის მინდორში ან სხვის მოსავალს მომკიდა, მაშინ ის ზარალს ორმაგი რაოდენობით

---

[1] Dig., 38, 16, 14; Gaius op. cit., 3, 7.

უნაზღაურებდა, მას ან დაასახიჩრებდნენ ან კიდევ სიკვდილითაც კი სჯიდნენ. სხვის ხის მოჭრისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 25 ასსის რაოდენობით: საგულისხმოა, რომ კანონი ამართლებდა ქურდის მოკვლას, თუ კი მას დანაშაულის ადგილზე წაასწრებდნენ: „თუ ვინმე ღამით მოიპარავს სხვის საკუთრებას და თუ ამისთვის ის მოკლულ იქნება, დაე ეს მკვლელობა კანონიერად ჩაითვალოს“ (si nox furtum facit, sivim occisit, iure caesus esto)[1]. კანონთა დარღვევისთვის ბრალდებულ დამნაშავეებზე დადებული ჯარიმა წესდებოდა ს პ ი ლ ე ნ ძ ი ს ფ უ ლ ი თ, ასსებით. V ს.-მი ასსი, მომზენის გამოანგარიშებით, უდრიდა ერთ გირვანქა სპილენძს (libra), რომელიც იყოფოდა 12 უნციად. პროცენტულ ნორმად ცნობილი და მიღებული იყო წლიური 10%. საველო სამართალს, რომელიც დაწესებული იყო XII ტაბულის კანონებით, ადგილობრივი განცვიფრებაში მოჰყავს თავისი სისასტიკით, რაც დრაკონის კანონებს სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდა. მოვალეს უსპობდნენ თავისუფლებას, ბორკილს ადებდნენ, ჰყიდდნენ მონად ან კიდევ ასოასო სჭრიდნენ: „მესამე ნუნდინაზე დაე დასჭრან იგი ასო-ასო (in partes secanto); თუ ვინმე მას მეტსა ან ნაკლებს მოაჭრის, დაე ეს ნუ ჩაეთვლება ბრალად“. სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკუთრების ერთი ხელიდან მეორეში გადაცემის გაადვილება. გვაროვნული წყობილების დროს საკუთრების გადაცემა ძალიან იყო გაძნელებული. მაგალითად, ანდერძის თანახმად საკუთრების გადაცემისას საჭირო იყო სახალხო კრების სანქცია (comitia collata) და მრავალი მოწმე. მონის ყიდვის მოსურნე გამყიდველთან ცხადდებოდა 5 მოწმე-თავდებითურთ. მსყიდველი სპილენძის ნატეხს არტყამდა სასწორს და ამბობდა: „მე ვამტკიცებ, რომ ეს კაცი მე მეკუთვნის და იგი ჩემ მიერ ნასყიდია ამ სპილენძზე სასწორის საშუალებით“-ო (is qui mihi emptus est hoc aeneaque libra). მიწა სრულიად სხვისდებოდა, იგი ითვლებოდა ისეთ ნივთად, რომელიც არ იყიდებოდა (res nec mancipi). XII ტაბულის კანონის თანახმად, ქონებრივ უფლებათა სუბიექტად ითვლებოდა ოჯახი, მაგრამ ცალკე შემთხვევებში კანონი ერთგვარად უთმობდა აგრეთვე ინდივიდსაც, რომელიც ახლა იწყებს გვაროვნული და ოჯახური წრის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოსვლას. აქ მიეკუთვნება: მოძრავ ქონებაზე ანდერძის ცნობა, ქორწინების ახალი ფორმები (usus trinoctis) და მოზრდილი ვაჟიშვილებისა და ცოლის ერთგვარი ემანსიპაცია.

[1] Tab., VIII, 12.

ატარებს რა განსხვავებას პატრიციებსა და პლებეებს შორის, XII ტაბულის კანონი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ უფლებრივ სხვაობასაც, რომელიც არსებობდა თავისუფალსა და მონას შორის. მონათა შესახებ მუხლებში ეს სხვაობა გამოიხატება ჯარიმის რაოდენობაში, რაც დაწესებულია იმ შემთხვევისთვის, თუ ერთს ან მეორეს ზიანი მიეყენება: მონა შედარებით თავისუფალ პიროვნებასთან ნახევარფასად არის შეფასებული. თავისუფალი ადამიანის დასახიჩრებისათვის ჯარიმა იყო 300 ასსის რაოდენობით, ხოლო მონის დასახიჩრებისთვის — 150 [1].

ერთი წლის განვლის შემდეგ, როცა სამუშაოს მეტი ნაწილი უკვე მომთავრებული იყო, კომისიის ზოგიერთმა წევრმა აპიუს კლავდიუსის მეთაურობით დაჟინებით მოითხოვა საკოდიფიკაციო სამუშაოს გაგრძელება და ისიც, რომ ათის კომისიას შერჩენოდა დიქტატორული რწმუნებანი. აპიუს კლავდიუსი ცდილობდა შეენელებინა კომისიის წინა წლის მუშაობის შედეგები და ამიტომ მოქმედებდა პატრიციების ინტერესთა შესაბამისად. მოქმედება აპიუს კლავდიუსისა და მისი კოლეგების, რომელნიც გამოდიოდნენ 12 ლიქტორის თანხლებით, ახდენდნენ ქონების კონფისკაციას და სასიკვდილო განაჩენები გამოჰქონდათ, ძალიან აღიზიანებდა პლებეებს. აპიუს კლავდიუსის ტირანიის საფრთხე იმდენად ძლიერი იყო, რომ ამან გამოიწვია დიდი მღელვარება პლებეებს შორის, რაც დამთავრდა ავენტინუმზე მათი გახიზვნით (449 წ., მეორე სეცესია). ტიტე ლივიუსი ამ სეცესიას უკავშირებს წარჩინებული პლებეის ლუციუს სიკციუსის (L. Siccius) მოკვლას და აპიუს კლავდიუსის მიერ მეორე წარჩინებული პლებეის ვერგინიუსის ქალიშვილის შეურაცხყოფას. სეცესიას შედეგად მოჰყვა დეცემვირთა კომისიის დაშლა და ძველი მდგომარეობის აღდგენა.

საკოდიფიკაციო კომისიის მოღვაწეობის შედეგები ჩამოწერილი იყო XII ტაბულაზე (დაფაზე), დამტკიცებულ იქნა ცენტურიატულ და კურიატულ კომიციებში და მერე გამოჰფინეს ფორუმზე, სადაც ეს დაფები აღმართული იყო III საუკუნეშიაც. ჩვენამდე ამ ტაბულებს არ მოუღწევიათ; მათ შინაარსს ჩვენ ვეცნობით მარტო გვიანდელი მწერლების ციტატებით, უმთავრესად რომაელი იურისტის გაიოსის (ჩვ. წ. II საუკ.) თხზულებებიდან. თავისდათავად XII ტაბულის კანონები არ ქმნიდნენ რაიმე ახალ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობას: ტაბულებში ჩაწერილი იყო მარტო იმხანად

---

[1] Tab., VIII, 2.

გაბატონებული ადათები. XII ტაბულის კანონმდებლობა განამტკიცებს კერძო საოჯახო და ინდივიდუალურ საკუთრებას და აწესებს იმ სასამართლო პროცესის ფორმას (legis actiones), სადაც კანონთა ჩაწერამდე ყველაზე უფრო მეტი ბოროტმოქმედება ხდებოდა მაგისტრატების მხრივ.

ტექნიკურად XII ტაბულის კანონები მეტად ნაკლულოვანი იყო. ეს არ იყო კანონთა კოდექსი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ იყო ანალოგიური უფრო გვიანდელი დროის იმ კანონთა რომაული კრებულებისა, რომელნიც განლაგებული იყო გარკვეული სისტემით და პარაგრაფებად დანაწილებული. L s II tabularum წარმოადგენს იმ ადათების ჩანაწერს, რომელიც გამოთქმულია აფორიზმებისა, ანდაზებისა, ზნეობრივ სენტენციებისა, თქმათა და მათ მსგავს არასრულყოფილ ფორმულირებათა სახით [1].

XII ტაბულის კანონებში კანონმდებლობითი ფორმულირებათა არასრულყოფილობა ემთხვევა აბსოლუტური სიზუსტის მოთხოვნილებას სასამართლო პროცესის სულ პატარა წვრილმანების დაცვა-შესრულების მხრივ. Legis actiones თანახმად თვითეულს ბრალი უნდა დაედო ან დაეცვა სასტიკად დადგენილი ფორმის მიხედვით, წარმოეთქვა ერთიდაიგივე სიტყვები და აღესრულებინა ერთიდაიგივე წესები, მოქმედებანი და ლოცვები, რაც დაწესებული იყო კანონით და ჩვეულებით. ფორმისაგან სულ უმნიშვნელო გადახვევაც კი იწვევდა სასამართლო პროცესის მოსპობას და სარჩელის დაკარგვას. ადამიანისთვის, ვინც არ იყო იურიდიულ საკითხებში ნაცადი და კარგად ჩახედული, სასამართლო პროცესის წარმოება სავსებით შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. ამის გამო გაჭირვებულ ადამიანს ძალაუნებურად უნდა მიემართნა სასამართლოს ჩვეულებათა და კანონების მცოდნე პირებისთვის, ასეთები კი იყვნენ მაშინ ქურუმები (პონტიფექსები), რომელნიც კანონის „საღვთო სიტყვებს“ (verba sacra) მეტწილად განმარტავდნენ პატრიციების ინტერესების შესაბამისად. აქედან განვითარდა ჩვეულება კანონთა განმარტებისა პროფესიონალ იურისტების მიერ (interpretatio prudentium), რამაც შემდეგში გამოიწვია რომის სამოქალაქო სამართლის ცნობილი კომენტარიების შექმნა.

445 წ., სახალხო ტრიბუნის კანულეუსის (lex Canuleia de connubio) წინადადებით, პატრიციებსა და პლებეებს შორის შეუღლებას მიენიჭა იურიდიული ძალა. ამით თავდება პატრიციებთან პლებეების ბრძოლის პირველი ეტაპი.

---

[1] E. Täubler, Untersuchungen zur Geschichte des Decemvirats, 1921; E. Pais, Ricerche sulla storia e sul diritto publico di Roma, 1915.

3. ИТАЛИИС ГАЕРТИАНЕБА РОМИС ХЕГЕМОНИИС ДЗЕШ

მეფეების განდევნის შემდეგ რომისადმი დამორჩილებული ლათინური ქალაქები მას ჩამოსცილდნენ და შეუკავშირდნენ ეტრუსკელ მეფეს — ქალაქ კლუზიუმის ლუკუმონს — პ ო რ ს ე ნ ა ს (Porsena). ლ ა თ ი ნ ე ბ ი ს მიერ მხარგამაგრებულმა პორსენამ ხელთ იგდო რომი, აიკლო და დაარბია იგი, დაანგრია სერვიუსის კედელი და მრავალი მცხოვრები მონებად წაიყვანა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც რომის ფედერაცია სრული რღვევის გზაზე იდგა და მხოლოდ ლათინების მარცხმა რ ე გ ი ლ უ ს ი ს ტ ბ ა ს თ ა ნ (496 წ.), რომელიც მათ განიცადეს დიქტატორ ავლ პოსტუმიუსისგან, ვამოასწორა მდგომარეობა.

რეგილუსის ბრძოლის 3 წლის შემდეგ, 493 წ., რომაელებსა და ლათინებს შორის დადებულ იქნა კავშირი, რომელიც ცნობილია ს პ უ რ ი უ ს კ ა ს ი უ ს ი ს კავშირის სახელით. კავშირში შევიდა ლაციუმის თითქმის ყველა ქალაქი — ტუსკულუმი, არიცია, ლანუვიუმი, კორა, ტიბური და სხვ. ხელშეკრულების თანახმად, კავშირის ყველა წევრს თანასწორი უფლებები უნდა ჰქონოდა (foedus aequum), ერთნაირი უფლებები ჰქონდათ სამხედრო ნადავლსა და მონებზე და ფიციც ჰქონდათ დადებული არასდროს არ დაერღვიათ ხელშეკრულება. სპურიუსის ხელშეკრულების ტექსტი, დიონისე ჰალიკარნასელის გადმოცემით, შემდეგს მეტყველებდა: „რომაელებსა და ლათინურ ' ყველა გაერთიანებულ ქალაქს შორის დაე იყოს საუკუნო ზავი, ვიდრე არ დაირღვევა ცა და ქვეყანა. და დაე ისინი ნუ იომებენ ერთმანეთს შორის და ნურც გამოიწვევენ გარედან ომს და ნურც გზას მისცემენ ამათუიმ ქვეყნის მტერს. ხოლო თუ რომელიმეს თავს დაესხმიან, დაე მაშინ ერთნი მეორეს ყოველნაირი ძალ-ღონით მიეხმარნენ და ამის სანაცვლოდ დაე ჰქონდეთ მათ უფლება მთელი მოძრავი ნადავლის თანასწორ ხვედრზე. კერძო დავა დაე გადასწყდეს 10 დღის განმავლობაში იმ თემში, სადაც ეს დავა ატყდება. ამ ხელშეკრულებას არ შეიძლება არც რამე მიემატოს და არც რამე დააკლდეს, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ რომაელებისა და ყველა გაერთიანებული ლათინური ქალაქის საერთო თანხმობით“ [1].

ხელშეკრულება ამოჭრილი იყო ბრინჯაოს დაფაზე და საყოველთაო ცნობისათვის გამოჰფინეს კომიციათა მოედანზე, სადაც

---

[1] D i o n. H a l i c., op. cit., VI, 95.

იგი ინახებოდა და არსებობდა ჯერ კიდევ ციცერონის დროსაც[1]. კავშირის ყველა წევრის თანასწორობის საზეიმოდ გამოცხადება სინამდვილეში მაინც განუხორციელებელი აღმოჩნდა. ფორმალურად თანასწორუფლებიანი კავშირი რომაელებისა ლათინებთან დროთა განმავლობაში გადაიქცა ლათინურ ქალაქებთან რომის ცალმხრივ კავშირად.

ლათინურ ქალაქებს შორის რომის ამაღლების მიზეზი მდგომარეობდა მის გეოგრაფიულ და ეკონომიურ უპირატესობაში და კავშირში შემავალ ლათინურ ქალაქებს შორის ღრმა წინააღმდეგობათა არსებობაში. კავშირის საერთო ყრილობები იმართებოდა ფერენტინის ტბის პირას (ad caput Ferentinae), ქალ. არიციას მახლობლად (აქედან წარმოიშვა კავშირის სახელწოდებაც — ა რ ი ც ი ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ა). არიციის ფედერაციის წარმოქმნა, რომელიც წარმოადგენდა 30 ქალაქის ძველს (წინარომაულ) ლათინურ კავშირის გაგრძელებას, შეადგენს ქალაქ რომის ჰეგემონიის ქვეშ იტალიის გაერთიანების პროცესის პირველ ეტაპს.

ამ დროის ყველაზე უფრო შესანიშნავი ამბავი იყო ო მ ი ვ ე ი ს თ ა ნ, ეტრურიის დედაქალაქთან და მის მოკავშირე ფიდენთან. გადმოცემის თანახმად, მტრობა ვეისა და რომს შორის მიეკუთვნება ჯერ კიდევ რომულის ხანას. ვეისთან ომის მიზეზად იქცა ხსენებული ქალაქების მისწრაფება, რომლებიც ზღვას მოწყვეტილი იყვნენ, თავისთვის შემოემტკიცებინათ ტიბრის ქვემო სადინარი. IV საუკ.-ში, როცა კვლავ იფეთქა ომმა ვეისთან, ათი წლის გარემოცვის შემდეგ რომის კონსულმა მარკოს ფური კამილმა მოახერხა ქალაქ ქვეშ ხვრელის გაყვანა. ეტრურიის სატახტო ქალაქი იერიშით იქნა აღებული, შენობები დაანგრიეს და გადასწვეს, მცხოვრებლები მონებად წაიყვანეს, ხოლო ვეის ოლქი რომის ტერიტორიაში ჩარიცხეს (396 წ.).

ეტრურიის დაპყრობა უფრო შორს წავიდოდა, რომ რომის ყურადღება არ მიეპყრო ჩრდილოელ ხალხებს — გ ა ლ-ს ე ნ ო ნ ე ბ ს)senones), რომელნიც წარმოადგენდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ალპებს შუა ტერიტორიაზე მცხოვრებ კელტების მოწინავე რაზმს. გალებმა ისარგებლეს ვეისთან რომაელების ომით და აპენინის ნახევარკუნძულზე გადმოიწიეს, შევიდნენ ეტრურიაში, ხელთ • იგდეს რამდენიმე ეტრუსკული ქალაქი და ლაციუმში შეიჭრნენ. საერთო საშიშროების წყალობით ეტრუსკები გაერთიანდებიან რომაელებთან და ასეთი გაერთიანებული ძალ-ღონით შეხვდებიან

[1] Cic., Pro Balbo.

გალებს პატარა მდინარე ა ლ ი ა ს თ ა ნ (Allia), ტიბრის შენაკადთან. მოხდება სასტიკი ბრძოლა, სადაც რომაელები და მათი მოკავშირეები საშინლად დამარცხდებიან. ალიასთან მარცხმა და რომის დაპყრობამა და გადაწვამ, რაც ამ მარცხს მალე ზედ მოჰყვა, ღრმა კვალი დასტოვა რომაელი ხალხის მეხსიერებაში — „ალიას დღე!" (dies Alliensis). ქალაქის გარემოცვა შვიდ თვეს გრძელდებოდა, ამავე დროს კი ალიასთან დამარცხებულ რომაულ რაზმებს საშუალება მიეცათ კვლავ თავი მოეყარათ და გონს მოსულიყვნენ. რომაელთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ნაცადი წინამძღოლი კამილი, რომელიც გადასახლებაში მყოფი ახლა დაიბარეს[1]. კამილმა მოლაპარაკება გამართა გალების მთავარ წინამძღოლ ბრენუსთან (Brennus), რომელიც დათანხმდა მიეტოვებინა რომი, თუ რომაელები თავს დაიხსნიდნენ გამოსყიდვით. გალებმა მიიღეს 1.000 გირვანქა ოქრო და, რაკი არც იყვნენ ქალაქების გარემოცვაში დახელოვნებული და შიმშილისგანაც დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ, დასტოვეს რომი.

ვეისა და გალებთან ომების ირგვლივ შეიქმნა მრავალი სხვადასხვა ლეგენდა და თქმულება, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ცნობილი თქმულებაც იუნონასადმი შეწირულ საღვთო ბატების შესახებ, თავისი ყიყინით გუშაგები რომ გამოაღვიძეს და ამით კაპიტოლიუმი იხსნეს; ასეთივეა თქმულება სამი რომაელი ელჩის — ფაბიუსების შესახებ, რომელნიც გაგზავნილ იქნენ გალების მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქ კლუზიუმში, თქმულებანი კამილის მამაცობის თაობაზე და მისი შესანიშნავი ფრაზა: „Vae victis " (ვაი დამარცხებულთ), რომელიც მან წარმოსთქვა გალებისადმი ოქროს აწონის დროს, და მრავალი სხვა.

ვეის ოლქის შემოერთების შემდეგ, რამაც თითქმის ერთიორად გაზარდა რომის ტერიტორია, რომი გადაიქცა ცენტრალური იტალიის პირველ ქალაქად, ლათინური ფედერაციის ფაქტიურ ჰეგემონად. და უკვე მაშინვე ჩაისახა რომის პოლიტიკის მეთოდები, რომელთაც შემდეგში ხელი შეუწყეს რომის ძალა-უფლების ქვეშ იტალიის გაერთიანებას. „გათიშე და იბატონე"-ს (divide et impera) პრინციპზე აშენებული პოლიტიკა რომაელებისა მდგომარეობდა იმაში, რომ კოლონისტ-რომაელებს ასახლებდნენ დაპყრობილი ქალაქების ტერიტორიაზე და სეპარატულ ხელშეკრულებებს

---

[1] Dion. Halic., op. cit., III, 50.

ხდებდნენ იტალიის სხვადასხვა ქალაქებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სეპარატული ხელშეკრულების დადება ტუსკულუმთან (381 წ.), რომელსაც ხელი უნდა აეღო პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და რომელიც რომის ხელქვეით თემად უნდა გადაქცეულიყო, — ეს იყო იტალიის პირველი მუნიციპიუმი. IV ს. შუა ხანებისთვის პატარა (10 კმ²) რომის თემი შუა ტიბრზე გადაიქცა ფედერაციად, რომელსაც ეკავა 100 კმ²-ზე მეტი ტერიტორია.

სამხრეთისკენ, კამპანიისა და სამხრეთი იტალიის მიმართულებით, მიმავალი რომაულ-ლათინური ფედერაცია შეხვდა მეორე, არანაკლებ ძლიერ სამნიტურ ტომების ფედერაციას. სამნიტები ცხოვრობდნენ კამპანიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ადრიატიკისა და ტირენის ზღვებს შუა, და მრავალ ტომებად იყვნენ დანაწილებული. სამნიუმი ესაა მთაგორიანი გლეხურ-მწყემსური ქვეყანა, მოფენილი მთებით, ხევებით და ხეობებით, ქალაქური ტიპის სამოსახლო ადგილების მცირე რიცხვით. თავისი მუდმივი მოძრაობის, ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლების, დროს სამნიტები აღწევდნენ აპულეასა და კამპანიას, თავს ესხმოდნენ მოსაზღვრე ოლქებს. ამაზე არ შეჩერებულა სამნიტური ტომების დასავლეთისკენ გაწევა. გადმოსახლებულთა პირველ ტალღას მოჰყვა მეორე. მაშინ მთიელ სამნიტებისგან შევიწროებულნი წვრილი კამპანიური ტომები, ავზონები და სიდიცინები, კამპანიელებს მიმართავენ დახმარებისათვის; ხოლო ეს უკანასკნელები, რადგან თავად არ ჰქონდათ საკმაო ძალა, თავს შეაფარებენ რომს, როგორც ცენტრალური იტალიის ყველაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოს.

რომის ჩარევა კამპანიის საქმეებში მომასწავებელი იყო იტალიის გაერთიანების პირველი ეტაპისა, ეს იყო საბინების ტომებთან ორმოცდაათწლიანი ბრძოლის ხანა, გართულებული ლათინური და ეტრუსკული ქალაქების აჯანყებით. სამნიტებთან კავშირის გაწყვეტას წინ უძღოდა ცხარე კამათი რომის სენატში, რაც დრამატიული ფორმით გადმოცემულია ტიტე ლივიუსის „ისტორიის“ VII თავში. ვნებათა ღელვა უფრო გაძლიერდა, როცა რომში ჩავიდა კამპანიის დელეგაცია, რომელიც რომაელებს სთხოვდა მიეღოთ ისინი თავისი მფარველობის ქვეშ. კამპანიელებმა თვალწარმტაცი სურათი დაუხატეს რომის კავშირისა კაპუასთან, კამპანიის სატახტო ქალაქთან, იტალიის უმდიდრეს ბეღელთან.

„მას შემდეგ, რაც დეპუტატები გაბრუნდნენ უკან, შეეკითხნენ სენატს მისი აზრის გასაგებად... სენატის დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ იტალიის უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი, მეტისმეტად ნაყოფიერი და ზღვის მახლობლად მდებარე ველ-მინდვრები,

შეიქნებოდა, რომის ხალხის ბეღლად, თუ ვინიცობაა სურსათ-სანოვაგეზე ფასები მერყეობას დაიწყებდა“ [1].

დიდი იყო კაპუის შეძენის სურვილი, მაგრამ დიდი იყო აგრეთვე მარცხის განცდის შიშიც. სამნიტების ჯარი საუკეთესო ჯარად ითვლებოდა იტალიაში, რომის ფედერაცია კი მაშინ ვერ იყო მტკიცე და საიმედო. ვეისთან და ფიდენთან გასწორების შემდეგ ლათინური და ეტრუსკული ქალაქები მზად იყვნენ ხელათვე ჩამოსცილებოდნენ რომს, მიეცემოდათ თუ არა ამისთვის მარჯვე შემთხვევა. მეორე მხრივ, რომაელებს აშინებდა კამპანიაში სამნიტების ბატონობის პერსპექტივაც, როგორც სამუდამო მუქარა რომისათვის. ჯერ გაიმარჯვა სენატის იმ ზომიერი უმრავლესობის აზრმა, რომელიც უარს არ ამბობდა კამპანელების პროტექტორობაზე, მაგრამ არც იმის მოსურნე იყო, რომ აშკარად გაეწყვიტათ კავშირი სამნიტებთან. „კეთილგონიერებამ და კავშირის ერთგულებამ გაიმარჯვა ასეთ დიდ სასარგებლო საქმეზე, და კონსულმა, სენატის გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი პასუხი მისცა: „სენატი თქვენ, კამპანელებო, ღირსად გცნობთ დახმარებისა, მაგრამ თქვენთან მეგობრობის დამყარება სამართლიანი იქნება მარტო იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება დარღვეული ამაზე უფრო ადრინდელი მეგობრობა და კავშირი სამნიტებთან. სამნიტები ჩვენთან დაკავშირებული არიან სამოკავშირეო ხელშეკრულებით. ამის საბუთით სამნიტების წინააღმდეგ შეიარაღებულ დახმარებაზე. რაც ღმერთებს უფრო მეტად შეურაცხყოფს, ვიდრე ადამიანებს, უარს გეუბნებით, მაგრამ, საერთაშორისო სამართლისა და რელიგიის კანონების თანახმად, ჩვენ ვთხოვთ მოკავშირეებსა და მეგობრებს არავითარი ძალადობა თქვენ მიმართ არ იხმარონ“-ო [2].

კრების ასეთი მერყეობისა და გაუბედაობის პირობებში, კამპანელებს მოუხდათ აემუშავებინათ მთელი ძლიერებით თავიანთი მჭევრმეტყველება, აღთქმა-დაპირებანი და მუქარა. კამპანიის დელეგაციის მეთაური კამპანელებისათვის რომაელების დახმარებას უხატავდა, როგორც უმაღლესი ზნეობრივი ვალის საქმეს ადამიანთა წინაშეც და ღმერთების წინაშეც. „შინ მისდა მიცემული რწმუნების თანახმად, მან თქვა: „რადგანაც თქვენ არ გინდათ კანონიერად დაიცვათ ძალით ჩვენი დოვლათი ძალმომრეობისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ, მაშინ თქვენ დოვლათსა და ქონებას ხომ, ყოველ შემთხვევაში, მაინც დაიცავთ: ჩვენ თქვენს განკარგულებასა და მართვა-გამგებლობაში, სენატორებო, და აგრეთვე რომაელი

[1] Liv., VII, 31.
[2] Ibidem.

ხალხის გამგებლობაში გაბარებთ კამპანიის ხალხს, ქალაქ კაპუას, ტაძრებს, ღვთაებათა გორაკებს და ყოველივეს, რაც კი ეკუთვნის ღმერთებს და ადამიანებს. რაც დაგვემართება ჩვენ ამის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დაემართა თქვენ ქვეშევრდომებს". ამ სიტყვებით ყველა ისინი, კურიის კარის წინ რომ იდგნენ, მუხლებზე დაეცნენ და კონსულების მიმართ ხელნი აღაპყრეს და ცრემლებს ღვრიდნენ" [1].

კამპანელების დასაბუთებამ შთაბეჭდილება მოახდინა სენატზე და უპირატესობა მისცა ომის მომხრეებს. სენატმა გამოსთქვა აზრი კამპანიის საქმეებში აქტიურად ჩარევის სასარგებლოდ.

„სენატორები ააღელვა ადამიანის სვე-ბედის ასეთმა წარმავალობამ და მუხანათობამ, როცა დაინახეს, რომ ეს უძლიერესი ხალხი, ცნობილი თავისი ფუფუნებითი ცხოვრებითა და ქედმაღლობით, ხალხი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათაც კი მეზობლები დახმარებას სთხოვდნენ, ახლა ისე დაეცა სულით, რომ თავის თავსა და მთელ თავის ქონებას სხვის გამგებლობაში აძლევდა. ასეთ პირობებში უკვე ეჩვენებოდათ, რომ სამართლიანობა მოითხოვს მოკავშირეები არ გაეცათ: გამოსთქვეს აზრი, რომ სამნიტური ხალხი უკანონოდ მოიქცეოდა, თუ კი დაიწყებდა გარემოცვას იმ ტერიტორიისა და ქალაქისას, რომელმაც თავისი თავი მიანდო რომის ხალხის ძალა-უფლებას. ამის გამო გადაწყდა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ სამნიტებთან დესპანები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ეცნობებინათ მათთვის კამპანელების თხოვნის შესახებ, სენატის პასუხი, რაც ეთანხმებოდა სამნიტებთან მეგობრულ ურთიერთობას, და მერე ამის მომდევნოდ მომხდარი დანებების ამბავი, და შემდეგ ნაბრძანები ჰქონდათ კავშირისა და მეგობრობის სახელით ეთხოვნათ რომაელი ქვეშევრდომების დანდობა, და იარაღით აღარ წამოსულიყვნენ იმ ოლქზე, რომელიც შეიქნა რომაელი ხალხის საკუთრებად; ხოლო თუ მშვიდობიან სიტყვას გასავალი არ ექნებოდა, მაშინ დესპანებს უნდა ეუწყებინათ სამნიტებისათვის რომაელი ხალხისა და სენატის სახელით, რათა ისინი არ შეხებოდნენ ქალაქ კაპუასა და კამპანიის ოლქებს" [2].

სენატის გადაწყვეტილება მით უფრო საკვირველია, რომ რომის დახმარების იმედი ყველაზე უფრო მეტად ჰქონდა კაპუის ოლიგარქიას, ეგრეთწოდებულ მხედრებს (equites), რომელთაც საშინელი მტრობა ჰქონდათ კაპუის პლებსთან. რომის პატრიციე-

---

[1] Liv., VII, 31, 4.
[2] Ibid., 7, 31, 4.

ბის თვალში, ამრიგად, ომს ორნაირი აზრი და მნიშვნელობა ენიჭებოდა: 1) ნაყოფიერი და მდიდარი ქვეყნის ხელში ჩაგდება და 2) მოამბოხე ელემენტების ჩახშობა. იდეოლოგიური გამართლებისათვის წამოყენებულ იქნა მაღალი ზნეობრივი მოტივი (honor) — აუცილებლობა დახმარების გაწევისა იმათთვის, ვინც მფარველობის ძიების დროს ნებაყოფლობით დგებოდა რომაული კანონების მფარველობის ქვეშ.

კამპანიის ხელში ჩაგდებით დამთავრდა ეგრეთწოდებული პირველი სამნიტური ომი (343 — 341 წწ.). კამპანიის მხედრებზე დამყარებულმა რომაელებმა ადვილად ხელთ იგდეს კაპუა და შემოიმტკიცეს კამპანია. დაქსაქსული და ცუდად შეიარაღებული სამნიტები იძულებული იყვნენ ზავზე დათანხმებულიყვნენ და ეცნათ კამპანიაში რომის ბატონობის ფაქტი. მაგრამ საქმე ამაზე არ შეჩერებულა. რომაელების მიერ კამპანიის მოულოდნელმა დაპყრობამ გამოიწვია პროტესტი არა მარტო სამნიტების მხრივ, არამედ საერთოდ ყველა იტალიკების მხრივაც—ლათინების, ეტრუსკებისა და გერნიკების მხრივაც, რომელნიც შედიოდნენ არიციას ფედერაციაში. კამპანიაში რომის განმტკიცება ანიჭებდა მას მოკავშირეთა თანასწორუფლებიანობისათვის სახიფათო უპირატესობას არიციას ფედერაციაში. ამის გამო მოკავშირეებმა, ისარგებლეს რა რომაელების გაჭირვებული მდგომარეობით, მოითხოვეს კავშირის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობის დადასტურება, ერთი კონსულისა და ნახევარ სენატის ლათინებისგან არჩევა ლათინებს შორის. რომმა უარჰყო მოკავშირეთა თხოვნის შეწყნარება, რამაც გამოიწვია რომაელ-ლათინთა ომი (340—338 წწ.), რომელიც დამთავრდა, სინუესასა და მინტურნს შუა ტრიფანს ახლო მოკავშირეთა დამარცხებით და არიციას ფედერაციის დაშლით.

ძველი, ლათინური ფედერაციის ადგილი ამიერიდან დაიჭირა ახალმა, რომაულ-იტალიკურმა ფედერაციამ, რომელიც დაფუძნდა უკვე სხვა უფრო რთულ საფუძვლებზე ქალაქ რომის უპირატესობით.

სამნიტებთან ომი გრძელდებოდა არიციას ფედერაციის გაუქმების შემდეგაც. 327 წ. დაიწყო მეორე სამნიტური ომი (327—304 წწ.), ხოლო როგორც მისი გაგრძელება მესამე სამნიტური ომი (298—290 წწ.). ამ დიდი სამნიტური ომის საბაბად შეიქნა რომის პირველი პროკონსულის, პუბლილი ფილონის მიერ ბერძნული კოლონია ნეაპოლის (Neapolis)

დაპყრობა. როგორც პირველად,—კაპიუისათვის ომის დროს,—ახლაც რომაელებს მხარს უჭერდნენ ნეაპოლის ოლიგარქ-მხედრები, სამნიტებს კი თანაუგრძნობდნენ პლებეები. სამნიტებთან ომის სიძნელე მდგომარეობდა სამნიუმის ტოპოგრაფიულ პირობებში; ეს იყო მთაგორიანი ქვეყანა უამრავი წვრილწვრილი ქედებითა და ხეობებით და სრულიად მოკლებული გზებს. რომაული სამხედრო ერთეული (ლეგიონი) ასეთ პირობებში ნაკლებად გამოსადეგი და შესაფერისი აღმოჩნდა. ამის გამო მოუხდათ სახელდახელო ახალი საბრძოლო ერთეულის მოწყობა; ეს იყო უფრო პატარა და მეტად მოძრავი — მანიპული. რომის ჯარის მთავარ საფრთხეს კი წარმოადგენდა ზურგის არაკეთილსაიმედოობა, ლათინური და ეტრუსკული ქალაქების ფარული და აშკარა მტრობა, ქალაქებისა, რომელთაც ემძიმებოდათ რომთან კავშირი.

მეორე სამნიტური ომი დაიწყო რომაელების დიდი მარცხით, რომელნიც შეეცადნენ კამპანიიდან სამნიუმში გასვლას. 321 წ. რომაელებს ჩაუსაფრდნენ კავდინის ხეობაში (furcula Caudinae) და ესენიც იძულებული გახდნენ მიეღოთ მტრისაგან ნაკარნახევი სამარცხვინო პირობები. რომის ჯარმა გაიარა უღელ ქვეშ, რაც უაღრეს სირცხვილად ითვლებოდა დამარცხებული ჯარისათვის. ციხე-სიმაგრეები ლუცერია და ფრეგელი სამნიტების მხარეზე გადავიდა.

IV საუკ. 20-იან წლებში რომის მდგომარეობა უაღრესად მძიმე, თითქმის კატასტროფიული იყო. სამნიტური ომი გადაიქცა იტალიის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომად. შედგა საკმაოდ ძლიერი ანტირომაული კოალიცია, რომელსაც შეუერთდნენ აგრეთვე გალებიც. თავის შემადგენლობით მეტად ჭრელმა კოალიციამ რომის ჯარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ მერე იწყო რღვევა, ერთის მხრივ, შინაგან წინააღმდეგობათა ძალით, მეორის მხრივ, რომის მატერიალური და სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის გამო. იტალიკურ ხალხების დამოუკიდებლობა დასამარდა იმ გამარჯვებებში, რომელნიც მოიპოეს რომაულმა ლეგიონებმა და მხედრებმა: ვადიმონის ტბასთან (310 წ.) და სენტინუმთან უმბრიაში (295 წ.).

რომაელი ანალისტების გადმოცემით, რომაელების გამარჯვება ლათინებსა და სამნიტებზე მიეწერება ცალკეულ პირთა, რომაული ჯარის გმირთა მაღალ ღირსებას, გმირობას და პატრიოტიზმს; ეს პირნი არიან: ლუციუს პაპირიუს კურსორი, მარკოს კურიუს დენტატი, პუბლიუს დეციუს მუსი და განსაკუთრებით ლუციუს კორნელი სციპიონ წვეროსანი

(L. Cornelius Scipio Barbatus). სციპიონ წვეროსანის სარკოფაგი ინახება ვატიკანის მუზეუმში და მასზე დაცულია არქაული ლათინური წარწერა, რაც წარმოადგენს უძველესი ლათინური მწერლობის ძეგლს. წარწერა გვაუწყებს:

Cornelius Lucius Scipio Barbatus,
Gnaivod patre prognatus, fortis vir sapiensque,
Quoius forma virtutei parisuma fuit,
Consol, censor, aedilis quei fuit apud vos,
Taurasia Cisauna Samnio cepit
Subigit omne Loucanam opsidesque abdoucit.

(კორნელი ლუციუს სციპიონ წვეროსანი,
გნეის შვილი, ძლიერი და ბრძენი,
მისი სილამაზე ეთანაბრებოდა მის ვაჟკაცობას.
ის იყო კონსული, ცენზორი, ედილი,
მან აიღო ტავრაზია და ციზაუნა სამნიუმში,
დაიმორჩილა მთელი ლუკანია და მძევლები წამოიყვანა).

ს ა მ ნ ი ტ ე ბ ი ს განადგურების შემდეგ ჯერი მიდგა იტალიის ბ ე რ ძ ნ უ ლ პ ო ლ ი ს ე ბ ზ ე. ბრძოლა ბერძნულ ქალაქებთან იტალიის გაერთიანებისა და უნიფიკაციის ისტორიაში წარმოადგენს მესამე ეტაპს. მას მერე, რაც სიცილიაში წარმოიქმნა დიონისეების სახელმწიფო (V ს. ბოლო და IV ს.), სამხრეთი იტალიის ბერძნული პოლისები განიცდიდნენ შინაგან კრიზისს. ერთის მხრივ მათ ავიწროებდნენ სიცილიელები, ხოლო მეორის მხრივ მათზე მოიწევდნენ იტალიკური ტომები: ბრუტიები, ლუკანები, სამნიტები და ა. შ. რადგან მათ არ შეეძლოთ თვითონვე საკუთარი ძალ-ღონით გამკლავებოდნენ მტრებს, ამიტომ ბერძნულმა პოლისებმა დახმარებისათვის მიმართეს რომს.

284 წ. ბერძნული ქალაქი თურია, ტარენტუმის მეტოქე, რომის დახმარებას ითხოვდა ლუკანების წინააღმდეგ. რომაელების მიერ გაგზავნილმა გარნიზონმა გაათავისუფლა თურია და შემოუერთა იგი რომის კავშირს. თურიას მაგალითს მიბაძეს სხვა ქალაქებმაც: კროტონმა, ლოკრამ და რეგიონმა, რომელნიც მიღებულ იქნენ რომის კავშირში იმ პირობით, თუ თვითეულ ამ ქალაქში იდგებოდა რომის გარნიზონი. სამხრეთი საბერძნეთის ყველა ქალაქებს შორის ყველაზე უფრო დიდხანს შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა ტ ა რ ე ნ ტ უ მ მ ა.

ტარენტუმი განთქმული იყო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის სიმარჯვით და სილამაზით, როგორც ერთერთი მთავარი შესავალი ადრიატიკის ზღვაში, ჰქონდა მას მშვენიერი ნავსადგური და შემოზღუდული იყო მაგარი კედლებით. ტარენტუმის ნავსადგურიდან ხომალდები ყველა მიმართულებით გადიოდა — ისტრიაში, ილირიაში, ეპირსა, აქაიასა, აფრიკასა და სიცილიაში.

ტარენტუმთან რომის ომის საბაბად გადაიქცა შემდეგი ინციდენტი, რომელიც რომაულ ესკადრას შეემოხვა. ტარენტუმის ნავსადგურში შესულ რომაულ ესკადრას შეურაცხყოფა მიაყენა ტარენტუმის საზოგადოებამ, რომელიც თავმოყრილი იყო საქალაქო თეატრში წარმოდგენაზე. „ვინ არიან ეს რომაელები? საიდან გაჩნდნენ ისინი?“ — ყვიროდა ნავსადგურზე გამოშლილი საზოგადოება. ინციდენტის გამოსარკვევად გაგზავნილ დესპანებს თავზე სიცილი დააყარეს და თანაც შეურაცხყოფა მიაყენეს. „იცინეთ და დაგვცინეთ, — უთხრა რომაელმა დესპანმა გესლიან დაცინვის პასუხად ბერძნებს, რომელნიც მასხარად იგდებდნენ რომაელების მიერ უხეირო ბერძნულ გამოთქმას, — მალე გექნებათ თქვენ საბუთი ტირილისა და ჩადენილის დანანებისა... ჩემი ტოგის ლაქებს თქვენ მორეცხთ თქვენი სისხლით“-ო.

რომისათვის ტარენტუმთან ომი არაჩვეულებრივ სახიფათო იყო, რადგანაც ეს იყო ომი არა მარტო ერთ ბერძნულ ქალაქთან, არამედ სამხრეთი იტალიის ქალაქებისა და ტომების მთელ კოალიციასთან. ტარენტუმს პირდაპირ დახმარებას უწევდნენ ან თანაუგრძნობდნენ კამპანია, აპულია, ლუკანია და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნები, უმთავრესად დემოკრატები.

„ასე დაიწყო ტარენტუმის ომი (bellum Tarentinum), სახელით ომი ერთ ქალაქთან, სინამდვილეში კი ომი მრავალ ხალხთან. აბობოქრებული ნიაღვრის მსგავსად, ომმა ჩაითრია კამპანელები, აპულიელები, ლუკანები — ერთი სიტყვით, მთელი იტალია, — და მათთან ერთად აიყოლია მეფე პიროსიც, ბრწყინვალე ბერძენი სარდალი“ [1].

280 წ. იტალიის ტერიტორიაზე გაჩნდა პიროსი (Pyrrhus), ეპირის მეფე. პიროსი ეკუთვნოდა ჰელინისტური დროის მეფე-ავანტურისტების რიცხვს, რომელთაც სწყუროდათ სახელი და მოღვაწეობა. სახელოვანი ბერძენი სარდლის დემეტრე პოლიორკეტის სკოლიდან გამოსული პიროსი მაკედონიიდან გაძე-

[1] Flor., I, XVIII.

ვების შემდეგ განმტკიცდა ეპირში და, თვლიდა რა თავის თავს მეორე ალექსანდრე მაკედონელად, ოცნებობდა დასავლეთში მსოფლიო სახელმწიფოს შექმნაზე, რომელშიაც უნდა შესულიყვნენ დიდი საბერძნეთი და სიცილია. თავისი ზრახვებით პიროსი გამოდიოდა სიცილიელი ტირანის აგათოკლეს საქმის გამგრძელებლად. ტარენტუმის მიწვევას პიროსმა შეხედა, როგორც მარჯვე შემთხვევას დიდი საბერძნეთის დაუფლებისათვის, ხალისიანად შეხვდა ტარენტუმელების წინადადებას და თავისი 25 ათასიანი ჯარით და 20 საბრძოლო სპილოთი გადავიდა იტალიაში. ეპირის მეფის გადასვლა იტალიის მიწა-წყალზე შეიქნა საომარი მოქმედების დასაწყისად.

პირველი დიდი ბრძოლა რომაელებსა და პიროსს შორის მოხდა ჰ ე რ ა კ ლ ე ა ს ახლოს, სადაც პიროსმა გამოიჩინა დიდი სარდლის, ორგანიზატორისა და სტრატეგოსის ხელოვნება და ბრწყინვალედ გაიმარჯვა რომის კონსულზე — პუბლიუს ვალერი ლევინზე. მომდევნო (279) წელს მოხდა მეორე ბრძოლა რომაელებსა და ეპირის მეფეს შორის ა უ ს კ უ ლ უ მ თ ა ნ აპულიაში, რომელიც აგრეთვე დამთავრდა რომის ჯარის განადგურებით. მაგრამ ეს მეორე გამარჯვება პიროსს ძალიან ძვირად დაუჯდა და იგი ომს ვერც ამთავრებდა. რიცხვობრივი უპირატესობა კვლავინდებურად რომაელების მხარეზე იყო, რომელთაც იმ ხანში ისწავლეს საბრძოლო ტაქტიკის დახმარებით ტაფებითა და რკინის კაუჭებით „ლუკანიის ხარებთან“ ბრძოლა, როგორც მაშინ უძახოდნენ სპილოებს. ამასთანავე მოკავშირეთა კოალიციაც მტკიცე ვერ აღმოჩნდა და მან იწყო რღვევა. ტარენტუმელებით უკმაყოფილო პიროსი იტალიიდან გადადის სიცილიაში, სადაც ის აგათოკლეს მემკვიდრის უფლებებს შეიღებს თავის თავზე, დაიმორჩილებს ბერძნულ ქალაქებს და დაიწყებს ომს კართაგენის წინააღმდეგ, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია სიცილიაზე.

პირველ ხანებში პიროსის საქმეს სიცილიაში წარმატება ხვდა. მან მოახერხა კართაგენის ესკადრის წრის გარღვევა, რომელმაც ქალაქს ზღვის მხრიდან ალყა შემოარტყა, და სირაკუზის გათავისუფლება. პიროსის ჯარის იერიშს კართაგენელებმა (პუნებმა ანუ პუნიკებმა) ვერ გაუძლეს, გასწმინდეს კუნძულის დიდი ნაწილი და უკან დაიხიეს ქალაქ ლილიბეუმთან. ლილიბეუმთან მოხდა გენერალური ბრძოლა, სადაც მეფემ მარცხი განიცადა. პიროსის დამარცხებამ გამოიწვია ბერძნული ქალაქების ჩამოშორება და კოალიციის დაშლა. სიცილიაში დამარცხებული და სასწრაფო წესით იტალიაში გადასული პიროსი შეხვდა რომის კონსულს მარკოს კურიუს

დენტატს ბ ე ნ ე ვ ე ნ ტ უ მ თ ა ნ სამნიუმში და, აქ დამარცხებული (275 წ.), იგი გარბის ეპირში, სადაც იგი მალე დაიღუპა კიდეც.

პიროსის წასვლის შემდეგ ტარენტუმში იმარჯვებს სამშვიდობო პარტია, რომელმაც გამართა მოლაპარაკება რომაელებთან. ღონეგამოცლილი ტარენტუმელები დანებდნენ გამარჯვებულს, დასცალეს აკროპოლისი, ჩააბარეს იარაღი, დაანგრიეს კედლები და ჩაიყენეს რომის გარნიზონი.

ტარენტუმის დაცემას მოჰყვა იტალიკური ხალხების—ლ უ კ ა ნ ე ბ ი ს, ბ რ უ ტ ი ე ბ ი ს, კ ა მ პ ა ნ ე ლ ე ბ ი ს, ს ა მ ნ ი ტ ე ბ ი ს და სხვათა დამორჩილება. უკანასკნელი ქალაქი, რომელიც რომაელებმა დაიპყრეს, იყო ქალაქი ვოლსინია ეტრურიაში, სადაც რომაელები მიიწვიეს ქალაქის არისტოკრატიამ, რომელმაც ვერ შესძლო საკუთარი ძალ-ღონით გამკლავებოდა თავიანთ ბატონების წინააღმდეგ აჯანყებულ აზატებსა და მონებს[1].

დაპყრობილი ოლქების შემომტკიცების მიზნით მოწყობილ იქნა ახალი კოლონიები — ბენევენტუმი, ეზერნია, პესტუმი, არიმინიუმი, კოზა და სხვ. აპიუსის გზა, რომელიც ცენტრს აერთებდა იტალიის სამხრეთთან, ახლა გაყვანილ იქნა ტარენტუმამდე.

ტარენტუმის ომით თავდება იტალიის გაერთიანება და იწყება რომის ისტორიის ახალი ხანა — ესაა ხანა რომის მსოფლიო ბატონობისა ხმელთაშუა ზღვის აუზში. შედარებით წინადროინდელ ომებთან ტარენტუმის ომი იყო დიდი მასშტაბის ომი, რომელმაც გამარჯვებულს შესძინა დიდძალი ნადავლი, მონები და გახადა იგი ბერძენთა ვაჭრობის მემკვიდრედ.

„არასდროს ქალაქის კედლებს შორის არ ყოფილა ესოდენ ბრწყინვალე და დიდებული ტრიუმფი. რა ჰქონდათ ამ დრომდე ნანახი რომაელებს? ვოლსკების საქონელი, საბინელთა ჯოგები, გალების ურმები, სამნიტების დამსხვრეული იარაღი. ახლა კი გაჩნდნენ შებორკილი თესალიელები, მოლოსები, მაკედონიის, ბრუტიუმის, აპულიისა და ლუკანიის მხედრები. ძოწი, ოქრო, სურათები, ქანდაკებანი, ტარენტუმის მთელი ბრწყინვალება და ფუფუნება — აი რა ამკობდა ტრიუმფულ მსვლელობას. მალე დაპყრობილ იქნა მთელი იტალია. ეს იყო ბედნიერი საუკუნე, რომაელთ ხალხის ჭაბუკობის ხანა!“ (haec est secunda aetas populi Romani et quasi adolescentia).

„რომი მაშინ ძალაში იყო აყვავებულ-გაფურჩქვნილი, ბობოქრობდა და დუღდა, ამავე დროს კი მას შერჩეული ჰქონდა ჯერ კიდევ

[1] Flor., I, XXI.

ცნობილი მწყემსური მოუქნელობა თავის წინაპრებისა. რომის ხალხი დაუცხრომელი გულზვიადობით იყო აღსავსე"[1].

4. რომის რეპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაცია

პიროსთან ომით და ამის მომდევნო სამხრეთ იტალიის ტოჰებთან შეჯახებით დამთავრდა ცენტრალური, სამხრეთისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთი იტალიის გაერთიანების პროცესი. რომის მფარველობის ქვეშ თავი ამოჰყო ასობით სულ სხვადასხვაფეროვანმა ხალხმა, რომელიც ლაპარაკობდა — სულ მცირე — 12 სხვადასხვა ენაზე მაინც: ლიგურულსა, ეტრუსკულსა, ვენეტების, მესაპის, ბერძნულ, კელტურ, ლათინურ, ოსკების და სხვა ენებზე. იტალიის გაერთიანება მით უფრო მეტად საოცარ საქმედ გვეხატება, რომ თავისი ბუნებით იტალია ყველაზე უფრო ნაკლებად განწყობილი იყო უნიფიკაციისა და ცენტრალიზაციისათვის. მრავალწლოვან შეუპოვარ ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდნენ სხვადასხვა იტალიური ფედერაციები იტალიაში ჰეგემონიისათვის, გამარჯვება დარჩა რომს. ამის მიზეზი მდგომარეობს, გარდა ანტირომაული კოალიციების შინაგანი დაპირისპირება-წინააღმდეგობისა, რომის ეკონომიურ უპირატესობაში, მისი კონსტიტუციის უფრო მეტ მოქნილობაში და რომის მიერ შექმნილ ახალი ტიპის ფედერაციაში.

რომის ჰეგემონობის ქვეშ იტალიის ფედერაციის ჩამოყალიბების დროისთვის რომაულ-იტალიის ხელოსნობა, ვაჭრობა და საბანკო საქმე თვალსაჩინოდ წინ წავიდა. სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებს შორის IV — III საუკ.-ებში იტალიაში პირველი ადგილი ეჭირათ რომს, კაპუას, პრენესტეს და ეტრუსკულ ქალაქებს, ლითონის, კერამიკის, მშენებლობითი და მატყლეულის წარმოებათა ცენტრებს. ვაჭრობაში მთელი გადატრიალება მოახდინა ვერცხლის ფულის შემოღებამ. სპილენძის წონითი ასსისგან (aes rude), რომელშაც ოდესღაც შესცვალა პირვანდელი ფულადი ერთეული, — სული საქონელი, — რომლის სახელის შესაბამისადაც თვითონ ფულმაც მიიღო თავისი სახელწოდება (pecunia, სიტყვიდან pecus, რაც ნიშნავს საქონელს, ოთხფეხს), გადავიდნენ ვ ე რ ც ხ ლ ი ს დ ე ნ ა რ ი ზ ე (denarius), 10 ასსთან შეთანაბრებული რომ გახადეს (დაახლ. 273 გრამი). დენარი იყოფოდა კვინტარიებზე, ხოლო კვინტარიები სესტერციებზე (sestertius). პირველი სამონეტო სახელოსნო მო-

[1] Flor., I, XVIII—XXII.

თავსებული იყო კაპიტოლიუმზე ქალღმერთ იუნონა მონეტას (Iuno Moneta) ტაძრის გვერდით, საიდანაც გაჩნდა თვითონ სახელწოდებაც „მონეტა“ (moneta). ვერცხლის დენარის შემოღებამ გამოაცოცხლა და ააჩქარა საქონლის ტრიალი, გააფართოვა რა მუშტრისა და გამყიდველის წრე. არანაკლები მნიშვნელობა ვაჭრობისათვის ჰქონდა აგრეთვე ახალი გზების გაყვანას. სამნიტური ომებიდან მოკიდებული იტალიაში გაჰყავთ შ ა რ ა გ ზ ე ბ ი, რომელთაგანაც, დროის მიხედვით, პირველი იყო ა პ ი უ ს ი ს გ ზ ა (via Appia) „რომის გზათა დედოფალი“. ანტიკური მსოფლიოს პირობებში შარა გზების გაყვანას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც რკინიგზათა მშენებლობას ახალ ევროპაში.

IV და III საუკ.-ებში დადებული იყო ახალი ხელშეკრულებები კართაგენთან. ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობაში აიწია მონური შრომის მნიშვნელობამ და გაიზარდა აზატების (ანუ გათავისუფლებულ მონათა) რიცხვი. ინტელიგენტური პროფესიები ამ ხანებში მეტწილად აგრეთვე მონებისა ან აზატების ხელში იყო. მდიდარი და ინტელიგენტი აზატები აღწევდნენ მაღალ საზოგადოებრივ თანამდებობებს და, გამონაკლისის სახით, სენატშიაც კი ხვდებოდნენ.

პირველი ადგილი სახელმწიფოში კვლავინდებურად ისევ პატრიციატს ჰქონდა, მაგრამ შინაგან და საგარეო პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვან საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა ახლა ეკუთვნოდა უკვე არა ცენტურიატულ კომიციებს, არამედ ტრიბუტულ კომიციებს, რომელთა უმრავლესობასაც შეადგენდა სოფლის პლებსი. რომის კონსტიტუციის დემოკრატიზაცია და პლებსის პოლიტიკური ჩამოყალიბება გრძელდებოდა.

პლებსის ეკონომიური ბაზისის გაფართოება იყო პლებეების პატრიციებთან კლასობრივი ბრძოლის შედეგი და აგრეთვე სოფლისა და ქალაქის პლებსის ნივთიერი და კულტურული დონის ამაღლების შედეგი. კლასობრივი ბრძოლა უფრო ძალუმად ჩაღდებოდა მძიმე სამხედრო მარცხის დროს, როგორიც იყო ჯარის განადგურება ალიასთან ან კავდინის ხეობაში. სწორედ ამ წლებს ემთხვევა ყველა თვალსაჩინო სოციალურ-პოლიტიკური რეფორმა.

როგორც წინათაც, უკმაყოფილო პლებეებს, რომელთაც ანადგურებდა სამხედრო სამსახური, მტრის თარეში, — და მძიმე ტვირთად აწვათ ვალები, — ახლაც სათავეში უდგებოდნენ დემოკრატიულად განწყობილი და პატივმოყვარე პირნი პატრიციებისა ან პლებეების წრიდან. მეტწილად ესენი იყვნენ კონსულები და დიქტა-

ტორები, რომელთაც თავი ისახელეს ლაშქრობათა დროს და მოიპოვეს ჯარის კეთილგანწყობილება.

ასეთი იყო, მაგალითად, გალებთან ომისდროინდელი გმირი მარკოს მანლიუს კაპიტოლინუსი (Marcus Manlius Capitolinus), რომელმაც კაპიტოლიუმი იხსნა გალებისგან. მანლიუსმა გაათავისუფლა მის მიწებზე მყოფი კლიენტები, მოიბირა გალატაკებული პლებეები და სახალხო ტრიბუნებთან ერთად იგი აგიტაციას ეწეოდა სავალო სამართლის რეფორმისა და აგრეთვე საზოგადოებრივი მიწის მცირემიწიან პლებეებს შორის განაწილების სასარგებლოდ. მანლიუსის ცდამ — ხელთ ეგდო ძალა-უფლება — ვერ გაიმარჯვა. პატრიციებმა ბრალი დასდეს მანლიუსს ტირანობისაკენ მისწრაფებაში და მიუსაჯეს მას ტარპეიას კლდიდან გადაჩეხვა (384 წ.).

რამდენიმე წლის შემდეგ მანლიუსის წინადადება საზოგადოებრივი მიწების გაყოფის შესახებ განაახლეს სახალხო ტრიბუნებმა ლიციინიუს სტოლონმა (C. Licinius Stolo) და სექსტ ლატერანუსმა (L. Sextius Lateranus) და ათი წლის ბრძოლის შემდეგ, 367 წელს, კომიციების მიერ მიღებულ იქნა „კომპლექსური“ სამმაგი კანონის ფორმით (lex per saturam), რომელიც გამიზნული იყო ერთდროულად მდიდარ პლებეებზედაც და ღარიბებზედაც.

პირველი კანონი ამბობდა, რომ ორი კონსულიდან ერთი უეჭველად პლებეი უნდა ყოფილიყო (utique alter ex plebe crearetur).

მეორე კანონი ზღუდავდა საზოგადო მინდვრის ოკუპაციის ნორმას 500 იუგერით და მისი ხმარებისა და სარგებლობისათვის აწესებდა ფასს პურის მინდვრებზე მოსავლის $^1/_{10}$-ის რაოდენობით, ხოლო ვენახებისა და ზეთისხილის პლანტაციებზე $^1/_5$-ის რაოდენობით (ne quis plus quingenta iugera agri possideret).

საზოგადოებრივი მიწებით სარგებლობის უფლება კი თანასწორად ენიჭებოდა როგორც პატრიციებს, ისე პლებეებს. გარდა ამისა, მიწათმფლობელებსა და მესაქონლეებს ევალებოდათ მონებთან ერთად ჰყოლოდათ გარკვეული რაოდენობით თავისუფალი მუშებიც.

მიწის მინიმუმის დაწესება სავაჭრო-სავახშო კაპიტალისა და მიწის კონცენტრაციის დაწყებული ზრდის ხანაში საესებით დასაშვებია, მაგრამ კანონის მიერ დადგენილი 500 იუგერიანი ნორმა იწვევს მთელ რიგ კითხვებს და, საფიქრებელია, არც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. IV საუკ.-თვის ეს ნორმა მეტად დი-

დია. მიწის ნაკვეთის დაჭერისა ანუ ოკუპაციის (occupatio) ნორმა საზოგადო მინდვრის (ager publicus) ფარგლებში, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო პატრიცი-მესაქონლის წინააღმდეგ, რომელიც ეპატრონებოდა და ეუფლებოდა საზოგადო მინდვრებს საძოვრად გამოყენების მიზნით.

ლიცინიუს-სექსტის მესამე კანონი ეხებოდა ვალებს, რაც მძიმე ტვირთად აწვა პლებეებს. ამ კანონის თანახმად, გადახდილი სარგებელი გამოირიცხებოდა სესხად აღებული თანხიდან, რაც უნდა დაფარულიყო სამ ერთნაირ ვადაში (ut deducto eo de capite quod usuris pernumeratum esset, id quod superesset triennio aequis portionibus persolveretur)[1]. სასესხო სარგებელი ანუ პროცენტი შემცირებულ იქნა, ხოლო 326 წ. პ ე ტ ე ლ ი უ ს პ ა პ ი რ ი ს კანონის (lex Poetelia Papiria) ძალით ისპობოდა ვალისთვის კაბალაში მიცემა.

IV საუკ. ბოლოდროინდელი რომის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის განირჩეოდა პატრიცი ა პ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი, 312 წლის ცენზორი, ძველი კლავდიუსების ჩამომავალი. აპიუს კლავდიუსთან დაკავშირებულია მთელი ეპოქა რომის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ზრდის ისტორიაში: პირველი მონუმენტალური აპიუსის გზის გაყვანა, რომელიც რომს იტალიის სამხრეთ ნაწილებთან აკავშირებდა, ტაძრების აგება და შემკობა (ბელონას ტაძარი), ეტრუსკული ალფაბეტის ბერძნულ-ლათინური ანბანით შეცვლა, მზის საათის შემოღება და მრავალი სხვა.

ჩვენამდე მოღწეული რედაქცია სერვიუსის კონსტიტუციისა, რომელმაც შესცვალა თავდაპირველი მიწის ცენზი ფულადი ცენზით, როგორც ჩანს, აგრეთვე აპიუს კლავდიუსს ეკუთვნის. მიწის ცენზის ფულადი ცენზით შეცვლა შეესაბამებოდა იმ დემოკრატიული ჯგუფების ინტერესებს, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ ვაჭრობასთან, ხელოსნობასთან და საერთოდ სასაქონლო-ფულად მეურნეობასთან.

არანაკლებ დამახასიათებელია აპიუს კლავდიუსის მეორე ღონისძიებაც — აზატების (libertini. liberti) უფლებათა გაფართოება, მათი განაწილება ყველა ტრიბაზე და მდიდარი აზატების შვილების სენატში დაშვება. აქედან იმ დასკვნის მიღება შეიძლება, რომ IV ს.-შივე მონები და აზატები უკვე არამცირედ როლს თამაშობენ რომის საზოგადოებასა და რომის მეურნეობაში. არისტოკრატია ამ აზატებს მხარს უჭერდა უმთავრესად იმიტომ, რომ მათი მე-

[1] Liv., VI, 35.

რი ნაწილი კლიენტელაში იმყოფებოდა თავიანთ ყოფილ ბატონებთან და არჩევნების დროს თავიანთ ხმებს ამათ აძლევდა. სოფლის პლებსი ყოველთვის როდი იყო ქალაქში საკმაო რაოდენობით, და ამიტომაც ხშირად საკითხები წყდებოდა მარტო მოქალაქეების, ე. ი. ქალაქში მცხოვრებთა ხმებით, აზატები კი როგორც ხელოსნები, მეწვრილშანეები, გადამწერლები, მოანგარიშეები, მოურავები და ამგვარნი ჩვეულებრივად ქალაქში ცხოვრობდნენ და თავიანთ ნაბატონრებთან განაგრძობდნენ ყოფნას თავის საბოლოოდ გამოხსნამდე.

ამასთან ერთად აპიუს კლავდიუსმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ქურუმებთან, რომელნიც წარმოადგენდნენ პატრიციული ოლიგარქიის იდეოლოგიურ დასაყრდენ ძალას. ასე, მაგალითად, მისი თაოსნობით ჰერკულესის საგვარეულო კულტი გადააქციეს საერთო-სახელმწიფო კულტად, შეაგროვეს პითაგორეელ ბრძენთა თქმანი, ლეგალიზებული იქნა ორფიული კულტები, რომელნიც ოფიციალური რელიგიის მიერ აკრძალული იყო, და სხვა ამგვარი. 300 წელს ძმათა ოგულნიების, ჩამომავლობით ეტრუსკების, კანონი (lex Ogulnia) პლებეებს გზას უხსნიდა უმაღლეს საქურუმო თანამდებობებისკენ და ცხრამდე ზრდიდა პონტიფექსებისა და ავგურების კოლეგიათა წევრების რიცხვს [1]. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ დარგში პლებეების პატრიციებთან სრული გათანასწორება არასდროს არ მომხდარა. მრავალი საქურუმო თანამდებობა სამუდამოდ დარჩა პატრიციების მონოპოლიად. ასეთი იყო, მაგალითად, სალიების, ფლამინების (flamines maiores) ქურუმთა კოლეგიები და „ქურუმთა მეფის“ (rex sacrorum) თანამდებობა [2].

რომის წესწყობილების დემოკრატიზაციის გზით უფრო შორს წავიდა აზატი, კლავდიუსების სახლის კლიენტი, საკურულო ედილი გ ნ ე ი უ ს ფ ლ ა ვ ი უ ს ი (Gneius Flavius), რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ახალი, „ფლავიუსის სამართლის“, (ius civile Flavianum), შემოღება, რამაც შეავსო XII ტაბულის კანონები და გაამარტივა სამოქალაქო პროცესი (legis actiones). ამასთანავე ერთად ფლავიუსმა გამოაქვეყნა კალენდარი, რომლის ცოდნა და შედგენა მანამდე პონტიფექსების მონოპოლიას შეადგენდა; ესენი მანამდე თავიანთი საკუთარი „შეხედულებისაებრ აცხადებდნენ სამუშაო და უქმე დღეებს (dies fasti et nefasti), ნიშნავდნენ და გადასდებდნენ კრებათა და სასამართლო

[1] Liv., X, 6—9.

[2] E. Pais, op. cit., 1, 2, 157.

პროცესთა დღეებს. იმავე გნეუს ფლავიუსმა დემოკრატიული მიმართულებით გადაამუშავა საკონსულო ფასტები, შეიყვანა რა უძველეს კონსულების და ტრიბუნების რიცხვში მარციების, ბრუტუსების და სხვათა პლებეური გვარები. შემდეგ, ფლავიუსს მიეწერება ანალების, რომის ისტორიის მატიანურ ჩანაწერთა, გამოცემა.

პატრიციების პლებეებთან ბრძოლის გრძელი ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს წარმოადგენდა დიქტატორ ჰორტენზიუსის კანონი (287 წ., lex Hortensia). ამ კანონის გამოცემის საბაბად შეიქნა პლებეების აჯანყება, რომელიც გათავდა იანიკულუმის გორაკზე მათი გახიზვნით. ჰორტენზიუსის კანონი, რომელიც ფორმალურად იმეორებდა ვალერისა და ჰორაციუსის ძველ კანონს (449 წლით რომ თარიღდება), ეკუთვნის რომის რესპუბლიკის ძირითად ანუ „საღვთო" კანონთა რიგს (leges sacratae). ამ კანონის თანახმად, პლებეების ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი კ ო მ ი ც ი ე ბ ი ს გადაწყვეტილებანი (plebiscita) ითვლებოდა საერთო სახელმწიფო კანონებად, რომელთაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ პლებეებისა და პატრიციებისათვის:

„ყოველივეს, რასაც კი გადასწყვეტს პლებსი ტრიბებში, აქვს საერთო სახალხო კანონის ძალა" (ut quod tributum plebs iussisset populum teneret).

ყველა წოდებრივი ტრიბუტული კომიციები იკრიბებოდა ფორუმზე, აქ ხმის მიცემა წარმოებდა არა ცენტურიების მიხედვით, არამედ ხმას აძლევდა თვითეული უკლებლივ (viritim), რითაც უზრუნველყოფილი ხდებოდა პლებსის, კერძოდ, სოფლის პლებსის უპირატესობა. ამასთან ერთდროულად დასტურდებოდა სახალხო ტრიბუნების შეუვალობა (sacrosanctitas). ამ კანონის დამრღვევს ეწოლოდა წყევა-კრულვა და ქონების კონფისკაცია. სამნიტური ომებისა თუ პიროსთან ომის დროსვე ეკუთვნის კანონი ხ ა ლ ხ ი ს ა დ მ ი მ ი მ ა რ თ ვ ი ს ა (provocatio ad populum), რომელიც აწესებდა უმაღლეს მაგისტრატების მოქმედებაზე სახალხო კრებისადმი აპელაციის უფლებას.

ტრადიციის თანახმად, ამ კანონის თაოსნობა ეკუთვნოდა „ხალხის მეგობარს", რომის რესპუბლიკის პირველ კონსულს ვალერი პოპლიკოლას (lex Valeria de provocatione). კონსულების განუსაზღვრელ უფლებას ძალა ჰქონდა მარტო ქალაქის საზღვრის (pomoerium) გარეთ; პომერიუმის ფარგლებში კონსული ემორჩილებოდა საერთო სამოქალაქო კანონებს.

პლებსის სოციალურ-ეკონომიურ ზრდასთან და მისი პოლიტიკური წონის აწევასთან დაკავშირებით IV და III საუკუნეთა მან-

ძილზე რომის სახელმწიფო წესწყობილებაში ხდება მთელი რიგი ცვლილებები: ერთის მხრივ, ჩნდება მთელი რიგი ახალი მაგისტრატურები, მეორის მხრივ, წარმოებს არსებულ დაწესებულებათა დემოკრატიზაცია: პლებეებს გზა ეხსნებათ ყველა თანამდებობისკენ. 356 წელს, ეტრუსკებთან ერთერთი ომის დროს, პლებეი იყო დანიშნული დიქტატორად. ლიცინიუს-სექსტის კანონების გამოქვეყნების დროსვე, მათთან ერთდროულად, ჩნდება პრეტორის (praetor) თანამდებობა, რომელიც პირველად ხელმისაწვდომი იყო მარტო პატრიციებისათვის. ის ითვლებოდა კონსულების უმცროს კოლეგად (collega minor) და მას, კონსულების მსგავსად, ეკუთვნოდა imperium. პრეტორის მთავარ ფუნქციას შეადგენდა სასამართლო. პლებეებს პრეტურასკენ გზა გაეხსნათ 337 წელს. 242 წლიდან ერთი პრეტორის ნაცვლად ჩნდება ორი — ერთი იყო საქალაქო პრეტორი (praetor urbanus); მისი საქმე იყო იმ სასამართლო კაზუსების გარჩევა, რომელნიც კი ატყდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა შორის, ხოლო მეორე იყო (praetor peregrinus), რომელიც არჩევდა მოკავშირეთა და პროვინციალების საქმეებს. უმნიშვნელოვანეს რესპუბლიკურ მაგისტრატურათა შორის იყო ცენზურა (censura), დაწესებული 443 წ., ხოლო 351 წლიდან ხელმისაწვდომი პლებსისათვის. ცენზორების რწმუნება არ განისაზღვრებოდა მათი პირდაპირი ფუნქციით—ქონებრივი ცენზის წარმოებით, ე. ი. მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობის გამოვლენითა და ამის შესაბამისად სამოქალაქო თანრიგებში მათი განაწილებით (descriptio classium et equitum). ცენზორის სარწმუნო საქმეთა წრეს ეკუთვნოდა აგრეთვე სენატში ახალი წევრების შეყვანა და ძველების გამორიცხვა (lectio senatus), სახელმწიფო მეურნეობაზე უმაღლესი ზედამხედველობა, საზოგადოებრივი ზნეჩვეულებზე მეთვალყურეობა (regimen morum) და მრავალი სხვა. ორ ცენზორს ირჩევდნენ 5 წელიწადში ერთხელ წელიწადნახევრის ვადით. ქალაქის მდგომარეობას, ქუჩების სისუფთავეს, გზის წესიერად შენახვას, აგრეთვე ხიდებისას, ზომათა და წონის წესიერება-მართებულობას, საზოგადოებრივ შენობათა მდგომარეობას და მისთანა სხვას მეთვალყურეობდნენ ე დ ი ლ ე ბ ი (aediles) ჰათს მოვალეობასვე შეადგენდა საპოლიციო ფუნქციების, საბაზრო პოლიციის ფუნქციების შესრულება, ჰიგიენური ზედამხედველობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ჯარიმის დადება და მისი გადახდევინება (multa). შემდეგ ედილთა მოღვაწეობის რიგს ეკუთვნოდა გართობა-თამაშობათა (ludi), სანახაობათა და დღესასწაულთა მოწყობა. დანარჩენ მაგისტრატურებისგან განსხვავებით, ედი-

ლებს თავდაპირველად ირჩევდნენ არა პატრიციებს შორის, არამედ პლებეებს შორის (aediles plebei) და ისინი იმყოფებოდნენ პლებეების უძველეს ორგანიზაციასთან, ცერერას ტაძართან (aedes-ტაძარი)[1]. IV საუკ.-ში პლებეების ედილების მაგალითისამებრ ჩნდებიან პ ა ტ რ ი ც ი უ ლ ი ანუ კ უ რ უ ლ ი ა ნ ი ედილები (aedi-les curules), შემდეგში რომ გაერთიანდნენ პლებეურ ედილებთან. კვესტორებს, რომელთაც თავდაპირველად კონსულები ნიშნავდნენ, 447 წლიდან უკვე ირჩევენ. პლებეები კვესტორებად პირველად არჩეული იყვნენ 409 წ. კვესტორები განაგებდნენ სახელმწიფო ფინანსებს: მათ დავალებული ჰქონდათ ხაზინის (aerarium) შენახვა, რომელიც იმყოფებოდა სატურნის ტაძარში, მათთან შედიოდა შესატანი თანხები ager publicus-იდან, ისინი ჰყიდდნენ მონებად ტყვეებს. ლაშქრობათა დროს კვესტორებს ევალებოდათ საინტენდანტო ნაწილის გამგებლობა. თავდაპირველად ოთხი კვესტორი იყო, ხოლო რომის ტერიტორიის გაფართოების შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა (267 წლიდან ირჩევდნენ რვა კვესტორს).

კონსულებს, პრეტორებსა და ცენზორებს ირჩევდნენ ცენტურიატული კომიციები, ედილებსა და კვესტორებს — ტრიბუტული კომიციები. დიქტატორს ირჩევდა სენატი, ფორმალურად კი მისი დანიშვნა გამომდინარეობდა ერთერთი კონსულისგან.

დემოკრატიზაცია შეეხო აგრეთვე ა რ მ ი ა ს ა ც. IV საუკ.-ში რომის არმია ჯერ ისევ სამოქალაქო მილიციას წარმოადგენდა, რომელსაც წინამძღოლობდნენ ნახევრად სამოქალაქო ტიპის სარდლები — კ ო ნ ს უ ლ ე ბ ი, უმაღლესი სამოქალაქო მოხელეები, და იმავე ტიპის სამოქალაქო პოლკოვნიკები — ლ ე გ ა ტ ე ბ ი და შტაბ-ოფიცრები — ტ რ ი ბ უ ნ ე ბ ი. მეტ შემთხვევაში ესენი იყვნენ არისტოკრატიული ჩამომავლობის ახალგაზრდა ადამიანები ნაკლები საბრძოლო გამოცდილებით. როცა ომები გახანგრძლივდა და სამხედრო ტექნიკაც გართულდა სამნიტური ომებისა და ბერძნებთან ომების დროს, უფროდაუფრო თვალსაჩინოდ და მკვეთრად გამოჩნდა სამოქალაქო ლაშქრის სუსტი მხარეები; საქმის ბუნებრივი განვითარების წყალობით ეს ლაშქარი თანდათან გადაიქცა რეგულარულ არმიად (ქვეითად). ამის პარალელურად იზრდებოდა უმცროს მეთაურთა მნიშვნელობა ჯარში; ასეთები იყვნენ ცენტურიონები (ასისთავები, ფელდფებელები), რომელნიც გამოდიოდნენ ლეგიონერთა წრიდან, ჰქონდათ დიდი სამხედრო გამოცდილება და რომელნიც სამხედრო დისციპლინის გამტარებლად ითვლებოდნენ.

---

[1] Z o n., 7, 15; L i v, III, 53; F e s t., 318.

რომაული არმიის ძირითად სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად კვლავინდებურად რჩებოდა ლეგიონი, 4.500 კაცისგან შემდგარი, ამათში 3.000 იყო ქვეითი, 300 ცხენოსანი და 1.200 ნახევრადშეიარაღებული და არასამწყობრო ჯარისკაცი. არასამწყობრო ნაწილებს ადგენდნენ უმთავრესად ახლად დაპყრობილ ოლქებიდან. სერვიუსის კონსტიტუციით დადგენილი განაწილება მოლაშქრეებისა ქონების მიხედვით ჰკარგავდა თავის აზრს, რაც უფრო მეტად ამარაგებდა იარაღით სახელმწიფო ქონებრივად ღარიბ მოქალაქეებს. ქონების მიხედვით ჯარის განაწილებას ცვლიდა განაწილება ასაკის მიხედვით. თვითეული ლეგიონი იყოფოდა 3 საასაკო ჯგუფად: 1) უმცროსი ასაკის ჯგუფი 1.200 კაცის შემადგენლობით (hastati — შუბოსანნი), 2) საშუალო ასაკის 1.200 კაცი (principes) და 3) უფროსი ასაკის 600 კაცი (triari). ფიზიკურად უფრო მაგარი და ფიცხელი ახალგაზრდობა ხელჩართულ ბრძოლაში იღებდა თავის თავზე მტრის იერიშის მთელ სიმძიმეს, ოჯახთა მამები კი საფრთხის წინაშე დგებოდნენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ჯარი შეიარაღებული იყო ფარებით, მახვილებით, მძიმე შუბებით ან სატყორცნი ხელშუბებით. სამოსად ხმარობდნენ ჯავშანსა და ზუჩს. ეს იყო მძიმე ქვეითთა ჯარი, რომელიც მოგვაგონებს ბერძენ ჰოპლიტებს.

გამოიცვალა ბრძოლის ტექნიკაც. მეფეთა პერიოდში, როცა ჯარი შესდგებოდა საგვარეულო ლაშქართა და პატრიციულ რაზმებისგან, ბრძოლა ატარებდა უმთავრესად ცალკეული მეომრების პირისპირ შებრძოლების ხასიათს, როგორც ეს ჩანს, მაგალითად, ჰორაციუსებისა და კურიაციუსების შესახებ ლეგენდებიდან. ახალი სამხედრო ტექნიკა კი მოითხოვდა მასობრივ მოქმედებას: ხელშუბების მასობრივ ტყორცნასა და მასობრივსავე შეტევას; ინდივიდუალური ინიციატივა მეორე რიგში დგება და პირველ ადგილს უთმობს დისციპლინას. ლეგიონების დანაწილებამ მანიპულებად არმია გახადა უფრო მოძრავი და შეუგუა როგორც ბარში, ისე მთებში ბრძოლის პირობებს. ახალი წყობა, გარდა ამისა, შესაძლებლობას ქმნიდა, რომ შეტევითი მოქმედება შერწყმულიყო მოგერიებით მოქმედებასთან და რეზერვების ჩაბმაც შესაძლებელი ყოფილიყო.

რომაული ჯარის ბირთვს შეადგენდნენ ლეგიონერთა ქვეითი ჯარისკაცები — „რკინის ლეგიონები“, და ცხენოსანი ჯარი მხოლოდ დამატებით როლს თამაშობდა. თვითეულ ლეგიონზე დაწესებული იყო 300 ცხენოსანი. საკუთრივ ოთხ რომაულ ლეგიონს უერთდებოდა კიდევ ოთხი სამოკავშირეო ლეგიონი ცხენოსანთა სათანადო რაოდენობით.

5. ITALIIS FEDERACIA

რომაულ-იტალიკური საზოგადოება II ს. საუკ.-თვის თვალსაჩინოდ შეიცვალა იმასთან შედარებით, რასაც იგი წარმოადგენდა წინა საუკუნეებში. პატრიციატი გადაგვარების გზაზე იდგა და სუსტდებოდა, ხოლო პლებსი რიცხვობრივად მატულობდა და ეკონომიურადაც და კულტურულადაც იზრდებოდა. ქალაქის პლებსი იზრდებოდა შედეგად ეკონომიური ცხოვრების განვითარებისა, რომში ახალი ელემენტების მოზღვავებისა და აზატების რიცხვის გამრავლებისა, რომელნიც საქალაქო პლებსის რიგებს ავსებდნენ. ხოლო სოფლის ტრიბათა რიცხვის ზრდა აფართოებდა სოფლის პლებსის რიგებს და ამასთან ერთად ჰმატებდა მას სოციალურ-პოლიტიკურ წონას.

ძველი პატრიციულ-გვაროვნული არისტოკრატიის ადგილს იჭერდა ქალაქის ახალი მსახურეული არისტოკრატია, ნ ო ბ ი ლ ი ტ ე ტ ი (nobilitas), რომელიც ივსებოდა პატრიციებისა და მდიდარი პლებეებისგან, რესპუბლიკაში უმაღლესი თანამდებობანი რომ ეკავათ — კონსულებისა, პრეტორებისა, დიქტატორებისა, ცენზორებისა, ქურუმებისა და ამგვართაგან. არავითარი იურიდიული უპირატესობანი ნობილებს არ ჰქონდათ, მათი ძალა მდგომარეობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ გამოცდილებაში, სიმდიდრეში, გავლენასა და ფართო ვლიენტელაში. ნობილების ერთადერთი პრივილეგია იყო ის, რომ მათ შეეძლოთ ჰქონოდათ წინაპართა გამოსახულებანი (ius imaginum).

ძ ვ ე ლ რ ო მ შ ი ყ ვ ე ლ ა მ ო ქ ა ლ ა ქ ე ს უ ფ ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა ყ ვ ე ლ ა მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ი ს დ ა ჭ ე რ ი ს ა, მაგრამ ფაქტიურად, რადგან სახელმწიფო თანამდებობანი უსასყიდლო იყო და მასთან დაკავშირებული იყო ხარჯებიც, უმაღლესი მაგისტრატურები დაკავებული ჰქონდათ მარტო ნობილებს. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ მაგისტრატების მეტი წილი შედიოდა სენატში, რომელიც ფორმალურად ხელმისაწვდომი და ღია იყო ყველა წოდებიდან გამოსულ საუკეთესო პირთათვის (optimus ex omni ordine), სენატორებად ხდებოდნენ ისინი, ვინც უკვე მოიხადა ერთერთი კურულური (დიქტატორი, კონსული, ცენზორი, პრეტორი, საკურულო ედილი), ან უკურულო (სახალხო ტრიბუნი, პლებეური ედილი და კვესტორი) თანამდებობა, ცალკე შემთხვევებში კი სენატორებად ხდებოდნენ ისეთნიც, ვისაც სრულებით არ ჰქონდა მაგისტრატურა გავლილი [1].

[1] Th. M o m m s e n, Staatsrecht, III, 420.

IV — III საუკ.-ებში სენატში შედარებით ადვილად გაიხსნა „ახალი ხალხი“(homines novi).სენატი და ნობილიტეტი მაშინ ჯერ არ იყო კარდახშული ოლიგარქიული კორპორაციებით, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში შეიქნა. ნობილები, ამ სიტყვის საკუთარი გაგებით, ეწოდებოდა სენატორებს, ყოფილ მაგისტრატებს, ფართო გაგებით კი ტერმინი „ნობილიტეტი“ მიეკუთვნებოდა ხოლმე საერთოდ რომის რესპუბლიკის მთელ ზედა ფენას, რომელსაც ჰყავდა თავისი წარმომადგენლები სენატში. სენატში შესაყვანი კანდიდატების სიებს ჯერ ადგენდნენ კონსულები, მერე კი ცენზორები, რომელნიც ავსებდნენ თავისუფალ ადგილებს და გამორიცხავდნენ უვარგის (ignominiosi) წევრებს.

პლებსის ეკონომიური და პოლიტიკური ზრდის პარალელურად წარმოებდა რომის რესპუბლიკის ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი ზ რ დ ა. რომის სახელმწიფო III საუკ.-ში, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, წარმოადგენდა მრავალრიცხოვან სამოქალაქო და საერთო-ლო თემების გაერთიანებას; ეს თემები არ იდგნენ ერთნაირ კულტურულ დონეზე, ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენებზე და არც ერთნაირი ისტორია ჰქონდათ მათ. რომის ურთიერთობა იტალიკელებთან მიმართ თავისდათავად ყალიბდებოდა ცხოვრების პროცესში და ერთგვარი როდი იყო.

რომის რესპუბლიკის მოსახლეობა იურიდიული თვალსაზრისით იყოფოდა სამ წყებად: 1) რომაელ მოქალაქეებად, 2) მოკავშირეებად ანუ ფედერატებად და 3) ქვეშევრდომებად. რომის მოქალაქეები სარგებლობდნენ სრული სამოქალაქო უფლებებით (optima iure) სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. რომის მოქალაქეს მთელ რესპუბლიკის სივრცეზე შეეძლო ხელი მიეყო კომერციისათვის, შეეძინა კერძო საკუთრება, ყოფილიყო სახელმწიფო მიწების იჯარადარი, მონაწილეობა მიეღო საერო და რელიგიურ ასოციაციებში.

რომის მოქალაქენი ცხოვრობდნენ თვითონ ქალაქ რომში და აგრეთვე მიმოფანტული იყვნენ მთელ ნახევარკუნძულზე. რომი მოქალაქეთა მთავარ სამოსახლო ადგილებს რომის ვარეშე წარმოადგენდნენ კოლონიები (coloniae civium Romanorum). გამარჯვებულის უფლების ძალით რომაელები დამარცხებულ ხალხებს ართმევდნენ მათი ტერიტორიის ნაწილს, ჩვეულებრივად ბესაბელს და მას რიცხავდნენ რომის ხალხის სამფლობელოთა ფარგლებში. კოლონიებად განკუთვნილ ტერიტორიაზე კოლონისტები აშენებდნენ ახალ ქალაქს, გარს ავლებდნენ კედლებს და განკერძოებულ ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ბევრი უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებული კოლონისტები იოკლებილ-

ნენ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში რომის რესპუბლიკის სამხედროვალდებულად. კოლონისტების მთავარ მასას შეადგენდნენ საშუალო შეძლებისა დაწვრილი მიწათმფლობელები(plebs rustica).

თავისი კონსტიტუციით კოლონიები წარმოადგენდნენ მეტროპოლიის ნამდვილ ასლს. ისევე როგორც რომში, კოლონიებშიაც არსებობდა კომიციები, სენატი (decurionum ordo), ჰყავდათ მაგისტრატები (duoviri, aediles), ქურუმები (flamines) და ა. შ. „კოლონიებიო, — შენიშნავს რომაელი მწერალი ავლ გელიუსი, — წარმოადგენდნენ რომის ხალხის ნამდვილ ასლსა და მსგავსებასო“ (quasi ei [illegible] s parv[illegible] [illegible]imulacraque)[1].

პირველი რომაული კოლონია დაარსებულ იქნა ოსტიაში ჯერ კიდევ მეფე ანკ მარციუსის დროს. V საუკ.-ში რომაული კოლონიები იხსენიება ანციასა და ტარაცინუმში, III საუკ.-ში — მინტურნში, სინუესაში, გალიის სენაში და სხვაგან. ჩვენთვის ცნობილი კოლონიების მეტი ნაწილი კი მიეკუთვნება III ს. მეორე ნახევარს და II ს. პირველ ნახევარს. II საუკ.-ში კოლონიები გაჩნდა პუტეოლში, ვოლტურნში, პარმაში, მუტინასა, ლუნაში და სხვაგან. კოლონიები წარმოადგენდნენ რომის პოლიტიკის ერთერთ ძლიერ საშუალებას. ერთის მხრივ, ისინი სახელმწიფოს ათავისუფლებდნენ ჭარბი მოსახლეობისგან, ხოლო, მეორის მხრივ, წარმოადგენდნენ ციხე-სიმაგრეებს და დასაყრდენ პუნქტებს რომის დაპყრობითი პოლიტიკის გატარებისას. კოლონიათა პოლიტიკური მნიშვნელობა- მკაფიოდ არის გამოსახული ციცერონის ერთერთ აგრარულ სიტყვაში. „ჩვენი წინაპრები თავიანთ კოლონიათა მოსაწყობად ირჩევდნენ ეგოდენ მარჯვე და ყოველგვარი საფრთხისაგან დასაცავად ხელმისაწვდომ ადგილებს, რომ ისინი თითქოს იმდენად არა იტალიურ ქალაქებად ეჩვენებოდა ადამიანს, რამდენადაც ჩვენი სახელმწიფოს სანაპირო, მოსაზღვრე ციხე-სიმაგრეებადო“ (ut esse non op[illegible]ida sed propugnacula imperii v[illegible]rentur)[2].

ოლქი, რომელიც ახლად უერთდებოდა რომს, წარმოქმნიდა ახალ ტრიბას ან კიდევ ძველს უერთდებოდა. ტრიბათა რიცხვი იზრდებოდა იმისდა მიხედვით, რაც რომი ახალ-ახალ ქვეყნებს იპყრობდა და ახალ-ახალ კოლონიებს აწყობდა დასასახლებლად. III ს.-ში ტრიბების საერთო რიცხვი უდრიდა 35, რომელთაგან 4 წინანდელივით ქალაქზე (tribus urbanae) მოდიოდა, 31 კი — ქალაქგარეთა ტერიტორიაზე (tribus rusticae). ყოველი ახალი

[1] Aul. Gell., Noctes Atticae, XVI, 13, 9.
[2] Cic., De lege agr., II, 27, 73.

მოქალაქე, ამათ რიცხვში კოლონისტიც, მიეწერებოდა იმ ტრიბას, სადაც მას ჰქონდა მუდმივი ადგილსამყოფელი, მიწა, მოძრავი ქონება და ჰყავდა ოჯახი. ტრიბები შეადგენდა ცენზის, სამხედრო ბეგარა-გადასახადისა (tributum) და გაწვევის (dilectus) საფუძველს.

ომში, კრებებზე და ლაშქრობაში ტრიბების მცხოვრებნი (tribules) ერთად იყვნენ და თავისებურ სათვისტომოს წარმოადგენდნენ. უფრო წვრილი ერთეულები, რაზედაც ტრიბები იყოფოდა, იყო დეკურიები (decuriae) და კვარტალები ანუ უბნები (vici, compita) ქალაქებში, ხოლო დაბა-სოფლები (pagi)—ქალაქებს გარეთ. ტრიბები იწოდებოდა ან გეოგრაფიული სახელებისდა მიხედვით (Suburina, Esquilina, Collina, Palatina) ან კიდევ პატრიციული გვარების მიხედვით (Aemilia, Camilia, Claudia, Cornelia და სხვ.). ორი უკანასკნელი ტრიბა — ველინა და კვირინა — გაჩნდა 241 წ. ამის შემდეგ ტრიბების რიცხვი უკვე აღარ გაზრდილა: ახლად ანექსირებული ტერიტორიები უერთდებოდა ძველ ტრიბებს.

არამოქალაქენი ორ კატეგორიად იყოფოდნენ: ქვეშევრდომებად და მოკავშირეებად. დაპყრობილი თემების მიმართ რომაელები ორნაირ მეთოდს იყენებდნენ: ა ნ ე ქ ს ი ი ს და ფ ე დ ე რ ა ც ი ა ს. ანექსიას და ფედერაციას კიდევ თავის მხრივ სხვადასხვა ხარისხი და უფლებრივი იერი ჰქონდა. სრული ანექსიის შემთხვევაში დაპყრობილი თემის ტერიტორია სახელმწიფოს საკუთრებად (ager publicus) ხდებოდა, მცხოვრებლები სხვა ადგილებში გადასახლდებოდნენ ხოლმე ან კიდევ მათ მონებად ჰყიდდნენ. ასე მოეპყრნენ, მაგალითად, ქალაქებს — პოლიტორიუმს, ფიკანას, მედულიას და სხვებს, რომელთა შესახებაც გვაუწყებენ ლივიუსი და დიონისე [1].

„საზოგადოებრივ მინდორს“ სხვადასხვაგვარად იყენებდნენ. რომის კოლონისტებისათვის ნაკვეთების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ მიწას იჯარით აძლევდნენ ცალკე მოქალაქეებს (viritim), შემსყიდველთა ანუ პუბლიკანების ამხანაგობებს, ან კიდევ მოსახმარებლად უტოვებდნენ წინანდელ მცხოვრებლებს გარკვეული გადასახადის გადახდით (tipendium ანუ vectigal). დაპყრობილი ოლქების ქალაქებს ცალკეულ შემთხვევებში ანგრევდნენ, უფრო ხშირად კი, რასაკვირველია, თუ ისინი რომს დამორჩილდებოდნენ, უტოვებდნენ ავტონომიას. ასეთი სახის ანექსირებული ოლქების ავტონომიური ქალაქები იწოდებოდნენ მ უ ნ ი ც ი პ ი ე ბ ა დ (municipia). მუნიციპიათა მცხოვრებლებს ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები, პოლიტიკური უფლებანი კი არ გააჩნდათ და, მაშასადამე,

---

[1] Liv., I, 29—30; Dion. Halic., III, 3; Cic., De republ., II, 18, 33

მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ საერთო საკავშირო კრებებში და რომის მაგისტრატურები დაეჭირათ. ესენი იყვნენ მეორე კატეგორიის მოქალაქეები (minuto iure) — თემები, რომელთაც ხმის უფლება არა ჰქონდათ (civitas sine suffragio). თავიანთი მუნიციპიუმის ფარგლებში ისინი სავსებით თავისუფლები იყვნენ, მათ შეეძლოთ ვაჭრობა, ჰქონოდათ სახელოსნოები, სჭეროდათ საზოგადოებრივი თანამდებობანი და ფულიც კი მოეჭრათ.

მუნიციპიათა დამოკიდებულება ქალაქ-ჰეგემონის, ე. ი. რომის, მიმართ გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ასრულებდნენ საერთო საკავშირო ვალდებულებას (munera), მათ უნდა გამოეყვანათ სამხედრო კონტინგენტები, გადაეხადათ გადასახადები (stiburi) და ბაჟები (portoria). Jus commercii და ius connubii-ს ძალით მუნიციპალებს უფლება ენიჭებოდათ საქმიანი ურთიერთობა და ნათესაური კავშირი ჰქონოდათ რომის მოქალაქეებთან. მუნიციპიებში გადასახადების აკრეფას ტრიბების ფარგლებში აწარმოებდნენ ადგილობრივი ხარჯის ამკრეფნი, მეორე კლასის მოქალაქეებს შორის არჩეულები, ეგრეთწოდებული საერარიო ტრიბუნები (tribuni aerarii).

მეორე კატეგორიას შეადგენდნენ რ ო მ ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე ნ ი (socii), ანუ ფედერატები, რომლებთანაც იდებოდა ცალკე ხელშეკრულებანი. ფედერატიული თემები (civitates foederatae) სარგებლობდნენ სრული ავტონომიით, არ იხდიდნენ გადასახადებს, არ ჰყავდათ მათ რომის გარნიზონები და ისინი გათავისუფლებული იყვნენ მიმომავალ მაგისტრატების შენახვის ხარჯისგან და ჯარის ჩაყენებისგან. ფედერატებისგან მოითხოვდნენ სამხედრო სახმელეთო და საზღვაო კონტინგენტებს, აგრეთვე რომის უმაღლესობის აღიარებას და იმას, რომ „ზრდილობიანად დაეცვათ სხვა ხალხის სიდიადე" (alterius populi maiestas conservari iubetur), როგორც ციცერონი ამბობდა [1].

მოკავშირეებს შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდათ ლ ა თ ი ნ უ რ ქ ა ლ ა ქ ე ბ ს (socii nominis Latini) ანუ ლათინურ კოლონიებს (coloniae latinae), რომელნიც თავიანთი უფლებათა სისრულით ყველაზე უფრო ახლოს იდგნენ რომის მოქალაქეობასთან. სრული მოქალაქეობის მიღება არ იყო დახშული აგრეთვე სხვა კატეგორიების მოკავშირეებისთვისაც. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ და გარკვეულ პირობებში სამოქალაქო უფლებები ეძლეოდათ მთელ მუნიციპიებს და ფედერატიულ თემებს

[1] Cic., Pro Balbo, XVI, 36.

ისევე, როგორც ცალკე პირებს. იტალიის ფედერაციის ორგანიზაციის ყველა წვრილმანს გვაცნობს ე. ტეიბლერის წიგნი „რომის იმპერია“ [1].

იტალიური ქალაქების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა მუნიციპიებისა და მოკავშირე თემების რიგს. მოკავშირე ქალაქებად ითვლებოდნენ: კალესი (334 წ.), ფრეგელი (328 წ.), ლუცერია, სუესა, არიმინუმი, ბენევენტუმი, პლაცენტია, კრემონა, ბონონია და სხვ. ფედერატების სრული უფლებები (foedus aequum) ჰქონდა შედარებით ცოტა ქალაქს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ნეაპოლი და პრენესტე. ფედერატიული ქალაქების დიდს ნაწილს კი ჰქონდა მოკავშირეთა არასრული უფლებები (foedus iniquum).

იტალიის ფედერაცია იმნაირად იყო აგებული, რომ კავშირის ყველა სიკეთე რომისა და რომის მოქალაქეთა ხვედრს შეადგენდა. მუნიციპიებს თავიანთი დამოუკიდებლობა რჩებოდათ, მათ შეეძლოთ სავაჭრო საქმეების წარმოება და საკუთრების შეძენა რომში, ბაგრამ ჰათ არ შეეძლოთ საქმიანი და მით უმეტეს პოლიტიკური კავშირი დაეჭირათ ერთმანეთთან. ყველა უმაღლესი მაგისტრატურა რომაელებისა ან მდიდარი მუნიციპალების ხელში იყო, რომელთაც რომში საკუთრება ჰქონდათ და რომელთა ნატურალიზაციაც მოხდა. უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ომის გამოცხადება, ზავის დადება და დესპანების მიღება ქალაქ რომის მონოპოლიას შეადგენდა.

საერთო საკავშირო ჯარის ბირთვს შეადგენდნენ რომაელი მოქალაქეები, მოკავშირე ჯარებს კი ისე უყურებდნენ, როგორც დამხმარეს (auxilia). უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობა მოკავშირე ნაწილებში რომაელებისგან შესდგებოდა (praefecti sociorum), ხოლო დაბალი სამხედრო ადგილები თვითონ მოკავშირეებს ჰქონდათ დათმობილი.

რომისა და იტალიის კავშირის დადებითი მხარე მოკავშირე ქალაქებისთვის ის იყო, რომ შესწყდა ომები, გარეგანი წესრიგი დამყარდა, გზები იქნა გაყვანილი და შეიქმნა პირობები სავაჭრო-ხელოსნური საქმიანობა-მოღვაწეობისთვის. რომის მთავარ დასაყრდენს მოკავშირე ოლქებში წარმოადგენდნენ მაღალი, უფრო შეძლებული კლასები, რომელნიც რომის ჰეგემონიამ უზრუნველჰყო უფლებებით მონების მიმართ და თავისუფალი მოსახლეობის დაბალი ფენების მიმართ.

---

[1] E. Täubler, Imperium Romanum. Studien zur Entwicklungsgeschichte des römischen Reiches. I. Die Staatsverträge und Vertragsverhältnisse, 1913.

III ს. დასასრულისათვის რომის რესპუბლიკის ტერიტორია უდრიდა 130 ათ. კმ²-ს ჩრდილოეთში მდინარე რუბიკონიდან მოკიდებული ვიდრე სამხრეთით სიცილიის (მესინის) სრუტემდე — და იტევდა 4 მლნ. მოსახლეობას. ამ 130 ათ. კმ²-დან 24 ათასი მოდიოდა საკუთრივ რომის ოლქზე და 103 ათასი მოკავშირე ოლქებზე, რომელთაგანაც ლათინებზე მოდიოდა 12 ათასი. იტალიკები რიცხვობრივად გაცილებით სჭარბობდნენ რომაელებს. პიროსთან ომის დროისთვის ჯარში გასაწვევი ასაკის რომაელთა რიცხვი 300 ათას კაცს უდრიდა, მაშინ როდესაც მოქალაქეთა საერთო რიცხვი 900 ათას კაცს შეადგენდა. იტალიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი კი, იმ იტალიისა, რომელიც რომის სახელმწიფოში შედიოდა, სულ ცოტა 2-ჯერ ან 2½-ჯერ მაინც აღემატებოდა რომის მოქალაქეთა რიცხვს.

რომის შეიარაღებული ძალა შესდგებოდა რომის მოქალაქეებისგან:

ქვეითი ჯარი	299 200
კავალერია	26 100
	325 300 კაცი

და მოკავშირე ლაშქრისგან:

ქვეითი ჯარი	360 000
კავალერია	63 000
	423 000 კაცი[1]

საერთოდ, ყოველნაირი დამატებითი რეზერვების ერთიმეორეზე მითვლით, უნდა ვივარაუდოთ, რომ კართაგენთან ომის დასაწყისში რომს შეეძლო გამოეყვანა დაახლოებით 800 ათასი კაცი.

[1] Flor., II, 24, An. Piganiol, La conquête romaine, Paris, p. 173.

თ ა ვ ი III

რომი და კართაგენი

1. კართაგენი

III საუკუნისთვის მთავრდება ქალაქ რომის მესვეურობით იტალიის გაერთიანების პროცესი და იწყება ხმელთაშუა ზღვაში რომის გასვლის ახალი პროცესი, იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოს (პოლისის) მსოფლიო სახმელთაშუაზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის პროცესი.

„იტალია დაპყრობილია და დამორჩილებული. რომის ხალხი, რომელიც უკვე 500 წელიწადს არსებობდა, სიამაყით უმზერდა თავისი ძლიერების ზრდას. თავისი ძალ-ღონითა და ჭაბუკობით მოელვარე რომს შეეძლო ამიერიდან უკვე ეფიქრა მთელი მსოფლიოს გარემოცვაზე (par orbi terrarum esse coepit). თითქოს ბედის წინასწარი განჩინებით სწორედ იმ ხალხმა, ხუთი საუკუნის განმავლობაში ომებს რომ აწარმოებდა თავის მეზობლებთან, დიდი გაჭირვებით დაიმორჩილა იტალია, ორ საუკუნეზე უფრო ნაკლებ დროის მანძილზე ომით და გამარჯვებებით გაიარა აფრიკასა, ევროპასა, აზიაში და მერე მთელ მსოფლიოში“ (Africam, Europam Asiam totum denique orbem terrarum bellis victoriisque peragravit)[1]. ამ დროის ყველაზე უფრო დიდი მოვლენა იყო რომის შეჯახება კართაგენთან III—II საუკ.-ებში ძვ. წ.

კ ა რ თ ა გ ე ნ ი ს დაწყებითი ისტორია ცნობილია მხოლოდ ზოგადად. კართაგენი მდებარეობს მეტისმეტად ნაყოფიერ ადგილას,

[1] Flor, II, 1; Polyb., I, 1.

რომელიც მდიდარია ყურძნით, ზეთისხილითა და სხვა ბაღ-ბოსტნეული მცენარეულობით. ჰავა ტუნისის ყურესი, რომლის კიდეებზედაც გაშენებული იყო ძველი კართაგენი, სუბტროპიკულია, უახლოვდება იტალიის სამხრეთი ნაწილის ჰავას და მკვეთრად განირჩევა აფრიკის ყველა სხვა ნაწილის ჰავისგან. კართაგენი (ფინიკიურად Qart Chadascht, რაც ნიშნავს, „ახალქალაქს", ბერძნულად კარხედონი, ლათინურად Carthago) იყო ერთერთი იმ მრავალ ფინიკიურ კოლონიათაგანი, რომლებითაც უხვად მოფენილი იყო ხმელთაშუა ზღვის ნაპირები და კუნძულები, მოკიდებული ტიროსისა და სიდონიდან, მცირე აზიის ფინიკიური ქალაქებიდან, ვიდრე ჰერკულესის სვეტებამდე (ჰიბრალტარამდე), რომელთაც თავიანთი სახელი მიიღეს იმ ორი სვეტისაგან, ფინიკიური ღმერთის მელკარტის (ბერძენთა ჰერკულესის) ტაძრის წინ რომ იყო აღმართული.

ფინიკიელთა სადგომები (ფაქტორიები) მოიპოებოდა: სიცილიაში — პანორმუსი (Panormus), სოლუნტი (Solus), ლილიბეუმი (Lilybaeum); ესპანეთში — ტარტესი (Tartessus), კორსიკისა და სარდინიის კუნძულებზე; აფრიკაში — უტიკა (Utica), თაპსუსი (Thapsus), ჰადრუმეტუმი (Hadrumetum), კართაგენი და სხვ.

გადმოცემით კართაგენის აღმშენებელი იყო სირიელი დედოფალი დიდონა ანუ ელისსა, ანთროპომორფიზებული ფინიკიელი ქალღმერთი ასტარტა. კართაგენის დაარსების დრო ჩვეულებრივად მიეკუთვნება IX საუკუნეს (814 წ.) ძვ. წ.

ყველა ფინიკიური ქალაქი, მათ რიცხვში კართაგენიც, პირველად ფედერაციას არ შეადგენდნენ, არამედ ცხოვრობდნენ განკერძოებით და მათ განაგებდნენ მეფე და საქალაქო საბჭო. ფინიკიური ქალაქების დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთნაირი როდი იყო. ზოგჯერ ფინიკიელები იმორჩილებდნენ მკვიდრ მოსახლეობას, ზოგჯერ კი მათ უთანხმდებოდნენ, სახლდებოდნენ მათს ტერიტორიაზე მეტოიკების უფლებით და მათ გადასახადს აძლევდნენ. ფინიკიელების მთავარი საქმიანობა იყო ვაჭრობა მკვიდრ მოსახლეობასთან, ადგილობრივ ტომებთან, კერძოდ, ძოწეულ ნიჟარათა შესყიდვა. ამ ნიჟარებიდან იღებდნენ ძოწს, რასაც ანტიკური მსოფლიო ძალიან ეტანებოდა. ძოწის დაგროვება მრავალ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან თვითეული ნიჟარიდან ამოჰქონდათ 2—3 წვეთი ძოწი, და ამიტომ ძოწის, ქარვისა და სხვა ძვირადღირებული ფუფუნებითი საგნების ძიებაში ფინიკიელებს უხდებოდათ დიდი რეისების გაკეთება და სხვადასხვა პუნქტში სადგომების მოწყობა. მეორე რიგში იდგა მიწათმოქმედება.

დასავლეთის დაქსაქსული ფინიკიური კოლონიები VII ს-ში იწყებენ გაერთიანებას, რაზედაც გავლენას ახდენდა ბერძენი კოლონისტების დასავლეთისკენ გაძლიერებული მიწოლა. VIII ს. სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში, რომელნიც აერთიანებდნენ დასავლეთს აღმოსავლეთთან, ჩნდება მთელი რიგი ბერძნული კოლონიები — სირაკუზი (Syracusae), მეგარა (Megara), კატანა (Catana), ზანკლე (Zancle), უფრო გვიან მესანა (Messana), რეგიონი (Rhegium), მილა (Mylae). შემდეგ საუკუნეში ჩნდება ჰიმერა (Himera), სელინუნტი (Selinus) და აკრაგანტი (Acragas). ბერძენი ვაჭრები და კოლონისტები, რომლებიც მიიმართებოდნენ იმ გზებით ფინიკიელებმა და ამათზე უფრო ადრე ეგეოსელებმა რომ გაიკვლიეს, ზედიზედ იპყრობდნენ აქაურ პუნქტებს, მიდიოდნენ „ვერცხლის მდინარე“ ბეტასამდე (Baetis — გვადალკვივირია) ესპანეთში და, შესაძლებელია, ატლანტის ოკეანეშიაც კი გადიოდნენ.

ფინიკიური ქალაქების გამაერთიანებელ მოძრაობას სათავეში ედგა კ ა რ თ ა გ ე ნ ი. თავდაპირველად სუსტი კართაგენის ფედერაცია თანდათან გადაიქცა კართაგენის ძლიერ სახელმწიფოდ, რომელსაც ქალაქი კართაგენი მესვეურობდა, ხოლო კართაგენის წინანდელი მოკავშირეები კართაგენის ქვეშევრდომებად იქცნენ. VII — VI საუკუნეთა დროის საერთაშორისო სიტუაცია ხელს უწყობდა კართაგენის ძლიერების ზრდას. თვითონ ქალაქი კართაგენი, კართაგენის სახელმწიფოს მესვეური, შეიქნა ხმელთაშუა ზღვის მსოფლიო ნავსადგურად, სწრაფად მრავლდებოდა და იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, ვითარდებოდა ვაჭრობა, ხელოსნობა და კულტურა. ქალაქის გარშემო გაშენებული იყო მარცვლეულისა და ბაღ-ბოსტნეულის პლანტაციები, რომელთაც ამუშავებდნენ მონები და ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი მოსახლეობა შესდგებოდა ეგვიპტელების მონათესავე ლიბიელებისგან და მათ მახლობელ ხალხებისგან; ესენი იყვნენ მავრიტანელები, ნუმუდიელები და გეტულები (gaetuli), რომელთა ჩამომავლებს წარმოადგენენ ბერბერები; ეს მკვიდრი მოსახლეობა ჩამოაქვეითეს დამოკიდებულ წვრილ მოიჯარადრეთა მდგომარეობამდე და ახლა იგი კართაგენელ ბატონებს აძლევდა შემოსავლის ნაწილს და მოვალეც იყო ჯარში ემსახურნა. კართაგენელების სამფლობელოები აფრიკაში აღმოსავლეთით აღწევდა უდაბნოთა ზოლამდე, ხოლო დასავლეთით — თვით ატლანტის ოკეანეზე გადიოდა.

კართაგენი მთელ ანტიკურ მსოფლიოში ითვლება მონათფლობელობის კლასიკურ ქვეყნად, რომელმაც გამოიმუშავა ექსპლოა-

ტაციის უაღრესად სრულყოფილი მეთოდები. მონათფლობელურმა სისტემამ კართაგენში მიიღო მეტად ფართო განვითარება და წასაბაძ მაგალითად გახდა იგი სიცილიელ ბერძნებისა და რომაელებისათვის. კართაგენში არსებობდა განვითარებული სპეციალური ლიტერატურა სოფლის მეურნეობის დარგში, მსხვილ მონურ პლანტაციათა ორგანიზაციის შესახებ, სადაც დასახელებული იყო მონური შრომის გამოყენების უფრო რაციონალური მეთოდები. ასეთი იყო, მაგალითად, კართაგენელი მაგონის (Mago) ტრაქტატი, რომელიც თარგმნილ იქნა ლათინურ ენაზე და საფუძვლად დაედვა ჩვენთვის ცნობილ რომაულ თხზულებებს აგრონომიის დარგიდან.

კართაგენის ეკონომიური ძლიერება მდგომარეობდა მის ს ა შ უ ა მ ა ვ ლ ო ვაჭრობაში. კართაგენი იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში ნედლი მასალის განმანაწილებელი ცენტრი. ცენტრალური აფრიკიდან სირტას ნაპირებისკენ მოდიოდა საქარავნო გზა, რომლითაც დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მონები და მოეზიდებოდნენ ოქროს, სპილოს ძვალს და ტყავეულობას. სარდინიას მოჰქონდა აქ პური, ვერცხლი და სპილენძი. ესპანეთი განთქმული იყო კალით, რკინითა და ქარვით, რაიც ჰადესში ჩრდილოეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა. სავაჭრო მონოპოლია და ბაჟები შეადგენდნენ კართაგენელების შემოსავლის მთავარ წყაროს და კართაგენელებიც ამას იცავდნენ ყოველივე იმ საშუალებით, რაც კი მათ განკარგულებაში მოიპოებოდა. კართაგენელები, თუ წააწყდებოდნენ უცხოურ გემხომალდებს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში, სარდინიიდან ესპანეთამდე, ტყვედ ჩაიგდებდნენ ან კიდევ პირდაპირ ჩასძირავდნენ ხოლმე.

კართაგენის ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა და კართაგენელთა მოგზაურობის მოცულობის შესახებ მოწმობს კართაგენის ერთი შესაწირავი წარწერა V საუკუნისა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ბერძენთა გადმოცემით. წარწერაში მოთხრობილია კართაგენელი მეზღვაურის ჰანონის (Hanno) ექსპედიციის ამბავი; მას უმოგზავრია აფრიკის დასავლეთ სანაპიროს გაყოლებაზე სამხრეთის მიმართულებით სენეგალამდე. ჰანონს სამოცი ძლიერი ორმოცდაათნიჩბიანი გემით წაუყვანია 30 ათასი კოლონისტი, კაცი და ქალი, და გადმოჰყავდა ისინი ნაპირის სხვადასხვა ადგილებში კოლონიათა და ფაქტორიების დასაარსებლად. ჰანონის მსგავსი ექსპედიციები, როგორც ჩანს, კართაგენელებს არაერთხელ მოუწყვიათ. ამ მხრივ კართაგენელები, რომელთაც გამოიკვლიეს არა მარტო სანაპირო ზოლი, არამედ აფრიკის ხმელეთის შინა ნაწილებიც, ნამდვილი წინამორბედები იყვნენ

პორტუგალიელებისა. კართაგენის ვაჭრობის ხასიათს გვაცნობს ჩვენ ჰეროდოტეს ქვემორე მოყვანილი აღწერილობა.

„ლიბიაში არის ქვეყანა და ხალხი ჰერკულესის სვეტების იქითა მხარეს; მათთან სავაჭროდ მისული კართაგენელები გემებიდან გადმოტვირთავენ თავიანთ საქონელს, აწყობენ მას ერთიმეორის გვერდით ზღვის ნაპირას, მერე ბრუნდებიან თავიანთ გემებზე და აჩენენ ბოლს. შენიშნავენ თუ არა ბოლს, ადგილობრივი მცხოვრებნი მოემართებიან ზღვისკენ, საქონლის მაგიერ სტოვებენ ოქროს და უკან მიდიან. კართაგენელები გამოდიან ხმელეთზე და სინჯავენ, საკმაო რაოდენობით არის დატოვებული თუ არა ოქრო საქონლის ნაცვლად; თუ ოქრო საკმარისია, იგი მიაქვთ და ზღვით უკან ბრუნდებიან, ხოლო თუ საკმაო რაოდენობით არაა, მაშინ ხელახლა ადიან გემებზე და იქ ელიან; ადგილობრივი მცხოვრებლები კვლავ გამოჩნდებიან ნაპირზე და იმდენ ოქროს უმატებენ, რომ კართაგენელები დააკმაყოფილონ“ [1].

კართაგენის რესპუბლიკის პოლიტიკურ კონსტიტუციას აქვს მსგავსი ნიშნები XV საუკ. ვენეციის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან. კართაგენის მთავარ პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა სახელმწიფოს დიდი საბჭო, ანუ ს ე ნ ა ტ ი (ვენეციელების consiglio grande), 300 კაცისგან შემდგარი, კართაგენელი პატრიციატის — მსხვილი მიწათმფლობელების, ფინანსისტების, ვაჭრებისა და მდიდარი ხელოსან-მონათმფლობელების — ორგანო. დიდ საბჭოსთან ერთად იყო მ ც ი რ ე ს ა ბ ჭ ო, 30 კაცისგან შემდგარი, რომელიც წინასწარ იხილავდა იმ საქმეებს, დიდი საბჭოს განსახილველად რომ გადადიოდა. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ას ოთხის ს ა ბ ჭ ო, საკონტროლო ორგანო, რომელიც იდეით მოგვაგონებს სპარტის ეფორატს, იღებდა სამსახურმოხდილ მოხელეებისგან ანგარიშს და უკანასკნელ ინსტანციაში სწყვეტდა იურიდიულ საქმეებს. კართაგენში არსებობდა აგრეთვე ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა, რომელიც ირჩევდა თანამდებობის პირთ და ფორმალურად ითვლებოდა რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოდ.

უმაღლესი პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელობა იყო პენტარქიის, ხ უ თ ი ს ს ა ბ ჭ ო ს, ხელში, რომელიც წარმოადგენდა კართაგენის პლუტოკრატიის არამრავალრიცხოვანი გავლენიანი და მდიდარი სახლების — ბარკიდების, ჰანონიდების (ანონიდების) და ზოგიერთი სხვა სახლის — ინტერესებს. კართაგენის პატრიციატის ინტერესები, რომელთაც სენატი განასახიერებდა, ყოველთვის რო-

[1] Herod., IV, 196.

და ემთხვეოდა პენტარქიაში განსახიერებული პლუტოკრატიის ინტერესებს, რაც საბაბს ქმნიდა ხშირი კონფლიქტებისათვის და აუძლურებდა კართაგენის რესპუბლიკის სამხედრო ძლიერებას.

აღმასრულებელი ძალა-უფლება კართაგენში ეკუთვნოდა ორ შ ე ფ ე ს ანუ სუფეტს (schofetim). კართაგენში სამოქალაქო ხელისუფლებასთან ერთად დიდ როლს თამაშობდნენ ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა რ დ ლ ე ბ ი, რომელნიც ეკუთვნოდნენ კართაგენის მეტად გავლენიან გვარებს. კართაგენის ჯარის ბირთვს შეადგენდნენ დაქირავებულნი; არმიის რაოდენობა უცნობია, მაგრამ იგი უეჭველად დიდი და მნიშვნელოვანი იყო. ფორმალურად სამხედრო ხელისუფლება გამოყოფილი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისგან, მაგრამ პრაქტიკაში სამხედრო სარდლები ყოველთვის ზეგავლენას ახდენდნენ სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებაზე. სამხედრო სფეროში სარდლებს ჰქონდათ განუსაზღვრელი რწმუნება, რაც მათ ხდიდა ნამდვილ სამხედრო დიქტატორად და ფართო ასპარეზსა და გასაქანს აძლევდა პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. სარდლების გავლენა სავსებით დამოკიდებული იყო მათ სამხედრო წარმატებებზე, ჯარში მოპოებულ ავტორიტეტსა და სამხედრო ნადავლზე. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ისეთი შესანიშნავი სარდლების, — ერთსადაიმავე დროს გმირებისა და ავანტურისტების — გაჩენას, როგორნიც იყვნენ კართაგენში გავლენიანი გვარის ბარკას (ელვა) წევრები — ჰამილკარი, ჰანიბალი და ჰასდრუბალი. ტექნიკის მხრივ კართაგენის ჯარი დიდ სიმაღლეზე იდგა. კართაგენის არსენალები სავსე იყო საჭურველით, ჯარი აღჭურვილი იყო საუკეთესო სამხედრო მანქანებით და იარაღით. გარდა ამისა, კართაგენის სარდლების განკარგულებაში იყო 300 საბრძოლო სპილო, რომელიც ანტიკურ მსოფლიოში ასრულებდნენ თანამედროვე ტანკების როლს, და სამხედრო ფლოტი; იგი შესდგებოდა მრავალრიცხოვან დიდ ორმოცდაათნიჩბიანი გემებისაგან და ყველა გემი მომარაგებული იყო ღონიერი და კარგად გაწაფული მენიჩბეებით, მონათა რიგებიდან რომ იკრიბებოდნენ.

კართაგენის ჯარებში მსახურობდა სულ სხვადასხვანაირი ხალხი: ბერძნები, იტალიკები, მეტადრე სამნიტები (მარსები), გალები, ლიბიელები, ნუმიდიელები; თავისუფლები, აზატები და მონები. თვითონ კართაგენელები კი ანუ, როგორც მათ რომაელები უწოდებდნენ, პ უ ნ ე ბ ი (poeni — ფინიკიელები)—ვაჭრები და სხვადასხვა საქმის წამომწყებნი — სამხედრო სიმამაცით თავს ვერ მოიწონებდნენ და თითქმის არც მსახურობდნენ ლაშქარში. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როცა სიქმე მიდგებოდა საკუთა-

ური ქალაქის დაცვაზე, კართაგენელები იჩენდნენ დიდ ენთუზიაზმს და უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ. კართაგენის ფედერაციის სუსტ მხარედ, სამხედრო თვალსაზრისით, ითვლებოდა სამფლობელოთა გაფანტულობა და მასში შემავალ ქალაქთა ინტერესების წინააღმდეგობა [1].

კართაგენის სოციალურ წყობასა და იდეოლოგიაში შემორჩენილი იყო ათასგვარი გადანაშთი და არქაიზმი, რაც მას აახლოებდა ძველ სპარტასა და ფინიკიასთან. კართაგენის მოსახლეობა დანაწილებული იყო მრავალ წვრილწვრილ ასოციაციად და ძმობად (circuli et convivia), რომელთა წევრები ერთად თაყვანიცემდნენ საზიაროდ სადილობისა, დასვენებისა და საუბრისათვის. ყველაზე უფრო მეტი არქაული ნიშანი დარჩა კართაგენელთა სარწმუნოებაში, რომელიც ენათესავება ძველ ფინიკიურ (ქანაანურ) სარწმუნოებას. კართაგენის მთავარ ღვთაებად ირიცხებოდა ტანიტი, მთვარის ქალღმერთი; ღმერთი, რომელიც მარად ჩნდება და მკვდრეთით დგება, იყო ეშმუნი. ფინიკელების რელიგიური წარმოდგენანი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა. კართაგენის ისტორიის ბოლო ხანამდე შერჩენილი იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი. ხელოვნებასა და მეცნიერებაში კართაგენელები მისდევდნენ აღმოსავლურსა და ბერძნულ ნიმუშებს და ამ მხრივ არაფერი თვალსაჩინო და თავისებური არ შეუქმნიათ მათ. კართაგენური ენა ნაკლებ ცნობილია, გადარჩენილი კართაგენური წარწერები მეტწილად ძალიან მოკლე და ნაკლებ გამომხატველია [2].

2. პირველი პუნიკური ომი

კართაგენის სამფლობელოები გადაჭიმული იყო ხმელთაშუაზღვის მთელ დასავლეთ ნაწილზე. ყველგან აღმართული იყო კართაგენის ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. აფრიკის სანაპიროზე კართაგენელებს ეკუთვნოდა ლეპტისი (ლეპტიდა), ჰადრუმეტი, თაფსუსი, ჰიპონი; ატლანტის ნაპირზე — ლიქსი, ტინგისი და მავრიტანიის ახალშენები. ესპანეთში კართაგენს ეკუთვნოდა ჰადესი, მალაკა და ალბერა. მოიქცეს თუ არა თავიანთი გავლენის ქვეშ სარდინიისა და ტირენის ზღვათა კუნძულები, კართაგენელებმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრეს სიცილიას. V საუკ.-დან იწყება კართაგენის სისტემატური მეცადინეობა სიცილიაში განმტკიცებისა. მაგრამ

[1] O. Meltzer, Geschichte der Karthager, 2.

[2] Contenau, La civilisation phénicienne, 1926; G. de Sanctis, Storia dei Romani, t. II—III, 1913

პირველ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია: კართაგენის სარდალი ჰამილკარი, მაგონის სახლიდან, ჰიმერასთან 480 წ. სასტიკად დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაეცა კიდეც. V ს. ბოლოდან მოკიდებული კართაგენელთა საქმეები უფრო წარმატებით წარიმართა, 405 წ. აღებულ იქნა სირაკუზის შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ქალაქი სიცილიისა აგრიგენტი (აკრაგანტი). III ს. დასაწყისისთვის მთელი სიცილია, ორი ქალაქის — სირაკუზისა და მესანას გამოკლებით, რომლებიც სიცილიის სრუტეში მდებარეობდნენ, — დამორჩილდა კართაგენის ჰეგემონიას. სიცილიის იმდროინდელი გამგებელი იყო ტირანი ჰიერონ II, ხოლო მესანა იყო თავისუფალი ქალაქი, რომელიც მდებარეობდა კართაგენისა და რომის სამფლობელოთა საზღვარზე.

კართაგენელების გავრცელება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით შიშს იწვევდა რომში, რომელსაც ეფიქრებოდა სამხრეთ იტალიაში მდებარე თავისი სამფლობელოებისა, ეპვგარეშე იყო, რომ, თუ ვინიცობაა კართაგენელები ხელთ ჩაიგდებდნენ სიცილიას და მესანა დაეცემოდა, რომი მოექცეოდა კართაგენის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების სამფლობელოთა წრეში. ამასთან ერთად აგრესია წარმოებდა რომაელების მხრიდანაც, რომელნიც დიდი საბერძნეთის დაუფლების შემდეგ მიისწრაფოდნენ სიცილიაში განმტკიცებისაკენ და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საშუამავლო ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის[2].

„იმ ხანძრის მსგავსად, რომელიც ჰბუგავს მის გზაზე მდებარე ტყეებს და მდინარის პირას მისული დროებით შენელდება ხოლმე, ასევე რომაელი ხალხიც, იტალიის დამამარცხებელი, მივიდა თუ არა სრუტემდე, ერთი წუთით შეჩერდა. მაგრამ მალე თავისი თვალი სიცილიის მიმართულებით მიაპყრო. ეს იყო მდიდარი ნადავლი, რომელიც ცხვირ წინ ედო და თითქოს მოწყვეტილი იყო იტალიის ხმელეთს (opulentissimam in proximo praedam quodam modo Italiae suae abscisam et quasi revolsam). ის აღიგზნა სურვილით სიცილია კონტინენტისთვის დაებრუნებინა. ფიქრობდნენ, რომ ომი და იარაღი გააკეთებდნენ იმას, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს ვერც ხიდებმა და ვერც გზებმა“[3].

რომსა და კართაგენს შორის უსიამოვნება მას მერე უფრო უნდა გაძლიერებულიყო, როცა რომი ტარენტუმთან ომის შემდეგ

---

[1] Polyb., 1, 10.
[2] Ibid., 1, 11.
[3] Flor., II, 2.

აღმოჩნდა სამხრეთი იტალიის ბერძნული ახალშენების სათავეში. ასეთი იყო ის ზოგადი პირობები, რომელთაც გაამწვავეს ურთიერთობა ხმელთაშუაზღვეთის ორ დიდ სახელმწიფოს შორის, პირველად რომ მოკავშირეები და მეგობრები იყვნენ, ხოლო შემდეგში უბოროტეს მტრებად გადაიქცნენ [1].

პირველი კართაგენის, ანუ პუნიკური, ომის საბაბად იქცა დ ა ვ ა მ ე ს ა ნ ა ს ა თ ვ ის. იტალიკელ მოქირავნეთა რაზმი, რომელიც შესდგებოდა საბელთა ტომის მამერტინელებისგან, ე. ი. ღმერთი მარსის შვილებისგან, სახლში დაბრუნების დროს გზად დაიპყრობს ქალაქ მესანას და მას დაარბევს. მამერტინელების წინააღმდეგ გამოვა სირაკუზის ტირანი ჰიერონი და ალყას შემოარტყამს მესანას. ამით შეშინებული მამერტინელები გაგზავნიან ერთდროულად დესპანებს კართაგენთანაც და რომთანაც და სთხოვენ მათ დახმარებას და მფარველობას.

რომში „მარსის შვილთა" წინადადებამ, რომელთაც ყაჩაღების სახელი ჰქონდათ გავარდნილი, გამოიწვია მერყეობა და ეჭვები. სენატი მზად იყო მამერტინელებისთვის თხოვნაზე უარი ეთქვა და მხოლოდ კამპანიელ და სამნიუმის მხედრების ოტაცილიების Otacilii), — ბენევენტუმიდან რომ იყვნენ, — და კამპანიიდან ჩამომავალ ატილიების (Attilii) დაჟინებითი მოთხოვნით, — რომელნიც სხვებზე მეტად იყვნენ დაინტერესებული ხმელთაშუაზღვის ვაჭრობის საკითხით,—მამერტინელების თხოვნა შეწყნარებულ იქნა.

აგრესიულ პოლიტიკას მხარს უჭერდა აგრეთვე რომის პლუტოკრატიაც (მხედრები), რომელმაც აიყოლია რომის პლებსი, ერთის მხრივ იმით, რომ უხატავდა მას ნაყოფიერი კუნძულის ხელში ჩაგდების პერსპექტივას, მეორის მხრივ იმით, რომ აშინებდა პუნების საფრთხით.

რომის სენატის დიდი ნაწილი კი, რომელსაც შეადგენდნენ ხმელთაშუაზღვეთის ვაჭრობით ნაკლებ დაინტერესებული მიწათმფლობელები, ომის წინააღმდეგი იყო, და მხოლოდ კომიციათა ზეგავლენით სენატი დათანხმდა სამხედრო მოქმედებათა დაწყებაზე [2].

დადგენილი იყო მესანაში გაეგზავნათ კონსული აპიუს კლავდიუსი მცირე ჯარით, ორი ლეგიონის შემადგენლობით. აპიუს კლავდიუსი მესანაში მივიდა იმ დროს, როცა ქალაქი უკვე პუნელი

---

[1] O. Meltzer, Geschichte der Karthager.

[2] რომის პოლიტიკაში აგრარულ და პლუტოკრატიულ ინტერესთა სხვაობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ედუარდ მაიერი (Ed. Meyer, Kleine Schriften, 2, 376).

სარდლის ჰანონის გამგებლობაში იყო, რომლის მხარეზეც გადავიდა კიდეც სირაკუზის ტირანი ჰიერონი. მაგრამ მას მერე, რაც რომაელებმა მოახერხეს ჰანონის იქიდან გამოდევნა , ჰიერონი კვლავ რომაელებს მიემხრო იმის შიშით, რომ სირაკუზი არ დაჰკარგოდა და ხელისუფლებაც შეენარჩუნებინა. 262 წ., ე. ი. ორი წლის შემდეგ რაც ომი დაიწყო, რომაელები, ჰიერონით მხარგამაგრებულნი, შეუდგნენ ა გ რ ი გ ე ნ ტ ი ს გარემოცვას, — ეს იყო სიცილიის ერთ-ერთი მეტად დიდი ქალაქი, კარგად გამაგრებული ბუნებითა და ხელოვნური ნაგებობებით. აგრიგენტის გარემოცვა, რომელსაც იცავდა ორი პირველხარისხოვანი კართაგენელი სარდალი, ჰანიბალი (ჰისგონის შვილი) და მის დასახმარებლად ჩამოსული ჰანონი, ხუთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რომაელებს მრავალ მსხვერპლად და სახსრად დაუჯდათ, მაგრამ მაინც ბოლოს რომის გამარჯვებით დამთავრდა. აგრიგენტი აღებულ იქნა და თითქმის საძირკვლამდე დაანგრიეს. აგრიგენტის ხანგრძლივმა გარემოცვამ და კართაგენელების მხრივ სამხრეთი იტალიის ნაპირების ბლოკადამ რომაელები დაარწმუნა იმაში, რომ აუცილებლივ საჭირო იყო მათი ფლოტის რიცხვის გაზრდა და მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. ეს იყო რომის ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი, რომელზედაც დამოკიდებული იყო რომის რესპუბლიკის მთელი შემდგომი დროის სვეტედი. მანამდე რომაელებს არ ჰქონდათ საკუთარი ფლოტი, ისინი სარგებლობდნენ თავიანთი მოკავშირეების ხომალდებითა და ეკიპაჟით, მეტადრე სამხრეთელ ბერძენთა ხომალდებითა და ეკიპაჟით. მაგრამ არც მოკავშირეთა ფლოტი იდგა სათანადო ტექნიკურ სიმაღლეზე. იმ დროს, როდესაც კართაგენში აგებდნენ ძალოვან ხუთრიგა გემებს (პენტერებს), იტალიელი მოკავშირეების ფლოტი შესდგებოდა ძველი კონსტრუქციის ოთხრიგა გემებისგან (ტრიერებისგან). სახელმწიფო და კერძო სახსრების დიდი დაძაბვით რომაელებმა მაინც შესძლეს ბერძენი ინსტრუქტორების დახმარებით 120 დიდი გემისგან შემდგარი ფლოტილიის აგება, ამასთანავე კაენებიანი საბორდაჟო (გადასაგდები) ხიდების შემოღებით ეს გემები შეუფარდეს სახმელეთო ბრძოლის პირობებს. საბორდაჟო ხიდებიან გემებზე ლეგიონერები ისევე იბრძოდნენ, როგორც ხმელეთზე, ინარჩუნებდნენ რა აქ ხელჩართული ბრძოლის ყველა უპირატესობას.

260 წელს კონსულმა გაიოს მარკოს დუილიუსმა (Gaius Marcus Duilius), რომელიც იყო პლებეების წრიდან, ლიპარის კუნძულების ახლოს, მილასთან მოიპოვა პირველი დიდი საზღვაო გამარჯვება კართაგენის ძლიერ ფლოტზე. „ეს იყო უცხო სანახაობა, როცა ადამიანი უმზერდა, თუ ჩვენი მძიმე და ტლანქი, უხეში გემე-

ბი როგორ აჩერებდნენ სწრაფლმავალ, თითქოს ზვირთებზე მფრინავ, მტრის გემებს. კართაგენელებს ვერ უშველა ვერც მათმა ზღვაზე გამოცდილებამ, ვერც მოწინააღმდეგის გალერების დანგრევა-შემუსვრის სიმარჯვემ და თავიანთი გემების სისწრაფის გამო თავმოწონებამ ამ გალერების წინაშე. მაშინ მათ თავზე დაემხოთ რკინის კავები და საშინელი მანქანები (ferrae manus machinaeque validae), რომელთაც ისინი დასცინოდნენ, სანამ მათ გაეცნობოდნენ, და ისინი აიძულეს ებრძოლათ როგორც ხმელეთზე. მოწინააღმდეგის ფლოტი ნაწილობრივ ჩაიძირა, ნაწილობრივ კი გაიქცა [1].

მილასთან გამარჯვება იყო არა მარტო რომის ფლოტის გამარჯვება, არამედ დემოკრატიული პარტიის გამარჯვებაც, იმ პარტიისა, რომელიც მოითხოვდა თავის მოვაჭრე მეტოქესთან ომის ენერგიულ წარმოებას. დუილიუსის პატივსაცემად რომში მოეწყო „საზღვაო ტრიუმფი" (triumphus navalis) და აღმართულ იქნა სვეტი, შემკული გემთა რკინის ქიმებით (columna rostrata Duilii). ამ სვეტზე ამოკვეთილ წარწერაში ლაპარაკია იმაზე, რომ დუილიუსმა ნადავლის სახით ხაზინაში შეიტანა თანხა რამოდენიმე მილიონი სპილენძის ასსის რაოდენობით. ამის ჯილდოდ დადგენილი იყო რომ, როცა დუილიუსი ღამით ვახშმიდან შინ დაბრუნდებოდა, მას წინ უნდა გასძღოლოდნენ მოსამსახურე ჩირაღდნით და მუსიკოსი, რომელიც ფლეიტაზე დაუკრავდა.

იმავე მილიტარისტულად განწყობილ ჯგუფების ზეგავლენით მიღებულ იქნა საომარ მოქმედებათა თეატრის თვითონ კართაგენის ტერიტორიაზე გადატანის გეგმა. 256 წ. კონსულმა მარკოს ატილიუს რეგულუსმა (M. Attilius Regulus) 330 ტრიერისა და პენტერისგან შემდგარი ფლოტითა და 140 ათასი ჯარით დაიწყო გაბედული ექსპედიცია აფრიკაში. რომის ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებამ ეკნომუსთან (Ecnomus) სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში რეგულუსს გაუხსნა გზა აფრიკისკენ. რეგულუსმა ჯარი გადმოსხა აფრიკის სანაპიროზე და ერთი ზამთრის განმავლობაში დაიპყრო 70-ზე მეტი კართაგენის მორჩილებაში მყოფი ქალაქი და დაბა. რომაელების ასეთი მოულოდნელი მოქმედებით თავგზააბნეული კართაგენელები მზად იყვნენ ზავი დაედოთ მოწინააღმდეგესთან, მით უფრო, რომ რეგულუსმა შესძლო კართაგენელი პლანტატორების წინააღმდეგ აემხედრებინა ლიბიის ხალხები. კართაგენის შიერ შეთავაზებული საზავო პირობები რეგულუსმა უარჰყო, რადგან მას იმედი ჰქონდა მტრის სრული განადგურებისა. მაგრამ რეგუ-

[1] Flor., II, 2.

ლუსის წარმატებანი ამაზე შეწყდა. ერთის მხრივ, რომის სენატს შიში ჰქონდა ჯარის სარდლების გავლენის გაძლიერებისა და არც სურდა საომარ მოქმედებათა ასპარეზის გაფართოება, და ამიტომ რომის ჯარის დიდი ნაწილი უკან გაიწვია, ხოლო, მეორის მხრივ, კართაგენი კავშირით შეეკრა დაქირავებული ჯარის წინამძღოლს სპარტელ ქსანტიპეს, რომელმაც თავისი სამსახური კართაგენს შესთავაზა. 255 წ. მომხდარ ბრძოლაში რომაელები დამარცხებულ იქნენ და თვითონ რეგულუსიც ტყვედ ჩაიგდეს კართაგენელებმა. რეგულუსის მთელი არმიიდან 2.000 კაცზე მეტი აღარ გადარჩენილა, დანარჩენი კი ბრძოლის ველზე დაიღუპა, სპილოების მიერ იქნა გასრესილი, ან უკვალოდ დაიკარგა. ყველაფერს ამას ზედ დაემატა ის, რომ იტალიაში გაბრუნებული რომაული ფლოტი ქარიშხალმა გაანადგურა.

რეგულუსის შემუსვრამ გავლენა იქონია სიცილიის მდგომარეობაზედაც. ხუთი წლის (254 — 249) მანძილზე სიცილიაში ბრძოლა რომაელებსა და კართაგენელებს შორის წარმოებდა ცვალებადი წარმატებით. ბოლოს, 250 წ. კონსულმა ლუციუს ცეცილიუს მეტელმა პანორმუსთან მოახერხა კართაგენელი სარდლის ჰასდრუბალის დამარცხება და სპილოთა იერიშის მოგერიება. და მაინც, მიუხედავად ცალკეულ წარმატებათა, რომაელების მდგომარეობა სიცილიაში წლითი-წლობით უარესდებოდა, მეტადრე გაუარესდა მას მერე, როცა სიცილიაში ჩავიდა კართაგენის სახელგანთქმული სარდალი ჰამილკარ ბარკა, ჰანიბალის მამა, ძლიერი ჯარით. მიუვალ ბუნებრივ ერიქსის (Eryx) ციხე-სიმაგრეში, ჩრდილო-დასავლეთ სიცილიაში გამაგრებული ჰანიბალი თავისი ფლოტის დახმარებით იტალიის ნაპირებს მიადგა და ანადგურებდა. რომაელების მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. რომის ჯარი სავსებით ღონემიხდილი იყო, ბევრს განიცდიდა უხეირო მომარაგების, ავადმყოფობისა და დანაკარგის წყალობით. ოცი წლის ომის განმავლობაში რომაელებმა დაჰკარგეს დაახლოებით 400 ათასი კაცი, ამათში ზოგი მოიკლა და ზოგიც ტყვედ იქნა წაყვანილი.

როგორც პუნიკური ომებისა და მომდევნო საუკუნეებში მომხდარ ომების ერთერთი თავისებურება, უნდა აღინიშნოს ს ა მ ხ ე დ რ ო ტ ყ ვ ე ე ბ ი ს მ ა ს ო ბ რ ი ვ ა დ ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა. სამხედრო ტყვეებს, განსაკუთრებით ხელოსნებს, მონებად აქცევდნენ ხოლმე ან კიდევ, თუ დიდ გამოსახსნელ თანხას მისცემდნენ, სახლში უშვებდნენ. მონათა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. სიცილიაში აგრიგენტთან ბრძოლის შემდეგ (262 წ.) რომაელებმა მონებად გაჰყიდეს 25 ათასი კაცი, პანორმუსის კაპიტულაციის შემდეგ (250 წ.)

ქალაქის 27 ათასი მოსახლეობიდან 14 ათასი გაყიდულ იქნა მონებად.

რომის მდგომარეობა კრიტიკული იყო და მაინც დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა, მოახერხა სახსრების გამონახვა, აღფრთოვანების გამოწვევა და ფულის სესხის აღება ომის გაგრძელებისათვის საჭირო ფლოტის ასაშენებლად. მოპოებული სახსრებით გამზადებული და შეჭურვილი იყო 200 პენტერა 60 ათასიანი ეკიპაჟით.

ამ ფლოტით კონსული გაიოს ლუტაციუს კატული (C. Lutatius Catulus) გავიდა სიცილიაში და მოულოდნელი თავდასხმით უბრძოლველად ხელთ იგდო კართაგენის მთავარი ნავსადგურები დრეპანა და ლილიბეუმი (242 წ.). ხოლო მომდევნო 241 წელს რომის ფლოტმა იმავე ლუტაციუს კატულის მეთაურობით ბრწყინვალედ გაიმარჯვა კართაგენის ესკადრაზე ეგატის კუნძულებთან. სურსათ-სანოვაგით, იარაღით, მანქანებითა და ხალხით დატვირთული კართაგენული გემები ჩაიძირა ან კიდევ ტყვედ ჩაიგდეს რომაელებმა. ეგატის კუნძულებთან მომხდარმა მარცხმა წინასწარვე განსაზღვრა ომის მსვლელობა და თვითონ კართაგენის ბედ-იღბალი. „ისე მოჩანდა, თითქოს კართაგენის ფლოტი მთელ კართაგენს შეიცავდა. ფლოტის დამარცხება მიზეზი იყო მისი დაღუპვისა" (in ea quasi tota Carthago, quod ipsum exitio fuit).[1] კართაგენს მოწყვეტილი ჰამილკარი სიმშილის წყალობით იძულებული შეიქნა იარაღი დაეყარა და ზავი დაედვა. საზავო ხელშეკრულების ტექსტი, პოლიბიუსის ჩანაწერის მიხედვით, შემდეგს მეტყველებდა:

„ქვემორეხსენებულ პირობებში, თუ კი ისინი ენებება რომის ხალხს, უნდა იქნეს მეგობრობა კართაგენელებსა და რომაელებს შორის: კართაგენელები მოვალენი არიან მთელი სიცილია დასცალონ, არ აუტეხონ ომი არც სირაკუზელებს და არც მათ მოკავშირეებს, რომაელებს მისცენ გამოუსყიდავად ყველა ტყვე და ოცი წლის განმავლობაში გადაუხადონ რომაელებს ორი ათას ორასი ფინიკიური ტალანტი ვერცხლი"[2].

კართაგენისადმი წაყენებული პირობები რომში ძალიან ზომიერ პირობებად ეჩვენათ და ამის საფუძველზე კომიციებმა ისინი უარჰყო. ახალი პირობები თვალსაჩინოდ უფრო მძიმე იყო: გადახდის ვადა 20 წლიდან 10 წლამდე შეუმოკლეს, ხოლო საკონტრიბუციო თანხა გაზარდეს 3.200 ტალანტამდე (დაახლ. 6 მლნ. მან. ოქროთი). მიუხედავად იმისა, რომ წაყენებული პირობები მეტად მძიმე და

[1] Flor, II, 2.

[2] Polyb., Historiae, I, 62, 8—9.

დამამცირებელი იყო, კართაგენს არ შეეძლო ზავზე უარის თქმა. კართაგენის რესპუბლიკა საერთო რევოლუციის საფრთხის წინაშე იდგა. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული იყო, კართაგენის ხაზინის შემოსავლის მთავარი წყარო — სავაჭრო ბაჟები — დაიშრიტა. ამის გამო მოუხდათ ლიბიელ-ნუმიდიელ მოიჯარეებზე შეწერილი გადასახადის ერთი-ორად გადიდება და დაქირავებულ ჯარისთვის ჯამაგირის გაცემის შეწყვეტა.

წინამძღოლად ლიბიელ-ნუმიდიელი გლეხობის, მწყემსებისა და მონების აჯანყებისა, — რამაც თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა 70 ათასი კაცი, — იყო ლიბიელი მათონი (Matho). ლიბიელი გლეხებისა და მონების აჯანყება მით უფრო მრისხანე იყო, რომ იგი დაემთხვა დაქირავებული ჯარის ამბოხს, რომელიც ჯამაგირს მოითხოვდა. 240 წ. ინსურგენტებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი ქალაქები და კართაგენსაც ალყა შემოარტყეს. მათ შეუერთდნენ აფრიკელი ქალაქები უტიკა და ჰიპონი, რომელთაც ემძიმებოდათ კართაგენის ჰეგემონია. აჯანყებულ დაქირავებულ ჯარს სათავეში ედგა კამპანიელი, ყოფილი მონა სპენდიუსი (Spendius). აჯანყება მოედვა სარდინიას, გრძელდებოდა დაახლოებით 3 წლამდე და ძლივსძლივობით ჩააქრო სიცილიიდან გამოწვეულმა ჰამილკარ ბარკამ (ელვამ). ამ დროს მოხდა ერთი ეპიზოდი, რომელმაც უფრო მეტად გააუარესა კართაგენის მდგომარეობა. კართაგენის გუშაგებმა ხელთ იგდეს 500 იტალიელი ვაჭარ-კონტრაბანდისტი, რომელნიც აჯანყებულებს ამარაგებდნენ სურსათ-საწოვაგით და იარაღით. რომის სენატმა მოითხოვა ტყვედ წაყვანილების დაუყოვნებლივ გათავისუფლება, ხოლო კართაგენელებმა ვერ გაბედეს უარისთქმა და ამასთანავე უფრო მძიმე მოთხოვნილებათა შესრულება იკისრეს. რომის ხელში გადასასვლელ კუნძულების რიცხვში, ხელშეკრულების თანახმად, ახლა შედიოდა აგრეთვე კორსიკა და სარდინია. გარდა ამისა, კართაგენი კისრულობდა გადაეხადა დამატებითი თანხა 200 ტალანტის რაოდენობით გარდა იმ თანხისა, რაც გადაწყვეტილი იყო 241 წ. ხელშეკრულებით. კართაგენის პლუტოკრატიას დათმობას უკარნახებდა შინაგანი მდგომარეობის მრისხანე საშიშროება. მას მერე, რაც კართაგენის პლუტოკრატიას ხელ-ფეხი გაეხსნა, მთელი ყურადღება ახლა მიაქციეს აჯანყების ჩაქრობას. სპენდიუსი და მათონი დამარცხებულ იქნენ. ხოლო ჰამილკარი თავისი გადარჩენილი ჯარით გადავიდა ესპანეთში.

3. III ს. 40 — 30 წლების რეფორმები

III ს. პირველ ნახევარში დამყარებული ნობილიტეტისა და პლებსის ინტერესთა შედარებით სოლიდარობა, დაირღვა იმავე საუკუნის მეორე ნახევარში. მეორე პუნიკური ომის დასაწყისისას რომის საზოგადოებაში მოხდა ძირითადი ცვლილებები: განვითარდა ვაჭრობა, გაფართოვდა წარმოება, გაუმჯობესდა ფულის სისტემა, გაიზარდა სახელმწიფო მეურნეობა, გაძლიერდა მოვაჭრე და ფულადარი ზედაფენების (მხედრების) გავლენა. ომმა გაზარდა ნობილიტეტისა და მხედრების სოციალურ-ეკონომიური წონა და ეკონომიური ბაზისი შეურყია საშუალო შეძლებისა და აგრეთვე წვრილ მიწათმფლობელებს. ხალხის მძიმე დანაკლისი და ომის საწარმოებლად გაწეული ხარჯები მთელი თავისი სიმძიმით დააწვა სოფლის მოსახლეობას. უკვე თავი იჩინა მონათფლობელური მეურნეობის შედეგებმაც, იმ მეურნეობისამ, რომელიც სოციალურ-ეკონომიურ საძირკველს უთხრიდა საშუალო მწარმოებლებს. საკოლონიზაციო პოლიტიკა პუნიკური ომების დროს შესუსტდა და ამის გამო იხშობოდა მთავარი რეზერვუარი, რომელიც ანელებდა მიწის ნაკლებობის გასაჭირს. აგრარული საკითხი კვლავ მწვავე ხასიათს იღებდა და ისეთ ცენტრად ხდებოდა, რომლის ირგვლივაც ძაფრი სოციალური ბრძოლა წარმოებდა ოცი წლის მანძილზე, პირველსა და მეორე პუნიკური ომებს შორის.

აგრარული კანონის ინიციატორად და პლებსის წინამძღოლად 40 — 30-იან წლებში გამოდის სახალხო ტრიბუნი გ ა ი ო ს ფ ლ ა მ ი ნ ი უ ს ი (Gaius Flaminius), ჩამომავლობით მდიდარი პლებეი. ფლამინიუსის გამოსვლას წინ უძღოდა ცენტურიატული კომიციების პოლიტიკური რეფორმა. 241 წელს, გაიოს ავრელიუს კოტას და მარკოზ ფაბიუს ბუტეოს ცენზორობის დროს, გამოცემულ იქნა კანონი ც ე ნ ტ უ რ ი ა თ ა გ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შესახებ ტრიბათა რიცხვის შესაბამისად. ამ კანონის თანახმად, თითოეულ თანრიგს ანუ კლასს ჰქონდა 70 ცენტურია — ორ-ორი ცენტურია ყოველ ტრიბაზე (35×2). პირველი კლასის უპირატესობანი ისპობოდა, ხოლო თვით ცენტურიათა რიცხვი გაიზარდა 193-დან 373-მდე. ცენტურიათა ასეთი განაწილების პირობებში უმრავლესობის 187 ხმის მიღება შეიძლებოდა მარტო მაშინ, თუ პირველი სამი კლასი შეთანხმდებოდა, ხოლო წინათ კი ხმის მიცემის შედეგს სწყვეტდა მხედრების 18 ცენტურიისა და მხოლოდ ერთი პირველი კლასის უმრავლესობა, იმ კლასისა, რომელსაც ჰქონდა ცენტურიათა აბსოლუტური უმრავლესობა. მთლიანად და საერთოდ კი რომის კონსტიტუცია კვლავინდებურად არისტოკრატიული რჩებოდა.

მონებთან ერთად, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში მონაწილეობას სრულიად ჩამოცილებული იყვნენ, ორი უკანასკნელი კლასის უფლებები ფაქტიურად აგრეთვე ძალიან იყო შეზღუდული. ხმის მიცემის დროს ჩვეულებრივად ესენი მონაწილეობის გარეშე რჩებოდნენ. ყველაზე მეტი სარგებლობა 241 წლის რეფორმიდან მიიღო მ ე ს ა მ ე კ ლ ა ს მ ა — საშუალო შეძლების მიწათმფლობელებმა, რომელნიც მაშინ ეკონომიურად ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცე და მრავალრიცხოვანი იყვნენ და შეადგენდნენ რომის იმ არმიის საყრდენ ძალას, პიროსი რომ შემუსრა და კართაგენის სარდლის, ჰანიბალის, იერიშს რომ გაუმაგრდა. რომაელი გლეხ-ლეგიონერის სურათს, რომელმაც გაიარა ხანგრძლივი სამსახური და ცენტურიონის ხარისხი დაიმსახურა, გვიხატავს ტიტე ლივიუსი თავის „რომის ისტორიაში" საბინელი ს პ უ რ ი უ ს ლ ი გ უ ს ტ ი ნ ი ს სახით.

როცა სენატმა გამოაცხადა დაბალ სამეთაურო ხარისხის მქონე, 50 წელზე არახნიერი და სამსახურის ვადაგავლილი ცენტურიონების შეკრება, გამოვიდა ძველი ნამსახური ლიგუსტინე. თავის სიტყვაში ლიგუსტინემ დახატა სურათი საშუალო შეძლების მიწათმფლობელის, რომელიც „ოქროს საუკუნის" დროინდელ რომის რესპუბლიკისთვის სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა. „როცა კონსულმა თავის სათქმელი თქვა, სპურიუს ლიგუსტინემ, ერთერთმა იმ ცენტურიონთაგანმა, რომელნიც აპელაციით მიმართავდნენ სახალხო ტრიბუნებს, უწყო თხოვნა კონსულსა და ტრიბუნებს მიეცათ ნება მას ხალხისათვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა. ყველა დათანხმდა და იმანაც, როგორც გადმოგვცემენ, ასე ილაპარაკა:

„კვირიტებო, მე, სპურიუს ლიგუსტინე, ვეკუთვნი კრუსტუმინის ტრიბას, ხოლო გვარტომობით საბინელი ვარ. მამამ დამიტოვა ერთი იუგერი მიწა და პატარა ქოხი, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც დღემდე ვცხოვრობ. როცა მე სრულასაკოვანი შევიქენ, მამამ ცოლად შემრთო თავისი ძმისწული, რომელმაც თან მოიტანა მარტო ხასიათის კეთილშობილება, ქალწულება და იმდენი შვილი გამიჩინა, რამდენიც საკმაო იყო სავსებით მდიდარი სახლისთვის. ჩვენ გვყავს ექვსი ვაჟი და ორი ქალი, ეს ორივენი უკვე გათხოვილები არიან. ოთხმა ვაჟმა უკვე მიაღწია სრულწლოვანებას, ორი კი ჯერ ისევ მოზარდები არიან. სამხედრო სამსახურში შევედი პუბლიუს სულპიციუსისა და გაიოს ავრელიუსის კონსულობის დროს; ორი წელიწადი რიგის ჯარისკაცად ვმსახურობდი იმ ლაშქარში, რომელიც გაგზავნილ იქნა მაკედონიაში მეფე ფილიპეს დროს; სამსა-

ხურის მესამე წელიწადს ტიტე კვინქტიუს ფლამინინმა სიმამაცისათვის დამნიშნა მეომართა მეათე რაზმის ცენტურიონად, რომელიც შუბებით იყო შეიარაღებული. ფილიპესა და მაკედონელებზე გამარჯვების შემდეგ ჩვენ ჩამოგვიყვანეს უკან იტალიაში და სახლებში დაგვითხოვეს. დაუყოვნებლივ გავემგზავრე მოხალისედ ესპანეთში კონსულ მარკოზ პორციუსთან ერთად. ყველამ, ვინც კი მასთან და სხვა სარდლებთან დიდხანს მსახურობდა, იცის, რომ ყველა ახლანდელ სარდლებს შორის მასზე უკეთესად არავის შეეძლო სიმამაცის დანახვა და დაფასება. აი სწორედ ამ მთავარსარდალმა მცნო შუბებით შეიარაღებულ მეომრების პირველი რაზმის ცენტურიონის წოდების ღირსად.

მესამეჯერ, ისევ მოხალისედ, მე ვმსახურობდი იმ ჯარში, რომელიც გაიგზავნა ეტოლიელების და მეფე ანტიოქეს წინააღმდეგ. მარკოზ აცილიუსმა მე დამნიშნა „უმთავრესთა“ პირველი რაზმის პირველ ცენტურიონად. როდესაც ანტიოქე გაძევებულ იქნა, ხოლო ეტოლიელები მორჩილებაში იყვნენ მოყვანილი, ჩვენ კვლავ დავბრუნდით იტალიაში. შემდეგ მე ორჯერ ვმსახურობდი ლეგიონებში, რომელნიც დროშის ქვეშ დარჩნენ მარტო ერთ წელიწადს; ორჯერ ვიყავ ესპანეთში პირველად კვინტუს ფულვიუს ფლაკთან, ხოლო მეორედ — პრეტორ ტიბერიუს სემპრონი გრაქხთან. ფლაკმა სხვა მეომრებთან ერთად მეც, მამაცობის ჯილდოდ, წაიყვანა პროვინციიდან თავისი ტრიუმფისათვის რომში. ტიბერიუს გრაქხის თხოვნით მე მასთან ერთად წავედი პროვინციაში.

მცირე წელთა განმავლობაში მე ოთხჯერ ვიყავი პირველი რაზმის ცენტურიონი, სარდლებისგან მივიღე 34 ჯილდო მამაცობისათვის და 6 „სამოქალაქო“ გვირგვინი. ჯარში მე ვიმსახურე 22 წელიწადი და შობიდან ვარ 50 წელზე მეტი ხნისა. თუ ჩემი სამსახურის ვადა ჯერ არ გათავებულა, თუ ჩემი ხანი მე უფლებას არ შაძლევს არ ვიმსახურო, მაშინ მე, პუბლიუს ლიცინიუს, მაინც უნდა ვიქმნე განთავისუფლებული სამსახურისგან თუნდაც იმიტომ, რომ მე მაქვს შესაძლებლობა ჩემ მაგივრად 4 მეომარი გამოვიყვანო. მაგრამ მე გთხოვთ თქვენ, განიხილოთ ყოველივე ეს, როგორც ჩემი საქმის მოსარჩლე; თვითონ მე კი არასდროს არ დავიწყებ სამსახურზე უარისთქმას, თუ კი ის, ვინც ჯარებს აგროვებს, მე ვარგისად მიცნობს. რა წოდების ღირსად მიცნობენ მე სამხედრო ტრიბუნები — ეს მათი საქმეა, მე კი ვეცდები, რომ ჯარში ვაუკაცობით ჩემზე მაღლა არავინ იდგეს; და ჩემი სარდლები და თანამოსამსახურენი იმის მოწმენი არიან, რომ მე ყოველთვის ასე ვიქცეოდი. და თქვენც, ამხანაგებო, რომელთაც ახალგაზრდობაში არაფერი არ

გაგიკეთებიათ სათანამდებო პირთა და სენატის საწინააღმდეგო, ახლაც, თუმცა უფლება გაქვთ აპელაციისა, გმართებთ არ გაძოხვიდეთ სენატისა და კონსულის მორჩილებიდან და საპატიოდ მიიჩნიოთ ყოველი ის ადგილი, რომელზედაც ყოფნისას თქვენ დაიცავთ სახელმწიფოს“ [1].

კომიციების სოფლურ უმრავლესობაზე დამყარებული გ ა ი ო ს ფ ლ ა მ ი ნ ი უ ს ი 232 წ. გამოვიდა წინადადებით გამოეყენებინათ „გალების მიწათა ფონდი“ (ager Gallicus) რომაელი კოლონისტების დასასახლებლად. თუმცა სენატი სასტიკ ოპოზიციას უწევდა, ფლამინიუსი მაინც მტკიცედ იდგა თავის წინადადებაზე. ტრიბუტულ კომიციებში უმრავლესობა მის წინადადებას მიემხრო. ფლამინიუსის თაოსნობით შესდგა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ა გ რ ა რ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ა 3 კ ა ც ი ს ა გ ა ნ (triumviri agris dandis assignandis) თვითონ კანონის ინიციატორის მეთაურობით. ფლამინიუსის აგრარულმა პოლიტიკამ გამოიწვია ომი გალიის ტომებთან, რომელნიც ცხოვრობდნენ ციზალპიურ (ალპისწინა) გალიაში. 225 წ. დაიწყო ომი გალიის ტომებთან, რომელიც გათავდა რომაელების გამარჯვებით და კოლონიების მოწყობით ციზალპურ გალიაში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ნიადაგის ნაყოფიერებითა და წიფლის ტყეებით, რაც ღორების უხვ საკვებს წარმოადგენდა. მდინარე პოს ხეობა რომის მთელი ისტორიის მანძილზე განთქმული იყო მეღორეობით და იტალიის ყველა სხვა ნაწილზე უფრო მეტ ხანს დარჩა საშუალო მეურნეობათა ქვეყნად.

ფლამინიუსი გამოდიოდა არა მარტო სოფლის, არამედ აგრეთვე ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფების ინტერესთა დასაცავადაც. ვაჭრობის ინტერესთა შესაბამისად ასსის, რომის ფულადი ერთეულის, წონა 12-ჯერ იყო შემცირებული მისი ღირებულების სათანადო აწევით. ფლამინიუსის დახმარებით სახალხო ტრიბუნმა კლავდიუსმა გაატარა კანონი ნობილების სავაჭრო ოპერაციათა შეზღუდვის შესახებ. ტრიბუნ კლავდიუსის 220 წლის კანონით (lex Claudia) ნობილების გადასაზიდ საშუალებათა ტევადობა არ უნდა ყოფილიყო 300 ამფორაზე (80 ჰექტოლიტრზე) მეტი.

ნობილიტეტის სავაჭრო ოპერაციათა შეზღუდვით კ ლ ა ვ დ ი უ ს ი ს კ ა ნ ო ნ ს ნობილიტეტის ყურადღება ვაჭრობიდან გადაჰქონდა სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობაზე. ვაჭრობა და ფულადი საქმეები კი გადადიოდა მხედართა წრის ხელში. ვიდრე ეკონომიური ცხოვრება მარტივი იყო და მეურნეობაც სუსტად იყო დიფერენცირებული, მხედრები შეხმატკბილებული იყვნენ ნობი-

[1] Liv., XLII, 34.

ლებთან, მაგრამ დაახლ. III ს. შუა ხანებიდან კი მხედრები ნობილიტეტს გამოეყოფიან. ნობილიტეტის მისწრაფება იმისკენ, რომ იგი გადაქცეულიყო არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე ეკონომიურ ოლიგარქიადაც, შეეჯახება მხედრებისა და პლებსის გაერთიანებულ ოპოზიციას.

მისთვის საძულველი კანონის გვერდის ავლას ნობილიტეტი შეეცადა იმით, რომ კომერციული საქმეების წარმოება ახლა მიანდო თავის ლიბერტინებს. მაგრამ აქაც კლავდიუსის კანონი ისევ ეზას ულობავდა ნობილებს იმით, რომ გათავისუფლებული მონების პოლიტიკური გავლენა შეზღუდა მათი 4 საქალაქო ტრიბაში ჩარიცხვით.

გარდა ამისა, ფლამინიუსს მიეწერება „საზოგადოებრივ მინდორზე" ოკუპაციათა მაქსიმუმის დაწესება და სოფლის მეურნეობაში მონათა რიცხვის განსაზღვრა.

ფლამინიუსის კანონპროექტები უშუალოდ ეხებოდა ნობილიტეტის ინტერესებს და ამიტომ სენატში მათ სასტიკი წინააღმდეგობა ხვდებოდათ. როდესაც იხილავდნენ კანონს გათავისუფლებულ მონათა უფლებების შეზღუდვის შესახებ, ამან იმდენად ააღელვა ნობილები და ისეთი სიცხარე გამოიწვია, რომ ფლამინიუსის მამა, რომელსაც ნობილიტეტის მხარე ეჭირა, შეეცადა შვილი კათედრიდან გადმოეთრია და potestas patria მოიხარა.

ფლამინიუსის პოლიტიკური კარიერა დამთავრდა მეორე პუნიკური ომის დროს. დემოკრატიული ჯგუფის მიერ კონსულად გაყვანილ ფლამინიუსმა გაილაშქრა ჰანიბალის წინააღმდეგ, დამარცხდა იგი ჰანიბალის მიერ და მოიკლა ეტრურიაში ტრაზიმენის ტბასთან მომხდარ ბრძოლის დროს (217 წ.).

4. მეოთხე პუნიკური ომი

ლიბიელი გლეხებისა და მონების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კართაგენის ფაქტიურ მეთაურად შეიქნა ჰამილკარ ბარკა. გრძნობს რა რომის უპირატესობას, ჰამილკარი ხელს იღებს აღმოსავლურ-სიცილიურ პოლიტიკაზე და მთელ თავის ყურადღებას მიაქცევს დასავლეთით ესპანეთს, სადაც მას იმედი ჰქონდა იმისი, რომ აქ კართაგენს შეუქმნიდა ოპერატიულ ბაზისს რომთან მომავალი ომის დროს, რომლის იერიშების ჩქარა დაწყებაში მას ეჭვი არ ჰქონდა. სამხედრო უპირატესობებთან ერთად ესპანეთი კართაგენისთვის შეიცავდა მრავალ ნივთიერ სარფას, როგორც ერთერთი უმდიდრესი ქვეყანა ხმელთაშუაზღვეთში. ესპანეთი მდიდარი იყო არა

მარტო ნაყოფიერი მინდვრებით, ბაღებითა და ბოსტნებით, არამედ აგრეთვე ლითონებითაც — ვერცხლით, რკინითა და ტყვიით. ესპანეთის უმდიდრესმა ვერცხლის მადნებმა (სიერა-მორენა) კართაგენელებს საშუალება მისცა შედარებით ადვილად გადაეხადათ კონტრიბუცია რომაელებისათვის.

ესპანეთის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენდნენ ლ ი გ უ რ ე ბ ი და ი ბ ე რ ე ბ ი. VI ს. მახლობელ ხანებში ჩრდილოეთიდან დაიწყო კელტური ტომების გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე, რომელნიც დამკვიდრდნენ ნახევარკუნძულის დასავლურსა და ცენტრალურ ნაწილებში და შეერთვნენ იბერებს (კელტიბერები). ლიგურებისა და კელტიბერების სამოსახლო ადგილები წააგავდნენ გალებისა და ძველი იტალიის ხალხთა სამოსახლოებს. ეს იყო სოფლის თემები, რომელნიც თავს იყრიდნენ პატარა ქალაქებსა და გამაგრებულ დაბების გარშემო.

ესპანეთის ქალაქებს შორის ყველაზე უფრო მეტად ცნობილი იყო უკვე ჩვენთვის ნაცნობი ტ ა რ ტ ე ს ი ბეტისის შესართავთან (გვადალკვივირი), გ ა დ ე ს ი (Gades) და მ ა ლ ა კ ა (Malaca). ბერძნების მასილიიდან ესპანეთის აღმოსავლეთ ნაპირზე განმტკიცების ცდას წარმატება არ ხვდა. კართაგენელებმა შესძლეს ბერძნების გამოდევნა და ძველი ფინიკიური ახალშენების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა. კართაგენელების მთავარ საყრდენად ესპანეთში მთელი მათი ჰეგემონიის მანძილზე დარჩნენ ზღვის სანაპირო ქალაქები. აქედან ჰამილკარმა დაიწყო სამხრეთ ესპანეთის დაპყრობა და რამდენიმე წლის განმავლობაში იბერები მთებში შერეკა. ჰამილკარის სიკვდილის შემდეგ მის პოლიტიკას აგრძელებდა მისი სიძე ჰასდრუბალი.

კართაგენელების ცენტრად ჰასდრუბალის დროს შეიქნა ა ხ ა ლ ი კ ა რ თ ა გ ე ნ ი (Carthago Nova), რომელიც მდებარეობდა ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროს, ლოლოსის კონცხზე. ახალი კართაგენი ერთსადაიმავე დროს სამხედრო ნავსადგურიც იყო და სავაჭრო ნავსადგურიც ხმელთაშუა ზღვაში.

კართაგენელების შეჭრა ნახევარკუნძულის სიღრმეში შეუჩერებლივ გრძელდებოდა, გრძელდებოდა აგრეთვე ესპანეთში კელტური ტომების დენაც. რომაელებს უკვე ეხატებოდათ მრისხანე პერსპექტივი კელტებისა და კართაგენელების გაერთიანებისა.

ითვალისწინებს რა მდგომარეობის მთელ სერიოზულობას, რომის სენატი ესპანეთში გზავნის დესპანებს ადგილობრივ საქმის ვითარების გამოსარკვევად და კართაგენელების წინსვლის შესაჩერებლად. მხარეთა შეთანხმების მიხედვით, რომისა და კართაგე-

ნის საზღვრად ესპანეთში უნდა ყოფილიყო მდინარე იბერი (Iberus) — ეს იყო პირობა, კართაგენისთვის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე შეურაცხმყოფი. ამ პირობის თანახმად, კართაგენს რჩებოდა ესპანეთის დიდი ნაწილი.

მაგრამ კეთილმეზობლური განწყობილება რომსა და კართაგენს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალი ომის საბაბად იქცა ის კონფლიქტი, რომელიც დატრიალდა თავისუფალ ბერძნულ ქალაქ ს ა გ უ ნ ტ ი ს (Saguntum) გაძო. საგუნტელებიუ თხოვნით, რომაელები ჩაერევნენ საგუნტის შინაურ საქმეებში და ამით გამოიწვიეს კართაგენელების პროტესტი. კართაგენელების წინამძღოლი ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი, ჰამილკარის შვილი, რომელმაც 221 წ. შესცვალა მოკლული ჰასდრუბალი, მოითხოვდა ხელშეკრულების ფორმალურ დაცვას, რომლის მიხედვითაც კართაგენელთა სამფლობელოების საზღვრად აღიარებული იყო მდინარე ებრო. თვლიდა რა რომაელების ჩარევას საგუნტელების შინაურ საქმეებში ხელშეკრულების დარღვევად, ჰანიბალი 219 წ. ალყას შემოარტყამს საგუნტს და რვა თვის გარემოცვის შემდეგ აიღებს და დაარბევს ქალაქს. ჰანიბალს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საგუნტის ხელში ჩაგდება გამოიწვევდა რომთან ომს. კართაგენელების წინამძღოლი სწორედ ამას ცდილობდა. ბარკას გვარის შერყეული მდგომარეობა კართაგენში ამ გვარი წარმომადგენლებს სამხედრო ავანტურისკენ მიაქანებდა, რადგან შექმნილ პირობებში სხვა გამოსავალი მათთვის არ არსებობდა. საგუნტის დარბევის საპასუხოდ რომაელებმა კართაგენის მთავრობისგან მოითხოვეს ჰანიბალის გაცემა და საგუნტის აღდგენა. როცა კართაგენელებმა ამაზე უარით უპასუხეს, დაიწყო მ ე ო რ ე პ უ ნ ი კ უ რ ი ომი (218 — 201 წწ.).

ომის გეგმას უკარნახებდა თვითონ საქმის ობიექტური ვითარება. ჰანიბალს აზრად ჰქონდა შეერთებოდა რომის უკმაყოფილო გალიის ტომებს და დაეშალა იტალიის კავშირი. რომაელების სამხედრო პარტია, რომლის სათავეშიც იმჟამად იდგა ს ც ი პ ი ო ნ ე ბ ი ს გავლენიანი გვარი, პირიქით, ფიქრობდა კართაგენელებისთვის მახვილი თვითონ კართაგენშივე, აფრიკაში, ჩაეცა — ფიქრობდა რეგულუსის გეგმის გამეორებას, რომ ამ გზით დაესწრო ჰანიბალის იტალიაში გალაშქრებისათვის. კამპანიის შედეგი მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეასრულებდა თავ-თავის ბეგმას ერთი ან მეორე მხარე. ჰანიბალმა ამ მხრივ გადააჭარბა რომაელების ყოველგვარ მოლოდინს. ჰანიბალის მოძრაობა იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ რომმა ვერ მოასწრო ვერც ერთი თავის განზრახვის შესრულება.

ომში შესულ ორივე მონაწილეს ჰქონდა თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. რომის მნიშვნელოვანი უპირატესობა ის იყო, რომ მთელი ომის განმავლობაში რომის ლაშქარი რიცხვობრივად სჭარბობდა კართაგენელებს. იტალია წარმოადგენდა ადამიანის მასალის დაუშრეტელ მარაგს. 225 წ. ცენზმა აჩვენა 250 ათასი სამოქალაქო ქვეითი ჯარი და 23 ათასი კავალერია. მოკავშირე კონტინგენტები იძლეოდნენ 340 ათას ქვეითი ჯარს და 31 ათას კავალერიას. ომის პირველსავე წელს რომის სენატის განკარგულებაში იმყოფებოდა 6 ლეგიონი, საერთოდ დაახლოებით 70 ათასი კაცი, მაშინ როდესაც კართაგენი სავსებით დამოკიდებული იყო დაქირავებულ რაზმებზე, რომელნიც ძალიან ძვირად უჯდებოდა მას და ამასთანავე არც საიმედონი იყვნენ. გარდა ამისა, რომის განკარგულებაში იმყოფებოდა პირველი პუნიკური ომისდროიდანვე ფლოტი, რომელიც ბატონობდა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთის წყლებში.

218 წ. ზაფხულში 35 ათასი ქვეითი და ცხენოსანი ჯარითა და საომარი სპილოებით ჰანიბალმა გადალახა პირენეი, ზღვის ნაპირით გაემართა იტალიაში და ყველგან რომაელების წინააღმდეგ აჯანყებას აწყობდა. ჰანიბალის მარშის სისწრაფემ რომის კონსული პუბლიუს კორნელი სციპიონი იძულებული გახადა ხელი აეღო თავის განზრახვაზე ესპანეთში გადასვლის შესახებ, ხოლო მეორე კონსული ტიბერიუს სემპრონი — მიეტოვებინა სიცილია და ორივენი საჩქაროდ გაემართნენ იტალიის ჩრდილოეთისკენ ალპის მთებზე გადმომავალი კართაგენელი წინამძღოლის შესახვედრად. ჰანიბალის გადმოსვლა ალპის მთებზე მოხდა გასაოცარი ხელოვნებით და სისწრაფით, რაც თვით ნაპოლეონსაც კი ანცვიფრებდა. „იჩინა თუ არა თავი ესპანეთის წიაღში პუნიკური ომის საშინელმა სტიქიონმა (illa gravis et luctuosa Punici belli vis atque tempestas) და გაიელვა თუ არა საგუნტის ცეცხლმა, რაც უკვე დიდიხნის განმზადებული იყო რომისთვის, მსწრაფლ მოულოდნელად ატყდა საშინელი ავდარი. მან გადალახა ალპის მთების თოვლით შემოსილი მწვერვალები და ცით მოვლენილი დაეშვა იტალიაზე“ [1].

პირველი სერიოზული შეხვედრა რომაელებისა და კართაგენელებისა მოხდა მდინარე ტიცინუსთან (Ticinus) და დათავდა რომაელების მარცხით (218 წ. დასასრ.). მარცხიანი იყო რომაელებისათვის აგრეთვე მეორე ბრძოლაც ტრებიასთან (Trebia).

ტრებიასთან დამარცხებამ რომში ნამდვილი პანიკა გამოიწვია და გაამწვავა ბრძოლა დემოკრატიულ პარტიასა და ნობილიტეტს

[1] Flor., II, 6.

შორის. დემოკრატიული პარტია, რომელსაც მართავდნენ სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენლები, ომის უფრო ენერგიული წარმოების მომხრე იყო და სენატს უსაყვედურებდა — სამხედრო ხელმძღვანელობა სუსტი და პასიურიაო. დაძაბული ბრძოლის შედეგად დემოკრატიულმა პარტიამ, ბოლოს, მოახერხა კონსულად გაეყვანა თავისი წინამძღოლი გაიოს ფლამინიუსი. მაგრამ მდგომარეობას ვერც ამან უშველა. ჰანიბალის წინააღმდეგ გასული ფლამინიუსი ტრაზიმენის ტბასთან (lacus Trasimenus) მოჰყვა მტრის ხაფანგში და განიცადა სასტიკი დამარცხება, თავადაც აქვე იქნა მოკლული (217 წ.). ტრაზიმენის ბრძოლაში უკვე სავსებით ცხადი და ნათელი შეიქნა ჰანიბალის ტაქტიკური ხერხები — ჩასაფრება, მტრის შემოვლა და გზის გადაჭრა.

ტრაზიმენთან გამარჯვების შემდეგ ჰანიბალი მარშით წავიდა იტალიის შუაგულისკენ და თანაც იმედოვნებდა, რომ იტალიკები მხარს დაუჭერდნენ. იმ ოლქებს, რომელნიც რომის ერთგული რჩებოდნენ, საშინლად აოხრებდნენ და არბევდნენ. თვითონ რომშიაც საშინელი პარტიული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ტრაზიმენის კატასტროფამ დაქსაქსა დემოკრატიული ჯგუფები. ჰანიბალთან პირველი შეხვედრების მარცხმა ახალი რომაელი სარდალი კვინტუს ფაბიუს მაქსიმე, დიქტატორად რომ იყო დანიშნული, იძულებული გახდა არსებითად შეეცვალა მოქმედების გეგმა პირდაპირი შებრძოლებიდან გადასულიყო თავდაცვასა და პარტიზანულ ომზე. მაგრამ ფაბიუსის სალოდინო სტრატეგია, რის გამოც მას კუნქტატორი (Cunctator დამყოვნებელი, აუჩქარებელი) უწოდეს, თანაგრძნობას ვერ პოულობდა კომიციებში მონაწილე რომაელ მოქალაქეთა უმრავლესობაში, რომელიც ძალიან იყო შეწუხებული ომისა და სამხედრო ბეგარისგან. 216 წ. უმაღლესი სარდლობა ჩააბარეს ორ კონსულს — დემოკრატს გაიოს ტერენციუს ვარონს, მდიდარ ხორცის ვაჭარს, და არისტოკრატს ლუციუს ემილი პავლეს. რომაელებისა და კართაგენის ჯარების გენერალური შეხვედრა მოხდა აპულიაში, მდ. აუფიდეს ნაპირას პატარა დაბა კანესთან (216 წ.). რიცხვობრივად რომაულ არმია საგრძნობლად აღემატებოდა ჰანიბალის არმიას, მაგრამ ბრძოლის არცერთი პირობა არ ყოფილა რომაელებისათვის ხელსაყრელი. რომაელთა ჯარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ორი სარდლის ქვეშ იყო დაყენებული, ესენი კი სხვადასხვა ტაქტიკური ხერხის მომხრენი იყვნენ და ერთმანეთსაც მტრობდნენ. გარდა ამისა, მდებარეობა, გაშლილი ვაკე ადგილი, უფრო ხელსაყრელი იყო ცხენოსანი ჯარისთვის, რომელიც ჰანიბალის არმიის

ბირთვს შეადგენდა, ვიდრე ქვეითი ჯარისთვის, რომელიც რომის არმიის მთავარ ძალას წარმოადგენდა. დამარცხება იყო სრული: ბრძოლის ველზე დაეცა 40 ათას კაცზე მეტი, მათ შორის კონსული ემილი პავლე, 20 ათასი ტყვედ მოჰყვა და 20 ათასმა გაქცევით უშველა თავს. მეორე კონსული, ვარონი, რომელსაც ბრალი დასდეს დამარცხებაში, გაიქცა ვენუზიას. ჰანიბალმა ტროფეის სახით კართაგენში გაგზავნა ორი მოდიუსი ოქროს ბეჭდები, რომლებიც წააძრეს დახოცილ რომაელ მხედრებს.

„მეოთხე, თითქმის სასიკვდილო ჭრილობა რომის სახელმწიფოს მიაყენა კანემ, აპულიის უცნობმა პატარა სოფელმა, რომელიც სახელგანთქმული შეიქნა იმ უდიდესი ხოცვა-ჟლეტით, რომს 40 ათას კაცის სიცოცხლედ რომ დაუჯდა. კანესთან თითქოს ყველაფერი ხელს უმართავდა ჩვენი ბედკრული არმიის მარცხს: მტრის წინამძღოლი, დედამიწა, ცა, ჰაერი და მთელი დანარჩენი ბუნება“ [1].

კანესთან დამარცხება საშინელი იყო, მაგრამ მაინც არ გამოუწვევია მას რომის სახელმწიფოებრიობის სრული დაშლა, მთელი რომ-იტალიის კავშირის რღვევა. რომის წესწყობილება საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა იმისათვის, რომ უუმძიმესი გამოცდა გადაეტანა. მთელი ძალ-ღონისა და სახსრების დაძაბვის პირობებში შეაგროვეს ახალი არმია. სამხედრო სამსახურისთვის ვარგის მოქალაქეთა სინაკლულის გამო, დიდი რაოდენობით მიჰყავდათ ჯარში აზატები და მონები. ჰანიბალის ანგარიში — მონები აჯანყდებიან და მხარს მომცემენო — არ გამართლდა: ლიბერტინებისგან და მონებისგან შემდგარი ლეგიონები მის მხარეზე კი არ იბრძოდნენ, არამედ მისი მტრების — რომაელების მხარეზე. „სამხედრო ფიცისთვის მოწოდებულ იქნენ აზატები და მონები“ [2].

ამავე დროს კი კართაგენელი სარდლის მდგომარეობა წლითიწლობით უარესდებოდა: ის არ იღებდა კართაგენიდან დახმარებას; იმის იმედიც, რომ იტალიის კავშირი დაიშლებოდა და მონები მას დახმარებას გაუწევდნენ, არ გაუმართლდა. ჰანიბალი თავის თავს იმდენად ძლიერად არ გრძნობდა, რომ რომს პირდაპირ თავს დასხმოდა, რადგან ქალაქი საკმაოდ იყო გამაგრებული მძლავრი საფორტიფიკაციო სიმაგრეებით, და ამიერიდან მთელ თავის იმედებს ის აბყარებს ანტირომაულ კოალიციის შექმნაზე, რომელიც უნდა შემდგარიყო სამხრეთ-იტალიის და ბერძნული ქალაქებისგან ქალაქ კაპუას მეთაურობით, ანტირომაულ განწყობათა ცენტრი რომ იყო თავიდანვე. ჰანიბალის გეგმა რამოდენიმედ შესრულ-

[1] Flor., II, 6.
[2] Jbid.

და. კანესთან მარცხის შემდეგ სამხრეთი და ცენტრალური იტალიის რამდენიმე ქალაქი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, კაპუა, რომს ჩამოშორდა და შევიდა ანტიროომაულ კოალიციაში, რომელიც კართაგენის წინამძღოლმა მოაწყო. კაპუის ფედერაციამ დაიწყო ცხოვრება, განსაკუთრებული ფულიც კი იქნა მოჭრილი პუნიკური ნიმუშის წაბაძვით, 3 გრამიანი წონით, რომლის მიღებაც სავალდებულო იყო ახალი ფედერაციის ყველა წევრისთვის. მაგრამ ამ ფედერაციამ, რომელსაც უნდა მიეღო თავის ფარგლებში სამხრეთი იტალიაც და სიცილიაც, დიდხანს ვერ იარსება.

ჰანიბალის გეგმას აქარწყლებდა ქალაქ ნეაპოლის, ნოლისა და სხვა ქალაქების შეურიგებელი მეტოქეობა, რომელნიც მტრობდნენ კაპუას და გადამწყვეტ მომენტში რომს შეუერთდნენ. ამ ქალაქების მიერ ზურგგამაგრებულმა რომაელებმა რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს კართაგენელებზე და ამით შეარყიეს პუნიკური წინამძღოლის უძლეველობის რწმენა. რომაელებისა და მათი მოკავშირეების ჯარში იბრძოდა მრავალი მონა და აზატი. მოგვითხრობს რა ნოლასთან მომხდარ ბრძოლის ამბავს, ისტორიკოსი ფლორი შეძახებით ამბობს: „გაიმარჯვა რომის კონსულმა ტიბერიუს გრაქხმა, მაგრამ, ვაი, სირცხვილიცაა ამის თქმა, გაიმარჯვა მონათა ხელით!“ (o pudor, manus servis pugnaret) [1].

212 წ. ორმა რომაულმა არმიამ დაიწყო ქ. კაპუას წესიერი გარემოცვა, სადაც ჩაიკეტა პუნიკური გარნიზონი. რომ კაპუისგან როგორმე აეცილებინა რომაელების ყურადღება, ჰანიბალი მარშით წავიდა რომზე და ამით საშინელი პანიკა გამოიწვია ქალაქის მოსახლეობაში: „ჰანიბალი რომის კარიბჭესთანაა!“ (Hannibal ante portas). რომის აღება ჰანიბალმა მაინც ვერ შესძლო. საკმაოდ გამაგრებული ქალაქი თავს იცავდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე და ალყას გაუძლო.

„და აი მათ წინაშე (ალყაშემორტყმულ რომაელების წინაშე) გამოჩნდა უზარმაზარი სამხედრო ძალა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ის სარდალი, ვისიც სიმამაცე მას უძლეველად ხდიდა. ასეთ პირობებში ყველა, ვისაც კი შეეძლო იარაღის ტარება, დადგა კარიბჭეს დასაცავად, ძველმა ჯარისკაცებმა (ვეტერანებმა) მიაშურეს კედლებს, ქალებსა და ბავშვებს მოჰქონდათ ქვები და იარაღი, სოფლის მცხოვრებლები ქალაქისაკენ გაეჩქარნენ. ყველგან გაისმოდა შერეული ხმები: მოთქმა-ჩივილი და ლოცვა-ვედრება, რომელთაც სცვლიდა მოწონების ყიჟინა. პატარა რაზმმა მიაშურა მდინარე ანიოს და ხიდი დაშალა“ [2]. დაინახა თუ არა სერიოზული წინააღმ-

[1] Flor., II, 6.

[2] App., Bell. Pun., VII, 38—39.

დეგობა, ჰანიბალმა ხელათვე მოხსნა ალყა რომს და გაემართა იტალიის სამხრეთი ნაწილისკენ, ტარენტუმის მიმართულებით. კაპუამ,— თავის ანაბარა მიტოვებული, ვეღარ გაუძლო რა სამ რომაულ არმიის მედგარ შეტევას, 211 წელს თავისი ბედიღბალი გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს მიანდო.

ანტირომაული კოალიციის შექმნის მთავარი დამნაშავენი — კაპუელები — სასტიკად იქნენ დასჯილი. კაპუელების ნაწილი, რომელთა შორისაც ბევრი იყო სენატორი და მდიდარი მოქალაქე (მხედარი), ახლა კარგავს თავის ქონებას, გასახლებულია ან კიდევ მონად არის გაყიდული. პირიქით, რომის მომხრე მოქალაქეებს უფლებებს ანიჭებენ. უმტკიცებენ მიწისა და მონების მფლობელობას.

ჰანიბალის მდგომარეობა კატასტროფიული შეიქნა მას მერე, რაც მის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო რომის ახალმა არმიამ, რომელიც იტალიის ფრონტზე გადმოიყვანეს სიცილიაში მომქმედ სამხედრო ოპერაციათა ასპარეზიდან.

მომდევნო წელს დაეცა ტ ა რ ე ნ ტ უ მ ი, რომელიც კართაგენის არმიას მხარს უჭერდა. ტარენტუმის მცხოვრებნი მონებად გაყიდეს. ჰანიბალის გეგმა — შეერთებოდა თავის ძმას ჰასდრუბალს, რომელმაც უკვე გადმოლახა ალპის მთები, ვერ განხორციელდა. მდინარე მეტავრაზე უმბრიაში ჰასდრუბალი წააწყდა კონსულის ჯარებს, იქნა ძლეული და მოკლული. ამის შემდეგ დაიწყო ჰანიბალისაგან იტალიის ქალაქებისა და მოკავშირეების ჩამოშორება. თვითონ ჰანიბალმა ბრუტიუმისკენ დაიწია, მაგრამ კართაგენიდან დახმარება, რის იმედიც მას ჰქონდა, არ მოსდიოდა.

სამხედრო მოქმედება წარმოებდა არა მარტო იტალიაში, არამედ პროვინციებშიც. იტალიაში საომარ მოქმედებათა ყველაზე უფრო მახლობელი ასპარეზი იყო ს ი ც ი ლ ი ა. სიცილიაში საქმეები ამგვარად მიდიოდა. ტირან ჰიერონ II სიკვდილის შემდეგ (216 წ.) სიცილიის ქალაქების ერთი ნაწილი სირაკუზის მეთაურობით, რომელიც სულ უკანასკნელ მომენტამდე მერყეობდა, გადავიდა კართაგენის მხარეზე, რაც ნიშანი იყო რომაელების მხრივ სირაკუზის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა დაწყებისა. 213 წ. მარკოს კლავდიუს მარცელმა ალყა შემოარტყა სირაკუზს და იერიში მიიტანა. მიუხედავად იმისა, რომ სირაკუზის ციხე-სიმაგრეები საუკეთესო და თავდაცვის ტექნიკაც სრულყოფილი იყო, რასაც ხელმძღვანელობდა სახელოვანი არქიმედი, 212 წ. ქალაქი აღებულ იქნა და რომის ჯარისკაცთა მსხვერპლი გახდა. სირაკუზის დაცემის შემდეგ კართაგენელები იძულებული შეიქნენ სიცილია დაეცალათ.

სიცილიაზე უფრო მეტი მნიშვნელობა კამპანიის დასასრულის-

თვის ჰქონდა ესპანეთს. რომის სარდლობა სავსებით მართებულად ფიქრობდა, რომ ესპანეთის დაუფლება მის მოწინააღმდეგეთ მოუსპობდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ საყრდენს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოწინააღმდეგისათვის წაერთმიათ კართაგენის მადნები, რაიც შეადგენდა კართაგენის რესპუბლიკის სამხედრო-საწარმოო საფუძველს. იტალიაში გაჩაღებულ სამხედრო კამპანიის დროს ესპანეთში იმყოფებოდა გნეუს კორნელი სციპიონი (Gnaeus Cornelius Scipio), კონსულ პუბლიუს სციპიონის ძმა, რომელიც მოქმედებდა პირინეის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში, ტარაკონიაში.

217 წ. გნეუსის დასახმარებლად ესპანეთში გაემგზავრა, როგორც პროკონსული, პუბლიუს სციპიონი. სციპიონებმა შესძლეს კართაგენელების უკან დაწევა მდ. იბერის გადალმა და საგუნტის აღება, მაგრამ მალე ამას მოჰყვა კატასტროფა. გამარჯვებით გათამამებული სციპიონები საკმაოდ შორს წავიდნენ სამხრეთისკენ და წინდაუხედავად შეებნენ ბრძოლაში ჰასდრუბალსა და მაგონს (ჰანიბალის უმცროს ძმას), ესპანეთში რომ მოადგილეებად იყვნენ დატოვებული; სციპიონები აქ დამარცხდნენ და დაიღუპნენ.

დაღუპული სარდლების შესაცვლელად გაგზავნილ იქნა ბრძოლაში მოკლული პუბლიუს სციპიონის შვილი პუბლიუს კორნელი სციპიონი, რომელიც მაშინ სულ 27 წლისა იყო და რომელსაც უკვე ჰქონდა თანამდებობანი სამხედრო ტრიბუნისა და ედილისა. ახალგაზრდა სციპიონის კანდიდატურაზე შეთანხმდნენ სულ სხვადასხვაგვარი დაჯგუფებანი. სციპიონს მხარს უჭერდა სენატიც და აგრეთვე, უმთავრესად, კომიციებიც. ესპანეთში მომქმედი რომაული ჯარების რიცხვობრივი უპირატესობის გარდა სციპიონების წარმატებას ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის (იბერების) კართაგენელებით უკმაყოფილება, სციპიონების ფართო კლიენტური კავშირი ადგილობრივ კელტ-თავადებთან (principes) და, ბოლოს, ის ცვლილებები, რომელიც რომის ჯარის წყობაში შეიტანა ახალმა მთავარსარდალმა. ლეგიონის 30 მანიპულად გაყოფამ რომის ლეგიონი უფრო მოძრავი გახადა და შესაძლებელი შეიქნა მტრის გარემოცვის ტაქტიკის გამოყენება, რასაც ფართოდ იყენებდა ჰანიბალი.

209 წ. სციპიონმა ბრძოლით აიღო ახალი კართაგენი, პუნიკების მთავარი საყრდენი ესპანეთში, ამასთანავე ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, სამხედრო ტყვეები და ცნობილი კართაგენური ვერცხლის მადნები უამრავი მონა-მუშითურთ. სციპიონის ის განზრახვა კი, რომ ხელთ ეგდო კართაგენელი წინამძღოლები, ჰასდრუბალი და

მაგონი, ვეღარ მოხერხდა. ჰასდრუბალმა ნახევარი არმიით გაარღვია გზა ესპანეთის ჩრდილოეთისკენ და გაიმეორა თავისი ძმის ლაშქრობა იტალიაში, რათა დახმარება გაეწია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჰანიბალისთვის.

კართაგენელებისგან ესპანეთის გაწმენდის შემდეგ, 206 წ. სციპიონი დაბრუნდა რომში, არჩეულ იქნა კონსულად და განსაგებლად მიიღებს სიცილიას. ამ ხანებში სციპიონი ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება იყო რომის რესპუბლიკაში, რაც უკვე შიშსა ჰგვრიდა ნობილებს, რომელთაც ეშინოდათ სამხედრო დიქტატურის დამყარებისა. ამის გამო სენატმა სციპიონს ტრიუმფზე უარი უთხრა და ათასგვარი საბაბით აყოვნებდა მის გამგზავრებას აფრიკაში. და მაინც, მიუხედავად სენატის პროტესტისა, 204 წ. სციპიონი გადავიდა აფრიკის სანაპიროზე, უტიკის ახლოს, 30 ათასიანი ჯარით, რომელიც თავისი ხარჯით შეაგროვა და წაიყვანა 40 გემით. იმ ანგარიშით, რომ აფრიკელი მეგობრები და ვასალები, ადგილობრივი მეფეები, მხარს მისცემდნენ, სციპიონს იმედი ჰქონდა, რომ კართაგენს შიგ გულში ჩასცემდა სასიკვდილო მახვილს. ყველაზე უფრო მეტს სამსახურს რომაელებს უწევდა ნუმიდიის მეფე მ ა ს ი ნ ი ს ა, დაუძინებელი მტერი მეფე სიფაქსისა, რომელიც პირველად რომაელებს ეხმარებოდა, მერე კი კართაგენელების მხარეზე გადავიდა.

რომის დესანტის კართაგენის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასხმამ გამანადგურებელი შთაბეჭდილება მოახდინა კართაგენელებზე. კართაგენის სენატი გამოდის წინადადებით საზავო მოლაპარაკებათა შესახებ, ამავე დროს კი ჰანიბალსა და მაგონს ბრძანებას უგზავნის — დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ აფრიკაში. ეს წინადადება სავსებით ემთხვეოდა თვითონ ჰანიბალის განზრახვას. აფრიკაში გამგზავრება ბედნიერი საბაბი იყო იმისთვის, რომ მოეთავებინა მისთვის სამძიმოდ შექმნილი კამპანია და თავისი მარცხიც დაემალა.

იტალიიდან გამგზავრების წინ ჰანიბალმა მოიწვია სამხედრო ყრილობა, სადაც ის ცდილობდა მასთან მომსახურე იტალიკები დაეთათბირებინა, რომ მას თან გაჰყოლოდნენ აფრიკაში. იტალიკების ერთმა ნაწილმა, რომელიც მან დახატული პერსპექტივით დაახარბა და რომელსაც რომაელების მხრივ შურისძიების შიში ჰქონდა, გადასწყვიტა ჰანიბალს თან გაჰყოლოდა, მეორე ნაწილმა კი უარი განაცხადა. მაშინ ჰანიბალმა ბრძანება გასცა ის იტალიკები, ვინც უარი თქვა მას გაჰყოლოდა თან, ერთ ადგილას შეეყარათ, ვითომდა მათთვის მადლობის გამოსაცხადებლად და მათთან გამო-

სათხოვრად, მერე კი მათ ჯარი შემოარტყა გარს და სამხედრო ტყვეებად გამოაცხადა. ხოლო იმ ჯარისკაცებს, ვინც მისი ერთგული დარჩა, ნება მისცა თავიანთვის იმდენი მონა აეყვანათ, რამდენიც ესურვებოდათ. ჯარისკაცების ერთი ნაწილი ხალისიანად დაჰყვა თავიანთი წინამძღოლის ბრძანებას, მეორე ნაწილი კი შეფიქრიანდა და მერყეობდა — გაეხადათ თუ არა მონებად თავიანთი გუშინდელი მეგობრები და თანისტომები.

„ამის შემდეგ, დასასრულ, — ათავებს თავის მონათხრობს აპიანე, — ჰანიბალმა თავისი ჯარები ჩასხა გემებში და გადავიდა ლიბიაში. ეს მოხდა მას მერე, რაც ის მთელი 16 წლის განმავლობაში აოხრებდა იტალიას, მისი მცხოვრებლები მან აუტანელ უბედურებაში ჩააგდო, მიიყვანა ისინი საფრთხის პირას და თავის მოკავშირეებს და ქვეშევრდომებს ისე ეპყრობოდა, როგორც ნამდვილ მტრებს. პირველად ის აუცილებლობის ძალით მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მათთან, და იმ მომენტის შემდეგ შეიძაგა ისინი, როცა მისთვის საჭირონი აღარ იყვნენ“ [1].

კართაგენში ჰანიბალის ანაზდეულმა გაჩენამ, რომელმაც გაარღვია რომაელების სადარაჯოები, აღაფრთოვანა „პატრიოტთა პარტიის“ სული, უმთავრესად სამხედროები და ვაჭრები, სწორედ ის პარტია, რომელმაც აღშფოთებით უკუაგდო სციპიონის მიერ წაყენებული საზავო პირობები. ორივე მხარე ემზადებოდა უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის. 202 წ. გაზაფხულზე მოხდა დაბა ზ ა მ ა ს თ ა ნ (Zama) ორი არმიის შეჯახება, რაც დამთავრდა ჰანიბალის დამარცხებით; უკანასკნელმა ბრძოლის ველზე დასტოვა ბრძოლებში გაკაჟებული ყველა თავისი ვეტერანი, ტრაზიმენისა და კანის ბრძოლათა გმირები. ბრძოლის ბედი გადასწყვიტა მ ა ს ი ნ ი ს ა მ, რომელმაც სციპიონს დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისი ნუმიდიური ცხენოსანი ჯარით.

ზამას შემდეგ კართაგენის პატრიოტულმა პარტიამ დაჰკარგა თავისი გავლენა, და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადავიდა ზ ა ვ ი ს პ ა რ ტ ი ი ს ხელში, რომელიც უმთავრესად მიწათმფლობელური იყო თავისი შემადგენლობით და მზად იყო ყოველგვარ პირობებში დაედო ზავი.

სციპიონის მიერ კართაგენისადმი წაყენებული საზავო პირობები არაჩვეულებრივ მძიმე იყო, მაგრამ მაინც შესასრულებელი. კართაგენი კისრულობდა ვალდებულებას დაებრუნებინა სამხედრო ტყვეები, გაეცა მის მხარეს გადასულები, მიეცა გამარჯვებული მხა-

---

[1] App., Bell. Pun., VII, 60.

რისთვის სამხედრო ფლოტი, 10 პატარა ხომალდის გარდა, მიეცა სპილოები, არ ეწარმოებინა აგრესიული პოლიტიკა, ეკისრა აფრიკის ტერიტორიაზე მყოფი რომაული ჯარის შენახვა, გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 10 ათასი ტალანტის რაოდენობით 50 წლის განმავლობაში და მიეცა 100 მძევალი. ყოველივე ამას უნდა მიემატოს ის მრავალი კვალიფიციური მონა, რომელნიც რომაელებმა ხელთ იგდეს მეორე პუნიკური ომის დროს.

რომთან კავშირმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მასინისას, რომელმაც თითქმის მთელი ნუმიდია მიიღო იმ უმნიშვნელო ნაწილის გარდა, რაც შერჩა სიფაქსს.

როცა საზავო პირობებს იხილავდნენ და მათზე მსჯელობდნენ რომის სენატში, თავი იჩინა ორმა თვალსაზრისმა ომსა და სამხედრო პოლიტიკაზე. ზომიერი ჯგუფის შეხედულებებს გამოსთქვამდა სციპიონი, რომელსაც ბევრი მეგობარი ჰყავდა აფრიკაში და არ სურდა კართაგენის სრული განადგურება. სციპიონის წინადადება იყო — დასჯერებოდნენ კართაგენის სამხედრო და ფინანსიური ძლიერების დასუსტებას, მისი ტერიტორიის დანაწილებას მთელ რიგ ვასალურ სამთავროებად, რომელთაც პატრონობას გაუწევდნენ რომის გავლენიანი გვარები და, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, კორნელი სციპიონების გვარი.

„ჩვენ, — ამბობდა სენატში სციპიონის ერთერთი მომხრე, — რომელნიც სამართლიანად ვუკიჟინებთ კართაგენელებს სიმკაცრეს, ამ მხრივ არ უნდა გადავაჭარბოთ მათ. თუ ჩვენ შეწყალებას და ზომიერებას ვიჩენთ წვრილმან საქმეებში, მით უფრო მეტად უნდა გამოვიჩინოთ იგი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეებში. ახლანდელი მომენტის სიდიადე გვიკარნახებს ჩვენ განსაკუთრებით ფრთხილი ვიყოთ. მთელს მსოფლიოს, თანამედროვეებსა და ჩამოშავლობას ეცოდინებათ, რომ ჩვენ დავანგრიეთ ქალაქი, რომლის სახელიც მსოფლიო მბრძანებლობასთან არის დაკავშირებული, რომელმაც თავის ჰეგემონიას დაუმორჩილა ეგოდენ მრავალი კუნძული, ყველა ზღვა, რომელიც ბატონობდა ნახევარ ლიბიაზე და რომელმაც ეგოდენ მძიმე განცდები გამოიარა ჩვენთან ბრძოლაში“ [1].

უფრო რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვდა სენატორების მეორე ჯგუფი, რომელიც უფრო ახლოს იდგა საეჭრო-სამრეწველო წრეებთან.

„ომში, პატივცემულო სენატორებო, — ამბობდა ამ ჯგუფის ერთერთი წარმომადგენელი, პუბლიუს ლენტული, — პირველ ყოვ-

[1] App., Bell. Pun., VIII, 57.

ლისა, გვმართებს დავიცვათ საკუთარი სარგებლიანობა. რაც უფრო ძლიერად გვეჩვენება ჩვენ კართაგენი ამჟამადაც კი, როგორც ამას ეს-ეს არის ლაპარაკობდა წინა ორატორი, მით უფრო მეტად გვმართებს სიფრთხილე გამოვიჩინოთ მისი ვერაგობის მიმართ, რაც ძლიერებასთან არის შეერთებული და, მე მგონია, პატივცემულო სენატორებო, რომ აუცილებლივ საჭიროა მისი ძლიერება მაინც მოისპოს, ვინაიდან ვერაგობის მოსპობა ჩვენ არ ძალგვიძს... მე ვფიქრობ, რომ თვითონ ღმერთებმავე კართაგენი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ შესაძლებელი შეიქნა, ბოლოსდაბოლოს, მაინც დავადოთ მას სამართლიანი სასჯელი იმ უპატიოსნებისათვის, რომ მას მერე, რაც კართაგენელები ჩვენთან და მრავალ სხვა ხალხებთან სდებდნენ ხელშეკრულებებს სიცილიასა, იბერიასა, იტალიასა და ლიბიაშიც კი, მერე მას ვერაგულად არღვევდნენ და საშინელ ბოროტებას და დანაშაულს ჩადიოდნენ" [1].

[1] App., Bell. Pun., VIII, 62.



თ ა ვ ი IV

ჰელინისტური აღმოსავლეთის დაპყრობა

რომის დაპყრობითი პოლიტიკის მეორე ეტაპი იყო ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლური ნაწილის, ბერძნულ-ჰელინისტური სამყაროს, დაპყრობა, რომელთანაც კართაგენური ომების დროს რომაელებს მოუხდათ უფრო ახლოს შეხვედრა. ბერძნულ-ჰელინისტური სამყარო III-I საუკ.-ებში წარმოადგენდა პოლიტიკურ საზოგადოებათა და საერთაშორისო ურთიერთობის ჭრელ სურათს. მრავალ ბერძნულ-ჰელინისტურ საზოგადოებას შორის განირჩეოდა სამი დიდი სახელმწიფო: ე გ ვ ი პ ტ ი ს, ს ი რ ი ი ს ა და მ ა კ ე დ ო ნ ი ი ს მ ო ნ ა რ ქ ი ე ბ ი. მეორე ადგილი ბერძნულ-ჰელინისტურ სახელმწიფოთა სისტემაში ეკავათ: რ ო დ ო ს ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს, „ანტიკური სამყაროს ვენეციას“, ა ქ ე ი ს ა და ე ტ ო ლ ი ი ს კავშირებში შემავალ ბერძნულ სახელმწიფოებს, ს პ ა რ ტ ა ს, პ ე რ გ ა მ ო ნ ი ს, ბ ი თ ი ნ ი ი ს, პ ო ნ ტ ო ს, გ ა ლ ა ტ ი ს, კ ა პ ა დ ო კ ი ი ს და სხვ. სამეფოებს. დასახელებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური წესწყობილება არ იყო ერთნაირი, ურთიერთობა კი მათ შორის რთული და წინააღმდეგობით სავსე იყო.

რომ უფრო ნათლად გავიგოთ III-II საუკუნეთა რომის ისტორია, საჭიროა თუნდაც სულ ზოგად ხაზებში მაინც გავეცნოთ მთავარი ჰელინისტური სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ წესწყობილებას იმ მომენტში, როცა მათ რომთან შეხება ჰქონდათ.

4. ბერძნულ-ჰელენისტური აღმოსავლეთი II საუკუნეში ძვ. წ.

აღმოსავლურ-ჰელენისტურ სახელმწიფოებს შორის პირველი ადგილი ეჭირა ეგვიპტეს. აღმოსავლური-ჰელენისტური ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად ეგვიპტეც იყო ტიპიური სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო, რომელსაც განაგებდა ბიუროკრატია მეფის მეთაურობით, მთელი ქვეყნის მესაკუთრედ რომ ითვლებოდა. მეფის მიწათფლობელობის გვერდით, იმ მიწების გვერდით, რომელნიც გამოსაყენებლად გადაცემული ჰქონდათ სამხედრო პირებსა და მოხელეებს, ეგვიპტის წესწყობილებაში დიდი ადგილი ეჭირა კლერუხების—სამხედროვალდებულ კოლონისტების — საშუალო და წვრილმიწათფლობელობას. ეგვიპტის ჯარი შესდგებოდა ნაწილობრივ ადგილობრივ მკვიდრთაგან, ნაწილობრივ კი ბერძენ, მაკედონელ, ირანელ და სხვა დაქირავებულთაგან. თავის სამსახურისთვის ჯარისკაცები იღებდნენ მიწის ნაკვეთს (კლერს), რაც მემკვიდრეობით გადადიოდა. მიწის შემდეგ კატეგორიას შეადგენდნენ სატაძრო მიწები. ყველა კატეგორიის მიწებზე უშუალო მწარმოებლებად რჩებოდნენ წვრილი, ნახევრადთავისუფალი მოიჯარადრენი („მეფის მიწათმომქმედნი"), რომელნიც უახლოვდებოდნენ მომდევნო საუკუნეთა რომის კოლონებს, და მონები. ეგვიპტის ძირითადი სამეურნეო დარგები იყო სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა.

ჩვენამდე მოღწეული გადასახადის შეტანის ქვითრები მოწმობენ ეგვიპტის განვითარებულ სავაჭრო-ხელოსნურ ცხოვრებას, განსაკუთრებით ეგვიპტის მთავარ ქალაქებში — ალექსანდრიასა, მემფისსა, კოპტოსსა და პტოლემაიდაში. შინაწარმოების საგნების თვალსაჩინო გაზიდვასთან ერთად (ეს საგნები იყო შუშა, ქსოვილები, პაპირუსი) ეგვიპტეს ჰქონდა არაბეთთან, ინდოეთთან და აღმოსავლეთ აფრიკასთან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაც. თავის უმაღლეს განვითარება-აყვავებას ჰელენისტურმა ეგვიპტემ მიაღწია III ს. პირველ ნახევარში პტოლომეოს II ფილადელფოსსა და პტოლომეოს III დროს. ამ ხანებში ეგვიპტე თვალსაჩინოდ გასცდა თავის ბუნებრივ საზღვრებს, განმტკიცდა სირიაში, ეგეოსის ზღვის კუნძულზე და თრაკიაშიც კი. ხარჯები ჯარისა, ფლოტისა, მართველობისა და სამეფო კარისა გულისხმობენ დიდ სახელმწიფო სახსრებს, რაც შემოდიოდა ხარკის, სავაჭრო ბაჟების და უამრავი ათასნაირი გადასახადების სახით, მიწას, ვაჭრობას და ხელობას რომ ჰქონდა შეწერილი.

მძიმე გადასახადებითა და ბეგრით შეწუხებულ ეგვიპტის მოსახლეობას სძაგდა თავისი დამპყრობელები, რომლებიც ამასთანავე უცხოელებიც იყვნენ; მოსახლეობა თავის უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ხშირი აჯანყებებით, მასობრივი გახიზვნით ნილოსის ველის შამბნარში. კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებდა ხოლმე სამხედრო მარცხისა და ძმათა შორის ომების დროს, რითაც ძალიან მდიდარია ეგვიპტის ისტორია. ეგვიპტის დასუსტება იწყება პტოლემეოს IV ფილოპატორის სიკვდილის შემდეგ (204 წ.), მისი მცირეწლოვანი მემკვიდრის პ ტ ო ლ ე მ ე ო ს V ე პ ი ფ ა ნ ე ს მეფობის დროს (240—181 წწ.), რომლის სახელით მართავდნენ ურთიერთშორის მტრობაში გართული მისი მრჩეველები და მეურვე-საჭურისები.

ეგვიპტის მეზობლებმა — მაკედონიამ (ფილიპე V) და სირიამ (ანტიოქე III) — ისარგებლეს პოლიტიკური ანარქიით პტოლემეოს IV სიკვდილის შემდეგ და შეჰკრეს ერთმანეთში კავშირი, რათა ხელთ ჩაეგდოთ ეგვიპტის სამფლობელოები მცირე აზიაში.

აღმოსავლურ სახელმწიფოთა გაძლიერება არსებითად ეხებოდა რომის ინტერესებს, რაც საბაბად შეიქნა ბერძნულ-ჰელინისტური სამყაროს საქმეებში რომაელების ჩარევისათვის. ამ ხანებში ბერძნულ-ჰელინისტურ სახელმწიფოთა საერთო მდგომარეობა ხელს უმართავდა რომაელებს. უაღრესად რთულ და დახლართულ საგარეო ურთიერთობის პირობებში ბერძნულ-ჰელინისტური სახელმწიფოები განიცდიდნენ შინაგან კრიზისს. ყოველ მათგანში არსებობდა რომანოფილური პარტიები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ გაბმული რომაელებთან და პირველ შემთხვევისთანავე მზად იყვნენ მათ მხარეზე გადასულიყვნენ.

2. პირველი და მეორე მაკედონური ომები

რომის თვალსაზრისით, ჰელინისტურ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო მეტ საშიშროებას მ ა კ ე დ ო ნ ი ა წარმოადგენდა. მაკედონიის სამეფოს კონსოლიდირება მოხდა III საუკ. ბოლოს ანტიგონე გონატის დროს (276—240 წწ.), რომელმაც თავისი ხელისუფლების ქვეშ თავი მოუყარა სულ სხვადასხვანაირ ქალაქებს, მათ რიცხვში ზოგიერთ ბერძნულ ქალაქსაც. ანტიგონე გონატის პოლიტიკას განაგრძობდნენ მისი მონაცვლე მეფეები ანტიგონიდები: დემეტრე (239—229 წწ.), ანტიგონე ლოზონი (229—220 წწ), ფილიპე V (220—178 წწ.) და მისი შვილი პერსევი (178—168 წწ.). თავის წინამოადგილეების, მაკედონიის სამეფოს დამაარსებლების,

ფილიპე მეორისა და ალექსანდრეს, მსგავსად მაკედონელი მეფეებისა, თავიანთ თავს თვლიდნენ ნამდვილ ფილჰელინებად და ყოველგვარი საშუალებით თავის ხელქვეით ქვეყნებში ცდილობდნენ დაენერგათ ჰელინური წესები, აგებდნენ ქალაქებს, ხელს უწყობდნენ ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. ყველაზე უფრო მეტად კი მაკედონიის მეფეები, როგორც საერთოდ ყველა ჰელინისტური მეფეც, ზრუნავდნენ შეექმნათ დაქირავებულთა სამაგალითო ჯარი და ბრწყინვალედ მოეწყოთ თავიანთი კარი. მაკედონიის მეფეთა შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა: დაპყრობილი ხალხებისგან აკრეფილი ხარკი, სავაჭრო ბაჟები, ხელოსნობაზე გაწერილი გადასახადები, სახელმწიფო დომენების — ტყეების, მადნების, მიწისა და საძოვრების ექსპლოატაცია, რასაც იჯარით აძლევდნენ. ამ სახსრებით მაკედონიის მეფეებს შეეძლოთ შეენახათ დაქირავებული ჯარი, სარჩო მიეცათ მოხელეებისათვის, ეძლიათ მათთვის საჩუქრები, შეენახათ ბრწყინვალე სამეფო კარი, მეცნიერები, პოეტები და ხელოვანები, რომელნიც მაკედონიის კარზე ცხოვრობდნენ. ასეთი ხაზი მისცა თვითონ ჰელინისტური მაკედონიის დამაარსებელმა ანტიგონე გონატმა, რომელიც ოცნებობდა შეექმნა განათლებული მონარქია, რაც უნდა ყოფილიყო სტოიკური იდეალისა ან პლატონისეული პოლიტეის განხორციელება. მაკედონიის სამეფო კარზე იყო იმ დროს გამოჩენილი ყველა პიროვნება: არატი, „წელიწადის დროთა“ და დიდაქტიკური პოემის „ფენომენების“ ავტორი, ალექსანდრე ეტოლიელი, ბიბლიოთეკარი და პოეტი, და სხვანი. „მაღალ სტუმართა“ შორის მაკედონიის მეფესთან ყოფილან აგრეთვე მოგზაური ფილოსოფოსი-კინიკოსი ბიონ ბორისთენელი. მაკედონიის მეფეთა სახელმა ინდოეთის მეფე ასოკამდისაც კი მიაღწია, რომელმაც თავისი ელჩები გამოგზავნა მაკედონიის სატახტო ქალაქ პელაში.

მაკედონიის მონარქიის ყველაზე უფრო სუსტი ადგილი იყო მასში შემავალი ბალკანეთის საბერძნეთი, დანაწილებული მრავალ წვრილ-წვრილ ტომად, თემად და კავშირად. საკუთრივ საბერძნეთის გამო დაიწყო კიდეც პირველი მაკედონური ომი ანუ რომაელების ომი მაკედონიის მეფე ფილიპე მეხუთესთან (214 — 205 წწ.). იმ მიზნით, რომ ხელთ ჩაეგდო ილირიის სანაპირო და ადრიატიკის ზღვის აღმოსავლური ნაპირი, ხოლო არაპირდაპირი გზით განემტკიცებინა თავისი ავტორიტეტიც საბერძნეთში, ფილიპემ კავშირი შეჰკრა ჰანიბალთან მისი იტალიაში ყოფნის დროს და ემზადებოდა იტალიას თავს დასხმოდა ზღვის მხრიდან.

მაგრამ მაკედონიის მეფის ანგარიში არ გამართლდა. რომაელებმა არა თუ ჩაშალეს ეს კავშირი, არამედ თვითონ საბერძნეთშივე კონტრკავშირიც კი მოაწყვეს, გადიბირეს რა თავიანთ მხარეზე ეტოლიის კავშირი, რომელიც ვერ ურიგდებოდა „მაკედონელი ბარბაროსის“ ჰეგემონიას. ანტიმაკედონურ კოალიციისადმი მიმხრობა არ დააყოვნა პერგამონის მეფემაც, რომელსაც ეშინოდა მაკედონიის ექსპანსიისა. საქმის ასე შეტრიალების შემდეგ, ფილიპე იძულებული გახდა თავის პრეტენზიებზე ხელი აეღო და რომთან დაედო თავისთვის საკმაოდ ხელსაყრელი ზავი. მაგრამ მშვიდობიანი ურთიერთობა რომსა და მაკედონიას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალი, მ ე ო რ ე მ ა კ ე დ ო ნ უ რ ი ო მ ი ს (200—197 წწ.) საბაბი გახდა ეგვიპტის მეფის პტოლემეოს IV სიკვდილი. ეგვიპტის დასუსტებით ისარგებლეს მისმა მეზობლებმა — სირიამა და მაკედონიამ,—რომელნიც თავს დაესხნენ ეგვიპტის სამფლობელოებს თრაკიაში და ეგეოსის ზღვის კუნძულებს. კუნძულების დაპყრობა კი ძალიან საგრძნობლად ეხებოდა როდოსის რესპუბლიკის ინტერესებს, რომელმაც მაკედონიას გამოუცხადა ომი: ფილიპეს მხრივ მცირეაზიის ნაპირებისაკენ ხელის წაპოტინებამ გამოიწვია ომი პერგამონთან. რომის მოკავშირეებს იმედი არ ჰქონდათ საკუთარი ძალ-ღონისა და ამიტომ დესპანები გაგზავნეს თავის პატრონთან — „რომის ხალხთან და სენატთან“.

თავის სიტყვებში დესპანებმა მუქი ფერებით დაუხატეს აღმოსავლეთში საქმეთა მდგომარეობის სურათი, აღნიშნეს ის საფრთხე, რაც რომს ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ჰელინისტური ქვეყნები გაერთიანდებოდნენ რომელიმე ერთი ძლიერი სახელმწიფოს ქვეშ— იქნებოდა ეს მაკედონია, სირია თუ ეგვიპტე, სულერთია. როდოსისა და პერგამონის დესპანების საბუთებმა დაარწმუნეს სენატი იმაში, რომ საჭირო იყო რომის ინტერვენცია ჰელინისტურ სახელმწიფოთა საქმეებში. განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები აღმოსავლეთში იმ დროს რომაელებს არ ჰქონიათ, მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანად ჩანდა პოლიტიკური მოსაზრებანი.

ფილიპესთან გაგზავნილმა დესპანებმა წინადადება მისცეს ეცნო მას ბერძნული ქალაქების ავტონომია, ხელი აეღო მის მიერ დაპყრობილ ეგვიპტურ სამფლობელოებზე და, გარდა ამისა, როდოსისა და პერგამონისათვის აენაზღაურებინა მის მიერ მიყენებული ზარალი. არცერთი ეს პირობა ფილიპემ არ მიიღო. შემდეგ ამისა, 200 წ. რომაელებმა დაიწყეს შეტევა ილირიაზე, ხოლო ილირიით შევიდნენ მაკედონიაში. ამასთანავე ერთდროულად რო-

ბის ფლოტი, გამაგრებული როდოსისა და პერგამონის გემებით, მოქმედებდა ეგეოსის ზღვაზე. ბერძნულ სახელმწიფოთა შორის რომაელებს მიემხრნენ ეტოლიელები, რომელნიც შეიჭრნენ თესალიაში, სადაც რომაელებსა და მაკედონელებს შორის მოხდა კიდეც პირველი დიდი შეტაკება, რომელმაც გადასწყვიტა მთელი კამპანიის ბედიც.

თესალიაში კინოსკეფალთან (Cynoscephalae), წამწვეტებულ და პარალელურად გაწოლილ გორაკებს შორის, რომელნიც ძაღლის თავებს მოაგონებენ ადამიანს, რომაელებმა დაამარცხეს მაკედონელები (197 წ.). მაკედონელებზე გამარჯვებას, რომელნიც ითვლებოდნენ ალექსანდრე დიდის უძლეველ ჩამომავლებად, რომისთვის, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა დიდი მორალური მნიშვნელობა. ფილიპეს მეცადინეობას ომი გაეგრძელებინა, არ ხვდა წარმატება და მაკედონიის ამაყი მეფე იძულებული შეიქნა რომთან დაედვა საზავო ხელშეკრულება, ხელი აეღო ყველა დაპყრობილ ადგილებზე, გადაეცა რომაელებისთვის თავისი ფლოტი და გადაეხადა კონტრიბუცია 1000 ტალანტის რაოდენობით.

ფილიპესადმი წაყენებულ პირობათა შორის ყველაზე უფრო სამძიმო იყო ბერძნული ქალაქების ავტონომიის აღიარების მოთხოვნა. რომაელები ამ გარემოებას თავისი პოლიტიკური მოსაზრებებით აძლევდნენ განსაკუთრებულ, ერთგვარ მსოფლიო მნიშვნელობას, განიხილავდნენ რა ამას როგორც ძველი ჰელინური თავისუფლების აღდგენას, რომელიც ფეხქვეშ გათელეს დამპყრობელმა მაკედონელებმა. 196 წ. რომის სარდალმა ტიტე კვინქციუს ფლამინინმა საზეიმო კრებაზე კორინთოში, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო, გამოაცხადა საბერძნეთის დამოუკიდებლობა. ამ ამბის მხატვრული აღწერილობა მოცემულია პლუტარქოსის მიერ შედგენილ ფლამინინის ბიოგრაფიაში:

„დაიწყო ისთმოს ასპარეზობა. სტადიონი მთლად გაჭედილი იყო უამრავი მაყურებელით, რომელნიც გიმნასტურ ვარჯიშობაში შეჯიბრებას უმზერდნენ. ახლა, დიდი ხნის შემდეგ, ომების გათავების მერე, საბერძნეთი იხდიდა დღესასწაულს, გამხნევებული იმ იმედით, რომ დასტკბებოდა თავისუფლებისა და მტკიცე ზავის სიკეთით. გაისმა საკრავის ხმა და საერთო დუმილში შიკრიკი წინ წამოდგა და საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ რომის სენატი და კონსულ-სარდალი ტიტე კვინქციუს ფლამანინი, რომელთაც დაამარცხეს მაკედონიის მეფე ფილიპე, ხალხს ანიჭებენ დამოუკიდებლობას, ათავისუფლებენ გარნიზონებისა და სხვადასხვა ბეგა-

რისაგან, ანიჭებენ ავტონომიის უფლებებს კორინთოელებს, ლოკრელებს, ფოკიდელებს, ევბეელებს, აქეველებს, ბეოტიელებს, მაგნეტებს, თესალიელებსა და პერებებს.

... პირველად ყველამ ვერ გაიგონა შიკრიკის სიტყვები—სტადიონზე არ ყოფილა სიწყნარე და სიჩუმე. ყველა განცვიფრებული იყო, ერთი მეორეს ეკითხებოდა და მოითხოვდა, რომ განცხადება გაემეორებინათ. კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე. შიკრიკმა ხმა გააძლიერა და წინანდელზე უფრო ხმამაღლად ყველას გასაგონად გაიმეორა თავისი სიტყვები. ეს სიტყვები ყველამ გაიგონა. არაჩვეულებრივად ძლიერმა სიხარულის ყიჟინამ თვით მეფემდე მიაღწია. დამსწრენი ადგილებიდან წამოიშალნენ. აღარავინ აქცევდა ყურადღებას გიმნასტურ ვარჯიშობა-შეჯიბრებაში მონაწილეებს, ყველა ჩქარობდა და მიექანებოდა საბერძნეთის მხსნელისა და მცველისთვის ხელი ჩამოერთმიათ მაგრად, გულმხურვალედ და სიტყვა სალამისა მიეთხრათ“ [1].

ამის შემდეგ ფლამინინი ყველაზე უფრო პოპულარული ადამიანი შეიქნა საბერძნეთში.

„ტიტე რომ არ განშორებულიყო ასპარეზობის დამთავრების შემდეგ, რადგან მოერიდა ხალხის აღგზნებას და თავიდან იშორებდა მის აღტაცებას, ის იქნებ ცოცხალი არც კი გამოსულიყო მის გარშემო შეჯგუფულ უთვალავი ხალხის წრიდან. დამსწრენი მოიქანცნენ— იმდენს გაჰკიოდნენ მისი კარვის წინ, სანამ ღამე არ ჩამოდგა. მეგობრებთან ან თანამოქალაქეებთან შეხვედრისას ისინი ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ და ერთი მეორეს ჰპატიჟობდნენ სადილად და სანადიმოდ, აქ მათი აღტაცება, რასაკვირველია, იზრდებოდა. ისინი იწყებდნენ მსჯელობას და ლაპარაკს საბერძნეთის შესახებ. „რამდენი ომი უწარმოებია საბერძნეთს თავის თავისუფლებისათვის, — ამბობდნენ ისინი, — მაგრამ არასდროს მისი ბედნიერება არ ყოფილა ამაზე უფრო მტკიცე და სასიხარულო“ [2].

195 წ. ფლამინინმა დაამარცხა სპარტის მოსახლეობის შეძლებულ კლასებს შორის არაპოპულარული ტირანი ნაბიდე, გაემგზავრა არგოსში, სადაც იგი დანიშნეს ისთმოს ასპარეზობის განმკარგულებლად. ასპარეზობის უქმობის შემდეგ ფლამინინმა ერთხელ კიდევ საზეიმო ფორმით გამოაცხადა ჰელინური თავისუფლების აღდგენა. ფლამინინმა ჩამოიარა საბერძნეთის ქალაქები და ყველგან აღადგენდა ის ძველ კანონებსა და ჩვეულებებს, განაჩენდა სა-

---

[1] Plut., Tit. Quinct. Flamininus, X.

[2] Ibid., XI.

მართალს, აწყნარებდა მღელვარებას, არიცხებდა მოჩხუბრებს, აბრუნებდა ემიგრანტებს — ერთი სიტყვით, გამოდიოდა ჰელინური ხალხის კეთილმყოფისა და მხსნელის როლში.

„მისთვის ერთგვარად სასიამოვნო იყო როგორც ის, რომ ხეღავდა თავის სიტყვისა და დაჯერების წარმატებას საბერძნეთში მშვიდობიანობის აღსადგენად, ისე იმას, რომ იგი იყო მაკედონიის დამამარცხებელი, ასე რომ თავისუფლება ბერძნებს ეჩვენებოდათ მათ თავზე განვლილ ბედნიერებათა უფრო ნაკლებ სიკეთედ“ [1].

საბერძნეთის თავისუფლების გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა დიდი იყო. რომაელებმა ამ გზით მოახერხეს მაკედონიის გათიშვა და „თავისუფალი“ საბერძნეთისგან ფორპოსტის შექმნა აღმოსავლეთში შემდგომ მოქმედებათა გასაშლელად.

მაგრამ ჰელინური თავისუფლების გამოცხადებას ჰქონდა მეორე მხარეც — ბერძნულ თემებს შორის მტრობის გაძლიერება. ჯერ არც კი იყვნენ გასულები რომის ლეგიონები ელადის მიწა-წყლიდან, რომ გათავისუფლებულ ბერძნულ ქალაქებს შორის დაიწყო ძველი შუღლი. თვითონ ქალაქების შიგნით უკიდურესად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი და მანამდე არნახული მასშტაბით გამომჟღავნდა მონათმფლობელურ სახელმწიფოთა ყველა, უარყოფითი მხარე — წვრილი მწარმოებლების გაჩანაგება, დიდი ქალაქების გავსება გაბოგანოებული ელემენტით, სიღარიბე-სილატაკე, მაწანწალობა და მისთანა სხვ. ჰელინისტური საზოგადოებები იმ დროს, პოლიბიოსის სწორი შენიშვნისა არ იყოს, წააგავდნენ მღელვარე ზღვას, როცა ერთს ტალღას განუწყვეტლივ მეორე ცვლის. რომაელები ითვალისწინებდნენ ჰელინურ საზოგადოებათა შინაგან შუღლსა და საგარეო უთანხმოებას და შექმნილი სიტუაცია გამოიყენეს კიდეც საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ჰელინური თემების სრული დამორჩილება რომისადმი მაინც არ მომხდარა. თვითოეულ სახელმწიფოში არსებობდა მაკედონური პარტია, რომელიც თავის გარშემო აერთიანებდა ანტირომაულ ელემენტებს., საბერძნეთისა და მაკედონიის ანტირომაულ ელემენტებს იმედი არ ჰქონდათ საკუთარი ძალ-ღონისა და ამიტომ ისინი სასოებით უმზერდნენ სირიის მეფე ანტიოქეს, რომელიც რომს ომს უმზადებდა.

3. სელევკიდების სახელმწიფო

სელევკიდების სახელმწიფო იყო მესამე დიდი ბერძნულ-ჰელინისტური სახელმწიფო, რომელთანაც რომს მოუხდა ანგარიშის გა-

[1] Plut., op. cit.

წევა. სელევკიდების მონარქიის აყვავების ხანა ეკუთვნის III საუკუნის პირველ ნახევარს, ანტიოქე I და ნაწილობრივ ანტიოქე II დროს. დიადოხების სახელმწიფოთა შორის სელევკის მონარქია იყო ყველაზე უფრო ფართო და მრავალი ტომით დასახლებული სახელმწიფო. უშველებელ სივრცეზე, ეგეოსის ზღვიდან მოკიდებული ინდამდე, ცხოვრობდა მრავალი სხვადასხვა ეროვნების სხვადასხვა ენაზე — ბერძნულს, ლიკიურსა, არამეულს, ბაბილონურს, ირანულზე და სხვებზე—მოლაპარაკე ხალხი. არანაკლები მრავალფეროვნება ახასიათებდა სელევკიდების სამეფოს სოციალურ- პოლიტიკური თვალსაზრისითაც. პრიმიტულ მწყემსურისა და სამიწათმოქმედო მეურნეობის გვერდით სელევკიდების ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილებში, არსებობდა ბაღ-ბოსტნეულის პლანტაციები, მრავალრიცხოვანი სახელოსნოები და განვითარებული ვაჭრობა.

აზიის ჰელინიზაცია დაიწყო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დიდი მაკედონური ლაშქრობა გაიშლებოდა, რაც წარმოადგენდა აღმოსავლეთში ბერძნული კოლონიზაციის გაგრძელებას. პირველი სელევკიდები (სელევკ I, ანტიოქე I, ანტიოქე II) ამ მხრივ იყვნენ ალექსანდრეს გულმოდგინე გამგრძელებლები. ჰელინიზაცია მაკედონელ დამპყრობელთა ხელში წარმოადგენდა იარაღს დაქსაქსული ადგილობრივი მოსახლეობის მასაზე თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად. ჰელინისტურ მეფეთა დიქტატურის განმტკიცების ერთერთ უმნიშვნელოვანეს იარაღსა და საშუალებას წარმოადგენდა ქ ა ლ ა ქ ი, როგორც სამხედრო, ეკონომიურ და კულტურულ ძალების ცენტრი. ჰელინისტური ქალაქი მიმოჰფენდა თავის გავლენას ყოველგვარი მიმართულებით, სპობდა ძველ კავშირს, მკვიდრ მოსახლეობას ითრევდა ახალ ურთიერთობაში და, ამრიგად, მას თავის გავლენის ქვეშ აქცევდა. გამოცოცხლდა აგრეთვე მცირეაზიის სანაპიროც, სადაც წარმოიქმნა სელევკიდებისაგან დამოუკიდებელი პერგამონის სამეფო, ერთერთი მეტად ბრწყინვალე ჰელინისტური სახელმწიფო, და მაინც სელევკიდების სამეფო ვერ შეიქნა ერთ მთლიან და გამძლე სახელმწიფოდ. ცენტრიდანულმა ძალებმა, რომელნიც ცენტრისკენულ ძალებზე უფრო ძლიერნი აღმოჩდნენ, ბოლოსდაბოლოს, დაქსაქსეს სირიის მონარქია ცალკე შემადგენელ ნაწილებად.

განვითარებულ საგარეო (ინდოეთი, ჩინეთი) და საშინაო ვაჭრობის არსებობის პირობებში ყოველი ქალაქი, თვითეული მხარე ცხოვრობდა საკუთარი ცხოვრებით. ჰელინიზაცია მარტო ზედაპირს შეეხო. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სელევკიდების სირიის

სახელმწიფო წარმოადგენდა ათასნაირ დიდ და წვრილ სოციალურ-ეკონომიურ წარმონაქმნს — პროვინციათა (სატრაპიების), ქალაქების, ტაძრების, მამულებისა და სოფლების — ჭრელ სურათს. მტკიცე კავშირი ამ სოციალურ-ეკონომიურ სხეულებს შორის არ არსებობდა. თვითეული ოლქი, თვითეული ქალაქი, თვითეული ტაძარი და თვითეული მამული ცხოვრობდა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით. მოსახლეობის ინტერესები თავს იყრიდა და მეღავნდებოდა ნივთიერი ხასიათის ყოველდღიურ წვრილმან საზრუნავ საქმეების ირგვლივ. პოლიტიკური ცხოვრება პრივილეგია იყო გავლენიანი ხალხის ვიწრო წრისა; ეს ხალხი იყო ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელები, სამხედრო მოხელეები, ვაჭრები და მდიდარი ხელოსნები, ამასთანავე ყველა ამ ხელობას ხშირად ერთი ადამიანი ითავსებდა. მიწათმფლობელი იმავე დროს იყო მხედარიც, ვაჭარიც და სახელოსნოს მფლობელიც.

ტერიტორიის დიდი ნაწილი იყო არისტოკრატების, ქალაქების, ტაძრებისა და მეფის ხელში. მოსახლეობის ფართო მასა ამ მიწებს ამუშავებდა როგორც მოიჯარადრე, რომელიც მიწის მესაკუთრეს უხდიდა ღალას ნატურით ან ფულით. როგორი მიმართება არსებობდა ამ საუკუნეებში მონურ შრომასა და შრომის სხვა კატეგორიათა შორის, ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ერთი-რამ უეჭველია, რომ ცალკეულ ქვეყნებს შორის ამ მხრივ დიდი სხვაობა არსებობდა. ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით დაბალი კლასების, დამოკიდებულება დამპყრობელ მაკედონელების მიმართ, რომელთა ხელშიაც იყო მოქცეული მიწის დიდი ნაწილი, ვაჭრობა და ხელოსნობა, და რომელნიც შეადგენდნენ ქალაქის მოსახლეობას, აშკარად უარყოფითი იყო.

ჰელინისტურ საზოგადოებათა ისტორია აღსავსეა ყოველგვარი აჯანყებებით, პროტესტებითა და მღელვარებით, რაც ცალკე მომენტებში იღებდა თავისებურ რელიგიურ-ნაციონალურ იერს. ხშირად ეს აჯანყებანი (მეტადრე ჰელინისტურ ეგვიპტეში) მთელ ოლქებს მოედებოდა ხოლმე. ამ მოძრაობებს ხშირად მესვეურობდნენ ტაძრის ქურუმები და ადგილობრივი თავადები (დინასტები).

რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მეტად იდევნებოდა ბერძნული ელემენტი ადგილობრივი, აღმოსავლური ელემენტით. ჰელინიზაციის მოკლე პერიოდის შემდეგ, ალექსანდრეს უახლოეს მოადგილე-მემკვიდრეების დროს ახალმოშენეთა დენა შემცირდა და ჰელინისტური აღმოსავლეთი ხელახლად დაუბრუნდა ცხოვრების წინაბერძნულ ფორმებს.

სელევკიდების სახელმწიფოს დაშლის უახლოეს ბიძგად აღმოჩნდა ძმათაშორისი ომები ტახტის სხვადასხვა მოცილეთა შორის, შეზობელი ტომების (გალატების, სკვითების, პართიელების) თარეში და მარცხიანი ომები სხვა ჰელინისტურ სახელმწიფოებთან. სელევკიდების დასუსტებამ გამოამჟღავნა სახელმწიფოს ყველა ცენტრადანული ძალები. თავი წამოჰყვეს ადგილობრივმა თავადებმა, რომელთა მაგალითს მიბაძეს მეფეების მიერ დადგენილმა ნაცვლებმა, (სტრატეგოსებმა, სატრაპებმა), ტაძრებმა (იერუსალიმის ტაძარმა, ბაალის ტაძარმა ემესოში) და ქალაქებმა. სხვებზე ადრე ჩამოსცილდნენ აღმოსავლეთის პროვინციები ბაქტრია (Bactria) და პართია (Parthia), რომელნიც უკვე ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული ბერძნულ-მაკედონურ კულტურასთან.

სელევკიდების სახელმწიფოსაგან გამოყოფილ დინასტებს შორის უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვეს პერგამონის დინასტებმა, რომელნიც „დიდი მეფის“ დინასტ-ვასალებისაგან შეიქმნენ ნამდვილ დამოუკიდებელ მეფეებად. ა ტ ა ლ I (241—197 წწ.) და ე ვ მ ე ნ II (197—158 წწ.) დროს პერგამონი შეიქნა ჰელინური ცივილიზაციის, მეცნიერებისა და ხელოვნების სანერგედ. სილამაზისა და მხატვრობის მხრივ პერგამონის ხელოვნების ძეგლებმა — ათენა-პოლიასის ტაძარმა, ზევესის ტრაპეზმა და მრავალმა სხვამ — მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ყველასათვის ცნობილია აგრეთვე პერგამონის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა, რომელიც მოწყობილი იყო ალესაქნდრიის ბიბლიოთეკის მსგავსად. პერგამონის მაგალითს მიბაძეს კაბადოკიამ და ბითინიამ, რომელთაც წარმოქმნეს დამოუკიდებელი სამთავროები.

რომაელების ჩარევამ ბერძნულ ჰელინისტურ სახელმწიფოთა საქმეებში არა თუ დაასუსტა, არამედ, პირველ ხანებში მაინც, უფრო მეტად არია და გაამწვავა სოციალური წინააღმდეგობანი. თავისი ტრადიციული პოლიტიკის თანახმად, რომაელები ყოველთვის მხარს უჭერდნენ შეძლებულ კლასებს, მიწისა და ფულად არისტოკრატიას. ანტირომაულ პარტიას კი სამხედრო ჯგუფებთან და ქურუმებთან ერთად ემხრობოდნენ აგრეთვე ნაკლებ შეძლებული ელემენტები და მონები. ყოველივე ეს იმას იწვევდა, რომ ბერძნულ-ჰელინისტურ სახელმწიფოებში ინასკვნებოდა უაღრესად რთული კვანძი ყოველგვარი წინააღმდეგობისა, რის გახსნა და გადაწყვეტაც რომს მოუხდა. რომის პოლიტიკით, როგორც „დასავლეთელ ბარბაროსების“ პოლიტიკით, უკმაყოფილება დაიწყო იმავ დღიდანვე, რა დღესაც აღმოსავლეთში რომაელები გაჩნდნენ. ამით

ისარგებლეს ანტირომაული პარტიის მესვეურებმა — მაკედონიის მეფემ ფილიპე V, სირიის მეფემ ანტიოქე III და შემდეგ ფილიპეს შვილმა პერსევმა. მომსრეთა რიცხვის გაზრდის მიზნით, იმათ თავიანთი თავი გამოაცხადეს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლებად, ჩაგრულთა მოსარჩლეებად (მესიებად), რომელთაც უნდა გაეთავისუფლებინათ წამებული მასები ჩაგვრისა და ტანჯვისაგან.

ფილიპეს შემუსვრის შემდეგ, ანტირომაულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სირიის მეფე ანტიოქე III დიდი (223—187 წწ.). ანტიოქემ მიზნად დაისახა აღედგინა სელევკიდების სამეფო მთელი თავისი წინანდელი მოცულობით და იმ ნაწილების ჩათვლით, რომელნიც ამ სამეფოს ჩამოსცილდნენ მისი წინამოადგილეების დროს; ეს იყო ბითინია, კაპადოკია, პონტო, პერგამონი და სხვ. ამ გრანდიოზული მიზნის განხორციელებას ანტიოქე აკავშირებდა ბერძნულ-ჰელინისტური სახელმწიფოების „დასავლეთელ ბარბაროსებისგან", ე. ი. რომაელებისგან განწმენდასთან. ასეთი გზით ანტიოქე სათავეში უდგებოდა საერთოდ ანტირომაულ მოძრაობას. რომის შემუსვრის საჭიროებაში სირიის მეფეს ყველაზე უფრო მეტად არწმუნებდა ჰანიბალი, რომელიც კართაგენიდან გაიქცა ჯერ კიდევ 195 წ. და იმ დროს ცხოვრობდა ანტიოქეს სახელმწიფოში. ჰანიბალის გონებაში ფართოდ იშლებოდა რომთან იმ ახალი ომის ფანტასტიური გეგმა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ყველა სახელმწიფოს და, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, კართაგენს. საკუთრივ სირიული საქმეები ნაკლებად აინტერესებდა კართაგენელ წინამძღოლს, რომის დაუძინებელსა და შეურიგებელ მტერს. ჰანიბალის გეგმა თავისთავად ეფექტური იყო, ოღონდ მოცემულ პირობებში განუხორციელებელი. ბერძნულ ჰელინისტური სახელმწიფოების სუსტ მხარეს, როგორც უკვე იყო თქმული და როგორც ეს დაადასტურა უახლოესმა ამბებმა, წარმოადგენდა ღრმა შინაგანი და საგარეო წინააღმდეგობანი, რომელნიც არღვევდნენ და ასუსტებდნენ ჰელინისტურ საზოგადოებებს.

4. სირიის ომი

სირიის მეფე ჩაერია საბერძნეთის საქმეებში, აქეისა და ეტოლიის კავშირს შორის ატეხილ ომში. ანტიოქემ ეტოლიის კავშირის მხარე დაიჭირა და ამით გამოუცხადა ომი რომს, რომელიც მტრულ ურთიერთობაში იყო ეტოლიელებთან. ეტოლიელები, რომლებიც

ცოტახნის წინათ რომის მეგობრები იყვნენ, მას აეშალნენ, რადგან უკმაყოფილო იყვნენ იმ უმნიშვნელო დათმობებით, რაც რომაელებმა მათთვის გაიმეტეს მეორე მაკედონური ომის შემდეგ, და მოლაპარაკება გამართეს სირიის მეფესთან, „ნამდვილ ფილელინთან". ანტიოქეს გადასვლა ზღვით საბერძნეთში შეიქნა ს ი რ ი უ ლ ი ო მ ი ს (192—189 წწ.) დასაწყისად.

ანტიოქეს პირველი მოქმედება საბერძნეთში წარმატებით დაგვირგვინდა: მან დაიჭირა ევბეა, დაიპყრო თესალია და ომი აკარნანიაში გადაიტანა ,მაგრამ ამით დამთავრდა კიდეც სირიის მეფის წარმატებანი. ჰანიბალისა და ანტიოქეს ვარაუდი, რომ საყოველთაოდ აჯანყდებოდა რომის წინააღმდეგ ხმელთაშუაზღვეთის ყველა სახელმწიფო, არ გამართლდა, ხოლო მაკედონიამ და აქეის კავშირმა არა თუ არ მისცეს მხარი ანტიოქეს, არამედ რომის მხარეზედაც კი გადავიდნენ. ასევე მოიქცა პერგამონის მეფე ევმენ II, რომელსაც აშინებდა სირიის დიდმპყრობელური პოლიტიკა. თერმოპილთან დამარცხებამ ანტიოქე აიძულა დაეცალა საბერძნეთის ტერიტორია და უკანვე აზიაში გაბრუნებულიყო. უკან დახეულ ანტიოქეს კვალდაკვალ მიჰყვნენ რომის ჯარი და ფლოტი, რომელიც გაძღიერდა როდოსელების, ქიოსელების, სამოსელთა, ლესბოსელთა, პერგამონელებისა და სხვათა გემებით. ზღვაზე დამარცხებული ანტიოქე მით უფრო მეტი გულმოდგინეობით შეუდგა სახმელეთო არმიის მოწყობას, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მცირეაზიის სანაპიროზე რომაელები დესანტს გადასხავდნენ.

განსაკუთრებული ენერგიის წყალობით ანტიოქემ მოახერხა სულ სხვადასხვა მცირეაზიელ ტომებისაგან (გალატებისა, პაფლაგონელებისა, ლიკიელებისა, კაპადოკიელებისა და სხვებისგან) შეედგინა დიდძალი, თუმცა ნაკლებად მწყობრი და ნაკლებგამძლე არმია. გენერალური ბრძოლა მოხდა მაგნეზიასთან (Magnesia) მცირე აზიაში (190 წ.). ანტიოქე აქ საესებით დამარცხდა და იძულებული გახდა რომთან ზავი მძიმე პირობებში დაედვა.

აზიის დიდი ნაწილი (ტავრამდე) გადადიოდა რომაელების ხელში, რომელთაც უარი განაცხადეს უშუალო ოკუპაციაზე და დაპყრობილი მიწები მოკავშირეებს შორის გაანაწილეს. ყველაზე მეტი მიიღო პერგამონის მეფემ ევმენმა.

პერგამონის ხელში გადავიდა ეგვიპტის ყოფილი სამფლობელოები ჰელესპონტზე (თრაკიის ხერსონესი), აზიის ნაპირის ნაწილი, ლიდია, ფრიგიის ნაწილი, კარია და პამფილია. რომაელების სამხედრო ოპერაციებს აზიაში ხელმძღვანელობდა ლუციუს სციპიონი, რომელსაც თან ახლდა მისი ძმა პუბლიუსი; ეს პუბლიუსი

უკანა რიგში აყენებდა თავის მოწინააღმდეგე ფლამინინებს, რომელთა ფილელინურმა პოლიტიკამ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. პუბლიუს სციპიონი გარდაიცვალა 183 წ., იმავე წელს, როცა ჰანიბალმა თავი მოიკლა ბითინიაში.

რომაელების ანტიოქეზე გამარჯვებამ ვერ შეიტანა სიწყნარე ბერძნულ-ჰელინისტურ თემების აბობოქრებულ ზღვაში. ბრძოლა ღებულობდა ნაციონალური მოძრაობის ფორმას. ნაციონალური რეაქცია არა მარტო რომის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ მთელი ჰელინისტური კულტურის წინააღმდეგ, რაც ძლიერი იყო ანტიოქე III დროსვე, უფრო მეტად გაძლიერდა ანტიოქე IV ეპიფანეს დროს (175 — 164 წწ.). რეაქცია ორი მხრიდან მიმდინარეობდა. აღმოსავლეთის მხრით, სადაც იმ დროს ყალიბდებოდა პართიის სამეფო, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ოლქს სელევკიის საზღვრებიდან ინდოეთამდე, და, მეორეს მხრით, დასავლეთიდან, — იუდეიდან. ანტიოქე III და ანტიოქე IV დროს იუდეიაში მეტად რთული ამბები ხდებოდა. ბერძნული კულტურისა და ბერძნული ენის გავრცელების ხანაში იუდეიაში გაჩნდა ჰელინისტების ჯგუფი. მეურნეობის ახალ ფორმებთან და საგარეო ვაჭრობასთან უფრო დაკავშირებული ჰელინისტები მოწინააღმდეგენი იყვნენ იუდეველთა პატრიარქალური წყობისა და სასტიკი კარჩაკეტილობისა. ჰელინისტებსა და „კეთილმსახურთა" (ხაზიდიმ), ძველის მომხრეთა, შორის გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. რამდენიმე ხნით გაიმარჯვა იუდეის ჰელენისტების პარტიამ, რომელსაც მეთაურობდა იესო (იაზონი).

იუდეველთა შინაგან შუღლში ჩაერია ანტიოქე ეპიფანე, გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი, „ხაზიდიმ"-ის რელიგიურ-პოლიტიკური საყრდენი, და ანტიოქიაში გაიტაცა ტაძრის განძეულობა. სირიის მეფის ჩარევამ გამოიწვია თავგანწირული ანტიჰელინისტური რეაქცია. იუდეველთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ იერუსალიმელი ქურუმი (მღვდელთ-მთავარი) მატაფია და მისი ხუთი ვაჟიშვილი. უაღრესი ენერგია და სიმძაფრე ჰელინიზმთან ბრძოლაში შეიტანა მატაფის შვილმა იუდა მაკაბელმა (ურომ). მაკაბელთა ბრძოლა მამაპაპეული ძველი სარწმუნოების აღდგენისათვის ბათი სრული გამარჯვებით დამთავრდა, რაც არაჩვეულებრივ სიმპტომათური იყო ჰელინიზმის უკანასკნელი საუკუნეებისათვის, ანტი-ჰელინისტური რეაქციის ზრდით რომაა აღბეჭდილი. სირიელები განდევნილ იქნენ, ტაძარი აღადგინეს, უსასტიკესი ფორმით განაახლეს ძველი ჩვეულებანი და რელიგია: „კეთილმსახურნი" (ხაზიდიმ) თავის გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მაკაბელთა აჯანყებით იხსნება პალესტინასა და საერთოდ აღმოსავლეთში რევოლუციათა გრძელი სერია, რასაც ჩვენ გავეცნობით შემდგომში. ყველა დასახელებული მოძრაობის დამახასიათებელი ნიშანი იყო ერთმანეთში გადაჯდობა კლასობრივ, რელიგიურ, ანტირომაულ და ანტიჰელინურ მოტივებისა, რომელთაც თავისი ანარეკლი პოვეს აპოკალიფსებში (წინასწარმეტყველთა გამოცხადებებში), ფართო გავრცელება რომ მოიპოვეს უკანასკნელ საუკუნეებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

5. მესამე მაკედონური ომი

იმ დროს, როდესაც მაკაბე ომს აწარმოებდა ანტიოქესთან თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის, ბერძნულ-ჰელინისტური საყარო უკანასკნელად გაერთიანდა მაკედონიის მესვეურობით მ ე ს ა მ ე მ ა კ ე დ ო ნ უ რ ო მ შ ი (171 — 168 წწ.). ომი დაიწყო ისევ იმავე დაუცხრომელმა ფილიპე მაკედონელმა, რომელიც რომის მიერ ნაწყენი იყო თრაკიის სანაპიროზე თავისი პრეტენზიების განცხადებისას. ფილიპე ყველგან აღაგზნებდა ანტირომაულ განწყობილებას, სხვათა შორის, ფიქრობდა იტალიაზე მიეშვა დუნაისპირა ხალხები, რომის მიმართ მტრულად რომ იყვნენ განწყობილი.

ფილიპეს სიკვდილის შემდეგ ანტირომაულ პოლიტიკას განაგრძობდა მისი შვილი პ ე რ ს ე ვ ი. ანტირომაულ პოლიტიკას თანაუგრძნობდნენ ბერძნები, ილირიელები, ეპირელები (ეპიროტები) და ბერძნულ-ჰელინისტურ სამყაროს მრავალი სხვა ხალხი, რომელთა ინტერესებიც შელახული იყო რომის ექსპანსიით. თვითონ პერსევი არაჩვეულებრივი პიროვნება, კარგი ორგანიზატორი და სარდალი იყო. მაგრამ მაკედონიის სახსრები ძალიან იყო შესუსტებული განუწყვეტელი ომებით და ხელგაშლილი, ბედოვლათური პოლიტიკით, არმია სიმშილობდა და ღონემიხდილი იყო, მოკავშირეები ნაკლებად საიმედონი იყვნენ და სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობაც ვერ იყო მყარი. ყველა უპირატესობა მაკედონიის მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო. ამასთანავე სამხედრო ოპერაციებს პერსევის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა რომის საუკეთესო სტრატეგი — ლ უ ც ი უ ს ე მ ი ლ ი პ ა ვ ლ ე, იმ ემილი პავლეს შვილი, რომელიც კანესთან ბრძოლაში იქნა მოკლული.

პერსევის მიერ 168 წ. მოპოებულ პირველ გამარჯვებათა შემდეგ მაკედონელები სასტიკად დამარცხდნენ პიდნასთან (Pydna). მძიმე მაკედონურმა ფალანგამ ვეღარ გაუძლო უფრო მოძრავ რომაულ მანიპულებს. დამარცხებული პერსევი ტყვედ ჩაიგდეს და რო-

ორც სამხედრო ტროფეი გაგზავნილ იქნა რომში. პიდნასთან გამარჯვება ნიშნავდა რომის საგარეო პოლიტიკაში დიდ გარდატეხას. ამ დროიდან რომაელები ხელს იღებენ ჰელინისტურ სახელმწიფოების შინაგან საქმეებში ჩაურევლობის ძველ პოლიტიკაზე. რომის პოლისი თანდათანობით ხდებოდა ცენტრალიზებულ იმპერიად. მაკედონიის ფინანსიური ძალა შესუსტებულ იქნა კონტრიბუციის დადებით და რომაელების ხელში შემოსავლის მთავარ წყაროთა გადასვლით. ბერძენ-მაკედონელთა საქმეები საბოლოოდ მომთავრდა II ს. 40-იან წლებში, ცრუ-ფილიპეს აჯანყებისა და აქეის კავშირის განდგომის შემდეგ.

თ ა ვ ი V

მ ე ს ა მ ე პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ი

1. კართაგენის აღორძინება

რომაელთა ყურადღების აღმოსავლეთში გადატანამ დაშარცხებულ, მაგრამ არა მოსპობილ კართაგენს შესაძლებლობა მისცა კვლავ გამობრუნებულიყო და თავი ხელახლა წამოეყო. ორმოცდაათი წელიწადი, რამაც გაიარა ზავის დადების დროიდან ახალ, მ ე ს ა მ ე, პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ი ს დაწყებამდე, სავსებით საკმარისი იყო მისი ეკონომიური ძლიერების აღდგენისათვის. კართაგენელებმა ხელი აიღეს სამხედრო დაპყრობებსა და ფართო სამხედრო პოლიტიკაზე და მთელი თავისი ენერგია წარმართეს სამეურნეო საქმიანობისაკენ, რაც მოცემულ პირობებში ერთადერთიღა იყო შესაძლებელი. მეორე და მესამე პუნიკური ომების შუა ხანებში კართაგენში, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ტერიტორიის თვალსაჩინო ნაწილი, განვითარდა გაცხოველებული ვაჭრობა ადგილობრივ ტომებთან, გაიზარდა მარცვლეულ და ბაღ-ბოსტნეულ კულტურათა ფართობი, იმატა სახელოსნოებისა და სავაჭრო სადგომების რიცხვმა, ამუშავდა ზარაფებისა და სადეპოზიტო კანტორათა დუქნები, ქალაქის მოსახლეობის რიცხვმაც აიწია თვალსაჩინო რაოდენობამდე — 700 ათას სულამდე. რომის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის „ჰანიბალის სამშობლო“ პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენდა. ამის შედეგი იყო რომის პლუტოკრატიისა და სოფლის მეურნე-პლანტატორების მტრული ურთიერთობის გამწვავება აღორძინების გზაზე დამდგარ მეტოქესთან.

რომის ხელმძღვანელი წრეების განწყობილება არ გამოეპარა ნუმიდიის მეფე მასინისის მახვილ თვალს, იმ მასინისისას, რომე-

ლიც პრეტენზიას აცხადებდა მოსაზღვრე სამფლობელოებზე და, ერძოდ, მცირე სირტთან მდებარე მიწის ნაყოფიერ ზოლზე. ყველა კონფლიქტში კართაგენის სენატსა და მასინისას შორის რომი ყოველთვის უკანასკნელის მხარეზე დგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მისი პრეტენზია აშკარად უსამართლო იყო. რომისა და მისი აფრიკელი მოკავშირის მსგავსმა პოლიტიკამ გაზარდა კართაგენის სამხედრო პარტიის, „პატრიოტთა პარტიის" შანსები, რომლის სათავეშიც კართაგენიდან გაქცევამდე იდგა ჰანიბალი, ხოლო II ს. მეორე ნახევარში ამ პარტიას ხელმძღვანელობდა ჰასდრუბალი.

ჰასდრუბალმა და კარფალონმა დაიწყეს ომი მასინისასთან და 150 წ. სასტიკი დამარცხება განიცადეს. ამის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი სამშვიდობო პარტია სრულიად უარს ამბობდა რაიმე სამხედრო პოლიტიკაზე და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა რომთან კავშირი დაემყარებინა.

მაგრამ კართაგენის მშვიდობიანმა პოლიტიკამ ვერ პოვა რომის საზოგადოებაში გამოხმაურება და თანაგრძნობა. კართაგენთან ომის განახლების მომხრე იყო რომის პლუტოკრატია-ვაჭრები, ნეკაბშეები, მეიარაღენი, არმიისათვის საჭირო საგნების დამამზადებელნი, პლანტაციათა პატრონები, რომელნიც პრეტენზიას აცხადებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში მონოპოლიაზე და, ბოლოს, ყველა კატეგორიის მონათმფლობელები, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ იაფი და კვალიფიციური მონების ხელში ჩაგდებით. საომარ ვუნვებაზე იყო განწყობილი აგრეთვე ქალაქის დემოკრატიაც, plebs urbana, რომელიც უკვე საკმაოდ იყო ჩაბმული საგარეო პოლიტიკასა და პუბლიკანთა კომპანიებში და მიეჩვია გაბოძების დროს ფულის მიღებას, ტრიუმფებს, დღესასწაულებსა და სანახაობებს. რომის იმპერიალისტების განწყობილების ილუსტრაციისათვის უაღრესად მაჩვენებელია ფრაზა, რომელსაც კატონს მიაწერენ: „Ceterum censeo, Carthaginem delendam esse" („თუმცა, მე ვფიქრობ, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს").

კართაგენელების მშვიდობიან წინადადებათა საპასუხოდ რომმა მოითხოვა „რომაელი ხალხის მეგობრის" მეფე მასინისას ყველა პრეტენზიის ულაპარაკოდ დაკმაყოფილება, 500 ტალანტის კონტრიბუციის სახით მიცემა, ბაგრადის სანაპიროზე „დიდი მინდვრების" დაცლა და, ბოლოს, რომისათვის სამხედრო მარაგისა და შეჭურვილობის თვალსაჩინო ნაწილის გადაცემა, რიცხვით ორ ასეულ ორი ათასამდე სატყორცნ მანქანის, დიდი რაოდენობით

მახვილების, ფარების, მუზარედების, ცხენებისა და სხვ. მაგრამ არც ამან დააკმაყოფილა რომაელები, რომელთაც მერე მოითხოვეს თვითონ ქალაქის მოთხრა და ზღვიდან 15 კილომეტრის მანძილზე ფართობის დაცლა. უკანასკნელმა მოთხოვნილებამ — ქალაქის მოთხრამ — გამოიწვია კართაგენელების საშინელი აღშფოთება, რომელთაც გადაწყვიტეს უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაეცვათ თავიანთი თავი.

მოსახლეობა გაცხარებით იარაღდებოდა, იარაღდებოდნენ მონებიც კი, რომელთაც აღუთქვეს თავისუფლების მინიჭება, შეუდგნენ ქალაქის სიმაგრეების შეკეთებას, ააგეს ახალი სიმაგრეები. თავდაცვის საქმეებს ხელმძღვანელობდა გაძევებიდან დაბრუნებული ჰასდრუბალი. რომაელების პირველმა ცდამ—149 წ. ქალაქი იერიშით აეღოთ — მარცხი განიცადა; ამან ისინი აიძულა ხელი აეღოთ იერიშებზე და გადასულიყვნენ ხანგრძლივ გარემოცვაზე სამხედრო ხელოვნების ყველა წესის დაცვით; მათ იმედი ჰქონდათ იმდენად არა გარემომცველთა მამაცობისა, რამდენადაც იმისა, რომ ქალაქს წყალი არ გააჩნდა და იქ მძვინვარებდა სიმშილი და ეპიდემია.

ორი წლის უშედეგო გარემოცვის შემდეგ 147 წ. აფრიკაში გადმოვიდა კონსულად ახლად არჩეული პუბლიუს კორნელი სციპიონ ემელიანე (Publius Cornelius Scipio Aemilianus), რომელსაც განსაკუთრებული პლებისციტით ჰქონდა მინდობილი ომის წარმოება.

სციპიონ ემილიანე, პიდნასთან გამარჯვებულ ემილ პავლეს შვილი, შვილობილი იყო სციპიონ აფრიკელისა. ამ უკანასკნელსავით მასაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რომის არისტოკრატიაში. სციპიონ ემილიანე იყო რომის ერთერთი მეტად განათლებული პიროვნება, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ პოლიტიკოსები, სწავლულები და მწერლები, და ამასთან ერთად იგი ითვლებოდა მისი დროის საუკეთესო სარდლად. არ იყო არცერთი თვალსაჩინო კამპანია, რომ მას არ მიეღო მონაწილეობა. 149 წ-ის გაწვეული იყო აფრიკაში იმხანად გარდაცვლილ მოხუცებულ მასინისას ქონების გასაყოფად და მან მოახერხა ნუმიდიის ჯარის გაგზავნა კართაგენის გარემომცველ რომაელებისათვის საშველად. სციპიონის მიერ გამოჩენილმა ენერგიამ ხელი შეუწყო იმას, რომ 147 წ. ის, დაბადებიდან სულ 37 წლისა, არჩეულ იქნა კონსულად, სენატის სურვილის წინააღმდეგ. სენატი ფორმალური მოსაზრებებით ცდილობდა სციპიონის კანდიდატურის მოხსნას,

ემყარებოდა რა ვილიუსის კანონს (lex Villia annalis), რომელიც კონსულისათვის საასაკო ნორმად აწესებდა 43 წელს. მაგრამ ამან სციპიონს უკან ვერ დაახევინა; ის დახმარებისათვის მიმართავს სასალხო ტრიბუნებს, რომელთაც მას კომიციების საშუალებით მოუპოვეს კიდეც კონსულობა.

2. კართაგენის გარემოცვა

სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე მისულმა ახალმა მთავარსარდალმა აღაფრთოვანა გარემომცველი რომაელები, განამტკიცა სამხედრო დისციპლინა და ბანაკი გაწმინდა გარეშე ელემენტებისაგან. კართაგენის გარეუბნების აღების შემდეგ, 146 წ. გაზაფხულზე სციპიონმა დაიწყო წესიერი გარემოცვა. გაიოს ლელიმ, სციპიონის მეგობარმა, შესძლო კედლის შენგრევა და ქალაქში შეჭრა, რომლის ქუჩებშიც შვიდი დღის განმავლობაში მძაფრი ომი იყო ვაჩაღებული. ბოლოს, მეშვიდე დღის დამლევს, მოახერხეს კართაგენის ციხე-სიმაგრის(Byrsa) აღება და ამით ბრძოლაც დამთავრდა. კართაგენის მთავარი სალოცავის, ესკულაპის ტაძრის, რომაელების მიერ ხელში ჩაგდების შემდეგ, 50 ათასმა სრულიად განაწამებმა, მშიერმა და დაავადებულმა კართაგენელმა გამარჯვებული მტრის სულგრძელებას მიანდო თავი და ემუდარებოდა სიკვდილი თუნდაც მონობით შეეცვალა. კართაგენი დაცული იყო 2 მეტრიანი სისქის ციკლოპიური გალავნით, რომლის ნაშთებიც დიდიხანი არაა რაც არქეოლოგებმა მიწის წიაღიდან გამოავლინეს, და, სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით, მისი აღება წარმოადგენდა რომის დიდ გამარჯვებას.

ნახევრად დანგრეული ქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული, ცოცხლად გადარჩენილ მცხოვრებლებს ებრძანათ გასახლებულიყვნენ კართაგენის ტერიტორიიდან, რომელიც გამოცხადდა არაწმინდა და წყეულ ადგილად. კართაგენის რესპუბლიკის ყველა სამფლობელო შევიდა რომის ფარგლებში პროვინცია ა ფ რ ი კ ა ს (Africa) სახელწოდებით. აფრიკის პროვინციის მთავარ ქალაქად შეიქნა უ ტ ი კ ა (Utica), რომელიც რომის დროს კართაგენს გაუდგა და რომის მხარეს გადავიდა. უტიკა და ზოგიერთი სხვა ქალაქი კართაგენისა — ჰადრუმეტუმი (Hadrumetum) და თაპსუსი (Thapsus) — ფორმალურად ითვლებოდნენ ავტონომიურ და რომის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქალაქებად.

ყოფილი კართაგენის რესპუბლიკის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი გამოცხადდა რომის სახელმწიფოს დომენად. მისი ნაწილი,

განსაკუთრებით თვითონ ქალაქ კართაგენის მიდამოები, მსხვილ ნაკვეთებად იჯარით მიეცა რომის პუბლიკანებს (publicani), მეორე ნაწილი კი დაუტოვეს წინანდელ მოსახლეობას, რომელმაც თავისი მიწის ნაჭრები შეინარჩუნა მოიჯარადრის უფლებით და რომელსაც რომის ხაზინაში უხდებოდა გარკვეული გადასახადის — სტიპენდიუმის — (stipendium) შეტანა. აქედან წარმოსდგა ამ კატეგორიის მიწების სახელწოდებაც agri stipendiarii. აფრიკის სტიპენდიუმის დიდი ნაწილი, რომელიც მოსახლეობას ხდებოდა ნატურით მარცვლეულის სახით, იგზავნებოდა რომში და განკუთვნილი იყო სახელმწიფო საჭიროება-მოთხოვნილებათათვის, ფულის საბოძვრად და ლაშქრის შესანახად. სიცილიასთან ერთად აფრიკა ითვლებოდა „რომის ხალხის ბეღლად“.

იმავე ხანებში, როცა აფრიკის ომი წარმოებდა, ომები გრძელდებოდა აღმოსავლეთშიაც. რომაელებისგან აფრიკაში გადატანილმა გაჭირვებამ აღაფრთოვანა ბერძნულ-ჰელინისტური ხალხები, რომელნიც ერთხელ კიდევ სცდიან ბედს—დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა. მეორმოცე წლების დასაწყისს მაკედონიაში ვინმე ანდრისკე, პროფესიით მთელავი, რომელიც თავის თავს ასაღებდა პერსევსისა და სირიელი ქალის ლაოდიკის შვილად, აცხადებს თავის თავს ფილიპედ, მაკედონიის მეფედ, ხალხის გამათავისუფლებლად და რომის მტრად. 149 წ. ანდრისკ-ფილიპემ, ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ ხოლმე, ცრუ-ფილიპემ, დაამარცხა რომის პრეტორი პუბლიუს იუვენციუსი და შეიჭრა თესალიაში, მაგრამ მომდევნო, 148 წელს, დამარცხდება კონსულ კვინტუს ცეცილი მეტელის მიერ. ანდრისკეს დამარცხების შემდეგ მაკედონიის ყველა ნაწილები ეპირით, იონიის ზღვის კუნძულებით, ქალაქებით — აპოლონიათი და დირაქიუმით შევიდა რომის პ რ ო ვ ი ნ ც ი ა მ ა კ ე დ ო ნ ი ა შ ი.. სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა მაკედონიის დაპყრობას ჰქონდა პირველხარისხოვანი ეკონომიური მნიშვნელობა, რადგანაც მაკედონიაში მოიპოებოდა ვერცხლისა და ოქროს მდიდარი მადნები, რაც ახლა რომის განკარგულებაში გადავიდა და გამოსასყიდად ეძლეოდათ რომის მოქალაქეებს. ახალი პროვინციის შემოსამტკიცებლად გაყვანილ იქნა ე გ ნ ა ც ი ა ს გ ზ ა (via Egnatia), დირაქიუმიდან კანდავიას ზეგანზე თესალონიკისკენ და აქედან კი აღმოსავლეთისკენ რომ მიემართებოდა.

მაკედონიის დაპყრობას თან მოჰყვა მთელი დანარჩენი საბერძნეთის დამორჩილებაც. მუდმივმა მტრობამ და შუღლმა, ბერძნულ თემებს შორის რომ არსებობდა, რომს გამარჯვება გაუადვილა.

აქეის კავშირის სპარტასთან ომის დროს რომაელებმა დაიჭირეს სპარტის მხარე და მოითხოვეს სპარტის გათავისუფლება კავშირის ჰეგემონიისგან. ამით შეურაცხყოფილმა აქეველებმა, რომელთაც მხარი დაუჭირა სხვა ჰელინურმა თემებმაც, გამოუცხადეს ომი რომს. ამ ომში ყველა უპირატესობა რომაელების მხარეზე იყო, მათ რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს აქეის კავშირზე და მოპოებულ გამარჯვებათა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო ლუციუს მუმიუსის გამარჯვება ისთმოს ყელზე, კორინთოს ახლოს. კორინთო, აქეის კავშირის მთავარი ქალაქი, ბერძნული ვაჭრობისა და მრეწველობის ცენტრი, კართაგენივით დანგრეულ იქნა კონსულ მუმიუსის მიერ. დაზარალდა სხვა ბერძნული ქალაქებიც — თებე, ქალკიდა ევბეაზე და სხვანი. კორინთოს ოლქი გამოცხადდა რომის ხალხის საკუთრებად, ხოლო მიწის პატრონები — მოიჯარადრებად, რომელნიც მიწის გამოყენების უფლებისათვის განსაკუთრებულ გადასახადს იხდიდნენ (vectigal), საიდანაც წარმოდგა ამ მიწების სახელწოდებაც — ager i vectigales. აქეისა და ყველა სხვა კავშირი დაშლილად გამოაცხადეს. ფორმალურად ავტონომიური ბერძნული თემები დაუმორჩილეს უმაღლეს ინსტანციას — მაკედონიის ნაცვალს, რომელიც თესალონიკში ცხოვრობდა. ქონებრივი ცენზის დაწესების საშუალებით მართვა-გამგებლობა გადადიოდა შეძლებული კლასების ხელში, რომელთაც რომის მხარე ეჭირათ. ას წელიწადზე მეტხანს საბერძნეთი იმყოფებოდა შინაგანი შუღლისა და დაქუცმაცების მდგომარეობაში და მხოლოდ 27 წელს კლასიკური ელადის ყველა თემი გაერთიანებულ იქნა რომის ერთ პროვინციად—აქაიად.

3. ომები ესპანეთსა და მცირე აზიაში

II ს. ომებს შორის რომის იარაღისათვის მეტად სამძიმო და უაღრესად სამარცხვინო ომი იყო ესპანეთის ომი. ჰანიბალის განდევნის დროიდან მოკიდებული ესპანეთში ომები, რომელთაც პარტიზანული ომების (guerilla) ხასიათი ჰქონდათ, თითქმის არ შეწყვეტილა რესპუბლიკის არსებობის ბოლომდე. ესპანეთში ომების სიძნელე და ხანგრძლივობა აიხსნება პირენეის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობებით; იგი გაყოფილი იყო მრავალ მთაგორიან ოლქად, მას არ გააჩნდა გზები და ამასთანავე ჰქონდა სიმრავლე კლდეებისა, მთის მდინარეებისა და წყლებისა. პირენეის ნახევარკუნძულის მთები და ველები დასახლებული იყო სულ სხვადასხვა ტომით, რომელნიც მისდევდნენ მემწყემსეობას, მიწათმოქმედებას, ხოლო

ტომთა მთავრები, გარდა ამისა, ვაჭრობასაც აწარმოებდნენ აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ კართაგენელებსა და რომაელებთან.

დამოუკიდებლობას შეჩვეულები, ნახევრად ველური ესპანელი ტომები, მშვენიერი მოჯირითენი და მსროლელნი, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მოსაზღვრე საგუშაგოს, დიდ ზიანს აყენებდნენ მას და მერე იმალებოდნენ ხოლმე მიუვალ მთებსა და ხეობებში.

ესპანეთიდან კართაგენელების წასვლის შემდეგ, პირენეის ყველა სამფლობელო, რაც კი რომაელების ხელში გადავიდა, ჩამოყალიბდა ორი დიდი ოლქისა ანუ პროვინციის სახით: სამხრეთით იყო — შ ო რ ე უ ლ ი ე ს პ ა ნ ე თ ი (Hispania Ulterior), რომელიც შეიცავდა ესპანეთის თანამედროვე პროვინციებს — ანდალუზიას, მურსიას და ვალენსიას, ხოლო ჩრდილოეთით — მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ი ე ს პ ა ნ ე თ ი (Hispania Citerior), სადაც შედიოდნენ კატალონია და არაგონია. აღმოსავლეთი სანაპიროს შემომტკიცებამ რომაელები დააყენა ესპანეთის მებრძოლ მთიელ ტომების, უპირველეს ყოვლისა, ლუზიტანიაში, თანამედროვე პორტუგალიაში, მცხოვრებ ლუზიტანების პირისპირ. მიუხედავად იმისა, რომ ლუზიტანები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ, რომაელები მაინც ნაბიჯ-ნაბიჯ გზას იკვლევდნენ ნახევარკუნძულის სიღრმივ და თავიანთ გამარჯვებებს განამტკიცებდნენ ახალ ქალაქ-სიმაგრეების დაარსებით. დამორჩილებულ ადგილებს აჯანყებათა შიშით მცირე გადასახადებს აწერდნენ. და, თუმცა ყოველნაირი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი იქნა მიღებული რომაელების მიერ, 197 წ., მაინც, თავი იჩინა აჯანყებამ, რომელმაც მოიცვა მთელი ესპანეთი. მის ჩასაქრობად გაგზავნილ იქნა ჯარი კონსულ მარკოს პორციუს კატონის წინამძღოლობით, რომელმაც ძლივს ჩააქრო აჯანყება და სასტიკად დასაჯა აჯანყებულები. ქალაქებს წაართვეს სიმაგრეები, შეაწერეს ხარკი, ხოლო მცხოვრებნი მონებად აქციეს. ამის შემდეგ რამდენიმე ხნით მოხერხდა ესპანეთში მშვიდობიანობის დამყარება და რომმაც შესძლო ესპანეთის ვერცხლისა და სპილენძის მადნების უზრუნველყოფა თავისთვის.

ესპანეთში საქმეების მოსაწესრიგებლად, 179 წ. იქ გაგზავნილ იქნა ტიბერიუს სემპრონი. გრაქხი, სახელოვან სახალხო ტრიბუნების ძმათა გრაქხების მამა. გრაქხი განთქმული იყო თავისი დიპლომატიური ნიჭით, ჰქონდა უნარი ადგილობრივ მთავრებთან მორიგებისა, იღებდა რა მათ რომის სამსახურში, და იმავე დროს საზღვარს ამაგრებდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ოდნავი შესვენება. 154 წ. ესპანეთში კვლავ დაიწყო ახალი აჯანყება, რომელიც თით-

ქმის მთელ მხარეს მოედო და ახალი კართაგენის კედლებამდეც კი უწია. ლუზიტანების გარდა ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ არევაკები, კელტიბერები, ნუმანცინელები და მთელი რიგი სხვა, უფრო წვრილი, ტომები და ხალხები.

147 წ. ახლო ხანებში ლუზიტანებს შორის ჩნდება ენერგიული წინამძღოლი—მწყემსი ვ ი რ ი ა ტ უ ს ი (Viriatus), რომელმაც მოახერხა თავისი თვისტომების შეკავშირება და მიაღწია განუსაზღვრელი ბრძანებელის მდგომარეობას. მან დაამარცხა რომის რამდენიმე არმია, რის შემდეგ რომის კონსულმა კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს სერვილიანემ, რომელიც შუაში მოიმწყვდია ლუზიტანების რაზმმა, ოფიციალურად იცნო იგი ლუზიტანების მეფედ. ლუზიტანების მოძრაობა დაცხრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვირიატუსი 139 წ. დაიღუპა მიგზავნილი მკვლელების ხელით.

სამხრეთში ატეხილ აჯანყებასთან ერთდროულად ჩრდილოეთშიაც სხვა აჯანყებამ იფეთქა, რომლის ცენტრიც იყო ქალაქი ნ უ მ ა ნ ც ი ა (Numantia), ზემო დუეროში (Durius), პატარა, მაგრამ ბუნებრივად კარგად გამაგრებული ქალაქი. 143 წ. დაწყებულმა აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო რომის არმიის სისუსტის წყალობით. ამ დროისთვის რომის ჯარი სავსებით დემორალიზებული იყო. წინანდელი „რკინის ლეგიონების", ჰანიბალსა და ანტიოქე III რომ ებრძოდნენ, ახლა ხსენებაც კი აღარ იყო. რამდენიმე ათასი კილომეტრით სამშობლოს დაშორებული, გაწვალებული და დასუსტებული ლეგიონერები იბრძოდნენ მეტად უხალისოდ, ბლომად გარბოდნენ ჯარიდან და სრულებით არ იცავდნენ დისციპლინას; ასეთივე იყო მეთაურთა შემადგენლობაც, რომელიც აგრეთვე უკიდურესად იყო დემორალიზებული.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელ რიგ დამარცხებათა შემდეგ რომის კონსული გ ა ი ო ს ჰ ო ს ტ ი ლ ი უ ს მ ა ნ ც ი ნ უ ს ი (C. Hostilius Mancinus) 137 წ. ტყვედ ჩავარდა და იძულებული იყო ხელი მოეწერა სამარცხვინო ზავისთვის, რომელიც დაადასტურა მანცინუსის კვესტორმა, ტიბერიუს გრაქხმა, მომავალმა სახალხო ტრიბუნმა. რომის თავმოყვარეობისათვის ასეთი დამამცირებელი ზავით აღშფოთებულმა სენატმა დაადგინა კონსული მტრებისთვის მიეცა. და აი მანცინუსი, კონსულის ხელისუფლების ნიშნებაყრილი, გატიტვლებული, ზურგზე ხელებგაკრული გაგზავნილ იქნა მოწინააღმდეგის ბანაკში. ასეთ მდგომარეობაში მთელი დღე კა-

რიბჭის წინ მდგარი მანცინუსი გაწბილებული დაბრუნდა რომის ბანაკში, რის შემდეგაც იგი შეიწყალეს.

მას შემდეგ, რაც ესპანეთში მდგომარეობა კატასტროფიული შეიქნა, სენატმა დაადგინა იქ გაეგზავნა სციპიონ ემილიანე, აფრიკაში გამარჯვებებით რომ სახელი გაითქვა. 134 წ. სციპიონი ჩავიდა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე დიდი არმიით; ამ ჯარს მეტი სიმტკიცისათვის თან გააყოლეს ნუმიდიის კავალერიის რაზმი მასინისას ძმისწულის იუგურტას მეთაურობით და დაქირავებულთა რჩეული რაზმი, რომელიც მის პირად გვარდიას წარმოადგენდა (cohors praetoria).

ამით დასაწყისი მიეცა ცნობილ პრეტორიანელთა გვარდიას, რომის სარდლებისა და იმპერატორების უახლოეს საყრდენ ძალას.

მიუხედავად რომის არმიის რიცხვობრივი და სამხედრო-ტექნიკური უპირატესობისა, ნუმანციას გარემოცვამ გასტანა მთელი 15 თვე. ბოლოს ქალაქი მაინც დაეცა და აკლებულ იქნა ჯარის მიერ, ტყვედ ჩაიგდეს 50 წინამძღოლი და მრავალი მონა (133 წ.).

სწორედ იმავე წელს გარდაიცვალა პერგამონის მეფე ატალ III (Attalus), რომელმაც თავისი სამეფო ანდერძით რომს დაუტოვა. მეფის ასეთ გადაწყვეტილებას წინააღუდგა ატალის ძმა ა რ ი ს ტ ო ნ ი კ ე, რომელიც თავის თავს თვლიდა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ: არისტონიკეს, რომელმაც აჯაყება დაიწყო არაპოპულარული ატალის წინააღმდეგ, მიემხრნენ მონები და თავისუფლები, ატალიდების სასტიკი რეჟიმით ძლიერ შეწუხებულნი. პერგამონის სოციალურ-ეკონომიური წესები ძალიან უახლოვდებოდა პტოლემეთა წყობილებას.

არისტონიკის დამარცხების შემდეგ ატალიდების პერგამონის სამეფოს დიდი ნაწილი გადავიდა რომის ხელში პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ა ზ ი ი ს (Asia) სახელწოდებით.

ესპანეთისა და პერგამონის დაპყრობით თავდება ქალაქ რომისა და იტალიის ჰეგემონიის ქვეშ ხმელთაშუაღზვეთის გაერთიანების ეპოპეა, რომელიც დაიწყო 264 წ. და საერთო ანგარიშით 130 წელიწადი გაგრძელდა. იპყრობდა რა ერთი მეორეზე პროვინციებს, რომი ქალაქ-სახელმწიფოდან (პოლისიდან), შუა ტიბრზე რომ იყო,

თანდათან ხდებოდა მსოფლიო სახმელთაშუაზღვეთო სახელმწიფოდ, ბერძნული ტერმინოლოგიით — არქედ, რომელიც თავის საზღვრებში იტევდა მრავალ სხვადასხვანაირ ქვეყნებს, ხალხებსა და კულტურებს. ამის შესაბამისად იცვლებოდა მთელი შინაგანი წყობილება და მართველობის აპარატი, როგორც დაპყრობილი ოლქების, ისე თვით ქალაქ რომისა.

თ ა ვ ი VI

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს კ რ ი ზ ი ს

1. პროვინციები

ხმელთაშუა ზღვის აუზის რომის მიერ დაპყრობის ერთერთი მთავარი შედეგი იყო პ რ ო ვ ი ნ ც ი ა თ ა (provinciae) წარმოქმნა. პროვინცია სიტყვა-სიტყვით ნიშნავს დავალებას, დანიშვნას ან მივლინებას, რომელსაც აძლევდა სენატი თავის მაგისტრატებს. უფრო ფართო გაგებით პროვინციები ეწოდებოდა იტალიის გარეშე მდებარე დაპყრობილ ოლქებს, რომელთაც განაგებდნენ რომის მაგისტრატები cum imperio. მაგისტრატებად კი cum imperio იწოდებოდნენ ისეთი მაგისტრატები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ უფლება დადგენილებათა გამოცემისა და რომის ხალხის სახელით მართველობისა (დიქტატორი, კონსულები, პრეტორები).

გარეიტალიურ ოლქების მიმართ რომი იყენებდა ანექსიისა და ფედერაციის იმავე მეთოდებს, როგორც იტალიის გაერთიანების დროს. მაგრამ იტალიურ თემებთან შედარებით პროვინციები უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. პროვინციები იყო შორს, იტალიის საზღვრებს გარეშე, დასახლებული იყო არაიტალიური ჩამომავლობის ხალხებით, და ამიტომ მათ უყურებდნენ როგორც რომის ქვეშევრდომებს (dediticii) და უცხოელებს (peregrini), ხოლო პროვინციათა დაპყრობილ ტერიტორიას,—როგორც რომის სახელმწიფოს საკუთრებას.

გარემოებისდა მიხედვით, ზემოთქმულ დებულებას სინამდვილეში მეტნაკლებად იყენებდნენ. პროვინციათა მართვა-გამგებლო-

ბას პირველ ხანებში ავალებდნენ ამ პროვინციათა დამპყრობ სარდლებს, მოადგილეებს ან პ რ ე ტ ო რ ე ბ ს. რომის ორდინარულ (ჩვეულებრივ) მაგისტრატებისგან განსხვავებულად, პროვინციელი პრეტორები (praetores) აღჭურვილი იყვნენ ხელისუფლების მთელი სავსებით — სამხედრო, სამოქალაქო და სამოსამართლო ფუნქციებით. პროვინციებში არ არსებობდა არც პროვოკაცია, არც ტრიბუნის ინტერცესია, არც კოლეგიალობა. პროვინციელი პრეტორები თავიანთი განუსაზღვრელი ძალა-უფლებით და რომის ხალხის სახელით მოქმედების უფლებით (cum imperio) პირდაპირი წინამორბედნი იყვნენ 1 ს. წინაიმპერატორებისა (პომპეუსის, ცეზარის, ოქტავიანესი და სხვათა).

პროვინციის მართვა-გამგებლობის დაწყებისას მაგისტრატი გამოსცემდა ხოლმე განსაკუთრებულ ე დ ი ქ ტ ს (edictum provinciale), რომელსაც გამოჰფენდნენ პროვინციის ცენტრალურ ქალაქში და სადაც აღინიშნებოდა ის ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობას აპირებდა მისი ახალი მმართველი. პრეტორის უახლოეს თანაშემწეებად იყვნენ კ ვ ე ს ტ ო რ ე ბ ი (quaestores), რომელნიც განაგებდნენ საფინანსო საქმეებს, მეათედისა და ბაჟების აკრეფას, და სენატის მიერ დანიშნული ლ ე გ ა ტ ე ბ ი (legati) ტექნიკური პერსონალის მთელი შტატით. პირველ ხანებში პრეტორებად იყვნენ რომაელი სარდლები, რომელთაც ეს პროვინციები დაიპყრეს, შემდეგ ხანებში კი პროვინციებში ნაცვლებად იგზავნებოდნენ მაგისტრატები თავიანთი მაგისტრატურის ვადის განვლის შემდეგ (promagistri) პროპრეტორები და პროკონსულები.

პროვინციები წარმოადგენდნენ თემებისა (civitates) და ქალაქების (oppida) წყებას და თვითეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული თავისებური ურთიერთობა ჰქონდა რომთან. პროვინციები იხდიდნენ პირდაპირსა და არაპირდაპირ გადასახადებს, ბაჟებს და ათასგვარ დამატებით გამოსაღებს. პროვინციული მიწები მოექცეოდა ხოლმე სახელმწიფო ფონდში (ager publicus). როგორც სახელმწიფო საკუთრება პროვინციის მიწა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სრულ (კვირიტულ) მფლობელობაში. კერძო პირებსა და კორპორაციებს მის მიმართ შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ მფლობელობის (possessio) ან სარგებლობის (usufructus) უფლება. წინანდელი მესაკუთრეები კი ინარჩუნებდნენ თავიანთ სამფლობელოებს იჯარის პირობებში (agristipen diarii, agri vectigales). პროვინციის ager publicus-ის მეორე ნაწილი კი იჯარით ეძლეოდათ რომაულ შემსყიდველ ამხანაგობებს ან კერძო პირებს, რომელნიც იჯარით იღებდნენ კულტურიან მიწებს, საძოვრებს, მადნებს (meta-

lla), ბიცოვან ადგილებს და სხვათ. პირდაპირი გადასახადი ხდებოდა მოსახლეობას მოსავლის მეათედის (decumata) სახით და ვაჭრობისა და ხელოსნობისგან მიღებულ შემოსავლის მეათედის სახით. ძირითად გადასახადს ზედ ერთვოდა ათასნაირი დამატებითი გამოსაღები (accesiones) და ბეგარა.

სიცილიაში, მაგალითად, დამატებითი გამოსაღები გამოიხატებოდა რომში პურის გაყიდვისა და ჩატანის სახით (frumentum emptum), ნაცვალის მომარაგებისა, ჯარის შენახვისა (frumentum in cellam) — და სხვა ამგვარი სახით. ფისკალური მიზნებისათვის მოადგილეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ადგილობრივი დაწესებულებანი — ქალაქის საბჭოები, ასოციაციები და მისთანანი. სიცილიის ფისკალურ ორგანიზაციას საფუძვლად ედვა სიცილიის ტირანის ჰიერონის კანონი (lex Hieronica), რომელიც წარმოადგენდა საადგილმამულო დაწვრილებითს კადასტრს სახელმწიფო შემოსავლის სხვადასხვა წყაროებისა და მათი ექსპლოატაციის მეთოდების აღნუსხვით [1].

ანექსიასთან ერთად იყენებდნენ აგრეთვე მეორე მეთოდსაც — ფ ე დ ე რ ა ც ი ა ს. ზოგიერთ თემთან და ქალაქთან რომაელები სდებდნენ ცალკე სამოკავშირეო ხელშეკრულებებს. ასეთ თემებს ჰქონდათ მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი თ ე მ ი ს ან ქალაქის სახელ ო ება (civitates foederatae e l berae). თავისუფალ მოკავშირე თემებად, მაგალითად, ითვლებოდნენ ბერძნული თემები — ათენი, როდოსი, მასილია და ა. შ. მეორე კატეგორიას შეადგენდნენ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი თ ე მ ე ბ ი (civitates m s), რომელნიც უფრო მეტად იყვნენ რომზე დამოკიდებული. მოკავშირე თემების კატეგორიას ეკუთვნოდნენ აგრეთვე მ ო კ ა ვ შ ი რ ე ს ა მ ე ფ ო ე ბ ი ც (reges socii), რომელნიც საზღვრებზე მდებარეობდნენ. ფედერატიული თემები ეს იყო პირველი ეტაპი მათი რომის სახელმწიფო ფარგლებში ჩარიცხვისა და რომის ხალხის ვასალებად ქცევისა, ხოლო ამ თემთა წევრების რომის ქვეშევრდომებად გახდომისა.

რადგან პროვინციალებს უყურებდნენ, როგორც უცხოელებს (პერეგრინებს), ცხადია, პრეტორის განუსაზღვრელი ძალა-უფლების პირობებში პროვინციები გადაიქცნენ რომის მხრივ საექსპლოატაციო ობიექტებად, რაც გამოიხატებოდა გადასახადების საშუალებით დაპყრობილი ოლქების გაძარცვაში და საშემოსავლო წყაროების ექსპლოატაციაში.

---

[1] I. C a r c o p i n o, La loi d'Hieron et les Romains, 1919.

რომაელების მიერ, ისევე როგორც საერთოდ ანტიკური დროის ყველა ხალხის მიერ, წარმოებულ დაპყრობას თან სდევდა უამრავი განძეულობის, დიდძალი ხალხის, მიწის, ფულის და ძვირფასეულობის ხელში ჩაგდება. ლივიუსისა და პოლიბიოსის „ისტორიები“ აჭრელებულია იმ სიმდიდრისა და მონების ციფრებით, რაც რომაელებმა ხელთ იგდეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. მეტად ტიპიურია, მაგალითად, მონათხრობი იმ ნადავლზე, რაც იშოვა ლუციუს სციპიონ აზიელის არმიამ მაგნეზიუმთან ბრძოლის შემდეგ (190 წ.). სციპიონ აზიელის ტრიუმფზე მოჰქონდათ მტრის წართმეული 224 დროშა, 134 გამოხატულება დაპყრობილი ქალაქებისა, 1231 სპილოს ეშვი, 234 ოქროს გვირგვინი, 137420 გირვანქა ვერცხლი, 140 ათასი ოქროს ფული, 1432 გირვანქა ვერცხლი ჭურჭლებში, ოქრო წონით 1023 გირვანქა და სხვ. ტრიუმფის მონაწილე ჯარისკაცებმა მიიღეს თითომ 25 დენარი, ცენტურიონებმა — 50, ჯამაგირი და სანოვაგე ორმაგი რაოდენობით [1].

ასევე ტიპიურია სცენა ეპირის დარბევისა, რომელიც მოახდინა ემილ პავლემ (167 წ.) და წარმოდგენილია ლივიუსის „რომის ისტორიის“ მე-45 წიგნში:

„დილით მთელი ოქრო და ვერცხლი ერთ ადგილას იყო შეგროვილი, ხოლო მეოთხე საათზე ჯარისკაცებს მიეცათ ნიშანი ქალაქის დარბევა დაეწყოთ. ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ თვითეულ მხედარზე 400 დენარი მოდიოდა, ხოლო ქვეითა ჯარისკაცზე — 200. ამასთანავე ერთად ტყვედ წაყვანილ იქნა 150 ათასი კაცი; ამის შემდეგ შეუდგნენ კედლების ნგრევას. დანგრეული კედლების რიცხვი 70-ს აღწევდა. მთელი ნადავლი გაყიდულ იქნა, ხოლო აქედან აღებული ფული გაუნაწილეს ჯარს... შემდეგ ემილი პავლე მარშით გაემართა ქ. ორიკის მიმართულებით. თავისდა გასაოცრად, სარდალმა შეიტყო, რომ მან ჯარისკაცები ოდნავადაც კი ვერ დააკმაყოფილა, რომელნიც მასზე იმის გამო დრტვინავდნენ, რომ მათ მეტად ცოტა-რამ მიიღეს მეფის ნადავლიდან, თითქოს მათ სრულიადაც არ ეომნათ მაკედონიაში“ [2].

რომაელის შეხედულებას პროვინციაზე ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოსთქვამს ციცერონი ვერესის საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ თავის მეორე სიტყვაში. „ამასთანავე ხარკ-შეწერილი პროვინციის მიწები ერთგვარად წარმოადგენენ რომაელი ხალხის მამულს (praedia populi Romani); ამიტომაც როგორც თქვენთვის ყველა-

---

[1] Liv., XXXVII, 59.
[2] Ibid., XLV, 34.

ზე უფრო სასიამოვნოა უახლოესი მამულები, ისე რომაელი ხალხისთვის უამესია სატახტო ქალაქთან ან უფრო ახლოს მდებარე პროვინცია“-ო [1].

2. ნობილიტეტის ბატონობა

პროვინციათა განაწილება იყო სენატის მონოპოლიურ განმგებლობაში. ომის განმავლობაში სენატის ავტორიტეტი თვალსაჩინოდ გაიზარდა, სენატი გადაიქცა რომის რესპუბლიკის მთავარ ორგანოდ. სენატის როგორც დაწესებულების ძალა მდგომარეობდა იმაში, რომ მისი პირადი შემადგენლობა მუდმივი იყო და ამასთანავე იგი ორგანიზებულიც იყო. II საუკ.-ში კარჩაკეტილ კორპორაციად გადაქცეულ სენატის ბირთვს შეადგენდნენ ნობილები, ყოფილი და მომავალი მაგისტრატები, რომის გავლენიან და მდიდარ ოჯახთა წარმომადგენელნი; ასეთები იყვნენ სციპიონები, ემილიები, კლავდიუსები, ვალერიები, სემპრონიუსები და ზოგიერთი სხვანი. ეს იყო მართველი ოლიგარქია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელიც „ახალი ხალხისთვის“ სავსებით და მაგრად იყო დახშული და შეუვალი. სახელმწიფო აპარატს სენატი იყენებდა, უპირველეს ყოვლისა, ნობილიტეტის ინტერესთა შესაბამისად. მაგისტრატურა სენატის ხელში მარტო იარაღს წარმოადგენდა და მეტს არაფერს; სენატთან შედარებით მაგისტრატები სავსებით უძლურნი იყვნენ. სენატზე იყო დამოკიდებული დანიშვნები პროვინციაში, მაგისტრატურის ვადის გაგრძელება (prorogatio imperii), სამხედრო თანამდებობებზე დანიშვნა, ელჩ-დესპანების მიღება, არაჩვეულებრივ გადასახადების დაწესება, დამატებით გაწვევა-შეკრების ნებართვა, ახალი კულტების შემოღება და აკრძალვა, ასპარეზობათა გამართვა-შემოღება და მისთანა. გარდა ამისა, სენატის განმგებლობაში იყო ფინანსები და ადმინისტრაციულ-ფინანსიური ორგანოები, ყველა სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი, მიწები, მადნები, ბიცოვანი ადგილები, სავაჭრო ბაჟები, გადასახადები და მისთანა სხვა — ერთი სიტყვით, სახელმწიფო ხაზინის ყველა ძირითადი წყარო.

„სენატის პირველ ფუნქციას შეადგენს სახელმწიფო ფინანსების განმგებლობა. სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი მის სრულ კომპეტენციაში იმყოფება. კვესტორებს არ შეუძლიათ ფულის გაცემა არავითარ საჭიროებაზე, თუ კი სენატის დადგენილება არ იქნა, გარდა იმ ხარჯებისა, რომელთაც კონსულები ითხოვენ. და ყვე-

[1] Cic., Contra Verrem, II, III, 7.

ლაზე დიდი ხარჯიც კი, რომელიც ყველა დანარჩენ ხარჯებს აღეშატება და რომელსაც ცენზორები ეწევიან ყოველ ხუთი წლის შემდეგ საზოგადოებრივ შენობათა შეკეთებასა და აგებაზე, შეიძლება გაწეულ იქნას მხოლოდ სენატის თანხმობით". აქვე უნდა მიეკუთვნოს ყველა დიდი საზოგადოებრივი მშენებლობა, სამუშაოები, ნარდად და იჯარით გაცემა და შესყიდვები.

„მართლაც, მრავალი სამუშაო მთელს იტალიაში, რომელთა ჩამოთვლა არც ადვილი იქნებოდა, საზოგადოებრივ შენობათა მართვისა და მშენებლობის დარგში, აგრეთვე მრავალი მდინარე, ნავსადგური, ბაღები, მადნები, მიწები, მოკლედ, ყოველივე, რაც კი რომაელების ხელში ირიცხება, ცენზორების მიერ გაიცემა შესყიდვის წესით. ცენზორები კი ყველა თავის მოქმედების დროს შებოჭილი არიან სენატის ნება-სურვილით. მრავალ შემთხვევაში სენატს აქვს შესაძლებლობა ზიანი მიაყენოს ან კიდევ დახმარება აღმოუჩინოს ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება საზოგადოებრივ ქონებასთან. ყველა ჩამოთვლილ საქმეების შესახებ საჭიროა სენატისადმი მიმართვა" [1].

რაც შეეხება სენატის დამოკიდებულებას უმაღლეს კანონშდებლობითს ორგანოს—რომის სახალხო კრების — მიმართ, უნდა აღიარებულ იქნას, რომ, როგორც ამბობს პოლიბიოსი, „ხალხი დამოკიდებულია სენატზე და ვალდებულია, როგორც სახელმწიფო საქმეებში, ისე კერძო პირთა საქმეებში, მას შეუთანხმოს თავისი მოქმედებანი და საკუთარი შეიკავოს თავი სენატის რჩევათა (senatus consultum) საწინააღმდეგო გამოპასუხებისა და სენატისათვის წინააღმდეგობის გაწევისაგან" [2]. არისტოკრატიის დასაყრდენ ძალას სახალხო კრებაში შეადგენდნენ მისი მრავალრიცხოვანი კლიენტები, რომელნიც ამ არისტოკრატებს მხარს უჭერდნენ თავიანთი ხმებით არჩევნების დროს.

სახელმწიფო აპარატი ნობილებისთვის საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, პროვინციათა ექსპლოატაციისათვის. პროვინციების ძარცვა-ყ�eფა შეადგენდა სენატის ოლიგარქიის შემოსავლის ძირითად წყაროს. პროვინციათა დაპყრობისა და ექსპლოატაციის საშუალებით მიღებულ თანხებს ნობილები ხარჯავდნენ მიწების, მონების შეძენაზე და ფუფუნებით საგნებზე. ნობილების დამოკიდებულება თავიანთ შემოსავლის წყაროების მიმართ მეტად მტაცებლური ხასიათისა იყო. ნობილების დიდი ნაწილი მსხვილი მესაქონლეები

---

[1] Polyb., VI, 13, 17.

[2] Ibidem.

იყვნენ, რომელთაც ოჯარით აღებულ სახელმწიფო მიწაზე (ager publicus) ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის უთვალავი ჯოგები და ფარები. ექსტენსიური, ნახევრადველური მესაქონლეობა იწვევდა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის სწრაფ გაფლანგვას, მიწის სივიწროეს, და საშუალო შეძლებისა და დაბალი კლასების ეკონომიურ საძირკველს ძირს უთხრიდა.

ყველა მოქალაქეთა შორის სენატორები განირჩეოდნენ თავიანთი გარეგანი შეხედულებით, ჩაცმულობით, ფეხსაცმელით, ეკიპაჟის ფორმითა და მათ თანამხლებელ მოსამსახურეთა, მონების, აზატებისა და კლიენტების დიდი რაოდენობით. სენატორთა წოდების პირებს ჰქონდათ ნიშნებით განმასხვავებელი ტანისამოსი — თეთრი ტუნიკა (tunica), ფართო ძოწიანი არშიაშემოვლებული (tunica laticlava), ფეხსაცმელი სპილოს ძვლის შესაკრავით (lunela) და ოქროს ბეჭედი თითზე. ნობილების ქალაქისა და სოფლის სახლებსა და ვილებში ყოველთვის ირეოდა მრავალი მოსამსახურე, მონა და კლიენტი.

IV — III საუკ.-ებში შესუსტებული კ ლ ი ე ნ ტ ო ბ ა II საუკ.-დან კვლავ იწყებს აღორძინებას სხვა სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე, ქალაქის და სოფლის მოსახლეობის მასების, უმთავრესად განტევებული მონების, მდიდარ არისტოკრატიულ ოჯახებზე დამოკიდებულების სახით. პატრონების მოპყრობას კლიენტებისადმი ახლა უკვე აღარა აქვს ის პრიმიტიული ერთმანეთშორისი ნდობა და სისადავე (fides), რითაც ასე განირჩეოდა პატრიარქალური დროის კლიენტობა. წარჩინებულ და მდიდარ პატრონების მოპყრობა თავიანთ კლიენტების მიმართ ახლა ამპარტავნულია და ზიზღით აღსავსე.

კლიენტისგან მოითხოვდნენ პატრონის ყველა ახირებული სურვილის შესრულებას, არჩევნებში მისთვის ხმის მიცემას, დილა-საღამოობით მილოცვა-მისალმებას, მის ამალაში მონაწილეობას, საჩუქრებს, პირმოთნეობას და მისთანა სხვას. პატრონისადმი გაწეულ სამსახურის სამაგიეროდ არისტოკრატიული ოჯახების კლიენტები მათგან იღებდნენ ფულად საჩუქრებს (sportulae). შემოსავლიან სამსახურს, სასამართლოში მხარის დაჭერას და სხვ. მეორე საუკუნეში, როგორც ეს ჩანს პლავტის კომედიებიდან, კლიენტობა იყო უკვე მეტად გავრცელებული მოვლენა რომის საზოგადოებაში.

„უსულელესი ჩვეულება — და თანაც მეტად დასანანი
დამყარდა ჩვენში: ვინც ცოტათი მაინც წარჩინებულია,
ვინც ოდნავ თვალსაჩინოა, ყველას აქვს ჩვეულებად
გაიჩინოს თავისთვის კლიენტები, და რაც შეიძლება ბევრი,

პირველად არც კი იკითხავს, ვინაა კარგი და ვინ ცუდი,
უფრო სარფას ეძებენ, ვიდრე პატიოსნებას, ამ კლიენტებში.
მდიდარი იყოს, თუნდაც არამზადა, კლიენტი მათთვის კარგია.
ვინც არასდროს არ სცემს პატივს არც სიკეთეს და არც კანონს.
საზრუნავს უჩენს პატრონს,
რაც აიღო, უარობს, ვითომც მას არ აეღოს.
დავა ეხალისებათ, მტაცებლები არიან ეს
მზაკვარი ხალხი,
მოტყუება და მევახშეობა —
მათთვის მოგება, მუდამ ცილისწამება უტრიალებთ მათ თავში.
დადგება განკითხვის დღე, მათთან ერთად პატრონსაც
მიაყოლებენ,
დანაშაულობაში მათ ბრალს წაუყენებენ, ის მათ მაგიერ
პასუხს აძლევს ხალხსაც, სასამართლოსაც, მოსამართლესაც", —

ლაპარაკობს კომედია „მენეხმის" ერთერთი მომქმედი პირი[1].

ფორმალურად სენატს არ ჰქონდა კანომდებლობითი ძალა-უფლება. რომის რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ რჩებოდა სახალხო კრება — ცენტურიატული და ტრიბუტული კომიციები. კომიციები წარმოადგენდნენ უმაღლეს კანონმდებლობითსა და სასამართლო ორგანოს, რომელიც ომს უცხადებდა, სდებდა ზავს და მოქალაქეობის უფლებებს ანიჭებდა. მაგრამ რაც უფრო მეტ გავლენას იძენდა სენატი, მით უფრო მეტად ქვეითდებოდა კომიციათა პოლიტიკური მნიშვნელობა. კომიციების პოლიტიკური ავტორიტეტის დაქვეითება კი გამოწვეული იყო იმ სოფლის პლებსის დასუსტებით, რომელიც შეადგენდა IV — III სს. რომის დემოკრატიის საფუძველს.

3. მ ხ ე დ რ ე ბ ი

ნობილიტეტის პარალელურად პროვინციათა ექსპლოატაციის ნიადაგზე მაღლა იწევდა რომის ახალი, „მესამე წოდება" — მ ხ ე დ რ ო ბ ა (equites). II საუკ.-ში მხედრები ნაკლებად ჰგავდნენ სერვიუსის კონსტიტუციის პირველი თვრამეტი ცენტურიის მხედრებს. II საუკ.-ში „მხედარი" თითქმის არა არისტოკრატი, მდიდარი ადამიანის სინონიმად იქცა. მხედართა წარმოშობის ისტორია, ისევე როგორც სენატის ოლიგარქიისა, დაკავშირებულია რომის რესპუბლიკის გაფართოებასთან, პროვინციათა წარმოქმნასთან, ფინანსე-

[1] Plaut., Menaechmi, 571—582.

ბის, ზღვის გადაღმა ვაჭრობისა და სახელმწიფო მეურნეობის ზრდასთან. მხედართა ეკონომიური საქმიანობის მთავარი დარგი იყო მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა (feneratio) — ფულის გასესხება სარგებლით პროვინციელებისა, იტალიკებისა და რომაელ მოქალაქეებზე.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ პროვინციაზე გაწერილი ხარკის აკრეფას ნატურისა ან ფულის სახით აწარმოებდნენ ადგილობრივი ორგანოები, უფრო ხშირად კი ქალაქის საბჭოები (ბულე), რომელნიც ამ ხარკს პრეტორის მითითებით ადგენდნენ სახელმწიფო მაღაზიებში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ხარკის გადამხდელს რაიმე მიზეზით არ შეეძლო დადგენილ ვადაში შეეტანა მასზე შეწერილი თანხა, და მაშინ, რაკი საკუთარი სახსარი არ გააჩნდა, მას უხდებოდა სესხი ეთხოვა რომის ფულიან ხალხისთვის, საზარაფო დუქნებისა ან საბანკო კანტორების პატრონებისთვის (argentarii).

არგენტარიებს მუდამ ჰქონდათ ნაღდი ფული, თვალყურს ადევნებდნენ ფულის ბაზრის მდგომარეობას, აწარმოებდნენ ფულის დახურდავება-გადახურდავებას, არკვევდნენ მის ღირსებას, ინახავდნენ და გადარიცხავდნენ ხოლმე ერთი შემტანის ანგარიშიდან მეორის ანგარიშზე და აძლევდნენ სესხად ფულს სარგებლით. განსაკუთრებით ფართო იყო რომაელი ბანკირების საქმიანობა პროვინციებში, რომელთაც ყოველთვის უჭირდათ ფული და რომელთაც მევახშეობის წინააღმდეგ არ იფარავდა ცენტრში მომქმედი კანონი. ოპერაციათა სიმტკიცისა და კანტორებში თანხების მიზიდვის მიზნით დგებოდა ამხანაგობები, რომელთაც ეწოდებოდათ პ უ ბ ლ ი კ ა ნ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ ი (societates publicanorum).

პუბლიკანთა ამხანაგობების სათავეში იდგნენ დირექტორ-მაგისტრები (magistri), რომელთაც ირჩევდნენ პაის პატრონთა საერთო კრებებზე(concilia sociorum). მეპაიეთა მოზიდვის მიზნით უშვებდნენ იაფ პაის (partes, particulae), რომელიც ხელმისაწვდომი იყო არა მარტო საშუალო შეძლების, არამედ დაბალი კლასებისთვისაც კი. რომაელი მწერლები (პოლიბიოსი, პლავტი) გადმოგვცემენ იმ სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის უამრავ პირებზე, კაცებსა და ქალებზე, რომელნიც ფორუმზე ბუზიკით ირეოდნენ შემსყიდველ საზოგადოებათა პაის შეძენის იმედით და ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ამ საზოგადოებათა მოქმედება-საქმიანობას. societates publicanorum საქმეთა მთავარი გამჩარხავები იყვნენ რომაელი მხედრები, რომელთაც ხელში ეჭირათ და თავისგან დამოკიდებული ჰყავდათ რომის საზოგადოების ყველა კლასი.

შემსყიდველ კამპანიათა მეშვეობით რომაელი მოქალაქენი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ებმებოდნენ პროვინციების ექსპლოატაციისა და დაპყრობათა პოლიტიკაში. ასოციაციებში (societates) დგებოდა არა მარტო საფინანსო, არამედ აგრეთვე სავაჭრო და საწამოწყებო ოპერაციებისთვისაც კი. საწამოწყებო ამხანაგობები იჯარით იღებდნენ სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა წყაროს — ბიცოვან ადგილების დამუშავებას, ნახშირის, ფისის, კუპრის მოპოებას, მადნების ექსპლოატაციას, არმიის მომარაგებას და სახელმწიფო ეკონომიკის სხვა დიდ წყაროებს. რომის სახელმწიფო III — II საუკ. არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი, რომ თავისი საკუთარი (სახელმწიფო) ორგანოების საშუალებით ეწარმოებინა გადასახადების აკრეფა და მიწების, მადნების, ტყეების, ბიცოვან ადგილების და სახელმწიფო მეურნეობის იმ მრავალ სახეობის ექსპლოატაცია, რასაც ამ განხილულ პერიოდში შესასყიდად აძლევდნენ კერძო პირებს ან შემსყიდველ ამხანაგობებს. ყველა ამ ოპერაციას სათავეში ედგნენ მხედრები.

იურიდიულად მხედრობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ნობილიტეტისავით მისი მნიშვნელობა განისაზღვრებოდა არა უფლებით, არამედ ქონებრივი უპირატესობის ფაქტით. როგორც წოდება მხედრობა (ordo equester) ჩამოყალიბდა არაუადრეს II ს. დასასრულისა, უმცროს გრაქხის დროს. მხედრობის გაფურჩქვნა კი გრძელდებოდა დაახლოებით იულიოს ცეზარის დრომდე, ე. ი. I. საუკ. დასასრულამდე.

როგორც ნობილები, ისე მხედრები ეკუთვნოდნენ რომის საზოგადოების მონათფლობელურ ზედაფენებს და თანასწორად დაკავშირებული იყვნენ პროვინციებისა და მონების ექსპლოატაციასთან, მაგრამ ექსპლოატაციის მათი მეთოდები კი განსხვავებული იყო. მაშინ როდესაც ნობილიტეტი პროვინციის ექსპლოატაციას ეწეოდა პოლიტიკურად — პროვინციის ნაცვლებისა და კლიენტების მეშვეობით, — მხედრები პროვინციის ექსპლოატაციას აწარმოებდნენ ეკონომიურად, — შემსყიდველ ამხანაგობათა მეშვეობით. სავაჭრო და საფინანსო სპეკულაციებში არაპირდაპირი გზით მონაწილეობას იღებდნენ თავიანთი ლიბერტინების საშუალებით ნობილებიც, მაგრამ მაინც ეს იყო ფულის მოგების არა პირდაპირი, არამედ შემოვლილი გზა. ძირითადად კი მოღვაწეობის სფეროები ნობილებსა და მხედრებს შორის განაწილებული იყო: პირველნი წარმოადგენდნენ საადგილმამულო არისტოკრატიას, მეორენი კი — ფულად არისტოკრატიას.

სოციალურად ნობილები და მხედრები, რომელნიც წარმოადგენდნენ მონათფლობელური რომის ზედა ფენას, სოლიდარული იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურად კი შეხმატკბილებული ვერ იყვნენ. ნობილები მხარს უჭერდნენ არისტოკრატიულ რესპუბლიკას სენატის ოლიგარქიით სათავეში, მოითხოვდნენ პროვინციებში მყოფ ნაცვლების სენატის კონტროლისადმი დაქვემდებარებას და პროვინციულ მაგისტრატურათა მორიგეობით შესრულებას. მხედრები, პირიქით, მხარს უჭერდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, მომხრენი იყვნენ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანოების — ცენტურიატული და კურიატული კომიციების — უფრო მეტი როლისა და სენატის პოლიტიკური გავლენის შესუსტებისა. კომიციებში მხედრების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ქალაქის პლებსი, რომელიც ჩაბმული იყო შემსყიდველ ამხანაგობებში და პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაინტერესებული იყო სამხედრო ნადავლში.

ნობილები და მხედრები არ იყვნენ პარტიები სიტყვის თანამედროვე გაგება-მნიშვნელობით: მათ არ გააჩნდათ არც სათანადო პარტიული ორგანიზაციები, არც პროგრამები ჰქონდათ და არც ბელადები ჰყავდათ. ვერ წარმოქმნა პარტია, ამ სიტყვის ჩვენებური გაგებით, ვერც აგრეთვე დემოკრატიამ, რომის საზოგადოების ყველაზე დიდმა ფენამ. ამ დასახელებულ სამ ჯგუფს შორის ურთიერთობა ყოველ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრებოდა მომენტის კონკრეტული პირობებით. იქმნებოდა სულ სხვადასხვანაირი კომბინაციები, უფრო ხშირად კი ნობილები და მხედრები ერთმანეთს უთანხმდებოდნენ სოციალურ საკითხებში, ხოლო დემოკრატები და მხედრები—პოლიტიკურ საკითხებში. დასახელებული სამი ჯგუფი დარჩა რესპუბლიკის თვით აღსასრულამდე. ბრძოლა მათ შორის, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, ბრძოლა ყოველნაირი ჯურის მონათმფლობელებისა მონათა წინააღმდეგ — აი მამოძრავებელი ძალა რომის რესპუბლიკაში II — I საუკუნეებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

ნობილებსა და მხედრებს შორის პირველი დიდი შეტაკება მოხდა კლავდიუსის კანონის გამო, რომელიც ზღუდავდა ნობილების სავაჭრო შესაძლებლობათ. მეორედ ნობილები და მხედრები ერთმანეთს შეეჯახნენ 167 წ. მაკედონიის მადნების გამო. პერსეევის შემუსვრის შემდეგ მხედრებს სურდათ იჯარით მიეღოთ მაკედონიის მადნები — უაღრესად შემოსავლიანი წყარო. მაგრამ სენატმა პოლიტიკური მოსაზრებებით არ შეიწყნარა მხედრების მოთხოვნა.

„უწინარეს ყოვლისა, გადაწყდა თავისუფლებად დაეტოვებინათ მაკედონიისა და ილირიკის მცხოვრებნი: დაე ყველა ხალხმა დაინახოს, რომ რომაელი ხალხის იარაღს არა დამონება მოაქვს თავისუფალთათვის, არამედ, პირიქით, თავისუფლება მონობის ქვეშე მყოფთათვის. დაე ის ხალხები, რომელნიც თავისუფლებით სარგებლობენ, დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ იგი (თავისუფლება) სამუდამოდ ხიფათს გარეშე იქნება რომაელთა მფარველობის ქვეშ, ხოლო იმ ხალხებმა, რომელნიც მეფეთა ხელისუფლების ქვეშ ცხოვრობენ, დაე იცოდნენ, რომ მათი მბრძანებლები, რომაელი ხალხის პატივისცემით, ამჟამად მათ უფრო თავმდაბლად და სამართლიანად ეპყრობიან, და თუ ოდესმე მათი მეფეები დაიწყებენ ომს რომაელებთან, მაშინ ამ ომის შედეგად რომაელებისათვის იქნება გამარჯვება, ხოლო მათთვის — თავისუფლება. გადაწყდა მოეხსნათ მაკედონიის მადნებზე არსებული თვალსაჩინო ბაჟი და სოფლის მიწა-წყალის შესყიდვით გაცემა. უშემსყიდველებოდ საქმის მოგვარება არ შეიძლებოდა, მაგრამ სადაც შემსყიდველები გაჩნდებიან ხოლმე, იქ ან საზოგადოებრივი უფლება ლიტონ სიტყვად იქცევა ან კიდევ სრულიად ისპობა მოკავშირეთა თავისუფლება“ [1].

სენატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს მხედრებმა.

მხედრებისა და ნობილების ინტერესთა წინააღმდეგობა უფრო მკვეთრად გამომჟღავნდა იმავე საუკუნის 40-იან წლებში მ უ დ მ ი ვ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო კ ო მ ი ს ი ა თ ა (quaestiones perpetuae) დაწესებასთან დაკავშირებით. ამ კომისიათა შემადგენლობის საკითხის გარშემო გაიშალა გამძაფრებული ბრძოლა მხედრებსა და ნობილებს შორის. თავის ძალაზე დამყარებულმა ნობილიტეტმა ხელთ იგდო სასამართლო ძალა-უფლება, რომელიც წინათ სახალხო კრებას ეკუთვნოდა. 149 წ. სახალხო ტრიბუნის ლუციუს კალპურნიუს პიზონის (L. Calpurnius Piso) ინიციატივით დაარსებულ იქნა მუდმივი სასამართლო კომისიები პროვინციათა და პროვინციის ნაცვალთა საქმეების გასარჩევად. 145 წ. ანალოგიური კომისიები დაწესდა მკვლელობისა და მოწამვლის (quaestio de sicariis et veneficiis) სისხლის სამართლის საქმეებისთვის, უფრო გვიან — სასამართლო ტრიბუნალები მექრთამეობისა და გამფლანგველობის საქმეებზე (quaestio de peculatu) და სხვ. ამრიგად, ნობილიტეტის ხელში აღმოჩნდა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია — სასამართლო. პროვინციებში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესა-

[1] Liv., XLV, 18, 3.

ხები სასამართლო საქმეების გადაცემა მუდმივ კომისიათა ხელში, რომელნიც ნობილებისგან იყო შედგენილი და რომელთაც სენატი ხელმძღვანელობდა, მხედრებს აყენებდა სენატის კონტროლ ქვეშ. აქედან გამომდინარეობდა მხედრების მისწრაფება რადაც უნდა დასჯდომოდათ წაერთმიათ ნობილიტეტისთვის სასამართლოს მონოპოლია და საერთოდ შეემცირებინათ სენატის პოლიტიკური უფლებები.

4. სციპიონი და კატონი

მხედრების გარდა სენატის ოლიგარქიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ სხვა სოციალური ძალებიც. ერთერთ ასეთ ძალას წარმოადგენდნენ სამხედრო სარდლები, ფართო რწმუნებით მოსილები, — კონსულები და პროვინციის პრეტორები. რომის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპი — ერთწლიანობა — ომის დროს დარღვეულ იქნა. ჯარების სარდლები თავიანთ თანამდებობებზე ზედიზედ რამდენიმე წელიწადს რჩებოდნენ, თავისი ხარჯით აგროვებდნენ ჯარს, თავისი გაბედულობით და პასუხისმგებლობით აწარმოებდნენ კამპანიებს, სდებდნენ და აუქმებდნენ ხელშეკრულებებს, მოქმედებდნენ რა სენატისა და სახალხო კრების კონტროლს გარეშე. ამის წყალობით ზოგიერთი მათგანი აღმოჩნდა განსაკუთრებულსა და კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში. ასეთი სარდალი მეორე პუნიკური ომის დროს იყო, მაგალითად, პუბლიუს კორნელი სციპიონი.

სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა, სციპიონი, კონსტიტუციური ტრადიციების პირდაპირ დარღვევით, 211 წელს სახალხო კრების მიერ არჩეულ იქნა ესპანეთის პროკონსულად. ესპანეთში სციპიონი ოთხი წლის განმავლობაში (210—206), უფლებამოსილების გაგრძელების (prolongatio) ძალით, დარჩა სამეთაურო თანამდებობაზე. 205 წელს იგი დაბრუნდა რომში, არჩეულ იქნა კონსულად და მას მიეცა სიცილია. 204 წლიდან 202-მდე სციპიონი აწარმოებდა აფრიკის კამპანიას და რომაელი ხალხის სახელით იწყებს კართაგენელებთან საზავო მოლაპარაკებას და რომის სენატის მიმართ მას თავი სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა.

„სციპიონის მთელი მოქმედება, — შენიშნავს ტიტე ლივიუსი, — მეფური რაღაც (regius mos) იყო“ [1].

პოლიბიოსი, სციპიონის მხურვალე პატივისმცემელი, მას თვითმპყრობელს (autocrator) უწოდებს. სენატის პირველი თავმჯდომა-

[1] Liv., XXVIII, 43.

რე (princeps senatus) სციპიონი ითვლებოდა აგრეთვე რომის რეს-პუბლიკის პირველ მოქალაქედაც (princeps rei publicae). სციპიონის მეგობრები, მისი აფრიკელი მოკავშირეები და ვასალები, იმასაც კი ურჩევდნენ, რომ თავისი თავი მეფედ გამოეცხადებინა, რაც ჰანიბალის დამმარცხებელმა მაინც ვერ გაბედა. პოლიბიოსი, ზომიერი დემოკრატიის მომხრე, სიტყვას ვერ პოულობს თავისი განცვიფრებისა და აღტაცების გამოსათქმელად ჰანიბალის დამამარცხებელის „სულის კეთილშობილების“ წინაშე, რომელმაც თავისი ნებით უარი განაცხადა სამეფო გვირგინზე.

„უფრო მეტი განცვიფრება გვმართებს ამ ადამიანის სულის სიდიადის წინაშე მისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში. იბერიის დაწყნარების გარდა, მან შემუსრა კართაგენელების ძლიერება, დაუმორჩილა რა მშობლიური ქალაქის ძალა-უფლებას ლიბიის უდიდესი და თანაც საუკეთესო ნაწილი, მოკიდებული ფილენის სამსხვერპლოდან ვიდრე ჰერაკლეს სვეტებამდე, დაიმორჩილა აზია და სირიის მეფეები, დაუმორჩილა რომაელებს მსოფლიოს ყველაზე უფრო ბარაქიანი და უფართოესი ნაწილი, ამასთანავე ჰქონდა მას შემთხვევა მიეთვისებინა მეფის ხელისუფლება, სადაც კი იგი ამასაც მოიფიქრებდა და მოისურვებდა“.

„არა მარტო ადამიანი, არამედ თვით ღვთაებაც კი, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, ასეთ ბედნიერებაში მყოფი თავის თავზე ზომაზე ჭარბი შეხედულებისა შეიქნებოდა. მაგრამ პუბლიუსი სულის კეთილშობილებით იმდენად აღემატებოდა ყველას, რომ თავიდან აირიდა უმაღლესი სიკეთე, რაც კი შეუძლიან ადამიანს ღმერთებს შესთხოვოს, სახელდობრ, მეფის ხელისუფლება, თუმცა ბედმა ეს სიკეთე მას მრავალგზის მოუვლინა“.

მართალია, სციპიონი არ გამხდარა „მუდმივი დიქტატორი“, მაინც დამახასიათებელია თვითონ ტენდენცია სენატის ოლიგარქიის სამხედრო დიქტატურად გადაზრდისა. ის, რაც ვერ იკისრა და ვერ გაბედა სციპიონ აფრიკელმა, განახორციელეს მისმა მოადგილეებმა — სულამ და იულიოს ცეზარმა. სციპიონს მხარს უჭერდა ჯარი, პროვინციალები და ქალაქის პლებსი, ე. ი. ის სოციალური ძალები, რომელნიც წარმოადგენდნენ რომის იმპერიის საყრდენს.

შესასწავლი პერიოდის რომის პოლიტიკურ სამყაროს მეორე გამოჩენილ და მკვეთრ ფიგურას, რომელშიაც გადაიხლართა საოცარი წინააღმდეგობანი, წარმოადგენდა მ ა რ კ ო ს პ ო რ ც ი უ ს კ ა ტ ო ნ ი (M. Porcius Cato), სციპიონის თანამედროვე (234 — 149 წწ.). კატონი გამოდიოდა სიტყვით რომის რესპუბლიკის „ოქროს საუკუნის“ დამცველად. იგი ლაპარაკობდა ძველ რესპუბლიკურ რო-

ვის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გახრწნილი სავაჭრო კაპიტალისა და მონათმფლობელობის მიერ, რომელიც ჯერ არ იცნობდა ფუფუნებას, ძვირფას ჩაცმულობას, მდიდრულ ეტლებს, რომელსაც სწამდა კიდევ ძველი ღმერთები, — ერთი სიტყვით, იმ რომზე ლაპარაკობდა, რომელიც ცხოვრობდა ნახევრადნატურალურ ყოფის პირობებში.

195 წ. კატონი, კონსულის წოდებაში მყოფი, გამოვიდა ოპიუსის კანონის (lex Oppia) დასაცავად, რომელიც ფუფუნებას ზღუდავდა მის მყვირალა გამოვლინებებში—ეს იყო მოძრაობის საშუალებანი, ჩაცმულობა, მდიდარი სუფრა, სამკაულები, დაკრძალვანი და მისთანა სხვა. სწორედ ასევე კატონი ილაშქრებდა აგრეთვე ქალების იმ გავლენის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

„ყველა ხალხებიო, — ამბობდა კატონი, — ბატონობენ ქალებზე, ჩვენ კი, ყველა ხალხების მბრძანებლები, ქალების მონები ვართო“ [1].

სასტიკი თავის თავისა და სხვების მიმართ, რესპუბლიკური წესწყობილების პრინციპული დამცველი და მომხრე, კატონი არ უშვებდა რესპუბლიკის კონსტიტუციის არავითარ დარღვევას. ამ ნიადაგზე მასსა და სციპიონს შორის ცხარე შეხლა-შემოხლას ჰქონდა ხოლმე ადგილი, სციპიონი კი — ვიცით — სენატის პირველი თავმჯდომარე და რესპუბლიკის პირველი მოქალაქე იყო. ბოლოს-დაბოლოს, კატონმა და მისმა მომხრეებმა შესძლეს სციპიონის წინააღმდეგ აღეძრათ სასამართლო პროცესი იმის შესახებ, რომ იგი, სციპიონი, და მისი ძმა თავის ნებაზე იყენებდნენ საზოგადოებრივ თანხებს და თვითნებურად მოქმედებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სციპიონი მეტად პოპულარული იყო, რომ მას მხარს უჭერდნენ უთვალავი ნათესავები, მეგობრები და კლიენტები, კატონმა და გრაქხმა მაინც მოახერხეს ბრალი დაედოთ როგორც თვითონ პუბლიოს სციპიონისა, ისე მისი ძმის ლუციუსისთვის. მტრების თავდასხმით გაფიცხებულმა სციპიონმა დაპატიმრებას არჩია ნებაყოფლობითი ექსორია ერთერთ თავის მამულში, სადაც იგი მალე გარდაიცვალა კიდეც (183 წ.).

კატონი ილაშქრებდა როგორც სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ, ისე სენატის ოლიგარქიის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენდნენ მარკოს ფულვიუს ნობილიორი, გნეუს მანლიუს ვულსონი, ტიბერიუს სემპრონი ლონგუსი, მარკოს სემპრონი ტუდიტანი

[1] Plut., Cato Maior, VIII.

და სხვები. მაგრამ, გამოდიოდა რა ძველი რომის დამცველად, რომ-ლის სოციალურ საყრდენ ძალასაც წარმოადგენდნენ საშუალო შეძ-ლებისა და წვრილი მესაკუთრეები, კატონი „კეთილი მიწის მუშის" (bonus agricola) ცნებაში სავსებით სხვა შინაარსს სდებდა. ამ სა-კითხის ირგვლივ მის მიერ გამოთქმულ სიტყვებიდან შეიძლება და-ვასკვნათ, რომ „კეთილ მიწის მუშად" ის გულისხმობდა არა ძვე-ლი დროის გლეხს, არამედ წელმაგარ მიწათმფლობელ-პლანტა-ტორს, რომელიც მონურ შრომას იყენებდა და დაკავშირებული იყო ბაზართან.

5. კატონის სანიმუშო ვილა

თეორიულად გამოდიოდა რა ძველი წყობილების მოსარჩლედ, კატონი პრაქტიკულად დგება თავისი დროის მოწინავე მეურნეობის თვალსაზრისზე. ის ლაპარაკობს, თუ წინაპრები როგორ უპატივცემ-ლოდ ეკიდებოდნენ ვაჭრებსა და მევახშეებს და ამავე დროს თვი-თონვე მიდის დათმობაზე, ცნობს რა სავსებით ლეგალურად ვაჭ-რობასაც (mercatura) და ფულად სესხსაც (fenerat.o , თუ.ა ეს მიაჩნია გამდიდრების სახიფათო სახეობად. „ზოგჯერ ხელსაყრელია მოგების ძიება ვაჭრობის გზით, რომ საქმიანობის ეს სახეობა არ იყოს ეგოდენ სახიფათო; ხელსაყრელია აგრეთვე ფულის გასესხება სარგებლით, თუმცა ეს საქმიანობა არ ითვლება კეთილშეწყნარე-ბულ ხელობად". „ჩვენი წინაპრები ასე თვლიდნენ და ასე დააკა-ნონეს, რომ ქურდს ორმაგად ახდევინებდნენ, ხოლო მევახშეს ოთხ-მაგად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რამდენად უფრო ცუდ მო-ქალაქედ მიაჩნდათ მათ მევახშე, ვიდრე ქურდი. ხოლო როდესაც აქებდნენ კეთილ ვაჟკაცს, მაშინ აქებდნენ მას როგორც კეთილ მი-წისმხვნელსა და კეთილს გლეხს. ვისაც ასე აქებდნენ, იგი მათ მი-აჩნდათ უმაღლესი ხოტბის ღირსად. ვაჭარს მე ვთვლი გამრჯე ადა-მიანად და მოგების ძიებაში დაჟინებითა და ბეჯითად მომქმედ-პირად, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, თავის საქმეში ის საშიშროე-ბასა და ხიფათს პირისპირ შეჰყურებს" [1].

ვაჭრობა და მევახშეობა, კატონის თვალსაზრისით, თავისთავად მიზანს კი არ წარმოადგენდა, არამედ „პირველადი დაგროვების", საშუალებას. შრომის ძირითადი დარგი კი შეიძლება იყოს მხოლოდ სოფლის მეურნეობა (agricultura).

---

[1] Cato, De re rustica, praef., 1—4.

„მიწის მუშათა შორის გამოდიან უმამაცესი ვაჟკაცებიც და ყველაზე უფრო გამბედავი მხედრებიც, მიწათმოქმედება ესაა უაღრესად კეთილმსახური და გამძლე საქმიანობა, იმ ხალხს კი, რომელიც მას მისდევს, ყველაზე უფრო ნაკლებად ეგუება აზრთა ცუდი განწყობა"[1]. „მიწათმომქმედთა შემოსავალი ყველაზე უფრო საპატიო არის და უფრო საიმედოც და ყველაზე უფრო ნაკლებ იწვევს შურსაო"[2]. კატონი გვევლინება ფულზე წმინდა რომაული შეხედულების მოსარჩლედ, რომ ფული, რა გზითაც კი არ უნდა ყოფილიყო იგი მოპოებული, საბოლოო ანგარიშით, უნდა დაბანდებული ყოფილიყო მიწაზე, ვინაიდან მიწის რენტა უაღრესად საიმედო და მტკიცე შემოსავალია.

კატონის შემდგომი მსჯელობიდან კი ჩანს, რომ იმდროინდელ ეკონომიურ კონიუნქტურის პირობებში იტალიაში სოფლის მეურნეობის ყველა სახეობა თანასწორად რენტაბელური არ იყო. ყველაზე უფრო ნაკლებ რენტაბელური იყო იტალიის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი — ხვნა-თესვა, ე. ი. სწორედ ის სამეურნეო დარგი, რომელიც „ოქროს საუკუნის" იტალიაში შეადგენდა საშუალო შეძლებისა და წვრილ მესაკუთრეთა საფუძველს.

ახალი ეკონომიური კონიუნქტურის დროს, როცა ხორბლეულმა იწყო დენა პროვინციებიდან ხარკის სახით, იტალიის სოფლის მეურნეებმა დაიწყეს ბაღ-ბოსტნეულ და საძოვრითს მეურნეობაზე გადასვლა, როგორც ადგილობრივსა და მსოფლიო ბაზარზე უფრო მეტად რენტაბელურ მეურნეობაზე. იტალიის გეოგრაფიული პირობები კი ხელს უწყობდა როგორც საძოვრითი მეურნეობის აყვავებას, ისე ბაღ-ბოსტნეულ კულტურათა წარმატებას. ნოყიერი ბალახით დაფენილ აპენინის ფერდობებზე, საქონლის ძოვება შეიძლებოდა მთელი წლის განმავლობაში: ზამთრობით ბარში, ზაფხულობით კი მთებში. მოთხოვნილება კი საქონელზე და მესაქონლეობის პროდუქტებზე თანდათან იზრდებოდა. ხორცი, ერბო, ტყავი, ბატყლი, ძვალი, თასმები და მისთანა სხვა, დიდი რაოდენობით მზადდებოდა და მიდიოდა არმიაში, იგზავნებოდა ქალაქებში. კითხვაზე, თუ მეურნეობის რომელი ტიპია უფრო ხელსაყრელი, კატონი უპასუხებდა: კარგი საძოვარი (bene pascere), მეორე რიგში — დამაკმაყოფილებელი საძოვარი (satis bene pascere), მესამე რიგში — უხეირო საძოვარი (male pascere).

მესაქონლეობასთან ერთად III საუკ. ბოლოდან გავრცელება მოიპოვა ბაღ-ბოსტნეულმა კულტურებმა. კატონის თხზულებაში

[1] Cato, De re rustica, praef, 1—4.
[2] Ibid.

„სოფლის მეურნეობა“ („De re rustica“), სადაც აწერილია სანიმუშო მამული, პირველ რიგში დგას ყურძნის კულტურა (vinea), მეორე რიგში — ბოსტანი (hortus), მესამე რიგში — ტირიფის ნერგი (salicetum), მეოთხე რიგში — ზეთისხილის პლანტაცია (olivetum), მეხუთე რიგში — მდელო (pratum), მეექვსე რიგში — პურის მინდორი (campus frumentarius) და ა. შ. [1].

ტერმინი „ვილა“ (villa) ლათინურ ენაზე იხმარებოდა სულ სხვადასხვა მნიშვნელობით — მამულის მნიშვნელობით (fundus-latifundia), ჰქონდა ამ სიტყვას საკარმიდამო შენობათა (villa rustica) მნიშვნელობაც, საქალაქო სახლსაც (villa urbana) ნიშნავდა იგი, მინდორსაც (campus, ager), ბაღსაც (hortus) და ა. შ. [2] თავისი სიტყვათწარმოებით „ვილა“ ნაწარმოებია სიტყვა vicus-იდან, რაც ნიშნავს დასახლებულ ადგილს, სოფელს, და აღნიშნავს სოფლის კარმიდამოს, რომელიც განცალკევებით დგას დასახლებული ადგილიდან. ვილას საშუალო მოცულობა იცვლებოდა დროისა და ადგილის მიხედვით.

კატონი აღწერს კარმიდამო-ვილას კომპლექსური მეურნეობით, რომელიც შეიცავს ზეთისხილის ჭალას 60 ჰექტარის (240 იუგერი) ფართობით, 25 ჰექტარიან ვაზის პლანტაციას (100 იუგერი), მარცვლეულ მეურნეობას და საძოვარს „საზოგადოებრივ მინდორზე“.

კატონის თხზულებას მხედველობაში ჰყავს არა ჩვეულებრივი საშუალო შეძლების მიწათმფლობელი, არამედ შეძლებული მეურნე, რომელსაც საკმარისი სახსარი გააჩნია ინვენტარისა და მუშახელის შესაძენად. მეურნე-გამჩანაგებელს, რომელთა რიცხვიც კატონის დროს უმრავლესობას შეადგენდა, იგი უპირისპირებს იდეალურ მეურნეს, რომელსაც მეურნეობა დაყენებული აქვს რაციონალურ საფუძვლებზე, რომელიც რაციონალურად იყენებს მუშახელს და ზრუნავს მამულის კულტურაზე. კატონი წინააღმდეგია მეტისმეტად ფართო სამფლობელოებისა და ამასთანავე ერთად ურჩევს მინდორი ბეჯითად დამუშავდეს, ღრმად მოიხნას, გაიმარგლოს და სასუქი მიეცეს.

„რას ნიშნავს მინდვრის კარგად დამუშავება? — ეს ნიშნავს კარგად მოხვნას. მერე, მეორედ რაღა გაკეთდეს? — ისევ მოიხნას. მესამედ რაღა გაკეთდეს? — სასუქი მიეცეს“. „ვინც ძალიან ხშირად და ღრმად გადახნავს ზეთისხილის ფართობს, ის ამოთხრის

---

[1] Cato, De re rustica, praef., 1, 6.

[2] P. Grenier, Daremberg et Saglio, 51.

უკნინეს ფესვებსაც კი. ხოლო თუ ცუდად მოხნავს, მაშინ ფესვები მაღლა ამოვა, გასქელებას დაიწყებს და ზეთისხილის ძალღონე ამ ფესვებს შეელევა. პურის მინდვრის მოხვნისას, კარგად და თავის დროზე მოხანი, ხნული კი ერთნაირი გაავლეო". კულტურათა სხვა სახეობანი მოითხოვდნენ ხშირად გამარგვლას, გულმოდგინედ ამოღებას აღივებულ თესლისას და მიწიანად ფესვების დროიანად გადარგვას, ნიადაგის კარგად გათოხნას, ზრუნვას იმაზე, რომ წყალმა არ ავნოს ფესვებს. თუ ვინმე მკითხავს, რა დრო არის უფრო მარჯვე ზეთისხილის დარგვისათვისო, მე მივუგებ: მშრალ მინდორში — თესვის ხანებში, მსუყე მინდორში — გაზაფხულზე" [1]. „განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვლა საქონელს. მეხრეებს უნდა მიეცეს შეღავათი, რომ სამუშაოზე წახალისდნენ. საგებელი წვრილფეხა საქონელს და ხარებს უნდა სუფთა ჰქონდეთ, ჩლიქები — მობანილი. ყველა სამუშაო თავის დროზე უნდა იქნას შესრულებული. საკმარისია სოფლის მეურნეობაში ერთი საქმე დაახანო, რომ ყველა დანარჩენშიაც ჩამორჩეო" [2].

მუშახელის მთავარ კონტინგენტს კატონის მამულში შეადგენენ მონები. მუშახელის საკითხს კატონი დიდ ყურადღებას უთმობს, აღწერს მონათმფლობელის თვალსაზრისით უფრო მეტად რაციონალურ მეთოდებს მონებისა და თავისუფალთა ექსპლოატაციისას, რამდენადაც უკანასკნელსაც (თავისუფლებსაც) იყენებდნენ დამხმარე სამუშაოებზე.

პლანტაციებში იყენებდნენ თითქმის განსაკუთრებით მონურ შრომას. 40 — 60 ჰექტარიან პლანტაციებისათვის, კატონის გამოანგარიშებით, საჭიროა 13 მონა. იმ პარაგრაფებში, სადაც ლაპარაკია ვილაში ჩაბმულ მონათა შენახვაზე, დაწვრილებით გამოანგარიშებულია საჭმლის, ღვინისა და ტანისამოსის რაოდენობა, რაც მონებს ეძლევა ზამთარ-ზაფხულში, აგრეთვე მონებისათვის მისაცემ საკვების ხარისხი, რაც საჭიროა მონათა ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

მონათა საკვები ულუფა იყო: „ზამთარში მომუშავე მონები იღებენ 4 მოდიუს ხორბალს, ზაფხულში 4½ მოდიუსს (მოდიუსი უდრის დაახლოებით 8 ¾ ლიტრს). ვილიკუსს (მოურავს), ვილიკას (მოურავ ქალს), ზედამხედველს, მეცხვარეს—სამ-სამი მოდიუსი, ბორკილგაყრილებს—ზამთარში ოთხ-ოთხ გირვანქა პური, ხოლო ვენახის დაბარვის დაწყებისას — ხუთ-ხუთი გირვანქა, სანამ ლეღვი

---

[1] Cato, De re rusfica, 61.
[2] Ibid, 5—7.

შეთვალდებოდეს, მერე ისევ 4 გირვანქაზე გადაიყვანე"-ო (რომაული გირვანქა უდრის დაახლოებით 8328 გრამს).

ღვინო მონებისათვის: „როცა მოთავდება ღვინის დამზადება, დაე მონებმა ღვინო სვან გამონაწურიდან სამი თვის განმავლობაში; მეოთხე თვეში მათ ღვინო ერგებათ თითო ჰემინა (0,2736 ლიტრი) დღეში, ე. ი. 2½ კონგიუსი (დაახლოებით 3½ ლიტრი) თვეში; მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე თვეს — დღეში თითო სექსტარიუსი, ე. ი. 5 კონგიუსი თვეში".

ზეთი მონებისათვის: „მოიმარაგე რაც შეიძლება ბლომად ძირს ნაყარი ზეთისხილი. შემდეგ მოიმარაგე მწიფე ზეთისხილი, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ სულ ცოტა ზეთის მოცემა, და შეინახე ის, რომ გეყოს რაც შეიძლება დიდხანს. როცა ზეთისხილი შეიჭმება, მიეცი ხოლმე თევზის ნახარში წვენი და ძმარი. ზეთი მიეცი თვეში თითოს თითო სექსტარიუსი, მარილი თითოზე საკმარისი იქნება თითო მოდიუსი".

ტანისამოსი მონებისათვის: „წელიწად გამოშვებით მიეცი ხოლმე შენაცვლებით ტუნიკა სიგრძით 3½ ფუტი და მოკლე წამოსასხამი, ხოლო ძველი ტანისამოსი ჩამოართვი ხოლმე, რომ იმისგან დამზადდეს ჩაწყობილი საბნები. გარდა ამისა, საჭიროა წელიწად გამოშვებით მიეცეს ხის კარგი ხამლი"[1].

თავის ტრაქტატში კატონი გამოდის როგორც ნამდვილი მონათმფლობელი და ცდილობს მონებს გამოჰქაჩოს ზედმეტი პროდუქტის მაქსიმუმი, ამასთანავე მათი შენახვის ხარჯი მინიმუმამდე დაიყვანოს. მონა უნდა შენახულ იქნას იმ დრომდე, სანამ მას შრომა შეუძლიან, ხოლო დასუსტდება თუ არა, ან ავად გახდება, ან კიდევ მოხუცდება, მაშინ მისგან მყისვე თავი უნდა გაითავისუფლო, როგორც ძველი რკინისგან, ძონძეულისგან და სხვა ამგვარისგან, — უნდა გადააგდო ან გაჰყიდო.

მონათა შესახებ მსჯელობით კატონი ადასტურებს მარქსის ქვემორე მოყვანილ შენიშვნას მონების შრომის ექსპლოატაციის ხასიათის შესახებ.

„ეკონომიური მოსაზრებანი, რომელთაც შეეძლოთ მოეცათ ერთგვარი გარანტია მონისადმი ადამიანური მოპყრობისა, რამდენადაც ეს მოსაზრებანი აიგივეებენ ბატონის ინტერესსა და მონის შენახვას, მონებით ვაჭრობის შემოღების შემდეგ, პირიქით, ხდებიან მონის უკიდურესი განადგურების მიზეზად; რადგანაც თუ-კი შეიძლება მისი ადგილი სხვა მხრიდან მოყვანილმა მონამ

[1] Cato, De re rustica, 55—59.

დაიჭიროს, მაშინ მონის სიცოცხლის ხანგრძლივობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე მის პროდუქტივობას, სანამ ეს სიცოცხლე გრძელდება. ამიტომ, იმ ქვეყანაში, სადაც მონების შეზიდვა ხდება, მონური მეურნეობის ასეთი სახელმძღვანელო წესი არსებობს: ნამდვილი ეკონომია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანურ პირუტყვს (human chattle) რაც შეიძლება მეტი შრომის მასა ამოსწოვო ნაკლებ დროში" [1].

კატონის სანიმუშო ვილაში მონები შეადგენენ მუშათა ძირითად კატეგორიას; მასთან ერთად გამოყენებული იყო მუშათა სხვა, დამატებითი კატეგორიები, რომელთაც სამუშაოდ იყენებდნენ გაცხარებულ მუშაობის დროს, რთველისა და მკის დროს. სასეზონო სამუშაოებს აუქციონით ან ვილის პატრონთან პირადი შეთანხმებით იღებდნენ მონარდენი, რომელთაც თან მოჰყავდათ მუშა-მონები და თავისუფლები (operarii). მოსულ მუშათა არტელები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ლუციუს მანლიუსის მამულში, ვენაფრაში [2], რომელიც უახლოესად ჰქონდა მხედველობაში კატონს, მარტო ერთს ზეთისხილის პლანტაციაში დაბანდებული ჰყავდათ 50 მოსული მუშა. დაქირავებულ მუშებს გასამრჯელო ეძლეოდათ ნატურით პროდუქტის წილიდან. ქალაქ კაზინის მიდამოებში, სადაც კატონის მიერ აღწერილი ვილა იყო, მონარდე იღებდა აღებული მოსავლის $^1/_5$, $^1/_6$, $^1/_7$, $^1/_8$, $^1/_{10}$ ს [3].

ცოცხალი ინვენტარის ნუსხას ზედ მისდევს ამგვარადვე დაწერილებითი ნუსხა მკვდარი ინვენტარისა: ნიჩაბის, ბარის, წერაქვის, ნამგლის, ამფორის, ღვინისა და ზეთის შესანახი ჭურჭლისა, ერთი სიტყვით, სასოფლო-სამეურნეო იარაღების სრული წყებისა და გამართულობისა. კატონის მიერ აღწერილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს შორის ყველაზე უფრო ძვირი და ტექნიკურად უფრო რთული იარაღი იყო ზეთისა და ღვინის საწნეხი — ტრაპეტუმი (trapetum).

კატონის თხზულებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ II საუკ.-ში საპლანტაციო სისტემა უკვე შევიდა პრაქტიკაში და იტალიის მეურნეთა ყურადღებით სარგებლობდა. ბალ-ბოსტნეული კულტურის გავრცელების მთავარი რაიონი იყო რომისა და სხვა ქალაქების მიდამოები (suburbanae villae). უფრო შორეულ რაიონებში მეურნეობის გაბატონებულ ტიპად ისევ საძოვრითი მეურნეობა

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, ქართული თარგმანი, გვ. 221.
[2] К. Нич, История Римской республики, М. 1908 г., стр. 278.
[3] Ibid, 281.

რჩებოდა, ნაწილობრივ კი მარცვლეული მეურნეობა, რომელიც დიდი ქალაქების რაიონებში გამოდევნილ იქნა შემოზიდული პურით.

6. ხელოსნობის განვითარება

კატონის ტრაქტატი შეიცავს მასალას არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგის, არამედ აგრეთვე მრეწველობის დარგის შესახებაც. კატონის წიგნი გვიჩვენებს, რომ II საუკ. იტალიაში არსებობდა მრავალი სხვადასხვა ხელობა და რომ ხელოსანთა სპეციალიზაცია როგორც ცალკე ხელობებში, ისე ცალკეულ რაიონებში თვალსაჩინოდ წინ მიდიოდა.

თვითეულ ქალაქს თავისი სპეციალობა ჰქონდა. რომში ყიდულობდნენ ტუნიკებს, წამოსასხამებს და ფეხსაცმელებს მონებისათვის (სკულპონეა); მინტურნში იყიდებოდა კაპიშონები, რკინის იარაღი, ნამგალი, ცელი. ნიჩაბი, წერაქვი, ცული, მოკაზმულობა-მოსართავი, ჯაჭვი; ვენაფრაში—ნიჩბები და ბარები; სუესში—ურმები და სალეწავი იარაღები.

„საუკეთესო გუთნები მზადდება რომში. რომაული გუთნები კარგია მძიმე და მკვრივი მიწისათვის, შავნიადაგიანი მიწისათვის კი უკეთესია კამპანიური გუთნები, კაპუასა და ნოლში უნდა შეძენილ იქნას კასრები, ზეთის ამფორები, წყლის კუტალი და საერთოდ სპილენძის ჭურჭელი; იქვე იყიდება მეტად მაგარი ბაგირი, საწნეხისათვის განკუთვნილი ბაგირი კი უნდა შეძენილ იქნას გაიოს მენიუსის, ლუციუსის შვილის, სპეციალურ სახელოსნოში, ვენაფრაში“ [1].

III საუკ.-ში ჩვ. წელთაღრიცხვამდე იტალიაში იყო ორი სახელოსნო რაიონი — სამხრეთისა და ჩრდილოეთის: კამპანია და ეტრურია. კამპანიის ქალაქებიდან გამოირჩეოდა კაპუა და ნოლა, ხოლო ეტრურიის ქალაქებში პირველი ადგილი ეჭირა ტარკვინიას, პოპულონიას, ცერეს და სხვათ. ესკვილიას ნეკროპოლებში აღმოჩენილია მრავალი ბრინჯაოს ნივთი, სარკე, სატუალეტო საგანი და სხვ., ხოლო პოპულონიაში ბლომად დაგროვილია ხენჯის ზვინები. რის მიხედვითაც წელიწადში დამუშავებულ რკინეულის საერთო რაოდენობას 1 მლნ. ტონას ანგარიშობენ [2]. დიოდორეს მოწმობით, პოპულონიაში ჩამოსხმული თუჯი იგზავნებოდა სხვა ქალაქებში, კერძოდ, პუტეოლაში, რკინის დამმუშავებელ სახელოსნოთა ცენტრში [3]. გარდა ამისა, სადნობ საქმის პოპულონიაში განვითარებაზე

---

[1] Cato, De re rustica, 135.

[2] D'Achiardi, Studi Etrusci, III, 1929, 398.

[3] Diod., V, 13.

მიგვითითებს გათხრილ სამჭედლოთა ნაკვალევი[1]. წყაროებიდან ჩანს, რომ სახელოსნოებში ამზადებდნენ არა მარტო ფუფუნებით საგნებს, არამედ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებსაც, სამუშაო იარაღებს და, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მეტად საომარ იარაღს. XXVIII წიგნში ლივიუსი ჩამოსთვლის იმ ეტრუსკულ ქალაქებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 205 წელს სციპიონის ექსპედიციის მომარაგებაში. ქალაქებს შორის დასახელებულია: ცერემ მისცა პური და სხვა სანოვაგე (frumentum commeatumque), პოპულონიამ — რკინა (ferrum), ტარკვინიამ — სააფრე ტილო (lintea in vela), ვოლატერრამ — ხე-ტყე გემებისათვის (interamenat navium et frumentum), არეტიუმმა—3 ათასი ფარი, 3 ათასი ზუჩი, 50 ათასი ხელშუბი, სატყორცნი მასალა 40 გემისთვის და 30 ათასი მოდიუსი ხორბალი[2].

პლინიუსი ლაპარაკობს 2 ათას ბრინჯაოს პატარა ქანდაკებათა შესახებ, რომელნიც გაზიდული იყო ეტრურიიდან[3].

კატონი გვაძლევს დაწვრილებითს ნუსხას სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისას, გადასაზიდ საშუალებათა და სამუშაო ხელსაწყოისას, ავეჯისა, ტანისამოსისა და სხვა ამგვარისას, რაც ნაწილობრივ სახლში მზადდებოდა, მეტწილად კი შეიძინებოდა ხოლმე ბაზარზე. ბაზარზე შენაძენ ნივთებს შორის მოხსენებულია: ზეთის ჭურჭლები (vasa olearia), სპილენძის ჭურჭლები (ahena, operculum aheni), რკინის კავები (unci ferrei), წყლის კოკები (urci aquarii), გობები, ღვინის ამფორეები, კასრები, ტასტები, მათარები, შანდლები, გუთნები სახნისებით (aratra cum vomeribus), ურმები (plostra maiora), რკინის იარაღები (ferramenta), ორთითები, თოხები (sarcula), ბარები, ცელები, თიხის კასრები, სპილენძის რგოლები, ვირით სატრიალები წისქვილი (mola asinaria), სავარძლები, საწოლები, წამოსასხამები მონებისათვის და სხვ.[4] იტალიის მრეწველობის შესასწავლად უხვსა და ამასთანავე ჯერ კიდევ არასაკმაოდ გამოყენებულ წყაროს წარმოადგენს პ ლ ა ვ ტ ი ს კომედიები.

რომ შევაერთოთ ეპიგრაფიკის ცნობები და ლიტერატურული ცნობები, მივიღებთ საკმაოდ გრძელ სიას სულ სხვადასხვანაირ სპეციალობის ხელოსან-ოსტატებისას; ასეთები არიან: ოქრომჭედელნი (aurifices), მეჭურჭლენი (ampullarii), მექოშენი (calceolarii), მე-

---

[1] M a n c i n i, In Miniera Italiani, VI, 1922.
[2] L i v., XXVIII, 45; W a l t e r s, History of ancient pott ry.
[3] P l i n., XXXIV, 34.
[4] C a t o, De re rust., 10.

წაღენი (sutores, solearii), ხუროები (fabritignarii), მუედლები (ferrarii), მეაგურენი (figularii), მატყლის მრთველები (lanarii), მღებრები (infectores), მთელავები (fullones), ხის ოსტატები (materiarii), ფარის დამამზადებელნი (scutiarii), ფეიქრები (textores), და სხვანი [1]. სპეციალურად მხატვრული მრეწველობის დარგიდან ბევრი რამის ამოღება შეიძლება იმ ფიგურიანი ჭურჭლეულობიდან, რომელიც ტარკვინიაში, რომ კალესაში, პესტორში და სხვა ქალაქებში არის ნაპოვნი გათხრების დროს [2].

ყველაფერი ეს ერთად მოწმობს რომ იტალიის ინდუსტრიისა, შრომის განაწილებისა, გაცვლა-გამოცვლისა და ფულის როლის დიდსა და მაღალ დონეს. პლავტის იმავე კომედიებში მომქმედ პერსონაჟებს შორის წარა-მარა გვხვდებიან შუამავლები, საზარაფო დუქნის პატრონები, საბანკირო კანტორათა მფლობელნი. სასაქონლო-ფულად ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოთხოვნილება ფულზე დიდი იყო, სესხის სარგებელიც აგრეთვე დიდი არსებობდა. მიუხედავად შრომის მნიშვნელოვანი განაწილებისა, სხვადასხვა ხელობისა და ფულის არსებობისა, რომის მეურნეობა მაინც ნატურალური რჩებოდა, რამდენადაც მას საფუძვლად ედვა წარმოების მონური წესი, მონებს კი ითვისებდნენ ნატურალური გზით — ომისა და დარბევის დროს ხელში ჩაგდებით და, უკვე მეორე რიგში, მონათმფლობელურ ბაზარზე სყიდვის საშუალებით.

7. მონათმფლობელობის ზრდა. მონობის წყაროები

სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა III საუკ. ბოლოდან ვითარდებოდა წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი წ ე ს ი ს ბაზისზე. მონათმფლობელობა არსებობდა რომის ისტორიის დასაწყისიდანვე, მაგრამ წარმოების მონათმფლობელური წესი იტალიაში წამყვანი ხდება არაუადრეს ტარენტუმისა და პუნიკურ ომებისა.

მსოფლიო სახელმწიფოდ რომის გადაქცევას თან სდევდა არა მარტო ფულის, ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის და ძვირფასი ნივთების ხელში ჩაგდება, არამედ სამუშაო ძალის — მონების — უამრავი რაოდენობის დაუფლებაც. ტარენტუმის აღების შემდეგ, მაგალითად, მონებად გაყიდული იყო ერთბაშად 30 ათასი კაცი, მაკედონიის მეფე პერსევთან ომის დროს 157 წ. ხელთ იგდეს აგრეთვე 30 ათასი კაცი. ტიბერიუს სემპრონი გრაქხმა, რომაელ ტრიბუნების

---

[1] L o d g e, Lex. Plaut.

[2] CIL, I, 2487.

ძმათა გრაჭხების ძამამ, 177 წ. სარდინიაში მონებად აქცია 80 ათასზე მეტი კაცი. „მაშინო, — შენიშნავს ლივიუსი, — ისე ბლომად იყიდებოდა მონები და ისინი ისე იაფად ფასობდნენ, რომ სიტყვა — „სარდინიელი“ შეიქნა საერთოდ იაფი საქონლის შესატყვისად“ (sardi venales. alius alio nequior)[1]. უფრო სასტიკი იყო 150 ათასი ეპირელის დამორჩილება 167 წელს[2]. 177 წელს ხელთ იგდეს 5 ათასი ილირიელი[3]. მონებზე ნადირობა ერთერთი სტიმული იყო რომაელი სარდლების სამხედრო ექსპედიციებისა და თავდასხმების. 171 წ. კონსულ გაიოს კასიუს ლონგინუსს (C. Cassius Longinus) ბრალდებაც კი წაუყენეს იმაში, რომ ალპის ხალხებს თავს ესხმოდა მონათა ხელში ჩაგდების მიზნით.

განსაკუთრებით ბევრი მონა შესძინა რომს მესამე პუნიკურმა ომმა. აპიანეს მოწმობით, სციპიონ ემილიანემ კართაგენიდან წაიყვანა 60 ათასი მონა, რომელთა მეტი ნაწილიც გაყიდულ იქნა თვითონ რომში. რომის რესპუბლიკაში II საუკ. მანძილზე მონათა მრავალრიცხვიანობის არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს ის წარმოადგენს, რომ მეტად დიდი იყო გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი მ ო ნ ე ბ ი ს რიცხვი და დიდი იყო მათი როლი რომის სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვათა შორის, გათავისუფლებულ მონათა რიცხვიდან გამოვიდა სახალხო ტრიბუნი გაბინუსი (vernae nepos), რომელმაც 139 წ. შემოიღო ფარული კენჭისყრა[5], პუბლიუს ფური და სხვები. სასამართლოს დროს მოთმინებიდან გამოსულმა სციპიონმა განაცხადა: „როგორ შემაშფოთებს მე ყიჟინა თქვენი მსგავსი ხალხისა, რომელთათვის იტალია - დედინაცვალია და რომელნიც მე დიდიხანი არაა, რაც აქ ჩამოვიყვანე როგორც ტყვეები?“-ო[6]. მომდევნო საუკუნეებში რომის იმპერიალიზმის ზრდასთან ერთად უფრო მეტად გახშირდა დაპყრობანი და ამის შესაბამისად უფრო მეტად გაიზარდა მონათა რიცხვიც.

ომი იყო მონათა შეძენის ერთერთი ძირითადი წყარო, მაგრამ არა ერთადერთი. ომთან ერთად ანტიკური ეკონომიკის სისტემაში პირველხარისხოვანი ადგილი ეკავა მ ე კ ო ბ რ ე ო ბ ა ს. საზღვაო სახელმწიფოთა, კართაგენისა და ჰელინისტურ სახელმწიფოთა, შე-

---

[1] Fest., 428.
[2] Liv., XLV, 34.
[3] Ibid., XLII, 54.
[4] App., Bella Punica, 126, 130.
[5] Liv., Epit., 193.
[6] Vell. Paterc., II, 4, 4; Val. Max., VI, 2, 3.

მუსვრა-დამარცხების შემდეგ, რომელნიც თავისი ფლოტით აფერ-ხებდნენ მეკობრეობის განვითარებას, ამ მეკობრეობამ მიიღო მეტად ფართო და მანამდე გაუგონარი ხასიათი. მეკობრეების მიერ ხელში ჩაგდებული მონები მიჰყავდათ ტყვეთა ბაზრებზე, რომელთა შორისაც რომის ბატონობის ხანაში მთავარი ბაზარი იმყოფებოდა კუნძულ დელოსზე.

რომის რესპუბლიკის II' და I საუკ.-ებში მონათმფლობელობამ მიიღო მეტად ფართო ხასიათი, უფრო მეტი, ვიდრე ანტიკური სამყაროს რომელსამე სხვა სახელმწიფოში. მონის შრომას იყენებდნენ სახელოსნოებში, სოფლის მეურნეობაში, მაღაროებში, საზოგადოებრივ სამუშაოებსა და კერძო პირთა სახლებში, როგორც შინამოსამსახურეებს, მზარეულებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, პედაგოგებს და სხვა ხელობებში. სამწუხაროდ, სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო, იტალიაში მონური მოსახლეობის საერთო რიცხვი რესპუბლიკის დასასრულს არ შეიძლება იქნეს დადგენილი. ერთი-რამ კი უეჭველია: მონათა რიცხვი ყველაზე უფრო მეტი იყო სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში, მონათა რევოლუციების კერებში. იტალიის ჩრდილო ნაწილებში, პირიქით, უფრო ხანგრძლივად გასძლეს თავისუფალმა მიწათმფლობელებმა და მონური მოსახლეობა იქ ისე დიდი არ იყო, როგორც სამხრეთში.

8. წარმოების მონათმფლობელური წესის თავისებურებანი

მონათმფლობელობა წარმოადგენს ანტიკურ საზოგადოებათა ღერძს და ამიტომ, თუ არ გავითვალისწინეთ წარმოების მონათმფლობელური წესის თავისებურებანი, ისე არ შეიძლება სწორედ გავიგოთ ანტიკურ საზოგადოებათა სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური თავისებურებანი.

წარმოების მონათმფლობელური წესი, როგორც ეს სრული სიცხადით გამოარკვიეს მარქსიზმის ფუძემდებლებმა, ძირითადად განსხვავდება წარმოების ყველა სხვა წესისგან. უპირველეს ყოვლისა, მარქსი მიუთითებს თვით მონათმფლობელური სისტემის დინამიურობაზე, რომელიც იცვლებოდა სოციალურ-ეკონომიურ პირობების ცვლასთან ერთად.

თავისი განვითარების პროცესში მონათმფლობელური მეურნეობა, ამბობს მარქსი, „გაივლის მთელ რიგ საფეხურებს პატრიარქალური სისტემიდან დაწყებული, რომელიც გამიზნულია უმთავრესად საკუთარ მოხმარებისათვის, ვიდრე საკუთრივ პლანტატო-

რულ სისტემამდე, რომელიც ემსახურება და მუშაობს მსოფლიო ბაზრისთვის“ [1].

წარმოების მონათმფლობელური წესის პირველი თავისებურება, რომელიც მას განასხვავებს წარმოების ყველა სხვა ცნობილ სახეობათაგან, არის ის, რომ მონა იურიდიულად არ არის თავისუფალი, მუშაობს სხვისი იარაღებით. „მონა მუშაობს წარმოების სხვისი პირობების დახმარებით და არადამოუკიდებლად“ [2].

მონათმფლობელური სისტემის მეორე თავისებურებად მარქსს მიაჩნია სამუშაო ძალის მითვისების ნატურალური ხასიათი — ძველი და ახალი სამყაროს უაღრესად განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებებშიც კი.

„...თვით მონების ბაზარს მუდამ აწვდის მის საქონელ-სამუშაო ძალას ომი, მეკობრეობა და სხვ. და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ სარგებლობს მიმოქცევის პროცესით, არამედ წარმოადგენს სხვისი სამუშაო ძალის მითვისებას პირდაპირი ფიზიკური იძულების გზით“ [3].

რადგანაც მონა სამუშაოში დაინტერესებული არაა და არც გააჩნია მას სათანადო იმპულსები, მონას, როგორც წესი, შეუძლიან იმუშაოს მხოლოდ ტლანქი იარაღით და თვითონ პატრონისა ან მისი მოადგილის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. აქედან გამომდინარეობს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს შ ე ნ ე ლ ე ბ ა და საერთოდ ეკონომიური განვითარების ნელი ტემპი მონათმფლობელურ საზოგადოებებში.

„...ძველთაგან თქმული მოსწრებული სიტყვის თანახმად, მუშა აქ მარტოოდენ როგორც instrumentum vocale (მეტყველების უნარით დაჯილდოებული იარაღი) განსხვავდება ცხოველისაგან — instrumentum semivocale-საგან (ხმის გამომცემი იარაღისაგან) და უსულო იარაღისაგან — instrumentum mutum-ისაგან (მუნჯი იარაღისაგან). მაგრამ თვითონ მონაც აგრძნობინებს ცხოველსა და შრომის იარაღს, რომ იგი მათ მსგავსი კი არ არის, არამედ — ადამიანია. ამ სულიერი განწყობილების მისაღწევად, რომ თვითონ მათგან განსხვავდება, იგი მათ ცუდად ეპყრობა და სიამოვნებით ანადგურებს. ამიტომ იმ წარმოების წესის პირობებში ეკონომიურ პრინციპად არის აღიარებული მეტად ტლანქი და მძიმე შრომის

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, წიგნი 3, ნაწ. 2, რუს. გამოცემა, 1932 წ., გვ. 579.

[2] იქვე.

[3] იქვე, ტ. II, ქართ. გამოცემა, გვ. 428.

იარაღების ხმარება, ვინაიდან ამ სიტლანქისა და სიმძიმის გამო ეს იარაღები უფრო ძნელად გასაფუჭებელია. სამოქალაქო ომის დაწყებამდე მექსიკის ყურესთან მდებარე მონათმფლობელ შტატებში ხმარებაში იყო ძველი ჩინური კონსტრუქციის გუთანი, რომელიც ღორსა და თხუნელასავით სჩიჩქნიდა მიწას, მაგრამ კვალს არ ავლებდა და ბელტს არ აბრუნებდა“ [1].

წარმოების მონათმფლობელური წესის შემდეგ თავისებურებას წარმოადგენს მწარმოებელზე წარმოების პირობების ადამიანთა შორის ბატონობა-მორჩილების ურთიერთობით შენაცვლების მოჩვენებითობა. მარქსის თანახმად „... ანტიკურ ეპოქასა და საშუალო საუკუნეებში მონობა ან ბატონყმობა წარმოქმნის საზოგადოებრივი წარმოების ფართო საფუძველს: წარმოების პირობათა ბატონობა მწარმოებლებზე აქ შენიღბულია ბატონობა-მორჩილების ურთიერთობით, რომელნიც არიან და გამოდიან როგორც საწარმოო პროცესის უშუალოდ მამოძრავებელი ზამბარები“ [2].

თქმულით მტკიცდება პრინციპული განსხვავება წარმოების მონურსა და კაპიტალისტურ წესებს შორის, ხოლო ამით, მაშასადამე, ანტიკურსა და კაპიტალისტურ საზოგადოებათა შორის, მიუხედავად არსებულ გარკვეული მსგავსებისა და ანალოგიისა ზოგიერთ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ზედნაშენებში.

„... ძველი დროის იმ მიწათმომქმედ მეურნეობებშიაც კი, სადაც ჩანს უფრო მეტი ანალოგია კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობასთან, კართაგენსა და რომში, იქაც კი უფრო მეტი მსგავსებაა პლანტაციათა მეურნეობასთან, ვიდრე ფორმასთან, რომელიც შეესაბამება ნამდვილად ექსპლოატაციის კაპიტალისტურ წესს“ [3].

მონათმფლობელურ მეურნეობათა ზრდა იმავე დროს იყო სავაჭრო-სავახშო კაპიტალის ზრდაც. ომი, მეკობრეობა, მონათმფლობელობა, ვაჭრობა და მევახშეობა ანტიკურ სამყაროში წარმოადგენდნენ ერთიდაიმავე ისტორიული პროცესის სხვადასხვა მხარეს.

რამდენადაც სამუშაო ძალა (მონები), უამრავი ძვირფასეულობა და მიწა შეიძინებოდა დაპყრობითი გზით, ომი და საზღვაო მეკობრეობა (პირატობა) ანტიკურ საზოგადოებებში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ. ომისა და დაპყრობათა ნიადაგზე იზრდებოდა ა რ მ ი ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა და მისი წინამძღოლების გავლენა.

---

[1] მ ა რ ქ ს ი, ტ. I, წიგნი 1, შენიშვნა 17, ქართული გამოცემა, გვ. 156.
[2] იქვე, ტ. III, ნაწ. 2, რუს. გამოცემა, 1929 წ., გვ. 300.
[3] იქვე, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 263.

სამხედრო წინამძღოლებს ძველითგანვე გამოჩენილი მდგომარეობა ეჭირათ რომის საზოგადოების სტრუქტურაში; რესპუბლიკის დასასრულს და იმპერიის დროს არმია და მისი წინამძღოლები (წინაიმპერატორები და მათი შემცვლელი ნამდვილი იმპერატორები) წარმოადგენდნენ გარდამწყვეტ ძალას და მონათმფლობელურ საზოგადოებას თავის ნება-სურვილს უკარნახებდნენ.

„სავაჭრო კაპიტალი, როცა მას უპირატესი ბატონობა ეკუთვნის, ყველგან წარმოადგენს ძარცვა-რბევის სისტემას და ტყუილად როდი იყო როგორც ძველ, ისე ახალი დროის მოვაჭრე ხალხების თვალში იგი დაკავშირებული ძალადობით ძარცვასთან, საზღვაო მეკობრეობასთან, მონათა მოტაცებასთან, კოლონიების დაპყრობასთან; ასე იყო კართაგენში,რომში, უფრო გვიან ვენეციელებსა, პორტუგალიელებსა, ჰოლანდიელებსა და სხვებში“ [1].

ანტიკური ტექნიკის ყველა დარგს შორის პირველი ადგილი ეჭირა საომარი იარაღის დამზადებას, რაც აგრეთვე მოწმობს ანტიკურ ფორმაციაში ომის პირველხარისხოვან როლს.

9. კულტურული ცვლილებანი

ხმელთაშუაზღვეთის აუზის დაპყრობის შემდეგ რომისა და იტალიის ისტორია შედის მთელი ხმელთაშუაზღვეთის უფრო საერთო ისტორიაში, განიცდის რა თვით და ახდენს რა თავის მეზობლებზე გავლენას.

ხმელთაშუაზღვეთის ყველა ქვეყნის შორის კულტურის მხრივ ამ დროს პირველი ადგილი ეჭირა ბერძნულ-ჰელინისტურ აღმოსავლეთს, რომელმაც რომის საზოგადოებაზე ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა. I-II საუკ.-დან რომი სრული უფლებით შეიძლება ჩაითვალოს დასავლურ ჰელინისტურ სახელმწიფოდ და მთელი შემდგომი ისტორია რომისა რესპუბლიკიდან იმპერიამდე გაფართოებული მასშტაბით იმეორებდა ჰელინისტური სახელმწიფოების ისტორიას.

რომის საზოგადოებაში ბერძნული აღმოსავლეთის გავლენის ქვეშ მომხდარ ცვლილებათა მთელს კრებულს ჩვეულებრივ უწოდებენ საერთო ტერმინით ჰ ე ლ ი ნ ი ზ მ ს ანუ ჰ ე ლ ი ნ ი ზ ა ც ი ა ს. ვიწრო გაგებით, ჰელინიზმი გულისხმობს ჰელინური კულტურის გავლენას რომის მატერიალურსა და სულიერ კულტურაზე, რომაულ დასავლეთზე. ჰელინური გავლენა შეეხო ყოფა-ცხოვრების, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს. ყოფა-ცხოვრებაში ჰელინიზაცია გამოიხატა ჰელინიზმის გარეგანი

[1] მ ა რ ქ ს ი, ტ. III, ნაწ. I, რუს. გამოცემა, 1930 წ., გვ. 255.

მხარეების შეთვისებაში, საცხოვრებელი ბინის, ჩაცმულობის გარეგან ფორმების ათვისებაში, ფუფუნებისკენ მიდრეკილებაში, აგრეთვე გასტრონომიისა, ღვინისა, მდიდრული მოწყობილობისაკენ განწყობილებაში, უფრო მეტ გულზიარობაში, სანახაობათა და გართობების სიყვარულში.

იდეოლოგიურ ფორმებს შორის ყველაზე ადრე ჰელინიზაცია განიცადა რომაულმა რ ე ლ ი გ ი ა მ. უცხო ტერიტორიათა დაპყრობასთან პარალელურად რომაელები იპყრობდნენ უცხო ღმერთებსაც. რომაელ ღვთაებათა მეტი წილი იყო არა თავიდანვე რომაელი (di indigetes), არამედ სხვა ხალხებისგან გადმოღებული ღვთაებანი იყვნენ (di novensides). ლათინურ ომების ხანაშივე უკვე ჩარიცხული იყო რომის პანთეონში ლათინური ქალაქების ღმერთები — დიანა (Diana) არაციუმიდან, ფორტუნა (Fortuna) პრენესტედან. ვენერა (Venus) არდეიდან და ა. შ. უფრო ძლიერი იყო გავლენა ეტრუსკებისა და იტალიის ბერძნებისა. ბერძნულ ქალაქ კუმედან რომაელებმა მიიღეს აპოლონი და ცნობილი „სივილას წიგნები“ — წინასწარმეტყველურ თქმათა კრებული. „სივილას წიგნები“ იყო სივილას ქურუმების სპეციალური კოლეგიის (decemviri sacris faciundis) განმგებლობაში.

ბერძნულ ღმერთებთან ერთად შემოდიოდა ბერძნული კულტები და რელიგიური პროცესიები სიმღერა-გალობით, ცეკვა-როკვით და თეატრალური წარმოდგენებით. ბერძნულ და ამათ კვალდაკვალ აღმოსავლურ ღმერთებისა და კულტების შემოსვლა მეტად თვალსაჩინო ხდება პუნიკური ომების დროიდან, მუდმივ კრიზისებისა, საერთო და პირად უბედურებათა ნიადაგზე საზოგადოების გულგატეხილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამავე დროს ეკუთვნის ქალღმერთ კ ი ბ ე ლ ა ს ფრიგიული კულტის გავრცელება, რომლის სიმბოლო — შავი ქვა — პალატინუმზე ინახებოდა. მრავალი ადამიანი ქალი და კაცი, რომელიც ვერ კმაყოფილდებოდა არასახარბიელო სინამდვილით, ცდილობდა თავი დაეკვიწყა ფრიგიული ქალღმერთის — „ღმერთების დედის“ ორგიასტულ კულტებში. თუ რამდენად გავრცელებული იყო ორგიასტული კულტები, მისტერიები და კიბელასი და დიონისეს (ბახუსის) ვაქხანალიები, ამას მოწმობს 186 წ. სენატის მიერ სპეციალურად გამოცემული დეკრეტი ვ ა ქ ხ ა ნ ა ლ ი ა თ ა შესახებ (Senatus consultum de Bacchanalibus), რომელიც სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა ფარულ ორგიასტულ კულტებში მონაწილეობისათვის. უძველეს დროს, როგორც უკვე ვიცით, რომაელი ღვთაებები განასახიერებდნენ ბუნების სხვადასხვა ძალებს და სახალხო ღვთაებებად ითვლებოდნენ. შემდეგ ხდება

რელიგიის ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ა. მრავალ ღვთაებათა შორის გამოიყოფა მთავარი ღვთაებები, ეგრეთწოდებული კაპიტოლიუმის სამება — იუპიტერი (Juppiter), იუხონა (Juno) და მინერვა (Minerva). ამ პატრიციულ ღვთაებებს უპირისპირდებოდა პლებეური სამება — ცერერა (დემეტრა), ლიბერი (ბახუსი) და ლიბერა (Ceres, Liber, Libera). პლებეურ სამებაში მთავარი ადგილი ეჭირა ქალღმერთს, დედათა სქესის ღმერთს — ცერერას, რაც გვიჩვენებს მატრიარქატის გადანაშთს [1]. ცერერას ტაძარში ავენტინუმზე ინახებოდა პლებეების ხაზინა და პლებეური არქივები. შესაძლებელია, რომ ცერერას ტაძრის ახლოს გაჩნდა პირველი პლებეური ორგანიზაციებიც — პლებეების ედილები, ტრიბუნები, და ცერერას ქურუმები აწარმოებდნენ კიდეც ამბავთა ქრონიკას.

რომაელთა სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაში მომხდარმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით უპიროვნო ღმერთებისგან (numina) ანთროპომორფულ ღმერთებზე გადასვლამ, დადებითი გავლენა იქონია რომაულ ხელოვნებაზე. რომაულ ხელოვნების უძველეს ძეგლებს ვეიდან აპოლონის ქანდაკებასა და კაპიტოლიუმის სამების ტაძართან ერთად ეკუთვნის სამნიტური ომების გმირის, ლ უ ც ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი ს ც ი პ ი ო ნ წ ვ ე რ ო ს ა ნ ი ს ს ა რ კ ო ფ ა გ ი' (III ს.), მარმარილოს ტაძრები, მეტელ მაკედონელის სამხატვრო გალერეა და ზოგიერთი სხვა ძეგლი. ყველა დასახელებული ნაწარმოები ასახავს უცხოელ ხელოვნებისა და მშენებლების გავლენას, უმთავრესად ბერძნებისა და ეტრუსკებისას. უფრო დამოუკიდებელია რომაელთა მ ო ნ უ მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ნაგებობანი: თაღოვანი ნაგებობანი, ქვის ხიდები, წყალსადენები, კედლები, ციხე-სიმაგრეები, გზები. მარტივ და ძალოვან ნაგებობათა ეს ტიპი უფრო ახლოს იდგა ძველი რომაელების ფხიზელ გონიერებასთან.

რომაულ პლასტიკისა და მხატვრობის (ფერწერის) ორიგინალურ ნიშნებს წარმოადგენენ შ ე მ ო ს ი ლ ი ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა (statua togata) და რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ო რ ტ რ ე ტ ი. ერთიც და მეორეც უპირისპირდება ბერძნულ ქანდაკებათა გაშიშვლებულ სხეულს და ჰელინ მხატვრების იდეალიზირებულ პორტრეტებს, რომელნიც იძლეოდნენ არა ინდივიდუალურ, არამედ გვაროვნულ ნიშნებს. ტოგაში შემოსილი ქანდაკება რომაელი მაგისტრატების სიდიადისა და ღირსების უფრო შესაფერისად ეჩვენებოდათ, ვიდრე ბერძენ მოქანდაკეთა და პორტრეტისტების გაშიშვლებული ფიგურა. იგივე რეალიზმი შეიგრძნობა რომაულ რელიეფებშიც, სურათებ-

---

[1] M. Weber, Ehefrau und Mutter in der Rechtsentwicklung, 1907.

შიც, სატრიუმფო კამარებშიც, რომელნიც წარმოსახავდნენ ომებისა და ლაშქრობათა ნამდვილ სცენებს და არა ძველი მითოლოგიის ფანტასტიკურ სცენებს, ამ ბერძენ ხელოვანთაგან შეყვარებულ სუჟეტებს.

გარკვეული დამოუკიდებლობა რომაელებმა გამოიჩინეს სამხატვრო-ისტორიული და პოლიტიკური ლიტერატურის დარგშიაც. რომაული ლიტერატურის უძველეს ძეგლებად ითვლება კალენდარული ჩანაწერები, ქურუმების მიერ წარმოებული წლითი-წლობითი ქრონიკა, კანონთა ფორმულები, ხელშეკრულებანი და მცირე კომენტარები კანონებისა, რომელთაც (კომენტარებს) მაგისტრატები ადგენდნენ. ლიტერატურა ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით ჩნდება მხოლოდ III საუკ.-ში, პუნიკური ომების დროიდან. ეს ის დრო იყო, როცა რომის ჰეგემონია მყარდებოდა იტალიის ტომებზე და ადგილობრივ დიალექტებს ლათინური გამოსდევნიდა. ლათინური ენა ამ დროიდან ხდება რომაული სახელმწიფოს ოფიციალურ ენად და მთელი ლიტერატურა უკავშირდება ქალაქ რომის ინტერესებს.

რომის ლიტერატურული შემოქმედების გამოსავალ წერტილს ბერძნულ-ჰელინური ლიტერატურა წარმოადგენდა. თავდაპირველად ეს იყო ნათარგმნი და კომპილატური ლიტერატურა და მხოლოდ გვიანა ხანებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი რომაული ლიტერატურა. პირველი რომაელი მწერლები, ჩამომავლობით მეტწილად არარომაელები, თავს იყრიან გავლენიანი გვარების — სციპიონების, ფლამინინებისა და ნობილიორების — გარშემო. პირველმა რომაელმა პოეტმა ლივიუს ანდრონიკემ (Livius Andronicus) სთარგმნა ძველი სატურინის ზომით ლათინურ ენაზე ჰომეროსის „ოდისეა“ და სცენაზე დადგა რამდენიმე ტრაგედია და კომედია. მეორე პოეტი გნეუს ნევიუსი (Gnaeius Naevius) თავისი დრამებისა და კომედიებისათვის სუჟეტებს იღებდა უკვე არა ბერძნულ, არამედ რომაული ცხოვრებიდან. ამ მიმართულებით უფრო შორს წავიდა კვინტუს ენიუსი (Quintus Ennius), რომელმაც ხელი მიჰყო მთელი რომაული ისტორიის ლექსად გადაღებას. ენიუსის „ანალები“ აიდეალიზირებენ რომაულ ძველ დროს იმ არისტოკრატიის სულისკვეთების შესაბამისად, რომელიც შეადგენდა მკითხველთა მთავარ წრეს. მაყურებელთა უფრო ფართო წრისათვის იყო განკუთვნილი პლავტის (Titus Maccius Plautus, 254—184 წწ.) და ტერენციუსის (Terentius Afer, 185 — 159 წწ.) კომედიები; ამათგან უკანასკნელი იყო გათავისუფლებული მონა. ჰელინისტური ნიმუშების მიხედვით, შედგენილი კომედიები პლავტისა და ტე-

რენციუსისა წარმოსახავენ ყოფა-ცხოვრების სცენებს, შიგ უხვად მიმობნეულია მოსწრებული სიტყვები და თქმები, ოღონდ შინაარსის მხრივ საკმაოდ ერთფეროვანი არიან. II ს. შუა ხანებში პოეტ-მხედრის გ ა ი ო ს ლ უ ც ი ლ ი უ ს ი ს (Gaius Lucilius) სატირების მოვლინება მოწმობდა ლიტერატურის მიმართ ინტერესის ზრდას მხედართა წოდების წრეში. თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სასტიკ გაკრიტიკების დროს ლუცილიუსი არ ინდობდა ნობილებსა და მხედრების წრიდან ყველაზე უფრო გავლენიან პირებსაც კი.

პოლიტიკური მომენტი უფრო სრულად ასახულია ლიტერატურის ორ სახეობაში, სადაც რომაელებმა დიდ ხელოვნებას მიაღწიეს, — პოლიტიკურ სიტყვებსა და ისტორიაში. კ ა ტ ო ნ ი ს სიტყვათა და საისტორიო ნაწარმოებთა ნაწყვეტები „Origines" მოწმობენ განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, აზრის მკაფიობას და სიტყვის ძლიერებას. წინანდელ ისტორიკოსებისგან (ანალისტებისგან) განსასხვავებლად, რომელნიც ისტორიულ ამბებს გადმოგვცემდნენ წლითი-წლობითი ჩანაწერების სახით (ფაბიუს პიქტორი), კატონმა შემოიღო თხრობის ახალი პრინციპი სუეტის მიხედვით. თავის უმაღლეს განვითარებას რომაულმა ანალისტიკამ მიაღწია რესპუბლიკის ბოლო პერიოდში, მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხანაში. მკითხველთა ფართო წრის ვარაუდით ანალისტები ცდილობდნენ თავიანთი თხრობა გაეხადათ საინტერესოდ, გადმოცემით კაშკაშა, მკვეთრი და ლოგიკურად დამაჯერებელი. მნიშვნელოვანი იყო არა ისტორია თავისთავად, არამედ ამათუიმ თვალსაზრისის დასაბუთება. გრაქხების დროიდან მოკიდებული ისტორიას ბრძოლის იარაღად თანასწორად იყენებდნენ როგორც არისტოკრატები, ისე დემოკრატებიც.

იგივე არისტოკრატიული და დემოკრატიული ტენდენციები ერთმანეთს ეჯახებოდნენ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი ც. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიაში მეცადინეობა აკრძალული იყო და ბერძენი ფილოსოფოსებიც ფორმალურად განდევნილი იყვნენ რომიდან, მაინც ინტერესი ფილოსოფიის მიმართ პუნიკური ომების დასასრულიდან იზრდებოდა. ბერძნულ ფილოსოფიურ სკოლებს შორის რომში ყველაზე უფრო ბევრს მომხრეს პოულობდნენ სტოიკოსები და აკადემიკოსები. აკადემიკოსი კ ა რ ნ ე ა დ ი (Carneades) აუდიტორიას ანცვიფრებდა თავისი მარჯვე რიტორიული ხერხებით, როცა თანასწორი დამაჯერებლობით ამტკიცებდა დიამეტრალურად საწინააღმდეგო დებულებებს. სტოიკური სკოლის ფილოსოფოსებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა პ ა ნ ე ც ი ო ს ი (Panaitios) კუნძულ როდოსიდან, სციპიონის მეგობარი და მასწავლებელი.

მთლიანად ჰელინიზაციის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს აზრის აღძვრაში, ძველი დროით ნაკურთხ ღირებულებათა გადაფასებაში, ახალ საზოგადოებრივ იდეალებისა და ახალი ადამიანის იდეალის შექმნაში. კეთილი ძველი დროის homo Romanus-ს სდევნიდა homo humanus, უფრო რთული და მოუსვენარ-დაუდეგარი.

ლიტერატურასთან ერთდროულად გაჩნდა აგრეთვე პირველი რომაული თ ე ა ტ რ ი ც. რომაული თეატრის წარმოშობა მიეკუთვნება მეორე პუნიკური ომის დროს, პირველი რომაელი დრამატურგი და მსახიობი იყო ზემოთხსენებული ლივიუს ანდრონიკე, გარდაცვალებული 204 წელს. თავისი ხასიათით რომაული თეატრი ახლოს იდგა ბერძნულ თეატრთან, ოღონდ ხოროს ნაკლები როლი ჰქონდა დათმობილი. რეპერტუარი შესდგებოდა ბერძნულ კომედიებისა და ტრაგედიებისგან (fabu'a palliata) და რომაულ ნაციონალურ პიესებისგან (fabula atellana). თვითონ შენობა, სადაც პიესებს თამაშობდნენ, პირველ ხანებში ხისა იყო და მხოლოდ 154 წელს ააგეს ქვის თეატრი. ბერძნული და ეტრუსკული ნიმუშებით აღძრული თეატრი რომში შეიქნა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომლის მნიშვნელობა საუკუნიდან საუკუნემდე უფროდაუფრო იზრდებოდა. თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა დღესასწაულების დროს, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობდა. მეორე პუნიკური ომის დროს თეატრალურ მწერალთა და მსახიობთა კავშირიც კი გაჩნდა მინერვას ტაძართან ავენტინუმზე.



თ ა ვ ი VII

სამოქალაქო ომი რომში რესპუბლიკის დასასრულს

1. საშუალო და წვრილი მიწათმფლობელების გაჩანაგება

საპლანტაციო მეურნეობისა და მესაქონლეობის ზრდის პარალელურად მიმდინარეობდა საშუალო და წვრილი მწარმოებლების გაჩანაგების პროცესი. რომაული პლებსის გაჩანაგება შედეგი იყო ორი მიზეზისა: ომიანობის დროს აკლება-აოხრებისა და წვრილი მეურნეობის ეკონომიური სისუსტისა. საშუალო და წვრილი მიწათმფლობელებისა და ხელოსნების მასობრივი გაბოგანოვების ხანა იწყება მეორე პუნიკური ომით. ჰანიბალის შეჭრას იტალიაში თან სდევდა მთელი ოლქების აოხრება, განსაკუთრებით ძალიან დაზარალდა მაშინ სამხრეთი და ცენტრალური ოლქები (ეტრურია). ბევრი ხალხი დაიღუპა ბრძოლებში, დაიხოცა ეპიდემიებისა და სიმშილისგან, ბევრი გაიქცა. მრავალი იქნა ტყვედ ჩაგდებული და მონად გაყიდული. მოქალაქეთა რიცხვმა 20%-ით იკლო. ჰანიბალის გაძევების შემდეგ დაიწყო რომაელების ეგზეკუციები იმ ხალხების მიმართ, რომელნიც კართაგენელების მხარეზე გადავიდნენ; ამას შედეგად მოჰყვა იტალიის მრავალი, წინათ აყვავებული ოლქის სრული გაუკაცრიელება და მათი გადაქცევა საძოვრებად და ტრამალებად.

უკვე თავისდათავად ომების ხანგრძლივობა არახელსაყრელ გავლენას ახდენდა სოფლისა და ქალაქის პლებსის, წვრილი მიწათმფლობელებისა და ხახელოსნოთა პატრონების ეკონომიკაზე.

„სწორედ თვით ის ომები, რომელთა საშუალებითაც რომაელი პატრიციები აჩანაგებდნენ პლებეებს, აიძულებდნენ რა უკანასკნელთ სამხედრო ბეგარის მოხდას, რაც მათ ხელს უშლიდა აღედგინათ თავიანთი შრომის პირობები და ამიტომ ღატაკებად ხდებოდნენ (გაღატაკება, რეპროდუქციის პირობათა ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა, აქ მბრძანებელ როლს თამაშობს), — აი სწორედ იგივე ომები პატრიციების ბეღლებსა და საკუჭნაოებს ავსებდნენ ნადავლით იმდროინდელი ფულის — სპილენძის — სახით. იმის მაგიერ, რომ პირდაპირ მიეცათ პლებეებისათვის მათთვის საჭირო საქონელი, პური, ცხენები, რქოსანი საქონელი, ისინი მათ სესხად აძლევდნენ ამ მათთვის უსარგებლო სპილენძს და თავისი მდგომარეობით სარგებლობდნენ იმისათვის, რომ გამოექაჩათ უშველებელი მევახშური სარგებელი, რის წყალობითაც პლებეები მათ აქციეს თავიანთ მოვალეებად — მონებად“ [1].

ომები წარმოებდა მთელი ათეული წლობით სამხედრო მოქმედებათა შორეულ ასპარეზებზე, ნთქავდა უამრავ ხალხს და მუშაკებს აშორებდა მათ საქმიანობას. ამის შედეგად, მუშა-ხელის გამოლევის გამო, წვრილი და საშუალო მეურნეობანი ჩანაგდებოდა, უკაცრიელდებოდა და მდიდარი მეზობლის კერძი ხდებოდა. მათ აღსადგენად საჭირო ფულები კი, განუვითარებელი კრედიტის პირობებში, შეიძლებოდა ეშოვნათ მხოლოდ დიდი სარგებლით, რაც თითქმის ყოველთვის იწვევდა სავალო კაბალას და უფრო მეტ გაჩანაგებას. უკანასკნელი წლების საცენზო სიები გარკვეულად უჩვენებდნენ III' და IV კლასთა ასაკოვანი მოსახლეობის შემცირებას. 158 წ. ცენზი გასაწვევი მოსახლეობისა ციფრად უჩვენებდა 353 ათასს, 153 წელს ამ ციფრმა დაიწია 324 ათასამდე, 146 წელს იგი დაეცა 322 ათასამდე, შემდეგ რამოდენიმედ იმატა, ხოლო 135 წელს კვლავ დაეცა 317 ათასამდე.

რესპუბლიკის „ოქროს ხანაში“ მიწის სიმშილს თავს აღწევდნენ კოლონიების მოწყობით „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ მ ი ნ დ ო რ ზ ე“. თეორიულად თვითეულ რომაელ მოქალაქეს უფლება ჰქონდა ამ „საზოგადოებრივ მინდორზე“, შეეძლო მისი დამუშავება, საძოვრად გამოყენება, ან მასში საბაღო პლანტაციების გაშენება, ოღონდ უნდა გადაეხადა მარცვლეული კულტურიდან მეათედი და საბაღო კულტურიდან მეხუთედი მოსავლისა. საქონლის მოძოვებისათვის იხდიდნენ ცალკე გადასახადს ყოველ სულ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე.

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, რუს. გამოც., 1929 წ., გვ. 111.

იმ დროის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობის სიმარტივის პირობებში ager publicus წარმოადგენდა საერთო მინდორს მთელი მოქალაქეებისათვის და კრიტიკულ შემთხვევებში იგი, მინდორი, სწყვეტდა კიდეც მიწის სიმშილს. II საუკ. დასასრულისათვის კი სურათი ძირითადად შეიცვალა. Ager publicus-ის დიდი ნაწილი აღმოჩნდა მდიდარ პოსესორების, უმთავრესად ნობილების ხელში, რომელთაც, კლავდიუსის კანონის ძალით, არ შეეძლოთ ვაჭრობისათვის მიეყოთ ხელი. ერთმანეთში მოქიშპე და მეტოქე მდიდარი მოიჯარენი სცემდნენ საიჯარო ფასს და უფრო წვრილ პოსესორებს უკანა რიგში აყენებდნენ. მსხვილი პოსესორები წლითიწლობით იჯარით იღებდნენ და იჯარითვე აძლევდნენ მიწას თავიანთ საკუთარ ქვეიჯარადრებს; ასეთ პირობებში ისინი შეიქნენ სახელმწიფო მიწების ფაქტიურ მესაკუთრეებად. გაჩანაგების გზაზე დამდგარი ლატაკები (პლებეები) კი კარგავდნენ არა მარტო მიწებს, არამედ სამუშაოსაც. მაშინ შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიტუაციაში უფრო რენტაბელურად ჩანდა, სამუშაოს მიმცემის თვალსაზრისით, არა თავისუფალი, არამედ მონური შრომა. მონური შრომის უპირატესობა, მისი შედარებითი სიიაფის გარდა, ის იყო, რომ მონები ჯარში არ მსახურობდნენ და ამიტომ არც სცილდებოდნენ სამუშაოს.

„მდიდარი ხალხი იკავებდა ამ გაუყოფელი მიწის დიდ ნაწილს და, რადგან ის დიდი ხნის ჩაგდებული ჰქონდა ხელში, იმედოვნებდა რა, რომ მას ვერ წაართმევდნენ, დაიწყო თავის სამფლობელოებზე ღარიბთა მეზობელი ნაკვეთების შემოერთება, ზოგს ფულით ყიდულობდა, ზოგს ძალით ართმევდა, ასე რომ, ბოლოსდაბოლოს, მის ხელში აღმოჩნდა პატარა მამულების მაგიერ მთელი ვაკე ადგილები, მინდვრები, ლატიფუნდიები. მინდვრების დასამუშავებლად და ჯოგების მოსავლელად მდიდრებმა დაიწყეს მონათა შესყიდვა, იმიტომ რომ თავისუფალ მუშაკებს ლატიფუნდიაში მუშაობაზე ხელს აღებინებდა სამხედრო სამსახური. გარდა ამისა, თვითონ მონათმფლობელობასაც მცირედი შემოსავალი როდი მოჰქონდა, ვინაიდან სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალი ტყვეები ძალიან მრავლდებოდნენ. ამრიგად, ძლიერი ხალხი არაჩვეულებრივ მდიდრდებოდა, ხოლო ქვეყანა მონებით ივსებოდა. იტალიკების რიცხვი, პირიქით, მცირდებოდა, რადგან მათ ძალას აცლიდა სიღატაკე, გადასახადები და სამხედრო ლაშქრობანი, მაგრამ მაშინაც კი, როცა ეს სიმძიმე რამოდენიმედ უმსუბუქდებოდათ, იტალიკები მაინც უსაქმოდ რჩებოდნენ, რადგან მიწა მდიდრებს ეკუთვნოდა, ესენი კი მას

ამუშავებდნენ არა თავისუფალთა დახმარებით, არამედ მონების ხელით“ [1].

რომის პლებსი ვერ უძლებდა მონათმფლობელ-პლანტატორებთან და მესაქონლეებთან კონკურენციას, ეკონომიურად უძლურდებოდა და მეზობელი ლატიფუნდიების მოიჯარადრის მდგომარეობამდე ქვეითდებოდა. ბევრი ადგილიდან იყრებოდა, მიდიოდა მეზობელ ქალაქებში ან კიდევ პროვინციაში იხვეწებოდა, და მიწათმომქმედიდან იგი ხდებოდა წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, იჯარადარი ან სხვაგვარი მოსამსახურე. დიდ ქალაქებში, მეტადრე თვითონ რომში, თავს იყრიდა სოფლის დიდძალი ღატაკი მოსახლეობა, რომელიც, მონათა მეტოქეობის გამო, ვერ პოულობდა თავისი შრომის გამოყენებას ვერც სოფლად და ვერც ქალაქად. ქალაქებში ეს ხალხი თავს ირჩენდა შემთხვევითი სამუშევრით ან კიდევ იმ მოწყალებით, რომელსაც აძლევდნენ კერძო პირნი და სახელმწიფო. სოფლისა და ქალაქის ღატაკთა ამ არმიისგან გაიზარდა ანტიკური ქალაქების ლ უ მ პ ე ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი, ანტიკური საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებას რომ წარმოადგენდა. I.I საუკ.-ში ლუმპენპროლეტარიატი ის-ის იყო ჩნდებოდა მხოლოდ, საბოლოოდ კი იგი ჩამოყალიბდა რესპუბლიკის დასასრულს და ი მ პ ე რ ი ი ს პ ი რ ვ ე ლ ს ა უ კ უ ნ ე შ ი. რიცხვობრივად იგი იზრდებოდა, საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე უფროდაუფრო მეტ გავლენას იძენდა, ეს ანტიკური პროლეტარიატი გაჩნდა ერთობლივ იმ პირობათა ძალით, რომელნიც შეიქმნენ წარმოების მონათმფლობელური წესის შედეგად, და იგი არა თუ არ ინახავდა საზოგადოებას, პირუკუ, თითონვე თვალსაჩინოდ ცხოვრობდა სახელმწიფოსა ან კერძო პირების ხარჯზე. ამაში მდგომარეობს პრინციპული განსხვავება ანტიკური პროლეტარიატისა კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე პროლეტარიატისგან.

ანტიკური პროლეტარიატის თანამედროვე პროლეტარიატისაგან პრინციპულ განსხვავებაზე მიგვითითებს მარქსი ენგელსისადმი მიწერილ ერთერთ წერილში:

„კაპიტალის“ სხვადასხვა ადგილებში მე მაქვს გადაკვრით ნათქვამი ძველი რომის პლებეების ბედიღბლის შესახებ. პირველად ესენი იყვნენ თავისუფალი გლეხები, რომელნიც თავიანთი ხარჯით ამუშავებდნენ თავიანთ საკუთარ მიწის ნაკვეთებს. რომის ისტორიის მანძილზე ისინი თანდათანობით ექსპროპრიირებულ იქნენ, ამასთანავე სწორედ იმავე მოძრაობამ, რომელმაც ისინი მოსწყვიტა

[1] App., Bell, civ., 1, 7.

წარმოებისა და არსებობის სახსრებს, გამოიწვია არა მარტო მიწაზე მსხვილი საკუთრების წარმოქმნა, არამედ აგრეთვე დიდი ფულადი კაპიტალებისაც. ამრიგად, ერთ მშვენიერ დილას გაჩნდა აქ, ერთის მხრივ, თავისუფალი ხალხი, მოკლებული ყოველივეს, გარდა შ რ ო მ ი ს უნარისა, ხოლო, მეორის მხრივ — ამ შრომის ექსპლოატაციისათვის — ყველა შეძენილი სიმდიდრის მფლობელები. რაღა მოხდა? რომის პროლეტარები შეიქნენ არა დაქირავებულ მუშებად, არამედ უსაქმობის მოყვარულ ბრბოდ „mob", რომელიც უფრო დაბალ ზნეობრივ დონეზე იდგა, ვიდრე ჩრდილო ამერიკის სამხრეთი შტატების „თეთრი ღატაკებიც" კი (poor whites) არიან, და ამასთან ერთად წარმოიქმნა და გაიფურჩქნა წარმოების არა კაპიტალისტური წესი, არამედ მონური...

... ამრიგად, იმ ამბებს, რომელნიც საოცრად ანალოგიური არიან ერთმანეთს შორის და რომელნიც მიმდინარეობენ ისტორიულად სხვადასხვა წრესა და გარემოში, მივყევართ ერთიმეორისგან სრულებით განსხვავებულ შედეგებისკენ" [1].

ასეთად გვესახება ჩვენ ძირითად ხაზებში რომის საზოგადოების მდგომარეობა II საუკ. ბოლოს, ძმათა გრაქხების გამოსვლისა და სამოქალაქო ომის დაწყების წინა ხანებში.

2. მონათა აჯანყებანი იტალიასა და სიცილიაში II საუკუნეში ჩვ. წ.-მდე

იმ დროს, როდესაც თავისუფალთა რიცხვი კლებულობდა, მ ო ნ ე ბ ი ს ა და ა ზ ა ტ ე ბ ი ს რიცხვი მატულობდა. მთელი იტალია, ამბობს აპიანე, მონებით იყო გაჭედილი და წალეკილი. ურთიერთობა მონებსა და მონათმფლობელებს შორის უარესდებოდა იმისდა მიხედვით, რაც პატრიარქალური, მომზენის თქმით, „სოფლის მეამიტი ტყვეობა" იცვლებოდა „ზანგური ტყვეობით", ე. ი. წარმოების მონათმფლობელური წესით ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

მონათა აჯანყების ისტორია იწყება რომის დასაბამიდანვე. მაგრამ II ს.-მდე ეს იყო შედარებით მცირე აჯანყებანი, რომელთაც შეთქმულებისა და თავდასხმის ხასიათი ჰქონდა. მონათა უფრო დიდი აჯანყებანი კი იწყება I საუკ. პირველი ნახევრიდან. პირველი მათგანი იყო მონათა აჯანყება რომის მიდამოებში 199 წ.-

[1] მ ა რ ქ ს ი, წერილი ჟურნალ „Отечественные записки"-ს რედაქციას, 1877 წ. ბოლო, „Письма" под ред. Адоратского, изд. 3-е, 1928 г., стр. 280—281.

რასაც გვამცნებს ტიტე ლივიუსი თავისი ისტორიის XXXII წიგნში. აჯანყება დაიწყო შემდეგი საბაბის გამო.

სეტიაში, რომის ახლოს, როგორც მძევლებს ინახავდნენ კართაგენის დიდკაცების (principes) ვაჟიშვილებს, რომელთაც ნება ჰქონდათ მიცემული თავიანთთან ჰყოლოდათ მონათა განუსაზღვრელი რიცხვი (magna vis servorum erat)[1]. კართაგენელ მძევალ-არისტოკრატების მონები შეუთანხმდნენ სეტიელთა მონებს, რომელნიც შეძენილ იქნენ აფრიკის უკანასკნელ ომიანობაში, და მეზობელ ქალაქების ნორბასა და ცირცეას მონებს შორის დაიწყეს აგიტაცია, მოუწოდებდნენ რა მათ აჯანყებისაკენ (deinde circa Norbam et Circeios servitia sollicitarent)[2].

შეთქმულები ფიქრობდნენ ესარგებლნათ მოახლოებული დღესასწაულით და დაეწყოთ აჯანყება, როცა მოსახლეობა ასპარეზობა-თამაშით იქნებოდა გართული. მაგრამ მოფიქრებული გეგმა ვერ განხორციელდა. შეთქმულებს შორის აღმოჩნდა ორი მოღალატე, რომელთაც განმზადებული შეთქმულების ამბავი აცნობეს რომის პრეტორს ლუციუს კრასუს მერულს. საჩქაროდ შეგროვილი ორი ათასი ჯარით პრეტორი ჩავიდა სეტიაში, შეიპყრო შეთქმულები და აჯანყება ჩაშალა. დამსმენელები კი თავიანთი „მშვენიერი საქმისთვის" (egregia opera) სენატმა დააჯილდოვა თავისუფლების მინიჭებით და ფულით, თითოს მისცა 10 ათასი სპილენძის ასსი. მაგრამ ამით საქმე არ გათავებულა.

მალე ამბავი მოვიდა, რომ სეტიადან გაქცეულმა მონებმა აჯანყება მოაწყეს პრენესტეში. იქ გაგზავნილმა პრეტორმა ლუციუს კორნელიმ ეგზეკუცია მოაწყო, სიკვდილით დასაჯა 500 მონა, რომელნიც შეთქმულებაში იქნენ მხილებული. ყველაზე უფრო სახიფათო ის იყო, რომ იტალიის მონები შეთანხმებით მოქმედებდნენ კართაგენელ მძევლებთან, მათ მონებთან და მსახურებთან. თვითონ რომის ყველა უბანში გუშაგები დააყენეს და სასტიკი ბრძანება იქნა გაცემული, რომ ფხიზლად დაეცვათ საპყრობილეები, სადაც სამხედრო ტყვეები ჰყავდათ. იტალიის მუნიციპიებსა და მოკავშირე ქალაქებს კი ებრძანა სამხედრო ტყვეებისთვის არ მიეცათ საზოგადოებრივ ადგილებში გამოჩენისა და საჯარო კრებებზე მონაწილეობის ნება; განსაკუთრებით კი დიდი მნიშვნელობის მქონე სამხედრო ტყვეები უნდა ჰყოლოდათ სახელმწიფო საპყრობილეებში, ბორკილგაყრილი და გუშაგის საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ (in nulla alia, quam in carceris publici custodia essent)[3].

---

[1] Liv, XXXII, 26, 6, 7.
[2] Ibid.
[3] Ibid., 26, 18.

სამი წლის შემდეგ, 196 წელს, გამომჟღავნებულ იქნა მონათა შეთქმულება ეტრურიაში, იმ ოლქში, სადაც განსაკუთრებით იყო განვითარებული მონათმფლობელობა, რომლის დასაბამიც ჯერ ომის წინა დროსა და წყობილებას ეკუთვნოდა. შემზადებული შეთქმულება, ალბათ, ძალიან სერიოზული უნდა ყოფილიყო, რომელიც ჰქმნიდა რომისგან ეტრურიის ჩამოშორების საფრთხეს.

აჯანყების გამოსაძიებლად და ჩასაქრობად რომიდან გაგზავნილ იქნა დამსჯელი ექსპედიცია პრეტორის მანიუს აცილიუსის მეთაურობით. მომხდარ ბრძოლაში პრეტორმა გაიმარჯვა და დამარცხებული მონების მიმართ ნამდვილი ეგზეკუცია მოახდინა. მონათა ნაწილი დაიღუპა ბრძოლის ველზე, მეორე ნაწილი ტყვედ იქნა წაყვანილი (ex his multi occisi, multi capti), შეთქმულების მომწყობნი (principes coniurationis), ჰგვემეს მათრახებით და ჯვარზე გააკრეს (verberatos crucibus adfixit), დანარჩენები კი თავთავიანთ ბატონებს დაუბრუნეს [1].

მეორე დიდი სამონათმფლობელო რაიონი იყო სამხრეთი იტალია და სიცილია. აქ გავრცელებული იყო მეურნეობის უფრო სხვა სახეობა, ვიდრე იტალიის ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ნაწილებში. ეტრურიაში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში ბევრი იყო მსხვილი (ანტიკური შეხედულებით) მამული (ლატიფუნდია), რომელთაც მონები ამუშავებდნენ.

რა ფართობისა იყო სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ლატიფუნდიები, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენთვის ცნობილი ლატიფუნდიების მიხედვით, ქალაქ ლეონტინის ტერიტორიაზე რომ არსებობდა. ლეონტინის ტერიტორია უდრიდა 30 ათას იუგერს, ე. ი. დაახლოებით 8 ათას ჰექტარს, ეკუთვნოდა სულ 84 პოსესორს, რომელთაგან თითოს ჰქონდა ნაკვეთი დაახლოებით 100 ჰექტარის ფართობით. ამ 84 პოსესორიდან მარტო ერთი იყო ლეონტინელი, დანარჩენები კი ყველა რომის მხედრები იყვნენ.

მონათა რიცხვი ხსენებულ ოლქებში დიდი იყო, ხოლო შეთქმულებანი და აჯანყებები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდნენ. ძალიან სერიოზული იყო, მაგალითად, მონა-მწყემსების მოძრაობა აპულიაში (magnus motus servilis) II ს. 70-იან წლებში [2] მწყემსების ამ შეთქმულების (coniuratio pastorum) გამოძიება მინდობილი ჰქონდა ლუციუს პოსტუმის, ტარენტუმის ნაცვალს. პოსტუმიმ საქმე გამოიძია ჩვეულებრივი სისასტიკით. საგანგებო სა-

[1] Liv, XXXIII, 36, 3.
[2] Ibid., XXXIX, 29, 8.

სამართლომ „თარეშსა და ძარცვა-რბევაში“ მონაწილეობისათვის დასაჯა დაახლოებით 6 ათასი კაცი (qui vias latrociniis pascuaque publica infesta habuerant). მონებს, რომლებმაც გაქცევით ვერ უშველა თავს, ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს [1].

განსაკუთრებით ხშირი იყო მონათა აჯანყებანი სიცილიაში. რომის სამყაროს არცერთ ქვეყანაში, არცერთ მხარეს არ ყოფილა ისე დიდძალი მონები, როგორც სიცილიაში. დიოდორეს მოწმობით, რომელიც ჩვენი მთავარი წყაროა ანტიკურ სამყაროში მონათა მოძრაობის ისტორიისათვის, სიცილიაში იმდენად ბევრი მონა იყო, რომ ვინც ამას შეიტყობდა, არ სჯეროდა, თვლიდა რა ამას მეტისმეტად გაზვიადებულად [2].

სიცილიის პლანტატორები და საქონლის პატრონები,—რომაელი მხედრები, ბერძნები და კართაგენელები, — სახელმწიფო მიწათა იჯარადრები, —ცდილობდნენ რაც შეიძლება მაქსიმალური შემოსავალი ჰქონოდათ როგორც მიწებიდან, ისე მუშა ხელისგან — მწყემსებისა და მიწის მუშებისგან. იჯარით აღებულ მიწებზე კი მეურნეობა მტაცებლურად იყო დაყენებული.

„მონათა ექსპლოატაციისა და მათთან მოპყრობის მეთოდები განირჩეოდა საშინელი, ველური სისასტიკით და უკიდურესი თვითნებობით. გამდიდრებული სიცილიელები ეჯიბრებოდნენ იტალიკებს ქედმაღლობასა და მონების მიმართ სიძულვილში.

სიცილიელები დიდძალ მონებს ყიდულობდნენ. ისინი მიჰყავდათ საშენებიდან მასობრივად და მაშინვე სდაღამდნენ და ნიშნებს ადებდნენ. ახალგაზრდა მონებს იყენებდნენ მწყემსებად, დანარჩენებს კი ისე, როგორც თვითეულს მოეპრიანებოდა და ესაჭიროებოდა. ბატონები მათ სამსახურით ტვირთავდნენ და ძალიან ნაკლებად ზრუნავდნენ მათ გამოკვებასა და ტანისამოსზე“ [3].

ამის გამო მონები იძულებული იყვნენ ხოლმე ხელი მიეყოთ „ყოველნაირი სახიფათო საქმისათვის და ათასნაირი უწესოებისათვის“, სახელდობრ: ძარცვავდნენ მგზავრებს გზებზე, ძარცვავდნენ მეზობლების სახლკარს და ა. შ.

„ჯერ მონებმა დაიწყეს საამკარაოზე თითო-თითოდ ან ორ-ორად მოგზაურ ხალხის ხოცვა, მერე, ჯგუფ-ჯგუფად თავს იყრიდნენ და ღამით თავს ესხმოდნენ გაუმაგრებელ სოფლის ვილებს, სპობდნენ მათ, ქონებას იტაცებდნენ, ხოლო ვინც წინააღმდეგობას უწევდა, იმათ ხოცავდნენ. მძარცველების კადნიერება და თავხედო-

---

[1] Liv., XXXIX, 29, 9.
[2] Diod., XXIV.
[3] Ibid., XXXIV—XXXVI.

ბა უფროდაუფრო მატულობდა. სიცილია მგზავრებისთვის მიუვალი იყო, და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის უშიშროების ნატამალიც კი გაქრა. მთელი კუნძული აღსავსე იყო ძალადობით, მძარცველობითა და მკვლელობით“ [1].

რომის ადმინისტრაცია სავსებით უძლური იყო რაიმე ღონისძიება მიეღო სიცილიელი ბატონების წინააღმდეგ, ეშინოდა რა მათი შურისძიებისა და ძლიერებისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მონა-სირიელებმაც კი, რომელნიც მონებს შორის ყველაზე უფრო მომთმენნი იყვნენ, პროტესტი განაცხადეს.

„მონა-სირიელი, — ნათქვამია პლავტის ერთერთ კომედიაში, — ყველაზე უფრო მეტად მომთმენია“-ო (genus quod patientissimum est hominum) [2].

დიდხნობით დაგროვილმა სიძულვილმა მონებისამ თავიანთ ბატონების მიმართ, ბოლოს, II საუკ. 30-იან წლებში, საშინელი ძლიერებით გადმოხეთქა მონათა აჯანყების სახით, რომელიც ცნობილია სიცილიის მონათა პირველი აჯანყების სახელით ანუ სიცილიის პირველი რევოლუციის სახელით.

სიცილიის მონათა პირველი რევოლუცია დაიწყო 137 წ. სიცილიელი მაგნატის დამოფილეს მონათა აჯანყებით, რომელიც განსაკუთრებით უხეშად და სასტიკად ექცეოდა თავის მონებს.

„ის ყიდულობდა დიდძალ მონებს, სასტიკად ექცეოდა მათ, დაღავდა გახურებული რკინით იმათ სხეულებს, რომელნიც დაბადებითვე თავისუფალი იყვნენ თავიანთ სამშობლოში და რომელთაც განიცადეს ტყვეობა და მონის სვე-ბედი. ზოგიერთ მათგანს ის გზავნიდა შებორკილს საერთო სამუშაოებზე, სხვებს მწყემსებად ნიშნავდა და არ აძლევდა მათ არც ტანისამოსსა და არც საკმაო საჭმელს. დღე ისე არ გავიდოდა, რომ დამოფილეს თვითნებობითა და სიმკაცრით სასტიკად არ დაესაჯა რამდენიმე მაინც თავის მოსამსახურეთა შორის სულ უბრალო დანაშაულობისათვისაც კი“ [3].

სასოწარკვეთილებამდე მისულმა და მოთმინებიდან გამოსულმა მონებმა მოჰკლეს თავიანთი ბატონი დამოფილე და მისი ცოლი, ხოლო ვილა ცეცხლს მისცეს. დამოფილეს მონებს შეუერთდნენ მეზობელი ვილების მონები, შეიარაღებულნი კომბლებით, მარგილებითა და ჯოხებით.

მოძრაობას სათავეში ედგა მონა-სირიელი ევნი, რომელიც დიდი სახელით სარგებლობდა არა მარტო მონებში, არამედ თავი-

---

[1] Diod., XXXIV—XXXVI.
[2] Plaut., Trinummus, 542.
[3] Diod., XXXIV—XXXV, 2, 34—37.

სუფალთა შორისაც როგორც წინასწარმეტყველი და სასწაულთ-მომქმედი. ევნი სასწაულებს ახდენდა, პირიდან ცეცხლს უშვებდა, სიზმრებს ხსნიდა და მომავალს წინასწარმეტყველებდა, ემყარებოდა რა ძილში გამოცხადებულ ღვთაებას. თავის თავს ევნი უძახ-და სირიის მეფე ანტიოქეს პოპულარულ სახელს, ხოლო მომავალ სამეფოს, სადაც მას განუსაზღვრელი ძალა-უფლება ექნებოდა, უწოდებდა ახალი სირიის სამეფოს. მსმენელებზე ევნის სიტყვები და ყოფაქცევა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. უკვე თვით მის სახელ-შივე ევნში, — რაც კურთხეულს ნიშნავდა,—თითქოს რაღაც იდუ-მალი-რამ იყო ჩაქსოვილი, რაც მომავალი მეფის ანტიოქეს სიტყ-ვებს ღრმა მისტიკურ აზრსა და მნიშვნელობას აკუთვნებდა.

ამასობაში მონათა მოძრაობა უფროდაუფრო ვრცელდებოდა და ღრმავდებოდა.

აჯანყების ცენტრი ქალაქი ჰ ე ნ ნ ა (Henna), რომელიც იყო სი-ცილიის შიგნითა ნაწილში, მდებარეობდა დიდი მინდვრებით, გარშემორტყმულ მთაზე. ჰენნაში ცხოვრობდნენ სიცილიის მსხვილი მონათმფლობელები, რომელთა ვილები მეზობელ მთებზე იყო გა-დაჭიმული.

ჰენნადან მოძრაობა სწრაფად მოედვა მთელ კუნძულს. სიცი-ლიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ა გ რ ი გ ე ნ ტ უ მ შ ი, გაჩნდა რევოლუციის მეორე კერა. აჯანყებულ მონათა ამ მეორე არმიას სათავეში ედგა კილიკიელი კ ლ ე ო ნ ი, გადმოცემით ყო-ფილი ყაჩაღი და მწყემსი.

აჯანყება საშინელი სისწრაფით იზრდებოდა, მით უფრო, რომ რომაელთა შეიარაღებული ძალები კუნძულზე არ იყო საკმაოდ დიდი და საიმედო. რომის არმიის დიდი ნაწილი მაშინ სამხედრო მომქმედებათა ასპარეზზე იმყოფებოდა და, გარდა ამისა, სენატიც, მხედრების მიმართ მტრულად განწყობილი, არ ჩქარობდა დახმარე-ბის მიწოდებას. იმედი ჰქონდათ თვითონ მონებს შორის გათიშულო-ბისა, მაგრამ მონათმფლობელთა იმედი აჯანყებულთა წინამძღო-ლებს შორის უთანხმოებისა არ გამართლდა. მცირე მოლაპარაკების შემდეგ ორივე არმია — ევნისა და კლეონისა — გაერთიანდა აჯან-ყებულთა მთლიან არმიად, რომელსაც ზედიზედ უერთდებოდნენ ქალაქები — აგრიგენტუმი, ტავრომენიუმი, კატანა, მესანა. ერთი სიტყვით, სიცილიის დიდი ნაწილი აჯანყებულ მონათა ხელში აღ-მოჩნდა.

ევნისა და კლეონის არმია იზრდებოდა არა მარტო მონათა განუწყვეტელი ნაკადების შემატების გამო, არამედ იმიტომაც, რომ აჯანყებულ მონებს თანაგრძნობა ჰქონდათ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ო-

ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მხრივ. მონებთან ყველაზე უფრო ახლოს იდგნენ წვრილი მიწის მუშები, რომელნიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ მსხვილ მონათმფლობელებისგან; ეს უკანასკნელნი ართმევდნენ მათ მიწებს, სდევნიდნენ ბაზრებიდან და პოლიტიკურ უფლებებს უსპობდნენ.

„მას შემდეგ, რაც დიდი უბედურება ეწია სიცილიას, სიცილიელი დემოსი (პლებსი) არა თუ არ თანაუგრძნობდა პლუტოკრატ-მონათმფლობელებს, არამედ, პირუკუ, ძალიან ხარობდა, ამასთანავე აღშფოთებული იყო და შურის თვალით უყურებდა სიმდიდრის არათანასწორად განაწილებას და სოციალური მდგომარეობის უთანასწორობას...

„უბედურებით აღძრული შური სიხარულად შეეცვალათ, როცა დაინახეს, თუ ბრწყინვალე ბედმა როგორ იბრუნა პირი იმათკენ, ვისაც კი იგი წინათ არა სწყალობდა“ [1].

„ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია, — ამთავრებს თავის თხრობას დიოდორე, — რომ მეტისმეტი ამპარტავნობა და სიმკაცრე ნახელმწიფოებში ჰბადებს სამოქალაქო ომებს თავისუფალთა შორის და შეთქმულებებს მონათა შორის“.

„რაც უფრო მეტად მძვინვარებენ ხელისუფალნი, მით უფრო მეტად ტლანქდება მათი ქვეშევრდომების ზნე და ადამიანებიც მეტად მხეცდებიან“-ო [2].

თუმცა მოძრაობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა და ცოტა არ იყო მაროდიორი, მძარცველი და გამხრწნელი ელემენტის რიცხვი, უმთავრესად ქალაქის ბრბოდან გამოსულები, რომელნიც აჯანყებულებს მიემხრნენ, მაინც თვითონ მონათა რიგებში ჩანს შეგნებულობა და ორგანიზაციულობა. ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ მჟღავნდებოდა თავისუფალთა მიმართ დამოკიდებულებაში. სპობდნენ რა ლატიფუნდიებს და დაუზოგავად ხოცავდნენ რა მხსვილ მონათმფლობელებს, ისინი ამავე დროს ფრთხილად ეკიდებოდნენ წვრილ მესაკუთრეებსა და მოიჯარადრეებს, ზოგავდნენ მათ სიცოცხლეს და ქონებას.

„ყველაზე უფრო ყურადსაღები ყოველივე ამაში ის იყო, რომ აჯანყებული მონები, გონივრულად ზრუნავდნენ რა მომავალზე, არ სწვავდნენ ვილებს, აქ არ სპობდნენ ქონებას, არც ნაყოფის მარაგს და ხელს არ ახლებდნენ იმათ, ვინც მიწის მუშაობას განაგრძობდა“ [3].

---

[1] Diod., XXXIV XXXV, 2, 34—37.
[2] ibid, XXXIV- XXXVI.
[3] Ibid, XXXIV—XXXVI.

საერთო სიძულვილმა არსებულ წყობილების მიმართ შეაკავშირა მონები, წვრილი მესაკუთრეები და ლატიფუნდიათა მოიჯარადრები ერთი მრისხანე არმიის სახით, რომელიც გადმოცემით 200 ათას კაცამდე აღწევდა.

„სიცილიაში ბოროტება იზრდებოდა, ქალაქებს იპყრობდნენ ხალხთან ერთად და ბევრი სამხედრო რაზმი განადგურებულ იქნა აჯანყებულების მიერ“ [1].

ანტიკური სამყაროს მონათა აჯანყებების უმეტესობისგან განსხვავებულად სიცილიის 30-იანი წლების აჯანყება საინტერესოა არა მარტო როგორც მონათა გრანდიოზული აჯანყების მაგალითი, არამედ როგორც ცდაც მონების დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობისა.

რევოლუციის განმავლობაში სიცილიელმა მონებმა ჰელინისტურ სამეფოთა მიბაძვით დააარსეს ა ხ ა ლ ი ს ი რ ი ი ს ს ა მ ე ფ ო. ახალ სირიულ სამეფოში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა „კურთხეულ“ მეფე ანტიოქეს (ევნს), რომელიც მნიშვნელოვან შემთხვევებში მიმართავდა ხოლმე სახალხო კრებას. სახალხო კრებასთან ერთად არსებობდა საბჭო, რომლის წევრებს, „გონიერებით გამოჩენილ პირებს“, ნიშნავდა მეფე ანტიოქე. საბჭოს წევრებს შორის დიდი გავლენით სარგებლობდა აქაიელი ბერძენი ა ქ ე ვ ი, რომელიც განირჩეოდა დიდი საზრიანობითა და ენერგიით“.

რომაულ არმიათა დამარცხებამ და ახალსირიული სამეფოს წარმოქმნამ რომის სენატი იძულებულჰყო მთელი სერიოზულობით მოჰკიდებოდა „სიცილიის ამბოხებას“. მანამდე სენატს არ შეეძლო გადამწყვეტი ზომები მიეღო სიცილიის რევოლუციის წინააღმდეგ, ესპანეთის ფრონტზე დამარცხებათა გამო და გრაქხის კანონპროექტის ირგვლივ ბრძოლის დროს თვითონ სენატის არამტკიცე მდგომარეობის გამო. ბოლოს, 132 წ., ნუმანციის აღებისა და ტიბერიუს გრაქხის სიკვდილის შემდეგ, სენატმა თავი უფრო მტკიცედ იგრძნო და სიცილიაში გაგზავნა ჯარი კონსულ პუბლიუს რუპილიუსის მეთაურობით, რომელმაც აჯანყებულებს წაართვა კატანა, ტავრომენიუმი და ალყა შემოარტყა ჰენნას. ჰენნაში ჩასაფრებული მონები კლეონის უფროსობით ვაჟკაცურად იბრძოდნენ, სანამ, ბოლოს, არ იქნენ რუპილიუსის მიერ დამარცხებული იმდენად

---

[1] Diod., XXXIV—XXXVI.
[2] Strab., VI, 27, 28; Diod., XXXIV.

არა იარაღის ძალით, რამდენადაც იძულებული შეიქნენ ქალაქი დაენებებინათ მტრისათვის საგრძნობი სიმშილის გამო [1].

კონსულმა რუპილიუსმა დაიპყრო ტავრომენიუმი და ჰენნა.

სიცილიის აჯანყება სიგნალად იქცა მთელი რიგი სხვა დიდი და წვრილი აჯანყებებისათვის, რომელნიც ფართო ტალღასავით მოედო ხმელთაშუაზღვეთის ყველა ქვეყანას და რომელთაც ინტერნაციონალური ხასიათი მიიღეს.

„აჯანყებანი ჩნდებოდა ხანძრის ელვარე ნაპერწკლების მსგავსად, პირველი აბედისგან, რომელიც სიცილიაში აინთო“ [2].

„მონათა ომის სახადი“ (belli servilis contagio) მოედვა იტალიის მრავალ ქალაქსა და პროვინციას.

შეუძლებელია დადგენილ იქნას აღწერილ ამბავთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, ვინაიდან ჩვენი წყაროები არაა საკმაო და ერთიმეორის საწინააღმდეგოცაა.

აჯანყებანი მოხდა სიცილიაში, იტალიაში, ქიოსზე, როდოსზე, მაკედონიაში, ატიკაში და სხვაგან. ატიკაში აჯანყებულმა მონებმა, რომელნიც მუშაობდნენ ლავრიონის მადნებში, ამოწყვიტეს გუშაგები, ხელთ იგდეს სუნიუმის ციხე და ააოხრეს ატიკა.

სიცილიისა და ატიკის გარდა, მონათა ნამდვილი ომების კერას წარმოადგენდა კუნძული ქ ი ო ს ი, ჰელინური სამყაროს ერთერთი უდიდესი მონათმფლობელური ცენტრი. სირაკუზელი ნიმფოდორეს გეოგრაფიულ თხზულებაში შენახულია თხრობა კუნძ. ქიოსზე II საუკ. დაახლოებით შუა ხანებში მონათა აჯანყების შესახებ, რომელსაც დ რ ი მ ა კ ი წინამძღოლობდა. სამწუხაროდ, ნიმფოდორეს თხრობა, ათინევის მიერ გადმოცემული, მეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის მოსული და მონათმფლობელური გადამუშავების აშკარა კვალს ატარებს, ხოლო ეს გადამუშავება მოხდა იმ მიზნით, რომ მონები დაეშინებინათ და შესაძლებელ აჯანყებათა და გაქცევებზე ხელი აეღებინათ. არსებითად რომ ითქვას, ნიმფოდორეს გადმონაცემიდან ჩვენ მარტო იმას ვგებულობთ, რომ ყოფილა თვითონ აჯან-

---

[1] მაინც ევნის ახალსირიულ სამეფოს არ შეიძლება ჰელინისტური სამეფო ვუწოდოთ ამ სიტყვის სრული გაგებით, ვინაიდან მას ჰქონდა ისეთი დაწესებულებანი (საბჭო, სახალხო კრება), რომელნიც არ გააჩნდა ჰელინისტურ მონარქიებს.

[2] O r o s., V, 9, 4—8.

ყების ფაქტი და რომ მას რელიგიური ელფერი ჰქონია, რაც მეტ-ნაკლებად თან ახლდა ხოლმე ძველი დროის მონათა ყველა აჯანყებას.

მას მერე, რაც დრიმაკის ჯარმა, რომელიც შესდგებოდა გაქცეულ მონებისგან, ქიოსელები რამდენჯერმე დაამარცხა, დრიმაკმა უღალატა მოძრაობას, მონათმფლობელებს წინადადება შესთავაზა შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებანი და ზავი დაედო, თანაც განაცხადა, რომ „ყველაფერს მას, რაც ამჟამად ხდება, ბოლო არ ექნება, ვინაიდან ყოველივე ეს წარმოებს ღვთაების ნება-სურვილისამებრ, რაც ორაკულმა გვაუწყაო“.

დრიმაკი მონათმფლობელებს წინადადებას აძლევდა მასთან ხელშეკრულება დაედოთ, რომლის ძალით იგი, თუ კი მას გარკვეულ ხარკს მისცემდნენ, აოხრებას შესწყვეტდა და გარდა ამისა დაუბრუნებდა მათ იმ მონებს, რომელნიც თავიანთ ბატონებს ისე გაექცნენ, რომ მათ ამისთვის სერიოზული მიზეზი არ ჰქონიათო.

„როცა თქვენ მონები გამოგექცევათ, მაშინ მეო, — ამბობდა დრიმაკი, — გამოვიძიებ საქმეს და თუ აღმოჩნდება, რომ ისინი გამოექცნენ ცხოვრების აუტანელ პირობებს, მათ ჩემთან დავიტოვებო. ხოლო თუ მათი საჩივარი დაუსაფუთებელი აღმოჩნდება, მე მათ უკან დავუბრუნებ თავიანთ ბატონებს, იმათ, ვისაც ისინი გამოექცნენო“ [1].

ხელშეკრულების შედეგი, ქიოსელი მონათმფლობელების თვალსაზრისით, აღმოჩნდა მეტისმეტად ხელსაყრელი. მონათა მეფის დრიმაკის შიშით მონათა გაქცევები შემცირდა და ამის გამო ქიოსელი მონათმფლობელების შემოსავალმა იმატა, დრიმაკი გამოჩნდებოდა ხოლმე მარტო დღესასწაულების დროს და გარკვეულ ხარკს იღებდა ღვინით. „მშვენიერი სამსხვერპლო ცხოველებით“ და საერთოდ ყოველივე იმით, რის მიტანაც კი შეეძლოთ მასთან ქიოსელ მონათმფლობელებს.

დრიმაკის სიკვდილისა და მონათა სამეფოს დაშლის შემდეგ მდგომარეობა კვლავ შეიცვლება მონათმფლობელთა საზიანოდ. „ქიოსელები კვლავ მრავალ ზარალს განიცდიდნენ თავიანთი მონების ძარცვისა და გაქცევის წყალობით. და აი, მარტო მაშინ-ღა გაიხსენეს განსვენებულის ჰუმანიურობა და აღუმართეს მას თავისთან სალოცავი (ჰეროონი), უწოდეს რა მას „კეთილმოწყალე გმირის“ ძეგლი... „ამბობენ, რომ ახლაც კიდევ დრიმაკი ძილში ეცხადება მრავალ ქიოსელს, აფრთხილებს მათ მონათა განზრახვა-შეთქმულებათა შესა-

---

[1] Athen., VI.

ზებ და ისინი, ვისაც იგი ეცხადება, მას მსხვერპლს სწირავენ იქ, სადაც მისი სალოცავი იმყოფებაო“ [1].

მცირე აზიაში, ატალიდების პერგამონის სამეფოში, რომლის სოციალურ-ეკონომიურ წესწყობილებაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სხვა საგანთან დაკავშირებით, მოხდა მონათა და თავისუფალთა აჯანყება ა რ ი ს ტ ო ნ ი კ ე ს წინამძღოლობით. არისტონიკეს მხარეზე გადასული მეამბოხენი თავიანთ თავს ჰ ე ლ ი ო პ ო ლ ი ტ ე ბ ს (heliopolitani) უწოდებდნენ, ე. ი. „მზიურ სახელმწიფოს“ მოქალაქეებს [2]. სახელწოდება ჰელიოპოლიტები შემთხვევით როდი იყო არჩეული: მზიური სახელმწიფო და მზიური ადამიანები ძალიან ხშირად გვხვდება ჰელინისტური საბერძნეთის რომანებში. რომანებსა და უტოპიებში „მზიური სახელმწიფოები“ წარმოსახულია კაშკაშა და თვალის მომჭრელი ფერადებით. „მზიურ სახელმწიფოებში“ არ იქნება მძიმე და უსიამოვნო სამუშაოები, არ იქნება ადამიანის ბუნების დამამახინჯებელი წვრილმანური განაწილება შრომისა, ყველა სამუშაო თანასწორად მსუბუქი და სასიამოვნო იქნება, ავადმყოფობანი გაქრება, გაქრება აგრეთვე კერძო საკუთრება, ძალმომრეობა, სიტლანქე და ინდივიდუალური ოჯახი — ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც არ გააჩნდათ და რისგანაც იტანჯებოდნენ ანტიკური სამყაროს ჩაგრული კლასები.

მოძრაობა დაიწყო ქალაქ სმირნას მახლობლად, დაბა ლ ე ვ კ ა-შ ი, და სწრაფად მოედო მეზობელ ადგილებს. „არისტონიკემ, მგონია, მეფური გვარის კაცმა... სწრაფად მოუყარა თავი მრავალ ღატაკ ხალხსა და მონებს და თავისუფლებისადმი მოუხმო. თავის მომხრეებს ის ჰელიოპოლიტებს უწოდებდა“ [3]. არისტონიკეს მოძრაობა, რომელიც სამ წლამდე (133 — 130) გრძელდებოდა, რომს რამდენიმე არმიად დაუჯდა. ყველაზე უფრო სამძიმო იყო კონსულ პუბლიუს ლიკინიუს კრასის დამარცხება, რომელიც სათავეში ედგა „მშვენივრად გაწვრთნილ ჯარს“. თუმცა მხარს უჭერდნენ აღმოსავლეთის მეფეები — ნიკომედე, ბითინიის მეფე ,პილემენე, პაფლაგონიის მეფე, პონტოს მეფე მითრიდატე და სხვები, — ჰელიოპოლიტებმა დაამარცხეს რომაელთა არმია, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ძალები მაინც თანასწორი არ იყო. რომიდან ახალ-ახალი დახმარება მოდიოდა. კრასუსის მოადგილემ კონსულმა მარკოს პერპერნამ ჰელიოპოლიტების მთავარ ძალებს ალყა შემოარტყა ქალაქ სტრატონიკეაში და სიმშილით აიძულა ქალაქი დანებებოდა. სტრა-

[1] Athen., VI, 265.
[2] Strab., XIV, 646.
[3] Ibid.

ტონიკეა დაეცა, არისტონიკე ტყვედ იქნა წაყვანილი და როგორც სამხედრო ტროფეი გაგზავნილ იქნა რომში. რომის საპყრობილეშივე დალია თავისი დღენი „მზიური სამეფოს“ მოქალაქეთა წინამძღოლმა.

მონათა აჯანყებანი ძალიან ფართო ხასიათს იღებდნენ, მონები ქმნიდნენ საკუთარ სახელმწიფოებს, ოცნებობდნენ „მზიურ სამეფოებზე“ და სხვაზე, მაგრამ სინამდვილეში არ შეეძლოთ გასცილებოდნენ იმავე მონათმფლობელურ ურთიერთობის საზღვრებს. მათ არ ჰქონდათ შეგნებული იდეა საზოგადოების ახალ, არამონათმფლობელურ საფუძვლებზე მოწყობისა. იცვლებოდნენ ადამიანები და სახელწოდებანი, მაგრამ თვით სოციალური დედაარსი „მონათა სამეფოებისა“ (მონათმფლობელობა) უცვლელი რჩებოდა.

„მონები, როგორც ჩვენ ვიცით, ჯანყდებოდნენ, აწყობდნენ ამბოხს, იწყებდნენ სამოქალაქო ომებს, მაგრამ არასდროს არ შეეძლოთ მათ შეექმნათ შეგნებული უმრავლესობა, ბრძოლის ხელმძღვანელი პარტიები, არ შეეძლოთ ნათლად შეეგნოთ, თუ რა მიზნისკენ მიდიოდნენ და ისტორიის უაღრესად რევოლუციურ მომენტებშიაც კი ყოველთვის უბრალო პაიკები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე გაბატონებულ კლასების ხელში“ [1].

მაგრამ ეს მაინც არ ამცირებს მონათა მოძრაობის ისტორიულ მნიშვნელობას. მონათა რევოლუციებმა შეარყიეს მონათმფლობელური წესწყობილება, დააჩქარეს მონათმფლობელური საზოგადოების გახრწნა და ახალ (ფეოდალურ) წესწყობილებაზე გადასვლა. ამის შესახებ ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი დამკვრელ-კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე:

„მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელობა და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“ [2].

II — I სს. მონების აჯანყებათა წყაროების საკითხის ყველა წვრილმანში, მათ ქრონოლოგიასა და მნიშვნელობაში შევყავართ გ. რათკეს დისერტაციას „მონათა ომები რომში“ [3].

3. სციპიონ ემილიანეს რეფორმათა პარტია

სიცილიის მონათა მოძრაობა გავრცელებული მთელ ხმელთაშუაზღვეთში, ესპანეთში განცდილ სამხედრო მარცხებთან ერთად,

---

[1] Ленин, О государстве, Собр. соч., т. XXIV, стр. 375.

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მე-10 გამოცემიდან, 1935, გვ. 622.

[3] G. Rathke, De Romanorum bellis servilibus, 1904.

ბიძგი გახდა რომში კანონმდებლობითი საქმიანობის გაცხოველებისა, გრაქხების გამოსვლისა და, ბოლოს, ძვ. წ. I საუკ. სამოქალაქო ომისა.

II ს. შუა ხანებში სენატის ოლიგარქიამ თავის აპოგეუმს მიაღწია. ამას მოწმობს მთელი რიგი ისეთი კანონების გაჩენა, რომელნიც მიმართული იყო სენატის პოლიტიკურ უფლებათა და გავლენის განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ. მაგისტრატურები დაჭერილი ჰქონდათ თითქმის განსაკუთრებით ნობილიტეტის წარმომადგენლებს. ვილიუსის კანონი (lex Villia annalis) აწესებდა გარკვეულ თანამიმდევრობას მაგისტრატურათა გასავლელად (cursus honorum), რითაც იზღუდებოდა არჩევნების თავისუფლება.

ყოველივე ამ ღონისძიებით სენატის ოლიგარქია ცდილობდა შეესუსტებინა ცალკე მაგისტრატების გავლენა, პირველ რიგში ჯარის სათავეში მდგომ კონსულებისა, გაეჯანსაღებინა მაღალი კლასი (კანონი ფუფუნებით საგნების შესახებ, პროცესი ვაქხანალიების თაობაზე და მისთ.) და მართველობისათვის თავი მოეყარათ მცირე რიცხვის ხელში. მაგრამ, მეორეს მხრივ, II ს. უკანასკნელი წლების ამბები დაურღვეველი და ურყევი სიცხადით აჩვენებდნენ, რომ რომის სახელმწიფო თავისი იტალიური და იტალიისგარეშე მდებარე ფართო სამფლობელოებით იდგა დაშლის საფრთხის წინაშე. ექსპლოატაციის მთავარი ობიექტები — პროვინციები და მონები — არასაიმედონი ხდებოდნენ და რომის ძალა-უფლებისგან გათავისუფლებით იმუქრებოდნენ.

ყველაზე უფრო სახიფათო კი ის იყო, რომ რომის საბრძოლო ძალა მაშინ არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. რომის არმია უკიდურესობამდე იყო დემორალიზებული და შემცირებული. უკანასკნელი წლების მარცხები და ახალწვეულთა შეკრების სიძნელენი თავისდათავად აყენებდნენ მისი რეორგანიზაციის საკითხს და სწორედ ამით, მაშასადამე, მეორე საკითხსაც: რომის ლაშქრის მთავარი კონტინგენტის — სოფლის პლებსის — განმტკიცებისას, რომელიც ეკონომიურად სუსტდებოდა და რიცხვობრივადაც მცირდებოდა. რომის რესპუბლიკის კრიტიკული მდგომარეობა, რომელსაც მოელოდა კოლონიების (პროვინციების) დაკარგვა და რომელიც შეარყიეს მონათა რევოლუციებმა, გადაუდებლად და დაჟინებით მოითხოვდა სოციალურ-ეკონომიურ რეფორმას. მაგრამ ის არ იყო ცხადი, თუ საიდან დაიწყებოდა რეფორმათა ინიციატივა.

რესპუბლიკის კონსტიტუცია ხელისუფლების დაქსაქსულობით, მაგისტრატების უფლებამოსილების ერთწლიანი ვადით და მათი კოლეგიალობით უკვე აღარ შეესაბამებოდა არც საგარეო და არც

საშინაო პოლიტიკის მოთხოვნილებებს და ამიტომ სინამდვილეში მუდამ ირღვეოდა. რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი დამრღვევნი იყვნენ არაჩვეულებრივი რწმუნებით შემოსილი მაგისტრატები, რომელნიც რამდენიმე წელიწადს რჩებოდნენ პროვინციებში სენატის კონტროლის გარეშე და პირადი პასუხისმგებლობითა და რისკით მოქმედებდნენ.

მეორე პუნიკური ომიდან დაწყებული არა სწყდებოდა ბრძოლა სენატსა და სამხედრო სარდლებს შორის, რომელნიც მომქმედი კონსტიტუციის ჩარჩოებს ცილდებოდნენ. უფროდაუფრო ნათელი ხდებოდა, რომ სენატის ოლიგარქია ქალაქ-სახელმწიფოს ძველი აპარატით უკვე სუსტი და უძლური იყო გასძღოლოდა მართველობის რთულ ამოცანებს და სოციალური წონასწორობა შეენარჩუნებინა. საგარეო პოლიტიკის სიძნელენი და სირთულენი მოითხოვდნენ ძალა-უფლების კონცენტრაციას სამხედრო სარდლის — იმპერატორის — ხელში.

პირველი სარდალი, რომელიც შემოსილი იყო არაჩვეულებრივი რწმუნებით, იყო პუბლიუს კორნელი სციპიონ აფრიკელი, მეორე პუნიკური ომის გმირი. II საუკ. 40-იან წლებში ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდა ს ც ი პ ი ო ნ ე მ ი ლ ი ა ნ ე ს, რომლისგანაც გამომდინარეობდა რეფორმათა თაოსნობა, და დაიწყო მოძრაობა, დაკავშირებული გრაქხების სახელთან. სციპიონ ემილიანე სათავეში ედგა 40-იან და 30-იან წლებში ნობილიტეტის მეტად გავლენიან ჯგუფს, რომელმაც შეიგნო რეფორმათა აუცილებელი საჭიროება. პიდნასთან გამარჯვებული ემილი პავლეს შვილი, პუბლიუს კორნელი სციპიონ აფრიკელის (უფროსის) შვილის შვილობილი, სციპიონ ემილიანე იწყებს პოლიტიკურ კარიერას 147 წლიდან, როცა ის, ნობილიტეტის ნება-სურვილის წინააღმდეგ, არჩეულ იქნა კონსულად და მყისვე გაემგზავრა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე კართაგენში. ომის დამთავრების შემდეგ სციპიონი შეიქნა რომის ნამდვილი სახალხო გმირი. 134 წ. ის ხელმეორედ, ისევ სენატის ნების წინააღმდეგ, არჩეულ იქნა კონსულად და კონსტიტუციურ ფორმალობათა დაუცავად გაემგზავრა საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზზე ესპანეთში. გამგზავრებისას სციპიონს სენატისგან არ მიუღია არც ჯარი და არც ფული. საკუთარი ხარჯით შეაგროვა ჯარი, დაუმორჩილა იგი სასტიკ დისციპლინას, შემოიღო ფიზიკური სასჯელი და დაიწყო ქალაქის გარემოცვა.

არმიის ტექნიკური უპირატესობისა და მთავარსარდალის თადარიგიანობის წყალობით ომი ბოლომდე იყო მიყვანილი. ნუმანცია აღებულ იქნა, ქალაქი დაანგრიეს, მცხოვრებთა დიდი ნაწილი გაყიდეს მონებად.

თავის ძალასა და გავლენაზე დამყარებულმა სიპიონ ემილიანემ წამოაყენა არსებული წესწყობილების რეფორმის საკითხი. სიპიონის სახლში თავს იყრიდნენ იმდროის პოლიტიკური, ფილოსოფიური და ლიტერატურულ-მხატვრული სამყაროს წარმომადგენელნი: შესანიშნავი და სახელოვანი იურისტი — გაიოს ლელიუსი, ფილოსოფოსი პანეცი, ისტორიკოსი პოლიბიოსი, აქვე შედიოდნენ ძმანი გრაქხებიც.

სიპიონის მეგობართა დიდი ნაწილი ეკუთვნოდა „განათლებულ კონსერვატორების“ წრეს, რომელთაც ეწადათ სახელმწიფოში უმაღლესი ხელმძღვანელობა სენატს შერჩენოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ გაეტარებინათ საჭირო სოციალურ-ეკონომიური რეფორმები და კონსტიტუციის რეორგანიზაციაც მომხდარიყო.

სიპიონისეული წრის თვალსაზრისი ყველაზე უფრო სრულად ასახული აქვს პ ო ლ ი ბ ი ო ს ს (208 — 127 წლები). ბერძენი პოლიბიოსი, აქეის კავშირის წევრი, ცხოვრობდა საბერძნეთის ისტორიის ბობოქარ ხანაში, როცა სოციალურმა ბრძოლამ საბერძნეთში მიაღწია უკიდურეს დაძაბულობას, როცა „არ არსებობდა ისეთი ძალადობა და სისასტიკე, რომ მის წინაშე შემდრკალიყვნენ მებრძოლი პარტიები. ზღვა მეტად მრისხანე ღელვისა და ქარტეხილის დროს არ წარმოადგენს ისეთ ქაოტიურ მდგომარეობას, როგორსაც იმ დროს წარმოადგენდნენ ჰელინური სახელმწიფოები“ [1].

თავისი კლასობრივი პრინციპებით პოლიბიოსი ეკუთვნოდა ოლიგარქებს, განშორდა საბერძნეთს და როგორც ემიგრანტი ცხოვრობდა რომში.

პოლიბიოსის სოციოლოგიურ-ფილოსოფიური კონცეპცია ჩამოყალიბდა ჰელინური პოლისის ნიადაგზე მისი დაცემის ხანაში და ამიტომაც იგი ბუნებრივად ასახავდა იმდროის დაცემულობის განწყობილებებს, რომელნიც თანაგრძნობას პოულობდნენ აგრეთვე რომის საზოგადოებაშიც. II საუკ. დასასრულის რომის საზოგადოება, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, შედიოდა ღრმა, ხანგრძლივი კრიზისისა და სამოქალაქო ომის ზოლში.

პოლიბიოსის სოციალურ-პოლიტიკური კონცეპციის ძირითადი არსი ასეთია. ყოველივე არსებული განიცდის ცვლილებებს და იხრწნება. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ბუნების უძლეველი ძალა. ბუნების საერთო კანონის თანახმად, სახელმწიფოებრივი ფორმები განიცდიან დროის ზემოქმედებას, სხვადასხვაგვარ შინაგან და გარეშიზეზების გავლენას. გარემიზეზები არ შეიძლება აღირიცხოს. სა-

---

[1] Polyb., XXX, II.

ზოგადოების შინაგან ცხოვრებაში, პირიქით, ჩანს გარკვეული კანონზომიერება. ასე, ომისა და განცდილ უბედურებათა შემდეგ, როცა ერთგვარი დამშვიდება მყარდება ხოლმე, ცხოვრება უფრო ფუფუნებითი ხდება, და მაშინ მოქალაქენიც გადალახავენ ხოლმე თავდაჭერილობისა, ზომიერებისა და სამართლიანობის ზომას. იზრდება მატერიალური უზრუნველყოფა და მასთან ერთად იზრდება პატივმოყვარეობა და არსებულის უგულებელყოფა, ყოყლოჩინობა, ბედოვლათობა და, ბოლოს, გადატრიალების წყურვილი. ერთს პოლიტიკურ წესწყობილებას ცვლილებათა მარადიულ წრეში ცვლის მეორე, მეორეს — მესამე და ასე დაუსრულებლივ.

როგორც ჰელინური პოლისის ნამდვილ იდეოლოგს, პოლიბიოსს არ შეეძლო დაეძლია ციკლიურობის იდეა, ისტორიის ჰელინურ ფილოსოფიას რომ თან ახლდა. ამ იდეის თანახმად, საზოგადოებანი თავის განვითარებისას გაივლიან ხოლმე განვითარების გარკვეულს, ბუნებრივ წრეს: მონარქიას, არისტოკრატიას და დემოკრატიას. ამ ციკლიდან გამოსვლა საზოგადოებას არ შეუძლიან ისევე, როგორც ადამიანს არ ძალუძს გამოვიდეს მისთვის ბუნებისგან წინასწარ დადგენილ ასაკის ციკლიდან: ჭაბუკობას მოსდევს სიმწიფე, დავაჟკაცება; დავაჟკაცებას — სიბერე, სიბერეს — სიკვდილი.

რომი ამჟამად განიცდის თავისი აყვავების ხანას, მაგრამ მასში უკვე იმალება სიბერისა და სიკვდილის ემბრიონები.

შემდგომი გახრწნისაგან რომის სახელმწიფოს დაცვის ერთადერთი საშუალება, ფიქრობს პოლიბიოსი, მდგომარეობს გარშემო არსებულ სინამდვილის მიმართ სტოიკურ განწყობაში და ზნეობრივი კანონის ძლიერების რწმენაში. იდეალურ პოლიტიკურ წესწყობილებად, სტოიკური იდეალის თვალსაზრისით, პოლიბიოსი თვლიდა მართველობის ნარევ ფორმას, რომელიც შესდგებოდა არისტოკრატიისა, დემოკრატიისა და მონარქიის კომბინაციისგან.

რომის რესპუბლიკის „ოქროს ხანაში“ ყოველი ჯანსაღი საზოგადოების სამი ძირითადი ელემენტი — არისტოკრატია, მონარქია და დემოკრატია — ისე იყო შეხამებული, რომ არავის არ შეეძლო ეთქვა, რას წარმოადგენდა რომის კონსტიტუცია: არისტოკრატიას, დემოკრატიას თუ მონარქიას. მაგრამ ასეთი გაურკვევლობა, ხელისუფლებათა მიმართ ბუნებრივია და სასურველი. მონარქიული ელემენტი წარმოდგენილია კონსულებით, არისტოკრატიას სენატი განასახიერებს, დემოკრატიას კი — სახალხო კრება“ [1].

---

[1] Polyb., VI, 10, 12.

ასეთი იყო ჰანიბალის ომისდროინდელი რომის წესწყობილებბა. „ოქროს ხანის“ აღორძინებისაკენ იყო სწორედ მიმართული სციპიონის წრის ცდები.

რომის კონსტიტუციის რეორგანიზაცია კი „ოქროს საუკუნისადმი“ დაბრუნების განხრით გულისხმობდა საშუალო და წვრილი თავისუფალი მიწათმფლობელობის აღდგენას და მონათმფლობელობის შემცირებას.

ასეთი განწყობით გამოვიდა კიდეც 140 წ. გაიოს ლელიუსი, რომელმაც წინადადება შეიტანა აღედგინათ ლიციინიუს-სექსტის დავიწყებული აგრარული კანონი ოკუპაციათა ნორმისა და მონათა რიცხვის შეზღუდვის შესახებ. მაგრამ „ბრძენი“ ლელიუსის წინადადება, რომელსაც მტრულად შეხვდნენ მდიდარი ნობილები, უკანვე იყო წაღებული თვითონ ავტორის მიერ.

„სციპიონის მეგობარს გაიოს ლელიუსს უნდოდა ეშველნა ამ უბედურებისათვის, მაგრამ მას წინააღმდეგობა დახვდა ნობილების მხრივ. შესაძლებელ გართულებათა შიშით, მან ხელი აიღო თავის გეგმებზე, რისთვისაც ზედმეტ სახელად შეარქვეს „ბრძენი“ [1].

ამაზე შეწყდა სციპიონ ემილიანეს რეფორმათა პარტიის სოციალური პოლიტიკა.

ამის შემდეგ რეფორმათა თაოსნობა გადადის უკვე ძმათა გრაქხების ხელში, რომელნიც გამოეთიშნენ სციპიონს და მიემხრნენ ნობილიტეტის სხვა ჯგუფს, სციპიონისადმი მტრულად განწყობილს,— კლავდიუსების, მუციებისა და ცეცილიების ჯგუფს.

4. ტიბერიუს გრაქხის გამოსვლა

რომის რესპუბლიკის ბოლოდროის სამოქალაქო ომების ისტორიაში გრაქხებს უკავიათ ერთერთი პირველი ადგილი, რაც ჩვენც იძულებულ გვყოფს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მათ რეფორმებსა და მათ პიროვნებაზე. თუ რამდენად საინტერესოა, ამბებით მდიდარი და დრამატიული „პირველ რომაელ რევოლუციონერების“ ბიოგრაფია, ამას მოწმობს უკვე ის ფაქტი, რომ მარქსი ფიქრობდა დაეწერა დრამა „ძმანი გრაქხები“.

ძმანი გრაქხები, ტიბერიუსი და გაიოსი, დაბადებით ეკუთვნოდნენ ერთერთ გამოჩენილ რომაულ გვარს — სემპრონიუს გრაქხებისას (Gracchos, Ti. Gracchi summi viri filios, Africani nepotes) [2]. გრაქხების მამა, ტიბერიუს სემპრონიუს გრაქხი, ორჯერ იყო

[1] Plut., Tib. Gracchus, VIII.

[2] Cic., De officiis, II, 80.

ჟონსულად, მან ორჯერ იდღესასწაულა ტრიუმფი, მას პრეტორის თანამდებობა ეჭირა და იგი მთელ რიგ ლაშქრობაში მონაწილეობდა. მაგრამ იმდენად არა ამ ვაჟკაცობისათვისო, შენიშნავს მისი ბიოგრაფი, რამდენადაც მისი ზნეობრივი თვისებების გამო, მიიღო კორნელი სციპიონის, ჰანიბალის დამამარცხებელის, ქალის ხელი. კორნელიასთან ქორწინებით გრაქხს შეეძინა 12 შვილი. ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ კორნელიას თხოულობდა ეგვიპტის მეფე პტოლემე VII ევერგეტი, მაგრამ მან ამჯობინა ქვრივად დარჩენა და თავისი თავი მთლიანად შესწირა თავის შვილების აღზრდას. კორნელიას ყველა შვილში შერჩა მარტო ორი ვაჟი — ტიბერიუსი და გაიოსი — და ქალი, რომელიც მისთხოვდა სციპიონ ემილიანეს (სციპიონ უმცროსს).

გრაქხები ტრიალებდნენ სციპიონის წრის „განათლებულ კონსერვატორთა“ წრეში და იმდროის კვალობაზე მათ ბრწყინვალე განათლება მიიღეს. უფროსმა ძმამ ტიბერიუსმა ახალგაზრდობაშივე მიიღო ავგურის საქურუმო თანამდებობა, იგი სციპიონ უმცროსთან ერთად მონაწილეობას იღებდა აფრიკის ფრონტზე და, სარდალთან ერთ კარავში მყოფმა, თავი ისახელა სამხედრო სიმამაცითა და მკაცრი ცხოვრებით.

აფრიკის ლაშქრობის გათავების შემდეგ ტიბერიუსი როგორც კვესტორი თან ახლდა კონსულ გაიოს მანცინს ნუმანციას წინააღმდეგ ლაშქრობაში. რომაელებისათვის ამ შავბედით ლაშქრობის დროს ტიბერიუსმა გამოიჩინა უსაზღვრო გონიერება, სიმამაცე და თავის უფროსისადმი პატივისცემა.

რომაელთა დამამარცხებელი ნუმანციელები დათანხმდნენ რომთან ზავი დაედვათ მხოლოდ ტიბერიუსის წყალობით, რომელსაც ისინი თვლიდნენ იშვიათი პატიოსნებისა და წესიერ ადამიანად.

„ნუმანციელები მივიდნენ მასთან, ხელებზე ხელს ავლებდნენ და მხურვალედ არწმუნებდნენ მას, ნუღარ ჩასთვლის მათ მტრებად, არამედ ერწმუნოს მათ და მეგობრებად მიიჩნიოს. ტიბერიუსმა გადასწყვიტა მათი სურვილის შესრულება, მას უნდოდა უკან დაებრუნებინა თავისი ქალალდები, გარდა ამისა, ეშინოდა თავისი უნდობლობით არ გაეჯავრებინა ნუმანციელები, — და შევიდა ქალაქში. პირველ ყოვლისა, ნუმანციელებმა მას საუზმე შესთავაზეს და დაჟინებით დაუწყეს თხოვნა მათთან ერთად ესადილნა, შემდეგ დაუბრუნეს თავისი ქალალდები და წინადადება მისცეს აეღო სხვა ნივთებს შორის, რაც კი მოესურვებოდა. მან აიღო ცოტა საკმეველ-

ლი, რაც მას საჯარო მსხვერპლშეწირულებისათვის სჭირდებოდა. მეგობრულად გამოემშვიდობა ნუმანციელებს და წავიდა“ [1].

134 წ. დეკემბერში 28 წლის ტიბერიუს გრაქხი არჩეულ იქნა 133 წლისათვის სახალხო ტრიბუნად მუციუს სცევოლას და კალპურნიუს პიზონის კონსულობის დროს.

ტიბერიუს გრაქხი, როგორც ითქვა, ეკუთვნოდა თავისი დროის გამოჩენილ პირთა რიცხვს. ის იყო სციპიონისეულ წრის წევრი, ტრიალებდა მოწინავე ხალხში, მიიღო მშვენიერი აღზრდა დიდად განათლებულ დედისა და აგრეთვე ბერძენ მასწავლებლების — ფილოსოფოს-სტოიკოსების დიოფანესი (მიტილენედან) და ბლოსიუსის (კუმედან) ხელმძღვანელობით. დიოფანემ და ბლოსიუსმა ტიბერიუსი აზიარეს ბერძნული სამყაროს სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს, დაუხატეს რა მის გონებრივ თვალს ფართო სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმათა გეგმა.

რომის საზოგადოებრივი ატმოსფერო, ტიბერიუსის პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისას, ნერვიული და მშფოთარი იყო. ერთის მხრივ, ეს იყო ნუმანციური ომის დრო, გაიოს მანციანის სამარცხვინო დამარცხების დრო, მეორის მხრივ — სიცილიელ მონათა რევოლუციის დრო. ერთიც და მეორეც თვალსაჩინოდ შედეგი იყო რომის რესპუბლიკის შინაგანი მერყეობისა, მისი სოციალური ბაზისის — სოფლის პლებსის — დასუსტებისა. საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის აღდგენასა და მსხვილი პოსესიების (ლატიფუნდიების) დანაწილებისკენ იყო, უწინარეს ყოვლისა, მიმართული რომის პოლიტიკოს-რეფორმატორების, მათ რიცხვში ტიბერიუს გრაქხის, ყურადღება. აგრარული საკითხი წვრილ და სხვადასხვა ტიპის მსხვილ მიწათმფლობელთა შორის ბრძოლის ფორმით, როგორც კ. მარქსი მიუთითებს და როგორც ეს დასტურდება წყაროებით, შეადგენს მთელი რომის ისტორიის ღერძს, მოკიდებული რომულიდან [2] და გათავებული რომაულ-ავგუსტულით, რომის უკანასკნელი იმპერატორით.

„რამდენიმე ხნის წინათ,—სწერდა მარქსი ენგელსს,— მე ხელახლა გავიარე რომის (ძველი) ისტორია, ავგუსტის ხანამდე. შინაგანი ისტორია შეიძლება plainly (მთლიანად) დავიყვანოთ წვრილი მიწათმფლობელობის მსხვილთან ბრძოლამდე, რასაკვირველია, იმ მოდიფიკაციათა შეტანით, რომლებითაც შეპირობებულია მონობის არსებობა. დავალიანება, რომელიც ეგოდენ დიდ როლს თა-

---

[1] Plut., Tib. Gracchus, VI.
[2] Varro, De re rust., I, 10.

მაშობს რომის ისტორიის დასაბამიდანვე, არის მარტო ბუნებრივი შედეგი მიწის წვრილი საკუთრებისა"-ო [1].

უნდა შევნიშნოთ, რომ გრაქხის მისწრაფება შეეზღუდა და დაექუცმაცებინა მსხვილი სამფლობელოები არ ეწინააღმდეგებოდა რომის ეკონომიკის ბუნებრივ ევოლუციას. მეტწილად ოკუპირებულ მიწებზე წარმოებდა საძოვრითი ან მარცვლეული მეურნეობა. II' საუკ.-ში ამგვარი მეურნეობა ეკონომიურად უკვე ხელსაყრელი აღარ იყო, ხოლო პოლიტიკურად სახიფათო ხდებოდა მცირე მიწიანობის ზრდისა და სამხედროვალდებულთა რიცხვის შემცირების გამო. ამას ხედავდნენ თვითონ ოკუპატორებივე, რომელნიც იჯარით აღებულ მიწებს უფროდაუფრო წვრილ ნაკვეთებად აქუცმაცებდნენ და თავის მხრივ იჯარით აძლევდნენ საშუალო და წვრილ მომხმარებლებს. მოიჯარადრენი, რომელთა შორის უეჭველია იყვნენ კატონის ტიპის მეურნენიც, მიწაში აბანდებდნენ თავიანთ კაპიტალსა და შრომას, აწარმოებდნენ მელიორაციას, აგებდნენ შენობებს, სჭრიდნენ არხებს, ერთი სიტყვით, იჯარით აღებული მიწები მათ კულტურულ მდგომარეობაში მოჰყავდათ.

იტალიის მეურნეობის ბუნებრივი ევოლუციის ამ მიმართულებით მოქმედებდა 133 წლის სახალხო ტრიბუნი ტიბერიუს გრაქხი, რომელიც მიისწრაფოდა იმდენად არა აღდგენისაკენ, რამდენადაც იქითკენ, რომ ხელახლა შეექმნა წვრილი და საშუალო მიწათმფლობელები და ამასთანავე უმთავრესად ექსტენსიური, მეტადრე მწყემსური, მეურნეობის ხარჯზე.

კანონპროექტისა და იმ საშუალებათა შინაარსიდან კი, რომელთა დახმარებითაც ტიბერიუსი ამ კანონპროექტის ცხოვრებაში გატარებას იმედოვნებდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ გრაქხს მეტად ზომიერი გეგმები ჰქონდა.

„არასდროს არ ყოფილა წამოყენებული ასეთი რბილი და ჰუმანიური კანონი უსამართლო და ხარბი ადამიანების მიმართ. მდიდრებს ეკადრებოდათ ურჩობისათვის დაესაჯათ და გაეძევებინათ, ჯარიმის გადახდევინებით, იმ მიწებიდან, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ უკანონოდ. მაგრამ მათ მიუვიდათ მარტო ბრძანება დაეტოვებინათ უსამართლოდ მითვისებული მინდვრები და სასყიდელის მიღების შემდეგ გადაეცათ ეს მინდვრები მოქალაქეებისათვის, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა. შეცდომა უნდოდათ გამოესწორებინათ მშვიდობიანი ზომებით. ხალხი უნდა დაკმაყოფილე-

---

[1] Маркс и Энгельс, Соч., т. XXII, стр. 89.

ბულიყო იმით, რომ მომავალში იგი აღარ შეეეიწროებინათ, და მაშინ იგი დაივიწყებდა წარსულს“ [1].

იურიდიულად ტიბერიუსის წინადადება (rogatio) ეჭვებს არ ჰბადებდა. ლაპარაკი იყო ager publicus-ზე, რომელიც არ ეკუთვნოდა კვირიტული (სრული) საკუთრების რიგს. რომაული კანონებით, ager publicus-ზე ოჯარით აღებული ნაკვეთი პირველ მოთხოვნილებისამებრ სახელმწიფო ფონდში უნდა მიქცეულიყო, ამ ნაკვეთზე უფლებას ესარჩლებოდა ხანდაზმულობის უფლება (vetustate bona paterna avitaque) და არა იურიდიული ნორმა (non iure), სენატის თანაგრძნობა და არა თვითონ მფლობელობის პირობა (misericordia senatus non agri conditione) [2].

ამასთანავე ოკუპაციის კანონიერი ნორმაც, დადგენილი ტიბერიუს გრაქხის მიერ, საკმაოდ დიდი იყო (1000 იუგერამდე ოჯახზე), დიდი იყო აგრეთვე მსხვილფეხა (100 სული) და წვრილფეხა (500 სული) საქონლის ნორმა, სათემო საძოვრებზე რომ უნდა გაშვებულიყო. გარდა ამისა, ყველა აშენებულ ნაგებობაზე და მოწყობილ მელიორაციაზე წესდებოდა სასყიდელი.

უახლოესმა ამბებმა კი ცხადჰყვეს რომ განზრახული რეფორმა არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მშვიდობიანი გზით, როგორც ამას ფიქრობდნენ თავდაპირველად და, ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით, ტიბერიუსიც რეფორმატორისგან ხდება რევოლუციონერად.

პირველ ხანებში ტიბერიუს გრაქხი მოქმედებდა ნობილების ანტისციპიონისეულ ჯგუფთან — კლავდიუსებთან, მუციუსებთან და ცეცილიებთან შეთანხმებით, მაგრამ თანდათან, ისევდაისევ ობიექტურ მიზეზების ძალით, იწყო ამ ჯგუფისგან ჩამოშორება და დაახლოება სოფლისა და ქალაქის დემოკრატიულ მასასთან. დემოკრატიულ ჯგუფებს (plebs Romana), ღარიბ ადამიანებს (tenuiores), უპირისპირდებოდა მდიდარი სენატორებისა და მხედრების (senatus et equester ordo), „საუკეთესო ადამიანების“ (optimates), მსხვილი მიწათმფლობელების (locupletes) და მესაქონლეთა მცირე ჯგუფი [3].

ხმა მოსალოდნელი რეფორმისა და მიწების გადამიჯვნის შესახებ სწრაფად მოედვა ქვეყანას და მთელი იტალია აამოძრავა. რომის მეზობელ ოლქებიდან, მუნიციპიებიდან და კოლონიებიდან,

---

[1] Plut., Tib. Gracchus, IX.
[2] Cic., De lege agr., II, 57.
[3] Liv., Epit. LVIII, Vell. Pat., II, 3, 2; Cic., De lege agr., II, 10, 81.

რომს მიაწყდა უამრავი ხალხი, დიოდორეს მხატვრული შედარებისამებრ, მსგავსად მდინარეებისა, ზღვას რომ ერთვიან.

ყველა მიდიოდა გრაქხის საშველად. თავის გრძნობებსა და სურვილებს უამრავი ხალხი, რომელიც მიწას ნატრულობდა, გამოსთქვამდა წარწერებში, რომელთაც სწერდნენ ტაძრებისა და საზოგადო შენობათა კედლებზე. ტიბერიუსის მომხრეთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, „მდიდრებისადმი" სიძულვილი აერთიანებდა და აკავშირებდა სულ სხვადასხვანაირ საზოგადოებრივ ფენებს.

„ნადირებს, — ამბობდა თავის სიტყვაში ხალხის წინაშე ტიბერიუსი, — რომელნიც იტალიაში ცხოვრობენ, იმათაც კი აქვთ სოროები და ბუნაგები, ამავე დროს კი იმ ხალხს, ვინც იბრძვის იტალიისათვის, არაფერი გააჩნია, ჰაერისა და სინათლის მეტი. ისინი უსახლკარონი არიან, მოკლებული არიან მუდმივ ადგილსამყოფელს და დაყიალებენ თავიანთი ცოლ-შვილით. სარდლები ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ არწმუნებენ ებრძოლონ მტერს და დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები, მაშინ როდესაც რომაელ მასებს არა აქვთ არც საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაოები. ჯარისკაცები მიდიან ომში და იქ იხოცებიან მხოლოდ სხვის ფუფუნებისა და სიმდიდრის გულისთვის! მათ მსოფლიოს მბრძანებლებს უწოდებენ, მაშინ როდესაც ერთი ციდაც კი არა აქვთ საკუთარი მიწისა" [1].

„მართლაც, განა სამართლიანი არ არის ერთობლივ ყველამ ისარგებლოს საზოგადო მინდვრით? განა მოქალაქე უფრო მეტი უფლებით არ სარგებლობს, ვიდრე მონები? განა უფრო მეტი სარგებლობა არ მოაქვს ომისათვის ვარგის მოქალაქეს, ვიდრე იმას, ვინც უვარგისია ომისათვის? განა უფრო უკეთესად არ ექცევა სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქე, ვიდრე მონა-უცხოელი? შას მიაჩნდა, რომ ეს შედარება მეტისმეტად არასაკადრისია, რათა ადამიანმა იგი განაგრძოს" [2].

ტიბერიუსი დაბეჯითებით არწმუნებდა ოკუპატორებს დაეთმოთ პირადი ინტერესები საზოგადო ინტერესების სასარგებლოდ და მიეღოთ მისი კანონპროექტი.

„თქვენ, — არწმუნებდა ტიბერიუსი მდიდრებს, — უნდა ყოველივე ეს მოიფიქროთ და ეს მიწები ნებაყოფლობით დაუთმოთ, გარეგანი ზემოქმედების გარეშე, თუ კი ეს საჭირო აღმოჩნდება. მომავლის იმედით ჩვენ უნდა დაუთმოთ, მივცეთ ეს მიწები იმათ,

---

[1] Plut., Tib. Gracchus, IX.
[2] App., Bell. civ., I, 11.

ვინც სახელმწიფოსათვის ზრდის შვილებს. მცირედის გამო დავითა და კამათით თქვენ უფრო მეტს დაჰკარგავთ“ [1].

მაშინ მომქმედი კონსტიტუციის ფარგლებში ნობილებისათვის ერთადერთი შესაძლებლობა ტიბერიუსის წინადადების ჩაშლისათვის ის იყო, რომ თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ ტიბერიუსის კოლეგები, დანარჩენი სახალხო ტრიბუნები. სწორედ ამ უკანასკნელ საშუალებას მიმართეს კიდეც „მდიდრებმა“, გადიბირეს რა თავიანთ მხარეზე ტიბერიუს გრაქხის კოლეგა, სახალხო ტრიბუნი მ ა რ კ ო ს ო ქ ტ ა ვ ი უ ს ი, რომელიც ამასთანავე თვითონაც მსხვილი პოსესორი იყო.

ოქტავიუსის გამოსვლა გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდა. ოქტავიუსმა ისარგებლა თავისი ტრიბუნული უფლებით და veto დაადო კანონპროექტს. ტიბერიუსი შეეცადა დაეჯერებინა ოქტავიუსი, რომ თავისი აკრძალვა მოეხსნა, სენატს მიმართა კიდეც, მაგრამ ყოველივე ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. ოქტავიუსი ჯიუტობდა, ხოლო სენატი გარკვეულად დადგა „მდიდართა“ მხარეზე. ბრძოლა ჩაღდებოდა და მწვავდებოდა.

გაჯავრებულმა ტიბერიუსმა დაიწყო უფრო ენერგიულად მოქმედება და კომიციათა წინაშე საკითხი დააყენა: შეუძლიან თუ არა ტრიბუნს ოქტავიუსს შემდგომშიც დარჩეს სახალხო ტრიბუნის წოდებაზე, თუ კი ის სახალხო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს?

კრება ტიბერიუსს მიემხრო. ოქტავიუსი გადააყენეს თანამდებობიდან, ისიც ჩქარა მიიმალა თვალთაგან ხალხის რისხვის შიშით. ოქტავიუსის ადგილი დაიჭირა კვინტუს მუმიუსმა, გრაქხის მომხრემ. კონსტიტუციის თვალსაზრისით, სახალხო ტრიბუნის უფლებათაგან გადაყენება მეორე ტრიბუნის თაოსნობით გაუგონარი ამბავი იყო (novum exemplum), წარმოადგენდა რევოლუციურ აქტს (collegae magistratum per seditionem abrogavit), რამაც გამოიწვია ნამდვილი სამოქალაქო ომი (Gracchana seditio: gravissimae seditionis auctor) [2].

ოქტავიუსის ჩამოცილების შემდეგ ტიბერიუსის კანონპროექტი გატარებულ იქნა კომიციებში და მან კანონის ძალაც მიიღო.

ახალმა კანონმა აღადგინა ლიცინიუს-სექსტის ძველი კანონის მოქმედება, რომლის ძალითაც არავის არ უნდა ჰქონოდა სახელმწიფო მიწიდან 500 იუგერზე მეტი. ამას ის ემატებოდა, რომ ყოველ მოზრდილ ვაჟზე შეიძლებოდა კიდევ 250 იუგერის მიმატება,

---

[1] App, Bell. civ., I, 11.
[2] Val. Max., VI, 2 6.

ოღონდ მთლიანად ერთი ოჯახის სამფლობელო არ უნდა ყოფილიყო 1000 იუგერზე მეტი.

კანონი ამბობდა: „არავის არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მიწის 1000 იუგერზე მეტი“ (Nequis ex publico agro plusquam mille iugera possideret)[1].

დაბრუნებული მიწა წინადადებისამებრ უნდა ნაკვეთებად, 30 იუგერის მოცულობით, გაენაწილებინათ მიწანაკლებ რომაელ მოქალაქებს შორის[2]. 30 იუგერიანი ნაკვეთი უნდა მიკუთვნებოდა საშუალო სამფლობელოთა თანრიგს; ეს საშუალო სამფლობელო გულისხმობდა ერთგვარ ნივთიერ დონეს, მონათა გარკვეული რიცხვისა ან თავისუფალ დაქირავებულ მუშათა რიცხვის ყოლას.

ცხოვრებაში კანონის გასატარებლად და აღძრულ კითხვებისა და სიძნელეთა გადასაწყვეტად გამოყოფილ იქნა სპეციალური ა გ რ ა რ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ა სამი კაცის შემადგენლობით (tres viri agris iudicandis adsignandis) მეტად ფართო რწმუნებებით, მას უფლება ენიჭებოდა მიწები გაეზომა და მფლობელობის უფლებანი დაედგინა[3].

კომისიაში შევიდნენ თვითონ ტ ი ბ ე რ ი უ ს ი, მისი ძმა გ ა ი ო ს ი და სიმამრი ა პ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი. მფლობელობის ხასიათის დადგენის, სამფლობელოს გაზომვის, ჩამორთმევისა და მიწების განაწილების უფლების გადაცემა აგრარული კომისიისათვის, რომელიც არჩეულ იყო ტრიბუტული კომიციების მიერ, მეტად არსებითად ეხებოდა სენატის უფლებებს. რომის კონსტიტუციის თანახმად, ყველა ეს უფლება ეკუთვნოდა კონსულებსა და ცენზორებს და არა სახალხო ტრიბუნებს.

მეორე არანაკლებ სერიოზული ხელყოფა სენატისა და სენატის მაგისტრატურის უმაღლესობაზე იყო ფინანსიურ დარგში სენატის უფლების იგნორირება. ეს მოხდა თვითონ ტიბერიუსის ნების გარეშეც კი. რადგან სენატმა უარი თქვა კომისიის მუშაობისათვის საჭირო თანხების მიცემაზე, ტიბერიუსმა წინადადება შეიტანა ყადაღა დაედვათ პერგამონის მეფის ატალ III ხაზინისათვის, რომელიც რომის ხელში გადადიოდა; ეს ატალი ამის წინა ხანებში გარდაიცვალა და სიკვდილის წინ მან თავისი სამეფო რომს უანდერძა (cum recentem Attali hereditatem in alimento populo pollicere--

---

[1] Liv., Epit., 58.
[2] Cic., De lege agr., II 81.
[3] Liv., Epit., LVIII.

tur)[1]. იმის მაგიერ, რომ ეს ხაზინა გადაცემულიყო სენატის განკარგულებაში, ტიბერიუსი, რომის ხალხის თანხმობით და მისი სახელით, ფიქრობდა ეს ხაზინა პირადად თვით მას განეგო. ეს იყო მეორე რევოლუციური აქტი, რომის კონსტიტუციის აშკარა დარღვევა, რომლის ძალითაც საგარეო და ფინანსიურ პოლიტიკაში მონოპოლია სენატს ჰქონდა მინიჭებული.

პერგამონის მეფის ფულები მოხმარებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენაზე იმ მოქალაქეთათვის, ვინც მიწა მიიღო[2]. აგრარული კანონის მიღებისა და აგრარული კომისიის არჩევის შემდეგ ტიბერიუსი თავისი ძლიერების ზენიტზე იყო, გამოდიოდა თავის მომხრეთა მთელი ამალის თანხლებით და ეს ამალა 3 — 4 ათას კაცს შეიცავდა[3].

„ახლა გრაქხი, თავისი კანონით თავმოწონებული, სახლში მიიმართებოდა ხალხის თანხლებით. ხალხი მას უყურებდა არა როგორც ერთი ქალაქისა და ერთი ტომის მომწყობს, არამედ როგორც იტალიის ყველა ხალხების მეთაურს"[4].

ქალაქისა და სოფლის ფართო მასების თანაგრძნობამ გრაქხის მიმართ დააფრთხო და ააფორიაქა ნობილები და ისინი იძულებულჰყო უფრო შეკავშირებულად და შემჭიდროებულად დაეცვათ თავიანთი კლასობრივი ინტერესები. ნობილების უორგანიზებულ მასას გამოეყო ოპტიმატების ანუ „საუკეთესო ხალხის" უფრო ორგანიზებული პოლიტიკური ჯგუფი. ოპტიმატები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ გაეძნელებინათ ან სახელი გაეტეხათ აგრარული კომისიის მუშაობისათვის. ამის გაკეთება ძნელი არ იყო, რადგან კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა რთულ გარემოში და იგი (კომისია) აწყდებოდა მთელ რიგ პრაქტიკული ხასიათის მეტად სხვადასხვაგვარ სიძნელეებს. ოპტიმატებმა გაშალეს ფართო აგიტაცია თავის ქალაქური კლიენტელის წრეში, გაავრცელეს ხმა, თითქოს ტიბერიუსი მოქმედებდა თავისი პირადი ინტერესებით აღძრული და მიისწრაფოდა ხელთ ეგდო უმაღლესი ხელისუფლება (occupandae rei publicae). ტიბერიუსის მომხრეთა რიგები, პირიქით, თხელდებოდა იმისდა მიხედვით, რაც სოფლის პლებსის ერთმა ნაწილმა მიიღო მიწის ნაკვეთები და გული დაიარხეინა, ხოლო მეორე ნაწილს უიმედოდ ეჩვენებოდა ტიბერიუსის გეგმის განხორციელების რეალური შესაძლებლობა. განსაკუთრე-

---

[1] Plor., II, 3.
[2] Ltv., Eplt., 58.
[3] Aul. Gell., II, 13.
[4] App., Bell. civ., I, 13.

ბულ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იტალიკები, რომელნიც არ იყვნენ შეტანილი მიწის ნაკვეთების მიმღებთა სიაში. ტიბერიუსი გრძნობდა სოფლის პლებსის გაგულცივებას პოლიტიკურ ბრძოლის მიმართ და 132 წლის არჩევნებზე, რაც ამასთანავე მოდიოდა საზაფხულო თვეებზე, სოფლად გახურებული მუშაობის დროზე, იწყო საყრდენი ძალის ძებნა ქალაქის დემოკრატიაში (პლებეებსა და მხედრებში) და თავის პროგრამაში შეიტანა მთელი რიგი ახალი რეფორმები საქალაქო დემოკრატიის ინტერესების შესაბამისად. ამ რეფორმათა შორის წყაროები ასახელებენ: 1) სასამართლო კანონს [1]; 2) სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების კანონს [2]; 3) იტალიკებზე სამოქალაქო უფლებათა გავრცელების კანონს [3].

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა 132 წ. ტიბერიუსმა თავისი კანდიდატურა მეორედ წამოაყენა სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე. ფორმალურად ეს ისევ კონსტიტუციის დარღვევა იყო, და ამიტომაც აშან საბაბი მისცა მის მოპირდაპირე — ოპტიმატებს ტიბერიუსისათვის ბრალად დაედოთ სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის მისწრაფება. დაიწყო გაცხოველებული აგიტაცია, ორივე მხარე ემზადებოდა გადამწყვეტ ბრძოლისათვის, მოპირდაპირე პარტიები, წყაროს თქმისა არ იყოს, მოგვაგონებდნენ ორ ნამდვილს მტრულად განწყობილ ბანაკს [4].

აპიანეს შემონახული აქვს ცხოველადგადმოცემული თხრობა იმის შესახებ, თუ ტიბერიუსი არჩევნების წინა ხანებში როგორ დაიარებოდა ფორუმზე სამგლოვიარო, თალხ ტანისამოსში გამოწყობილი თავისი მცირეწლოვანი ვაჟით და მომხრეებს იძენდა. ტიბერიუსის აგიტაცია წარმატებით დაგვირგვინდა. ხალხი თანაუგრძნობდა ტიბერიუსს და მზად იყო მიეცა მისთვის მხარი მოახლოებულ საარჩევნო ბრძოლაში.

„მაშინ დაიწყო ღარიბთა ჩივილი თავიანთ საკუთარ მდგომარეობაზე, როცა წარმოიდგენდნენ, რომ ახლო მომავალში ისინი უკვე ვეღარ ისარგებლებდნენ სხვა მოქალაქეებთან თანაბარი უფლებებით და რომ ისინი მდიდრების ძალა-უფლების ქვეშ მოჰყვებიან და მონებად შეიქმნებიან. ამასთანავე ერთად მოქალაქეებს ენანებოდათ თვითონ გრაქხიც, რომელსაც მათი გულისთვის ასე ბევრის დათმენა, ტანჯვა და ხიფათში თავის ჩაგდება უხდებოდა. ამის

---

[1] Macrob., Sat., III, 14; Plin., Nat. Hist., XXXIII, 34.
[2] Plut., Tib. Grac., 16; Dio Cas., XXVI, fr. 83.
[3] Vell. Pat., II, 2.
[4] Plut., Tib. Grac., 11.

შემდეგ ყველა ამათ ჩივილითა და მოთქმით გააცილეს იგი შინისკენ და სთხოვდნენ ხვალინდელი დღის შიში არ ჰქონოდა“ [1].

თვითონ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა მთავარი მასა, რომელიც სოფლებიდან მოდიოდა ხოლმე, გახურებული მუშაობის გამო (ივლისის თვე იყო), არჩევნებზე, როგორც ითქვა, არ გამოცხადდა, ტიბერიუსის თანამგრძნობი ნობილები კი, მისი რევოლუციური აქტით შეშინებულნი, მას ჩამოსცილდნენ.

ამავე დროს ოპტიმატებმა თავი წამოსწიეს და დაიწყეს ენერგიული კონტრაგიტაცია. ტიბერიუსის კანდიდატურის წინააღმდეგ, როგორც კონსტიტუციის აშკარა და არგაგონილ დარღვევის წინააღმდეგ, პროტესტი განაცხადეს სხვა ტრიბუნებმა, რომელნიც სენატთან ერთად მოქმედებდნენ. ატყდა საშინელი ხმაური და აურზაური, რის გამოც არჩევნები მეორე დღისთვის იქნა გადადებული. მეორე დღეს იგივე განმეორდა, საქმე ჩხუბამდეც კი მივიდა. არჩევნებთან ერთად, იმავე დროს, როცა არჩევნები ხდებოდა კაპიტოლიუმის ტაძრის მოედანზე, ერთგულების ქალღმერთის ტაძარში შიმდინარეობდა სენატის სხდომა. სენატს მოახსენეს, რომ ტიბერიუსმა ფორუმიდან გარეკა მისდამი მტრულად განწყობილი და მისი მოწინააღმდეგე ტრიბუნები და რომ ტიბერიუსს განზრახვა აქვს თავისი თავი მეფედ გამოაცხადოსო.

ამ ამბავზე სენატში საშინელი ალიაქოთი ატყდა. სენატორების ერთი ნაწილი, უზენაეს ქურუმ სციპიონ ნაზიკას, ოპტიმატების წინამძღოლის, მეთაურობით მოითხოვდა კონსულ მუციუს სცევოლასგან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას და, რადგან უკანასკნელმა ამაზე უარი განაცხადა, ქუჩაში გავარდა. „ვისაც კი სურს სამშობლოს ხსნა, მე გამომყევით“-ო, — შეჰყვირა სციპიონ ნაზიკამ და კომიციებისაკენ გაიქცა.

პირველად რომის ისტორიის მანძილზე სატახტო ქალაქის ქუჩებში მოხდა აშკარა შეტაკება მოპირდაპირე პარტიებს შორის; ამ შეტაკებაში გრაქხის მომხრეები, დემოკრატები (პოპულარები), დამარცხდნენ: მათი ერთი ნაწილი დახოცილ იქნა, მეორე ნაწილი კი გაიქცა. დალუპულთა შორის იყო თვითონ ტიბერიუს გრაქხიც; სულ დაიღუპა 300 კაცამდე. მოკლულთა გვამები, მათ რიცხვში ტიბერიუსისაც, ღამით ტიბრის ზვირთებში გადაყარეს.

„ესოდენ ბილწი საქმე, — ამთავრებს თავის მტკივნეულ მატიანეს აპიანე, — პირველად მოხდა სახალხო კრებაში. შემდეგ ეს არაერთხელ გამეორდა გრაქხის მსგავსი სხვა პირების მიმართაც.

[1] App., Bell. civ., I, 15.

ტრაქხის მოკვლის გამო რომი ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი გლოვობდა, მეორე ზეიმობდა. ბევრი ნანობდა თავის თავს, ინანებდა გრაქხს, სწუხდა იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა სახელმწიფო, სადაც უკვე აღარ არსებობდა კანონიერი მმართველობა და სადაც გაბატონებული იყო პირადი უფლება და მოძალეობა. სამაგიეროდ, მეორენი ფიქრობდნენ, რომ იმათ მიაღწიეს თავიანთი სურვილების განხორციელებას. „ყველა ეს ამბავი ხდებოდა იმ დროს, როცა არისტონიკე მცირე აზიაში აწარმოებდა ბრძოლას რომაელებთან“ [1].

5. ოპტიმატები და პოპულარები

ტიბერიუსის სიკვდილმა ვერ გადასჭრა წამოჭრილი პრობლემა. ბრძოლა მიწისათვის, რომელიც მალე გადაიზარდა უმაღლეს ხელისუფლებისათვის ბრძოლად, გრძელდებოდა ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგაც. ახლა ბრძოლა წარმოებდა უკვე პოლიტიკურად ორგანიზებულ ჯგუფებსა ანუ პარტიებს შორის — ოპტიმატებსა (optimates), რომელნიც ნობილიტეტის ინტერესებს წარმოადგენდნენ, და პოპულარებს (populares), სოფლისა და ქალაქის პლებსის ორგანიზებულ ბირთვს, შორის. მხედრებს კი საშუალედო მდგომარეობა ეჭირათ, პირდაპირ არც ერთ მხარეს უდგებოდნენ და არც მეორეს, მაგრამ თუ შემთხვევა მიეცემოდათ, გამოიყენებდნენ ერთსაც და მეორესაც.

ბრძოლა ოპტიმატებსა, პოპულარებსა და მხედრებს შორის შეადგენს რომის რესპუბლიკის დასასრულის პოლიტიკური ისტორიის შინაარსს, რთულდება რა მრავალი შემავალი მოტივებით.

II ს. 30—20 წლებში პოპულარებმა მხედრების დახმარებით მოახერხეს რამდენიმე არსებითი რეფორმის გატარება: შემოიღეს ფარული ხმისმიცემა კომიციებში განსაკუთრებულ ფირფიტების საშუალებით (tabellae), უმაღლეს თანამდებობებზე თავიანთი მომხრეები გაიყვანეს და ნობილებს მოუსპეს უპირატესობა მხედართა ცენტურიებში სამსახურისა. სახალხო ტრიბუნების გადარჩევების შესახები წინადადება გავიდა რამდენიმე წლით უფრო გვიან.

ამასობაში აგრარული კომისიის მუშაობა გრძელდებოდა. ტიბერიუს გრაქხისა და აპიუს კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ (130 წ.) გასულ წევრების ადგილი დაიჭირეს ფულვიუს ფლაკმა (Fulvius Flaccus) და პაპირიუს კარბონმა (Papirius Carbo), რომელნიც პოპულარების პარტიას ეკუთვნოდნენ.

[1] App., Bell. civ., I, 17.

აგრარულმა კომისიამ ფართო მუშაობა გაშალა სახელმწიფო მიწების ჩამორთმევისა და განაწილების მხრივ. საცენზო სიების საფუძველზე აგრარული კომისიის მიერ დარიგებული მიწების საერთო რაოდენობას 125 წ. განსაზღვრავდნენ დაახლოებით 350 ან 400 ათასი იუგერის მოცულობით. ანტიკური სამყაროს მასშტაბით ეს იყო მეტად დიდი ციფრი, რომელიც უდრიდა მთელი ager Romanus-ის $^1/_7$-ს. საცენზო სიები ცენზიანთა გაზრდას უჩვენებდნენ დაახლოებით 80 ათასი კაცის რაოდენობით. თუ აგრარული კომისიის მუშაობა რამდენად ფართო მასშტაბით წარმოებდა, ამას მოწმობენ იმ სამიჯნო ქვებზე გაკეთებული წარწერები, რომელნიც აღმართეს მიწების ახალი გადამიჯვნის დროს. ერთი ქვემორე მოყვანილი წარწერიდან ჩანს, რომ გრაქხების ისეთი მოწინააღმდეგენიც კი, როგორიც იყო კონსული პუბლიუს პოპილიუსი, მონაწილეობას იღებდნენ მიწების გადამიჯვნაში.

„მე, — ამბობს წარწერა, — პუბლიუს პოპილიუსმა, გაიოსის შვილმა, კონსულმა, ავაგე გზა რეგიონიდან კაპუამდე, ამ გზაზე ავაშენე ხიდები, აღვმართე სამიჯნო ქვები და საფოსტო სადგურები (miliarios. tabelariosque postivei).

„მე პირველმა ვბრძანე მწყემსები სახელმწიფო მიწაზე მიწის მუშებით შეეცვალათ“ (ut de agro poplico aratoribus cederent pastores)[1].

ამასთანავე ერთად იზრდებოდა აგრეთვე სიძნელეებიც, რომელთაც აგრარული კომისია აწყდებოდა თავის მუშაობისას. მიწების გადამიჯვნის დროს აღიძრებოდა ხოლმე უთვალავი ყოველნაირი გაუგებრობა, დავა, ცილისწამებანი და სასამართლო პროცესები. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველთვის როდი იყო ადვილი სახელმწიფო მიწის გამოყოფა კერძოსაგან. ხანდაზმულობის გამო სახელმწიფო და კერძო მიწების საზღვრები წაიშალა, საბუთები კი, რომელნიც ადასტურებდნენ მფლობელობის უფლებას, დაკარგული ან ნატყუარი იყო. მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისა და განაწილების დროს ხდებოდა მფლობელების ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება და დაიშვებოდა ხოლმე ათასნაირი უსამართლობა, შეცდომები და ბოროტმოქმედებანი. მაგალითად, ხდებოდა, რომ კულტურული ნაკვეთების პატრონებს, სადაც გაშენებული იყო ბაღის კულტურები და ბევრი შენობა, ასახლებდნენ ისეთ უბნებში, რომელნიც მოკლებული იყვნენ მცენარეულობას და წარმოადგენდნენ ჭაობნარსა და თიხნარს. ამასთანავე ბევრი პატ-

[1] C. J. L., I, 2638.

რონი იჯარით აღებულ მიწას უყურებდა როგორც თავის საკუთრებას, მიწაში აბანდებდა თანხებს, ზედ აგებდა შენობებს და მელიორაციას აწყობდა. მოიჯარადრეებსა და ქვემოიჯარადრეებს შორის ბევრი იყო მსხვილი, საშუალო და წვრილი მეპატრონე, „კარგი მიწათმფლობელნი", კატონისეული გაგებით. ყველა ამას ახლა ემუქრებოდა დაღუპვა და გაჩანაგება.

ბოლოსდაბოლოს, ლაპარაკობდნენ ისინი, მთელი მიწა ხომ ოდესღაც დაპყრობილი იყო და, მაშასადამე, სათემოც იყო. პოსესიები არაა ძალათი ხელში ჩაგდება, ვინაიდან, ყველასთვის ცნობილი კანონით, ყოველ რომაელ მოქალაქეს უფლება ჰქონდა დაემუშავებინა დაუმუშავებელი საზოგადო მიწა. აგრარული კომისია კი, რომელიც აღჭურვილი იყო განუსაზღვრელი რწმუნებებით, მათში იწვევდა ძრწოლას და აღშფოთებას. მოსახლეობა ღელავდა, ადგილებიდან იხსნებოდა, ჰყიდდა თავის ინვენტარსა და მონებს, მიდიოდა ქალაქებსა და პროვინციებში.

ხოლო, რაც შეეხება მდიდარ ნობილებს, ისინი, უარს აცხადებდნენ რა იტალიის მიწებზე, ხდებოდნენ პოსესორებად პროვინციებში, სადაც მიწა უფრო მეტი იყო, მფლობელობის უფლება კი უფრო მტკიცე. გრაქხების რეფორმის ერთერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ხალხისა და კაპიტალის გადანაცვლება იტალიიდან პროვინციებში და ამის გამო უფრო მეტი დამოკიდებულება ცენტრისა პროვინციებზე.

„ამრიგად, მდიდრების უსამართლო მოქმედებანი, თუმცა კი თვალსაჩინო იყო, მაგრამ ძნელად შეიძლებოდა დამტკიცებულიყო. შედეგად ამისა ყველა ნაკვეთიდან დაიძრნენ ყველა ისინი, ვინც წინანდელი თავისი სამფლობელოდან იყო მოხსნილი და სხვისაში იქნა გადასახლებული" [1].

ყველაზე უფრო მეტ უკმაყოფილებას კი აცხადებდნენ ი ტ ა ლ ი კ ე ბ ი, რომის მოკავშირეები. ტიბერიუს გრაქხის აგრარული კანონის არამკაფიო ფორმულირების წყალობით, იტალიკები მეტად საოცარ მდგომარეობაში ცვივდებოდნენ. საერთო დებულების ძალით ისინი კარგავდნენ სახელმწიფო მიწებს, სანაცვლოდ ამისა კი არაფერს არ იღებდნენ. მიწა უნდა მისცემოდა მარტო რომაელ მოქალაქეებს. „ტიბერიუს გრაქხმა, — ამბობს ციცერონი, — უგულვებელჰყო მოკავშირეებისა და ლათინების ინტერესები და ხელშეკრულებანი" (Tib. Gracchus... sociorum nominisque Latini iura neglexit ac foedera) [2].

---

[1] A p p., Bell. civ., I, 18.
[2] C i c., De re publ., III, 41.

აქედან გამომდინარეობდა იტალიკელ მოკავშირეების აღშფოთება და გაბოროტება ტიბერიუს გრაქხის აგრარული კანონისა და თვითონ მისი ინიციატორის მიმართ. იტალიის მიწათმფლობელებს იმიტომ უფრო არ სურდათ გაშორებოდნენ თავიანთ პლანტაციებსა და ბაღებს, რომ სწორედ II ს. 30 — 20 წლებში მთელს იტალიაში მეტად უხვი მოსავალი იყო და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების არე გაფართოვდა. ბოლოსდაბოლოს, უსამართლო კანონით გაბოროტებულმა იტალიელმა მიწათმფლობელებმა გადასწყვიტეს მიემართნათ მაშინ იტალიკებს შორის პოპულარულ სციპიონ ემილიანესთვის და ეთხოვათ მისთვის სამართალი გაეჩინა და დაეფარა ისინი. სციპიონი ხალისით შეხვდა იტალიკების თხოვნას, რომელთაგანაც მრავალი მისი დროშების ქვეშ მსახურობდა. ამასთანავე სციპიონი არ იყო კმაყოფილი არც ტიბერიუს გრაქხის ყოფაქცევით და არც აგრარული კომისიის მოქმედებით. ერთიც და მეორეც მას რომის კონსტიტუციის დარღვევად ეჩვენებოდა.

129 წ. სციპიონი სენატში გამოვიდა სიტყვით, სადაც ვერ ბედავდა აშკარად დაეგმო თვითონ კანონი, რომელიც მიღებულ იქნა სასწრაფო წესით საქმის წინასწარი და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე, და აღნიშნავდა მისი პრაქტიკული განხორციელების სიძნელეს. ამის ნაცვლად სციპიონი წინადადებას იძლეოდა გაეთავისუფლებინათ სამთა კომისია სასამართლო პროცესების გარჩევისგან და ეს მიენდოთ სხვა კომისიისთვის.

სენატი დადგა სციპიონის მხარეზე და კონსულებს გადასცა სასამართლო და გარჩევა იმ სადაო საკითხებისა, რომელნიც აღიძვრებოდნენ მიწის მიზომვის დროს; აგრარულ კომისიას კი დაუტოვეს მარტო მიწების განაწილების საქმე. სასამართლო ფუნქციების ჩამორთმევა არსებითად ნიშნავდა აგრარული კომისიის ლიკვიდაციას. კონსული ტუდიტანი, რომელსაც დააკისრეს ეს სასამართლო ფუნქციები, ლაშქრად წავიდა ილირიაში და ამიტომ მისი არყოფნის გამო სასამართლოს საქმეები გაურჩეველი რჩებოდა.

გამნაწილებელი კომისიაც უმოქმედობდა, ვინაიდან არავინ არ შიმართავდა მას სადაო საკითხების გადასაწყვეტად, არ სწამდათ მისი უფლებამოსილება და მოელოდნენ კონსულის დაბრუნებას.

აგრარული კომისიის ლიკვიდაციის შემდეგ სციპიონმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი პოპულარებთან და რომის მოქალაქეობაში დაკარგა კიდეც ყოველგვარი ავტორიტეტი. რომაელთა თვალში ის ახლა იყო რომის მოღალატე და იტალიკების წინამძღოლი.

„ყოველივე ეს შეიქნა წყაროდ სიძულვილისა და აღშფოთებისა სციპიონის მიმართ, რომელიც ხალხს წინათ ასე უყვარდა, ბევრს

ებრძოდა ხალხი მისი გულისათვის ოპტიმატებს და, წინააღმდეგ, კანონისა, ხალხმა იგი ორჯერ აირჩია კონსულად. ახლა კი რომის ხალხი ხედავდა, რომ სციპიონი მას წინააღმდეგობას უწევს იტალიკების სასიამოვნოდ“ [1].

დადიოდა ხმები, რომ სციპიონი იმასაც კი ფიქრობდა, რომ საბოლოოდ მოესპო აგრარული კომისია და სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინ. ყველა ამ ხმის ზეგავლენით ქალაქში განწყობილება დაძაბული ხდებოდა.

„ყოველივე ამის მოსმენა ხალხს შიშის ზარს გვრიდა“ [2].

დასასრული ახლოვდებოდა. დილით, იმის წინა დღით, როცა სციპიონი ეპირებოდა კომიციებში გამოსულიყო სიტყვით, იგი საკუთარ სახლში იპოვეს მკვდარი, ტანზე არავითარი ჭრილობა არ აჩნდა (129 წ.).

საკითხი სციპიონის მკვლელების შესახებ გამოურკვეველივე დარჩა. მკვლელობის დამნაშავედ ასახელებდნენ პოპულარების წინამძღოლებს, პაპირიუს კარბონსა და ფულვიუს ფლაკს [3], და სციპიონის ცოლს, „ულამაზო და უნაყოფო“ კორნელია სემპრონიას, ბრაქხის დას. მეორე ვერსიით სციპიონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მოიწრაფა, დაკარგა რა, იმედი იმ აღთქმის შესრულების შესაძლებლობისა, რომელიც მან მისცა იტალიკებს. მაგრამ ვერც სციპიონის სიკვდილმა შეარიგა რომის მოქალაქეობა მის საქციელს.

„ასე, — ამთავრებს ამ წლების ამბების თხრობას აპიანე,—მოკვდა სციპიონი და მისი ცხედარი არც კი ეღირსა ზეიმით დაკრძალვას, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა რომის პოლიტიკური აღზევების ისტორიაში. ეს მაჩვენებელი იყო იმისი, თუ რამდენად რისხვა მისი უკანასკნელი საქციელის გამო აღემატებოდა მადლობას წინა ღვაწლისათვის“ [4].

ამრიგად, აგრარული საკითხიდან იზრდებოდა ახალი, არანაკლებ რთული მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა ს ა კ ი თ ხ ი. II ს. 20-იანი წლებიდან მოკავშირეთა საკითხი ხდება რომის პოლიტიკის ერთერთ მეტად სერიოზულ და მწვავე საკითხად.

ცხადი ხდებოდა, რომ მოკავშირეთა საკითხის გადაუწყვეტელად არ შეიძლებოდა თვითონ აგრარული საკითხის გადაწყვეტაც, რომელიც იდგა პოპულარების პროგრამის ცენტრში. და ამიტომაც პოპულარების წინამძღოლმა ფ უ ლ ვ ი უ ს ფ ლ ა კ მ ა, 125 წლის

---

[1] App., Bell. civ., I, 19.
[2] Ibid., 20.
[3] Schol. Bob., 365.
[4] App., Bell. civ., I, 20.

კონსულმა, მოკავშირეთა საკითხი შეიტანა დემოკრატიული პარ-ტიის პროგრამაში. რომის მიწის ფონდი თითქმის უკვე ამოწურული იყო და ამიტომ ძალაუნებურად უნდა მიემართათ მოკავშირეთა სა-ხელმწიფო მიწებისათვის. მიწათა ჩამორთმევის საკომპენსაციოდ კი ფლაკი წინადადებას იძლეოდა მოკავშირეებისათვის რომის მო-ქალაქეობის უფლებანი მიენიჭებინათ.

„ამასობაში მიწის ნაკვეთების მფლობელები სხვადასხვა გარე-მოებათა მომიზეზებით დიდი ხნობით აჭიანურებდნენ მათ განაწი-ლებას.

ზოგიერთები წინადადებას იძლეოდნენ რომის მოქალაქეობის უფლებები მიენიჭებინათ იმ მოკავშირეებისათვის, რომელნიც ეწი-ნააღმდეგებოდნენ მიწის განაწილებას. იტალიკები ამ წინადადებას სიამოვნებით მიიღებდნენ, რადგან მათ რომის მოქალაქეობა ერჩივ-ნათ მინდვრებს“ [1].

რომაელებთან უფლებებში გათანაბრება საერთო პლატფორმა იყო, რომელზედაც თანხმდებოდა ყველა იტალიკი, ამ მოთხოვ-ნილების კონკრეტული შინაარსი კი სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა-გვარად ესმოდა. მაგრამ ამ საკითხშიაც პოპულარების წინადადებას წინ ეღობებოდა სენატის ოპოზიცია, რომელსაც შესაძლებლად არ მიაჩნდა რომის ქვეშევრდომები (იტალიკები) უფლებრივად გაეთა-ნასწორებინათ რომის მოქალაქეებთან.

ამის საპასუხოდ იტალიის ზოგიერთ ქალაქში (ფრეგელი) მოხ-და სერიოზული აჯანყებები, მომავალი სამოკავშირეო ომისა ანუ იტალიის რევოლუციის მომასწავებელი. ასეთი იყო რომისა და იტა-ლიის მდგომარეობა გაიოს გრაქხის გამოსვლის მომენტში.

6. გაიოს გრაქხის სოციალურ-პოლიტიკური რეფორმები

ტიბერიუს გრაქხის რეფორმატორული მოღვაწეობის გამგრძე-ლებლად და ტრაგიკულად დაღუპული ძმის შეგინებული სახელის შურისმაძიებლად გამოვიდა გ ა ი ო ს გ რ ა ქ ხ ი, ტიბერიუსის უმ-ცროსი ძმა. პირადი ღირსება-თვისების მხრივ ორივე ძმას შორის არის როგორც მსგავსება, ისე განსხვავებანიც; ეს მსგავსება-სხვაობა შეპირობებული იყო თანდაყოლილი მიდრეკილებით, ერთის მხრივ, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ სოციალურ-პოლიტიკური გარემოებითაც, რომელშიაც მათ უხდებოდათ მოქმედება. პლუტარქოსის შედარებით

---

[1] App., Bell. civ., I, 21.

ბიოგრაფიაში ტიბერიუსი წარმოდგენილია როგორც რბილი და დამთმობი ხასიათის ადამიანი, გაიოსი კი — როგორც მგზნებარე და ფიცხი. ტიბერიუსის სიტყვა სასიამოვნო იყო და გამიზნული იქითკენ, რომ მსმენელებში თანაგრძნობისა და გულშემატკივრობის გრძნობა აღეძრა, გაიოსის სიტყვა კი მრისხანე იყო, რომელსაც შესწევდა უნარი ვნებათა აღგზნებისა. ტიბერიუსი წერდა დახვეწილი, სუფთა და ფაქიზად დამუშავებული სტილით, გაიოსი კი — ფერადოვანი, მაგრამ დამაჯერებელი სტილით. ტიბერიუსი ჭამაში გაურჩეველი იყო, გაიოსი კი, შედარებით ძმასთან, გასტრონომი გეჩვენებოდათ. სიტყვების წარმოთქმისას გაიოსი გრძნობით გატაცებული ხშირად კარგავდა ძირითად თემას, ივიწყებდა იმას, რაზედაც ლაპარაკობდა. ამ ნაკლის შესამსუბუქებლად ის თავის უკან აყენებდა მონას მუსიკალური ინსტრუმენტით, რომელსაც სიმღერის მასწავლებლები ხმარობდნენ. შეატყობდა თუ არა, რომ გაიოსი იწყებდა ყვირილს და მთავარ თემას შორდებოდა, მონა იწყებდა ფლეიტის დაკვრას, მაშინ გაიოსი გონს მოდიოდა და წყნარდებოდა. გამოჩენილ ნიჭს, ორატორულ ტალანტს, განათლებას და აზრის ძლიერებას გაიოს გრაქხისას აღიარებდნენ მისი პრინციპული მოწინააღმდეგენიც კი, როგორც, მაგალითად, ციცერონი. „რა ნიჭით, რა მჭევრმეტყველებით, რა ძლიერებითა და რა ძალოვნებით ლაპარაკობდა ის!“ (homo longe ingeniosissimus atqe eloquentissimus) [1].

გაიოს გრაქხი გამოვიდა უფრო ფართო და მოფიქრებული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამით. გაიოს გრაქხის მიერ შეტანილი და გატარებული კანონები, ერთი შეხედვით, თითქოს შემთხვევითი და ქაოტური იყო; ნამდვილად კი ეს კანონები ერთ ძირითად მიზნისკენ იყო მიმართული: შეემუსრა სენატი და შეეცვალა ოლიგარქიული კონსტიტუცია დემოკრატიული კონსტიტუციით, ბერძნული ნიმუშისამებრ.

მთლიანად რომის სახელმწიფოს ინტერესთა უზრუნველსაყოფად, მტკიცე საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად და თავისუფალი რომაელებისა და იტალიკების მონებზე ბატონობის განმტკიცებისათვის სენატის ოლიგარქია უძლური ჩანდა. აქედან გამოსული, გაიოს გრაქხი საჭიროდ თვლიდა უმაღლესი ხელმძღვანელობა სახელმწიფოში სენატისგან გადასულიყო სახალხო კრების ხელში, რომელსაც შეთაურობდა უშუალოდ თვითონ ხალხის მიერ არჩეული სახალხო ტრიბუნი. კლასობრივ ძალთა სხვა განწყობილება და მიმართება, და საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა ამოცანები მოითხოვდნენ

[1] Cic., Brutus, 126; Font., 39.

ახალ კონსტიტუციას. გაიოს გრაქხის პოლიტიკური იდეალი იყო პერიკლეს დროის ათენის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ნობილების საყრდენი იყო სენატი და თავისი შეტევებიც გაიოს გრაქხმაც პირველ რიგში მასზე მიმართა. 29 წლის გაიოსი 124 წელს არჩეულ იქნა სახალხო ტრიბუნად და არჩევის უმალვე შეიტანა ორი კანონპროექტი, მიმართული მოკლული ძმის მტერრა და საკუთარი მტრების წინააღმდეგ (statim et mors et legum fratris sui vindex)[1].

პირველი კანონი უფლებას ართმევდა თავიანთი კანდიდატურა წამოეყენებინათ საზოგადოებრივ თანამდებობაზე იმ პირთ, ვისაც ხალხმა ჩამოართვა რაიმე მაგისტრატურა. ამით იხსნებოდა მარკოს ოქტავიუსის კანდიდატურა, რომელიც ტიბერიუსის წინააღმდეგ გამოდიოდა და რომელსაც კომიციების ნებისამებრ ჩამოერთვა სახალხო ტრიბუნის წოდება.

მეორე კანონი ხალხს უფლებას ანიჭებდა სასამართლოში მიეცა ის მაგისტრატი, რომელიც რომიდან გაუსამართლებლივ აძევებდა რომის მოქალაქეს. ამ კანონს მხედველობაში ჰყავდა პოპილიუსი, რომელმაც რომიდან გააძევა ტიბერიუსის მომხრეები (C. Gracchus legem tulit ne de capite civis Romani iniusso vestro iudicaretur)[2].

ამ წინასწარი ღონისძიებების შემდეგ, რომელნიც განამტკიცებდნენ სახალხო ტრიბუნის მდგომარეობას, გაიოსმა გაატარა: 1) ა გ რ ა რ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი და 2) პ ურ ი ს კ ა ნ ო ნ ი.

გაიოსის ა გ რ ა რ უ ლ ი კანონი (lex agraria) იმეორებდა ტიბერიუსის კანონს. „გაიოს გრაქხმა შეიტანა აგრარული კანონი, როგორიც შეიტანა აგრეთვე მისმა ძმამაც“ (tulit legem agrariam quam et frater eius tulerat)[3].

აგრარულ კანონს მოჰყვა პ ურ ი ს კ ა ნ ო ნ ი (lex frumentaria), რომელიც ყოველ მოქალაქეს უზრუნველჰყოფდა უფლებით მიეღო სახელმწიფოსგან ერთგვარი საარსებო დახმარება.

„გაიოს გრაქხმა შეიტანა პურის კანონი — მიეცათ პლებეებისთვის ფქვილი $6^1/_3$ ასსად მოდიუმი“ (frumentariam legem ut senis et triente frumentum plebei darentur)[4].

თვითონ იდეა ამ კანონისა ახალი როდია. სხვადასხვაგვარი გაბოძებისა და საჩუქრების სახით დახმარების აღმოჩენის პრაქტიკა

---

[1] Flor., II, 3.
[2] Cic., Pro Rab., 12.
[3] Liv., Epit, 60.
[4] Ibid.

არსებობდა გრაქხებამდეც. გრაქხმა განაზოგადა წინანდელი პრაქ-ტიკა, გადასცა რა იგი კერძო პირთა ხელიდან სახელმწიფოს განმ-გებლობაში. მნიშვნელოვანი იყო თვითონ პრინციპი იმისა, რომ სა-ხელმწიფო ივალდებულებდა თავს შეენახა უქონელი მოქალაქეები.

გაიოს გრაქხის კანონით, სახელმწიფო იღებდა თავის თავზე ვალდებულებას ქალაქ რომის მცხოვრებლებისთვის მარცვლეული მიეყიდნა ბაზრის ფასებზე ნაკლებად. ასეთი კანონის სოციალური აუცილებლობა გასაგებია. რომი სავსე იყო მცირემქონე და უქო-ნელი მოქალაქეებით, რომელნიც იჩაგრებოდნენ პირველი საჭიროე-ბის საგანთა სიძვირის გამო. უახლოესად კი პურის კანონს მხედვე-ლობაში ის ჰქონდა, რომ ნობილებისგან ჩამოეცილებინათ კლიენ-ტები, რომელთაც იზიდავდა პურის დარიგება.

კანონს რომის მოსახლეობა ენთუზიაზმით შეხვდა, თუმცა ის ოდნავადაც არ სწყვეტდა ყველა სასურსათო სიძნელეს.

მაგრამ გაიოს გრაქხის პურის კანონს ჰქონდა თავისი უარყო-ფითი მხარეც. დასარიგებლად დანიშნული პური შემოჰქონდათ პროვინციებიდან და ათავსებდნენ სახელმწიფო ბეღლებში (horrea Sempronia), რომელნიც სპეციალურად ამ მიზნისთვის ააგეს. შე-ზიდული იაფი პურის დენა ფასს უკარგავდა ადგილობრივ იტა-ლიურ პურს და ამით საზიანო გავლენას ახდენდა იტალიის სოფლის მეურნეობასა და პურის ბაზარზე.

ქალაქის მცირემქონე ფენების მიერ სიხარულით მიღებულმა პურის კანონმა გაიოსი გახადა რომში მეტად პოპულარულ ადამია-ნად (amantissimus plebis Romanae)[1] და მას უზრუნველი შეუქმ-ნა ხმების უმეტესობა მომდევნო 122 წლისთვის ტრიბუნად არჩე-ვის დროს.

„შემდგომ ამისა გაიოსი არჩეულ იქნა ტრიბუნად მომავალი წლისთვის. ამ დროს გავიდა განსაკუთრებული სპეციალური კანონი ტრიბუნატის შესახებ. სახალხო ტრიბუნი, რათა შემდგომი წლის-თვის კვლავ ყოფილიყო არჩეული, საკმარისი იყო მხოლოდ სახალხო კრებას აერჩია იგი“[2].

სახალხო ტბირუნად არჩევის შემდეგ გაიოს გრაქხი დაუყოვ-ნებლივ შეუდგა თავისი პროგრამის განხორციელებას. პირველი პრობლემა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა გაიოს გრაქხს ისევე, რო-გორც თავის დროზე მის ძმას ტიბერიუსს, იყო ფ ი ნ ა ნ ს ი უ რ ი პ რ ო ბ ლ ე მ ა. აგრარული კომისიის მუშაობისათვის, გაბოძებათათ-

---

[1] Cic., De lege agr., II, 10.
[2] App., Bell. civ., I, 21.

ვის, შენობებისათვის, გზებისათვის, საქონლის შესაძენად და მისთანა სხვისათვის საჭირო იყო ფული. სახელმწიფო ხაზინა კი ცარიელი იყო და ამიტომ ერთადერთი გამოსავალი კრიტიკული მდგომარეობიდან იყო ის, რომ სესხი ეთხოვა რომის ფინანსისტებისათვის, ე. ი. მხედრებისათვის. აქედან გამომდინარეობდა გრაქხის დაახლოება მხედართა წოდებასთან, რამაც გაჯამწყვეტი გავლენა მოახდინა მისი პოლიტიკის მთელ შემდგომ კურსზე და დააშორა იგი თავდაპირველ პროგრამას.

სესხის უზრუნველსაყოფად მხედრები იღებდნენ პროვინცია ა ზ ი ი დ ა ნ შემოსავლის აკრეფის უფლებას (lex de provincia Asia); აზია ამის წინა ხანებში წარმოიქმნა ყოფილ პერგამონის სამეფოსგან, რომელიც იყო ერთერთი მეტად მდიდარი ჰელინისტური სამეფო. აზიაში მხედართა ამხანაგობებს ეძლეოდათ შესასყიდად ყველა პროდუქტზე მეათედის აკრეფა (decima), საზოგადოებრივ მინდორზე საძოვრების საიჯარო ფასის აკრეფა (scriptura), საბაჟო გამოსაღების აკრეფა (portoria) და სახელმწიფო შემოსავლის სხვა მსხვილი წყაროები. აუქციონები კი, სადაც წარმოებდა შესასყიდ წყაროთა გაცემა, თვითონ რომშივე ხდებოდა; ამის წყალობით გამორიცხული იყო ადგილობრივ ფინანსისტების მეტოქეობა და უზრუნველყოფილი რჩებოდა რომის მხედართა წოდების მონოპოლია.

შემდეგი კანონი, რომელიც გატარებულ იქნა უკვე სავსებით მხედართა ინტერესების შესაბამისად, იყო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო კ ა ნ ო ნ ი (lex iudiciaria). გაიოსმა ხელზე დაიხვია რამდენიმე სენატორ-მოსამართლის მექრთამეობაში ბრალდება, როგორც საბაბი, და 122 წელს შეიტანა კომიციებში ახალი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო კ ა ნ ო ნ-პ რ ო ე ქ ტ ი, რომელიც „მუდმივ კომიციებში“ ადგილებს ანაწილებდა თანასწორად ნობილებსა და მხედრებს შორის, თვითეული მხრიდან 300 კაცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს მარტო დასაწყისი იყო. მალე სენატორები სრულიად იქნენ გარიცხული ნაფიცთა შემადგენლობიდან, და სასამართლო მთლიანად მხედართა ხელში გადავიდა. სასამართლოთა გადაცემა მხედრებისადმი სენატისა და ნობილიტეტისთვის მძიმე დანაკარგი იყო.

ამბობენ, რომ როგორც კი კანონი მიღებულ იქნა, გაიოსმა წამოიძახა: „მე ერთი დარტყმით გავანადგურე სენატი“. გრაქხის ეს სიტყვები უფრო მკაფიოდ გამართლდა შემდგომ ხანებში, როცა მისმა რეფორმამ იწყო პრაქტიკაში განხორციელება. „ვინაიდან მხედრებისათვის სამოსამართლო რწმუნებების მინიჭებამ, რომაელების, ყველა იტალიკისა და თვით სენატორების მიმართ, დაესაჯათ ესენი ზემოქმედების ყოველნაირი ღონისძიებით, ფულადი ჯარიმით,

სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევით, გაძევებით — ყოველივე ამან მხედრები, როგორც მაგისტრატები, სენატზე უფრო მაღლა დააყენა, ხოლო უკანასკნელის წევრები გაათანასწორა მხედრებთან ან მორჩილ მდგომარეობაშიაც კი ჩააყენა ესენი“ [1].

რომაელმა პუბლიკანებმა, რომელთაც ოჯარით აიღეს აზიის შემოსავალი, მოახერხეს სავსებით გამოეყენებინათ, რასაკვირველია, გადამხდელების საზიანოდ, მათდამი მინიჭებული უპირატესობანი. „აზიელი პუბლიკანები, — შენიშნავს ამ ამბის გამო დიოდორე, — კომპანიონები იყვნენ რომაელი მოსამართლეებისა და იმას ჩადიოდნენ, რაც მოესურვებოდათ, აღავსებდნენ პროვინციას თვითნებობითა და ბოროტმოქმედებითაო“ [2].

პროვინციების დაუფლება, რაშიაც ყველაზე უფრო მეტად დაინტერესებული იყვნენ მხედრები, გულისხმობდა რომის სამხედრო და სახელმწიფო ძლიერებას. ხოლო ერთიც და მეორეც დამოკიდებული იყო იტალიის შინაგან სიმტკიცეზე, მისი მეურნეობის მდგომარეობაზე და ქონებრივად უზრუნველყოფილ მოქალაქეთა, რომის ლაშქარს რომ შეადგენდნენ, საკმაო რიცხვზე.

იტალიის სამხედრო-ეკონომიურ აღორძინებისაკენ იყო კიდეც, პირველ ყოვლისა, მიმართული გრაქხების სოციალური პოლიტიკა. ამის მიღწევას ისინი იმედეულობდნენ: 1) იტალიის საწარმოო ძალების გაძლიერებით, 2) ფართო კოლონიური პოლიტიკით და 3) რომის მოქალაქეთა შორის იტალიკების ჩარიცხვით, პირველ რიგში ლათინების ჩარიცხვით; ესენი იყვნენ მათი მეზობლები, ენათესაებოდნენ ენით, კულტურით და ყველაზე უფრო მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებული მთელ რომის პოლიტიკასთან.

იტალიის ეკონომიური ცხოვრების გაცხოველებისათვის გაიოს გრაქხმა წამოიწყო გზების, ხიდების, ნავსადგურების, პურის ბეღლების (Sempronia horrea) და სხვა მსგავსი სახელმწიფო მასშტაბის ნაგებობათა მშენებლობის გრანდიოზული გეგმა.

გაიოს გრაქხის ეკონომიურ პოლიტიკაში პირველხარისხოვანი ადგილი ეჭირა კ ო ლ ო ნ ი ურ პ ო ლ ი ტ ი კ ას. ველეუს პატერკულის სიტყვით, გაიოს გრაქხს განზრახვა ჰქონდა მთელი იტალია კოლონიებით მოეფინა. კოლონიების მოწყობით გაიოსს აზრად ჰქონდა გადაეწყვიტა არა მარტო დემოკრატიული პარტიის ძირითადი საკითხი—საშუალო და წვრილი მიწათმფლობელების რიცხვის გაზრდა, არამედ რომის სახელმწიფოს საწარმოო ძალების განვითა-

---

[1] App., Bell. civ., I, 22.
[2] Dio XXXVII, 5.

რების ამაღლებაც. კოლონიები არსდებოდა სავაჭრო ადგილებში, გზა-ჯვარედინებზე და საზღვაო გზებზე. მათ პირველ რიგში უნდა აღეძრათ ინტერესი შეძლებულ ელემენტებს შორის, ესენი იყვნენ ვაჭრები, წამომწყებნი და ფინანსისტები, ამათ უნდა გაეცხოველებინათ ეკონომიკა, გაეზარდათ ხაზინაში შემავალი ბაჟის რიცხვი (nova constituebat portoria) და ამასთანავე ერთად ბუნებრივი გზით ცენტრიდან მოეშორებინათ ჭარბი მოსახლეობა, რომელიც სახელმწიფო ხაზინას უკვე მძიმე ტვირთად აწვებოდა.

განზრახული ჰქონდათ კოლონიები დაეარსებინათ იტალიასა და პროვინციებში. იმ იტალიურ კოლონიათა შორის, რომელნიც გრაქხმა გაითვალისწინა, ცნობილია სამი კოლონია: 1) ბერძნული ქალაქი ტარენტუმის ადგილას (Colonia Neptunia); 2) ძველი სკილაციუმის ადგილას (Colonia Minervia); 3) მესამე ქ. კაპუას ადგილას, რომელიც აოხრებული იყო ჰანიბალის ომის დროს. პროვინციულ კოლონიებს შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო Colonia Iunonia (კართაგენის ადგილას), რომელიც უნდა მეტად მსხვილი ე მ პ ო რ ი უ მ ი (ნავსადგური) შექმნილიყო ხმელთაშუაზღვეთის დასავლეთ ნაწილში.

„ხალხს უკვირდა, როცა ხედავდა, რომ მას ბუზივით გარს ეხვევნენ მოიჯარენი, არქიტექტორები, ელჩები, მაგისტრატები, ჯარისკაცები და სწავლულები. ყველას ის თავაზიანად ექცეოდა, თანაც დარბაისლურად ეჭირა თავი და თავაზიანად მოპყრობისას თვითეულთან ისე იქცეოდა, როგორც ეს საჭირო იყო. ამრიგად, მას უნარი ჰქონდა ხალხის გული მოეგო უფრო თავისი მოპყრობით, ვიდრე ტრიბუნაზე წარმოთქმული სიტყვებით“ [1].

მის ხელში თავს იყრიდა მართველობის ყველა ძაფი, ის იყო განახლებული აგრარული კომისიის მეთაური, თავმჯდომარეობდა აუქციონების დროს, მეთაურობდა სასურსათო (curator annonae და საგზაო (curator viarum) საქმეს.

იგივე ხელმძღვანელობდა ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს საქმეებსაც. როგორც მედიატორე გაიოს გრაქხი ერეოდა აღმოსავლეთის მეფეთა: ბითინიის მეფის — ნიკომედისა და პონტოს მეფის — მითრიდატის, სახელოვანი მითრიდატ დიდის მამის, საქმეებში.

იტალიაში და იტალიის გარეშე ფართო კოლონიზაციამ ნამდვილი პანიკა შექმნა ოპტიმატ-პოსესორების წრეში მას მერე, რაც გამოვიდა ტიბერიუს გრაქხის კანონი საადგილმამულო მაქსიმუმის დაწესების შესახებ პროვინციულ საადგილმამულო ფონდისათვის. გრაქხის კო-

---

[1] Plut., T. Gracchus, VI.

ლონიური პოლიტიკა ქმნიდა საფრთხეს ოკუპაციის შემცირებისა-
არა მარტო იტალიაში, არამედ პროვინციებშიც, მეტადრე უფრო-
მდიდარ და თავისი ნაყოფიერებითა და საძოვრებით განთქმულ-
პროვინციებში, როგორიც იყო, მაგალითად, აფრიკის პროვინცია.
ველეი პატერკული უმცროსი გრაქხის საკოლონიზაციო კანონს
უწოდებდა უსაშინელესსა და მეტად დამღუპველ კანონს (perniciosum); დამღუპველს, რასაკვირველია, მსხვილი პოსესორების თვალ-
საზრისით. „გაიოს გრაქხის კანონებს შორის ყველაზე უფრო დამ-
ღუპველ კანონად (perniciosissimum) მე ვთვლი იტალიის საზღვ-
რებს გარეშე კოლონიების მოწყობის კანონს (extra Italiam colonias posuit). ჩვენი წინაპრების პოლიტიკა უფრო გონივრული იყო.

...ისინი ხალისიანად გაურბოდნენ იმას, რომ პროვინციებიდან-
იტალიაში გაეწვიათ რომაელი მოქალაქეები ცენზთან დაკავშირე-
ბულ საქმეების გამოო" (Id maiores diligenter vitaverant, ut cives Romanos ad censendum ex provinciis in Italiam revocaverint)[1].

არანაკლები ოპოზიცია შეხვდა მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ ო ნ ს ა ც (lex de civitate sociis danda), რომელიც გაიოსმა-
გაატარა თავისი ტრიბუნობის დროს (dabat civitatem omnibus Italicis)[2].

როგორც ტიბერიუსის დროს, ახლაც მოკავშირეთა შესახებ კა-
ნონს ოპოზიციით შეხვდნენ როგორც სენატში, ისე კომიციებში,
რომელთაც არ სურდათ დაეთმოთ თუნდაც ნაწილი თავისი უფლე-
ბებისა.

„ლათინები ჩვენს ადგილს დაიკავებენ სახალხო კრებაში, ას-
პარეზობაში, დღესასწაულებისა და გაბოძებათა დროსო", — ასე
გამოთქვა ოპოზიციის განწყობილება სამოკავშირეო კანონის ერთ-
ერთმა შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, კონსულმა ფანიუსმა.

საერთო უკმაყოფილების ნიადაგზე გაერთიანდნენ რომის მოქ-
ალაქეთა ყველა ფენები — ნობილები, მხედრები, ქალაქისა და სოფ-
ლის პლებსი, — რომელნიც დაინტერესებული იყვნენ ქალაქ რო-
მის პოლიტიკურ მონოპოლიის შენარჩუნებაში. ოპოზიციას სათავე-
ში ედგა სახალხო ტრიბუნი მ ა რ კ ო ს ლ ი ვ ი უ ს დ რ უ ზ უ ს ი (უფროსი), რომელიც ეკუთვნოდა დრუზუსების გავლენიან სენა-
ტორულ გვარს (Drusi). გრაქხების რეფორმათა პროექტების საწი-
ააღმდეგოდ დრუზუსმა წამოაყენა სენატის სახელით კონტრ-
პროექტი.

---

[1] Vell. Pat., II, 15.
[2] Ibid., II, 6.

გრაქხის მიერ პროექტირებული სამი კოლონიის ნაცვლად დრუზუსი წინადადებას იძლეოდა იტალიაში დაეარსებინათ 12 კოლონია და თვითეულში ყოფილიყო 3 ათასი მიწის ნაკვეთი. დრუზუსის კოლონიები მეტი იყო, ისინი არსდებოდნენ წვრილი მიწათმფლობელების ინტერესების შესაბამისად და თავისუფალი იყვნენ გადასახადისგან.

თავისი პოლიტიკით ლივიუს დრუზუსი ფიქრობდა ერთბაშად რამდენიმე მიზნისთვის მიეღწია: 1) საზოგადოების ყურადღება გაიოს გრაქხის მიმართ მიენელებინა, 2) კანონმდებლობითი ინიციატივა პოპულარული ტრიბუნისგან გადასულიყო სენატის ხელში და 3) მიწათმფლობელ-ოპტიმატებისთვის, რომელნიც ფულს საჭიროებდნენ, მიეცა საშუალება შესაფერ და მისაღებ ფასებში გაეყიდნათ თავიანთი ნაკლებშემოსავლიანი მიწები.

დრუზუსის გამოსვლამ გარდამწყვეტი როლი ითამაშა გაიოს გრაქხის მთელს შემდგომ ისტორიაში. დრუზუსის გამოსვლით გამხნევებულმა ოპტიმატებმა იწყეს უფრო თამამად მოქცევა, გრაქხს დემაგოგობას და ტირანიისკენ ლტოლვას აბრალებდნენ და სხვადასხვა რამის მომიზეზებით რომიდან იშორებდნენ მის მომხრეებს — ლათინებსა და სხვა იტალიკებს. გრაქხის მტრებს მით უფრო თავისუფლად და იმედიანად შეეძლოთ მოქმედება, რომ თვითონ გაიოს გრაქხი ამ დროს ორთვენახევრის განმავლობაში რომში არ ყოფილა, ვინაიდან ის, როგორც აგრარული კომისიის ტრიუმვირი, გართული იყო კართაგენში კოლონიის დაარსებით. ოპტიმატებმა ისარგებლეს პოპულარული ტრიბუნის იქ არყოფნით, მოახდინეს მობილიზაცია თავისი კლიენტელასი, თავის გარშემო შემოიკრიბეს და გაიერთიანეს გრაქხის პოლიტიკით უკმაყოფილო ყველა ელემენტი.

მიზანი მიღწეულ იქნა, გაიოსის მდგომარეობა 122 წ. დასასრულისათვის იმდენად შეირყა, რომ დამდეგ 121 წლისთვის ის სახალხო ტრიბუნად არც კი იყო არჩეული და იმავე 121 წელს კონსულმა ოპიმიუსმა წინადადება შეიტანა გაეუქმებინათ გრაქხის კანონი კოლონიათა შესახებ, და საამისოდ ხელზე საბაბად დაიხვიეს გავრცელებული ხმები იმ ცუდი წინანიშნების შესახებ, რომელნიც მიიღეს კართაგენში გასაშენებლად განზრახულ კოლონიის ადგილას.

ოპიმიუსის წინადადება უნდა დასამტკიცებლად გადაეცათ კომიციებში. ქალაქში განწყობილება მღელვარე, შფოთიერი იყო, ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა მოახლოებული კრებისათვის. ოპიმიუსმა ბრძანება მისცა მხედრებს, რომელნიც ახლა ოპტიმატებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, შეეიარაღებინათ მონები და შეია-

რაღებული მოსულიყვნენ კაპიტოლიუმზე, სადაც ხმისმიცემა უნდა მომხდარიყო. მაგრამ ხმის მიცემამდე არც კი მისულა საქმე: თავმოყრილ პოპულარებსა და ოპტიმატებს შორის მოხდა შეტაკება, რომელიც დათავდა ვინმე ანტილიუსის, კონსულის ლიქტორის, მოკვლით. შეჯგუფულ ბრბოში სამსხვერპლოსკენ რომ გზას იკვლევდა, ანტილიუსმა პოპულარებს შეურაცხყოფა მიაყენა თავისი შეძახილით: „გაიწიე განზე, ბრბოვ, გზა მიეცი რიგიან ხალხსაო“, — რის გამო გააფთრებულმა ხალხმა იგი მოჰკლა.

ოპიმიუსმა ისარგებლა ანტილიუსის მოკვლით, მოიწვია სენატის სასწრაფო სხდომა, სადაც მეტად მუქი ფერებით დაუხატა სენატორებს შექმნილი მდგომარეობა, და მოითხოვა პოპულარების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღება. სენატმა, მოისმინა რა ოპიმიუსის მოხსენება, გაიზიარა კონსულის თვალსაზრისი და ქალაქში გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა, კონსულს კი არაჩვეულებრივი რწმუნება მისცა: „დაე უყუროს კონსულმა, რათა სახელმწიფოს არავითარი ზიანი არ მოუვიდეს“ (videat consul, ne quid Res publica detrimenti capiat)[1].

. მისდა მინიჭებული არაჩვეულებრივი რწმუნების ძალით, ოპიმიუსმა შეიარაღებული რაზმით, რომელიც შესდგებოდა მხედრებისა და კრეტელ მოისრეებისგან, ალყა შემოარტყა ავენტინუმს, სადაც გამაგრდნენ გრაქხის მომხრეები ფულვიუს ფლაკის მეთაურობით. უკანასკნელ წუთას ფლაკმა მონებს მოუწოდა აჯანყებისა და თავისუფლებისაკენ[2]. მაგრამ მისი ხმა შესმენილი ვერ იქნა, უკვე ძალიან დაგვიანებული იყო. ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის მოხდა გაშმაგებული შეტაკება, რომელიც გათავდა გრაქხის მომხრეთა დამარცხებით, რომელთაც ეჭირათ მეზობელი გორაკები, სახლების სახურავები და ტაძრები (templis locisque editoribus occupatis)[3].

რომის ქუჩებში სისხლიანი სცენები დატრიალდა: ბრბო იკლებდა და აწიოკებდა პოპულარების სახლებს, მასობრივად აპატიმრებდნენ, საპყრობილეები გაივსო პატიმრებით, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. ერთობ ბრძოლაში დაიღუპა 3 ათას კაცზე მეტი, რომელთა გვამებიც ჩაყარეს ტიბრში.

თვითონ გრაქხმა მოახერხა გადარჩენა, გაიქცა ტიბრის გაღმა „ფურიათა ჭალაში“, სადაც მას წამოეწივნენ ფეხდაფეხ დადევნებუ-

---

[1] Sall., Cat., 29; Cic., p. Mit., 26; Cat., I, 1; Diod., XXXIV., 28.
[2] Oros., V, 12.
[3] Caes., Bell. civ., I, 7.

ლი მისი მტრები და, რადგან გამოუვალი მდგომარეობა შეიქნა, მასთან ხლებულ მონას უბრძანა მისთვის ბოლო მოეღო.

გაიოს გრაქხისა და ფულვიუს ფლაკის თაეებისთვის ოპიმიუსმა ჯილდო გამოაცხადა. გაიოსის გვამი იპოვა ვინმე სეპტიმულეიმ, მოაჭრა თავი, ამოიღო ტვინი, ხოლო გათავისუფლებული სივრცე ამოავსო ტყვიით, წონაში რომ მეტი მოსულიყო. გაიოსის თავი აწონილ იქნა და სეპტიმულეიმაც მიიღო აღთქმული ჯილდო — გაიოსის თავის წონა ოქრო.

ოპტიმატების წინამძღოლმა და გმირმა ოპიმიუსმა იდღესასწაულა გამარჯვება და ქალაქის გაწმენდა თანხმობის ქალღმერთის სახელობაზე ტაძრის (Concordia) საძირკვლის საზეიმო ჩაყრით აღნიშნა.

ასეთი იყო იმ დიადი სოციალური დრამის პირველი აქტის დასასრული, რომელიც ისტორიაში ცნობილია რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ბ ო ლ ო დ რ ო ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი ს სახელით.

რომის ხალხში გრაქხების სახელი ყოველთვის იხსენიებოდა უდიდესი პატივისცემით და თავაზით, როგორც პირველი რევოლუციონერების, ხალხის უფლებისა და მიწისათვის მებრძოლთა სახელი („Gracchi... turbatores plebis“ [1]; in ea seditione, qua Gracchus occisus est) [2].

რომის ხალხმა დაამტკიცა, თუ რარიგ უყვარდა გრაქხები, იმით, რომ თვალსაჩინო ადგილას აღმართა მათი ქანდაკებანი, ხოლო ის ადგილები, სადაც ისინი მოკლულ იქნენ, წმინდა ადგილებად გამოაცხადა, მათ თაყვანს სცემდნენ წლის ყველა დროის ნაყოფთა შეწირვით. ბევრნი ყოველდღიურადაც კი სწირავდნენ მსხვერპლს და იმ ადგილას ისე დაიარებოდნენ, როგორც ტაძარში“ [3].

საისტორიო ლიტერატურაში ძმათა გრაქხების რეფორმათა მნიშვნელობას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ზოგი ისტორიკოსი მეტად ამცირებს მათ მნიშვნელობას, მეორენი კი, პირიქით, გადაჭარბებულ შეფასებას აძლევენ. გრაქხების რეფორმატორული მოღვაწეობის ობიექტურად მართებული შეფასების სიძნელე მდგომარეობს ამ რეფორმათა მრავალფეროვნებაში.

თავისი რეფორმებით გრაქხებმა განბორკეს რომის საზოგადოების შინაგანი ძალები, გააძლიერეს იტალიის რომანიზაცია და ნიადაგი შეუმზადეს რომის მოქალაქეობაში იტალიკების ჩარიცხვას.

---

[1] Tacit., Ann., III, 27.
[2] Dig., XXIV, 3, 66.
[3] Plut., G. Gracchus, XVIII.

სათემო მიწების განაწილებით, კოლონიების მოწყობით, გზების გაყვანით და იტალიის სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებით მათ ფართო ასპარეზი გაუხსნეს სავაჭრო კაპიტალის, ფულადი მეურნეობის და მონათმფლობელურ საფუძველზე კერძო საკუთრების განვითარებას და ამით დააჩქარეს რომის გადაქცევა ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად.

უფრო მეტი სარგებლობა გრაქხების პოლიტიკამ მოუტანა მ ხ ე დ ა რ თ ა წ ო დ ე ბ ა ს (ordo equester) მდიდარ პლებეებსა და ნობილების იმ ნაწილს, რომელმაც მოახერხა ეკონომიურ დარგში მხედრების მეთოდების ათვისება და შეეგუა ახალ სოციალურ-ეკონომიურ წესწყობილებას. აღნიშნული ჯგუფების ინტერესებით ძირითადად განისაზღვრებოდა რომის შემდგომი შინაგანი და საგარეო პოლიტიკა. მათი ინტერესების შესაბამისად და მათი ზემოქმედებით ხდებოდა სახელმწიფო აპარატის გადახალისება, ისპობოდა სახელმწიფოს წინადროინდელი დაწესებულებანი, კარგავდნენ თავიანთ მნიშვნელობას ერთწლიური კოლეგიური მაგისტრატურები, ხოლო ხელმძღვანელი როლი საგარეო და შინაგან პოლიტიკის სფეროში სენატისგან გადადიოდა კომიციების განმგებლობაში, რომელთაც მესვეურობდნენ სახალხო ტრიბუნები.

რაც შეეხება რეფორმების პირდაპირ მიზანს — წვრილი საკუთრების კვლავ აღდგენას, ამ მხრივ გრაქხებმა მიაღწიეს მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებებს, მაგრამ მაინც მიაღწიეს. ამის მიზეზი მდგომარეობდა გლეხური მიწათმფლობელობის მერყეობაში, ნაკლებ სიმტკიცეში, იმაში, რომ ამ მიწათმფლობელობას არ შესწევდა უნარი მეტოქეობა გაეწია პლანტაციურ მეურნეობისათვის, რომელიც იყენებდა მონურ შრომას და ბაზართან იყო დაკავშირებული.

წვრილი მეურნეობის მერყეობას გრძნობდნენ თვითონ გრაქხებიც, რომელნიც კრძალავდნენ გადამიჯვნის დროს მიღებული ნაკვეთების გასხვისებას. მაგრამ რადგანაც ეს აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა საერთო ეკონომიურ ტენდენციას, ამიტომ მალე გრაქხების სიკვდილის შემდეგ გაუქმებულ იქნა და აგრარულ ურთიერთობათა განვითარება ბუნებრივ მსვლელობის. ამარა იქნა დატოვებული. გრაქხების პოსესორთა შორის ბევრი გაჩანაგდა, სხვანი კი პლანტატორები შეიქნენ.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ არასდროს არც გრაქხების დროს და არც მათ შემდეგ არ ყოფილა საშუალო და წვრილი მეურნეობის აბსოლუტური გამოდევნა. ყველაზე უფრო მტკიცედ იყო გლეხური მიწათმფლობელობა იტალიის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ნაწილში, რომელმაც უფრო მეტად შეინარჩუნა მატე-

რიალური მეურნეობის ნიშნები და რომელსაც ნაკლებად შეეხო მონათმფლობელობა.

ბრძოლა მსხვილსა და წვრილ მიწათმფლობელობას შორის წითელი ზოლივით გადის რომის მთელ ისტორიაზე და, კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, სულ სხვადასხვა ფორმაში მეღავნდება.

ყველაზე უფრო მტკიცედ ეჭირა თავი წვრილ მიწათმფლობელობას იტალიის მთაგორიან ნაწილებში (სამნიუმი) და ჩრდილო იტალიაში, ხოლო ყველაზე უფრო ადრე იგი გაჰქრა ლაციუმში, ეტრურიასა, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში, მონათმფლობელურ მეურნეობათა და მონათა აჯანყების კლასიკურ ქვეყნებში. მაგნატების გაჩენისთანავე იტალიის გლეხობა ვარდებოდა მათგან კლიენტურ დამოკიდებულებაში, ნაწილობრივ ინარჩუნებდა თავის საკუთრებას, ნაწილობრივ კი ხდებოდა მათი მამულების მოიჯარედ.

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა, გრაქხების რეფორმებით დასუსტებული, გაძლიერდა რეაქციის წლებში, რომელიც გრაქხების სიკვდილის შემდეგ დადგა. უშუალოდ გრაქხების სიკვდილის შემდეგ გამოცემულ აგრარულ კანონებს (lex Boria, lex Thoria) და სხვათ) მიზნად ჰქონდათ შეძლებისამებრ შეენარჩუნებინათ გრაქხებამდელი დროის მიწის სამფლობელოები (vetus possessio), დაეჩქარებინათ როგორც იტალიაში, ისე პროვინციებში ოკუპირებული მიწების სრულ კერძო საკუთრებად გადაქცევა (dominium ex iure Quiritium) და მოესპოთ მიწის შემდგომი გადამიჯვნა.

გრაქხების მომდევნოდროის აგრარულ კანონთა გრძელ წყებაში პირველი ადგილი უჭირავს 111 წ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ს (lex agraria), რომელსაც ხანდახან მიაწერენ სახალხო ტრიბუნს სპურიუს თორიუსს. 111 წლის კანონი ერთ მთლიან სახეს აძლევდა და თავს უყრიდა წინა წლების ყველა იმ კანონებს, რომელნიც ეხებოდნენ საადგილმამულო ურთიერთობას იტალიასა და პროვინციებში [1].

თავისი მოცულობით 111 წლის კანონი მეტად დიდია, დაწერილია არქაული ენით, გრძელი პერიოდებით ერთიდაიმავე სიტყვებისა და გამოთქმათა დაუსრულებელი განმეორებით, რაც აძნელებს მისი აზრის გაგებას.

მაგრამ, მიუხედავად ამ სიტყვიერი ფორმულირების სავსებითი უსრულობისა და ნაკლულოვანობისა, გარჩეული კანონის ძირითადი

---

[1] ამ ვრცელი და უაღრესად ძვირფასი ისტორიული ძეგლის, ბრინჯაოს დაფაზე რომაა ამოკვრილი, ტექსტი აღდგენილია და კომენტირებული მომზენისა. და რუდორფის მიერ (Rudorff, Zeitschrift für geschicht., Rechtwissensch., X, 46).

იდეა მაინც სრული სიცხადით მჟღავნდება. კანონის ცენტრალური აზრი ოჯარით აღებული საზოგადოებრივი მიწის პირად საკუთრებად გადასვლის შესახებ სხვადასხვანაირი კომბინაციით მეორდება ყოველ პარაგრაფში. კანონმდებელი სულ მუდამ იხსენიებს, რომ მიწის დროებითი მქონებელი ამიერიდან ხდება სრული მესაკუთრე, რომელსაც ძალუძს თავისი სურვილისამებრ დაეუფლოს, მოიხმაროს და დასტკბეს თავის საკუთრებით (habere, frui, possidère, defendere).

„საზოგადოებრივი მინდორი (ager poplicus populi Romani) იტალიასა და პროვინციებში, იმის გამოკლებით, რაც გრაქხის, გაიოს სემპრონი ტიბერიუსის შვილის, სახალხო ტრიბუნის, პლებისციტის თანახმად (ex lege plebeive scito) ამიერიდან ვეღარ იქნება განაწილებული... ყოველივე, რაც კი ამ მინდვრიდან წინანდელმა მფლობელმა (vetus possessor) აიღო და თავისად დაიტოვა, ყოველივე ეს, თუ კი იგი არ აღემატება დადგენილ ნორმას, ხდება პოსესორის კერძო საკუთრებად" (is ager privatus esto)[1]. ყოველივე ის, რაც მიწის მფლობელობისა და იმ საქონლის რაოდენობის ნორმას აღემატებოდა, რომელსაც საზოგადო საძოვარზე აშვებდნენ, სემპრონიუსის პლებისციტით რომ იყო დადგენილი (quod non modus maior siet, quam quantum unum hominem ex lege plebeive scito sibei sumere relinquere licuit)[2], გადადიოდა ხაზინის განკარგულებაში (si quis faxit quotiens faxsit, in agri iugera)[3]. რასაკვირველია, სულ სხვა საკითხია, თუ კანონით დადგენილ მაქსიმუმს რამდენად იცავდნენ სინამდვილეში.

იმ საზოგადოებრივი მიწების გარდა, რომელიც ოკუპირებულ იქნა სემპრონიუსის კანონის შემოღებამდე, პოსესორების სრულ მფლობელობაში გადადიოდა აგრეთვე ის მიწები, რომელიც შეძენილ იქნა უკვე სემპრონიუსის კანონის გამოცემის შემდეგ და კულტურულ მდგომარეობაში იყო, მოცულობით არა უმეტეს 30 იუგერისა.

„თუ კი ვინმე ფლობს საზოგადო მიწას და ამუშავებს მას (agricolendi causa), მაშინ მას იგი ექნება შემდეგშიაც და იმფლობელებს მას კერძო საკუთრების უფლებით" (possidebit habebitque is ager privatus esto)[4]. სამფლობელოზე კერძო საკუთრების აღიარებიდან

---

[1] „Lex agraria 111". Bruns. Fontes iuris Romani, გამოცემა მე 7, გვ. 73—89

[2] Ibid., 2

[3] Ibid., 25.

[4] Ibid., 13.

ლოგიკურად გამომდინარეობდა უფლება მისი თავისუფლად გასხვისების, გაყიდვის, დაგირავების და ანდერძით გადაცემისა, ერთი სიტყვით, განუსაზღვრელი კერძო საკუთრების უფლება.

111 წლის აგრარული კანონის ისტორიული მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ამ კანონის ძალით იტალიისა და პროვინციების მიწების დიდი ნაწილი ტრიალში შედიოდა, სხვა საქონელთან ერთად ხდებოდა სყიდვა-გაყიდვის ობიექტად და ხვდებოდა მდიდარი და სარისტიანი პატრონების ხელში. მცირეძალოვან მიწათმფლობელთა უმეტესობისათვის კი 111 წლის კანონი გამაჩანაგებელი იყო, რამდენადაც იგი აჩქარებდა მიწათმფლობელობისა და მიწის სარგებლობის ძველი ფორმებისგან ახალ ფორმებზე გადასვლის პროცესს, აჩქარებდა სათემო მფლობელობისგან კერძო საკუთრების უფლებაზე გადასვლის პროცესს (is ager locus domneis privatus ita, utei quoi optuma lege privatus est, esto)[1]. მფლობელობის ანალოგიური ნორმები დაწესდა აგრეთვე პროვინციებისათვისაც. სამწუხაროდ, 111 წლის კანონთა დიდი ნაწილი, რომელიც შეეხება პროვინციებს, დაღუპულია. გადარჩა მხოლოდ პარაგრაფების ის მცირე ნაწყვეტები, რომელიც შეეხება აფრიკისა და კორინთოს ager publicus.

გრაქხისეული ბევრი პოსესორი ვერ უძლებდა მეტოქეობას და საჭიროებდა ფულს, ჰყიდდა ამიტომ თავის მიწებს და ქვეითდებოდა. ამასთანავე ერთად მცირდებოდა ager publicus-იც, საიდანაც წარმოებდა მიწების მიზომვა და სახელმწიფო ხაზინა შეივსებოდა მიწების მოხმარებისათვის საიჯარო ფასის გადახდა-შეტანით. გრაქხების შემდეგ პროლეტარიებისა და ვეტერანებისათვის მიწების მიზომვა ხდებოდა მეტწილად კერძო მფლობელების ხარჯზე, რომელთა მიწებს იძენდა სახელმწიფო შესყიდვის გზით ან კიდევ ყადაღას ადებდა[2].

---

[1] „Lex agraria 111", Bruns. Fontes juris Romani, გამოცემა მე-7, §3. 27.

[2] მრავალი ძვირფასი შენიშვნა გრაქხების რეფორმათა დედაარსისა და მნიშვნელობის შესახებ და წყაროთა კრიტიკული ანალიზი მოიპოება Fraccaro-ს შრომაში; Studi sull' età dei Gracchi, 1914; ედ. მეიერის Untersuchungen zur römischen Ceschichte-ში (1894). რუსულ ენაზე გრაქხების შესახებ წყაროების ანალიზის საკითხებისადმი და გრაქხებისეული მოძრაობის შეფასებისადმი მიძღვნილია ს. ი. პროტასოვის და დ. პ. კონჩალოვსკის შრომები, რომელნიც მოთავსებულია პროფ. კარეევისადმი მიძღვნილ კრებულში „Из близкого и далекого прошлого" (1923 წ.).

თავი VIII

სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავება რომის რესპუბლიკაში II საუკ. ბოლოს და I საუკ. პირველ ნახევარში

1. იუგურთას ომი

პოლიტიკურმა ბრძოლამ, რომელიც გაჩაღდა გრაქხების სოციალურ-ეკონომიური პროგრამის გარშემო, რომაელების ყურადღება საგარეო პოლიტიკას დააცილა. II ს. დასასრულის რომის საგარეო პოლიტიკა გვაოცებს თავისი სისუსტითა და უმნიშვნელობით. ომები წარმოებდა მოსაზღვრე ოლქებში — აფრიკაში, ესპანეთსა და სხვა პროვინციების განაპირა ადგილებში, წარმოებდა მეტისმეტად შოშვებულად, სუსტად და უხეიროდ. საომარ მოქმედებათა ასპარეზზე გაგზავნილი არმიები მცირერიცხოვანი იყო, შესდგებოდა შემთხვევით და სახელდახელოდ თავმოყრილ ახალწვეულებისგან და სავსებით დემორალიზებული იყვნენ. ჯარში მიჰყავდათ ყველა, ვისი წაყვანაც შესაძლებელი იყო.

ჯარში წაყვანილი ლეგიონერები ოდნავადაც კი არ იყვნენ ომით დაინტერესებული, იბრძოდნენ უხალისოდ, გამორბოდნენ ჯარიდან, გადადიოდნენ მტრის მხარეზე, ეწეოდნენ მძარცველობას, ქურდობდნენ, ჰყიდდნენ სახაზინო ნივთებს, დროს ატარებედნენ ბაზრებსა და ტავერნებში.

უფრო უარესი იყო მეთაურთა შემადგენლობა. ლეგატები, ტრიბუნები და ცენტურიონები მისდევდნენ სპეკულაციას, იღებდნენ ქრთამებს, უთანხმდებოდნენ მტრებს, დროს ატარებდნენ ქეიფში,

თამაშსა და გართობებში, გარსშემოხვეული ჰყავდათ მათ მთელი შტატი მსახურებისა, მონებისა და ბანაკის ქალებისა. ვერც ტექნიკურად იდგა რომის არმია სათანადო სიმაღლეზე. სამოქალაქო ლაშქარი, რასაც არსებითად წარმოადგენდა რომის ძველი არმია, უკვე აღარ შეესაბამებოდა სამხედრო ტექნიკისა, ტაქტიკისა და სარდლობის ახალ მოთხოვნებს.

ხანა, გრაქხებიდან მოკიდებული მარიუსამდე (120—105 წლები) წარმოადგენს რომის სამხედრო ისტორიისა და დიპლომატიის მეტად სამარცხვინო ფურცელს. ასეთი იყო სინამდვილე. ამასობაში რომის სავაჭრო-სავახშო კაპიტალისა და მონათმფლობელობის ინტერესები მოითხოვდნენ ენერგიული საგარეო პოლიტიკის წარმოებას, რასაც მხარს უჭერდნენ მხედრები და მდიდარი პლებეები.

უმთავრესად საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე გაჩაღდა კიდეც პოლიტიკური ბრძოლა რომში II ს. ბოლოს და I საუკ. დასაწყისში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ოპტიმატებსა, მხედრებსა და პოპულარებს შორის მწვავე პოლიტიკური კონფლიქტების გამოსავალ წერტილად შეიქნა ომი რომის მოკავშირე აფრიკელი მეფე იუგურთასთან.

ი უ გ. უ რ თ ა ს ო მ ი ს (111—105 წწ.) ისტორია რამდენიმე სიტყვით ასეთია: 113 წელს გარდაიცვალა ნუმიდიის მეფე მიციპსა, მასინისას შვილი, რომელმაც სამეფო დაუტოვა ანდერძით თავის ორ ვაჟს — ადჰერბალსა და ჰიემპსალს — და ძმისწულს იუგურთასმაშინათვე მიციპსას სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებს შორის დაიწყო შუღლი და მტრობა. თვლიდა რა თავის თავს შეურაცხყოფილად, იუგურთამ ვერაგულად მოჰკლა ჰიემპსალი და დაიწყო ომი ადჰერბალთან, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა რომს. იუგურთამ არ დაიშურა ოქრო გავლენიანი პირებისა და მოსამართლეების მოსაქრთამად და ისიც თავის მხრივ ეძიებდა რომში დახმარებას. სპეციალური კომისია 10 სენატორის შემადგენლობით, ოპიმიუსის მეთაურობით, გაემგზავრა აფრიკაში საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად. მაგრამ მოსყიდულმა კომისიამ საქმე გადასწყვიტა იუგურთას ინტერესების შესაბამისად და მიაკუთვნა მას ნუმიდიის ნაყოფიერი დასავლეთი ნაწილი, აღმოსავლეთი ნაწილი კი, სუსტად რომ იყო დასახლებული, მთავარ ქალაქ ცირტათი, დაუტოვა ადჰერბალს. პატივმოყვარე იუგურთა არ დასჯერდა ამ გადაწყვეტილებას და ალყა შემოარტყა ცირტას. მაშინ რომიდან გაგზავნილ იქნა ახალი კომისია სენატის პირველ თავმჯდომარის მარკოს ემილი სკავრის მეთაურობით, რომელმაც წინა კომისიისამებრ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

ამასობაში იუგურთამ ხელთ იგდო ცირტა, ტყვედ წაიყვანა იქ მცხოვრები რომაელები, შეიპყრო ადჰერბალი და ბრძანება გასცა იგი ჯვარზე გაეკრათ, თავისი თავი კი გამოაცხადა სრულიად ნუმიდიის მეფედ და რომის მრძალეობისგან ქვეყნის გამათავისუფლებელად. ქალაქის გარემოცვისა და ამის მომდევნო აოხრების დროს მრავალი ხალხი დაიღუპა, რომელთა შორის იყო ბევრი რომაელი ვაჭარი და ხელოსანი. ეს საბაბი შეიქნა რომის მხრივ საომარი მოქმედების დაწყებისა მოუსვენარი აფრიკელი მეფის წინააღმდეგ.

იუგურთას სამხედრო ძალები უმნიშვნელო იყო, და კონსულმა ლუციუს კალპურნი ბესტიამ წარმატებით დაიწყო შეტევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იუგურთამ მოქრთამვის წყალობით შესძლო თავისთვის ხელსაყრელი ზავის დადება და მთლიანად სამეფოს შენარჩუნება. ნუმიდიის მეფესთან მომხდარმა სამარცხვინო ისტორიამ, მას შემდეგ, რაც მან ცირტაში დაარბია და ააწიოკა რომაელი ვაჭრები, სერიოზულად შეაფიქრიანა მხედართა წრეები. ზავის დადების შემდეგ (111 წ.) მალე სახალხო ტრიბუნმა გაიოს მემიუსმა, მხედართა წრეებზე დამყარებით, დაბეჯითებით მოითხოვა იუგურთას რომში დაბარება და მისი სასამართლოში მიცემა რომაელ მოქალაქეთა დახოცვისათვის. მაგრამ იუგურთამ კვლავ მოახერხა რომაელი მოსამართლეების მოტყუება, მოისყიდა რა მემიუსის კოლეგა — მეორე სახალხო ტრიბუნი ბებიუსი, რომელმაც ტრიბუნის veto დაადო ბრალმდებლის კითხვებსა და წინადადებებს.

და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეიტყეს, რომ თვით სასამართლო პროცესის დროს იუგურთამ ახალი დანაშაული ჩაიდინა, მკვლელები მიგზავნა მასივასთან, მიციპსას შვილიშვილთან, რომელიც რომში ცხოვრობდა და ნუმიდიის ტახტს ეძიებდა, — გამოცემულ იქნა დეკრეტი იუგურთას რომიდან გაძევების შესახებ. აღშფოთებულმა იუგურთამ, რომს რომ სტოვებდა, ირონიულად შესძახა: „ოჰ, სინდისგარეცხილო ქალაქო, შენს არსებობას ბოლო მოეღება, როგორც კი შესაფერი მუშტარი გამოგიჩნდებაო!" (O, urbem venalem et mature perituram, si emptorem inveneri!) [1].

ნუმიდიაში დაბრუნების შემდეგ იუგურთამ გამოაცხადა მთელი აფრიკის დამოუკიდებლობა, ხოლო თავისი თავი ეროვნულ წინამძღოლად, და დაიწყო ომი რომთან. აფრიკაში გაგზავნილ იქნა კონსული სპურიუს ალბინი, რომელმაც სარდლობა მალე გადასცა თავის ძმას ავლ პოსტუმიუსს.

პოსტუმიუსი დამარცხდა და იძულებული შეიქნა დათანხმებუ-

---

[1] Cic., De off., II, 21; Liv., Epit., LXIV.

ლიყო რომისათვის სამარცხვინო ზავზე (109 წ.). პოსტუმიუსის დამარცხების შემდეგ საქმის ვითარება აფრიკაში დღითიდღე უფრო-დაუფრო სერიოზული ხდებოდა. შეიქნა საფრთხე იმისი, რომ შეიძლებოდა რომს დაეკარგა ჩრდილო აფრიკის ყველა სამფლობელო, რაც გამოიწვევდა მრავალი მხედრისა და სენატორთა გვარის გაჩანაგებას და აფრიკიდან პურის შემოზიდვის შეწყვეტას.

საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა ომის ენერგიულად წარმოებას. მაშინ სენატმა 109 წ. გაგზავნა აფრიკაში კონსული კვინტუსი ცეციდიუს მეტელი, გავლენიანი და ნიჭიერი ოპტიმატი. მისი ჩასვლისთანავე აფრიკაში საქმის ვითარება შეიცვალა. მეტელმა მოახერხა რომის არმიის ნაშთები გადაეხალისებინა, გაეწმინდა გახრწნილი ელემენტებისგან და არმიაში ტექნიკური გაუმჯობესებანი შეეტანა. ის ერიდებოდა მკაცრ ზომებს, მან აღაფრთოვანა და გააჯანსაღა არმია, ბანაკებში აკრძალა სავაჭრო სპეკულაცია, შეამცირა მსახურთა რიცხვი, რომელნიც ჯარს თან დასდევდნენ, შეამცირა მონათა რაოდენობა და ბანაკებიდან გააძევა ქალები. დისციპლინა მყარდებოდა, ბანაკმა ნამდვილი სახე მიიღო, გაჩნდა თხრილები, სიმაგრეები და საგუშაგოები, და ამასთანავე მოისპო ჯარისკაცის ნივთებით სპეკულაცია და მძარცველობა. ამასთან ერთად მეტელი ოსტატურად ხმარობდა თვითონ იუგურთას მეთოდებს — მოქრთამვას, ვერაგობას, მოტყუებას და მისთანას. მეტელთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში იუგურთა დამარცხდა და სასწრაფო წესით იწყო უკან დახევა.

რომის არმია სდევნიდა ნუმიდიის გაქცეულ მეფეს, ნუმიდიას ორი რაზმეულით გარს შემოერტყა და იუგურთა შედევნა ყრუ, მივარდნილ ოლქებში, საიდანაც მას შეეძლო მარტო ყაჩაღური თავდასხმები მოეხდინა და პარტიზანული ომი ეწარმოებინა. იუგურთას სახელს დიდება მოაკლდა, იუგურთა თანხმდებოდა რომისთვის მიეცა 200 ათასი გირვანქა ვერცხლი, მიეცა ყველა სპილო, მთელი იარაღი და ცხენები, მაგრამ ზავი არ იქნა შეკრული, რადგანაც რომაელები მოითხოვდნენ თვითონ იუგურთას გაცემას. მანამდე უძლეველი ნუმიდიის მეფის მოულოდნელმა დამარცხებამ რომში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და აღადგინა სენატისა და მეტელის პრესტიჟი. უკანასკნელმა მიიღო ტრიუმფი და ზედმეტი სახელი „ნუმიდიელი“.

აფრიკაში წარმატებამ ვერ შესცვალა სენატის საერთო პოლიტიკა. ურთიერთობა ოპტიმატებსა და მხედრებს შორის უარესდებოდა. მხედრები აღშფოთებული იყვნენ სენატის სუსტი საგარეო პოლიტიკით, ხოლო სენატორები ბევრს ითმენდნენ მხედართა სასამართ-

ლოებისგან, რომელნიც ხელფეხს უბორკავდნენ პროვინციელ პრეტორებსა და ლეგატებს. 106 წ. კონსულმა გნეი სერვილიუს ცეპიონმა, რომელიც ახლოს იყო მხედართა წრეებთან, შეიტანა სასამართლოს რეფორმის (lex iudiciaria) წინადადება; ამ რეფორმის თანახმად, მოსამართლეთა რიცხვი თანასწორად ნაწილდებოდა სენატორთა და მხედრებს შორის. წინადადებამ მკაცრი პროტესტი გამოიწვია მხედრების მხრივ, და ცეპიონიც, რომელსაც ბრალად დასდეს ესპანეთში ერთი ტაძრის გაძარცვა და მექრთამეობა, იძულებული შეიქნა ექსორიად წასულიყო. არც სენატორები რჩებოდნენ უკან. სენატორების სიძულვილი მხედრების მიმართ გამოხატა ორატორმა-ოპტიმატმა ლიცინიუს კრასუსმა, რომელმაც განაცხადა, რომ „ბოლოსდაბოლოს, ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ამ გარეული ცხოველებისგან, რომელნიც ჩვენი სისხლით იკვებებიანო“.

პოლიტიკური ატმოსფერო გამძაფრებული ხდებოდა.

2. გაიოს მარიუსი

გენერალური შეტაკება ოპტიმატებსა და მხედრებს შორის მოხდა 107 წ. საკონსულო არჩევნებში. ოპტიმატები მხარს უჭერდნენ მეტელს, მხედრები და პოპულარები კი, რომელნიც იმ დროისთვის უკვე გამოკეთდნენ 20-იან წლების დარბევის შემდეგ, ხმას აძლევდნენ გაიოს მარიუსს (Gaius Marius) მეტელის ლეგატს, რომელიც მაშინ უკვე საკმაოდ იყო პოპულარული.

გაიოს მარიუსი დაიბადა 157 წ. სოფელ ცერეატში, ქალაქ არპინუმის ახლოს, შეძლებულსა, მაგრამ მდაბიო იტალიურ ოჯახში; ახალგაზრდობა გაატარა სოფელში, მაგარი ჯანმრთელობისა იყო, დამთავრებული განათლება არ მიუღია. პრაქტიციზმი, სოფლური უბრალოებასა და უხეშობასთან შეერთებული, იყო გაიოს მარიუსის ხასიათის ნიშანდობლივი თვისება. „სოფლის კაცია, მაგრამ მთლიანი კაციაო“ (rusticanus vir, sed plane vir), — ასე ახასიათებს მარიუსს ციცერონი [1].

გაიოს მარიუსის დემოკრატიულ წარმოშობას ადასტურებენ თითქმის ყველა მთავარი ჩვენი წყაროები — პლუტარქე, სალუსტი, ტაციტუსი და სხვანი. ტაციტუსი სავსებით გარკვეულად აღნიშნავს, რომ მარიუსი დაბალი ფენიდან იყოო (infama plebs)[2], სალუსტის მიხედვით, მარიუსს ჰქონდა ყველა თვისება, გარდა „მისი გვარის

---

[1] Cic., Tuscul. disput., II, 53.
[2] Tacit., Hist., II, 38.

სიძველისა“ (praeter vetustatem familiae), პლინიუსი მარიუსს უწოდებს არპინუმის მიწათმფლობელს (arator Arpinas)[1] და სხვა. იუვენალის სატირებში მარიუსი გამოყვანილია როგორც სოფლის მეურნეობის დღიური მოჯამაგირე[2]. თვითონ მარიუსი არა თუ არ მალავდა თავის მდაბიო ჩამომავლობას, არამედ, პირიქით, თავს იწონებდა ამით და ხაზს უსვამდა, რომ თავისი ამაღლებით იგი უმადლის პირად ნიჭსა და ილბალს. „მამაჩემისგან და პატიოსან კაცთაგან მე ის შევითვისე, რომ ფუფუნებითი ცხოვრება ქალების საქმეა; მამაკაცებს კი შეშვენის შრომა... სამკაულია იარაღი და არა მდიდარი მოწყობილობა“ (arma, non suppelectilem decoriesse)[3]. მარიუსის პოლიტიკური მოღვაწეობა მიმართული იყო, როგორც დავინახავთ, რომაელებისა და იტალიკების დემოკრატიის ინტერესთა დაცვისაკენ და ოპტიმატებთან ბრძოლისაკენ.

მარიუსი ამაღლდა და დაწინაურდა თავისი უეჭველი სამხედრო ნიჭის წყალობით და მეტელის დახმარებით, რომლის კლიენტებად იყვნენ ისიც და მისი მამაც. პირველად მარიუსის სამხედრო ნიჭმა — მამაცობამ, შინაგანმა დისციპლინიანობამ, ფიზიკურმა ძალ-ღონემ და სიმაგრემ — თავი იჩინა ესპანეთის ომში ნუმანციასთან, სადაც იგი იბრძოდა როგორც უბრალო ჯარისკაცი, ხოლო სავსებით გაიფურჩქნა მისი ნიჭი აფრიკის ომში იუგურთასთან. ჯარისკაცებს შორის მარიუსი სარგებლობდა განსაკუთრებული ავტორიტეტით როგორც „ახალი კაცი“, თავისი ცხოვრებითა და მიდრეკილებით მათთვის მახლობელი ადამიანი.

„რომაელი ჯარისკაცისთვის იმაზე უამესი არ არის-რა, რომ ნახოს სარდალი, რომელიც ყველას თანადასწრებით ჭამს უბრალო პურს, რომელსაც მწირ ლოგინზე სძინავს და რომელიც სხვებთან ერთად მუშაობს თხრილის ამოღების დროს ან ბანაკის ირგვლივ შემოღობვისას. ჯარისკაცები ისე არა სცემენ პატივს სარდალს, რომელიც მათ ჯილდოებს და ფულს აძლევს, როგორც იმას, რომელიც იზიარებს მათ შრომასა და საშიშროებას, უფრო მეტად ის უყვართ, ვინც მათთან ერთად მუშაობს, ვიდრე ის, ვინც თავის თავს ნებას აძლევს გულხელდაკრეფილი იჯდესო“[4].

მარიუსის პოლიტიკური კარიერა დაიწყო 119 წლიდან, როცა ის არჩეულ იქნა სახალხო ტრიბუნად; როგორც სახალხო ტრიბუ-

---

[1] Plin., Nat. hist., XXXIII, 150.
[2] Iuven., VIII, 245—252.
[3] Sallust., Bell. Iug., 85, 40.
[4] Plut, Marius, VII.

შა, მან მაშინ გაატარა კანონი არჩევნების დროს მოქრთამვის შეზღუდვის შესახებ (lex de suffragiis) და დაადგინა პურის ულუფის ნორმა, რასაც სახელმწიფო ურიგებდა სატახტო ქალაქის პლებსს. ამაზე თითქოს უნდა გათავებულიყო კიდეც გაიოს მარიუსის პოლიტიკური კარიერა. როგორც მდაბიო ჩამომავლობის ადამიანს, მას არ შეეძლო სჭეროდა უმაღლესი საზოგადოებრივი თანამდებობანი. მაგრამ მარიუსი იხსნა არისტოკრატ ქალის იულიას ცოლად შერთვამ, რომელიც იყო იულიოს ცეზარის, მომავალი დიქტატორის, მამიდა. იულიას ცოლად შერთვის შემდეგ მარიუსმა 114 წ. მიიღო პრეტურა ესპანეთში, სადაც მას შეეძლო გამოეჩინა თავისი სამხედრო სიმამაცე, მოეპოვებინა პატიოსანი და მტკიცე ადამიანის სახელი და იმავე დროს მდგომარეობა გამოესწორებინა. შემდეგ მოხდა ომი იუგურთასთან, და, ბოლოს, 108 წ. მარიუსმა პირველად წამოაყენა თავის კანდიდატურა კონსულად.

საზოგადოებრივი სიტუაცია რომში მაშინ მოგვაგონებდა გრაქხების დროს. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ორი კანდიდატი: მეტელი და მისი ურჩი ლეგატი გაიოს მარიუსი. მოპირდაპირე პარტიები მავრად ეჭიდებოდნენ თავიანთ კანდიდატებს და ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ მათ. ოპტიმატები მხარს უჭერდნენ მეტელს, მხედრები, სოფლისა და ქალაქის პლებსი კი — ერთიანი ფრონტით მარიუსს.

„საერთოდ ამათუიმ კანდიდატის შეფასებისას პარტიულ ანგარიშსა და მოსაზრებას უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თვითეული მათგანის ღირსებასა და ნაკლს. ხოლო მაგისტრატები, რომელნიც ვნებას აღვივებდნენ და არეულობის მოხდენას ცდილობდნენ, ხალხს აღიზიანებდნენ და აბრიყვებდნენ მით, რომ ყრილობებზე მეტელს მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და გადაჭარბებულად ადიდებდნენ მარიუსის ვაჟკაცობას. ბოლოსდაბოლოს, პლებსი იმდენად იყო აღგზნებული, რომ ხელოსნებმა და გლეხებმა, რომელთა მთელს ავლა-დიდებას და კრედიტს მათი საკუთარი მარჯვენის ნაწარმოები შეადგენდა, მიატოვეს სამუშაო და მარიუსის გარშემო შემოკრბენ, თვლიდნენ რა მის დაწინაურებას თავის არსებით საჭიროებებზე უფრო მნიშვნელოვანად. ამ მიზეზის გამო დიდკაცობა დამარცხდა და პირველად, მრავალი წლის შემდეგ, კონსულობა მიეცა „ახალ კაცს“ [1].

არჩევის შემდეგ (107 წ.) მარიუსი დაუყოვნებლივ გაემგზავრა აფრიკაში იუგურთასთან ომის დასამთავრებლად. მარიუსმა რამდენჯერმე ბრწყინვალედ გაიმარჯვა და 106 წ. დამლევისთვის მოათავა კიდეც აფრიკის კამპანია; იუგურთა ტყვედ იქნა ჩაგდებული.

[1] Sallust., De bell. Iugurth., 73.

მარიუსის გამარჯვებათა ერთერთი მთავარი მიზეზი იყო მისმიერ 107 წელს ჩატარებული სამხედრო რეფორმა. რეფორმის დედაარსი შემდეგში მდგომარეობდა. ამიერიდან ჯარში შესვლა ყველა მსურველს შეეძლო, მათ შორის მოსახლეობის უქონელ ნაწილს, ქალაქისა და სოფლის პროლეტარიებს (capite censi) და მონებსაც კი. ამ არსებითად უკვე დაქირავებული ჯარის შენახვას თავის თავზე იღებდა სახელმწიფო. სახელმწიფოსა და ჯარის სარდლისგან ჯარისკაცები იღებდნენ იარაღსა და შეჭურვილობას, ხოლო სამსახურის გარკვეული, 16 წლიანი, ვადის შესრულების შემდეგ მათ ერგებოდათ შვებულება და მიწით დასაჩუქრება.

„მარიუს კონსული არსებული კანონებისა და ჩვეულებათა წინააღმდეგ ჯარისკაცებში რიცხავდა უამრავ ღარიბ მოქალაქეებსა და მონებს. წინანდელი სარდლები არასდროს არ იღებდნენ მათ ჯარში. ისინი იარაღს აძლევდნენ, როგორც თავისებურ ჯილდოს, მარტო იმათ, ვისაც ღირსეულად შეეძლო მისი ტარება“ [1].

მარიუსის რეფორმა გამოწვეული იყო წინანდელი სამოქალაქო ლაშქრის მცირერიცხოვნობით და მისი ტექნიკური და ტაქტიკური არასრულყოფილობით. მოქალაქეთა რიცხვი, რომელიც გაიზარდა უშუალოდ გრაქხების რეფორმის შემდეგ, მომდევნო წლებში კვლავ დაეცა. მრავალი იტალიკი გაიხიზნა პროვინციაში, ნაწილი მიდიოდა ქალაქებში, ჩანაგდებოდა და წყდებოდა. 104 წ. ტრიბუნმა მარციუს ფილიპემ განაცხადა, რომ რომში ისეთ მოქალაქეთა რიცხვი, რომელთაც რამე საკუთრება გააჩნიათ, 2 ათას ოჯახს არ აღემატებაო და ეს მაშინ, როდესაც, სულ ცოტა რომ ვივარაუდოთ, ქალაქის საერთო მოსახლეობის რიცხვი 450 ათასს მაინც შეადგენდა. სამოქალაქო ლაშქრიდან რეგულარულ არმიაზე გადასვლა, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფოსა ან სარდლის ხარჯზე, დაიწყო ჯერ კიდევ გაცილებით უფრო ადრე მარიუსამდე. მეორე პუნიკური ომის დროს უკვე ნათელი და ცხადი შეიქნა სამოქალაქო ლაშქრის სუსტი მხარეები და გაჩნდა რეგულარული არმია, რომელიც ივსებოდა მოქალაქეთა დაბალი ფენებიდან, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მონებითაც. მარიუსმა მოამთავრა ის, რაც უკვე შემზადებული იყო და რაც გაამართლა წინა ათეული წლების ისტორიამ.

მარიუსის დროს მყარდება სრულიად სხვა ურთიერთობა სარდალსა და მის ჯარისკაცებს შორის. ჯარისკაცები და მათი სარდალი წარმოადგენდნენ მთლიანსა და დამოუკიდებელ ერთეულს — ჯარს, რომელსაც ჰქონდა თავისი საკუთარი ინტერესები და ამოცა-

---

[1] Plut., Marius, IX.

ნები. ჯარისკაცები სარდალს ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთ პატრონს, რომლისგანაც ისინი იღებდნენ ჯილდოებს — ღვინოს, იარაღს, ტანისამოსსა და მიწის ნაკვეთებს.

„კვირიტებო, — ამბობდა მარიუსი ჯარისკაცთა ერთ ყრილობაზე, — წარმოიდგინეთ, რას მოიგებდით თქვენ, ჩემ მაგიერ რომ სხვა ვინმე აგერჩიათ ამ პატივცემული წოდებიდან, რომელსაც აქვს მთელი წყება პორტრეტებისა, მათ კედლებს რომ ამკობენ, მაგრამ სრულებით არ გააჩნია გამოცდილება სამხედრო საქმეში... შეადარეთ მათ ჩემი თავი. რაც იმათ იციან წიგნებით ან განაგონით, ყოველივე იმის მოწმე და მომქმედი პირი მე ვიყავ. ის, რაც უნდათ მათ წიგნებში მოძებნონ, მე ყოველივე ეს პრაქტიკულად შევიძინე. მე ვფიქრობ, რომ ადამიანები ბუნებით ყველა თანასწორია, კეთილშობილია ის, ვინც უფრო მეტად ღირსეულია. მე ის არ მაშინებს, რომ უმეცრებაში ბრალს მდებენ. მართლაც, მე არ გამაჩნია ხელოვნება ნადიმების გამართვისა, არ ვინახავ სახლში მსახიობებსა და ძვირადღირებულ მზარეულებს, მე სოფლის კაცი ვარ და მდაბიო...“ „რაც შეგეხებათ სპეციალურად თქვენ, ჯარისკაცებს, — ამბობდა მარიუსი თავისი სიტყვის დასკვნაში, — გახსოვდეთ, რომ მე თქვენ არასდროს არ მიგატოვებთ. საშიშროებათა შორის მე ყოველთვის თქვენთან ერთად ვიქნები და გავიზიარებ თქვენს შრომას. მე თქვენთან ყოველივე საზიარო მექნება...“ [1]

„სწორედ და უმთავრესად ამ გარემოებამ გამოიწვია მარიუსისადმი სიძულვილი. მისი თავხედური, კადნიერი სიტყვები, ამპარტავნობასა და ზიზღთან შეზავებული, შეურაცხყოფდნენ არისტოკრატიას“ [2].

3. ომი კიმვრებთან და ტევტონებთან

მარიუსის რეფორმის დადებითი შედეგები, რაც გამოჩნდა ჯერ კიდევ იუგურთასთან ომში, უფრო მეტი სიძლიერით გამომჟღავნდა ომში კიმვრებთან და ტევტონებთან, რომელნიც რომის მიწა-წყალზე პირველად გამოდიოდნენ. რა ხალხი იყვნენ ესენი, საიდან მოვიდნენ, ამაზე რომაელებს პასუხის გაცემა არ შეეძლოთ.

„ამ ხალხების სხვებთან მიუკარებლობის გამო და მიწის უშველებელი სივრცეების წყალობით, საიდანაც ისინი დაიძრნენ გადასასახლებლად, არ შეიძლებოდა გადაწყვეტა და გამორკვევა, თუ

[1] Sallust., op. cit., 85.
[2] Plut., Marius, IX.

რა ხალხი არიან ისინი და საიდან გამოვიდნენ“ [1]. გერმანულად „კიმვრი“ ნიშნავს ყაჩაღს.

თანამედროვე მეცნიერება კიმვრებსა და ტევტონებს თელის კელტ-გერმანელ ტომებად, რომელნიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის ზღვის ნაპირას და იმყოფებოდნენ უკვე შედარებით მაღალ სოციალურ-ეკონომიურ დონეზე.

113 წელს კიმვრების, ტევტონებისა და ტიგურინების კოალიცია შავი ღრუბელივით დაიძრა რომის სახელმწიფოს საზღვრებისკენ ნარბონის გალიაში. მათ წინააღმდეგ გაგზავნილი სამი რომაული არმია ზედიზედ იქნა დამარცხებული და განადგურებული კიმვრების მიერ არავზიონთან (Arausio, ორანჟი). 80 ათასზე მეტი რომაელი და იტალიკი დაიღუპა აქ ბრძოლის ველზე (105 წ.). სრული განადგურებისაგან გალია და იტალია მარტო იმან იხსნა, რომ კიმვრებმა გეზი აიღეს არა იტალიისკენ, არამედ ესპანეთისკენ. მაგრამ რომში მაინც ეშვი არ ჰქონდათ იმისი, რომ გერმანელი ტომების შემოსევა ახლო ხანში გამეორდებოდა.

„დაამარცხეს რა ყველა, ვინც კი შეეცადა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას, კიმვრებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი და გადასწყვიტეს არსად არ გაჩერებულიყვნენ ხანგრძლივად, სანამ რომს მიწასთან არ გაასწორებდნენ და იტალიას არ ააოხრებდნენ“ [2].

საერთო საფრთხის წინაშე კიმვრებთან და ტევტონებთან ბრძოლის საწარმოებლად 104 წ. მეორედ და თანაც დაუსწრებლივ არჩეულ იქნა კონსულად გაიოს მარიუსი, რომელიც იმჟამად აფრიკაში იმყოფებოდა. ამის შემდეგ მარიუსი ჩავიდა რომში და, რომ მოქალაქეები გაეკვირვებინა, გადაიხადა ბრწყინვალე ტრიუმფი, რომლის დროსაც მოჰქონდათ 3 ათასი გირვანქა ოქრო, 6 ათას გირვანქამდე ვერცხლი და 300 ათასი ვერცხლის დენარი. სხვა ტყვეებს შორის მოდიოდა აგრეთვე იუგურთაც, რომელშიაც შენივთებული იყო „საშინელი ვერაგობა და შეუპოვრობა“.

შემდეგ წლებში (103 — 102) არჩევანი განმეორებულ იქნა და მარიუსი სამი წელიწადი ზედიზედ, წინააღმდეგ კონსტიტუციისა, კონსულის თანამდებობაზე იყო. იმ კანონის დარღვევას, რომელიც კრძალავდა ერთიდაიგივე მაგისტრატურა რამდენჯერმე ზედიზედ სჭეროდა ადამიანს და ისიც დაუსწრებლად, ამართლებდა მომენტის სერიოზულობა. და ამ ჯერობაზედაც მარიუსმა ბრწყინვალედ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. 102 წელს აკვე სექსტი-

---

[1] Plut., Marius, XI.

[2] Ibid., XI.

უ ს თ ა ნ (Aquae Sextiae) სამხრეთ გალიაში (მასილიის ახლოს) მან შემუსრა იტალიაზე მიმავალი ტევტონები, ტყვედ ჩაიგდო მათი წინამძღოლი ტევტობოდი, ხოლო მეორე წელიწადს ვ ე რ ც ე ლ ე ს თ ა ნ (Vercellae) ჩრდილო იტალიაში დაამარცხა კიმვრები. ბრძოლები არაჩვეულებრივი სიმედგრით და სიმძაფრით მიმდინარეობდა და აქ დიდი ზარალიც მოუვიდათ. გადმოცემით, მარტო ტევტონებმა დაჰკარგეს 100 ათასამდე კაცი — ზოგი მოიკლა და ზოგი ტყვედ იქნა წაყვანილი. „გვამები ისე ბევრი იყო, რომ მასალიოტებმა, რომელთა მიწა-წყალზე წარმოებდა ბრძოლები, დაღუპულ კელტებისა და გერმანელების ძვლებიდან ღობეები შემოავლეს თავიანთ ვენახებს. თვითონ გახრწნილი გვამები კი სასუქად გამოიყენეს მინდვრებსა, ბაღებსა და ბოსტნებში. ადამიანის გვამით გაპოხიერებულ ვენახებში ზამთრის წვიმების შემდეგ არგაგონილი მოსავალი მოვიდა“ [1].

გერმანელ ტომებზე გამარჯვებისათვის მარიუსმა მიიღო კონსულობა მეხუთეჯერ (101 წ.). მარიუსის გამარჯვება შედეგი იყო ჯარის რეორგანიზაციისა, ზურგის განწყობილებაში მომხდარი ცვლილებისა, ხელმძღვანელობისა და ტაქტიკის ცვლისა და რომის სამხედრო წესწყობილების ტექნიკური უპირატესობისა. კიმვრებთან ომის დროს მარიუსმა, სხვათა შორის, ერთი გონებამახვილი ცვლილება შეიტანა რომაულ სატყორცნ შუბის მოწყობილობაში.

„ამბობენ, ამ ბრძოლისათვის მარიუსმა პირველად შეიტანა ცვლილება შუბის მოწყობილობაში. შუბის წვერში შემავალი ტარის ნაწილი წინათ მაგრდებოდა ორი რკინის ლურსმნით. მარიუსმა ბრძანა ერთი ლურსმანი წინანდებურად დაეტოვებინათ, მეორე კი ამოეღოთ და შეეცვალათ ხის ლურსმნით, რომელიც შეიძლებოდა ადვილად გადატეხილიყო. მისი მიზანი ის იყო, რომ მოწინააღმდეგის ფარში შერჭმული შუბი ფარზე სწორედ პირდაპირ კი არ მდგარიყო, არამედ ისე, რომ რკინა დახრილიყო, როცა ხის ლურსმანი ტყდებოდა, შუბის ტარი კი, რომელიც მაგრად იყო მილურსმული მეორე — რკინის — ლურსმნით, მიწაზე აითრეოდა, იმის გამო, რომ რკინა გადიზნიქა“ [2].

ტექნიკურ და ტაქტიკურ გაუმჯობესებათა გარდა მარიუსის გამარჯვებებში არაუკანასკნელი როლი ითამაშა სამხედრო დისციპლინამ და ჯარისკაცების ერთგულებამ თავის სარდლისადმი, რაც მარიუსის ჯარს განასხვავებდა ძველ სამოქალაქო ლაშქრისაგან. დის-

---

[1] Plut., Marius, XXI.
[2] Ibid., XXV.

ციპლინის შენარჩუნებისათვის და გახრწნისაგან ჯარის დაცვის ერთ-ერთ საშუალებად მარიუსს მიაჩნდა მუდმივი მუშაობა. მისი არმია არასდროს არ რჩებოდა უსაქმოდ. ლაშქრობისა და სამხედრო ვარჯიშობისგან თავისუფალ დროს ჯარისკაცები რაიმე საქმეს აკეთებდნენ — თხრიდნენ თხრილებს, არხებს, აგებდნენ ხიდებს და სჭრიდნენ გზებს. თვითონ მარიუსი მაგალითი იყო სიმედგრის, შრომის მოყვარეობისა და უბრალოების. მიუხედავად დისციპლინის მთელი სისასტიკისა, მარიუსი თავის ჯარისკაცებს შორის, რომელთაც მისმა მოწინააღმდეგეებმა „მარიუსის ჯორები" (muli mariani) შეარქვეს, არაჩვეულებრივი, მანამდე გაუგონარი გავლენით სარგებლობდა. მარიუსის ავტორიტეტს, როგორც სარდლისას, არასდროს არ აღუძრავს ეჭვი. მარიუსის გამარჯვებამ კელტ-გერმანელ ტომებზე არა მარტო იხსნა იტალია ჩრდილო ხალხების მიერ ჩანთქმის საფრთხისაგან, არამედ მას შესძინა უშველებელი ნადავლი სამხედრო ტყვეების — მონების სახით, რომელნიც რომაელებმა შეიპყრეს (მარტო ქიმვრები ტყვედ იქნა წაყვანილი 60 ათასზე მეტი), და მტრისგან წართმეულ მიწების სახით.

4. მონათა მეორე აჯანყება სიცილიაში

მონათა ახალახალი პარტიების მოდენა უაღრესად დროული იყო, რადგან მონათა საჭიროება-მოთხოვნილება განაგრძობდა ზრდას, და რომაელი მონათმფლობელები განიცდიდნენ მწვავე კრიზისს, რომელიც გამოწვეული იყო ახალი, სიცილიის მეორე რევოლუციით. სიცილიის პირველი რევოლუციის დროიდან მონათა მღელვარება სიცილიაში არ დამცხრალა. დაახლოებით 30 წლის შემდეგ სიცილიაში მონათა პირველი აჯანყების მერე დატრიალდა ახალი მოძრაობა, მონათა უფრო მეტად მრისხანე მოძრაობა — სიცილიის მეორე რევოლუცია (104—101 წწ.). სიცილიის მონათა მეორე აჯანყების საბაბად იქცა, იტალიკების სიმცირის გამო, მარიუსის მიერ პროვინციალებისა და რომთან მოკავშირე ქალაქებისა და სამეფოთა მოქალაქეების ჯარში გაწვევა. ახალწვეულთა ძიების დროს რომაელი შემკრებნი, სხვათა შორის, ჩავიდნენ ბითინიის მეფე ნიკომედ მესამესთან. მარიუსის დელეგატების წინადადებაზე — მიეცა მათთვის ნება მის სამეფოში ახალწვეულთა შეგროვებისა — ნიკომედიმ ირონიულად უპასუხა, რომ მისი ქვეყანა სავსებით უკაცრიელია, რადგანაც ხალხის მეტი წილი რომაელ პუბლიკანებს წაყვანილი ჰყავთ და ამჟამად მონებად ირიცხებიან რომის პროვინციებშიო.

ეგოდენ კრიტიკული მდგომარეობის გამო, გამოწვეული ხალხის საჭირო რაოდენობით შეგროვების შეუძლებლობით, სენატმა, რასაკვირველია, არა გარეშე მარიუსის გავლენისა, დაადგინა, რომ მოკავშირე სამეფოთა ყველა მოქალაქე, ვინც კი ამჟამად მონად იმყოფება რომის პროვინციებში, უნდა დაუყოვნებლივ იქნეს გათავისუფლებულიო. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება დაეკისრათ პროვინციელ პრეტორებს. სიცილიაში პრეტორად მაშინ იყო ლიციინიუს ნერვა, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა სენატის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. საქმე საკმაოდ სწრაფად წავიდა: რამდენიმე დღის განმავლობაში 800 კაცი იქნა გათავისუფლებული. ამან აღაგზნო სიცილიაში მყოფი დანარჩენი მონებიც და აი ახლა, როცა დაირხა ხმა გათავისუფლების შესაძლებლობისა, მასობრივად მიაწყდნენ მონები პრეტორს. მაგრამ ლიბერალური პრეტორის მოქმედებამ მსწრაფლ განგაში და შიში გამოიწვია სიცილიის მონათმფლობელებში, გავლენიან და მდიდარ ხალხში. ქრთამითა და მუქარით მხედრებმა, ბოლოსდაბოლოს, პრეტორი აიძულეს მოესპო სასამართლო საქმეები, რომელთა დანიშნულებაც იყო მონათმფლობელთაგან მონათა გათავისუფლების უფლებათა გამორკვევა.

„ნერვამ, ფულით მოქრთამულმა, რომელსაც სურდა დიდკაცობისათვის ეამებინა, შესწყვიტა გათავისუფლების შესახებ ყველა საქმის გარჩევა, ხოლო მასთან თავისუფლების მისაღებად მოსულ მონებს ის გინებითა და დატუქსვით უბრძანებდა ხოლმე — უკან გაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბატონებთან“ [1].

სწორედ საქმის გარჩევათა და გათავისუფლებათა შეწყვეტა გადაიქცა კიდეც სიცილიის მონათა-მეორე აჯანყების საბაბად. სირაკუზში თავმოყრილი მონები გაიქცნენ პალიკების, დედამიწის ბოროტი სულების, წმინდა მთაზე, ეთნას მთაგრეხილზე, და იქ ჩაესაფრდნენ. ეს იყო მონებისათვის თავშესაფარი ადგილი, გადაქცეული ახლა აჯანყების კერად.

პირველად აჯანყდა 30 მონა ორი ძმის, მდიდარი მონათმფლობელის, კუთვნილ ჰალიკიას ოლქში. მონებს მეთაურობდა ვარიუსი. მოჰკლეს რა თავიანთი ბატონები, მონები მერე მოუწოდებენ ასაჯანყებლად მეზობელ პლანტაციების მონებს და პირველსავე ღამეს აჯანყებულებს მიემხრო 120 მონა. მეამბოხეებმა დაიპირეს ბუნებრივად გამაგრებული ადგილი და იქ მოაწყეს მეამბოხეთა ბანაკი, საითკენაც იწყო დენა მონათა სულ ახალახალმა ჯგუფებმა. პრეტო-

[1] Diod., XXXVI.

რი შეეცადა ბანაკი ბრძოლით აეღო, მაგრამ ვერ მოახერხა ეს, სანამ გარემოცულთა წრეშივე არ აღმოჩნდა მოღალატე, სახელად გაიოს ტიციენიუსი, რომელიც პრეტორის მხარეზე გადავიდა და რომელმაც დაანება მას ციხე-სიმაგრე. ბანაკი აღებულ იქნა. იქ მყოფ მონათა-განი ზოგი, ვისაც არ უნდოდა ტყვედ ჩავარდნოდა, თავს იკლავდა — კლდიდან ვარდებოდა; ვინც კი დანებდა, ისინი დასჯილი იქნენ სიკვდილით ან დაუბრუნეს თავიანთ ბატონებს. ამით მოთავდა სი-ცილიის მეორე რევოლუციის პირველი აქტი.

პირველ აქტს მოყვა მეორე. მას მერე, რაც პრეტორმა ჯარის-კაცები დაითხოვა, მოვიდა ცნობა, რომ აჯანყებულმა მონებმა მოჰ-კლეს მხედარი პუბლიუსი კლონიუსი და სხვა მონებსაც ასაჯანყებ-ლად აქეზებენო. ცნობა საკვლევით მოულოდნელი იყო და პრეტორს თავზე მეხივით დაეცა, იგი დაიბნა. პრეტორის დაბნევამ გაამხნევა აჯანყებულები და ხელი შეუწყო აჯანყების სწრაფ გავრცელებას.

მახლობელ ადგილებიდან აჯანყებულებს ემხრობოდა უამრავი ხალხი როგორც მონები, ისე თავისუფლები, „რომელნიც ყოველგვა-რი საშუალებით ემზადებოდნენ ბრძოლისათვის". აჯანყებულთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და მალე 6 ათას კაცამდე ავიდა. აჯანყებულმა მონებმა გამოიყენეს იმ რომაელ ჯარისკაცთა იარა-ღი, რომელნიც ბრძოლის ველზე დაეცნენ ან კიდევ გაქცევის დროს იარაღი დაჰყარეს.

„მეამბოხეებს თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ რა ასეთი შე-იარაღებული ძალა, ისინი უფრო გაბედულად შეუდგნენ საქმეს და უკვე ყველა მონა ფიქრობდა და ოცნებობდა აჯანყებაზე. ყოველ-დღე ახალ-ახალი მონათა მასები ჯანყდებოდა და მათი რიცხვი იმ-დენად სწრაფად იზრდებოდა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში 6000-მდე ავიდა" [1].

საერთო კრებაზე აჯანყებული მონები შეუდგნენ მთავრობის ჩამოყალიბებას. არჩეულ იქნა ს ა ბ ჯ ო, რომელმაც თავის მხრივ აირჩია მთავარი წინამძღოლი — მ ე ფ ე, სირიელი მონა, სახელად ს ა ლ ვ ი; მას ჰქონდა გამოცდილი მისნისა (მკითხაობდა ცხოველთა შიგნეულობაზე) და კარგი ფლეიტისტის სახელი: უკრავდა რელი-გიურ-მისტიკურ ყრილობებზე. მაგრამ სალვი არც ურიგო ორგანი-ზატორი აღმოჩნდა. მოკლე ხანში მან შეადგინა საკმაოდ მრავალ-რიცხოვანი და ხშირი ვარჯიშობის წყალობით კარგად გაწრთვნილი ჯარი — 20 ათასი ქვეითა ჯარისკაცი 2 ათასი კავალერიით. ამ არ-მიით სალვიმ დაიწყო ქალაქ მ ო რ გ ა ნ ტ ი ნ ა ს (Morgantina), სი-

---

[1] Diod., XXXVI.

ცილიის ერთერთი მონათმფლობელური ცენტრის, გარემოცვა. პრეტორმა საშველად მიაშურა, მაგრამ ქალაქის გალავანთან ბრძოლის დროს დაჰკარგა ჯარისა და იარაღის დიდი ნაწილი და სასტიკი მარცხიც განიცადა.

„მეამბოხეები ანაზდეულად ეცნენ მას და უფრო მაღალი პოზიციებიდან სწრაფი კვეთების წყალობით მათ სრულიად ადვილად მოიპოეს მტრებზე გამარჯვება, და პრეტორის ჯარიც უკუიქცა. ბრძოლის წინ მონათა მეფემ ბრძანება გასცა არავინ არ მოეკლათ მტერთაგანი, ვინც კი იარაღს დაჰყრიდა. რომაელების დიდმა ნაწილმა, შეიტყო ეს თუ არა, დაჰყარა იარაღი და უკუიქცა“ [1].

ამრიგად, მოხერხებული მოქმედებით მტრებს აჯობა სალვიმ, უკანვე დაიბრუნა თავისი ბანაკი, ბრწყინვალედ გაიმარჯვა და ხელთ იგდო დამარცხებული მოწინააღმდეგის დიდძალი იარაღი.

მორგანტინას გარემოცვა გრძელდებოდა. სალვიმ თავისუფლება გამოუცხადა ქალაქში მყოფ ყველა მონას, მაგრამ ბატონებმაც თავის მხრივაც აგრეთვე აღუთქვეს მათ თავისუფლება. და მაშინ მონები, რომელთაც ერჩივნათ, დიოდორეს სიტყვით, თავისუფლება თავის ბატონებისგან მიეღოთ, გადავიდნენ ამათ მხარეზე და ბრძოლაც გადაწყდა მონათმფლობელების სასარგებლოდ. მაგრამ მონებს იმედი მალე გაუცრუვდათ: პრეტორმა გააუქმა გათავისუფლება მათი და გათავისუფლებულები უკან დაუბრუნა თავიანთ ბატონებს.

მონათა ახალახალი პარტიების განუწყვეტელი დენის გამო და აგრეთვე მოწინააღმდეგის ჯარის მეტისმეტი სისუსტის წყალობით აჯანყება უფროდაუფრო ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა.

მაშინ როდესაც სიცილიის აღმოსავლეთ ნახევარში სალვის არმია მოქმედებდა, სიცილიის დასავლეთ ნაწილში, ეგესტესა და ლილიბეუმის ოლქში, მოქმედებდა აჯანყებული მონების მეორე არმია, რომლის მესვეურად იყო ა ფ ე ნ ი ო ნ ი, ჩამომავლობით კილიკიელი, წინასწარმეტყველის, ვარსკვლავთმრიცხველისა და მისნის სახელით რომ სარგებლობდა. თავის სამშობლოში, გადმოცემის თანახმად, აფენიონი ძარცვა-რბევას მისდევდა, სიცილიაში კი ის მწყემსად იყო.

„მას დიდი გამოცდილება ჰქონდა ვარსკვლავების მიხედვით მკითხაობაში, მან ასაჯანყებლად წაახალისა 200 მონა, რომელნიც მის ხელქვეით იყვნენ, მერე ააჯანყა მეზობელი მონებიც, ასე რომ ხუთი დღის განმავლობაში მის გარშემო თავი მოიყარა ათასზე მეტმა კაცმა“ [2].

---

[1] Diod., XXXVI.

[2] Ibid.

თავისი წინამორბედების მაგალითისამებრ, აფენიონმა თავისი თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფო ღირსების ნიშნებითაც — დიადემით (გვირგვინით), ძოწეული მანტიით და მისთანათი — შეიმკო თავი.

აფენიონის მხარეზე გადასვლის მოსურნეთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მას შეეძლო თავისთვის უფრო შესაფერი და გამოსადეგი ხალხის შერჩევა. არმიაში იღებდნენ მარტო მეტად ღონივრებსა და საიმედოებს, დანარჩენებს კი ებრძანათ თავთავიანთ სამუშაოზე დარჩენილიყვნენ სახელოსნოებსა ან მინდვრებში და ყველაფერში სასტიკი წესრიგი დაეცვათ. აფენიონი იყენებდა მონათა ცრუმორწმუნოებას და თავადაც ცრუმორწმუნე ამბობდა, თითქოს ღმერთებმა მას აუწყეს, რომ აუცილებლივ საჭიროა ქვეყნის მოვლა-პატრონობა და მარაგის დამზადებაც, მეტადრე საჭიროა ცხოველების დაზოგვაო. მან 10 ათასიანი ჯარით დაიწყო ქალაქ ლილიბეუმის გარემოცვა და თუმცა მარცხი განიცადა, მაინც სულით არ დაეცა და მარცხი ღმერთების ნება-სურვილით ახსნა.

სალვიმაც, რომელსაც ამ დროისთვის მორგანტინა უკვე აღებული ჰქონდა, აგრეთვე გამოაცხადა თავისი თავი მეფედ, დაირქვა ტ რ ი ფ ო ნ ი, ე. ი. ფუფუნებით მცხოვრები, და გამაგრდა ქალაქის ბუნებრივ ციხე-სიმაგრე ტრიოკალაში, რომელიც მიუვალ კლდეს წარმოადგენდა. ტრიოკალაში (Triocala) მოხდა ორი მეფის — აფენიონისა და ტრიფონის — შეხვედრა; შეხვედრისას საშიშროება იყო იმისი, რომ მონათა ამ ორ არმიას შორის ძმათაშორისი ომი ატყდებოდა. ტრიფონს ეჭვი ჰქონდა აფენიონის ვერაგულ ზრახვებისა — ბელთ ეგდო უმაღლესი ხელისუფლება, ამიტომ ბრძანება გასცა იგი დაეპატიმრებინათ და გუშაგები დაეყენებინათ, რის შემდეგ თავისი თავი გამოაცხადა ერთპიროვნულ და თვითმპყრობელ მართველად.

პირველ ყოვლისა, ტრიფონი შეუდგა ტრიოკალას გამაგრებას. იგი გადააქცია საესებით მიუვალ ციხედ, რომელსაც გარშემო შემორტყმული ჰქონდა უშველებელი კედლები და რომელიც მდებარეობდა ნაყოფიერი ადგილის შუაგულში, იგი მდიდარი იყო ვენახებით, ზეთისხილის ნარგავებით და ანკარა წყაროს წყლით. მაღალ კლდეზე მეფე ტრიფონმა ააგო „სამეფო ბინა" — სასახლე. სასახლის წინ იყო ფართო მოედანი, სადაც მეფე იწვევდა სახალხო კრებას უფრო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად. წინასწარ კი ყველა საქმე იხილებოდა საბჭოში, რომელიც მეფესთან არსებობდა. საზეიმო შემთხვევებში სალვი, ისევე როგორც აფენიონი, იკეთებდა სამეფო ღირსების ნიშნებს — დიადემას, ძოწეულ ტოგას და ფართო კვართს, გამოდიოდა ცულებით აღჭურვილი ლიქტო-

რების თანხლებით და საერთოდ სარგებლობდა ყოველივე იმით, „რაც შეადგენდა განმასხვავებელ ნიშნებს და მეფის ძალაუფლების სამკაულს წარმოადგენდა“.

ამასობაში რევოლუციური სტიქიონი უფროდაუფრო ფართოვდებოდა და თავისი აბობოქრებული ტალღებით ბრძოლაში ითრევდა როგორც მონებს, ისე თავისუფლებს.

„არა მარტო მონათა მასა აოხრებდა და იკლებდა ამბოხებით მოცულ ოლქს, არამედ თავისუფლებიც მიმართავდნენ ხოლმე ძარცვა-რბევას და უწესოებას. ქონებას მოკლებულნი, ისინი, როგორც გაჭირვების გამო, ისე უწესოებისადმი მიდრეკილებით, ბრბოდაბრბო დაიარებოდნენ იმ მხარეში, მიერეკებოდნენ საქონლის ჯოგებსა და ფარებს, იტაცებდნენ საკუჭნაოებში შენახულ მარაგს და ხოცავდნენ გზადშეხვედრილ თავისუფლებსა და მონებს, რათა არ ყოფილიყვნენ მათი უგონობისა და უწესოების მოწმენი“ [1].

რევოლუციურმა ტალღამ მოიცვა აგრეთვე ქალაქებიც. „საერთოდ, ქალაქად არეულობა შეიქნა და კანონიერი უფლება დაირღვა, ვინაიდან მეამბოხეთ, ეკავათ რა ღია ადგილები, ქვეყანას გაუვალად ხდიდნენ. ისინი შურს იძიებდნენ თავიანთ ბატონებზე და ვერ გაჯერებულიყვნენ მათ თავზე უეცრივ მოვლენილ ბედნიერებით. ქალაქის მონები იტანჯებოდნენ და მზად იყვნენ აჯანყებისათვის, ისინი შიშს ჰგვრიდნენ თავიანთ ბატონებს“ [2].

სიცილიაში „მონათა“ ახალი „სამეფოს“ წარმოქმნამ დიდი შფოთი და შიში გამოიწვია რომში, რომელიც ჯერ ისევ კიმვრ-ტევტონების ომის შთაბეჭდილების ქვეშ იყო. სიცილიაში გაგზავნილ იქნა პრეტორი ლ უ ც ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს ი ლ უ კ უ ლ ი 17 ათასიანი არმიით. საერთო საფრთხის წინაშე ტრიფონი და აფენიონი შერიგდნენ. მონათა გაერთიანებული არმია აფენიონის წინამძღოლობით, 40 ათასი კაცისგან შემდგარი, ლუკულს შეება ს კ ი რ ტ ა ს თ ა ნ, მაგრამ საკვლებით დამარცხდა. მოკლულთა საერთო რიცხვი 20 ათას კაცს აღწევდა. გადარჩენილი მონები გაიქცნენ ტრიოკალაში. დამარცხება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრმა მონამ სრულიად თავგზა დაჰკარგა და ბევრი მზად იყო კიდეც თავთავიანთ ძველ ბატონებთან დაბრუნებულიყო, მაგრამ დამარცხებულთა საქმეს უშველა რომაელი პრეტორის გაუბედაობამ და მოქრთამეობამ.

„9 დღის მერე პრეტორი გამოცხადდა განზრახვით — ალყა შეეპოერტყა ტრიოკალასთვის. ის ხან ზიანს აყენებდა მტერს, ხან თვი-

---

[1] Diod., XXXVI.
[2] Ibid.

თონაც ზარალდებოდა ბრძოლებში, ბოლოს მან უკან დაიხია, რადგან მის ძალებს აღემატებოდა მეამბოხეების ძალა, და უკანასკნელებმაც ხელახლა წამოსწიეს თავი. ყოველივე იმიდან, რაც აუცილებლივ საჭირო იყო გასაკეთებლად, პრეტორმა არაფერი არ გააკეთა ან საკუთარი უმოქმედობით ან კიდევ ქრთამის აღების გამო“ [1].

ლუკული მალე უკან გაიწვიეს, ხოლო სიცილიაში მის ადგილას გაგზავნილ იქნა ახალი პრეტორი, გაიოს სერვილიუსი, რომელსაც, დიოდორეს მოსწრებული თქმით, არაფერი არ გაუკეთებია „განცვიფრების ღირსი“. რომში გაწვევით შეურაცხყოფილი ლუკული შეეცადა გაეკეთებინა ყოველივე ისე, რომ თავისი შემცვლელის მოღვაწეობა გაეძნელებინა: დაითხოვა ჯარი, მოსპო აღალი, გადასწვა სიმაგრეები და მისთანა სხვა, — ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გააკეთა, რომ მის მოადგილეს ომი ბოლომდე ვერ მიეყვანა.

ასეთ პირობებში რომში მიმდინარეობდა 101 წლისთვის კონსულების არჩევნები. ამორჩეულნი აღმოჩნდნენ ნაცადი პირები, მონათმფლობელური რომის ინტერესთა საიმედო მოსარჩლეები — გაიოს მარიუსი (მეხუთეჯერ) და მისი მეგობარი მ. აკვილიუსი (M. Aquilius). უკანასკნელი დაუყოვნებლივ გაემგზავრა სიცილიაში აჯანყების ჩასაქრობად, ომი მან აწარმოა დიდი ძალებით და ენერგიით და გაიმარჯვა კიდეც. მონათა მთავარი არმია აფენიონის წინამძღოლობით დამარცხებულ იქნა, თვითონ აფენიონი ბრძოლაში დაიღუპა, მონათა ნაწილი დაეცა ბრძოლის ველზე, ზოგი გაიქცა ან ტყვედ ჩავარდა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა.

„ასეთი ტრაგიკული დასასრული ჰქონდა მონების ომს სიცილიაში, რომელიც გრძელდებოდა ოთხ წლამდეო“ [2], ამთავრებს თავის თხრობას დიოდორე.

3. მარიუსის ბრძოლა პოპულარებთან. სატურნინის კანონპროექტი

მონების რევოლუციამ და ომმა შეაშფოთა რომის პოლიტიკური ცხოვრება. პოპულარებმა, რომელთა წინამძღოლებად იმ დროს იყვნენ ა პ უ ლ ე უ ს ს ა ტ უ რ ნ ი ნ ი (Appuleius Saturninus) და ს ე რ ვ ი ლ ი უ ს გ ლ ა ვ ც ი ა (Servilius Glaucia), წამოაყენეს დემოკრატიული რეფორმების პროგრამა, რომელიც იმეორებდა და ავსებდა გრაქხების პროგრამას (Gracchanas asserere leges non destitit).

---

[1] Diod., XXXVI, 9

[2] Ibid., XXXVI, 10.

103 წ. აპულეუს სატურნინმა როგორც სახალხო ტრიბუნმა ეანაახლა გაიოს გრაქხის პ უ რ ი ს კ ა ნ ო ნ ი, რომლის თანახმად პურის ფასი არ უნდა ყოფილიყო $^3/_4$ ასსზე მეტი. მომდევნო 101 წელს სატურნინმა შეიტანა აგრარული კანონი (lex agraria), რომლის მიხედვით მარიუსის ვეტერანები იღებდნენ მიწებს გალიაში.

სენატს წინადადება ეძლეოდა აღნიშნული კანონი განეხილა და დაემტკიცებინა ხუთი დღის განმავლობაში. სენატორებმა ეს შერაცხეს სენატის უფლებათა დამცირებად და სატურნინის წინადადება გააპროტესტეს, ხოლო ოპტიმატების წინამძღოლმა ცენზორმა კვინტუს მეტელმა ნუმიდიელმა ვადის გასვლის შემდეგ სატურნინი გარიცხა სენატორთა სიიდან. ამან სატურნინი დააახლოვა გაიოს მარიუსთან, რომელსაც აგრეთვე ესაჭიროებოდა პოპულარების შემწეობა. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ერთგვარი წონასწორობა სამხედრო წინამძღოლებსა და რესპუბლიკურ დაწესებულებათა შორის. სამხედრო წინამძღოლები თავიანთ თავს შებოჭილებად გრძნობდნენ რესპუბლიკური კონსტიტუციის მიერ, მით უმეტეს, რომ მარიუსმა, თანახმად ჩვეულებისა, ლაშქრობის გათავების შემდეგ თავისი არმია დაშალა [1].

მთავარი საკითხი, რომელიც მარიუსს აინტერესებდა, ეს იყო საკითხი მიწების მიზომვის შესახებ იმ ჯარისკაც-ვეტერანებისათვის, რომელთაც სამსახურის ვადა შეასრულეს. სენატი მარიუსის პოპულარობის გაზრდისა და აგრეთვე ხაზინის ხარჯების გადიდების შიშით ამას წინაღუდგა. შექმნილ პირობებში მარიუსს ერთადერთი გზა-ღა რჩებოდა თავისი დაპირების შესასრულებლად — პოპულარებთან დაახლოება. სამხედრო წინამძღოლის პოპულარებთან ეს დაახლოება გაფორმდა 101 წ. არჩევნების დროს.

შეთანხმებას მიზნად ჰქონდა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობების ხელში ჩაგდება და ზემოთხსენებულ რეფორმების გატარება. მარიუსს უნდა მეექვსეჯერ მიეღო კონსულობა, სატურნინს — შეორეჯერ ტრიბუნატი, ხოლო გლავციას — პრეტურა.

შეთანხმების უახლოესი მიზანი, თუმცა ამას შრომაც მცირედი არ დასჭირდა, მიღწეულ იქნა. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობანი და ადგილები აღმოჩნდა მარიუსისა და მისი მოკავშირეების ხელში. ახლოვდებოდა მეტად მწვავე მომენტი — აგრარული კანონპროექტის რეალიზაცია.

სატურნინის კანონპროექტს მხედველობაში ჰქონდა მიწების შიზომვა მარიუსის იმ ვეტერანებისათვის, ვინც სამსახურში შევიდა

---

[1] Cic., Pro Rab., 7, 20; De orat., 2, 49, 201.

107 წ. და ექვსი წელიწადი გაატარა ნამდვილ სამსახურში. ფიქრობდნენ მიეზომათ საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთები, 100 იუგერამდე, ხოლო ამ ოპერაციისათვის საჭირო თანხები აეღოთ ტაძრის საგანძურებიდან ნაწილობრივი რეკვიზიციის გზით. რადგან იტალიაში ნაკლებად იყო ager publicus, ფიქრობდნენ გამოეყენებინათ პროვინციური ფონდი — კიმვრებისათვის წართმეული მიწები, სახელმწიფო მიწები აფრიკასა, აქაიასა და მაკედონიაში.

სენატორებს, რომელთა მხრიდან ყველაზე უფრო მეტად იყო მოსალოდნელი ოპოზიციის გაწევა, ევალებოდათ უახლოეს დღეების განმავლობაში ფიცი დაედოთ, რომ ისინი ხელს შეუწყობენ ახალი კანონის ცხოვრებაში გატარებას. ხოლო თუ უარს იტყოდნენ ფიცის დადებაზე, მაშინ უნდა გადაეხადნათ დიდი ჯარიმა 20 ტალანტის რაოდენობით.

ფიცის დადების მოთხოვნა, უწინარეს ყოვლისა, მეტელისკენ იყო გამიზნული, მარიუსის მეტოქე და სატურნინის მტერი რომ იყო.

მიწების გამნაწილებელი აგრარული კომისიის სათავეში უნდა ჩამდგარიყო თვითონ მარიუსი. მიწის ნაკვეთების მიცემას ფიქრობდნენ არა მარტო რომაელებისათვის, არამედ იტალიკებისთვისაც, რომელნიც სარგებლობდნენ მარიუსის განსაკუთრებული მფარველობით; ის იყო იტალიის მკვიდრი და თავის ჯარისკაცებს შორის მას ბევრი იტალიკი ჰყავდა.

კანონპროექტისათვის ხმის მიცემის დროს სატურნინს ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა სოფლისა და მარიუსის იმ ვეტერანებისა, რომელნიც სამსახურის გათავების შემდეგ თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ.

„მან დანიშნა დღე კანონპროექტის განსახილველად, ამასთანავე შიკრიკები დაგზავნა ყველგან და ეს ამბავი შეატყობინა სოფლის მცხოვრებლებს, რომელთა იმედიც ყველაზე უფრო მეტად ჰქონდა, რადგანაც ისინი არმიაში მსახურობდნენ მარიუსის სარდლობის ქვეშ“ [1].

მოქალაქენი მკვეთრად ლაპარაკობდნენ კანონპროექტის წინააღმდეგ, განსაკუთრებით პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ იტალიკები შეეტანათ მიწის მიმღებთა რიცხვში, და ამაში ისინი ხედავდნენ რომის მოქალაქეობის უფლებათა შეზღუდვას. ამ ჯერობაზედაც აგრარული საკითხი გადაჭდობილი იყო მოკავშირეობის საკითხთან. სახალხო ტრიბუნებმა, სატურნინის მოწინააღმდეგეებმა,

---

[1] App., Bell. civ., I, 29.

მოაწყეს ობსტრუქცია — გადმოაპირქვავეს ორატორის ტრიბუნა, ორატორებს ტალახს ესვროდნენ, აამუშავეს მუშტები, ჯოხები და ხანჯლები. მაგისტრატებმა მოიმიზეზეს ქუხილი და გრგვინვა, რო-გორც ღვთაების მაუწყებელი ნიშნები, დახურეს კრებები და მიღებულ გადაწყვეტილებათა კასაცია მოახდინეს. მაგრამ სატურნინი მტკიცედ მოითხოვდა თავისი კანონპროექტის მიღებას და ოპტიმატების წინამძღოლის მეტელის გაძევებას. ამის შემდეგ სატურნინმა წინადადება შეიტანა არ მიეცათ მეტელისათვის თავშესაფარი, ცეცხლი და წყალი (aqua et igni interdictus).

„გახსოვდეთ ერთი, — ამბობდა სატურნინი, მიმართავდა რა კრებას, — რომ თქვენ ვერავითარ მიწას ვერ მიიღებთ იმ დრომდე, სანამ ძალაში არ შევა ახალი აგრარული კანონი, და მეტელი, მთავარი მისი მოწინააღმდეგე, ექსორიაში არ წავაო“ [1].

მაგრამ მეტელის გაძევებამ მაინც ვერ შესცვალა მდგომარეობა და სიმშვიდე ვერ შეიტანა აბობოქრებულ გრძნობებში. ოპოზიციის მხარეზე იწყეს გადასვლა აგრეთვე მხედრებმაც, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ სატურნინის მეტად რადიკალური პოლიტიკისა და რომელთაც, საერთოდ, ეშინოდათ ყოველგვარი მღელვარებისა. გარდა ამისა, მოქალაქეთა მასობრივი გასახლება კოლონიებში საფრთხეს ქმნიდა დამზადებათა შემცირებისას, სურსათ-სანოვაგით ქალაქის მომარაგებისას, იყო იმის შიშიც, რომ შენობებზე ფასები დაეცემოდა, დაიწევდა მიწის რენტა, მხედართა კლასის შემოსავლის სხვა წყაროებიც შემცირდებოდა. ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, აიძულა კიდეც მხედრები და მასთან ერთად მარიუსიც სენატს დაახლოებოდნენ სატურნინის წინააღმდეგ.

შემდეგ არჩევნებში, 99 წლისათვის, რომის ქუჩებში ნამდვილი ბრძოლები გაჩაღდა. ტრიბუნებად არჩეულ იქნენ აპულეუს სატურნინი (მესამეჯერ) და მონა, რომელიც თავის თავს გაიოს გრაქჩის შვილად ასაღებდა. კონსულობის კანდიდატი მემიუსი, სატურნინის მოწინააღმდეგე, ჩამოიცილეს გზიდან — თანამდებობის ძიებას ვეღარ მოესწრო მიგზავნილი მკვლელების წყალობით და ამის გამო კონსულად არჩეულ იქნა მეორე კანდიდატი — გლავცია. მემიუსის მოკვლამ საშინელი ალიაქოთი გამოიწვია: კომიციები დახურეს და ქალაქშიც საალყო წესები შემოიღეს.

„სახალხო კრება დაშლილია, კანონები დარღვეულია, სასამარ-

---

[1] App., Bell. civ., I, 30.

თლოს განაჩენები შეჩერებულია, დავიწყებულია ყოველგვარი რიდი და სირცხვილი“ [1].

კანონგარეშე გამოცხადებულმა პოპულარების წინამძღოლებმა დაიპირეს კაპიტოლიუმი და იწყეს მომზადება შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად. სენატმა senatus consultum ultimum-ის ძალით კონსული მარიუსი შემოსა საგანგებო უფლებებით. ამგვარი მოულოდნელი დავალებით შემკრთალმა მარიუსმა მაინც ვერ გაბედა დავალებაზე უარის თქმა და სახელდახელოდ შეგროვილი ჯარით, რომლის შორისაც ბევრი იყო არისტოკრატიული ახალგაზრდობა და არისტოკრატიული სახლების კლიენტები, ალყა შემოარტყა კაპიტოლიუმს. მარიუსის ცდა, ალყაშემორტყმულთათვის თუნდაც სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ამაო აღმოჩნდა. მათი ნაწილი კაპიტოლიუმში დაიხოცა სიმშილისაგან, სხვანი კი, რომელნიც სატურნის ტაძარში იყვნენ ჩაკეტილი, ამოხოცა გააფთრებულმა ოქროს ახალგაზრდობამ.

„ვნებათა მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ არაფერს არ ჰქონდა ძალა და გავლენა — არც კანონს, არც თავისუფლებას, არც კონსტიტუციას, არც ღირსებას, არც ხელისუფლების ავტორიტეტს“ [2].

მოწინააღმდეგის შემუსვრას რეაქცია მოჰყვა. მარიუსი მცირე აზიაში გაემგზავრა იმის მომიზეზებით, რომ აღესრულებინა აღთქმა, ვითომდა ოდესღაც მიცემული ქალღმერთ კიბელასათვის. მეტელი კი დაბრუნდა ექსორიიდან და ხალხის მიერ ზეიმით იქნა მიღებული, ხოლო სატურნინის კანონები გააუქმეს.

6. ლივიუს დრუზუს უმცროსის გამოსვლა

კავშირი მხედრებსა და ნობილებს შორის, რომელნიც გაერთიანდნენ აპულეუს სატურნინისა და „მისი უგუნურების თანამონაწილის“ გლავციას წინააღმდეგ, ვერ იყო მტკიცე. მხედართა გაძლიერებული გავლენა შიშს ჰბადებდა ნობილებს შორის, რომელთა წინამძღოლად სენატში იმ ხანებში იყო მ ა რ კ ო ს ლ ი ვ ი უ ს დ რ უ ზ უ ს უ მ ც რ ო ს ი, გაიოს გრაქხის მოწინააღმდეგე დრუზუსის შვილი. ოპტიმატებს შორის დრუზუსი დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა, როგორც ერთერთი მეტად პატიოსანი, მდიდარი, განათლებული და ჭკვიანი ადამიანი. დრუზუსის გამოსვლის საბაბი იყო მისი შეხლა სენატში სერვილიუს ცეპიონთან, არა-

---

[1] App., Bell civ, I, 32.

[2] Ibid.; Cic., Brut., 62, 224; Vell. Pat., 2, 12.

ნაკლებ მდიდარ და გავლენიან არისტოკრატთან, რომელსაც მხედართა წოდების მხარე ეჭირა. შეტაკება გამოიწვია ცეპიონმა, რომელმაც ოპტიმატების ერთერთ წინამძღოლს — სკავრუსს — ქრთამის მიცემაში ბრალი დასდო.

ცეპიონის მოწინააღმდეგე მარკოს ლივიუს დრუზუსი, იმ მიზნით, რომ თავის მხარეზე გადაებირებინა რომაელებისა და იტალიკების ფართო მასები და აღემაღლებინა სენატის შერყეული ავტორიტეტი, როგორც სახალხო ტრიბუნი 91 წელს გამოვიდა რეფორმათა ფართო პროგრამით, რომელიც ძირითადად იმეორებდა გრაქხების რეფორმებს.

პოლიტიკური ატმოსფერო უკიდურესობამდე დაძაბული იყო, ორივე მხარე ემზადებოდა ენერგიულ ბრძოლისათვის.

„მაშინ გაჩნდა ნიშნები, არწივები და დროშები და ქალაქიც თითქოს გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად“ (ceterum sic urbe in una quasi binis castris dissedebatur). დრუზუსის პროგრამის ცენტრში იყო ა გ რ ა რ უ ლ ი და მისგან განუყოფელი მ ო კ ა ვ შ ი რ ე ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. ამ ორ ცენტრალურ საკითხს დაერთო მთელი რიგი სხვა საკითხები პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა: სასამართლოების გადაცემა მხედრებისგან სენატორებისათვის, ბრძოლა მექრთამეობასთან და ღონისძიებანი იტალიის საწარმოო ძალების საერთო დაწინაურებისათვის.

დასარიგებლად საჭირო მიწის ფონდის შექმნას ფიქრობდნენ ager publicus ის ნაშთებიდან, აქვე მითვლილი იყო საყორეულო ager Campanus და მერე პროვინციური ფონდისგან.

„დავყოთო, — ლაპარაკობდა დრუზუსი, — ყველაფერი. რის დაყოფაც კი შეიძლება. ჩემ შემდეგ გაუყოფელი დარჩება მარტო ტალახი და ჰაერიო“ (Nihil se ad largitionem ulli reliquisse, nisi si quis aut coenum dividere vellet aut coelum).

ლივიუს დრუზუსის პროგრამის დამამთავრებელ კანონს წარმოადგენდა კანონი მოკავშირეთა შესახებ (lex de civitate sociis danda).

რაც უფრო ვითარდებოდა რომაულ-იტალიკური საზოგადოება, მით უფრო მწვავედ წამოიჭრებოდა ხოლმე მოკავშირეების საკითხი, ე. ი. საკითხი რომის მოქალაქეობაში იტალიკების ჩარიცხვისა. იტალიის ეკონომიურსა და კულტურულს ზრდას ბუნებრივი გზით მოსდევდა რომაელებისა და იტალიკების ერთმანეთში შერევა და აუცილებლობა მათი პოლიტიკურ უფლებებში გათანასწორებისა. სოციალურ-პოლიტიკური პროცესი მოკავშირეთა თემებში ვითარდებოდა იმავე ხაზით, როგორითაც ძველ რომაულ ოლქებში. მონათმფლო-

ბელობის წინადროინდელი და ნატურალური მეურნეობის მიმავალ ფორმათა ადგილს იკავებდა საქონელ-ფულადი ურთიერთობა მონათმფლობელურ საფუძველზე. უამრავ იტალიკურ წვრილ და საშუალო მიწათმფლობელებისგან გამოიყოფოდა ჯგუფი მსხვილ მონათმფლობელებისა, პლანტატორებისა, რომელთაც დაიჭირეს ადგილობრივი ager publicus, მესაქონლეებისა და ბაღების პატრონებისა.

იტალიის უფრო მოწინავე ნაწილებს ეკუთვნოდა აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარე ოლქები — ეტრურია, ზღვის სანაპირო ოლქებით, და უმბრია.

ეკონომიურ და კულტურულ ინტერესთა ნიადაგზე რომაელებსა და იტალიკებს შორის მყარდებოდა უფრო მჭიდრო კავშირი, რომელიც სპობდა ადგილობრივსა და ტომობრივ თავისებურებათ. იტალიის თემებში მიმდინარე ინტენსიურ სოციალურ ცხოვრებას ადასტურებს ავტონომიურ ორგანიზაციათა არსებობა, კავშირების, კრებების, ადგილობრივი ღმერთების სახელობის დღესასწაულთა არსებობა, ერთმანეთს შორის ფიცისა და მძევლების გაცვლა.

იტალიის სხვადასხვა თემის განწყობილება რომის მიმართ არ ყოფილა ერთნაირი, არ იყო ერთნაირი აგრეთვე მათი გასაჭირი და მოთხოვნილებანი, რომელთაც ისინი რომს უყენებდნენ. დასავლეთის ზღვისპირა ოლქების მცხოვრებნი, იმ ოლქებისა, რომელნიც მდიდრები იყვნენ ბაღ-ბოსტნეული პლანტაციებით, უფრთხილდებოდნენ თავიანთ მიწის ნაკვეთებს და პროტესტს აცხადებდნენ მათ ოლქებში რომაელი მიწათმოქმედების ჩასახლების წინააღმდეგ; ასეთები კი იყვნენ: მებაღეები, მევენახეები და მეზეთისხილენი, რომელნიც სხვადასხვა უპირატესობით სარგებლობდნენ და ადგილობრივ მეურნეებს გამოსდევნიდნენ ხოლმე. მიიღებდნენ თუ არა მოქალაქეობის უფლებებს, ისინი დავისუფლდებოდნენ რომაელთა კონკურენციისგან და რომის ხელისუფალთა ძალმომრეობისგან.

სხვა მოთხოვნილებებს აყენებდნენ ნახევარკუნძულის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილების მთიელი ტომები. მთის მწყემსი ტომები — სამნიტები, მარსები, ლუკანები და სხვანი, — უკმაყოფილო იყვნენ რომაელ მესაქონლეთა საძოვრების გაფართოებით, რომელნიც ემუქრებოდნენ მათი ტრამალებისა და მთის საძოვრების ხელში ჩაგდებით [1].

იტალიკების ხსენებულ ჯგუფების მისწრაფება — მიეღოთ მოქალაქეობის უფლებანი—გამოწვეული იყო, პირველ ყოვლისა, იმის

---

[1] Р. Вилпер, Очерки по истории Римской империи, М. 1908 г.

სურვილით, რომ თავი დაეფარათ რომაელ მიწათმფლობელების იერიშებისგან, გათავისუფლებულიყვნენ რომთან კავშირისგან და შეენარჩუნებინათ თავიანთი ავტონომია. თვითონ რომში მცხოვრები ან კიდევ რომის არმიაში მომსახურე (ვეტერანები) იტალიკები ცდილობდნენ მიეღოთ მიწის ნაკვეთები და წილი სდებოდათ ნადავლის განაწილებაში და შემსყიდველ კომპანიებში.

რარიგ სხვადასხვაგვარი და დაპირისპირებულიც არ უნდა ყოფილიყო იტალიკების სურვილები, მაინც ყველა ისინი ერთ რამეში თანხმდებოდნენ — ჩარიცხულიყვნენ რომის მოქალაქეთა შემადგენლობაში. მოქალაქეობის უფლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მას ადამიანი გადაჰყავდა უუფლებო ქვეშევრდომის მდგომარეობიდან მსოფლიოს მბრძანებელთა რიგში, რომელნიც ბატონობდნენ მთელ რიგ მიწებსა და ხალხებზე (orbis terrarum domini). მოქალაქეობა გზას უხსნიდა მათ პროვინციებში მოღვაწეობის, შეღავათიან პირობებში მიწის შეძენის, გადასახადებისაგან გათავისუფლების, სამხედრო სამსახურში პრივილეგიების და მრავალი სხვ. წარმტაც პერსპექტივებს.

მოქალაქეობის უფლების მიღებას მით უფრო მწვავე ხასიათი ეძლეოდა, რომ ცენტრალური მთავრობის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა მოკავშირეების ამ ისტორიულად გასამართლებელ მოთხოვნებს. იმისდა მიხედვით, რაც რომი იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოსგან ხდებოდა ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად, იტალიის ფედერაცია იშლებოდა და იტალიკები მოკავშირეთა, რომის უმცროს ძმათა, მდგომარეობიდან გადადიოდნენ მის ქვეშევრდომთა მდგომარეობაში. რომის მოქალაქეთა წრეში სენატსა და კომიციებში უპირატესი გასავალი ჰქონდა იმის ტენდენციას, რომ იტალიკები ჩამოექვეითებინათ რომის ხალხის ისეთივე ქვეშევრდომების მდგომარეობამდე, როგორც იყვნენ პროვინციალები. ყოველ მიზეზსა და საბაბს ხელზე იხვევდნენ, რომ სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვი შეემცირებინათ.

დრუზუსის ლიბერალური თვალსაზრისი მოკავშირეთა საკითხზე წესს კი არ წარმოადგენდა, არამედ გამონაკლისს, და დრუზუსის მომხრენიც სენატში ცოტანი იყვნენ. დრუზუსის საწინააღმდეგო ოპოზიციაში იდგნენ მხედრები და სენატორთა ის ნაწილი, რომელიც მხედრებზე იყო დამოკიდებული. ოპოზიციის სულის ჩამდგმელი იყო კონსული მ ა რ ც ი უ ს ფ ი ლ ი პ ე, რომელიც პოპულარებისგან მხედრების მხარეზე გადავიდა. ფილიპეს მიემხრო ყველა, ვინც კი ძრწოდა, გაიხსენებდა თუ არა ახალი რევოლუციის შესაძლებლობას, 111 წლის კანონის კასაციას, მიწების გადამიჯვნას, მონათა

ჯანყებებს, საქმიანი ცხოვრების დარღვევას და მისთანას. დრუზუსის მოწინააღმდეგეთა რიცხვში იყო იტალიკების ზოგიერთი ჯგუფიც, განსაკუთრებით უმბრიისა და ეტრურიის მსხვილი მიწათმფლობელები და მესაქონლენი, რომელთაც ეშინოდათ ადგილობრივ ager publicus-ზე უფლებათა გადასინჯვისა და პოსესიათა შემცირებისა.

სენატის ოპოზიციით გაღიზიანებული დრუზუსი დაადგა რომის ოლიგარქიასთან აშკარა ბრძოლის გზას, ემყარებოდა რა მოკავშირეებს, რომელთა საიდუმლო საზოგადოებებთან მას უკვე დიდი ხანია მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული. ამას მოწმობს იტალიკების ქვემორემოყვანილი ფიცი, რომელიც მეტ სიმტკიცეს აძლევდა ურთიერთშორის ხელშეკრულებას.

„ვფიცავ კაპიტოლიუმის იუპიტერს, — ამბობდა ფიცის ტექსტი, — რომის ვესტას და ჩემი სახელმწიფოს მამას მარსს. ვფიცავ ცხოველმყოფელ მზეს და მიწას, რომელიც კვებავს ცხოველებსა და მცენარეებს. ვფიცავ ღმერთებს, რომელთაც რომი დააფუძნეს, და გმირებს, რომელთაც განავრცელეს მისი ძლიერება. ვფიცავ, რომ ლივიუს დრუზუსის მტერი და მეგობარი იქნება ჩემი მტერი და მეგობარი. ვფიცავ, რომ არ დავზოგავ არც ჩემ სიცოცხლეს, არც ჩემ შვილებს და მშობლებს და არაფერს ჩემსას, ოღონდ კი სასარგებლო ვიქნე ლივიუს დრუზუსისა და ყველა იმათთვის, ვინც მას ფიცი მისცა. ხოლო თუ მე, ლივიუს დრუზუსის კანონისამებრ, მოვიპოვებ რომის მოქალაქეობის უფლებას, რომს ჩავთვლი ჩემ სამშობლოდ, ხოლო დრუზუსს ჩემ დიდ კეთილმომქმედად. ამ ფიცის სასარგებლოდ მე ვეცდები მოვიზიდო რაც კი უშესაძლებელესია მოქალაქეთა დიდი რიცხვი. უკეთუ მე დავიცავ ამ ფიცს, იყოს ჩემდა კეთილი; ხოლო თუ დავარღვევ, იყოს ჩემდა ბოროტი“ [1].

ხმის მიცემის დღეს, მოგვითხრობს ფლორი, რომს ყოველის მხრიდან იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ გეგონებოდა ქალაქი გარემოცულია მტრის არმიითაო. მაგრამ ამან ვერ შეაშინა დრუზუსის მოწინააღმდეგენი. კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა კონსული ფილიპე, მაგრამ იგი ლივიუს დრუზუსის მიერ იქნა დაპატიმრებული და საპყრობილეში გაგზავნილი. კანონი გაატარეს კომიციებში, მაგრამ კონსულმა იგი გააპროტესტა სენატში იმ საფუძველზე, რომ მას შეტანასა და დამტკიცებას შორის შვიდ დღეს არ გაეელო და, გარდა ამისა, იმიტომ, რომ კანონი შეიცავდა სხვადასხვაგვარ დადგე-

[1] Diod., XXXVII, 11.

ნილებებს. ამავე დროს „მოკავშირეები იარაღით ხელში დაჟინებით მოითხოვდნენ სახელმწიფოსგან შეესრულებინათ დრუზუსის მიერ მათდამი მიცემული აღთქმა“ [1].

განზრახული იყო მოეწვიათ სახალხო კრება, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო რომის მოკავშირე იტალიკების ბედი, მაგრამ იგი არ შესდგა კანონპროექტის ინიციატორის მარკოს ლივიუს დრუზუსის ანაზდეული სიკვდილის გამო: იგი დაიღუპა მკვლელის ხანჯლით საკუთარი სახლის კარის წინ სახალხო კრებაში მისი გამოსვლის წინადღით.

7. მოკავშირეთა საკითხი და მოკავშირეთა ომი
(91—88 წწ.)

ლივიუს დრუზუსის სიკვდილი ნიშანი გახდა იტალიკების საერთო აჯანყებისა ანუ მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა ო მ ი ს (91—88 წწ.) დაწყებისათვის.

„დაე ამ ომს უწოდებდნენ მოკავშირეთა ომს (bellum sociale), რომ იგი ნაკლებ ოდიოზურად იქნას წარმოდგენილი. მაგრამ თუ სიმართლით ვილაპარაკებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს იყო ნამდვილი სამოქალაქო ომი (bellum civile). რა საშინელი და უბედური ომია, როცა მთელი ლაციუმი, პიცენუმი, მთელი ეტრურია და კამპანია, ერთი სიტყვით, იტალიის ყველა ხალხი იარაღს აღმართავს თავისი დედისა და მშობლიური ქალაქის წინააღმდეგ. ყველა ჩვენს უაღრესად ერთგულებსა და უმამაცეს მოკავშირეებს, რომელნიც შემოკრბენ თავიანთი ქალაქების დროშების ქვეშ, თავიანთ წინამძღოლებად ჰყავთ უცნობი გვარიდან გამოსული პირნი: მარსებს სარდლობს პომპედიუმი, ლათინებს — აფრანიუსი, უმბრებს—პლოტიუსი, ეტრუსკებსა და სამნიტებს—ეგნაცი და ლუკანებს—ტელეზინი. ხალხს, რომელიც მეფეთა და სხვა ხალხების დამამარცხებელია (regum et gentium arbiter populus), არ შეუძლიან თავის თავი განაგოს. რომს, აზიისა და ევროპის დამამარცხებელს, უმაღლეს ხელისუფლებას ეცილება კორფინიუმი“ [2].

დრუზუსის სიკვდილის შემდეგ დაარსებულმა სისხლის სამართლის საგანგებო სასამართლოებმა დრუზუსისადმი თანაგრძნობისათვის და საიდუმლო კავშირებში მონაწილეობისათვის უამრავი ხალ-

---

[1] Cic., De orat., 1, 7; Vell. Pat., 11, 13—14; Aur. Victor. Vir. Ill, 36.

[2] Flor, III, XVIII.

ბი დასაჯეს. ტერორი მთელ იტალიას მოედო. დრუზუსის პარტიის ერთგულმა გამოჩენილმა მოღვაწემ სასწრაფოდ დასტოვა ქალაქი და იტალიას მოეფინა.

შექმნილი მდგომარეობა მოქმედების დაყოვნების ნებას არ იძლეოდა. „გაიგეს თუ არა დრუზუსის მოკვლის ამბავი, იტალიკებმა გადასწყვიტეს, რომ მათ აღარ ძალუძთ მეტი მოთმენა, მათი ინტერესების მოსარჩლეთა მიმართ ამგვარი მოპყრობის ატანა“ [1].

აჯანყება დაიწყო პიცენუმში, ქალაქ ასკულუმში (Asculum) შემდეგი საბაბით. პრეტორმა გაიოს სერვილიუსმა თავისი მზვერავების საშუალებით შეიტყო, რომ ასკულუმის მცხოვრებლებმა შეთანხმება მოახდინეს მეზობელ თემებთან და მძევლები დაცვალეს ერთმანეთში, და იგიც მცირე ამალით გამოცხადდა ქალაქში. ამ დროს ასკულუმელები დღეობას იხდიდნენ და დიდი რაოდენობით იყვნენ თავმოყრილი ასპარეზობაზე.

სერვილიუსმა თეატრში შეკრებილ საზოგადოებას მიმართა უკმეხი სიტყვით, რომელიც აღსავსე იყო ყვედრებითა და შეურაცხყოფით. მსმენელებმა ვეღარ აიტანეს რომის მაგისტრატის უკმეხი სიტყვა, თავს დაესხნენ მის ამალას, მოჰკლეს თვითონ იგი და მისი ლეგატი ფონტეუსი, ამოწყვიტეს და გაფანტეს მისი ამალა. აჯანყება დაიწყეს მარსებმა, რის გამოც თვითონ ომსაც მ ა რ ს ე ბ ი ს ო მ ი ს (bellum marsicum) სახელი შეერქვა.

მარსებს შეუერთდნენ სხვა მთიელი ხალხებიც, რომელნიც აბრუცში ცხოვრობდნენ, — პელიგნები, მარუცინები, ფრენტანები, ვესტინები და ზოგიერთი სხვა უმბრ-საბელური ტომები. მალე ჩრდილოეთის ფედერაციას შეუერთდა კიდევ სამხრეთის ფედერაციაც — საბნიტები და ლუკანები, ოსკთა ენაზე რომ ლაპარაკობდნენ. ჩრდილოეთის ფედერაციას სათავეში ედგა „შეუპოვარი მარსი“ კ ვ ი ნ ტ უ ს პ ო მ პ ე დ ი უ ს ს ი ლ ო ნ ი (Quintus Pompedius Silo). სამხრეთის ფედერაციის წინამძღოლად კი იყო გ ა ი ო ს პ ა პ ი უ ს მ უ ტ ი ლ უ ს ი (C. Pappius Mutilus).

სამხედრო კამპანიის დაწყების წინ მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ სცადეს და სენატს მიმართეს წინადადებით—შეექმნათ კომისია, ეცნოთ მათ მიმართ მოქალაქეობის უფლებები და არ დაეწყოთ ომი. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იტალიკების წინადადება უარყოფილ იქნა, მათ დაიწყეს მზადება დამოუკიდებლობისათვის საომრად.

მოწინააღმდეგეთა—რომაელებისა და იტალიკების—ძალები და-

---

[1] App., Bell. civ., I, 38.

ახლოებით თანასწორი იყო: რომის მოქალაქეთა რიცხვი, რომელნიც გაფანტული იყვნენ მთელ ნახევარკუნძულზე და პროვინციებში და რომელთაც ჰქონდათ უნარი ლაშქარში სამსახურისა, იყო დაახლოებით 500 ათასი, იტალიკების რაოდენობა ამაზე რამოდენიმედ მეტი იყო. დამდეგი ომის მთავარი სიძნელე რომისთვის მდგომარეობდა სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის დაქსაქსულობაში, რადგანაც მეამბოხე რაზმებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს ერთდროულად იტალიის ყველა ნაწილში, ალყას არტყამდნენ და იღებდნენ რომაულ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს. გარდა ამისა, რომის ჯარებს უხდებოდათ მოქმედება მთებში, უცნობ ადგილებში, გზები არ იყო და მთის ბილიკებზე გზას იკვლევდნენ ნაკლებსაიმედო გამყოლების მოშველიებით.

ამ ომის მეორე თავისებურება, რომელიც ერთსდაიმავე დროს რომისათვის ხელსაყრელიც იყო და არახელსაყრელიც, მდგომარეობდა იმაში, რომ რომის ციხე-სიმაგრეები გაბნეული იყო მთელ ნახევარკუნძულზე და მტერიც მათ ერთდროულად ესხმოდა თავს, ზოგიერთი მათგანი რომს ჩამოსცილდა კიდეც. მეორის მხრივ, რომის ერთგულად დარჩენილი კოლონიები იტალიკებისთვის ზურგიდან თავდასხმის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა.

ყველაზე უფრო დიდი საშიშროება იტალიის რევოლუციისათვის ის იყო, რომ თვითონ იტალიის თემების ინტერესთა ერთობლიობა არ არსებობდა. ზოგიერთი მათგანი მთელი ამ დროის განმავლობაში რომის ერთგული დარჩა. ასეთი იყო, მაგალითად, ჩრდილოეთის ორი ოლქი — ეტრურია და უმბრია, მსხვილი საძოვრითი და პლანტაციური მეურნეობის ქვეყნები. რომის მხარე ეჭირა აგრეთვე კამპანიის ქალაქთა დიდ ნაწილს — მათ რიცხვში ნოლასა და ნუცერიას, რომელნიც სარგებლობდნენ განსაკუთრებული უპირატესობით, შემდეგ ბერძნული ქალაქებს — ნეაპოლსა და რეგიონს.

ყველაზე უფრო მეტს სიძულვილსა და მტრობას რომის მიმართ გრძნობდნენ მთის საბელური ტომები, რომელთა შორის ჯერ კიდევ მტკიცედ ეჭირა თავი პატრიარქალურ წესწყობილებას და უფრო იყო შენარჩუნებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გრძნობა. მათთვის რომის გამარჯვებას მოჰქონდა მიწებისა და საძოვრების დაკარგვა, ახალი გადასახადები და ათასნაირი ბეგარა. მშობლიური ენისა და ჩვეულებათა შეცვლა გაბატონებული თემის ენითა და ჩვეულებებით.

აჯანყება სწრაფად მოედო მთელ ნახევარკუნძულს და მან ზედიზედ მოიცვა ერთი რაიონი მეორეზე. ერთბაშად დაიწყო რამდენიმე ქალაქის გარემოცვა სამხრეთში, ჩრდილოეთში, დასავლეთსა

და აღმოსავლეთში. მეამბოხეთა რაზმებმა, რომელთაც წინამძღოლობდნენ თავიანთი ტომობრივი მეთაურები, ალყა შემოარტყეს ფირმუმს, ბენევენტუმს, მოლას, პესტუმს და სხვათ, რომელთა დიდი ნაწილიც აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდა. ვეტიუს სატონის მარსების რაზმმა დაამარცხა რომის მთავარსარდალი ლუციუს იულიოს ცეზარი და ჩამოშორებაზე დაიყოლია დიდი ქალაქი ვენაფრუმი (Venafrum), სამნიუმის საზღვარზე. ვენაფრუმის მაგალითს მიბაძეს კამპანიურმა ქალაქებმა სალერნუმმა (Salernum), სტაბიამ (Stabiae), პომპეამ (Pompeii) და ჰერკულანუმმა (Herculaneum). არანაკლები გამარჯვება ხვდათ წილად აჯანყებულთა რაზმებს იტალიის შუა ნაწილშიაც, ფუცინუსის ტბის (lacus Fucinus) მახლობლად და თვითონ სატახტო ქალაქსაც დაპყრობის საფრთხე შეუქმნეს მათ. მარსები მოულოდნელად თავს დაესხნენ კონსულ რუტილიუს ლუპის არმიას და იგი სასტიკად დაამარცხეს; ამ ბრძოლას სიცოცხლე შესწირა 8 ათასმა ჯარისკაცმა და თვითონ კონსულმაც, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა. სწორედ იმავე თვეებში აჯანყებულთა სხვა წინამძღოლებმა — გაიოს იუდაციელიუსმა ასკულუმიდან და ტიტე ლაფრენიუსმა პიცენუმის ოლქში — იერიში მიიტანეს რომის კონსულ პომპეუს სტრაბონზე, სახელოვან პომპეუს დიდის მამაზე, და შეიმწყვდიეს იგი ფირმუმის ციხე-სიმაგრეში.

პირველი წლის სამხედრო კამპანიის დასასრული არაჩვეულებრივად სამძიმო აღმოჩნდა რომისთვის. დამარცხებულ იქნა რომის ორი არმია, და ამის გამო იმ ოლქებს, რომელნიც დასაწყისში ერთგულები დარჩნენ რომისა, ახლა ჩამოშორების მიდრეკილება დაეტყოთ. გარდა ამისა, სამხედრო მოქმედებებმა, ჯარების გადაყვანგადმოყვანამ, რეკვიზიციებმა, ხანძრებმა და ძარცვა-რბევამ, მონების მასობრივმა გაქცევამ და დიდმა სიკვდილიანობამ სრულებით მოშალა რომის ეკონომიური ცხოვრება და გაამხნევა მისი გარეშე მტრები.

თვითონ რომში ამ დროს გამეფებული იყო სასოწარკვეთილება და უიმედო განწყობილება. სენატის მიერ ქალაქში საალყო წესების შემოღების შესახებ (decretum tumultus) გამოცემული დეკრეტის ძალით საქმიანი ცხოვრება ჩაკვდა, საკონსტიტუციო გარანტიები უქმდებოდა, კონსულების განუსაზღვრელი ძალაუფლება ვრცელდებოდა აგრეთვე ქალაქზედაც; ius pomoerii და ius provocationis — რომის კონსტიტუციის ორი უაღრესად მნიშვნელოვანი საფუძველი — უქმდებოდა, შემოღებულ იქნა საგანგებო სასამართლოები, „მშვიდობიანი დროის ტოგას ცვლიდა სამხედრო წამოსასხამი“ (sagum).

მობილიზებული იყო ყველა ძალა და ყველა წინამძღოლი, ვინც კი ცნობილი იყო პირადი დამსახურებით ან ჩამომავლობით. გაიოს მარიუსი, კორნელი სულა, ლიციინიუს კრასუსი, ვალერი მესალა, გაიოს პერპერნა და სხვანი. საერთო საფრთხის წინაშე, (რაც საერთოდ დამახასიათებელია რომის ისტორიისათვის) შემჭიდროვდა მონათმფლობელური რომის ყველა ფენა, აამუშავეს რა არა მარტო რომაული იარაღი, არამედ რომის დიპლომატიაც.

90 წ. ბოლოს კონსულმა ლუციუს იულიოს ცეზარმა გაატარა კანონი ლივიუს დრუზუსის ზომიერ მომხრეთა ჯგუფის განხრით. ი უ ლ ი ო ს ც ე ზ ა რ ი ს კანონის თანახმად (iex lulia), მოქალაქეობის უფლებანი ენიჭებოდა ყველა იმ იტალიკს, ვინც კი რომის ერთგული დარჩა. კანონს მხედველობაში ჰყავდა, უპირველეს ყოვლისა, ეტრუსკები და უმბრები, რომლებიც მზად იყვნენ აჯანყებას მიმხრობოდნენ. იულიოსის კანონმა თავის მიზანს მიაღწია — გათიშულობა შეიტანა აჯანყებულთა რიგებში.

რომისგან განდგომილმა იტალიურმა ტომებმა მოაწყეს ა ხ ა ლ ი ი ტ ა ლ ი უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი, რომელშიაც შედიოდა რომისგან ჩამოშორებული ყველა იტალიური თემი. კავშირის ცენტრად არჩეულ იქნა ქალაქი კ ო რ ფ ი ნ ი უ მ ი (Corfinium), პელიგნების მთავარიან ოლქში, სამნიუმში, მდინარე პესკარას ნაპირას, იტალიად სახელდებული (Italia ანუ ოსკთა ენაზე Viteliu). იტალიის ძველი სატახტო ქალაქი რომი კი, მდინარე ტიბრზე რომ მდებარეობდა, უნდა მოსპობილიყო.

იტალიური თემების წარმომადგენლებმა, რომელთაც თავი მოიყარეს კორფინიუმში, შეადგინეს სენატი 500 კაცის შემადგენლობით, ახალი ფედერაციის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო. აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკისრებოდა სენატის წევრთაგან შემდგარს განსაკუთრებულ კოლეგიას. ფედერაცია სჭრიდა თავის საკუთარ ვერცხლის ფულს, მონეტას, რომლის ერთ მხარეზე გამოხატული იყო იტალიის სიმბოლო — ხარი, რომელიც თავისი რქებით მიწაზე ართხამდა ძუ მგელს, რომის სიმბოლოს. მაგრამ იტალიის ფედერაცია როდი იყო რომის წესების სრული გამეორება, მასში მკაფიოდ იყო გამოხატული ფედერაციული პრინციპი.

ომის მეორე წელიწადი (89) საერთოდ უფრო ნაკლებად იყო იტალიკებისათვის კეთილმოწყალე. უფრო მეტი გამეტებით, როგორც წინათაც, იბრძოდნენ მარსები და სამნიტები. მიუხედავად ნაწილობრივი მარცხისა, რაც მათ განიცადეს სულასგან, მარსები განაგრძობდნენ ვაჟკაცურად ბრძოლას და არავითარ შემთხვევაში არც ფიქრობდნენ იარაღის დაყრას. „დამარცხების შემდეგ მარსე-

ბი, გარეული ნადირის მსგავსად, უფრო მძვინვარედ და გააფთრებით განაგრძობდნენ ბრძოლას, კვლავ იარაღდებოდნენ და თავგადადებით უტევდნენ რომაულ ბანაკს"[1]. იტალიის ხალხთა შორის მარსებს განთქმული ჰქონდათ სახელი უაღრესად მებრძოლი და უძლეველი ხალხისა. „მარსებზე და უმარსებოდ, — ამბობდნენ რომში, — ჯერ არავის არ გაუმარჯვიაო"[2]. იტალიის რევოლუციამ ცხადჰყო, რომ იტალიკებს შორის ჯერ კიდევ ღვიოდა სამხედრო ვაჟკაცობისა და ტომობრივი პატრიოტიზმის ცეცხლი. გმირობის არამცირედი მაგალითი გამოიჩინეს სხვა, მარსების მონათესავე საბელურმა ხალხებმაც.

იტალიის რევოლუციის მეორე წელი აღინიშნა სერიოზული ბრძოლებით პიცენუმსა და სამნიუმში. პიცენუმის ოლქში განსაკუთრებით ცხარე და გაშმაგებული ბრძოლა მოხდა ქალაქ ასკულუნუმთან. პომპეუს სტრაბონი ქალაქს ოთხივე მხრით შემოევლო და გარემოცვა დაიწყო. ამ დროს გაიოს იუდაცილიუსი მარსების რაზმით გარს შემოეხვია გარემომცველ რომის ჯარს, შეიჭრა ქალაქში და თავის თავზე მიიღო მშობლიური ქალაქის დაცვა რომაელებისგან. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რომაელების მხრივ 75 ათასმა კაცმა, ხოლო იტალიკების მხრივ 60 ათასმა. მას მერე, რაც ქალაქის დაცვის ყოველგვარი იმედი დაიკარგა, იუდაცილიუსმა ბრძანება გასცა ტაძარში კოცონი გაეჩაღებინათ, მოიწვია სანადიმოდ მეგობრები და შემდეგ, მიიღო რა საწამლავი, ავიდა კოცონზე და თავისი თავი ცოცხალი დაიწვა.

სამნიტურ ქალაქებს შორის ყველაზე უფრო მეტი სიმედგრე გამოიჩინა ეზერნიამ (Aesernia), რომლის დასაცავად თავი მოიყარა 30 ათასიანმა არმიამ, შეესებულმა 20 ათასი მონისგან შემდგარი რაზმით; მონები საერთოდ საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ მოკავშირეთა ლაშქარში[3]. ფუმცა მედგრადაც იცავდნენ საბელური და სამნიტური ტომები თავიანთ საუკუნოვან თავისუფლებას, მაინც გამარჯვებამ რომის მხარეზე იწყო გადახრა.

რომის სარდლებს შორის კამპანიასა და სამნიუმში ყველაზე უფრო წარმატებით მოქმედებდა სულა, რომელიც სასტიკად გაუსწორდა განდგომილ ქალაქებს და რომელმაც აიძულა ფარხმალი დაეყარა და მორჩილება განეცხადებინა სამნიტების მთავარ ქალაქს

---

[1] App., Bell. civ., 1, 46.
[2] Ibid.
[3] Oid., XXXVII, 2

ბოვიანუს (Bovianum). სულას მიერ დაპყრობილი ტერიტორია ადა-შიანს მოაგონებდა უშველებელ ნახანძრევ ადგილს, რომელიც სავსე იყო ნანგრევებით, გვამებით, მხრჩოლავი შენობებით და გადამწვარი ნახევრადდანგრეული ციხე-სიმაგრეებით.

სამხრეთ-აღმოსავლეთი იტალიის ტომების (სამნიტების, იაპიგების, ლუკანების) დამორჩილება ნიშნავდა იტალიის რევოლუციის დასასრულს. იაფად არ დაუჯდა გამარჯვება თვითონ რომსაც, რომელიც ამ წლებში განიცდიდა ღრმა ეკონომიურსა და პოლიტიკურ კრიზისს. ეკონომიური ცხოვრების მოშლის გამო გაქრა და ტრიალში აღარ იყო ფული, კრედიტი შერყეულ იქნა, მოვალეებს აღარ უნდოდათ ვალების გადახდა, ხოლო კრედიტორები სასტიკ ღონისძიებათ მიმართავდნენ, რომ მოვალენი იძულებული გაეხადათ დაებრუნებინათ ნასესხი თანხები კუთვნილი სარგებლით.

იმას, თუ რა ხდებოდა მაშინ რომში, გვიჩვენებს პრეტორ აზელიონის ტრაგიკული ბედი. დემოკრატიულად განწყობილი პრეტორი შეეცადა შეერბილებინა სავალო კანონი და ამ თავისი ცდისათვის კრედიტორ-მხედრების მიერ აკუწულ იქნა. მკვლელობა მოხდა დღისით, განსაკუთრებულ პირობებში, მსხვერპლის შეწირვის დროს აზელიონს თავში ქვა მოხვდა, სამსხვერპლო ფიალა მას ხელიდან გაუვარდა და ისიც შეეცადა თავისთვის ეშველნა ვესტას ტაძარში შევარდნით. ფეხდაფეხ ადევნებულმა მკვლელებმა კი მას გზა გადაუჭრეს, შეაგდეს იგი ტავერნაში და იქ მოჰკლეს.

მწვავე ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც გამოიწვია იტალიის რევოლუციამ, და აღმოსავლეთში მეფე მითრიდატესთან დაწყებულმა ომმა, შეასუსტა მხედრების გავლენა და ასწია ზომიერი ჯგუფის შანსები.

89 წ. დასაწყისში გამოვიდა ახალი კანონი იტალიკებისათვის უფლებათა მინიჭების შესახებ, რომელიც შეიტანეს სახალხო ტრიბუნებმა მარკოს პლავციუს სილვანემ და გაიოს პაპირიუს კარბონმა (lex Plautia Papiria). ამ კანონის თანახმად, რომაელის უფლებას იღებდა საკავშირო ქალაქების ყოველი მოქალაქე, რომელიც კი 60 დღის განმავლობაში სათანადო განცხადებას შეიტანდა პრეტორთან, იმისდა მიუხედავად იღებდა თუ არ იღებდა მონაწილეობას აჯანყებაში. იმის შიშით, რომ საცენზო სიებში შეტანილ ახალ მოქალაქე-იტალიკებს არ დაეჩრდილათ ძველი მოქალაქე-რომაელები, ისინი გაანაწილეს არა ყველა 35 ტრიბაში, არამედ ჩარიცხეს მარტო 8 ტრიბაში.

იმავე წელს გავიდა კანონი მხედართა სასამართლოების ფუნ-

ქციათა შემცირებისა და ციზალპიური გალიის ქალაქებისთვის სა-მოქალაქო უფლებათა მინიჭების შესახებ.

დათმობათა პოლიტიკით რომმა მიაღწია თავის მთავარ მი-ზანს — გათიშა და გახრწნა იტალიის ფედერაცია. სხვებზე უფრო ადრე ჩამოშორდნენ მისი უფრო მერყეევი წევრები — ეტრურია და უმბრია, რომელთაც მთელი საქმე დაღუპეს. ეტრუსკების, უმბრე-ების და ლათინების ღალატის წყალობით სამნიტების 25 ათასიანი არმია, რომელიც მიიმართებოდა ჩრდილოეთ არმიასთან შესაერ-თებლად, მომწყვდეულ იქნა და თითქმის, მთლიანად ამოწყვიტა პომპეუს სტრაბონმა.

ეტრურიასა და კამპანიაში (აცერთან) დამარცხების შემდეგ მოკავშირეებს დარჩათ უკანასკნელი-ღა იმედი მეფე მითრიდატეს მხრივ დახმარების მიღებისა, მაგრამ ეს იმედიც უნიადაგო აღმოჩნ-და. სამხრეთ იტალიკების ყველაზე უფრო ნიჭიერი წინამძღოლი მარსი პომპედიუს სილონი დაიღუპა 89 წელს აპულიაში. პომპე-დიუსის სიკვდილის შემდეგ რჩებოდა მარტო ერთი თვალსაჩინო არმია იტალიკებისა, რომელსაც სათავეში ედგა სამნიტი პონტიუს ტელეზინი, იგი რომს თავგანწირულ, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და სულასა და მარიუსის ომის დროს მხარს უჭერდა მა-რიუსს.[1]

იტალიის რევოლუცია რომმა ჩაახშო თავისი დიპლომა-ტიისა და სარდლების ნიჭის, განსაკუთრებით სულას ნიჭიერების მეოხებით, რომლებიც მეთაურობდნენ პროფესიულ, დისციპ-ლინირებულსა და ტექნიკურად კარგად შეიარაღებულ არმიებს; მაგრამ მთავარი, რამაც ყველაზე უფრო მეტად ხელი შეუწყო რომს რევოლუციის ჩაქრობაში, იყო თვით მოკავშირეთა შორის არსებული შუღლი და გათიშულობა.

იმ დროს, როდესაც მონათმფლობელი-იტალიკები მიისწრა-ფოდნენ შერწყმულიყვნენ რომაელ-მონათმფლობელებთან და დასდგომოდნენ საპლანტაციო მეურნეობისა და სავაჭრო-სავახშო კაპიტალის განვითარების გზას, მთიელი მწყემსი ტომები თავს სწი-რავდნენ ყოფა-ცხოვრების პატრიარქალური ფორმების შენარჩუნე-ბისათვის. რომის გამარჯვება ისტორიულ აუცილებლობას წარმო-ადგენდა. ეს იყო რომის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის, მონათმფლობელობის, სავაჭრო კაპიტალისა და ლათინური კულ-ტურის გამარჯვება. ძველი სოფლური იტალია თავისი ცხოვრე-ბის ნატურალური წყობით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით და სარ-

---

[1] App., Bell. civ., I, 53.

წმუნოებით — უმბრების, ეტრუსკების, მარსების, საბელების, ლუკანების და სამნიტების იტალია — ისტორიული სარბიელიდან ჩამოდიოდა. იტალიკების შეძლებული ნაწილი, რომაელებთან შერწყმული, წარმოჰქმნიდა მონათმფლობელთა ერთს მთლიან რომაულ-იტალიკურ ოლიგარქიას. იტალიის მოსახლეობის დანარჩენი მასა კი, ვინც ცოცხალი გადარჩა, ნაწილობრივ გაიხიზნა პროვინციებში და კუნძულებზე, სადაც ის გლეხებისა და მწყემსებისაგან გადაიქცა ვაჭრებად და ხელოსნებად, ნაწილობრივ კი ჩამოქვეითდა მსხვილი პოსესორების მიწების ნახევრადთავისუფალ მოიჯარადრების მდგომარეობამდე ან კიდევ მოხვდა სატახტო ქალაქის ლუმპენ-პროლეტარიების რიგებში. ფედერატიული იტალია იღებდა რომის მესვეურობით უნიტარული სახელმწიფოს სახეს და შესდგებოდა იგი ს ა ქ ა ლ ა ქ ო ტ ე რ ი ტ ო რ ი ე ბ ი ს ა გ ნ (civitates), რომელნიც იყოფოდნენ მუნიციპიებად (municipia), კოლონიებად (coloniae), პრეფექტურებად (praefecturae), დაბებად (conciliabula) და ციხე-სიმაგრეებად (castra).

უფლებრივი განსხვავებანი იტალიის ქალაქებსა და დაბებს შორის თანდათანობით ქრებოდა; იტალიის ძირითად სოციალურ-ადმინისტრაციულ ერთეულად ხდებოდა თვითმართველი ქალაქი— მუნიციპიუმი (municipium).

მუნიციპიუმების შინაგანი წესწყობილება რომის ასლს წარმოადგენდა. წოდებრივად მუნიციპიუმების მოქალაქეები იყოფოდნენ: 1) დეკურიონებად, 2) მუნიციპიუმის მხედრებად და 3) პლებეებად. უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენდა სენატი (curia) 100 კაცისგან შემდგარი; აქ შედიოდნენ ყოფილი მაგისტრატები ან მათი თანასწორი სოციალური მდგომარეობის პირნი. მაგისტრატის არჩევანს ახდენდა სახალხო კრება.

მოკავშირე იტალიის ორგანიზაციის და აგრეთვე სხვადასხვა უფლებით მოსარგებლე იტალიური ქალაქების (coloniae, municipia, civitates და ა. შ.) რომის მიმართ განწყობა-ურთიერთობის წვრილმანებში შევყევართ როგორც ლათინელ ავტორების ცალკეულ შენიშვნებს, ისე ეპიგრაფიკულ მასალას.

რომისა და იტალიის კულტურულ-უფლებრივი გათანასწორება გრძელდებოდა რომის ისტორიის თვით დასასრულამდე და მაინც აპენინის ნახევარკუნძულის ყველა ხალხის სრული შერწყმა, ერთ ხალხად ქცევა არ მოხდა. რომი არასდროს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, არ წარმოადგენდა მთლიან სახელმწიფოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგალითად, თანამედროვე საფრანგეთის მსგავსად. თავიდან ბოლომდე რომის სახელმწი-

ფო, როგორც აღნიშნავს ჰანს რუდოლფი, იყო თვითმართველ საქალაქო ტერიტორიათა კავშირი, და თვითეული ქალაქი, თუმცა მეტისმეტად ემსგავსებოდა მთავარ ქალაქ რომს, მაინც ინარჩუნებდა თავის საკუთარ სახეს, ფიზიონომიას, იყო რა რამოდენიმედ სახელმწიფოში სახელმწიფო. უაღრესი ცენტრალიზაციის ხანაშიაც კი, ანტონინების დინასტიის დროს ახ. წ. II საუკუნეშიაც კი, რომის იმპერიას ჰქონდა მოლეკულარული აღნაგობა, რომელიც არასდროს არ შეირწყმოდა ერთ მთლიან ქიმიურ სხეულად.

რომაელებისა და იტალიკების ერთ სამოქალაქო თემად შერწყმის პროცესი, რომელიც თანდათანობით ითრევდა პროვინციალებსაც, თავის მხრივ აყენებდა მთელი მმართველობის აპარატის რეორგანიზაციის პრობლემას.

ძველი რესპუბლიკური დაწესებულებანი, რომელნიც შესაფერისი იყვნენ ქალაქი-სახელმწიფოს ვიწრო ჩარჩოებისათვის, უკვე სავსებით გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ და მოითხოვდნენ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას.

თავი IX

საგხედრო დიქტატურათა ხანა

1. ომი მითრიდატესთან

(89—85 წწ.)

იმ დროს, როდესაც მოკავშირე იტალია დიდი ვაჟკაცობითა და გმირობით იცავდა თავის არსებობის უფლებებს, რომაულ აღმოსავლეთში ვითარდებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ამბები. სელევკიდების ძველი სამეფოს ნანგრევებზე ერთიმეორეზე ჩნდებოდა ახალ-ახალი სამეფოები, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ სელევკიდების ტრადიციები და, ჩაიგდებდნენ რა თავიანთ ხელში საშუამავლო ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, გაეერთიანებინათ თავიანთი ხელისუფლების ქვეშ წინააღმოსავლეთის ქვეყნები.

ჰელინისტურ მეფეებს შორის ამ ხანებში თავისი ფართო გეგმებით და ორგანიზატორული ნიჭით სახელი გაითქვა პონტოს მეფემ მ ი თ რ ი დ ა ტ VI ე ვ პ ა ტ ო რ მ ა (120—63 წწ.), ახალგაზრდამ, განათლებულმა, 22 ენის მცოდნემ და უაღრესად პატივმოყვარე სულთანმა. მითრიდატემ ისარგებლა რომის საგარეო პოლიტიკის დასუსტებით, თავის გავლენას დაუმორჩილა მეზობელი ქვეყნები და II ს. დასასრულს შეიქმნა უშველებელი სამეფო, რომელიც თავის საზღვრებში იტევდა შავი ზღვის მთელს ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს: პონტოს, პაფლაგონიას, კაპადოკიას, მცირე სომხეთს, კოლხეთს (კოლხიდას) და ბოსფორის სამფლობელოებს (regnum Bosphoricum) ჩრდილო ბერძნული ახალშენებითურთ ყირიმის ნახევარკუნძულზე. თავის სამფლობელოების-

გან მითრიდატე ყოველწლიურად კრებდა 300 ტალანტს ფულით და 180 ათას ჩარექ ხორბალს ხარკის სახით. მითრიდატეს გავლენა ვრცელდებოდა შორს, მის სამფლობელოთა საზღვრებს გარეშე. მას კავშირი ჰქონდა დამყარებული სკვითებთან, სარმატებთან, დუნაის გალებთან, თრაკიელებთან და ილირიელებთან.

რომის მიმართ მითრიდატე პირველ ხანებში აწარმოებდა ლოდინის, ფრთხილ პოლიტიკას. მშვიდობიანი ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის დაირღვა მხოლოდ მას შემდეგ, როცა 91 წელს მითრიდატემ ისარგებლა იტალიაში შექმნილი გართულებით და მისი სამფლობელოებიდან განდევნა ბითინიის მეფე ნიკომედე III, რომის მოკავშირე, ხოლო მითრიდატეს სიძემ, სომხეთის მეფე ტიგრანმა, მისი თანხმობით კაპადოკიიდან გამოაძევა მეფე არიობარზანი, რომისავე მოკავშირე. თავის ვასალების სახსნელად რომაელებმა გაგზავნეს ჯარი მ. აკვილიუსის, მარიუსის მეგობრის, მეთაურობით, რომელმაც სიცილიაში ჩააქრო მონათა რევოლუცია (99 წ.). აკვილიუსმა მითრიდატე აიძულა აღედგინა მის მიერ გამოდევნილი მეფეები თავთავიანთ სამფლობელოებში და აენაზღაურებინა ზარალი. პირველ წინადადებაზე პონტოს მეფე დათანხმდა, ხოლო მეორის შესრულებაზე უარი განაცხადა, რაც გადაიქცა კიდეც მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს თ ა ნ პ ი რ ვ ე ლ ი ო მ ი ს (88 — 84 წწ.) საბაბად.

მითრიდატეს განკარგულებაში იყო ფლოტი 400 ხომალდის შემადგენლობით და სახმელეთო არმია 300 ათასი კაცით, რომელიც შესდგებოდა სულ სხვადასხვა ხალხისაგან; აქ იყვნენ ბერძნები, სკვითები, სარმატები, პაფლაგონიელები, თრაკიელები, ბასტარნები და სხვა მეომარი ხალხები. მითრიდატეს მოკავშირეებად იყვნენ მეფე ტიგრანი და ხმელთაშუაზღველი მეკობრეები. თავის გამოსვლას პონტოს მეფემ მისცა აღმოსავლეთის პროვინციათა უცხოელების ძალადობისაგან გამათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი—ეს უცხოელები კი იყვნენ იტალიკები, ეგვიპტელები და ებრაელები, რომელნიც აღმოსავლეთის ქალაქებში ცხოვრობდნენ და მისდევდნენ მევახშეობას, ვაჭრობასა და ხელოსნობას. ქალაქ ეფესოში ყოფნის დროს მითრიდატემ გასცა საიდუმლო ბრძანება, რომლითაც ქალაქების უფროსებს მიეცათ განკარგულება დადგენილ ვადაში, 30 დღის განვლის შემდეგ, მოეხდინათ დარბევა მათ ფარგლებში მყოფ უცხოელებისა,—ქალებისა, ბავშვებისა და საერთოდ თავისუფალი წარმოშობის ყველა ხალხისა, ვინც კი ლათინურ ენაზე ლაპარაკობდა. მონებს აღუთქვეს თავისუფლება იმ პირობით, თუ ესინი ამოხოცავდნენ თავიანთ ბატონებს და აჯანყებულებს მიემხ-

რობოდნენ. გარდა ამისა, ყველა, ვინც კი მითრიდატეს მხარეს დაიჭერდა, ვალებისგან თავისუფლდებოდა.

მითრიდატეს მოწოდებამ ორგანიზებულ დარბევისადმი გამოხმაურება ჰპოვა აზიის ხმელეთისა და კუნძულების ყველა ქალაქში. გადმოცემით, ბითინიის ერთ პროვინციაში ამოწყვეტილ იქნა 80 ათასზე მეტი იტალიკი; რამდენიმე ათეული ათასი რომაელი მოქალაქე დაიღუპა კუნძულ დელოსზე. ეფესოში, პერგამონში, მილეთსა და სხვა ადგილებში ასობით და ათასობით ხოცავდნენ და ულეტდნენ რომაელებსა და იტალიკებს, განურჩევლად სქესის, ასაკისა და ჩამომავლობისა. ხალხს ხოცავდნენ ქუჩებში, სახლებში და ტაძრებში, ღმერთების საკურთხეველებში.

„ცხადი იყო, რომ აზიის მცხოვრებნი ასე მოქმედებდნენ რომაელების წინააღმდეგ იმდენად არა მითრიდატეს წინაშე შიშით, რამდენადაც მათდამი სიძულვილით“ [1].

ამასთანავე ერთად მითრიდატემ აზია გაათავისუფლა ხარკის გადასახადისგან ხუთი უახლოესი წლის განმავლობაში, დეკრეტით ვალები სანახევროდ შეამცირა, მოახდინა ტერიტორიათა ახალი გადანაწილება, თავის ხელქვეით ოლქებში დააყენა თავისი მართველები, შემოიღო ახალი, უფრო სრულღირებული ფული, ოქროს ტეტრადრაქმა საკუთარი თავის გამოსახულებით, და კავშირი დაიჭირა იტალიელ მეამბოხეებთან. თავის სახელმწიფოს სატახტო ქალაქად მითრიდატემ გამოაცხადა ქალაქი პერგამონი.

განმტკიცდა თუ არა აზიაში, მითრიდატემ დაიწყო შეტევა ევროპაზე. მითრიდატეს სარდლებმა დაიჭირეს თრაკია და მაკედონია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, შესდგეს ფეხი ატიკის ტერიტორიაზე და დაიკავეს ათენი. მითრიდატეს დესპანები გაგზავნილ იქნენ ეგვიპტეში, ნუმიდიაში, კრეტეზე და სიცილიაში მოწოდებით — ამხედრებულიყვნენ რომის საძულველი ბატონობის წინააღმდეგ.

პონტოს მეფის მოულოდნელმა წარმატებამ რომის წინაშე გადაშალა პერსპექტივი აღმოსავლეთში ახალი ომისა, რამაც მეორე რიგში ჩამოაქვეითა ყველა სხვა საკითხი.

საქმე ეხებოდა არა მარტო რომის ერთერთი მეტად მდიდარი პროვინციის შენარჩუნებას და ნადავლისა და მონების შოვნას, რაშიაც მოკავშირეთა ომის შემდეგ დიდ ნაკლებულობას განიცდიდნენ, არამედ თვით რომის კოლონიური სახელმწიფოს შენარჩუნებას. ეს იყო მიზეზი იმ განსაკუთრებული ენებიანობისა,

---

[1] App., Bell. Mithr., 23.

რომლითაც წარმოებდა პარტიათა შორის ბრძოლა აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლის არჩევნების გარშემო.

უმაღლესი სარდლის როლზე პრეტენზიას აცხადებდა ორი კანდიდატი — ლ უ ც ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი ს უ ლ ა (Lucius Cornelius Sulla) და გ ა ი ო ს მ ა რ ი უ ს ი. სულას მხარს უჭერდნენ ოპტიმატები, ხოლო მარიუსის სასარგებლოდ ხმას აძლევდნენ მხედრები და პოპულარები, რომელნიც ერთნაირად მტრულად იყვნენ განწყობილი ოპტიმატებისა და მათი კანდიდატის მიმართ. ფორმალურად უფლება უმაღლეს სარდლობისა ჰქონდა სულას, 88 წლის კონსულს. მოკავშირეთა ომში სულამ, რომელმაც სრულიად დაჩრდილა მარიუსი, მიიღო უმაღლესი სამხედრო ჯილდო — გვირგვინი ბალახისა და მინდვრის ყვავილებისგან დაწნული (corona obsidionalis), ხოლო კილიკიაში პრეტორობის დროს სულამ კარგად შეისწავლა აზიის პროვინციები და მათ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი.

მაგრამ მარიუსსა და მის მომხრე მხედრებსა და პოპულარებს არაგზით არ უნდოდათ დაეთმოთ საომარი კამპანიის ხელმძღვანელობა სულასთვის, თავიანთი მტრისათვის. თვითონ მარიუსმა, მიუხედავად საკმაოდ მხცოვანი ასაკისა, თავისი ორგანიზმი ფიზიკური ვარჯიშობით განიმტკიცა და საკმაო ენერგიაც ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი.

„საშინელი პატივმოყვარეობით ტანჯული მარიუსი მოხუცებულობასა და სისუსტეს ნამდვილ ბავშვურად ებრძოდა. იგი ყოველდღიურად დაიარებოდა მარსის ველზე და მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის გიმნასტიკურ ვარჯიშობაში, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მის სხეულს ჯერ ისევ შესწევს უნარი იარაღის ადვილად ტარებისა, რომ იგი მტკიცედ და მაგრად ზის ცხენზე, თუმცა მოხუცებულობაში ის იყო მოუქნელი, მძიმე, მეტად სქელი და მსუქანი“ [1].

რათა თავის მიზნებისათვის მიეღწია, მარიუსი შეუთანხმდა 88 წლის სახალხო ტრიბუნს, ნიჭიერსა და მჭევრმეტყველ ადამიანს, ლივიუს დრუზუსის მომხრეს და ამასთანავე თავის ვალამოუვალ მოვალეს, პ უ ბ ლ ი უ ს ს უ ლ პ ი ც ი უ ს რ უ ფ უ ს ს (P. Sulpicius Rufus). ლაპარაკობდნენ, რომ სულპიციუს რუფუსის ვალი 3 მლნ. სესტერციას აღწევდაო. თუ საომარი კამპანია იღბლიანად დამთავრდებოდა, რის ეჭვი და ფიქრი არც რუფუსს ჰქონდა და არც მარიუსს, მაშინ რუფუსს იმედი ჰქონდა, რომ თავის მდგომარეობას გამოისწორებდა, გათავისუფლდებოდა რა ვალებისგან.

---

[1] P l u t, Marius, XXXIV.

მარიუსის კანდიდატურაზე რუფუსმა გააერთიანა მარიუსის ვეტერანების, მხედრების, გათავისუფლებული მონებისა და თავის უფლებათა დამცირებით გაგულისებული იტალიკების ინტერესები. აკი სწორედ ამ უკანასკნელებისგან დაიწყო კიდეც რუფუსმა თავისი გეგმის განხორციელება. თავისი ნამდვილი განზრახვის გამოუმჟღავნებლივ სულპიციუს რუფუსი კომიციებში გამოვიდა წინადადებით — გათავისუფლებული მონები და იტალიკები გაენაწილებინათ ყველა 35 ტრიბაზე, რაც მოკავშირეებს უპირატესობას მიაკუთვნებდა სახალხო კრებაში; ამასთანავე ერთად რუფუსი წინადადებას იძლეოდა სენატი გაეწმინდათ გამყიდველი ელემენტებისგან და ემიგრანტები დაებრუნებინათ. სულპიციუსის წინადადებას წინააღუდგა სენატი, ხოლო ამ წლის კონსულმა სულამ იმ მიზნით, რომ კანონპროექტი შეეჩერებინა, დანიშნა რელიგიური ზეიმი (feriae), რომლის დროსაც არ შეიძლებოდა არც კომიციათა მოწვევა და არც რაიმე კანონმდებლობითი წინადადების გამოვლენა. მაგრამ ამან ოდნავადაც არ შეაფერხა სახალხო ტრიბუნი, რომელიც ემყარებოდა 3 ათასიან შეიარაღებულ რაზმს, მონებისგან და გათავისუფლებულ მონებისგან შემდგარს.

ამ რაზმის თანხლებით რუფუსი გამოცხადდა კომიციაში და მოითხოვა კონსულის განკარგულებათა გაუქმება. ყველას, ვინც შეეცადა პროტესტის განცხადებას, სულპიციუსის მომხრეებმა სცემეს, მაგრამ კონსულებმა მაინც დროზე უშველეს თავს: მიატოვეს კომიციები და გავიდნენ რომიდან. სულა კამპანიაში გაემგზავრა, სადაც იმ ხანებში ნოლასთან უკვე იდგა არმია, გამზადებული საომარ მოქმედებათა აღმოსავლეთის ასპარეზზე ხომალდებით გასამგზავრებლად.

კონსულების წასვლის შემდეგ რომში მიღებულ იქნა რუფუსის წინადადება მოკავშირეების 35 ტრიბაში განაწილების შესახებ, მერე კომიციათა ახალი შემადგენლობის მონაწილეობით დადგენილ იქნა — ჩამორთმეოდა სულას ჯარის სარდლობა და კამპანიის ჯარის მესვეურად მარიუსი დაეყენებინათ.

მთავარსარდლად არჩეულმა მარიუსმა დაიწყო მზადება სალაშქროდ, წინასწარ ორი ლეგატი გაგზავნა სულას ბანაკში კამპანიაში მოთხოვნილებით ხელი აეღო სარდლობაზე და ჯარი მისთვის გადაეცა. სულამ ამის საპასუხოდ მოიწვია სამხედრო მიტინგი და შეკრებილ ჯარის წინაშე დახატა ბრწყინვალე პერსპექტივი აღმოსავლეთში მდიდარი და იოლი ომისა. თავისი სიტყვის ბოლოს იგი აღნიშნავდა, რომ ეგოდენ ბრწყინვალე პერსპექტივის ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენს მარიუსი და მისი ჯარი. არმია დრტვი-

ნავდა. იმ დროს, როდესაც მეთაურთა შემადგენლობა მერყეობდა, ჯარისკაცები ესროდნენ ქვებს დელეგატებს და მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ომს მარიუსთან.

სულამ გამოიყენა ჯარის განწყობილება და ექვსი ლეგიონით გაემართა რომისკენ „ტირანიისგან ქალაქის გასათავისუფლებლად". ქალაქის გალავანთან და თვითონ ქალაქშიც მოხდა გაშმაგებული ბრძოლა სულას კოჰორტებსა და რომში მყოფ გარნიზონს შორის, რომელსაც სარდლობდნენ მარიუსი და სულპიციუსი.

„და აი სწორედ მაშინ რომის ქუჩებში გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა, როგორც ნამდვილ მტერთა ბანაკებს შორის, თავისდაგვარად პირველი ბრძოლა, უკვე არა როგორც უბრალო აჯანყება, არამედ ნამდვილი ომი, სამხედრო ჩვეულებისამებრ, საყვირთა ხმებით და გაშლილი დროშებით. ეგოდენ დიდ უბედურებამდე მიიყვანა შინაგანმა შუღლმა, რომელსაც დროზე არ მიაქციეს საკმაო ყურადღება" [1].

სულას კამპანია წაგებული ჩანდა. სულას ლეგიონები შედრკენ და უკან დაიხიეს, და აი უკანასკნელ წუთში მებრძოლთა რიგებში გადაეშვა თვითონ სულა დროშით ხელში და აღადგინა წესიერება.

„ამან შთაბეჭდილება მოახდინა. ნაწილობრივ წინამძღოლის წინაშე შიშით, ხოლო ნაწილობრივ იმის სირცხვილით, რომ მათ დროშას ხელი მიუშვეს, ჯარისკაცებმა შესწყვიტეს უკუქცევა და მწყობრში დაბრუნდნენ" [2].

უკანასკნელ წუთში, რომ მდგომარეობა გადაერჩინათ, მარიუსის მომხრეებმა გამოაცხადეს მონათა თავისუფლება იმ პირობით, თუ ისინი მარიუსის მომხრეთა რიგებში შევიდოდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამაში მათ დაასწრო სულამ. გადმოცემით, მარტო სამი მონა გამოეხმაურა მარიუსის მოწოდებას. გამარჯვება დარჩა სულას, რომელიც შეიქნა რომის განუსაზღვრელი მბრძანებელი.

დამარცხებული მარიუსის მომხრენი გაიფანტნენ ან ტყვეებად ჩაცვივდნენ. სულპიციუსი მოკლულ იქნა, ხოლო მარიუსი გაიქცა ოსტიაში, სადაც ის გემში ჩაჯდა აფრიკაში წასასვლელად, მაგრამ პირქარმა ის უკანვე ნაპირს მოაყენა და, ჭაობში ქალაქ მინტურნის ახლოს ჩამალული, სულას მზვერავებმა ტყვედ ჩაიგდეს. ბრძანება იყო გაცემული მარიუსის ადგილობრივ საპყრობილეში მოკვლისა, მაგრამ გალმა, რომელსაც მართებდა ამ დავალების შესრულება, ვერ გაბედა ხელის ამართვა რომის დიდ გმირზე, და მარიუსიც

---

[1] App., Bell. civ., I, 58.
[2] Ibid.

გათავისუფლებულ იქნა. ბოლოს, მრავალი თავგადასავალისა და გასაჭირის შემდეგ, მარიუსი გადმოვიდა აფრიკის ნაპირას კართაგენის ტერიტორიაზე, სადაც შეხვდა თავის შვილსა და რამდენიმე გამოჩენილ მის მომხრეს. მიუხედავად 70 წლის ასაკისა, მარიუსი, კიმვრთა ომის გმირი, დაძაბული ყურადღებით თვალს ადევნებდა რომში დატრიალებულ ამბებს, მოელოდა რა იმ წინასწარმეტყველების შესრულებას, რომ ის მეშვიდეჯერ იქნებოდა კონსულად.

თავის გალაშქრებით რომის წინააღმდეგ სულამ გადაშალა რომის ისტორიის ახალი, სისხლითა და დრამატიზმით აღსავსე ფურცელი, ფურცელი უმაღლესი ძალა-უფლებისათვის სარდალთა ბრძოლის ისტორიისა. რომის რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნე წარმოადგენს ანტიკური ისტორიის რთულსა და საინტერესო ხანას. თავისთავად რთული ბრძოლა სარდლებს შორის უფრო მეტად რთულდებოდა რომის საზოგადოების იმ სხვადასხვა ჯგუფის სოციალურ ინტერესთა შეხლა-შემოხლით, რომელნიც ბრძოლაში იყვნენ ჩართული. სარდლებსშორისი ბრძოლა წარმოადგენდა ანტიკურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ერთერთ სახეობას. ასე ესმოდათ საქმე ანტიკურ ისტორიკოსებს, რომელნიც წერდნენ ამ პერიოდის შესახებ.

„ყოველივე განცდილის შემდეგ რომაელებს სხვა აღარა დარჩენოდათ რა, გარდა იმისა, რომ ხელთ აეღოთ ძმათამომსვრელი იარაღი თავიანთივე წინააღმდეგ, ხოლო რომის ფორუმი ექციათ რომაელ მოქალაქეთა ერთმანეთს შორის შეტაკების ასპარეზად გლადიატორთა ჩვეულებისამებრო“ (cives cum civibus suis gladiatorio more concurrent).

უფრო ადვილი იქნებოდა ამის ატანა, მკრეხელობით აღსავსე უგუნურების წინამძღოლებად რომ ყოფილიყვნენ რომელიმე უცნობი პლებეები ან კიდევ დაცემული ნობილები. მაგრამ — ვაი, სამარცხვინო ბოროტებავ! — ასეთები იყვნენ მარიუსი და სულა. რაოდენად დიადნი არიან ეს პირნი! რა სარდლები! დიდება და სამკაული თავისი საუკუნესი“ (decora et ornamenta saeculi sui)[1].

2. მარიუსელთა ბატონობა

(87—82 წწ.)

მარიუსის დამარცხების შემდეგ რომში საქმეთა ბატონ-პატრონად შეიქნა სულა. სასწრაფო წესით გამოცხადებულ იქნა ახალი

[1] Flor., III, XXII.

ონსტიტუცია. უმაღლესი ხელმძღვანელობა სახელმწიფოში ეკისრებოდა სენატს, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა სულას მრავალი მომხრე, აღადგინეს ცენტურიატული კომიციები, შეაკვეცეს უფლებები სახალხო ტრიბუნებს, უქმდებოდა აგრეთვე იტალიკებისა და გათავისფლებულ მონათა განაწილება ყველა ტრიბაზე.

87 წლისთვის კონსულებად, სულას არასასიამოვნოდ, არჩეულ იქნა ოპტიმატი — სულანელი გნეი ოქტავიუსი და პოპულარი — მარიუსელი ლუციუს კორნელი ცინნა (L. Cornelius Cinna). უკანასკნელმა, თუმცა ფიციც კი დასდო ახალი კონსტიტუციის ერთგულებაზე, მაგრამ იგი მუდამ იყო როგორც თვითონ სულასი, ისე მის მიერ შემოღებული სახელმწიფო წესწყობილების მდწინააღმდეგე. აზრთა სხვაობა კონსულებს შორის დაიწყო ტრიბებში მოკავშირეთა განაწილების გამო. მოკავშირეების ყველა ტრიბაზე განაწილებისა და ახალი მოქალაქეების ძველებთან გათანაბრების მომხრე ცინნას ძლიერი ოპოზიცია დაუხვდა სენატში, იძულებული იყო რომი დაეტოვებინა და კონსულის წოდებაც ჩამოართვეს. ამის შემდეგ ის მიემართება კამპანიაში ჯართან, რომელიც ქალაქ ნოლასთან იდგა, სადაც ბევრი ისეთი იტალიკი იყო, რომელთაც იმის წინათ რომის მოქალაქეობის უფლება მიიღეს და სულას ნდობით ვერ უყურებდნენ. გადიბირა რა თავის მხარეზე საჩუქრებითა და დაპირებით ოფიცრები და ჯარისკაცები, ცინნა სათავეში ჩაუდგა 30 ათასიან არმიას და რომისკენ გაემართა. ცინნას მოძრაობამ იმედები გაუღვიძა და აღაფრთოვანა მარიუსელების სულიერი განწყობილება. ეტრურიაში გადმოვიდა გაიოს მარიუსი და სახელდახელოდ თავისუფლებისგან და მონებისგან შემდგარი ჯარით დაიძრა ცინნას დასახმარებლად, რომელიც რომის კედლებთან იდგა. ოთხი არმიის მიერ ჰქონდა რომს ალყა შემორტყმული: ცინნას, სერტორიუსის, პაპირიუს კარბონისა და მარიუსის არმიები. უკანასკნელმა ხელთ იგდო ოსტია, რომის მთავარი ნავსადგური.

ალყაშემორტყმულ ქალაქში მძვინვარებდა სიმშილი და გადამდები სნეულება. ბოლოს, 87 წ. ივნისში რომი დანებდა მოწინააღმდეგეს. მაშინათვე, მიცემული ნიშნის თანახმად, დაიწყო წარჩინებულ მოქალაქეთა ჟლეტა, რომლებისაც კი ეჭვი ჰქონდათ სულასადმი თანაგრძნობისა. ჟლეტას თან სდევდა წარმოუდგენელი სიმკაცრე, კონფისკაციები და გადასახლება. „რომს უფრო მძვინვარედ მოექცნენ, ვიდრე რომელიმე ქალაქს პუნიკური ან კიმვრების ომის დროსო“ [1]. მიწები და ძვირფასი ნივთეულობა ჩალისფასად იყიდე-

[1] Ascon., 80, 12—16.

ბოდა. მსყიდველებად მეტწილად იყვნენ სპეკულანტი-მხედრები (saccularii), რომელნიც მხარს უჭერდნენ მარიუსელებს. განსაკუთრებით მძვინვარებდა თვითონ მარიუსი, გონებაშერყეული მოხუცი, რომელიც მეთაურობდა მონებისგან თავმოყრილ ბარდიების რაზმს. აფრიკიდან დაბრუნებული მარიუსი უფრო დიდ კაცად ჩანდა თავის უბედურებათა გამო. საპყრობილემ, ბორკილებმა, ლტოლვამ და ექსორიამ მისი სახელი შემოსა მტკიცე და საშინელი დიდებით. ეგოდენ დიდი ადამიანის სახელი ხალხს მისკენ იზიდავდა ყოველის მხრიდან. იარაღდებოდნენ—„ოი, საშინელებავ! მონები და მონათა ყაზარმები (Servitia pro nefas et ergastula armantur), და უბედურმა სარდალმა (imperator) ადვილად შეადგინა არმია“ [1].

ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა მთელი ხუთი დღე. ამ დღეების განმავლობაში დიდძალი ხალხი დაიღუპა, მრავალი სახლი გადაიწვა, მათ შორის სულას სახლიც.

„ნაწილობრივ მისი (მარიუსის) სიტყვიერი განკარგულებით, ნაწილობრივ მისი ხელის მოძრაობით ბარდიები მასობრივად ხოცავდნენ მოქალაქეებს. სახლებში ისინი კლავდნენ პატრონებს. ძალას ხმარობდნენ მათ ცოლებზე და აუპატიურებდნენ ბავშვებს“ [2].

კონსული ოქტავიუსი მოკლულ იქნა, ხოლო მაშინ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე მყოფი სულა კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული. მარიუსის მძვინვარებამ ბოლოს თვითონ მარიუსელებისავე წრეშიაც კი გამოიწვია პროტესტი. ბარდიების უწესოებით აღშფოთებული კვინტუს სერტორიუსი ცინნას თანხმობით ღამით თავს დაესხა მძინარე ბარდიების ბანაკს და ყველა ისინი ამოხოცა, რიცხვით 40 ათასამდე. 86 წლისთვის კონსულებად არჩეულ იქნენ ცინნა და მარიუსი. მეშვიდეჯერ კონსულობა-მიღებული მარიუსი რამდენიმე დღის შემდეგ, 13 იანვარს, გარდაიცვალა ციებცხელებით. მის მაგიერ არჩეულ იქნა ახალი კონსული ვალერი ფლაკი.

სულას ყველა კანონი და განკარგულება გაუქმებულ იქნა, ხოლო სულპიციუს რუფუსის კანონები აღადგინეს; ამის ერთდროულად გატარებულ იქნა რამდენიმე დემოკრატიული კანონი, ვალების ნაწილობრივი კასაცია, სამონეტო რეფორმა და სხვ.

მაგრამ მარიუსელების მდგომარეობა არ იყო მყარი. მათ მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ იტალიკები, ქალაქში კი მარიუსისა და ცინნას მომხრეთა რიცხვი დიდი არ იყო. 85 წლისათ-

---

[1] Flor., III, XXI.
[2] App., Bell. civ., I, 73; Vell. Pat., 2, 24.

ვის არჩეული მარიუსის მომხრე კონსულები ცინნა და პაპირიუს კარბონი არ სარგებლობდნენ ავტორიტეტით არც სენატორებს შორის და არც საერთოდ ქალაქის მოსახლეობაში. სენატში იყო შემთანხმებელ-სენატორების ჯგუფი, რომელიც მზად იყო მოლაპარაკება გაემართა სულასთან. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ვალერი ფლაკი, princeps senatus, მუციუს სცევოლა და ყოფილი კონსული ფილიპე. მოპირდაპირე მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკება, მაგრამ ცინნამ და კარბონმა იმ მიზნით, რომ მოლაპარაკება შეეწყვიტათ ჯერ კიდევ დასასრულამდე, დაიწყეს ადრიატიკის ზღვაში ფლოტის გამზადება მისი აღმოსავლეთში გასაგზავნად, რომ სარდლობა ჩამოერთმიათ სულასათვის და გადაეცათ იგი მარიუსელისათვის, მაგრამ გასამგზავრებლად სამზადისის დროს ცინნა მოკლულ იქნა აჯანყებული ჯარისკაცების მიერ ქალაქ ანკონაში. ცინნას სიკვდილმა, ერთერთი მეტად ნიჭიერი და ენერგიული დემოკრატის სიკვდილმა, დიდი და მძიმე ზიანი მიაყენა პოპულარების პარტიას და მასთან ერთად მთელ ანტისულასეულ ოპოზიციას. მაგრამ დემოკრატების საქმე მაინც ჯერ დაღუპული არ იყო. როცა 83 წ. გაზაფხულზე ბრუნდიზიუმში სულა გადმოვიდა 30 ათასიანი არმიით, დემოკრატების განკარგულებაში მოიპოებოდა არმია 100 ათასი კაცის რაოდენობით, მათდა მიმხრობილ სამნიტების მიუთვლელად.

3. სულა აღმოსავლეთში

87 წ. სულას საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ეპირში, გადასვლის დროს საერთო მდგომარეობა აღმოსავლეთში საკეთილო როდი იყო რომისთვის. მთელი საბერძნეთი, ეპირისა და თესალიის გარდა, იყო მიითრიდატეს სარდლის არქელაოსის ხელში. ქვეყანა მღელვარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ათენში იმ დროს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მონათმფლობელების, ვაჭრების და სახელმწიფო მაღაროთა მოიჯარადრების ოლიგარქიული მმართველობა დამხობილ იქნა აჯანყებული მონებისა და ღარიბების მიერ, რომელთაც თავისუფლებისაკენ მოუწოდა მითრიდატემ. ათენის სათავეში დააყენეს ფილოსოფოსი ა ფ ე ნ ი ო ნ ი, პონტოს მეფის მეგობარი. მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც და კუნძულებზედაც. განსაკუთრებით საგრძნობი იყო კუნძულ დელოსის დაკარგვა, ეგეოსის ზღვაში, რომის მთავარი საზღვაო ბაზისა და მონათა ცენტრალური ბაზრისა, რომელიც ხელთ იგდო პონტოს ფლოტის მთავარსარდალმა არქელაოსმა.

სულას მდგომარეობა საესებით უიმედო ჩანდა. მაგრამ უახლოესმა ამბებმა ცხადჰყვეს, რომ პონტოს მეფის ძალა არც თუ ისე დიდი იყო. მთელი მისი ორგანიზაცია დამყარებული იყო მერყეევსა და სუსტ საფუძველზე. მითრიდატეს სამეფოში შემავალ შინა ოლქების სისუსტე და მისი მრავალრიცხოვანი, მაგრამ ცუდად მომარაგებული და ომის ხანგრძლივად წარმოებისათვის შეუფერებელი არმია მის გამარჯვებას საეგებიოდ ხდიდა. ენთუზიაზმის პირველი გატაცება, მითრიდატეს ფართო ლოზუნგებით გამოწვეული, უცხოელების განდევნა და ვალების კასაცია რომ გამოაცხადა, შენელდა. მითრიდატეს ხელქვეითი ოლქების მოსახლეობამ იწყო დრტვინვა და ჩივილი სასტიკ გადასახადებსა და ბეგარაზე, მაშინ როდესაც შეძლებული კლასები, პონტოს მეფის დემაგოგიური პოლიტიკის შიშით, მზად იყვნენ სულას მხარეზე გადასულიყვნენ. მითრიდატეს მრავალრიცხოვანი ჯარი კი ღარიბი საბერძნეთის პირობებში არა პლიუსს, არამედ მინუსს წარმოადგენდა. აზიის ზოგიერთ ქალაქს, სახელდობრ: სტრატონიკეას, მაგნეზიას მეანდროსზე და სხვათ, რომის მხარე ეპირათ, კუნძული როდოსიც აგრეთვე რომისკენ იხრებოდა.

ეპირიდან თესალიაში გამგზავრებული რომის არმია გაემართა ბეოტიისკენ. 86 წ. მარტში რომის ჯარებს უკვე ალყა ჰქონდათ ათენისთვის შემორტყმული. სულას თანამგრძნობი ათენელი ოლიგარქების თხოვნით, ათენის მცხოვრებლებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს მათი შესანიშნავი ქალაქის დიადი წარსულის პატივისცემით, როგორც „ცოცხალთა მადლობა მკვდრების მიმართ“, სულას ირონიული შენიშვნისა არ იყოს, რაიც მან გადაუგდო ათენის დელეგაციას, რომელიც მდიდარი ისტორიის მქონე დიდებული ქალაქის დანდობას ითხოვდა. ათენის მცხოვრებლებს სიცოცხლე უწყალობეს, მაგრამ ათენის ნავსადგური პირეევი და თვით ქალაქი აღებულ და დარბეულ იქნა. ამასობაში, ჩრდილოეთიდან თრაკიასა და მაკედონიაზე მოიმართებოდა მითრიდატეს მთავარი არმია, რომელიც არქელაოსს უნდა შეერთებოდა. ქერონეასთან, ბეოტიაში, მოხდა გენერალური ბრძოლა, სადაც 15 ათასმა რომაელმა დაამარცხა მითრიდატეს 60-ათასიანი ჯარი. მეორე არმია, დორილაოსისა, რომელიც გადმოვიდა ჯერ ქალაქ ქალკიდიკაში, ევბეაზე რომ იყო, აქედან ბეოტიაში გადავიდა და არქელაოსის არმიის ნაშთებს შეუერთდა, დამარცხდა ორხომენთან 86 წ. შემოდგომაზე.

იმავე, 86 წელს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაჩნდა მარიუსელთა არმია, რომელიც გაგზავნილი იყო აღმოსავლეთში სულას ფეხდაფეხ, კონსულ ვალერი ფლაკისა და მისი ლეგატის

გაიოს ფლავიოს ფიმბრიას სარდლობით. გზად ვალერი ფლაკმა ბიზანტიისაკენ დაიჭირა გეზი, გადავიდა აზიაში, სადაც ის მალე მოკლულ იქნა ჯარის მიერ ფიმბრიას ინტრიგებით. ლაშქრობას განაგრძობდა ფიმბრია, რომელმაც პონტოს მეფე გამოდევნა პერგამონიდან. მითრიდატეს მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, რამაც იგი აიძულა დათმობაზე წასულიყო კიდეც და საზავო მოლაპარაკება გაემართა სულასთან, რომელიც აზიაში გადავიდა.

მითრიდატეს მიერ შეთავაზებულ კავშირზე სულამ უარი განაცხადა, ზავი კი პონტოს მეფესთან დასდო ქალაქ დარდანაში, ჰელესპონტზე (84 წ.), მეფისათვის შედარებით ხელსაყრელ პირობებში. ამის შემდეგ მთელი ყურადღება სულამ მიაქცია დემოკრატიულ არმიას. ლიდიაში ფიათირთან დამარცხების შემდეგ მარიუსელთა არმია დაიშალა, მისი დიდი ნაწილი სულას არმიას შეუერთდა, ხოლო ფიმბრიამ, სირცხვილი რომ არ ეჭამა, თავი მოიკლა [1].

4. სულასეული გადატრიალება 82 წ.

83 წ. გაზაფხულზე სულა 30 ათასი ქვეითა ჯარისკაცითა და 6 ათასი ცხენოსანი ჯარით გადმოვიდა ბრუნდიზიუმში. მარიუსელები გაშმაგებული თავდაცვისათვის ემზადებოდნენ, მათ თავიანთ ბანკარგულებაში ჰყავდათ 100 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია.

დაწყებულ ომში ყველა უპირატესობა სულას მხარეზე იყო: ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარი, კარგად მოწესრიგებული მომარაგება, კარგი შეიარაღება და ფულის მარაგი. მარიუსელებს შორის კი, პირიქით, გამეფებული იყო დაბნეულობა, არ იყო ერთსულოვნება, მარიუსელთა არმიები ბევრს იტანდა ცუდი მომარაგებისა და მმართველობის გამო. ზურგი მოუწყობელი იყო, მთავრობა ავტორიტეტით არ სარგებლობდა, ქალაქში სუფევდა სრული ანარქია. ამასთანავე მარიუსელთა წინამძღოლებს შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი, მთავრობის მესვეური, კორნელი ცინნა უკვე აღარ იყო ცოცხალი.

იტალიაში სულას გამოჩენისთანავე კონსულმა ნორბანმა, აპულიაში რომ იყო, დაიხია კამპანიაში აპიუსის გზაზე მისთვის გზის გადასაჭრელად, ამავე დროს კი მისმა კოლეგამ, მეორე კონსულმა, სციპიონმა, დაიკავა ლათინელთა გზა. პირველი შეტაკება სულას მომხრეთა და მარიუსელთა შორის მოხდა მდინარე ვოლტურნაზე,

---

[1] Vell. Pat., II, 24; Plut., Sulla, 23; Oros., VI, 12.

კაპუას ახლოს. ნორბანი დამარცხდა, ხოლო ყოველთვის მერყეევმა ოპტიმატმა სციპიონმა მოლაპარაკება გამართა სულასთან, რომელიც ეწრაფი მარშით რომს უახლოვდებოდა. მისი მოახლოების ამბის შეტყობისთანავე დაიწყო მასობრივი გადასვლა ანუ ემიგრაცია, მეტადრე არისტოკრატიული ახალგაზრდობისა, მითრიდატეზე გამარჯვებული გმირის ბანაკში: იგი ხალხის გულს ინადირებდა თავისი წარმატებით, სიმდიდრით, დიდებითა და მბრძანებელი ხასიათით. სულას მხარეზე გადავიდნენ კვინტუს მეტელი, მეტელ ნუმიდიელის შვილი, კრასუსი, კატილინა, მარციუს ფილიპე და სხვანი.

თვითონ რომში სუფევდა საშინელი არევ-დარევა, დაიწყო აჯანყება და მოხდა ხანძარი, რომლის დროსაც გადიწვა კაპიტოლიუმი. ყოველივე მომხდარის გამო სულამ ვეღარ გაბედა ქალაქში შესვლა და დაბრუნდა კამპანიაში, ახალი გამოლაშქრებისათვის ძალების შესამზადებლად.

შემდგომ, 82-ს, წელს წარმოებს გამწვავებული ომი რომისთვის. საკრიპორტასთან, ლაციუმში, სულამ დაამარცხა დემოკრატიული კონსულის გაიოს მარიუს უმცროსის არმია, რომელიც იძულებული შეიქნა პრენესტისკენ დაეხია. პრენესტეში ჩაკეტილი მარიუსი სულამ მიატოვა, თვითონ კი მოვიდა რომამდე, აიღო ქალაქი, დასტოვა შიგ მცირე გარნიზონი და გაემგზავრა ეტრურიაში პაპირიუს კარბონის წინააღმდეგ, რომელიც მეთაურობდა მარიუსელთა მეორე პარტიას. კარბონთან ომი არ ჰქონდა გათავებული, რომ სულა აჩქარებული მარშით დაიძრა პრენესტესკენ, საითაც მიიმართებოდნენ მარიუსელთა რაზმები ალყაშემორტყმულ მარიუსის საშველად. პრენესტედან გამოდევნილმა დემოკრატიულმა არმიამ, რომლის ძალასაც შეადგენდნენ მთის ხალხები — სამნიტები და ლუკანები, — გეზი აიღო რომისკენ და ალყა შემოარტყა სულას მომხრეების მიერ დაჭერილ ქალაქს. გარემოცვა დიდი გაშმაგებით მიმდინარეობდა. სამნიტების წინამძღოლი ტელეზინი ამბობდა, რომ დადგა რომის აღსასრულის საათი, რომ ქალაქი საძირკვლამდე უნდა დაინგრესო. „მგლები, იტალიის თავისუფლების მიმტაცებელნი, მანამდე იქნებიან საშიშნი, სანამ არ გაიჩეხება ტყე, სადაც მათი ბუნაგიაო“ (nunquam defuturos raptores Italicae libertatis lupos nisi silva in quam refugere solerent esset excisa). გარემოცვა საშინელი სიშმაგით წარმოებდა. რომაელი ისტორიკოსების სიტყვით, ტელეზინის გარემოცვამ ქალაქს უფრო მეტი უბედურება მიაყენა, ვიდრე თავის დროზე ჰანიბალის გარემოცვამ [1].

---

[1] Vell. Pat., II, XXVII.

გენერალური ბრძოლა მოხდა კ ო ლ ი ნ ი ს კ ა რ ი ბ ჭ ე ს თ ა ნ (Porta Collina). სამნიტები უკვე ემზადებოდნენ ქალაქში შესასვლელად, რომ ამ დროს მოულოდნელად პრენესტეს მხრიდან გამოჩნდა სულას არმიის ავანგარდი, საშველად რომ მოდიოდა. 82 წ. პირველ ნოემბერს რომის გალავანთან, კოლინის კარიბჭესთან, მოხდა გაშმაგებული ბრძოლა სულას მომხრეთა და მარიუსელებს შორის. ბრძოლამ გასტანა შუაღამემდე. სულას არმია შედრკა და უკუქცევა დაიწყო, როცა მისი მარჯვენა ფრთის სარდალმა სულას ლეგატმა მარკოს კრასუსმა მოიგერია სამნიტები და ამით გადასწყვიტა ბრძოლის ბედი სულას მომხრეთა სასარგებლოდ. კოლინის ბრძოლამ გადასწყვიტა სულას მომხრეთა და მარიუსელების შორის ბრძოლის ბედი. რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა იტალიის დანარჩენი ქალაქების კაპიტულაცია: დაეცა პრენესტე, ნოლა, ვოლატერი და სხვ. მარიუსელთა პარტიის წინამძღოლები მარიუსი, ტელეზინი, პაპიუს მუტილი ბრძოლის დროს დაიღუპნენ, ხოლო მარიუსელთა უკანასკნელი ნაშთი, რომელმაც თავი მოიყარა სიცილიაში კარბონის მეთაურობით, პომპეუსის მიერ იქნა დამარცხებული. კარბონის მოჭრილი თავი პომპეუსმა სულას წარუდგინა როგორც ტროფეი[1]. მარიუსელების მომხრე პროვინციებს სწორედ ისეთივე დღე დაადგა, რაც იტალიას. ყველა დაემორჩილა მითრიდატეს დამამარცხებელ სულას ორგანიზებულ ძალას. კოლინის ბრძოლა უკანასკნელი ბრძოლა იყო რესპუბლიკური იტალიისა მოახლოებულ და იერიშით წამოსულ იმპერიასთან. ამ ბრძოლაში რესპუბლიკური იტალია დამარცხებულ იქნა ცენტრალიზებული იმპერიის ძალებით, იმ იმპერიის, რომელიც ემყარებოდა პროფესიონალურ არმიას, ერთი სარდალი (იმპერატორი) რომ ჰყავდა მესვეურად. ამასთანავე ერთად კოლინის ბრძოლა იყო ზეიმი მთელს იტალიაში მონათფლობელური სისტემისა და მონათფლობელური მეურნეობისა[2].

გამარჯვებას თან მოჰყვა საშინელი ტერორი, შურისძიება და ანგარიშის გასწორება. დემოკრატიული პარტია და მარიუსელები დევნილი შეიქმნენ. განსაკუთრებით სასტიკი იყო გამარჯვებულის მტრობა სამნიტების მიმართ, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად გამოიჩინეს სიძულვილი როგორც თვითონ სულას, ისე მისი რეჟიმის მიმართ. სულას ბრძანებით მარსის ველზე გაიმართა გამარჯვებულის სულგრძელობაზე დანდობილ ტყვეების ამოჟლეტა. ტყვეების

---

[1] S a l l., Fragm, 46; L i v., Epit., 86; D i o d., Fragm., XXXVIII, 10.
[2] O r o s., V, 20, 9; P l u t., Sulla, 29.

შეტ ნაწილს შეადგენდნენ იტალიის მთიელი ხალხები—სამნიტები და ლუკანები. იმ დროს, როდესაც ტყვეთა ხოცვა წარმოებდა, ბელონას ტაძარში, მარსის ველის მახლობლად, სენატს სხდომა ჰქონდა. სასიკვდილოდ განწირული ხალხის გულისმომწყვლელმა ყვირილმა დამსწრე სენატორების ყურებამდე მიაღწია და მათი ყურადღება განსახილველ საგნებს მოაცილა. გაბოროტებულმა სულამ ციინიკურად განაცხადა, რომ მამა სენატორები არ უნდა შეწუხდნენ იმით, რაც კრების კედლებს გარეშე ხდება. იქაო, — თქვა მან, — ჩემი ბრძანებით რამდენიმე არამზადას სჯიანო (hoc agamus P. C. seditiosi pauculi meo iussu occiduntur)[1].

აოხრება საშინელი იყო, ყველგან ეყარა ადამიანთა და ცხოველთა აუღებელი გვამები. სამნიუმი გადაქცეულ იქნა ნამდვილ უდაბნოდ, დემოკრატიული პარტია სავსებით განადგურებულ იქნა. გამარჯვებულის რისხვა ვრცელდებოდა არა მარტო ცოცხლებზე, არამედ მკვდრებზედაც კი. ოთხი წლის წინათ გარდაცვალებული მარიუსის გვამი სულას ბრძანებით ამოიღეს საფლავიდან და მდინარე ანიოში გადააგდეს. მარიუსისა და დემოკრატიული პარტიის საზელთან დაკავშირებული ყველა ძეგლი აიღეს და მოსპეს[2].

ფორუმზე გამოიკვროდა ხოლმე განსაკუთრებული სიები — პროსკრიპციები (proscriptiones), — სადაც შეჰქონდათ მისჯილთა სახელები. პროსკრიპციებს ორნაირი მიზანი ჰქონდა: შურისძიება კლასობრივ და პირად მტრების მიმართ და გამდიდრება მისჯილ მოქალაქეთა ხარჯზე. საკმარისი იყო ადამიანი მდიდარ კაცად ყოფილიყო მიჩნეული, რომ იგი დევნილთა რიცხვში მომხვდარიყო. დასმენა, ცილისწამება და მისთანა საშუალებანი — ყველაფერი შეიძლებოდა გამოგეყენებინათ და ყოველივე ეს დიქტატურის სანქციას ღებულობდა. მოედნებზე გამოჰკიდებოდნენ ხოლმე იმ პირთა სიებს, ვისაც მისჯილი ჰქონდათ ქონების ჩამორთმევა, გაძევება და სიკვდილი. ამ ნიადაგზე ქუჩებსა და სახლებში გულისმომწყვლელი სცენები ხდებოდა. თავის საკუთარი სახელისა ან თავის მახლობელთა სახელების ამოკითხვის დროს ხალხს გული უწუხდა, ჭკუაზე ირყეოდა, დამალვას ცდილობდა, თავის თავს სხვა კაცად ასაღებდა და ა. შ. მოკლულთა მოჭრილ თავებს გამოჰფენდნენ მოედანზე და ორატორის ტრიბუნაზე.

„ეგოდენ დიდი უბედურება ეწია რომს. არავის არ ძალედვა ენით გამოეთქვა ის ძალადობა, რომელსაც ცოცხლის მიმართ ჩადი-

---

[1] Val. Max., IX, 2; Oros., V, 21; Plut., Sulla, 30.
[2] August., De civ. dei, III, 28.

ოდნენო, — აღშფოთებით ამბობს ისტორიკოსი დიონ კასიუსი. — მამაკაცებზედაც რომ არა ვთქვათ რა, უძველესი და პატივითმოსილ-გვარების ქალებსა და ბავშვებსაც კი ისევე ექცეოდნენ, თითქოს ისინი სამხედრო ტყვეები ყოფილიყვნენ... მაგრამ, მიუხედავად მთელი ამ საშინელებისა, ყოველივე ეს შეიძლებოდა ადამიანს ასატანი ჩვენებოდა, მეტადრე იმათ, ვინც განზე იდგა და თვითონ არ იტანჯებოდა. რაღაც ამის მსგავსი სხვა დროსაც მომხდარა.

მაგრამ საშინელება იმაში მდგომარობდა, რომ სულა არ დაჯერდა ყოველივე ზემოთ აღწერილს და უფრო შორს წავიდა. მას რაღაც უგუნურება ეწია არავის არ ჩამორჩენოდა სისასტიკეში. რომ ამ მხრივაც ახალი ყოფილიყო, მან გამოფინა თეთრი დაფა, რომელზედაც მისჯილთა სახელები შეჰქონდათ"[1].

პროსკრიპციები იყო როგორც თვითონ რომში, ისე იტალიურ მუნიციპიებსა და პროვინციებში. პროსკრიპციებში ხვდებოდნენ როგორც ცალკეული მოქალაქეები, ოჯახები და გვარები, ისე მთელი ქალაქები და თემები. იტალიის ოლქებს შორის ყველაზე უფრო მეტად დაზარალდნენ სამნიუმი და ეტრურია, რომლებმაც უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწიეს დიქტატორს. იტალიური ქალაქების (ფეზული, პრენესტე, პომპეა და სხვ.) მცხოვრებლებს სხვა ადგილებში ასახლებდნენ, ხოლო მათ ადგილებზე ამკვიდრებდნენ სულას ვეტერანებს.

ტერორი გაგრძელდა ერთ წლამდე (82—81) და, ბოლოსდაბოლოს, მან საგონებელში ჩააგდო სულას მახლობელი პირებიც კი. „ჩვენ გთხოვთ შენ, — თქვა გაიოს ცეცილიუს მეტელმა, — არა იმათთვის, ვისაც შენ სიკვდილით დასჯა მიუსაჯე, გთხოვთ დაიფარო სიკვდილისა და უცნობელობისაგან თუნდაც მარტო ისინი, ვისაც შენ ცოცხალს სტოვებო"[2].

„სხვა ვინღა დარჩება ჩვენს გარდა ცოცხალი, თუ კი ჩვენ ომში შეიარაღებულებს ვხოცავთ, ხოლო მშვიდობიანობის დროს უიარაღოებსაო"[3].

5. სულას დიქტატურა

ასეთ პირობებში, პროსკრიპციათა და ტერორის ატმოსფეროში, მუშავდებოდა ახალი, **სულას კონსტიტუცია**. დემოკრატიული კონსულების დაღუპვის შემდეგ სენატმა სახელმწიფო გა-

---

[1] Dio Cassius, XXX—XXXV, 109, 11.
[2] Dio Cassius. XXX-XXXV, 109, 11.
[3] Plut., Sulla, XXXI.

მოაცხადა საფრთხეში მყოფად, ვალერი ფლაკი დანიშნა დროებით მმართველად, „მეფეთშორისად“ (interrex), განუსაზღვრელი რწმუნებების მინიჭებით. ძველი რომის თემში მეფეს, სხვა თანამდებობითი პირების მსგავსად, ირჩევდნენ საერთო კრებაზე კურიებისდა მიხედვით, მაგრამ, ჩვეულებრივ, სიცოცხლეშივე მეფე თვითონვე ინიშნავდა შემცვლელ მოადგილეს, რომელსაც მერე ამტკიცებდნენ სენატი და ხალხი (lex curiata de imperio). ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო ასეთი დანიშვნა არ მოხდებოდა, მაშინ ძალაუფლება გადადიოდა სენატის ხელში, რომელიც თავისი კორპორაციიდან გამოჰყოფდა ხოლმე „მეფეთშორისს“ — ინტერრექსს, რომელიც ინიშნებოდა სენატორთაგან გარკვეული წესით.

ინტერრექსის დანიშვნის ჩვეულება რესპუბლიკის დროსაც დარჩა. უახლოესი წლისათვის კონსულთა კანდიდატურებს ასახელებდნენ ძველი კონსულები, ხოლო თუ ეს რაიმე მიზეზით არ მოხდებოდა, როგორც იყო სწორედ ამ შემთხვევაშიაც, მაშინ ინიშნებოდა ინტერრექსი. 82 წ. ინტერრექსად იყო ვალერი ფლაკი, რომელმაც სენატის დასამტკიცებლად შეიტანა წინადადება პროკონსული ლუციუს კორნელი სულა აღეჭურვათ საგანგებო რწმუნებით. დიქტატურის იდეა ეკუთვნოდა თვითონ სულას, რომელიც ფლაკს სწერდა, რომ „დიქტატურა გაგრძელდება იმ დრომდის, სანამ ქალაქი, იტალია და მთელი სახელმწიფო, ომითა და ანარქიით შერყეული, არ ჩადგება თავის კალაპოტში, ნორმალურ სახეს არ მიიღებსო“.

ეპისტოლეს ბოლოს სულა აღნიშნავდა, რომ ყველაზე უფრო შესაფერის კანდიდატად მას თავისი თავი მიაჩნია.

„მისი აზრით, ვერავინ ვერ შესძლებდა ქალაქისთვის მასზე უფრო მეტი სასარგებლო სამსახურის გაწევას“ [1].

სულას სურვილი შესრულებულ იქნა, — ტერორიზებულმა სენატმა და კომიციებმა იგი გამოაცხადეს დიქტატორად განუსაზღვრელი დროით ომითა და ანარქიით შერყეული სახელმწიფოს აღსადგენად (dictator perpetuus legibus perferendis constituendaeque rei publicae) [2]. იურიდიული თვალსაზრისით, სულას დიქტატურა განირჩეოდა ძველი დიქტატურისგან ვადის განუსაზღვრელობით. რომის კონსტიტუციის თანახმად, დიქტატურის ვადა სასტიკად განისაზღვრებოდა ექვსი თვით, სულას დიქტატურა კი იყო „სამუდამო“ (dictatura perpetua).

---

[1] App., Bell. civ., I, 98.

[2] Cic., Ad Att., IX, 15; Cic., De lege agr., III 5.

„ვინც იქნება არჩეული, მან უნდა მართოს განუსაზღვრელი ვადით მანამდე, სანამ რომი, იტალია და მთელი რომის სახელმწიფო, შერყეული ძმათაშორისი შუღლითა და ომებით, არ განმტკიცდება.

ასე რომ რომაელებმა, რომელთაც 60 ოლიმპიადის განმავლობაში განაგებდნენ მეფეები, შემდეგ ჰქონდათ დემოკრატიული წესწყობილება და განაგებდნენ კონსულები, როგორც წლიური წარმომადგენლები, ახლა კვლავ იგემეს მეფის ძალა-უფლება“ [1].

ვალერის „კანონით უმაღლესი ხელისუფლების შესახებ“ (lex Valeria de imperio), სულას ეძლეოდა განუსაზღვრელი ძალა-უფლება (imperium) შინაგანი და საგარეო პოლიტიკის ყველა საქმეში, რაც კი შეეხებოდა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო ცხოვრებას. დიქტატორის განმგებლობაში იყო სახელმწიფო ქონება და კერძო პირთა ქონება, ახალი კანონების გამოცემა (leges dare) და ძველი კანონების გაუქმება, პროვინციალებისათვის, გათავისუფლებულ მონათა და მონებისათვის სამოქალაქო უფლებათა მინიჭება, საგანგებო სასამართლოთა შემოღება, მაგისტრატურებზე პირთა დანიშვნა, საზღვრების შეცვლა, საზავო ხელშეკრულებათა დადება, ომის გამოცხადება, მოქალაქეთა დასჯა (lex de proscribundis malis civibus) და მისთანა. ვალერის კანონის მიღების შემდეგ მოხდა დიქტატორის ზეიმით შესვლა სატახტო ქალაქში, რაც აღინიშნა საყოველთაო სახალხო დღესასწაულით.

სულა წამოყენებულ იქნა ოპტიმატების პარტიის მიერ და ამიტომაც ბუნებრივად იგი მოქმედებდა, უწინარეს ყოვლისა, ამ პარტიის ინტერესების შესაბამისად. სულას კონსტიტუცია თავისი დედაარსით მიმართული იყო დემოკრატიის წინააღმდეგ. სულა მიისწრაფოდა აღედგინა გრაქხებისწინარე დროის სახელმწიფო წესწყობილება, როცა სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელად იყო სენატი და როცა მთლად ძალაში იყო სერვიუს ტულიუსის ტიმოკრატიული კონსტიტუცია.

ამის თანახმად და 82 წლის ახალი კონსტიტუციით სენატი აღიარებულ იქნა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ, სადაც თავს იყრიდა მართველობის ყველა სადავე და რომლის წრიდანაც ირჩევდნენ თანამდებობით პირებსაც. სენატის მოღვაწეობის სფეროს სივრცისა და სირთულის გამო წევრთა რიცხვი ერთი ორად გაიზარდა 300-დან 600-მდე მხედართა წოდების პირთა, ცენტურიონების

---

[1] App., Bell. civ., I, 99.

და სხვათა შეყვანით[1]. სენატს ეკუთვნოდა უფლება კანონთა დამტკიცებისა და გამოცემის თაოსნობისა, მოსამართლეთა დანიშვნა, იტალიისა და პროვინციების მმართველობა, სახელმწიფო შემოსავლის უკონტროლო განმგებლობა, ოჯარების, შესასყიდ შემოსავალთა, საბაჟო გამოსაღებთა გაცემა და ახალი გადასახადების შემოღების უფლება.

ფართოვდებოდა აგრეთვე სენატის სასამართლო ფუნქციებიც. ნაფიცთა სასამართლოები (quaestiones perpetuae), რომელნიც ძალიან განშტოვდნენ და დასპეციალდნენ, სენატის სასტიკი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. სხვადასხვა საქმეებისთვის დანიშნულ სასამართლო კომისიების სათავეში იდგნენ სასამართლოს პრეტორები; ესენი ემორჩილებოდნენ ორ მთავარ პრეტორს (praetor urbanus და praetor peregrinus), რომელნიც თავის მხრივ სენატს ემორჩილებოდნენ.

სენატსვე, გარდა ამისა, შერჩა პრეროგატივა განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფო გამოეცხადებინა სამხედრო (senatus consultum ultimum) და საალყო (decretum tumultus) მდგომარეობაში მყოფად, ე. ი. შემოეღო სამხედრო ან საალყო წესები.

სენატზე იყვნენ დამოკიდებული მაგისტრატურები — კონსულები, პრეტორები, ედილები და სხვანი, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და რომელნიც რესპუბლიკის მაგისტრატებისგან ხდებოდნენ მოხელეებად, დიქტატორზე რომ არიან დამოკიდებული. პრეტორების რიცხვმა აიწია 6-დან 8-მდე, ხოლო კვესტორებისამ — 20-მდე. კონსტიტუციის თანახმად, მაგისტრატების ძალა-უფლებაში ყოფნის ვადა განისაზღვრებოდა ერთი წლით, მაგრამ პრაქტიკაში ხშირი იყო გამონაკლისები. პირველ წელიწადს ყველა უმაღლესი მაგისტრატურა, რიცხვით 10, რჩებოდა რომში და თავიანთ მოვალეობებს ინაწილებდა კენჭის ამოღებით, მომდევნო წელს კი ისინი როგორც „პრომაგისტრატები" (promagistri) დანიშნულებას იღებდნენ პროვინციებში. თვითეული მაგისტრის მოღვაწეობის სფერო შეზღუდული იყო გარკვეული წყების საქმეებით, სამხედრო ძალა-უფლება (imperium) განცალკევდა სამოქალაქო ძალა-უფლებისგან (potestas). პროვინციებში გაგზავნილ პრომაგისტრატებს, პროკონსულებს და პროპრეტორებს სამოქალაქო ძალა-უფლება არ ჰქონდათ, მათი საქმიანობა შემოფარგლული იყო სამხედრო იმპერიუმით.

უმაღლესი სამხედრო ძალა-უფლება და უმაღლეს თანამდებო-

---

[1] Liv., Epit., 89; App., Bell. civ., I, 100.

ბებზე დანიშვნა (imperium), და აგრეთვე ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება ეკუთვნოდა მხოლოდ სენატს [1]. მაგისტრატურების გავლა, თანამიმდევრობა და სხვადასხვა თანამდებობათა შორის ხარვეზი წესდებოდა სპეციალური წესდებით (census ordo magistratuum). სულას კონსტიტუციის ანტიდემოკრატიული და ანტირესპუბლიკური ხასიათი ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს სახალხო კრებისა და სახალხო ტრიბუნების მიმართ.

უკვე თავისდათავად უმაღლესი ხელმძღვანელობის სენატისადმი გადაცემა ზღუდავდა მაგისტრატების უფლებებს, რომელნიც გავლენიანი იყვნენ ძველი წესების დროს, — ზღუდავდა სახალხო ტრიბუნებს, კონსულებს და ცენზორებს. ცენზურა სრულიად იქნა გაუქმებული, მით უმეტეს, რომ ჯარისკაცთა თავისუფალი თავმოყრის, იტალიის საგადასახადო პრივილეგიის და ყოველწლიურად სენატში შემავალ მაგისტრატების რიცხვის ზრდის პირობებში, ცენზურა თავის აზრსა და მნიშვნელობას კარგავდა.

ტრიბუტულ კომიციების ადგილს ცენტურიატული კომიციები იჭერენ, რომელთაც საფუძვლად ედვა ქონებრივი ცენზი. თავის გადაწყვეტილებათა გამოტანისას ცენტურიატული კომიციები სენატზე იყვნენ დამოკიდებული [2]. კომიციაში შესატანი ყველა წინადადება საჭიროებდა სენატის წინასწარ სანქციას, უამისოდ მას არ შეეძლო მიეღო კანონის ძალა. როგორც ტრიბუტული, ისე ცენტურიატული კომიციები, სულას კონსტიტუციით, ჩამოქვეითდა სათათბირო ორგანოს მდგომარეობამდე, ხოლო სახალხო ტრიბუნები ახლა არიან მოსარჩლენი ცალკე პირებისათვის, როგორიც, გადმოცემით, ისინი ყოფილან კიდეც რესპუბლიკის არსებობის პირველ საუკუნეებში.

„ასეთი გზით იმედოვნებდნენ, რომ ვერც ერთი კანონი ვერ შევა ხალხის განსახილველად, სანამ ის წინათვე არ იქნება განხილული სენატის მიერ. ხოლო თუ სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტისას უმეტესობა ექნება სახელმწიფოს არა უღარიბესისა და უგუნური ნაწილის ხმებს, არამედ შეძლებული და განათლებული კლასების ხმებს, მაშინ სწორედ ამით აცილებული იქნება გადატრიალებათა და რევოლუციათა საშიშროება“ [3].

სხვათა შორის, რესპუბლიკანიზმისა და დემოკრატიზმის გარკვეული

---

[1] Cic., Ad fam., I, 9, 25.
[2] Senatus sententia, G. I. L., I, 114.
[3] App., Bell. civ., I, 59.

ნაწილი მაინც რჩებოდა სულას კონსტიტუციითაც. დანარჩენ მაგისტრატებისამებრ, სულაც ითვლებოდა რესპუბლიკის მაგისტრატად და უნდა გადარჩეულ ყოფილიყო, რითაც იგი აღიარებდა და ცნობდა თავისი ძალა-უფლების კანონიერებასა და დამოკიდებულებას ხალხის ნება-სურვილისგან.

„დიქტატორად ყოფნისას სულას თვალთმაქცურად უნდოდა დემოკრატია დაეცვა, ამასთანავე მეორეჯერ კონსულობა მიიღო მეტელ პიუსთან ერთად“ [1].

სულას რეჟიმის უშუალო დასაყრდენ ძალას შეადგენდა ჯარი, რომლის ოფიცრობა შესდგებოდა ნობილებისგან. ჯარის ინტერესთა შესაბამისად მოახდინეს მიწების სამოქალაქო კონფისკაციები 47 იტალიურ ქალაქის მიმართ, რომელთაც მარიუსის მხარე ეჭირა. ამ ქალაქების ტერიტორიაზე დასახლებულ იქნა 120 ათასი სულას ვეტერანი. მიწაზე დამკვიდრებულმა სულას ვეტერანებმა წარმოქმნეს მუდმივი არმია, რომელიც მზად იყო პირველ დაძახებისა და დიქტატორის მოთხოვნისთანავე გამოსულიყო არსებული წესწყობილების დასაცავად. ვეტერანების სამოსახლო პუნქტებს მეორე მიზანიც ჰქონდათ დასახული — განემტკიცებინათ საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობა, ურომლისოდაც ანტიკურ მონათმფლობელურ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ არსებობა. კორნელის კანონით (lex Cornelia), ე. ი. ლუციუს კორნელი სულას კანონით, ვეტერანული ნაკვეთები უმტკიცდებოდა მქონებელსა და მის მემკვიდრეებს, მაგრამ არავითარი სახით არ შეიძლებოდა გაესხვისებინათ.

სულას ვეტერანები (პოსესორები) ცხოვრობდნენ განცალკევებით, იმ ქალაქის მოსახლეობას არ უერთდებოდნენ, რომლის ტერიტორიაზედაც იყვნენ ისინი განსახლებული, და მათ არ შეეძლოთ თავიანთი ნაკვეთები გაეყიდნათ. სულას ახალშენების დიდი ნაწილი იყო ეტრურიასა და კამპანიაში, ქალაქების ნოლას, კაპუას, ნუცერიას და პომპეას ტერიტორიაზე. სულას პოსესორების შემდგომი ბედი ერთნაირი როდი იყო. მათი ერთი ნაწილი მალე გაჩანაგდა, მეორე ნაწილი კი განმტკიცდა და გადაიქცა, როგორც ეს სულასაც სურდა, საშუალო შეძლების პლანტატორ-მონათმფლობელად [2].

ვეტერანების განსახლება იტალიაში ხელს უწყობდა იტალიკების რომანიზაციას და მათს კონსოლიდაციას სავაჭრო-სავახშო კაპიტალისა და მონათმფლობელობის საერთო ინტერესთა ნიადაგზე. მთელი მონათმფლობელური იტალიის სოციალურ-ეკონომიური

---

[1] App., Bell. civ., I, 105.

[2] App., Bell. civ., I, 100; Liv., Epit., 89; Cic., De lege agr., II, 78.

წესწყობილების ერთნაირობის გამოხატულებას წარმოადგენდა სულას მიერ შემოღებული მუნიციპალური კონსტიტუცია, რომელმაც დაადასტურა იტალიკების განაწილება ყველა 35 ტრიბაზე და ადგილობრივად მმართველობა გადასცა მუნიციპალურ საბჭოებს ანუ კურიებს, ქონებრივი ცენზის საფუძველზე რომ ირჩევდნენ. იტალიის საზღვრად ჩრდილოეთში დაწესდა მდინარე რუბიკონი (Rubico), რომელიც იტალიას ჰყოფდა ციზალპიურ გალიასგან.

მეორე ორგანიზებულ ძალას, რომელსაც ემყარებოდა სულას დიქტატურა, შეადგენდნენ დასჯილ მოქალაქეთა ის მონები, რომელთაც მიეცათ თავისუფლება და მოქალაქეობის უფლება და რომლებმაც დაუმტკიცეს სულას თავისი ერთგულება. ეს მონები, რომელთა რიცხვი, ზოგიერთი ცნობით, 10 ათასს უდრიდა, მეორეთა ცნობით კი 40 ათასს აღწევდა, ატარებდნენ კორნელიების (cornelii) სპეციალურ სახელს; ამათ შექმნეს დამოუკიდებელი კორპორაცია ანუ კოლეგია (L. Cornelio L. Sullae Felici dictatori libertini)[1]. კორნელიების მეშვეობით სულას შეეძლო ორგანიზებული გზით გავლენა მოეხდინა სახალხო კრებაზე.

სულას აზატებს შორის ისტორიული სახელი მოიპოვა ხრიზოგონემ (Chrysogonus), რომელმაც, სულას მრავალი მეგობარივით, სახელმწიფო გადატრიალება და პოლიტიკური ტერორი გამოიყენა პირადი გამდიდრების მიზნის შესაბამისად. ხრიზოგონეს შესახებ ცნობებს ჩვენ ვპოულობთ ციცერონის იმ სიტყვაში, რომელიც მას როსციუს ამერიელის სასარგებლოდ წარმოუთქვამს.

ხრიზოგონეს ისტორია იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მას, როგორც სულას რეჟიმისათვის მეტად ტიპიურს, შევეყევართ რეალურ ცხოვრებაში და რომ იგი გვაცნობს ჩვენ იმ დროის ზნე-ჩვეულებებს. სულას ფავორიტმა ხრიზოგონემ ანგარული მიზნით დაიწყო სასამართლო პროცესი ქალაქ ამერიის (უმბრიაში) მდიდარი მიწათმფლობელის როსციუსის წინააღმდეგ. დიქტატორის დახმარების წყალობით ხრიზოგონემ პროცესი მოიგო და აუქციონით ჩალის ფასად შეიძინა როსციუსის ჩამორთმეული მამულები. ამ მიწების გაყიდვით აღებული ფულით ხრიზოგონემ თავისთვის აიშენა მშვენიერი სასახლე პალატინუმზე, შეიძინა კარგად გაწყობილი ვილა ქალაქის პირას და, გარდა ამისა, მრავალი სახლკარი და მამული. გამდიდრებული აზატის სახლი სავსე იყო ძვირფასი ვაზებით, კორინთოს და დელოსის ლითონით, ვერცხლის ნაჭედი ჭურჭლეულობით,

---

[1] C. I. L., X, 6007; I, 585.

მშვენიერი საბნებით, ხალებით და მისთანათი. სახლიდან ხრიზოგონე გამოდიოდა ბრწყინვალე ამალის თანხლებით, რომელიც შესდგებოდა მრავალრიცხოვანი კლიენტებისა, აზატებისა და მონებისაგან" [1].

სავაჭრო კაპიტალის მანიველირებელი ზეგავლენით მონათმფლობელურ საფუძველზე იცვლებოდა რომის მოქალაქეობის შემადგენლობა, იცვლებოდა აგრეთვე არისტოკრატიაც. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ხვდებოდა რომის სახელმწიფოში იტალიკი, პროვინციალი, აზატი და მონა. ძველ დიდკაცობას შეემატა ახალი დიდკაცობა, დიქტატორის მიერ წამოწეული. ძველი სოციალური დანაწილების — გვაროვნულის, წოდებრივის, ეთნიკურის, ასაკობრივის და სხვა ამგვარის — ადგილს იჭერდა ახალი დანაწილება ქონების მიხედვით, რაც დამახასიათებელია რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნეებისა და იმპერიისათვის.

ჯარისათვის სასყიდლის მისაცემად, შენობებისა, საჩუქრებისა, დღესასწაულებისა და სხვა ხარჯებისათვის საჭირო თანხებს სულა იღებდა დაპყრობებისა, კონფისკაციებისა, ბაჟებისა. სახელმწიფო ქონებათა და გადასახადთა გზით. ყველაზე მეტს შემოსავალს იძლეოდა დაპყრობები და კონტრიბუციები. აზიაში ყოფნის დროს სულამ აზიურ ქალაქებს მითრიდატესადმი თანაგრძნობისათვის შეაწერა უშველებელი გადასახადი 20 ათასი ტალანტის რაოდენობით. სასტიკად იძარცვებოდა აგრეთვე საბერძნეთიც, კერძოდ ათენი, საიდანაც სულამ გამოზიდა უთვალავი ძვირფასი ნივთეულობა, მათ შორის მრავალი წიგნი — თხზულებები არისტოტელესი, თეოფრასტესი და სხვათა [2].

რომის ხელქვეით აზიურ ქალაქებში მოახდინეს მოსახლეობის გულდასმითი აღწერა, და პროვინცია აზია ფისკალური ინტერესების შესაბამისად დაჰყვეს 40 საგადასახადო ოლქად. გადასახადების აკრეფა ამ ოლქებში წარმოებდა პირდაპირი გზით სახელმწიფო ორგანოთა მეშვეობით, შემსყიდველ ამხანაგობათა შუამავლობის გარეშე. ამით პირველი სერიოზული ზიანი მიაყენეს პუბლიკანების საზოგადოებებს, ხოლო ამათი საშუალებით მთელ მხედართა წოდებასაც, რომელიც თანდათანობით კარგავდა გარდასულ დროთა უპირატესობებსა და დამოუკიდებლობას, გარდაიქმნებოდა რა სახელმწიფო მანქანის ერთერთ ორგანოდ.

---

[1] Cicer., Rosc. Amer., X და მიმდ.
[2] Plut, Sulla, XXII.

6. სულას მიერ მოხდენილი ბადატრიალების ისტორიული მნიშვნელობა

სულას ხასიათში შეზავებული იყო მეტად საოცარი წინააღმდეგობანი. თავისი ჩამომავლობით სულა ეკუთვნოდა ძველ არისტოკრატიას, მისგან დაიმკვიდრა არისტოკრატიული წრის ყველა თავისებურება. ფულის მხრივ გაჭირვებაში მყოფი, იგი დაუახლოვდა ხნიერ ქალს ნიკოპოლას, რომელმაც სიკვდილის შემდეგ დაუტოვა დიდი ქონება, რაც შემდეგში კიდევ. გაიზარდა სულას დედინაცვლის ქონების შემატებით.

„ფულის ხარბი, ის უფრო მეტად ეხარბებოდა სახელს, დიდებას" (cupidus voluptatum, sed gloriae cupidior)[1].

თავისი თანამედროვეებისავით, მაღალი წრის ხალხივით, სულა ახალგაზრდობაში ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა — მარჯვნივ და მარცხნივ ფულებს ხარჯავდა, დროს ქეიფში ატარებდა, ტრიალებდა თეატრისა და ცირკის ბოჰემის საზოგადოებაში, მაგრამ ამავე დროს უყვარდა ლიტერატურასა და მეცნიერებაში მეცადინეობა, წერდა პიესებს და ითვლებოდა ბერძნული ენის კარგ მცოდნედ.

პოლიტიკური კარიერისათვის სულა არ ემზადებოდა და მეტად გვიანაც გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მისი ცხოვრების ნირი, ნებიერობა და კოხტაობა ამ ასპარეზზე არაფერს თვალსაჩინოს არ უმზადებდა, პირიქით, ზიზღსაც კი იწვევდა ისეთ პირთა მხრით, როგორიც იყო მარიუსი, რომელთანაც ის 107 წ. იყო კვესტორად აფრიკაში. არსებითად რომ ითქვას, იუგურთას ომით დაიწყო სულას სამხედრო და პოლიტიკური კარიერა.

მაგრამ, მიუხედავად თავისი ნებიერობისა და ყოველივე ირგვლივ არსებულის მიმართ გულგრილობისა, სულამ სამხედრო საქმეში გამოიჩინა საზრიანობა და უნარი რთულ გარემოში გარკვევისა, ხოლო ამხანაგური მოპყრობით მოიპოვა ჯარისკაცების პატივისცემა და სიყვარული[2]. სულას სამხედრო-ორგანიზატორული ნიჭი სავსებით გადიშალა კიმვრებისა და მოკავშირეთა ომში, სადაც მან სრულიად დაჩრდილა მარიუსი.

სულას არ ჰქონდა მიმზიდველი გარეგნობა. არასასიამოვნო, ბრიალა თვალები და ღუდუდებით მოფენილი წინწამოწეული სახე, მას ღორის მსგავსებას აძლევდა (Sulla სიტყვა sus-იდან, რაც ნიშნავს ღორს). ამაზე ბერძნები ენამახვილობდნენ: „სულა ფქვილში ამოვლებული თუთაია".

---

[1] Sallust., De bello Iugurth, 95

[2] Ibid., 96.

ძვალ-რბილამდე სკეპტიციზმით გაჟღენთილი და ფატალისტი. გულგრილი, ცივი, სასტიკი, გულჩახვეული, პოლიტიკურ სარბიელზე გარემოებათა თამაშით ამოტივტივებული, სულა საქმეს შეუდგა თავისი ჩვეული ენერგიით და თანამიმდევრობით, მაგრამ მალე გული აიყარა, თავისი ნებით მიატოვა დიქტატორობა, მოიხსნა სადიქტატორო რწმუნებანი და ხელი მიჰყო თავის საყვარელ საქმიანობას — სოფლის მეურნეობას, ნადირობას, თევზაობასა და ლიტერატურას.

სულას მიერ ძალა-უფლებაზე ხელის აღება, როგორც ამოუცნობი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტი, დიდს განცვიფრებას იწვევდა როგორც თანამედროვეებში, ისე მომდევნო თაობათა შორის.

„ყველაზე უფრო გასაოცრად ამ ადამიანშიო, — ამბობდა აპიანე, — მე ის მიმაჩნია, რომ იგი იყო პირველი და მანამდე ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ხელი აიღო ეგოდენ დიდ ძალა-უფლებაზე გარეგანი იძულების გარეშე და გადასცა იგი არა თავის შვილებს, როგორნიც იყვნენ პტოლემე ეგვიპტეში, არიობარზანი კაპადოკიაში, სელევკი სირიაში, არამედ იმათ, ვისზედაც იგი ბრძანებლობდა...

და განსაკუთრებით საოცარი ისაა, რომ ეს მან მოიმოქმედა მას მერე, როცა დაღუპა აყვავებული მოსახლეობის 100 ათასზე მეტი სული, მას მერე, რაც მრავალ მათგანს ქონება ჩამოართვა, ხოლო მოკლულთა გვამები მისი ბრძანებით გამოყრილი იყო მიწის მიუბარებლივ... არავითარი გარეგანი იძულებითი მიზეზი ძალა-უფლებაზე ხელის აღებისათვის სულას არ ჰქონდა.

იგი მაშინ სრულ ასაკში იყო და სავსებით ჯანმრთელი. იტალიაში მის სამსახურად მზად იყო 120 ათასი კაცი, რომელნიც ამას წინათ მისი უფროსობით მსახურობდნენ და რომელთაც ახლა მისგან დიდი საჩუქრები და უხვად მიწის ნაკვეთები მიიღეს. გარდა ამისა, მის განკარგულებაში იყო 10 ათასზე მეტი კორნელი და სხვა ხალხი, რომელიც მის მომხრეთა რიცხვს ეკუთვნოდა, იყო მისი ერთგული, ხოლო სხვებისათვის მრისხანე“ [1].

სულას ნებაყოფლობით გადადგომა, ძალა-უფლებაზე ხელისაღების ფაქტი არანაკლებად იპყრობს აგრეთვე თანამედროვე ისტორიკოსების ყურადღებას. სულას კლასიკურ დახასიათებას წარმოადგენს მომზენის მიერ მოცემული დასასიათება. „...გულქვა ხალხსაც კი გული აუჩუყდა, როცა ადამიანი, რომელიც მანამდე თვითნებურად

[1] App., Bell. civ., II, 103—104

განაგებდა მილიონთა სიცოცხლეს და საკუთრებას, რომლის თითის ერთი დაქნევითაც უამრავ ხალხს დააყრევინეს თავები, რომლის მოსისხლე მტრებს ნახავდით რომის თვითეულ ქუჩაში, იტალიის ყველა ქალაქში, რომელმაც მარტომ; თანატოლ მოკავშირეებს მოკლებულმა, არსებითად რომ ითქვას, მტკიცედ შეკავშირებულ პარტიაში საყრდენ წერტილსაც კი მოკლებულმა, ბოლომდე მიიყვანა თავისი საქმე სახელმწიფოს გადახალისებისა, საქმე, ათას ინტერესსა და რწმენას რომ ლახავდა და შეურაცხყოფდა, — აი როცა ეს ადამიანი გამოვიდა სატახტო ქალაქის მოედანზე, მან თავისი ნებით მოიხსნა სავსება ხელმწიფებისა, დაითხოვა თავისი შეიარაღებული ამალა, დაშალა თავისი ლიქტორები და მოქალაქეთა კრებას მიმართა კითხვით: ვისმეს ხომ არა სურს მას ანგარიში მოსთხოვოს? ყველა მდუმარებდა: მაშინ სულა ჩამოვიდა საორატორო ტრიბუნიდან და ქვეითად, მარტო თავის მეგობრების თანხლებით, დაბრუნდა შინ...“

სულას გადადგომის ახსნას მომზენი ნახულობს ფსიქო-ფიზიოლოგიური რიგის პირად მოტივებში — „სისტემატურ პატივმოყვარეობის“ უქონლობაში, პირად სიმშვიდისადმი ლტოლვაში, გარშემო მყოფთა მიმართ ზიზღში და სხვა ამგვარში. „მას ცხოვრებისგან არა უნდოდა რა, გარდა სიამოვნებით დატკბობისაო“ [1].

მომზენის შემდგომი დროის ისტორიკოსები ცდილობენ სულას გადადგომა ახსნან უფრო ღრმა სოციალური მოტივებით — სულას რეჟიმის შინაგანი სისუსტით და სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებით — მხედართა, ქალაქის პლებსისა და განსაკუთრებით კი სულას მიერ გაჩანაგებულ იტალიკების უკმაყოფილებით. თვითონ ომს მარიუსსა და სულას შორის ისინი იხილავენ როგორც მოკავშიერთა ომის გაგრძელებას [2].

პოლიტიკური ხელმძღვანელის მოვალეობათაგან სულას წასვლის მიზეზი, რასაკვირველია, არ შეიძლება ახსნილ იქნას მარტო ერთი ფიზიოლოგიურ-ფქისოლოგიური რიგის მოტივებით. მისი წასვლა ხელისუფლებიდან აიხსნება უფრო სოციალურ და ინდივიდუალურ მოტივების რთული გადახლართვა-შერწყმით.

რესპუბლიკური ტრადიციები I ს. 80—70-იან წლებში ჯერ კიდევ საკმაოდ ცხოველი იყო, დემოკრატიული ოპოზიცია ძლიერი იყო, ხოლო იმპერიის საფუძვლები ის-ის იყო ისახებოდა და ეწყობოდა. ამას ზედ დაერთო დიქტატორის ზემორე აღწერილი პირადი

---

[1] Моммзен, Римская история, II, 1878, стр. 348.

[2] T. Frank, An Economic history of Rome, Baltimore, 1927, 171.

თავისებურებანი. სულამ არაჩვეულებრივი რწმუნებანი მოიხსნა მას მერე, როცა მან, მისი რწმენით, შეასრულა ძირითადი ამოცანა, რომლის გამოც მას დიქტატორული ხელისუფლება ჩაბარდა, — აღედგინა სახელმწიფო წესიერება.

სულა გარდაიცვალა 78 წ. ტვინში სისხლის-ჩაქცევით. გარდაცვალებული დიქტატორის ცხედრის გადასვენება კუმედან, მისი სიკვდილის ადგილიდან, რომში მოხდა არნახული პატივით. სამგლოვიარო პროცესიის შესახვედრად გამოდიოდნენ ქალაქებისა და მოკავშირე სახელმწიფოების დეპუტაციები, უამრავი ხალხი და მისი დროშის ქვეშ ოდესღაც მომსახურე უთვალავი ვეტერანები. წინ მიჰქონდათ ორი ათასი ოქროს გვირგვინი, ქალაქთა საჩუქრები, სამხედრო ტროფეები და დროშები. რომში მარსის ველზე სულას გვამი დასწვეს უამრავი ხალხის თანადასწრებით. ურნა სულას ფერფლით დადგმულ იქნა რომის მეფეთა აკლდამების გვერდით [1]. რომის ფორუმზე სულას პატივსაცემად აღმართულ იქნა სულას ცხენიანი ქანდაკება მრავალმნიშვნელოვანი წარწერით: „კორნელი სულას, ბედნიერ დიქტატორს“ (Cornelio Sullae Felici dictatori) [2].

სულას მიერ მოხდენილი გადატრიალების ისტორიული მნიშვნელობა უაღრესად დიდია, ამაში ვერ ვხედავთ სხვაობას ძველი და ახალი ისტორიკოსების და პოლიტიკოსების მსჯელობაში. სუბიექტურად სულას ჰქონდა რესტავრატორული მიზნები, ობიექტურად კი მან საძირკველი ჩაუყარა ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას. თავისი დიქტატურის ხასიათით და მმართველობის მეთოდებით იგი იყო პომპეუსის, ცეზარისა და ოქტავიანეს (ავგუსტის) წინამორბედი და სციპიონ აფრიკელის გამგრძელებელი. რომის იმპერიის ჩამოყალიბების ისტორიაში მკაფიოდ გამოსჩანს სამი გადამწყვეტი მომენტი: 1) ეპოქა სულასი, 2) პომპეუს-ცეზარისა და 3) ოქტავიანე ავგუსტისა. საიმპერატორო დაწესებულებათა და იმპერატორის ძალა-უფლების ისტორია იწყება სულათი, იშლება და ფართოვდება პომპეუსისა და ცეზარის დროს, ხოლო თავის სრულ განვითარებას აღწევს ავგუსტისა და მის მომდევნო მემკვიდრეების ხანაში.

სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, სულასეული გადატრიალება მოასწავებდა ახალი ეტაპის დაწყებას იტალიის მონათფლობელური წესწყობილების ევოლუციაში, კლასობრივი ძალების ახალ განწყობილებას და ცენტრისა და პროვინციების ახალ ურთიერთობა-დამოკიდებულებას. შედარებით „ოქროს საუკუნის“ რეს-

---

[1] Carcopino, Sulla, 1931; M. Levi, Silla, Milano, 1924.
[2] C. I. L., I, 584.

პუბლიკასთან, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვნად დაფუძნებული იყო წინამონათფლობელურ საშუალო და წვრილ მესაკუთრე-გლეხებზე, სულას წესწყობილება გაცილებით უფრო მეტად იყო დაკავშირებული მონათფლობელობასთან და სავაჭრო-სავახშო კაპიტალთან. თავისი დაპყრობებით, მონათა და ფულის დენით სულა ხელს უწყობდა მონათფლობელური მეურნეობის, ფულადი სპეკულაციების, ვაჭრობის, ხელოსნობის და ინტელიგენტურ პროფესიათა განვითარებას და, ამასთანავე ერთად, ახალი ხალხის, ახალი პროფესიებისა და ახალ სოციალური ჯგუფების წინწამოწევას. მათი ინტერესების შესაბამისად წარმოებდა ომები, ინახებოდა არმია და მუშაობდა სახელმწიფო მანქანა. სულასეული და მომდევნო საიმპერატორო რეჟიმისათვის მეტად დამახასიათებელი იყო ყოველგვარი ახალი ხალხის დაწინაურება-წამოწევა: მონების, აზატების, იტალიკებისა და პროვინციალების. სულას დროს ეს ისტორიულად კანონზომიერი პროცესი ის-ის იყო ისახებოდა და საიმპერატორო დაწესებულებანი ის-ის იყო ეწყობოდა, ხოლო განვითარდა იგი გაცილებით უფრო გვიან, იმპერიის დროს.

მონათმფლობელური იმპერიის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მეორე მხარეს შეადგენდა თავისუფალ მიწათმფლობელთა მასობრივი გაბოგანოება და ემიგრაცია იტალიიდან პროვინციებში.

იტალია მოიფინა ზეთისხილის ჭალებით, ვენახების პლანტაციებით, ბაღებით და საძოვრებით, რაც ეკუთვნოდა მდიდარ ხალხს, რომელსაც გააჩნდა სახსარი მიწებისა და მონების შეძენისათვის. საშუალო პლანტატორების მასას გამოეყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, მ ა გ ნ ა ტ ე ბ ი (principes), ლატიფუნდიების პატრონები, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ ურიცხვი მონები და კლიენტები. ახალი სოციალური ჯგუფების წინ წამოწევა, მათი დაწინაურება არღვევდა ძველ სათვისტომოებს (სოფლის ტრიბებს) და ამასთანავე ერთად ირღვეოდა მათი წარმომადგენლობითი ორგანოებიც — ტრიბუტული კომიციები. კომიციების სოციალური შემადგენლობა შეიცვალა. I საუკ.-ში სახალხო კრების უმეტესობას შეადგენდა უკვე არა სოფლის პლებსი, არამედ ქალაქის დეკლასირებული ელემენტები, ეგრეთწოდებული „ბაზრის ბრბო“ (forensis turba), რომელიც ყოველის მხრიდან მოემართებოდა „მსოფლიოს კლოაკაში“ (რომში) და შედარებით იოლად პოულობდა სამოქალაქო უფლებებს. ეს დეკლასირებული მასა, რომელიც ახლა ავსებდა კრებებს, არ იყო პოლიტიკური რწმენის მხრივ ურყევი და ადვილად შეიძლებოდა მისი მოქრთამვა, გულის მოგება და ყოველნაირი სხვა დემაგოგიის ობიექტად გამოყენება.

სულასეული დაწესებულებანი — სენატი, კომიციები და მაგისტრატები, — ფორმითაც და სახელითაც რესპუბლიკურ დაწესებულებებად დარჩნენ, მაგრამ არსებითად კი უკვე იყვნენ საიმპერატორო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ორგანოები: სენატი იყო სახელმწიფო საბჭო, რომელიც შესდგებოდა მეტწილად სულას ფავორიტებისგან, მაგისტრატები იყვნენ სენატისადმი დამორჩილებული მოხელეები, ჯარი იყო პროფესიული არმია, თავის წინამძღოლზე (იმპერატორზე) დამოკიდებული, იმაზევე იყო დამოკიდებული ოპტიმატებისა და მხედრების დიდი ნაწილი, რომელსაც არმიაში ეჭირა არმიის მომსახურე ინტენდანტების თანამდებობანი.

„კანონზე, ხმის მიცემასა ან კენჭის ამოღების შესახებ ახლა უკვე აღარ იყო ლაპარაკი, მას მერე, რაც ყველა გააშეშა საშინელებამ, ყველა გულშივე იხვევდა ბოღმას და მდუმარებდა. ისინი მომქმედ დადგენილებადაც კი ცნობდნენ სულას ყველა იმ დადგენილებას, რაც მის მიერ იქნა გამოცემული კონსულობისა და პროკონსულობის დროს...

ახლა რომაელებმა ძლივს გაიგეს, რომ მათ უკვე აღარა აქვთ თავისუფალი, კანონიერი ხმისმიცემა და რომ საერთოდ საქმეთა წარმართვა უკვე მათ ხელთ აღარაა. ასეთ უაღრესად საეჭვო მდგომარეობაში სახალხო ხმის მიცემის აჩრდილიც კი მათ სანუკვარად ეხატებოდათ, როგორც თავისუფლების ემბლემა. ისინი ხმას აძლევენ და სულას ირჩევენ განუსაზღვრელ ხელმწიფედ იმ ვადით, რომელიც კი მას მოესურვება. მართალია, წინათაც დიქტატორის რწმუნებანი განუსაზღვრელი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი შეზღუდვა მაშინ იყო ვადის სიმოკლე. ახლა კი, როცა პირველად უკუგდებულ იქნა ეს შეზღუდულობა დროითაც, დიქტატორის ძალა-უფლება გადაიქცა ნამდვილ თვითნებობად — ტირანიად“ [1].

ანტიკური მწერლების შეგნებაში სულასეულმა ხანამ ღრმა კვალი დასტოვა, როგორც გარდამავალმა ხანამ რესპუბლიკიდან იმპერიაზე, პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებიდან განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების ზნე-ჩვეულებებზე.

„მას მერე, რაც სულამ, — წერს სალუსტი, — იარაღის ძალით ხელთ იგდო ძალა-უფლება, იწყო მატება სიხარბემა და ანგარებამ, მაშინ ყოველივე გადაიქცა მტაცებლობისა და თვითნებობის კერძად. ხალხი ყურთაგლეჯით იტაცებდა და ერთიმეორეს ართმევდა მიწებს, სახლებს და ფულს. გამარჯვებულებმა არ იცოდნენ ზომა და საზღვარი თავის სიხარბისა, სისასტიკისა და თვითნებობისა. არ

[1] App, Bell. civ., I, 99.

ყოფილა ისეთი მძვინვარება, რომელიც მათ არ ეცადათ თავიანთ თანამემამულეებზე...

ამ დროიდან სიმდიდრემ პატივი მოიპოვა, იგი შეიქნა ძალაუფლების, გავლენის, ძლიერებისა და დიდების წყაროდ. სიღარიბეს, პირიქით, თვლიან უკვე ნაკლად და მანკად, პატიოსნება სამასხარაოდ აიგდეს, ხოლო ზომიერება შეიძაგეს... მდიდარი ხალხი იტაცებდა და ეპატრონებოდა მთელ ტერიტორიებს, იშენებდა ქალაქის განაპირას მდიდარსა და მშვენიერ ვილებს და ქალაქში სახლებს, ხოლო სოფლისა და ქალაქის ღატაკი ხალხი, მოკლებული ჭერსა და კერას, დაყიალობდა გზა-გზა და თავს აფარებდა ჭუჭყიან ქოხმახებს. ავხორცობამ ყველას გონება დაუბნელა, ხოლო მიჩლუნგებული გემოვნება საზრდოს იგროვებდა ყოველი ზღვიდან და ქვეყნიდან" [1]... ყველა ემორჩილებოდა უმცირესთა ამაყ ქედმაღლობას (ludibrio superbiae paucorum).

რომის რესპუბლიკის ბოლოდროის ერთერთ უაღრესად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ჯ ა რ ი ს რ ო ლ ი, რომელიც მთელ ამ ხანას აძლევს სამხედრო დიქტატურის და აგრეთვე უმაღლესი ხელისუფლებისათვის საარდლებს შორის ბრძოლის სპეციფიკურ ელფერს. მარიუს — სულას ხანა ამ მხრივაც შეიძლება წოდებულ იქნას გარდამავალ ხანად. რაგინდ დიდი არ ყოფილიყო ომისა და ჯარის მნიშვნელობა ამის წინა ხანებში, მაინც წინათ არასდროს არმიები და სამხედრო წინამძღოლები არ თამაშობდნენ ისეთ გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც რესპუბლიკის ბოლო საუკუნეში, მოკიდებული მარიუსით და სულათი. ეს იყო, ამ სიტყვის სრული გაგებით, სამხედრო დიქტატურათა და წინაიმპერატორების ხანა, რომელნიც გარემოებათა ვითარების ძალით ნამდვილი იმპერატორები ხდებოდნენ.

არმიის, როგორც დამოუკიდებელი ძალის, მნიშვნელობაზე პირველად მიუთითა XVIII საუკ.-ში მონტესკიემ „რომის დიდებასა და დაცემაში". „რომაელი ჯარისკაცები, — წერდა მონტესკიე, — არ ეკუთვნოდნენ არც ერთს პარტიას. ისინი იბრძოდნენ არა რაიმე გარკვეული საგნისათვის, არამედ გარკვეული პირისათვის. იმათ იცოდნენ მარტო თავიანთი წინამძღოლი. თუ წინამძღოლი დამარცხდებოდა და ვერ შესძლებდა თავისი დაპირების შესრულებას, მაშინ ისინი მას ზურგს შეაქცევდნენ ხოლმეო" [2].

---

[1] Sallust., De contur., Cat., XI—XIII; Bell. Iugurth., 33.

[2] M o n t e s q u i e u, Grandeur et décadence des Romains., VIII.



თ ა ვ ი X

კლასიკური ბრძოლა სულას შემდგომ ხანაში

1. მონათმფლობელობისა და სავაჭრო-სავახშო კაპიტალის ზრდა

I ს. 80-იან და 70-იან წლებს, მარიუს — სულას ხანას, ემთხვევა რომის იმპერიალიზმის მეორე აღმავლობა, რომელსაც თან სდევდა მონების, ფულის, მიწებისა და სამხედრო ნადავლის დიდი ნაკადი. მარიუსმა კიმვრ-ტევტონების ომში ხელთ იგდო 50 ათასამდე მონა, სულამ მითრიდატესთან ომის დროს მრავალი ქვეყანა და ქალაქი გაძარცვა — პერგამონი, კლაზომენი, კუნძულები ქიოსი, სამოსი და სხვანი, და ურიცხვი მონაც იგდო ხელთ. რამდენიმე ათეული ათასი მონა რომმა მოიპოვა მარტო ხერონეასთან ომის დროს; არა ერთი ათასი მონა წამოიყვანა სულამ ათენის აღებისას [1].

სულას დაპყრობითს პოლიტიკას აგრძელებდნენ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფენი და მიმდევრები — ლუკულუსი, პომპეუსი, კრასუსი და ცეზარი. მითრიდატესთან მესამე ომში (74—64 წწ.) ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსმა ხელთ იგდო იმდენად ბევრი მონა, რომ მონის ღირებულება დაეცა 4 დრაქმამდე, ე. ი. 1 მანეთამდე. „ლუკულუსი, თავისი გამარჯვებით გამხნევებული, სულ წინ მიიწევდა, იპყრობდა და იმორჩილებდა ყველა გზად მდებარე ადგილებს და ეუფლებოდა მარაგის სიმრავლეს. ლუკულუსის მიერ

[1] T. Frank, Rome and Italy of the Republic, 1933, p. 292.

დაპყრობილი ქვეყანა ბედნიერი ქვეყანა იყო, რომელმაც კაი ხნის განმავლობაში ომი აღარ იცოდა. მონა იმდენად ბევრი იყო, რომ მონის ფასმა მალე 4 დრაქმამდე დაიწიაო"[1]. სტრაბონის შენიშვნა, რომ ყველაზე უფრო დიდ მონათმფლობელურ ბაზარზე, კუნძულ დელოსზე, ყოველწლიურად 10 ათას მონამდე იყიდებოდაო, წარმოდგენას გვაძლევს მონათვაჭრობის მოცულობაზე რომის რესპუბლიკის დასასრულს, თუნდაც ეს მოყვანილი რიცხვი ძალიანაც რომ იყოს გაზვიადებული.

ხმელთაშუაზღვეთის მონათვაჭრობაში უპირატესი მდგომარეობა დელოსმა შეინარჩუნა 88 წლამდე, სანამ მას ხელთ ჩაიგდებდა და დაარბევდა მითრიდატეს სარდალი არქელაოსი. სულას გამარჯვების შემდეგ დელოსის სავაჭრო მნიშვნელობა აღდგენილ იქნა, მაგრამ იგი უკვე ვერადროს ვეღარ აღწევს თავის წინანდელ გაქანებას. დელოსის გარდა, მსხვილ მონათმფლობელურ ცენტრებს წარმოადგენდნენ შავი ზღვისა და აზოვის ზღვის სანაპიროთა ქალაქები, მეტადრე ტანაისი დონის შესართავთან და აკვილეა ჩრდილო იტალიაში. მონებით მოვაჭრეები მონებს იძენდნენ ადგილობრივ მეფეებისგან, რომელთაც ეს მონები მოჰყავდათ მოსაზღვრე ბაზრებზე, შემდეგ კი მომხმარებლებზე გადაჰყიდნენ ხოლმე[2].

მონათა შეძენის მთავარი წყაროები, როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც იყო ომი და მეკობრეობა. ტიტე ლივიუსი ლაპარაკობს „ხალხისა, საქონლისა და ყოველგვარი სხვა ნადავლის დიად ძალაზე" (magnam vim hominum et pecoris et omnis generis praedae), ომში რომ იგდებენ ხელთო[3]. ამ ზოგადი დებულების კონკრეტულ ილუსტრაციად შეიძლება გამოვიყენოთ, პირველ ყოვლისა, გალების ომი (58—51 წწ.), რომლის დროსაც ხელთ ჩაიგდეს 400 ათასამდეან, სხვა ცნობებით, 1 მილიონამდეც კი სამხედრო ტყვეები, რომელნიც მონებად გაჰყიდეს. 57 წ., ადუატუკების დამარცხებისას, ცეზარმა წამოიყვანა 53 ათასი მონა[4]. 52 წ. ქალაქ ალეზიას აღების შემდეგ წამოყვანილი მონები ცეზარმა გაანაწილა ჯარისკაცებს შორის — ყოველ მათგანს თითო მონა მისცა[5]. ამათში 20 ათასი მანუკან დააბრუნა[6].

შემდეგ: იტალიასა და სიცილიაში მონათა დიდი რიცხვის და-

---

[1] App., Bell. Mithr., XII, 78.
[2] Strab., XI, 2, 12.
[3] Liv., XXIX, 35.
[4] Caes., De bello gall., VI, 33.
[5] Ibid., 89.
[6] Ibid., VII, 96.

მაჯერებელ საბუთს წარმოადგენს სპარტაკის ომი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 120 ათასმა კაცმა; ამათ მთავარ, ძირითად ნაწილს შეადგენდნენ გალები და თრაკიელები; ამასვე გვიჩვენებს მთელი რიგი უფრო პატარა აჯანყებანი, რითაც აღსავსე არის რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლების ისტორია.

მონური ბაზრის შევსების მეორე წყაროს წარმოადგენდა მეკობრეობა, რომლის მნიშვნელობაც მონათმფლობელური რომის ეკონომიკაში კარგად არის გამორკვეული ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ მონოგრაფიაში, ორმეროდიუს კალამს რომ ეკუთვნის [1].

მეკობრეობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მითრიდატესთან სულას ომის დროიდან. ხმელთაშუა და შავი ზღვის წყლებში თავისი სუბუქი ხომალდებით მონავარდე მეკობრეები ხელთ იგდებდნენ არა მარტო გზადშეხვედრილ ფლოტილიებს, არამედ ალყას შემოარტყამდნენ ხოლმე მთელ ქალაქებს, რომელთა მცხოვრებლებს ისინი იპყრობდნენ და მერე მიეზიდებოდნენ ტყვე-მონათა ბაზრებზე. ამასთან ერთად, ჩვენ ვხვდებით დაპყრობილი ქალაქების მცხოვრებთა პირდაპირ დაჭერას რომაელ პუბლიკანების მიერ. გავიხსენოთ ბითინიის მეფის ნიკომედის პასუხი, რომელმაც ჯარის შემგროვებლებს განუცხადა, რომ მისი ხალხის დიდი ნაწილი გაყიდულია რომაელ პუბლიკანებზე და რომის პროვინციებში მონებად არის წაყვანილიო.

ნიკომედის პასუხი საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად ლაპარაკობს როგორც შეპყრობილ მონების რიცხვზე, ისე იმ ზიანსა და მავნებლობაზე, რაც მონათმფლობელობას მოჰქონდა იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც მონებს მიეზიდებოდნენ.

I საუკ.-ში იტალიაში მონათა რაოდენობის ზუსტი რიცხვი არ მოიპოება, სწავლულთა აზრი კი ამ საგნის შესახებ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ძველი ისტორიკოსები (გიბონი, ვალონი, მარკვარდტი, მომზენი), რომელთაც, საერთოდ, ტენდენციად ჰქონდათ ციფრისა და ანტიკური სამყაროს მასშტაბის გაზვიადება, მონათა რაოდენობისათვის იღებდნენ მეტად მაღალ ციფრს: დაახლოებით 8 მლნ. იტალიის თავისუფალ მოსახლეობაზე ვარაუდობდნენ 12 მლნ. მონას. მარტო ერთ რომში მონები შეადგენდნენ 900 ათას მონას [2]. ამ საკითხის ახალი მკვლევარები — ბელოხი, დე სანქტისი,

---

[1] H. Ormerod, Piracy in the ancient world. Cambridge, Ancient History, 1934, v. IX.

[2] I. Marquardt, Römische Staatsverwaltung, 1884, II, 124.

კავენიაკი, პიგანიოლი, ვესტერმანი და სხვანი — საწინააღმდეგო ტენდენციას იჩენენ — ძალიან შეამცირონ მონათა რიცხვი. მონათა შეფარდებას თავისუფლებთან და აზატებთან I საუკ. ბოლოს ხსენებული მეცნიერები იღებენ როგორც 1:3. ეს იძლევა იტალიაში 14 მლნ. თავისუფალსა და აზატს, ხოლო მონებს დაახლოვ. 4 მლნ-ს [1]. შემდეგ, მონათა რაოდენობის გამოანგარიშებისას აბსოლუტურად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ცალკე ოლქებისა და რაიონების რეგიონალობა და სპეციფიურობა. ყველაზე უფრო მეტი მონა იყო იტალიის სამხრეთ ნაწილებსა და სიცილიაში, ჩრდილოეთ რაიონებში, პირიქით, უფრო მტკიცედ ეჭირათ თავი თავისუფალ მიწათმომქმედებს. I საუკ. რომის რესპუბლიკის წესწყობილებაში მონათა დიდი რიცხვისა და მათი სოციალური მნიშვნელობის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ხშირი „მონათა ომები" და მონათა მონაწილეობა არსებითად ყველა აჯანყებასა, გადატრიალებასა და შეთქმულებაში. მონათა შრომა შეადგენდა იტალიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საფუძველს.

ჰუმერუსის, დრაჰენდორფისა და სხვების გამოკვლევები რომის მრეწველობის დარგში არავითარ ეჭვს არ სტოვებენ იმისას, რომ რესპუბლიკის ბოლო საუკუნისა და იმპერიის პირველი საუკუნის იტალიურ მრეწველობაში შრომის ძირითად კატეგორიას წარმოადგენდა მონათა შრომა. ამას ადასტურებს ბეჭდები ხელოსანთა ნაწარმოებებზე, კერძოდ, არეტიუმის კერამიკულ საგნებზე, რაც ყველაზე უფრო კარგად აქვთ შესწავლილი სსენებულ სწავლულ არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს. მაგალითი: შტემპელი „Cerdo M. Perenni. Nicephorus M. Perenni", ე. ი. მონებმა კერდომ და ნიკიფორემ, მ. პერენიუსის სახელოსნოში მომუშავეებმა, დაამზადეს ეს საგანი. მონათა მასობრივი გამოყენება ხდებოდა მაღაროებში, ქვის სამტვრევებში და წისქვილებში. სტრაბონი ლაპარაკობს 40 ათას მუშა-მონაზე, რომელნიც მუშაობდნენ ესპანეთის ვერცხლის მადნის მაღაროებში ახალი კართაგენის რაიონში [2]. იმავე ავტორთან ჩვენ ვპოულობთ ცნობას იმ მონებზე, რომელნიც მუშაობდნენ პონტოში, ქალაქ პომპეოპოლისის მაღაროებში და ა. შ.

არ არსებობდა არც ერთი სამეურნეო დარგი, სადაც არ ყოფილიყო გამოყენებული მონური შრომა ან აზატის შრომა. მონები და

---

[1] I. Beloch, Die Bevölkerung der griechisch-römischen Welt, 1886, S. 392; E. Cavaignac, Population et capital dans le monde meditterrané en antique, 1923; H. Wallon, Histoire de l'esclavage dans l'antiquité, 1879.

[2] Strab., III, 2.

აზატები მუშაობდნენ სახელოსნოებში, გაიცემოდნენ იჯარით, ვაჭრობდნენ ქალაქის დუქნებში, მაგნატების სახლებთან რომ არსებობდა, მუშაობდნენ მამულებში (ვილებში), მსახურობდნენ სავაჭრო აგენტებად, მენიჩბეებად ფლოტში, განაგებდნენ ბიბლიოთეკებს, შეარჩევდნენ ხოლმე თავიანთ ბატონებისთვის საარქივო მასალებს, საქმეებს, მწერალთა და პოეტების ნაწარმოებებიდან ამონაწერებს, განაგებდნენ სახლის მეურნეობას, იყვნენ თავიანთი ბატონების რომანების, თავგადასავალისა და დანაშაულობათა თანამონაწილენი.

ეთნიკური შემადგენლობის მხრივ მონები ეკუთვნოდნენ სხვადასხვა ეროვნებას, ამათ შორის შეგვხვდებოდნენ აღმოსავლური ხალხები, ბერძნები, გალები, გერმანელები, თრაკიელები და სკვითები [1].

შემდეგ საჭიროა აღინიშნოს, რომ რომის საზოგადოებაში მონებსა და აზატებს ერთნაირი მდგომარეობა როდი ეჭირათ. არსებობდა მონათა სხვადასხვა კატეგორია, რომელთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა ოდნავადაც არ ყოფილა ერთგვარი. მონა-შავ მუშათა მასაზე მაღლა იდგა მონათა თავისებური არისტოკრატია, რომელსაც პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდა, გავლენას ახდენდა თავიანთ ბატონებზე და რომელსაც ხანდახან ეს ბატონები ხელშიაც კი ჰყავდა ჩაგდებული.

ასეთი გავლენიანი მონის მაგალითს წარმოადგენს დ ე მ ე ტ რ ე, პომპეუსის აზატი, თავის დროის ერთერთი მდიდარი, მიღებული და პატივცემული პირი.

კლასობრივ ბრძოლებში პრივილეგიური ნაწილი მონებისა, რომელიც ნაკლებად იყო ჩაგრული, იბრძოდა თავის ბატონების მხარეზე, თავგამოდებით იცავდა მის სიცოცხლესა და ქონებას. ხოლო მონათმფლობელური წესწყობილების მიმართ უაღრეს სიძულვილს გრძნობდნენ ის მონები, ვინც ჩაბმული იყო მძიმე სამუშაოებში: მაღაროებში, ქვის სატეხებში, მსხვილ პლანტაციებზე და ზოგიერთ სპეციფიკურ ანტიკურ პროფესიებში, როგორც, მაგალითად, გლადიატორების პროფესიაში, რომელნიც სიკვდილის მუდმივი საფრთხის წინაშე იდნენ. მონათმფლობელობის ზრდა და წარმოების მონათმფლობელურ წესზე გადასვლა ხდებოდა რომის სავაჭრო-სავახშო კაპიტალის ზრდის პარალელურად.

მარიუსის, სულას, ლუკულუსის და პომპეუსის ლაშქრობათა და დაპყრობათა შემდეგ რომის რესპუბლიკა გადაიქცა მსოფლიო კ ო ლ ო ნ ი ურ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ, რომელიც მოგვაგონებს

[1] M. B a n g, Die Herkunft der römischen Sklaven; „Röm. Mitt." 1910, 25; 1912, 27.

XVI საუკ. ესპანეთის მონარქიას თავისი ფართო ევროპული და ევროპის გარეშე მდებარე სამფლობელოებით, სადაც, თანამედროვის თქმა რომ ვიხმაროთ, არასდროს არ ჩადიოდა მზე.

რესპუბლიკის ბოლოდროინდელი რომის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება დაკავშირებული იყო კოლონიურ პოლიტიკასთან, კოლონიურ ვაჭრობასთან, პროვინციების დაპყრობათა და ექსპლოატაციასთან. თავისთავად ცხადია და იგულისხმება კიდეც, რომ ტერმინის „იმპერიალიზმის" და „კოლონიურ პოლიტიკის" ხმარებისას რომის ისტორიის მიმართ, არასდროს არ შეიძლება მხედველობიდან გამოვტოვოთ და დავივიწყოთ ხსენებული ტერმინების განსხვავება სათანადო ტერმინებისგან სხვა საზოგადოებრივ ფორმაციათა მიმართ.

„კოლონიური პოლიტიკა და იმპერიალიზმი არსებობდა კაპიტალიზმის უახლეს საფეხურამდეც და თვით კაპიტალიზმამდეც: მონობაზე დაყრდნობილი რომი აწარმოებდა კოლონიურ პოლიტიკას და ანხორციელებდა იმპერიალიზმს. მაგრამ ისეთი „საერთო" მსჯელობა იმპერიალიზმზე, რომელიც ივიწყებს ან უკანა რიგში აყენებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციების ძირფესვიან განსხვავებას, აუცილებლად იქცევა ცარიელ ბანალობად და ლაყბობად, მსგავსად „დიდი რომის დიდ ბრიტანეთთან" შედარებისა. თვით კაპიტალიზმის წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი სტადიების კაპიტალისტური კოლონიური პოლიტიკა არსებითად განსხვავდება ფინანსიური კაპიტალის კოლონიური პოლიტიკისაგან" [1].

XVI საუკ. ესპანეთივით, რომი სავსებით დამოკიდებული იყო თავის პროვინციებზე, მისი ბრწყინვალება და სიდიადე დამყარებული იყო პროვინციათა ფლობაზე, რომელთაც ისე უყურებდნენ, როგორც „რომაელი ხალხის მამულებს" (praedia populi Romani). პროვინციებიდან გამოჰქონდათ შემოსავალი მათზე შეწერილი კონტრიბუციის სახით, პირდაპირი დაპყრობის, სახელმწიფო საშემოსავლო წყაროთა იჯარის და მევახშეობის სხვა სახეობათა ფორმით.

მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა მ ძვ. წ. I საუკ. რომის კოლონიური სახელმწიფოს პირობებში მიიღო მეტად ფართო ხასიათი შედარებით ეკონომიური საქმიანობის ყველა დანარჩენ სახეობასთან. ამასთან დაკავშირებული იყო იმ ფულადი სისტემისა და საბანკო საქმის განვითარება, რაც დამახასიათებელი იყო რესპუბლიკის ბოლო საუკუნისთვის.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, ქართ. გამ., 1936, გვ. 97.

„მევახშეობის ფართო და თანაც სპეციფიკურ ასპარეზს წარმოადგენს ფულის, როგორც გადახდითი საშუალების, ფუნქცია. ყოველგვარი ფულადი გადასახადი, გარკვეულ ვადასთან შეფარდებული, — იჯარა, გადასახადები და მისთანა, — დაკავშირებულია ფულით გადახდის აუცილებლობასთან. ამიტომ მევახშეობა ძველი რომის დროიდან მოკიდებული ჩვენ დრომდე ასე ფართოდ აქვთ გამოყენებული იჯარადრებს“ [1].

რომაელი ბანკირები (argentarii, mensarii, numularii) ახურდავებდნენ (permutatio) და ინახავდნენ ფულს (depositum), აძლევდნენ ფულად კრედიტებს (creditum) ქალაქებს, საზოგადოებებს და კერძო პირებს და კისრულობდნენ ყველა ფულადი ოპერაციის წარმოებას. არგენტარიებს ჰქონდათ მიმდინარე ანგარიშები თავიანთი კლიენტებისა და მათი დავალებით უხდებოდათ ფულის გაცემა-გადახდა და მიღება. წარმოებული ფულადი ოპერაციები (prescriptiones) შეჰქონდათ ცალკე საანგარიშო დავთრებში კლიენტის დებეტად (debet) ან კრედიტად (credit); კლიენტს ყოველ წუთს შეეძლო მიეღო ზუსტი ცნობები თავისი ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ratio). არგენტარიები და ნუმულარიები გამოდიოდნენ აგრეთვე სავაჭრო შუამავლებად და დალალებად (interpretes). ფულადი ოპერაციების, აუქციონების და სავაჭრო გარიგებათა ცენტრი იყო ქალაქი რომი—რომის კოლონიური რესპუბლიკის „მსოფლიო ბირჟა“. საბანკირო კანტორები მოთავსებული იყო ფორუმზე კასტორის ტაძართან განსაკუთრებულ შენობებში(tabernae), რომელთაც ცენზორები აყიდებდნენ მსურველთ [2].

რესპუბლიკის ბოლოდროის რომაელი მოსაქმისა და სპეკულანტის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს 67 წლის სახალხო ტრიბუნი გ ა ბ ი ნ ი უ ს ი, რომლის მეოხებითაც პომპეუს დიდმა მიიღო საგანგებო რწმუნებანი მეკობრეებთან ბრძოლის საქმეში. როგორც ლეგატი, გაბინიუსი პომპეუსთან ერთად გაემგზავრა აზიაში, მონაწილეობას იღებდა მრავალ კამპანიაში და იყო პომპეუსის ერთერთი მეტად მახლობელი და ერთგული ადამიანი. მიღებულ პროვინცია სირიაში გაბინიუსმა თავი ისახელა ზღვარდაუდებელი მექრთამეობით, რამაც გამოიწვია მკვიდრი მოსახლეობის აშკარა აჯანყება. ყველაზე უფრო მეტი ფული იშოვა გაბინიუსმა

---

[1] М а р к с, Капитал, т. III, ч. 2, Гиз, 1929, გვ. 112.

[2] F. P r i n g s h e i m, Zum römischen Bankwesen, „Vierteljahressch. f. Sozial- und Wirtschaftsg.“, 1919, 15; I. H a t z f e l d, Les traficants italiens dans l'Orient hélleniqué, 1919.

ეგვიპტეში, სადაც იგი გაგზავნა პომპეუსმა გაძევებული პტოლემე ავლეტის ტახტზე აღსადგენად [1].

გაბინიუსის სახელთან განუშორებლივ დაკავშირებულია რომის რესპუბლიკის გვიანდროის უფრო მსხვილი მოსაქმის გ ა ი ო ს რ ა ბ ი რ ი უ ს პ ო ს ტ უ მ ი ს სახელიც, რომელიც ჩვენთვის ცნობილია 54 წ. ციცერონის მიერ მის დასაცავად წარმოთქმულ სიტყვიდან.

რაბირიუსი იდგა შემსყიდველი კომპანიის სათავეში, უამრავ საქმეს აწარმოებდა პროვინციებში, ფლობდა პუბლიკანურ საზოგადოებათა დიდ პაებს, საექსპლოტაციოდ იჯარით იღებდა სახელმწიფო შემოსავალთა წყაროებს და კრედიტს აძლევდა მეფეებს. თავის უფლებებში აღდგენილმა პტოლემე ავლეტმა რაბირიუსი გახადა თავის ფინანსთა მინისტრად და მის განკარგულებაში გადასცა სახელმწიფოს ყველა შემოსავალი.

ისეთი მოსაქმე, როგორც რაბირიუსი იყო, რესპუბლიკაში, რასაკვირველია, ბევრი არ ყოფილა, მაგრამ ისინი დიდი გავლენით სარგებლობდნენ, მათზე დამოკიდებულნი იყვნენ და მათი მითითებით მოქმედებდნენ ისეთი თითქოს დამოუკიდებელი პირნიც კი, როგორიც იყვნენ პომპეუსი, ცეზარი და კრასუსი. რაბირიუსი ეკუთვნოდა რომის იმ მცირეოდენ მოსაქმეთა რიცხვს (pauci homines), რომლებთანაც, ციცერონის სიტყვით, მიდიოდა ყველა ხალხის სიმდიდრენი (omnes omnium nationum pecunias pervenisse) [2].

მევახშეობასთან და პუბლიკანების საზოგადოებასთან დაკავშირებით განვითარდა მ ს ხ ვ ი ლ ი დ ა წ ვ რ ი ლ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა (mercatura), რომელსაც აგრეთვე საკმაოდ ჰქონდა სპეკულაციის ხასიათი. რომის ვაჭრობის მოცულობას ადასტურებს მრავალგზისი მოხსენება რომაელ ვაჭრებისა (negotiatores) რომაელ მწერლების თხზულებებში და სხვადასხვა წარწერებში, აღნიშნულ საკითხს რომ შეეხებიან [3].

რომაელ ვაჭრებს შორის პირველ ადგილთაგანი ეჭირა ზემოხსენებულ რაბირიუს პოსტუმს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ს ა ვ ა ჭ რ ო გემები. როგორც ხსენებულ სიტყვაში ციცერონი აღნიშნავს, რაბირიუსის გემები სავსე სელის, შუშის და ბამბეული ნაწარმით იდგა პუტეოლის ნავსადგურში, იტალიის ერთერთ მეტად გაცხოველებულ ნავსადგურში [4].

---

[1] C i c., Phil., 2, 19; I u s t., 42, 4; D i o C a s s., 39, 55.
[2] C i c., Rob., Post., Caes., 12; Cic., Verr., 11, 5, 126.
[3] F. D u r b a c h, Choix d'inscriptions de Delos, 1921—1922.
[4] C i c., Pro Rab. Post., 40.

რომის ისეთი არისტოკრატიულად განწყობილი მოაზროვნეც კი, როგორიც იყო მარკოს ციცერონი, სამარცხვინო საქმედ არ თვლიდნენ მსხვილ ვაჭრობას: მსხვილი ვაჭრობა არ არის დასაგმობი (si mercatur non est admodum vituperanda). პირიქით, წვრილი ვაჭრები — დამტარებლები, მეთაბხეები და სხვა „ჭუჭყიანი ხალხი“ (sordidi, putandi) —არ ითვლებოდნენ უმაღლეს ინტელიგენტურ კლასებთან ურთიერთობის ღირსად [1].

იტალიის გასაზიდი საქონლის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის პროდუქტები, შემოჰქონდათ კი ფუფუნებითი საგნები, პური სატახტო ქალაქის მოსამარაგებლად, ხელოსანთა ნასაქმი და ტყვე-მონების ბაზრებზე ჩამოჰყავდათ მონები. მსხვილი ვაჭრობა წარმოებდა ორი მთავარი ნავსადგურის — ოსტიას და პუტეოლის — საშუალებით აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაპირზე [2].

გაცვლა-გამოცვლის განვითარებას ხელს უწყობდა ზღვების დაცვა, ტრანსპორტის გაუმჯობესება, ზომა-წონის ერთნაირი სისტემის შემოღება, ერთიანი მონეტა, არგენტარიების საშუამავლო მოღვაწეობა და უფრო სრულყოფილ უფლებრივ ნორმათა დადგენა, რაც აადვილებდა სავაჭრო გარიგებას, საკუთრებისა და მემკვიდრეობის გადაცემას. სამართლის დარგში ამ პერიოდის მანძილზე უნდა აღინიშნოს: 1) სასამართლო პროცესების გამარტივება და 2) საკუთრების ახალი სახეობის, ეგრეთწოდებული ბონიტარული (საპრეტორო) საკუთრების აღიარება; ეს საკუთრება ჩვეულებრივი (კვირიტული) საკუთრებისგან განირჩეოდა ქონების გადაცემის (traditio) უფრო ადვილი წესით. გადაცემის საზეიმო და მძიმე ფორმების ნაცვლად შემუშავდა გასხვისების უფრო იოლი ფორმები, აგრეთვე უძრავი და მოძრავი ქონების სრულ საკუთრებად ან დროებით სარგებლობისათვის შეძენის ფორმები. ბონიტარულ საკუთრებასთან ერთად ჩნდება სუბიექტის, მფლობელობის უფლებათა გასხვისების იურიდიული ცნება, ვითარდება სანივთო, სავალდებულო და მემკვიდრეობითი სამართალი სათანადო უფლებათა დარღვევით და ზღვევინებით. კომერციულ გარიგებებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა „კეთილსინდისიერებას“ (bona fides), რაც აადვილებდა ხელშეკრულებათა დადებას და კრედიტის მიღებას.

---

[1] Cic.. De off., I, 42.

[2] Gummerus, Industrie und Handel, Paulys Real-Encyclopädie, IX, 2.

საკუთრების გაბატონებულ სახეობად ხდება ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო იურიდიულ ნორმათა მთავარ მატარებლად — ინდივიდი ან უფლებამოსილ ინდივიდების კავშირი (societas). რომის კლასიკური სამართლის მოქნილობა და მრავალფეროვნება ერთერთი დამამტკიცებელი საბუთია რთული და გაცხოველებული ფულადი და საკრედიტო ურთიერთობის არსებობისა. შედარებით გარეეკონომიურ შემოსავალთან, მევახშეობასთან და მსხვილ ვაჭრობასთან, ხელოსნობასა და წვრილ ვაჭრობას მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა რომის ეკონომიურ ცხოვრებაში. გვიანარესპუბლიკური დროის რომი უპირატესად იყო პოლიტიკური, საფინანსო და მომხმარებელი ცენტრი.

ვაჭრობა და ხელოსნობა აკმაყოფილებდა უმთავრესად მაღალ და საშუალო კლასების მრავალფეროვან მოთხოვნილება-საჭიროებათ. მისწრაფება ლაღი ცხოვრებისაკენ, ფუფუნებისა, კარგი მოწყობილობისა, უხვი კვებისა, კარგი ჩაცმა-დახურვისა და ბინისადმი ჰბადებდა მრავალ ახალ ხელობას.

ძველი ტიპის წვრილი ხელოსნის სახელოსნო რესპუბლიკის ბოლო საუკუნეებში და იმპერიის პირველ საუკუნეებში გადაიზარდა მსხვილ მონათმფლობელურ სახელოსნოდ — მანუფაქტურად. იტალიის მთავარ სამეურნეო დარგად წინანდებურად რჩებოდა სოფლის მეურნეობა, ანტიკურ რესპუბლიკებში შრომის ყველაზე უფრო საპატიო დარგი. იტალიის სოფლის მეურნეობის ევოლუცია მიიმართებოდა პლანტაციური მეურნეობის გაფართოებისა და შინა ბაზრის საგარეო ბაზართან მეტი დაკავშირების მიმართულებით. პლანტაციათა რიცხვი გაიზარდა, იმატა აგრეთვე მუშა ხელისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობამაც, გაუმჯობესდა საქონლის ჯიშები, შემოვიდა ახალი კულტურული მცენარეულობანი (ალუბალი) და გამოიცვალა „უტყვი, ნახევრადმეტყველი და მეტყველი იარაღების“ (instrumentum mutum, semivocale et vocale) ექსპლოატაციის მეთოდები.

იტალიის სოფლის მეურნეობის დინამიკის შესაცნობად საინტერესოა შევადაროთ ორი ნაწარმოები ერთსადაიმავე თემაზე სოფლის მეურნეობის შესახებ — ერთი კატონისა, შედგენილი II საუკ.-ში, მეორე — ვარონისა, დაწერილი ძვ. წ. I საუკ.-ში.

კატონთან შედარებით ვარონი სანიმუშოდ იღებს უფრო დიდი მოცულობის ვილას, აღწერს მიწის დამუშავების უფრო რთულ ხერხებს, იხსენიებს კულტურულ მცენარეულობათა ახალსა და მანამდე უცნობ ჯიშებს, ურჩევს მონათა სამუშაო ენერგიის ექსპლოატაციის უფრო რაციონალურ მეთოდებს, უფრო მეტ ყურა-

დღებას აქცევს მუშათა დამატებით კატეგორიების გამოყენებას და სხვ. კატონის დროს კი ყველაფერი უფრო მინიატურული, მარტივი და პრიმიტიულია.

ვარონისა და სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ იტალიაში I საუკ.-ში მოჰყავდათ ბევრი ყურძენი, ზეთისხილი, ლეღვი, ხეხილის ნაირნაირი ჯიშები, ტექნიკური მცენარეულობა, ვითარდებოდა მეფუტკრეობა და მებოსტნეობა. იტალიური ღვინოების ზოგიერთი ხარისხი, მაგალითად, ფალერიის და ამინეუსის ღვინო, ფართოდ საღდებოდა იტალიის ფარგლებს გარეშე და წარმატებით მეტოქეობდა საუკეთესო ბერძნულ ღვინოებს.

„რა არის ისეთი-რამ სასარგებლო მეურნეობაში, რომ იგი იტალიაში არა მარტო მოჰყავდეთ, არამედ არ იყოს ამასთანავე საუკეთესოც?“ [1].

„სხვა რომელი ასლი შეიძლება დაედაროს კამპანიურ ასლს? რომელი ხორბალი შეედრება აპულიას ხორბალს? რომელი ღვინო დაედრება ფალერიისას? რომელი ზეითუნის ზეთი გაუთანასწორდება ვენაფრისას? განა მთლად ხეებით არ არის იტალია ჩარიგებული, ასე რომ იგი ადამიანს გაბმულ ბაღად ეჩვენება?“ [2].

ვარონის მიერ აღწერილი მამული-ვილა წარმოადგენს, რეს-პუბლიკის მასშტაბის მიხედვით, დიდი ზომის მამულს-კარმიდამოს. მამულში შესვლა და იქიდან გამოსვლა მოწესრიგებულია. ვილიდან გამოსავალთან არის ვილიკუსის შენობა, რომელიც ყველას უთვალთვალებს, ვინ შედის და ვინ გამოდის ვილიდან.

„ვილიკუსის ბინა უნდა იყოს მოთავსებული ვილის შესავალ კართან ყველაზე უფრო ახლოს, რათა მას ჰქონდეს საშუალება იცოდეს, ხომ არ შედის ან არ გამოდის ვინმე ღამით და არ მიაქვს თან რამე, მეტადრე როცა სპეციალური მეკარე არაა მიჩენილი“.

წინა პერიოდთან შედარებით I ს. იტალიური ვილები მეტად არიან დაკავშირებული ბაზართან, რაც მოწმობს ამ დროის განმავლობაში ვაჭრობის, ხელობათა და საქონლიანობის განვითარებას.

„ცნობილია, რომ ბევრ მეურნეს ესაჭიროება მამულში შემოტანა პურის, ღვინოს და სხვ.; პირუკუ, ბევრი ისეთიც არის, რომელსაც ესაჭიროება ზოგიერთი პროდუქტის გატანა შინიდან“ [3].

„პროდუქტების გაყიდვის განზრახვისას საჭიროა გახსოვდეს, რომელი მათგანი რა დროს უნდა იქნას ამოღებული; ვინაიდან ის,

---

[1] Varro, De re rust., I, 2.
[2] Ibid.
[3] Ibid., I, 16.

რაც არ შეინახება, უნდა ამოიღო და ბაზარზე წაიღო სწრაფად, იმაზე ადრე, სანამ ის გაფუჭდება; მეორე, რომელიც შეიძლება შეინახოს, უნდა გაიყიდოს მაშინ, როცა დიდი მაზანდაა. ვინაიდან ხშირად დიდხანს შენახული პროდუქტი, თუ კი მას თავის დროზე გაიტან ბაზარზე გასასყიდად, არა თუ მოგებას იძლევა, არამედ ფასში ერთი-ორად მატულობს" [1].

ქალაქის, სანაოსნო მდინარისა და კარგი გზის სიახლოვე სოფლის მეურნესათვის იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც კარგი მეზობლების ყოლა და კონკურენციის უქონლობა.

„აქ ოთხგვარი პირობაა საჭირო: სახიფათო ხომ არ არის გარშემო ოლქი? იქნებ არ არის შესაძლებლობა, საერთოდ მამულიდან პროდუქტების გაზიდვისა და იქ ყოველივე აუცილებლივ საჭირო საგნის შემოზიდვისა? მესამე: ხომ არაა შემჩნეული იმ გზათა უქონლობა ანდა მათი ცუდი მდგომარეობა, რომლებზედაც ხდება გადაზიდვა? მეოთხე: ხომ არა არის-რა მეზობელ მამულებში, რასაც შეუძლიან ჩვენ საკუთარ მინდვრებს რაიმე სარგებლობა მისცეს ან ავნოს?" [2].

სოფლის მეურნეობაში მუშათა ძირითად კატეგორიას ვარონის ხანებში შეადგენდნენ მ ო ნ ე ბ ი; მათთან ერთად გამოიყენებოდა აგრეთვე თავისუფალთა შრომაც.

„ყველა მამულს, — ამბობს ვარონი, — ამუშავებს მუშათა სამი კატეგორია: 1) მონები, 2) თავისუფლები და 3) ერთდროულად ერთნიც და მეორენიც" (Omnes agri coluntur hominibus servis autliberis aututrisque) [3].

სოფლის თავისუფალ მუშათა კატეგორიას ვარონი მიაკუთვნებს: 1) იმათ, ვინც მიწას ამუშავებს საკუთარი ძალღონით (ipsi colunt), ე. ი. წვრილ თავისუფალ მწარმოებლებს, 2) დაქირავებულ მუშებს (mercenarii), ვინც ვილებში მუშაობს მედღეურად. განსაკუთრებით სასეზონო სამუშაოებში (operis res maiores) და 3) ნახევრადთავისუფალ წვრილ მოიჯარადრეებს (operarii) საიმპერატორო პერიოდის კოლონიების წინამორბედნი რომ იყვნენ.

შრომის ორგანიზაციაზე ვარონი ჩერდება განსაკუთრებული ყურადღებით, იგი ავითარებს სამუშაო ძალის შერჩევისა და ორგანიზაციის მთელ სისტემას. მონათა შესახებ, სხვათა შორის, ლაპარაკობს, რომ ისინი არ უნდა იყვნენ ერთი ეროვნებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლიანთ ადვილად მოილაპარაკონ, შეითქვნენ და

---

[1] Varro, De re rust., I, 59.
[2] Ibid., 16.
[3] Ibid., 17.

გაიქცნენო, რომ ისინი არ უნდა იყვნენ მეტისმეტად გულფიცხნი ან ძალიან მხდალნი. მუშაობაში მონების მეტი დაინტერესების მიზნით ვარონი ურჩევს გამოყენებულ იქნას ყოველნაირი წამახალისებელი ღონისძიებანი: საჭმელი გაუუმჯობესდეთ, ტანისამოსიც აგრეთვე, მიეცეს ჯილდო და ნებართვა გაიჩინონ ოჯახი და იქონიონ მიწის საკუთარი ნაკვეთი (peculium).

„შრომის სიხალისე შეიძლება გამოწვეულ იქნას უფრო თავისუფალი რეჟიმით, საჭმლისა და ტანისამოსის უფრო უხვი ზომით, სამუშაოს რაოდენობის შემცირებით ან ნებართვით მამულის საძოვარზე გაიყვანოს რამდენიმე სული თავის საკუთარი საქონელი ან სხვა რაიმე ამის მსგავსითო“ [1].

განსაკუთრებით ცდილობდნენ მამულის მიმართ გულდადებული ჰყოლოდათ ადმინისტრაციული პერსონალი — მოურავები, მეთვალყურეები, დარაჯები და სხვანი.

„საჭიროა მეთვალყურეებს ჯილდოთი გაუძლიეროთ ინტერესი თავიანთ სამუშაოსადმი, მისცეთ მათ ერთგვარი საკუთრება და ნება დართოთ იყოლიონ ხასა-მხევლები, შვილებს რომ გაუჩენენ. ამის მეოხებით ისინი უფრო ზომიერნი არიან და მამულზედაც უფრო მეტად აქვთ გული დადებული“ [2].

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მონის ინტერესთა შესაბამისად კი არ კეთდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა მონათმფლობელის ინტერესები, რომელსაც ურჩევდნენ მონის შრომითი ენერგიის გამოყენების უფრო რაციონალურ მეთოდებს. როგორც კატონის ნაწარმოებში, ისე ვარონის შრომაში მონა ფასდება არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც მხოლოდდამხოლოდ სამუშაო ძალა და მის შეძენაზე დახარჯული კაპიტალი.

მძიმე სამუშაოებში და არაჯანმრთელ ადგილებში ვარონი ურჩევს არა მონების გამოყენებას, არამედ თავისუფლებისას. ამ რჩევის აზრი ნათელია: მონა ფულად უღირს და, მაშასადამე, მის ჯანმრთელობაზე რამოდენიმედ მაინც მართებს ზრუნვა, მაშინ როდესაც თავისუფალი მუშა ვილას პატრონისათვის გარეშე პირია, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება შესცვალოს მეორემ ან სამუშაოდან იქნეს გათავისუფლებული.

ვარონის თხზულება, რომელიც მიეკუთვნება ძვ. წ. I ს. 30-იან წლებს, ასახავს იტალიის სოფლის მეურნეობის უმაღლეს აღმავლობას, მაგრამ ვარონისავე უკვე ცალკეული შენიშვნებიდან შეიძ-

---

[1] Varro, De re rust., 17.

[2] Ibid, 171.

ლება დავასკვნათ დაწყებულ კრიზისის შესახებ, რაც სავსებით გაიშალა იმპერიის პირველ საუკუნეებში. ვარონის თანამედროვენი, მევენახენი და მეღვინეები, ჩიოდნენ, რომ ვენახზე გაწეული ხარჯები ნთქავენ მის მიერ მოტანილ შემოსავალსო[1].

ვაჭრობის, ხელობათა და კულტურული ცხოვრების ზრდასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტელიგენტურ პროფესიებს—ვექილებს, ექიმებს, პედაგოგებს, მუსიკოსებს, მსახიობებს და მისთანათ. იზრდება სწავლის და ცოდნის წყურვილი, მიდრეკილება კომფორტისა, მხიარული ცხოვრებისა და გარეგანი ბრწყინვალების მიმართ.

გვიანარესპუბლიკური რომი გამოიყურებოდა როგორც ნამდვილი ჰელინისტური ქალაქი; შეიცვალა მისი შინაგანი წყობა და გარეგანი სახე, საზოგადო შენობათა და კერძო სახლების სტილი. სულას დროიდან მოკიდებული რომი შენდება და კეთილად ეწყობა, მშვენიერდება; ტიბრზე მდებარე პატარა ქალაქი ხდება მსოფლიო მნიშვნელობის დიდ ქალაქად. მდიდარი ხალხი ერთიმეორეს ეჯიბრებოდა ახალი მდიდრულად მოწყობილი სახლების, ქალაქის და ქალაქგარეთ ვილების აშენებაში. სახლებში დიდი რაოდენობით ჩნდება ძვირფასი ჭურჭლეულობა, ბრინჯაო, სურათები, პორტრეტები, ქანდაკებანი, კანდელაბრები, კორინთული ვაზები, ნაჭედი ფიალები, ბიბლიოთეკები, რანგებად და სპეციალობად დაყოფილ მსახურებისა, უმთავრესად მონების, დიდი შტატი.

თავისი ფუფუნებითი ცხოვრებით ყველაზე უფრო მეტად განთქმული იყო ნეაპოლის ყურის ნაპირი, რომელიც მოფენილი იყო მდიდარი ხალხის მშვენივრად გაწყობილი ვილებით, თავისი გუბურებით, შადრევნებით, ყვავილნარებით და ბაღებით. თვალწარმტაცი ნეაპოლის ყურის და მისი ლაჟვარდოვანი წყლის არეში, მის ყველა განსაცხრობელ ადგილებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბაიი, რომის არისტოკრატიის, ფულიანი ხალხისა და ინტელიგენციის საკურორტო პუნქტი და ადგილსამყოფელი, გასტონ ბუასიეს მახვილი თქმისა არ იყოს, „წარჩინებული უსაქმურობის ელდორადო“.

რომის ისტორიის არც ერთ პერიოდში იტალია არ ცხოვრობდა ისეთი შმაგი ცხოვრებით, როგორც სულას დროიდან მოკიდებული რესპუბლიკის დასასრულამდე და ნაწილობრივ იმპერიის პირველ საუკუნეშიც. შემსიყდველ ამხანაგობათა საშუალებით კოლონიურ ცხოვრებაში ჩაბმულ იქნენ არა მარტო უმალ-

---

[1] Varro, De re rust., 8.

ლესი, არამედ ქალაქის მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენებიც. ყოველი ერისკაცი ოცნებობდა რომში სახლი ეყიდნა, ქალაქგარეთ აეშენებინა ვილა და სათანადოდ გაეწყო იგი ძვირფასი ნივთეულობით, შეემკო სახელოვან მხატვართა და ხელოვანთა ნაწარმოებებით, ქანდაკებებით, სურათებით, ყვავილნარებით და შადრევნებით. ამის ილუსტრაციისათვის საკმარისია რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი მაგალითი. ასე, მაგალითად, ლუკულუსმა თავის მამულში, ბაიში რომ ჰქონდა, მისცა 10 ათასი ტალანტი, ციცერონის სახლი პალატინუმზე ღირდა 3½ მლნ. სესტერცია, კვინტ ციცერონის სახლი 1 მლნ. სესტერცია, როსციუსის მამულები 6 მლნ. სესტერცია და სხვ. მეტად მსხვილ რომაელ მდიდართა რიცხვს ეკუთვნოდა ყველა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე წინაიმპერატორული დროისა: პომპეუსი, კრასუსი და დომიცი აგენობარბი, რომელთა შესახებ სხვასთან დაკავშირებით იქნება თქმული. განცხრომისა და ფუფუნების წინააღმდეგ დროდადრო გამოქვეყნებულ კანონებს, ხარჯებს რომ ზღუდავდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონიათ. აყოლა მოდისა და სურვილი, რომ ერთი არ ჩამორჩენოდა მეორეს,—იყო ერთერთი მიზეზი დავალიანებისა და გაჩანაგებისა, ერთის მხრივ, ხოლო, მეორის მხრივ, ფულის საშინელი სიხარბისა; ეს ნიშნები მეტად დამახასიათებელია რესპუბლიკის ბოლოდროის რომის საზოგადოებისათვის, მეტადრე კი იმპერიისათვის.

2. რესპუბლიკის ბოლოდროინდელი სოციალური ტიპები

რომში არ არსებობდა შრომის სასტიკი განაწილება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის. ძალიან ხშირად მიწათმფლობელი ერთსადაიმავე დროს იყო ვაჭარიც, ბანკირიც და ერთი ან რამდენიმე ისეთი სახელოსნოს პატრონიც, სადაც მონის შრომა იყო გამოყენებული [1]. ამაში შეიძლება ადამიანი დარწმუნდეს ჩვენთვის ცნობილი რომაელი მოღვაწეების მაგალითებზე, რომელთა ეკონომიური ბიოგრაფიის შესწავლა უფრო სურათოვან წარმოდგენას გვაძლევს გვიანარესპუბლიკური რომის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე, ვიდრე ფაქტებისა და ციფრების მშრალი ჩამოთვლა.

რესპუბლიკის ბოლოდროის მოსაქმე რომაელის ტიპიურ ფიგურას წარმოადგენს, მაგალითად, ტ ი ტ ე პ ო მ პ ო ნ ი უ ს ა ტ ი კ ი, მდიდარი მხედარი, ციცერონის მეგობარი და მრჩეველი. მღელ-

---

[1] H. S c h e e l, Die wirtschaftlichen Grundbegriffe im Corpus juris civilis, 1866.

ვარე და მშფოთარე დროის გამო პოლიტიკურ მოღვაწეობას განშორებული ატიკი პირად ცხოვრებაში გადაეშვა, ჩაინთქა მეცნიერებასა, ხელოვნებასა და კომერციაში. ატიკის სამეურნეო მასშტაბი მეტად ფართოა. მას ჰქონდა ფართო საძოვრები და პლანტაციები პროვინციებში, სესხს აძლევდა ქალაქებსა და კერძო პირებს, ჰქონდა გამომცემლობა, ვაჭრობდა და სხვ.

ატიკი არ იღებდა უშუალო მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეგობრობდა ერთიმეორის მოპირდაპირე პარტიათა წარმომადგენლებს. მას პატივს სცემდნენ მარიუსი და სულა, მისი მეგობრები იყვნენ ციცერონი და მარკოს ანტონიუსი. თანამედროვეთა შორის ატიკი ითვლებოდა მეტად განათლებულ პირად, რომელმაც, სხვათა შორის, დასწერა რომის ისტორია ქალაქის დაფუძნებიდან თავის დრომდე [1].

სამოქალაქო ომის დროის უფრო კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს მ ა რ კ ო ს ლ ი ც ი ნ ი უ ს კ რ ა ს უ ს ი (Marcus Licinius Crassus). კრასუსი, 97 წლის კონსულის პუბლიუს ლიცინიუს კრასუსი მდიდარის (Dives) შვილი, ეკუთვნოდა რესპუბლიკის ბოლოდროის მეტად გამოჩენილ მოღვაწეთა რიცხვს და იყო რომის დიდ შეძლებულთაგანი. კრასუსის ეკონომიური ბიოგრაფია ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა, რადგანაც იგი რომის ხალხის ბედიღბლის ბატონპატრონსა და გამგებელს წარმოადგენს არა კარგი პირით, გარეგანი მხრით, არამედ ცუდი პირით და მას შევყევართ მათ სამეურნეო საქმეებსა და კომერციულ თაღლითობაში.

თავისი ჩამომავლობით, შეძლებით და საზოგადოებრივი მდგომარეობით კრასუსი შედიოდა რომაელ მ ა გ ნ ა ტ ე ბ ი ს წრეში, რომელსაც ეკუთვნოდნენ პომპეუსი, აგენობარბი, ლუკულუსი, ცეზარი და რომის სხვა მრავალი გამოჩენილი პიროვნება. ყველა დასახელებული პირი იყო არა მარტო სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, არამედ აგრეთვე პირველი მდიდარი ხალხი, მემამულე, მოსაქმე და სპეკულანტი. მათი მოღვაწეობის მთავარი ასპარეზი იყო პროვინციები, საიდანაც ისინი ეკონომიური და გარეეკონომიური გზით ზღაპრულ მოგებას იღებდნენ, მაგრამ ეს იყო შემოსავლის ერთი წყარო. ამავე დროს მათ ჰქონდათ მამულები (ლატიფუნდიები), სახლები რომსა და პროვინციებში, ისინი მონაწილეობდნენ უშუალოდ ან თავიანთი აგენტების მეშვეობით შემსყიდველსა და

---

[1] Г. Буасье, Цицерон и его друзья, М. 1915; И. Гревс, Очерки из истории римского землевладения, СПБ., 1899 г., стр. 237.

სავაჭრო კომპანიებში, იჯარით იღებდნენ მიწებს, ყიდულობდნენ მონებს, მათ ჰქონდათ ბაკები გზების პირას — ერთი სიტყვით, ყველაფრიდან სარფას და სარგებელს იღებდნენ. შემოსავლის მოპოების მხრივ ყველაზე წინ და პირველი იყო კრასუსი.

„კრასუსი, — ამბობს მისი ბიოგრაფი პლუტარქე, — განირჩეოდა. მრავალი კარგი თვისებით, მას ჰქონდა ჩვევა განსჯითი და თავშეკავებული ცხოვრებისა. მხოლოდ ერთი თვისება, როგორც აზვირთებული ვნება, აბათილებდა კრასუსის ყველა მშვენიერ თვისებას — შეძენის უშრეტი წყურვილი“ [1].

სიცოცხლის ბოლოს კრასუსის შეძლება შეფასებული იყო 7.100 ტალანტად, მაშინ როდესაც დასაწყისში იგი ძლივს აღწევდა 300 ტალანტს. თავისი ქონება კრასუსმა შეიძინა „ცეცხლითა და მახვილით“, ნახულობდა რა სარგებლობას საზოგადოებრივ უბედურებებში. სულას პროსკრიპციების დროს კრასუსი, დიქტატორთან დაახლოებული პირი, ფართო მასშტაბით იძენდა ჩამორთმეულ მიწებს. მაგრამ ამით ოდნავადაც არ შემოფარგლულა კრასუსის ეკონომიური მოღვაწეობა. მიწებით სპეკულაცია ეს იყო მხოლოდ ერთერთი საშემოსავლო წყარო კრასუსისა, რომელიც არ თაკილობდა შემოსავლის არცერთ სხვა წყაროს.

გამდიდრების ერთერთ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა ბ ი ნ ი ს გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ა ზ ე წარმოებული სპეკულაცია [2]. რესპუბლიკის ბოლო საუკუნეებში, მოსული ელემენტებით გავსების გამო, ქალაქ რომში მწვავე საბინაო კრიზისმა იჩინა თავი. საცხოვრებელი სახლი ცოტა შენდებოდა, ხოლო ის, რაც შენდებოდა აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებდა ვერც ელემენტარულ მოთხოვნილებებს და ვერც ჰიგიენის წესებს. მრავალსართულიანი სახლ-ბუმბერაზები (insulae —კუნძულები) ხშირად ჩამოინგრეოდა, იწვებოდა, მთლად იშლებოდა და ლპებოდა. ბინათა ნაკლებულობის გამო ღარიბი მოსახლეობა შეხიზნული იყო სხვენებში, სარდაფებში და ქოხმახებში. სადგომთა ნაკლებულობა ქმნიდა საბინაო სპეკულაციის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

კრასუსი იძენდა გადამწვარსა ან დანგრეულ სახლებს და ყიდულობდა მონა-არქიტექტორებს „სახლ-კუნძულების“ ასაშენებლად, რომელთაც მერე ქირით აძლევდა წვრილ მოქირავნეებს. მანვე მოაწყო სახანძრო რაზმები მონებისგან, ფასით რომ აქრობდნენ ხანძარს. შემდეგ, ცნობილია, რომ კრასუსი, „სულას შემდგომ

---

[1] Plut., Crassus, II.

[2] Pöhlmann, Die Übervölkerung der antiken Grosstädte, L., 1884.

უპირველესი მდიდარი რომში", ფლობდა უამრავ ვერცხლის მადნის მაღაროებს და ქირით აძლევდა კვალიფიციურ მონებს. რესპუბლიკურ რომში მონებით სპეკულაცია შეადგენდა გამდიდრების ერთერთ მეტად სარფიან წყაროს. კრასუსი ყიდულობდა ახალგაზრდა მონებს, ასწავლიდა მათ ხელობასა და ხელოვნებას, გამოჰყავდა მათგან არქიტექტორები, გადამწერლები, სახლთუხუცესები, წამკითხველები, მოანგარიშენი, სახელოსნოების, დუქნების და ტრაპეზების ორგანიზატორები და მერე დიდ ფასებში აძლევდა ქირით იმ პირებს, ვისაც მათი სამსახური ესაჭიროებოდა. მონათა სწავლება მიენდობოდა ხოლმე განსაკუთრებულ სპეციალისტ-ინსტრუქტორებს (instructores) და წარმოებდა თვითონ კრასუსის მეთვალყურეობით[1].

მაინც კრასუსი თვლიდა თავის დროის სტილის შესაბამისად უფრო საპატიო და საიმედო შემოსავლის ძირითად წყაროდ მიწის შემოსავალს. პლინიუსის სიტყვით, კრასუსის მამულები შეფასებული იყო 200 მილიონ სესტერციად (14 მილიონ ოქროს მანეთად). მდიდარ ადამიანად ის მარტო იმას თვლიდა, ვისაც შეეძლო თავისი წლიური შემოსავლით მთელი ლეგიონის გაწყობა (qui reditu annuo legionem tueri posset)[2]. თუმცა სულას შემდეგ იგი ყველაზე მდიდარი კაცი იყო (quiritium post Sullam divitissimus), კრასუსი მაინც არა ჯერდებოდა იმას, რაც მას ჰქონდა. მას სურდა ხელთ ეგდო პართელების მთელი ოქრო[3]. პლინიუსის იმავე წიგნში მოიხსენიება კიდევ მეორე მდიდარი კაცი და მონათმფლობელი გ ა ი ო ს ც ე ც ი ლ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი ს ი დ ო რ ე, აზატი, რომელმაც ანდერძით დასტოვა 4.116 მონა, 3.600 უღელი ხარი, 257 ათასი სხვა საქონელი და ფულით 60 მილიონი სესტერცია (დაახლოებით 4.200 ათასი ოქროს მანეთი). და ყოველივე ეს, როგორც აღნიშნავს პლინიუსი, შეადგენდა კლავდიუს ისიდორეს შეძლების მარტო ნაწილს: მან სამოქალაქო ომის დროს ბევრი-რამ დაჰკარგა[4].

3. ლეპიდეს აჯანყება. სერტორიუსის ომი

მონათმფლობელური იტალიის ზემორე აღწერილი სოციალურ-ეკონომიური აღმავლობის უარყოფით მხარეს წარმოადგენდა ქო-

---

[1] Plut., Crassus, 11.
[2] Plin., Nat. Hist, 33, 134.
[3] Ibid., 33, 135.
[4] Ibidem.

ნებრივი უთანასწორობის გაძლიერება, ქალაქის ავსება ლუმპენპროლეტარული ელემენტით, კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ყველა ფენაში მრავლად მოიპოვებოდა არსებული წყობილებით უკმაყოფილოთა რიცხვი. ქალაქის ღატაკი მოსახლეობის კადრები მატულობდა და ფართოვდებოდა, ხოლო დაბალი კლასების ნივთიერი მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები უარესდებოდა, საარსებო მოთხოვნილებანი იზრდებოდა, მათი დაკმაყოფილების წყაროები კი იშრიტებოდა და მცირდებოდა. ქალაქის ფართო ფენათა მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა იმის გამო, რომ სულამ გააუქმა იაფი პურის გაცემა და შეკვეცა პლებსის პოლიტიკური უფლებები.

„პურისა და სანახაობათა პოლიტიკა", ოფიციალურად აღიარებული გრაქხების მიერ, „მსოფლიოს კლოაკაში" — რომში—იზიდავდა უამრავ უქონელ ხალხს და უფრო მეტად აღრმავებდა სახალხო გასაჭირს. განსაკუთრებით სამძიმო იყო მსოფლიო სატახტო ქალაქის საბინაო პირობები. როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, რესპუბლიკის ბოლოდროინდელ რომში შენდებოდა მრავალი მშვენიერი შენობა, სასახლე, ტაძარი და მისთანა სხვა, მაშინ როდესაც მოსახლეობის ფართო წრეები ცხოვრობდნენ ყოვლად საძაგელსა და აუტანელ პირობებში. წვრილ მოქირავნეებს, საწოლის მოქირავნეებს და ქოხმახებში შეხიზნულ ხალხს, რომელიც ვალიდან ვერ ამოდიოდა, კრასუსი და მისი მსგავსი სახლისმფლობელი სპეკულანტები მიერეკებოდნენ ქუჩაში, სდევნიდნენ და დასცინოდნენ. დაბალი კლასების — წვრილი ხელოსნების, ვაჭრების, მოსამსახურეების და სრულებით უქონელ ლუმპენპროლეტარების — საყოფაცხოვრებო პირობები განსაკუთრებით სამძიმო და აუტანელი ხდებოდა ყოვლადშემძლე მაგნატების ბრწყინვალე ვილებთან შედარებით.

მაღალი კლასების განწყობა დაბალი კლასების, როგორც მონებისა, ისე თავისუფალთა, მიმართ აღსავსე იყო მეტისმეტი ზიზღით, რაც უფრო ამწვავებდა კლასობრივ სიძულვილს, რომელსაც გრძნობდნენ, დაბალი კლასები მაღალი კლასების მიმართ.

რესპუბლიკის ბოლოდროინდელი კლასობრივი წინააღმდეგობების, კლასობრივი ბრძოლისა და დაბალი კლასების ყოფაცხოვრების შესასწავლად უხვსა და მდიდარ მასალას შეიცავენ რომაელი ისტორიკოსების ლივიუსისა და დიონისეს ნაწარმოებნი, რომელთაც მასალად გამოიყენეს ამბავთა შესაბამი დროის ისტორიული პუბლიცისტიკა. რობერტ პიოლმანმა „ანტიკური სოციალიზმისა და კო-

მუნიზმის ისტორია"-ში [1] საკმაო დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ პატრიციებსა და პლებეებს შორის ბრძოლის სახით ლივიუსი და დიონისე აღწერდნენ თავიანთი დროის ამბებს, ოღონდ მათი დროის სოციალური წესები და სულიერი განწყობილება გადაჰქონდათ შორეულ წარსულში, თვით რესპუბლიკის დაარსების დროში.

ხსენებულ მწერალთა გადმონაცემში რომის სახელმწიფო გვევლინება ორად გათიშულ სახელმწიფოდ. ერთს სახელმწიფოში გაბატონებულია გაჭირვება და სიღატაკე, ხოლო მეორეში სუფევს სიმდიდრე და ქედმაღლობა.

„შეისმინეთ და გაიგეთ, — არწმუნებს პლებეებს სახალხო ტრიბუნი კანულეუსი, — როგორ ეზიზღებით თქვენ პატრიციებს. იმათ ისიც კი არ უნდათ, რომ თქვენ ისარგებლოთ მზის სინათლით, ამასაც კი მოგისპობდნენ ისინი, ამის გაკეთება რომ შეეძლოთ, ისინი მოთმინებიდან იმასაც კი გამოჰყავს, რომ თქვენ სუნთქავთ, რომ თქვენ ბგერებს გამოსცემთ, რომ თქვენ გაქვთ ადამიანის სახე" [2].

მეორე დემაგოგი (მანლიუსი) დაასკვნის — აუცილებლივ საჭიროა პლებსმა შეიგნოს თავისი საკუთარი ძალა, დაემორჩილოს ერთიან ხელმძღვანელობას და შეიარაღებულმა იბრძოლოსო.

„აბა დათვალეთ, რამდენი ხართ თქვენ და რამდენია ჩვენი მტერი?! ბოლოსდაბოლოს, დაანახვეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ შეიარაღებულ ძალას და მაშინ თვითონვე ხელს აიღებენ თავიანთ მოთხოვნებზე" [3].

„უნდა ერთობლივად იმოქმედოთ და გამოიჩინოთ გაბედულება, სხვაგვარად თვითეულს თქვენგანს მოუხდება ყველაფრის მოთმენა და ატანა. დიქტატორები და კონსულები უნდა შეზღუდულ იქნენ თავიანთ უფლებებში, და მარტო მაშინ შესძლებს რომის ხალხი თავის წამოწევას" [4].

ორატორთა ზემორე მოტანილ სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ რომაელი პროლეტარების დიდი რადიკალიზმი, რომელიც უახლოვდებოდა მონათმფლობელური საზოგადოების სრული მოსპობის მოთხოვნილებას მთელი თავისი უპირატესობით და კულტურით. „გარეული ნადირებივით ჩვენ მივისწრაფით მოვსპოთ ჩვენი მოწინააღმდეგენი, თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს ჩვენი საკუთარი თავის დაღუპვასთანაც კი" [5].

---

[1] Р. Пёльман, История античного социализма и коммунизма. Изд. Брокгауз-Ефрон, стр. 557.

[2] Liv., IV, 3.

[3] Ibid, VI, 18.

[4] Ibid.

[5] Dton Halic., VI, 36.

მწვავე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისების დროს დაბალი კლასების რევოლუციური განწყობილება გადაედო აგრეთვე საშუალო ჯგუფებსაც, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ საშუალო შეძლების მიწის მესაკუთრენი, სახელოსნოთა პატრონები, სასტუმროების, ტავერნების, ბაკების პატრონები, საგლადიატორო სკოლების მფლობელები, ინტელიგენტურ პროფესიათა პირნი — ექიმები, არქიტექტორები, პედაგოგები, მსახიობები და ზოგიერთი სხვა პროფესიისა და მდგომარეობის ხალხი. რასაკვირველია, არ შეიძლება ამ ფენის მნიშვნელობის შეუფასებლობა, მაგრამ მისი გავლენა რომის პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობაზე შეუდარებლივ ნაკლები იყო, ვიდრე ორი უკიდურესი ჯგუფისა — მაგნატებისა და პროლეტარებისა. რამდენად ბევრი იყო მაშინ თვითონ რომშიაც და იტალიის მუნიციპიებში უკმაყოფილო და რევოლუციურად განწყობილი ელემენტები, ამას გვიჩვენებს შეთქმულებათა, აჯანყებათა და მისთანათა სიხშირე.

არსებული წესწყობილებით უკმაყოფილონი მოიპოებოდნენ არა მარტო მონებსა და უფლებამოკლებულ დაბალ კლასებს შორის, არამედ თვითონ სულასეულ არისტოკრატიის წრეშიაც. სულას კონსტიტუციის წინააღმდეგ პირველი აღსდგა მარკოს ემილი ლეპიდე, 78 წლის კონსული.

სულას მიერ გაჩანაგებულ მიწათმფლობელებისა და მარიუსის ვეტერანების უკმაყოფილებაზე დამყარებით, ლეპიდე შეუერთდა მარიუსელს მარკოს იუნიუს ბრუტუსს და დაიწყო აჯანყება სულას მიერ დამყარებულ წესების წინააღმდეგ. დიქტატორმა, ამბობდა ლეპიდე ჯარისადმი მიმართვის დროს, საზოგადოებრივი თავისუფლების ნამსხვრევებზე დაამყარა ტირანია, დათრგუნა ყოველივე ის, რაც რომის ხალხმა ასე დიდი შრომით მოიპოვა პირველთან, ჰანიბალთან, ფილიპესა და ანტიოქესთან ბრძოლებშიო.

„რომის ხალხი, დედამიწის ყველა ხალხების ამასწინანდელი მბრძანებელი, ახლა დამცირებულია, მოძულებულია, მოკლებულია კანონთა მფარველობას, პატივს, დიდებას, ძალა-უფლებას, სასარგებლო მოღვაწეობის შესაძლებლობას, მას არ გააჩნია ჭარბად ის საჭმელიც კი, რაც ტყვეებს ეძლევათ.

კანონები, სამართალი, საზოგადოებრივი ხაზინა, პროვინციები, მეფეები — ყოველივე მარტოდმარტო ეკუთვნის მას, სულას. ბოლოს, მანვე მიითვისა უფლება სიცოცხლე-სიკვდილისა თანამოქალაქეების მიმართ. ახლანდელ პირობებში რაღა დაგვრჩენია ჩვენ, კვირიტებო, იმის გარდა მხოლოდ, რომ ავიღოთ ხელში იარაღი და მაგიერი

მიუზღოთ ან პატიოსნად დავიხოცნეთ? ხოლო უნდა დავიხოცნეთ ყველანი"[1].

ლეპიდესა და ბრუტუსის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ მარიუსის ვეტერანები, რომელნიც მეტად სასტიკად დაისაჯნენ გადატრიალების დროს. ამ ძირითად ბირთვს ემხრობოდნენ ყველა საზოგადოებრივ ფენიდან გამოსული უკმაყოფილონი. „იმასთან, — ამბობდა კონსული მ ა რ ც ი უ ს ფ ი ლ ი პ ე, რომელიც 91 წ. გამოვიდა ლივიუს დრუზუსის წინააღმდეგ, ამჟამად კი ლეპიდეს მოწინააღმდეგე იყო, — თავს იყრიან ყველა წოდების გათახსირებული ხალხი (homines omnium ordinum corruptissimi), აღძრული გაჭირვებითა და ვნებით (flagrantes inopia et cupidinibus), აღელვებული ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შეგნებით; ამ ხალხისთვის შფოთშია სილაღე, ხოლო მშვიდობიანი დრო — უბედურებაა; ისინი ცდილობენ, რომ მღელვარებამ მღელვარება გამოიწვიოს და ომმა — ომი"[2].

ლეპიდე არმიით დაიძრა რომისკენ, მაგრამ მარსის ველზე დამარცხდა, ხოლო ლეპიდეს მოკავშირე მარკოს ბრუტუსი დაამარცხა სულას მომხრე პომპეუსმა ქალაქ მუტინასთან. დამარცხებული ლეპიდე წავიდა სარდინიაში, სადაც ის მალე მოკვდა, ხოლო მისი დამარცხებული არმია ნაწილობრივ პომპეუსის მხარეზე დადგა, ნაწილობრივ კი პერპერნას სარდლობით გადავიდა ესპანეთში და შეუერთდა სერტორიუსს, რომის იმ ემიგრაციის (მარიუსელების) წინამძღოლს, რომელიც იქ თავს აფარებდა სულას ტერორისგან.

კვინტუს სერტორიუსი (Quintus Sertorius) —რომაული ემიგრაციის ბელადი ესპანეთში, ჩამომავლობით იყო სამნიუმიდან, მდიდარი მხედრის ოჯახიდან. მოკავშირეთა ომის მონაწილე სერტორიუსი, მას მერე, რაც მარცხი მოუვიდა და ვერ მიიღო სახალხო ტრიბუნის წოდება, მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა სულას პარტიის მიმართ და მიემხრო მარიუსელებს. 82 წ. სერტორიუსი თავისი მომხრეებით გაემგზავრა მისდა დანიშნულ პროვინცია ესპანეთში და იქ თავი მოუყარა ყველა ემიგრანტს — მარიუსელს, სულას რეჟიმით რომ იყვნენ უკმაყოფილონი, და ადგილობრივ მცხოვრებლებს. ადგილობრივი ხალხი სერტორიუსს უყურებდა როგორც თავის მხსნელსა, წინასწარმეტყველსა და სასწაულთ მომქმედს. ხმა დადიოდა, რომ მას ჰყავდა საღვთო ფურ-ირემი, რომელიც მას განუშორებლივ თან დასდევდა და ღვთაების ნება-სურვილს გადასცემდა ხოლმეო.

[1] Sallust., Hist., I, fragm., I, 55.
[2] Ibid., I, 77.

ემიგრანტებისა და მკვიდრი მოსახლეობისგან შემდგარი არმიით სერტორიუსმა, „ახალ ჰანიბალად“ რომ იყო წოდებული, დაიწყო ნამდვილი ომი სულას წინააღმდეგ, „სერტორიუსეული ომი“ (bellum Sertorianum), რომის ისტორიკოსის ფლორის თქმა რომ ვიხმაროთ [1].

სერტორიუსმა რამდენჯერმე გაიმარჯვა მის წინააღმდეგ გაგზავნილ რომის რაზმებზე და გამოაცხადა ესპანეთის დამოუკიდებლობა. ამის შედეგი ის იყო, რომ ყველა ტომი, რომელიც კი მდებროს მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდა, დადგა სერტორიუსის დროშის ქვეშ. ესპანეთში წარმოიქმნა დამოუკიდებელი მთავრობა საკუთარი სენატით; იგი სერტორიუსთან გაქცეულ 300 რომაელი ემიგრანტისგან შესდგებოდა, ადგილობრივი მცხოვრებნი კი სენატში დაშვებულნი არ ყოფილან.

„იგი განაგებდა ჯარებს, ფულს, ესპანელების ქალაქებს, მაგრამ ერთი ბიჯიც კი არ დაუთმია მათთვის (ესპანელებისთვის) და არავითარ წილს არ უდებდა მათ უმაღლეს ხელისუფლებაში, პირიქით, სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებს ის აძლევდა მხოლოდ მარტო რომაელებს, ცდილობდა დაებრუნებინა მათთვის თავისუფლება და არ დაემცირებინა რომაელები ადგილობრივ ხალხთან. ის იყო მგზნებარე პატრიოტი და გულით სურდა სამშობლოში დაბრუნება“ [2].

რომისაგან ესპანეთის ჩამოშორების საფრთხის გამო, 76 წ. გაგზავნილ იქნა ჯარი პომპეუსის სარდლობით, რომელიც მაშინ გამოდიოდა პოლიტიკურ სარბიელზე. ომი მთაგორიან ესპანეთში ძნელი აღმოჩნდა, უპირატესობა დიდხანს სერტორიუსის მხარეზე იყო, და თვითონ პომპეუსიც კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულებს. ბოლოსდაბოლოს, მაინც გაიმარჯვა პომპეუსმა თავისი ჯარების რიცხვობრივი სიჭარბის წყალობით, აგრეთვე იმის გამო, რომ სერტორიუსი არ იყო საკმაოდ მტკიცედ შეკავშირებული ადგილობრივ მცხოვრებლებთან და, ბოლოს, ესპანეთის ემიგრაციის წინამძღოლებში — სერტორიუსსა და პერპერნას შორის — უთანხმოების მეოხებით.

72 წ. სერტორიუსი მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ და ამის შემდეგ მალე ის ორგანიზაციაც დაიშალა, რომელსაც იგი სათავეში ედგა.

---

[1] Flor., III, 22.
[2] Plut., Sertorius, XXII.

4. სპარტაკის აჯანყება

ესპანეთი იყო მხოლოდ ერთერთი რევოლუციური კერა. იტალიაში ამ წლებში წარმოებდა მონების გრანდიოზული აჯანყება სპარტაკის წინამძღოლობით, რომელიც ცნობილია „მონათა ომის" (bellum servile) სახელით. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, იტალია ძვ. წ. I საუკ.-ში სავსე იყო მონებით, რომელთა შორის ბევრი იყო გერმანელი, გალი, ილირიელი, თრაკიელი და სხვა განაპირა ტომების წარმომადგენლები. მონებს ეპყრობოდნენ მეტისმეტად სასტიკად, აქედან გამომდინარეობდა მონათა ხშირი აჯანყებანი და გაქცევები. აჯანყებებში, გაქცევებში ან სხვა რაიმე დანაშაულობაში მონაწილეობისათვის მისჯილ მონებს დაღავდნენ, ბორკილებს ადებდნენ და ინახავდნენ მონებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საპყრობილეებში, რომელთაც ერგასტულას (ergastula) სახელი ეწოდებოდათ; ეს იყო მიწისქვეშ გაკეთებული შენობები, ვიწრო სარკმლებიანი, რაც სინათლეს თითქმის არც კი უშვებდა. დაღით შუბლზე, ზედამხედველების შოლტის მუდმივი მუქარის ქვეშ-მყოფნი, მონები დიდი პარტიებით გამოჰყავდათ სამუშაოებზე და მერე, მუშაობის გათავებისას, ხელახლა ბრუნდებოდნენ თავიანთ მიწისქვეშეთში. რამოდენიმედ უკეთესი იყო თავისუფალი მოსახლეობის უმეტესობის მდგომარეობა. იურიდიულად ერთი მეორისაგან განსხვავებულნი, მონები და თავისუფალი მოსახლეობის დაბალი ფენები ერთიანდებოდნენ არსებული წესწყობილების მიმართ საერთო სიძულვილისა და გათავისუფლებისაკენ მისწრაფების გამო. იტალია სულას შემდგომ ხანაში სავსე იყო რევოლუციური ელემენტებით და საკმარისი იყო ერთი ბიძგი, რომ რევოლუციურ ძალებს, რომელნიც ბობოქრობდნენ და ბორგავდნენ იტალიის საზოგადოების შიგნითვე, საშინელი ძლიერებით გარეთ გამოეხეთქათ. საერთო იტალიური ახალი აფეთქების ბიძგი შეიქნა მონათა აჯანყება გლადიატორ სპარტაკის (Spartacus) წინამძღოლობით; ეს აჯანყება გადაიქცა ნამდვილ „მონათა ომად" (bellum servile), რაც სამ წლამდე (73—71 წწ.) გრძელდებოდა.

„მოკავშირეთა ომი, რარიგ უპატიოსნო და სამარცხვინო არ უნდა ყოფილიყო იგი, მაინც იყო ომი თავისუფალ ხალხთან, მაგრამ ვინ შესძლებს გულგრილად უყუროს იმას, თუ მსოფლიოს მბრძანებელი ხალხი (princeps gentium populus) როგორ აწარმოებს ომს მონებთან" (bella servorum)[1],— აღშფოთებით ამ-

[1] Flor., III, 19.

ბობს ისტორიკოსი ფლორი, რომელიც ცხოვრობდა ახ. წ. II საუკ.-ში, ანტონინების „განათლებული მონარქიის“ დროს.

სპარტაკსა და სპარტაკის აჯანყების შესახებ ცნობებს გვაწვდის ბევრი ანტიკური მწერალი, მაგრამ ყველა ეს ცნობა მეტად ნაწყვეტნაწყვეტია და ეხება უმთავრესად მოძრაობის გარეგან მხარეს ან კიდევ გადმოგვცემს საერთო შთაბეჭდილებას, რომელიც სპარტაკის აჯანყებამ მოახდინა თანამედროვეებსა და მომდევნო თაობებზე. ხოლო რაც შეეხება მოძრაობის შინაგან მხარეს, სპარტაკის პროგრამას, მის მიზნებსა და გეგმებს, აგრეთვე აჯანყებულთა სოციალურ შემადგენლობას და მონების განწყობას მონობისადმი, როგორც სოციალურ ინსტიტუტისადმი, ამაზე შეიძლება შევიმუშაოთ მხოლოდ ზოგადი დასკვნები ცალკეულ შენიშვნებისა და ჩვენი წყაროების გადაკვრით თქმული სიტყვების საფუძველზე.

ძველი მწერლების (პლუტარქესი, აპიანესი, სალუსტის, ფლორის, ოროზიუსის და სხვ.) ცნობების მიხედვით სპარტაკის აჯანყების საერთო სურათი გვესახება შემდეგნაირად.

ვინმე ლენტულ ბატიატს, კამპანიის ქალაქ კაპუაში, ჰქონდა საგლადიატორო სკოლა, სადაც იმყოფებოდნენ სხვადასხვა ეროვნების მონა-გლადიატორები. მათ უმრავლესობას შეადგენდნენ თრაკიელები, გალები და გერმანელები. ბატიატის სკოლაში, როგორც სხვა საგლადიატორო სკოლებშიაც, რეჟიმი განირჩეოდა დიდი სიმკაცრით და სისასტიკით. ცხოვრების აუტანელ პირობებში ჩაყენებულმა მონებმა რიცხვით 200 კაცმა შეადგინა შეთქმულება სახლში, სამშობლოში დაბრუნების მიზნით. შეთქმულება გამომჟღავნებულ იქნა, შეთქმულთა ერთი ნაწილი შეიპყრეს, მეორე ნაწილი გაიქცა, ხოლო 70 კაცი თრაკიელი სპარტაკის მეთაურობით დაიმალა ვეზუვის მთებში. ვეზუვისკენ ლტოლვილ მონებს გზად შეხვდა რამდენიმე ურემი, რომელთაც იარაღი მიჰქონდათ სხვა საგლადიატორო სკოლებში, ხელთ იგდეს მონებმა ეს იარაღი და შეიარაღდნენ. ამის შემდეგ მონები გამაგრდნენ ვეზუვიზე და ირჩევენ სამ მთავარ წინამძღოლს: სპარტაკს, ენომაის და კრიქსს.

ბიოგრაფიული ცნობები მოძრაობის წინამძღოლების შესახებ თითქმის არ შენახულა. თვითონ სპარტაკის თაობაზე მოიპოება მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის ხსენებანი, რომელთა საფუძველზე ძნელია აღდგენა ანტიკური ისტორიის ერთერთი უაღრესად საინტერესო პიროვნების სრული სახისა. ტრადიციული თვალსაზრისი, რომელსაც სპარტაკი გამოჰყავს სპარტაკიდების სამეფო გვარიდან, ამჟამად არ შეიძლება გაზიარებულ იქნას. ახ. წ. II საუკ. რომაელ ისტორიკოსს ფლორს აქვს მითითება, რომ სპარტაკი ჩამომავლობით

იყო თრაკიიდან, მსახურობდა დაქირავებულ ჯარში, გაიქცა აქედან, შემდეგ რომაელებს ტყვედ ჩაუვარდა და თავისი ფიზიკური ძალ-ღონის გამო ჩარიცხულ იქნა ლენტულ ბატიატის საგლადიატორო სკოლაში, კაპუაში (ille de stipendiario Thrace miles; de milite desertor, de desertore latro, deinde in honorem virium gladiator)[1]. ფიზიკური ძალ-ღონის გარდა, სპარტაკს ჰქონდა დიდი სიმარდე, ჭკუა და განათლება. „იგი უფრო განათლებულ ჰელინს ემსგავსებოდა, ვიდრე ბარბაროსს...“[2].

სპარტაკი იყო დიადი თავისი ხორცისა და სულის სიძლიერით“... — ასე ახასიათებს სპარტაკს სალუსტი კრისპი[3].

გლადიატორების გამარჯვებისა და დაწყებული აჯანყების ხმა მალე მოედო გარშემო მდებარე ადგილებს და იწვევდა მონებისა და თავისუფალ მიწათმოქმედთა მხურვალე თანაგრძნობას, რომელნიც მასობრივად უერთდებოდნენ აჯანყებულ გლადიატორებს.

გაქცეული გლადიატორები და მათ მხარეზე გადასული მონები და თავისუფლები გამაგრდნენ ვეზუვის მთაზე. აქედან ისინი აწყობდნენ თარეშს მეზობელ მიდამოებზე, ხელთ იგდებდნენ იარაღით და სანოვაგით დატვირთულ ურმებს, საქონელს და ყოველგვარ სხვა ნადავლს.

სპარტაკისკენ ყოველი მხრიდან მოიმართებოდნენ თანამგრძნობნი, მონები და თავისუფლები მეზობელ ვილებიდან და მინდვრებიდან, აღგზნებულნი განთავისუფლების იმედით.

ასე განვლო სპარტაკის მოძრაობის პირველმა, მოსამზადებელმა ანუ საორგანიზაციო პერიოდმა. ამ დროის განმავლობაში მოძრაობა არა მარტო რიცხვობრივად გაიზარდა, არამედ მოიპოვა მან ერთგვარი გამძლეობა და ორგანიზაციაც.

მომდევნო წლიდან დაიწყო უკვე ახალი პერიოდი მონათმფლობელურ რომთან დაძაბული ბრძოლისა.

მონების წინააღმდეგ გაგზავნილი პრეტორი გაიოს კლოდიუსი სამი ათასიანი რაზმით გარს შემოერტყა ფრიალო კლდოვან მთაზე გამაგრებულ მონებს და დაიჭირა მთიდან ერთადერთი ჩამოსავალი გზა. მაგრამ სპარტაკი მაინც არ დაიბნა, მან ნახა გამოსავალი. კრიტიკული მდგომარეობიდან. მთის მწვერვალზე ბლომად იზრდებოდა გარეული ვაზი, რომლის ყლორტებიდანაც, სპარტაკის ბრძანე-

---

[1] Flor., III, 20.
[2] Plut., Crassus, VIII; Flor., III, 20.
[3] Sallust., Hist., III, fragm. 91.

ბით, მონებმა დაამზადეს მაგარი და გრძელი კიბეები. ამ კიბეებით ისინი მშვიდობიანად ჩამოვიდნენ დაბლა მიწაზე, რაც რომაელმა გუშაგებმა ვერ შეამჩნიეს; სპარტაკელები გარს შემოერტყნენ კ ლ ო დ ი უ ს ი ს ბანაკს და სასტიკად დაამარცხეს იგი [1].

ასეთმა გმირულმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეზობელ რაიონების მონებსა და თავისუფლებზე.

„მაშინ მათ (მონებს) შეუერთდა მრავალი ადგილობრივი მწყემსი, მებრძოლი და ფეხმარდი ხალხი. ზოგიერთი მათგანი გლადიატორებმა მოამარაგეს იარაღით, სხვანი კი მზვერავებად გმოიყენეს“ [2].

იმ მიზნით, რომ ბოლო მოღებოდა აჯანყების შემდგომ განვითარებას, სენატმა სპარტაკის წინააღმდეგ გაგზავნა ახალი რაზმი 4 ათასი კაცის შემადგენლობით პ უ ბ ლ ი უ ს ვ ა რ ი ნ ი უ ს ი ს სარდლობით. ვარინიუსის რაზმი სახელდახელოდ იყო შედგენილი ნაკლებსაიმედო ელემენტებისგან, მას არ გააჩნდა იარაღი საკმაო რაოდენობით და ცუდადაც ამარაგებდნენ, ჯარისკაცების ნაწილი ავად იყო, მეორე ნაწილი კი, დისციპლინის დაცემის გამო, ბრძოლას ერიდებოდა, გადარბოდა მოპირდაპირის მხარეზე და მძარცველობას ეტანებოდა. ბრძოლა მოუხდათ შემოდგომის უხეირო დარში, ამასთანავე თვითონ პრეტორი მონებთან ომს უყურებდა არა როგორც ნამდვილ ომს, არამედ როგორც ყაჩაღების ბრბოსთან ბრძოლას და ამის გამო გამაფრთხილებელ წინასწარ ზომებს არ იღებდა. „რომაელები ჯერ კიდევ არ თვლიდნენ მას ნამდვილ ომად, არამედ უბრალო ყაჩაღურ თარეშად რაცხდნენ, და ამიტომაც რომაელი სარდლები მარცხდებოდნენ“ [3].

ზურგიდან დარტყმით სპარტაკმა სძლია ვარინიუსის ლეგატს ფ უ რ ი უ ს ს, მეორე შეტევით დაამარცხა მეორე ლეგატი კ ო ს ი ნ ი უ ს ი და, ბოლოს, დაამარცხა და კინაღამ ტყვედ ჩაიგდო თვითონ პუბლიუს ვარინიუსი, რომელმაც გამარჯვებულებს ალაფად დაუტოვა მთელი თავისი ბანაკი, მთელი იარაღი და საკუთარი ცხენიც კი.

„რომის სარდალი, — გულისწყრომით და აღშფოთებით ამბობს აპიანე, — იქამდე მივიდა, რომ კინაღამ ტყვედ არ ჩაუვარდა გლადიატორებსო“ [4].

ამის შემდეგ მონათა განკარგულებაში აღმოჩნდა იტალიის უმ-

---

[1] P l u t., Crassus., IX, 2; F r o n t i n, Strat., 1, 5, 21; V e l l. P a t., II, 30; S a l l u s t., Hist., III, fragm. 92.

[2] P l u t., Crassus, IX; O r o s., 2.

[3] A p p., Bell. civ., I, 116.

[4] Ibid.

დიდრესი ნაწილი — კამპანია, აპულია და ლუკანია; აქედან მოძრაობა მოედო მეზობელ კალაბრიას და ბრუტიუმს. აჯანყებულ მონებს დიდი რაოდენობით ეხმარებოდნენ წვრილი მიწათმოქმედნი, რომელთაც აჩანაგებდა ომები და გადასახადები და ავიწროებდა ლატიფუნდიები, სულ უფროდაუფრო რომ ფართოვდებოდა. ხსენებულ ოლქებში რევოლუციური მღელვარება არ დამცხრალა ჰანიბალის შემოსევისა და მოკავშირეთა ომის დროიდან მოკიდებული. იტალიის არცერთს ნაწილში მონათმფლობელური მეურნეობის გამანადგურებელი მოქმედება საშუალო და წვრილი მწარმოებლის მიმართ არ შეიგრძნობოდა ისეთი ძლიერებით და მკაფიოობით, როგორც სწორედ სამხრეთი იტალიის რაიონებში. „საშუალო შეძლების გლეხობა ჩანაგდებოდა. წვრილი მხვნელი თავისი პატარა ნაკვეთით... დამოკიდებული ხდებოდა თავის კრედიტორზე — მიწის მაგნატზე“ [1].

სამხრეთ იტალიაში მუდმივ დაძრწოდნენ ყაჩაღთა რაზმები, რომელნიც აწყობდნენ თავდასხმას მონათმფლობელურ ვილებზე და მონათმფლობელურ საკუთრებაზე. ამასთან დაკავშირებით 77 წ. გამოცემულ იქნა სპეციალური კანონი, რომელიც აძლიერებდა მკაცრ ზომებს ძარცვა-რბევის გამო.

მთელ კამპანიაში მოდებულმა მონებმა და მათმა მოკავშირეებმა ხელთ იგდეს ქალაქები ნოლა და ნუცერია კამპანიაში, მეტაპონტო ლუკანიაში, თურია და კონსენცია (Consentia) ბრუტიუმში, დაპყრობილ ქალაქებსა და მათ მიდამოებში მდებარე ვილებს დაუზოგავად ძარცვავდნენ და არბევდნენ როგორც მონები, ისე მინდვრების „თავისუფალი მიწათმოქმედნი“, რომელნიც დიდი რაოდენობით მიდიოდნენ აჯანყებულ მონებთან. სპარტაკი შეიქნა მრისხანე და უძლეველი. მისი სახელი იზრდებოდა და სახელთან ერთად იზრდებოდა მისი ჯარიც, რომელიც ამ დროს უკვე 70 ათას კაცამდე ადიოდა.

„მრავალი ადგილობრივი მონა, რომელთა ზნეობაც მათ აჯანყებულთა მოკავშირეობის ღირსად ხდიდა, ბატონებისგან გადამალულ ძვირფასეულობას მიეზიდებოდა სამალავიდან ან თვითონ ბატონები გამოჰყავდა გადამალულნი. და არ იყო არაფერი წმინდა და შეუვალი ბარბაროსების მრისხანებისა და მათი მონური ბუნებისათვის. სპარტაკი უძლური იყო ამისთვის ხელი შეეშალა, თუმცა იგი არაერთგზის ემუდარებოდა მონებს ხელი აეღოთ უწესოებაზე“ [2]. ვარინიუსზე გამარჯვება ახალ ბიძგად იქცა მოძრაობის გავრცელებისათვის.

---

[1] А. В. Мишулин, Спартаковское восстание, 1936, стр. 131.

[2] Sallust., Hist., III, fragm. 98.

ყოველი მხრიდან სპარტაკის ბანაკში მოემართებოდა სანოვაგით დატვირთული ურმები. სახელოსნოებში იქედებოდა რკინის იარაღი, მახვილი და შუბები, ხოლო წკეპლებისა და ცხოველთა ტყავისგან მზადდებოდა ფარები, ხელში ჩაგდებული ცხენების საშუალებით შესაძლებელი შეიქნა ცხენოსანი ჯარის გაწყობა. სპარტაკის ხელში გადავიდა ლიქტორების წკეპლათა კონები (fasces), რაც წაართვეს დამარცხებულ პრეტორებს. ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს ასაფლავებდნენ შესაფერისი ზეიმით, მოკლულთა პატივსაცემად ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები და იმართებოდა ქელეხი.

სპარტაკის ჯარში მებრძოლთა ნაკადი იმდენად დიდი იყო, რომ სპარტაკმა შესწყვიტა კიდეც ყველა მსურველის მიღება: ირჩევდა ყველაზე უფრო მაგრებსა და საიმედოებს. მაგრამ ამ დროისთვის თავი იჩინა უთანხმოებამ თვითონ აჯანყებულთა ბანაკშიც. მოძრაობის წინამძღოლთა შორის ამ უთანხმოების მიზეზები გამოურკვეველია, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უთანხმოებანი გამომდინარეობდა იმდენად არა აჯანყებულთა ტომობრივი შუღლისაგან, როგორც ამას ფიქრობდნენ ძველი მეცნიერები (მომზენი, დრუმანი და სხვანი), რამდენადაც სპარტაკის ლაშქრის სოციალური შემადგენლობის არაერთგვაროვნობისა (მიშულინი) და არაერთნაირი ტაქტიკიდან.

მიუხედავად წარმატებისა, სპარტაკი მაინც თავის ძალას საკმაოდ ა რ თვლიდა რომზე დაუყოვნებლივ გალაშქრებისათვის; მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო რა თავისი არმიის რომის არმიის • მსგავსად. რეორგანიზირებისაკენ, იგი გულდასმით არჩევდა პირად შემადგენლობას, აუმჯობესებდა შეიარაღებას და დისციპლინას. მაგრამ სპარტაკის ამგვარმა ფრთხილმა ტაქტიკამ ვერ პოვა ერთსულოვანი მოწონება. აჯანყებულთა ჯარის ნაწილი მოითხოვდა რომზე დაუყოვნებლივ გალაშქრებას, მონათმფლობელთა სიმდიდრის ექსპროპრიაციას და თავის ბატონების მიმართ შურისძიებას, მაგიერის მიგებას. „ბევრი მონა თავისი მონური ბუნებით მარტო იმისკენ მიისწრაფოდა, რომ ეშოვნა ნადავლი და თავისი სისასტიკე დაეკმაყოფილებინა“ [1].

გამოთიშულებს, რომელთა შორის ნაწილს თავისუფლები შეადგენდნენ, სათავეში ედგათ კ რ ი ქ ს ე, რომელიც განირჩეოდა თავისი ამაყობით და თვითნებობით. კრიქსისა და სპატრაკის ტაქტიკა ძირითადად განსხვავდებოდა. მაშინ როდესაც სპარტაკს უფრო მი-

---

[1] S a l l u s t., Hist., III, fragm. 98.

ზანშეწონილად მიაჩნდა მარშრუტი ჩრდილოეთისკენ აეღო, ალპის მიმართულებით, რათა მონები — გალები, გერმანელები და თრაკიელები — თავიანთ სამშობლოში გაეყვანა, კრიქსე დაჟინებით მოითხოვდა რომზე დაუყოვნებლივ გალაშქრებას.

თვითეული აჯანყებული არმია მოქმედებდა საკუთარი გაბედულობით და პასუხისმგებლობით, რასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მთელი მოძრაობის საერთო შედეგზე. ასეთი იყო მდგომარეობა აჯანყებულთა ბანაკში 72 წ. დასაწყისში, მონათა არმიასა და მონათმფლობელების ჯარს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლების წინა ხანებში.

სპარტაკის ლაშქრის მრისხანე და სახიფათო ზრდამ, აჯანყებისადმი თანაგრძნობამ თავისუფალი მოსახლეობის უფრო ჩაგრული ნაწილის მხრივ, ლეგიონების მერყეობამ, არასიმედგრემ და სპარტაკის მიერ მოპოებულმა გამარჯვებებმა რომში გამოიწვიეს საყოველთაო პანიკა და რომის სენატი აიძულეს სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე წარემართა სპარტაკთან საბრძოლველად.

„სენატს ეშინოდა სპარტაკისა და, გრძნობდა რა მდგომარეობის საფრთხეს, მან გაგზავნა სპარტაკის წინააღმდეგ ორივე კონსული, თითქოს საქმე ეხებოდა ერთერთ მეტად ძნელსა და დიდ ომს“ [1].

აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა 72 წლის კონსულების ლ უ ც ი უ ს ჰ ე ლ ი უ ს პ ო პ ლ ი კ ო ლ ა ს ი და გ ნ ე ი კ ო რ ნ ე ლ ი ლ ე ნ ტ უ ლ კ ლ ო დ ი ა ნ ე ს არმიები. დაიწყო გაშმაგებული ბრძოლები, სადაც ორივე მხარე ძალიან დაზარალდა. აპულიაში, ადრიატიკის ზღვის ფრიალო ნაპირზე, გარგანუს მთასთან (mons Garganus), კრიქსეს არმია, რომელიც შეხვდა ჰელიუსისა და არიუსის,—წინა წლის პრეტორის, სენატმა რომ გაგზავნა კონსულთა ჯარების გასამაგრებლად,—არმიას, სავსებით იქნა დამარცხებული. არმიის ორი მესამედი ბრძოლის ველზე დარჩა, მოკლულთა შორის იყო თვითონ კრიქსეც [2]. მოკლულ კრიქსეს პატივსაცემად მის დაკრძალვისას გამართული იყო დიდი საგლადიატორო ასპარეზობა, სადაც გლადიატორებად გამოვიდნენ ტყვე რომაელები 400 კაცის რაოდენობით [3].

კრიქსეს მარცხი იყო პირველი სერიოზული მარცხი, რომელიც მიაყენეს აჯანყებულთა არმიას. ამავე დროს კი სამნიუმში მყოფმა

---

[1] Plut, Crassus, IX.
[2] Liv., Epit., 96; Oros., 4.
[3] Oros., V, 23.

სპარტაკმა დაამარცხა ლენტული, ჰელიუსი და არიუსი, გაარღვია რომაელების წრე და ჩქარი მარშით გასწია ჩრდილოეთისაკენ [1].

ჩრდილოეთ იტალიაში, მ უ ტ ი ნ ა ს თ ა ნ, მონებმა კვლავ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს პროკონსულის გაიოს კასიუს ლონგინის 10-ათასიან ჯარზე (72 წ.). თითქოს ისე ჩანდა, რომ აჯანყების მიზანი უკვე მიღწეული იყო, მონები თავიანთი მიზნის განხორციელების პირას იყვნენ მისულნი; ეს მიზანი იყო იტალიიდან გასვლა. სინამდვილეში კი სულ საწინააღმდეგო მოხდა. მუტინასთან გამარჯვების შემდეგ სპარტაკმა იმის მაგიერ, რომ ალპებისკენ წასულიყო, უკან გამოუხვია და უკუქცევითი მარშით გასწია იტალიისკენ. დანამდვილებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სახელდობრ რამ აიძულა სპარტაკი ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე — იტალიის მიტოვებაზე — რაც თითქოს ასე მალე უნდა განხორციელებულიყო კიდეც. ჭეშმარიტებასთან უფრო ისაა ახლოს, რომ სპარტაკის უკან გამობრუნება გამოწვეული იყო მთელი რიგი დამთხვევითი მოტივებით: ბევრ მონას არ სურდა მიეტოვებინა მდიდარი იტალია, მაშინ როდესაც ისინი მდგომარეობის ბატონ-პატრონები ხდებოდნენ, და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ღარიბსა და ნახევრადბარბაროსულ ქვეყნებში. ამას ზედ დაერთო წინამძღოლებს შორის უთანხმოება, რომელიც გრძელდებოდა კიდევ, ისიც, რომ ჩრდილო იტალიის მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც მონათფლობელური სისტემა ნაკლებად შეეხო, უმნიშვნელო დახმარებას უწევდა აჯანყებულებს, და, ბოლოს, ისიც, რომ ძნელი იყო ადიდებულ მდინარე პოზე და ალპის მთებზე გადასვლა. ცდა შეეჩერებინათ აპენინის ქედის გაყოლებაზე მომავალი სპარტაკის მსვლელობა მარცხით დამთავრდა. პიცენუმში სპარტაკმა შემუსრა ორივე კონსულის გაერთიანებული ჯარები.

72 წლის მეორე ნახევარი ეს იყო სპარტაკის მოძრაობის უდიდესი აღმავლობის დრო, როცა სპარტაკის ჯარი, ზოგიერთი ცნობით, 60 ათასს აღწევდა (ევტროპიუსი), მეორეთა ცნობით—100 ათასამდე ადიოდა (ოროზი), ხოლო აპიანეს მიხედვით — 120 ათას კაცამდეც კი. აჯანყებულთა რიცხვობრივად უშველებელ არმიას არ გააჩნდა საკმაო შინაგანი გამძლეობა და სიმტკიცე, რაც სპარტაკს იძულებულს ხდიდა მიეღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელიც საჭირო იყო დისციპლინის დაცვისათვის, ბრძოლის უნარიანობის გაზრდისათვის, უმთავრესად კი მიეღო ზომები გამხრწნელ და დემორალიზებულ ელემენტებისგან ჯარის გასაწმენდად: არმია-

[1] L i v., Epit., 96; F l o r., II, 7—10; P l u t., Crassus, IX.

ში შესვლა შეწყვიტეს ნაკლებ საიმედო ელემენტებისთვის, აჯანყებულთა არმიის მომმარაგებელ ვაჭრების საქმიანობის არე შეზღუდეს, აკრძალეს ოქროს და ვერცხლის ნივთების შეძენა. ნაღდი ფულით შეიძლებოდა მხოლოდ სპილენძისა და რკინის სყიდვა.

„მათთვის საჭირო მასალას იძენდნენ დიდი რაოდენობით, ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებული და ხშირადაც აწყობდნენ თავდასხმებს. რომაელებთან ბრძოლის დროს, ისინი იმათ ამარცხებდნენ და, ნადავლით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ბანაკში“ [1].

სპარტაკის ჯარის შინაგანი ორგანიზაციის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოება, მაგრამ არაპირდაპირი გზით კი შესაძლებელი ხდება ასეთი ორგანიზაციის არსებობის შესახები დასკვნის მიღება. ისეთი ჯარის არსებობის მთავარ წყაროს, რომელიც მუდმივ მოძრაობაში იყო და მხოლოდ მოკლე ხნით გამაგრდებოდა ხოლმე ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას, წარმოადგენდა ნადავლი, რომელიც სპარტაკის ბანაკში დიდი რაოდენობით მოდიოდა. „თავისი რიცხვით ძლიერი და წარმატებით გაამაყებული მონები არ უგონებდნენ სპარტაკს, მიმოდიოდნენ იტალიაში და აოხრებდნენ“ [2].

ნადავლის შოვნა მხოლოდ ერთერთი წყარო იყო მეამბოხეთა არმიის არსებობისათვის. გარდა ამისა თვითონ სპარტაკის ბანაკში იყვნენ ხელოსნები და სახელოსნოები, რომელნიც ამზადებდნენ იარაღს, ფარებს, შუბებს და სხვა საგნებს რკინისა და სპილენძისაგან. არსებობდა აგრეთვე ვაჭრობაც რომაელ ვაჭრებთან და სპეკულანტებთან, რომელნიც ორივე მებრძოლ ბანაკს ემსახურებოდნენ. როგორც ჩანს წყაროთა ცალკეული შენიშვნებიდან, სამხედრო ტყვე-რომაელებს, მათ მსახურებსა და მოკავშირეებს ხშირად მონებად ხდიდნენ. ახლა სპარტაკი უკვე საკმაოდ ძლიერად გრძნობდა თავს რომზე წასასვლელად — ეს ხომ საბოლოო მიზანი იყო „მონათა ომებისა“; ეს იყო გადამწყვეტი მომენტი სპარტაკისეული მოძრაობის ისტორიაში.

რომზე მიმავალი ასიათასიანი ჯარი სპარტაკისა შიშის ზარსა სცემდა იტალიის მონათმფლობელებს, რომელნიც დაჰკანკალებდნენ თავიანთ სიმდიდრეს, ვილებს და საკუთარ სიცოცხლეს. მაშინ შექმნილი მდგომარეობა თავისი სერიოზულობით მოგვაგონებდა ჰანიბალის შესევის დროს. მდგომარეობა მით უფრო სერიოზული ჩანდა, რომ სავსებით მოსალოდნელი და შესაძლებელი იყო სპარ-

---

[1] App., Bell. civ., I, 117.
[2] Plut., Crassus, IX.

ტაკის შეერთება მითრიდატესთან, რომელმაც კვლავ განაახლა თავისი ანტირომაული მოღვაწეობა აღმოსავლეთ პროვინციებში.

მრისხანე საშიშროებისა და საფრთხის წინაშე 72 წ. შემოდგომაზე სპარტაკის წინააღმდეგ საექსპედიციო კორპუსის უფროსად დანიშნულ იქნა პროკონსული მ ა რ კ ო ს ლ ი ც ი ნ ი უ ს კ რ ა ს უ ს ი, რომელსაც მოხვეჭილი ჰქონდა პირველხარისხოვანი სარდლის სახელი. „გლადიატორის წინააღმდეგ ძლიეს აღიმართა სახელმწიფოს ყველა ძალები“ (tandem enim totis imperii viribus contra myrmillonem consurgunt)[1].

„მას მერე, რაც ყველა შიშმა მოიცვა და ვერავინ ბედავდა თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა კონსულობაზე, არჩევანი შეჩერდა ლიცინიუს კრასუსზე; იგი იყო გამოჩენილი რომაელებს შორის თავისი ჩამომავლობითა და სიმდიდრით...

როცა სახელმწიფო იმაზე ნაკლებ შიშს არა გრძნობდა, როგორიც განიცადა მაშინ, როცა ჰანიბალი მუქარით იდგა რომის კარიბჭის წინ, სენატმა გაგზავნა კრასუსი კონსულის ლეგიონებით, ჯარისკაცთა ახალი შევსებით“[2].

როგორც სპარტაკის წინააღმდეგ მოქმედი ჯარის უზენაესი მთავარსარდალი, კრასუსი, სპარტაკის წაბაძვით, პირველ ყოელისა, შეუდგა რომის არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლებას, გასწმინდა ჯარი ყველა არასაიმედო ელემენტისგან და მიიღო ზომები დეზერტირობასთან საბრძოლველად. ხუთასმა დეზერტირმა იწვნია ყველაზე უფრო სასტიკი და სამარცხვინო სასჯელი — დეციმაცია, ე. ი. ყოველი იმ მეათის სიკვდილით დასჯა, ვისაც კენჭი შეხვდებოდა.

„ამგვარ სიკვდილს თან ახლავს განსაკუთრებული სირცხვილი, რადგანაც დასჯის დროს ყველას თვალთა წინაშე სრულდება მრავალი საშინელი და შემზარავი წესი[3].

კრასუსის კამპანია სპარტაკის წინააღმდეგ ერთი მეორეზე მითვლით სულ გაგრძელდა ექვს თვემდე და მეტად დაძაბა ორივე მოპირდაპირე მხარე.

კრასუსის დანიშვნამ სპარტაკი იძულებული გახადა ხელი აეღო რომზე დაუყოვნებლივ გალაშქრების გეგმაზე და გეზი აეღო სამხრეთ იტალიისა და სიცილიისაკენ, სადაც მას იმედი ჰქონდა, რომ დახმარებას პოვებდა ადგილობრივ მოსახლეობაში, მონათა და თა-

---

[1] F l o r., III, 20.
[2] O r o s., V, 23—24.
[3] P l u t., Crassus, X.

ვისუფლებს შორის. როგორც უკვე აღნიშნული იყო სხვა გარემოებასთან დაკავშირებით, სამხრეთი იტალია და სიცილია წარმოადგენდნენ აჯანყებათა და პროტესტების უქრობელ კერას. სოფლის მეურნეობა სიცილიაში ძალიან ფართო მასშტაბით იყო მოწყობილი და ანტიკური სამყაროს ფარგლებში თავისი ხასიათით ყველაზე უფრო მეტად უახლოვდებოდა კაპიტალისტურ მეურნეობას [1]. სიცილიის პლანტაციებში მოყვანილი პროდუქტების მეტი წილი იგზავნებოდა რომში სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. კასიუს ტერენციუსის კანონის (lex Cassia Terentia) თანახმად, რომის ბაზარზე ჩამოტანილ პროდუქტებზე წესდებოდა მტკიცე ფასი, რაც აღიზიანებდა სახელმწიფოსთვის საქონლის მიმწოდებელთ — რომაელ მხედრებს. სიცილიელი პლანტატორები არ ჯერდებოდნენ აღებულ სარგებელს და ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას მიმართავდნენ ხოლმე, რომ მიწისა და ხალხისგან გამოეგლიჯათ ზედმეტი ღირებულება: უმცირებდნენ მონებს კვებას, ზრდიდნენ იმ მონათა და თავისუფალთა სამუშაო დღეს, ვინც პლანტაციებში მუშაობდა, და სხვ.

ამაში მდგომარეობდა სიცილიასა და მის მომიჯნავე სამხრეთ იტალიაში კლასობრივი ბრძოლის, მუდმივი შეთქმულებების, აჯანყებათა და რევოლუციათა სიმწვავის მთავარი მიზეზი. აი სწორედ ამ ქვეყნებისკენ გაემართა კიდეც სპარტაკი, რომელმაც გაიარა ლუკანია და მერე გამაგრდა თ უ რ ი ა შ ი, ბ რ უ ტ ი უ მ შ ი, ჰქონდა რა აზრად სიცილიაში გადასვლა. მაგრამ სპარტაკის გეგმა სხვადასხვა მიზეზით ვეღარ განხორციელდა. ერთის მხრივ, მეკობრეებმა, რომელთაც აღუთქვეს სიცილიაში გადაეყვანათ სპარტაკელები, თავიანთი დაპირება არ შეასრულეს. მეორის მხრივ, სიცილიის ნაპირები ძალიან გამაგრებული აღმოჩნდა, როგორც ეს ჩანს ვერესის საწინააღმდეგოდ ციცერონის მიერ წარმოთქმული სიტყვის ერთი ადგილიდან [2].

თურიიდან, კრასუსის შეტევის გამო, სპარტაკმა დაიხია ბრუტიუმის სიღრმივ, მეკობრეებისაგან მოტყუებული სპარტაკი ხაფანგში გამომწყვდეული აღმოჩნდა: სიცილიას ზღვით იყო დაცილებული, ხოლო ხმელეთს მოწყვეტილი იყო კრასუსის მიერ გათხრილი ღრმა თხრილით. რამდენიმე გმირული ცდის შემდეგ სპარტაკმა ბოლოს მაინც გაარღვია რომაელების მიერ შექმნილი დაბრკოლებანი და შემოდგომის ბნელ ღამეში გამოვიდა შემწყვდეული ადგილიდან [3].

---

[1] Маркс, Капитал, т. III, ч. 2-я, 1929 г., стр. 263

[2] Cic., Contra Verr., V, 5—6.

[3] Sallust., Hist., IV, fragm. 35.

სპარტაკის მიერ გმირულმა გარღვევამ სავსებით გააწბილა რომის სენატი. იგი გამოსთქვამდა უკმაყოფილებას კრასუსის არასაკმაოდ ენერგიული მოქმედების გამო; ახლა მან, სენატმა, დასახმარებლად და გასაძლიერებლად გამოიწვია ორი სარდალი — ლუკულუსი მაკედონიიდან და პომპეუსი — ესპანეთიდან. კრასუსის მდგომარეობა გადაარჩინა აჯანყებულთა არმიაში არსებულმა უთანხმოებამ, რაც ისევ გრძელდებოდა. სპარტაკს, რომელიც მიიმართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბრუნდიზიუმისკენ, სადაც ის ფიქრობდა გემებში გადაჯდომას და საბერძნეთის ნაპირზე გასვლას, ჩამოსცილდა ორი სხვა წინამძღოლი — გ ა ნ ი კ უ ს ი (Gannicus) და კ ა ს ტ უ ს ი (Castus). ლუკანიაში მდინარე სილარის სათავეებთან განიკუსი და კასტუსი სასტიკად დაამარცხა კრასუსმა და ორივე ბრძოლის ველზე დაეცა [1].

ეს იყო აჯანყებულთა არმიის მეორე დიდი დამარცხება, რომელიც აჯანყებულებს ძვირად დაუჯდა: მათ დაჰკარგეს 30 ათას კაცზე მეტი.

„კრასუსს შეეშინდა, ვაი თუ სპარტაკი რომისკენ წავიდესო, მაგრამ მალე დამშვიდდა, როცა ბევრი მეამბოხე მას (სპარტაკს) ჩამოშორდა უთანხმოების გამო და დამოუკიდებლად გაეწყო ბანაკად ლუკანიის ტბის მახლობლად“ [2].

განიკუსისა და კასტუსის დამარცხებისა და გაცამტვერების შემდეგ მონათა მთავარი არმია, გენიალური წინამძღოლის სარდლობით, მაინც კვლავ დარჩა რომის რისხვად და მეხად: იგი თავის მოწინააღმდეგეებს სერიოზულ ზიანს აყენებდა. ბრუტიუმიდან სპარტაკი გადაიწია ლუკანიაში, ხოლო აქედან გეზი აიღო აპულიასკენ, სადაც მოხდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა ორ წინამძღოლს შორის — მონათმფლობელთა ბელადის კრასუსსა და მონათა ბელადს სპარტაკს შორის [3]. გაიგო თუ არა ლუკულუსის გადმოსვლა ნაპირზე და ეშინოდა რა კრასუსისა და ლუკულუსის შეერთებისა, სპარტაკი ეკვეთა კრასუსს, რომელიც მას უკან სდევდა, და გმირულად დაიღუპა გაშმაგებულ ბრძოლის დროს. ეს იყო ყველაზე უფრო გაშმაგებული ბრძოლა მთელი კამპანიის მანძილზე: „მოხდა გრანდიოზული ბრძოლა, არაჩვეულებრივ ცხარე და მედგარი იმ განწირულების გამო, რომელმაც მოიცვა ეგოდენ დიდი სიმრავლე ხალხისა“ [4].

---

[1] L i v., Epit., 97.
[2] P l u t., Crassus, X.
[3] E u t r o p., VI, 7.
A p p., Bell. civ., I, 119.

თვითონ სპარტაკი მძიმედ იქნა დაჭრილი ბარძაყში, მაგრამ განაგრძობდა რომაელი ჯარისკაცების მამაცურად მოგერიებას. ბოლოს, ღონეგამოლეული იგი დაეცა ბრძოლის ველზე თავის მეომართა დიდი რიცხვით, ხოლო ვინც გადარჩა, იგი აჩეხილ იქნა ან გაიფანტა.

ზარალი ორივე მხრით მეტად დიდი იყო: რომაელი დაიღუპა ათას კაცზე მეტი, მონათა ზარალი კი ათიათასობით აღირიცხებოდა; ლივიუსის მიხედვით, მათი დანაკლისი 60 ათას კაცს აღწევდა [1].

კრასუსსა და სპარტაკს შორის ბრძოლის სიმძაფრე იყო ზუსტი ასახვა იმ კლასობრივი სიძულვილისა, რომელიც არსებობდა მონებსა და მონათმფლობელებს შორის: „მონათმფლობელების სიძულვილი მონების მიმართ აღემატება სიძულვილს ყველა სხვა მტრების მიმართ“ (non eo solum animo quo adversus alios hostes soletis) [2]. „რამდენიც მონაა, იმდენი მტერია“ (totidem hostes esse, quot servos) [3], ღრმაასზროვნად შენიშნავს ფილოსოფოსი სენეკა. აქედან— ორ აბსოლუტურად მოპირისპირე ბანაკს შორის შეტაკების მძვინვარება: კრასუსსა — მონათმფლობელური სამყაროს სიმბოლოსა, ერთის მხრივ, და, მეორის მხრივ, სპარტაკსა — ანტიმონათმფლობელური ტენდენციების სიმბოლოს შორის.

მთავარი წინამძღოლის სიკვდილის შემდეგ სპარტაკის ჯარი დაიშალა. მონათა დიდი ნაწილი დაეცა ბრძოლის ველზე, ნაწილი გაიქცა, ხოლო 6 ათასი კაცი ტყვედ იქნა ჩაგდებული და ჯვარს აცვეს კაპუიდან რომში მიმავალ გზის სიგრძეზე ცოცხლად დარჩენილ მონათა შესაშინებლად.

მონათა მცირე რაზმი, რომელიც ჩრდილოეთისკენ გაიჭრა და ცდილობდა ალპებში დაფარვას, პომპეუსმა შემუსრა (71 წ.), რომელიც ჩრდილოეთის გზით აღმოსავლეთის ფრონტიდან ბრუნდებოდა იტალიაში.

თავისი გამარჯვებით თავმოწონებული პომპეუსი რომში მოახსენებდა, რომ კრასუსმა გლადიატორები დაამარცხა გაშლილ მინდორში, ხოლო მან, პომპეუსმა, აღმოფხვრა „მონათა ომის“ ფესვები“ [4].

ასეთი იყო სპარტაკის მოძრაობის აღსასრული.

სპარტაკის აჯანყებამ დიდი ზიანი მიაყენა იტალიის მონათ-

---

[1] Liv., Epit, 97; Oros., V, 24.

[2] Liv., XXI, 41, 10.

[3] Seneca, Epist. moral., 47, 5; Liv., XXXIX, 26, 8; Macrob., Sat., I, 11, 13.

[4] Plut., Pompeius, XXI.

შფლობელურ წესწყობილებას. მონათმფლობელური მეურნეობანი მთლად მოიშალა და აოხრდა. სამწლოვანმა ომმა შეიწირა საერთოდ 100 ათასზე მეტის — რომაელებისა და მონების — სიცოცხლე[1] და ცხადჰყო სერიოზული საშიშროება მონათა ასეთი მასის ერთად თავმოყრისა და მომავალში მსგავს მოძრაობათა გამეორების შესაძლებლობისა. ამის გამო „მონათა ომის“ მწარე გამოცდილებით ნასწავლი იტალიის ზოგიერთი მონათმფლობელი სპარტაკის შემდეგ ცდილობდა შეემცირებინა სამხედრო ტყვე-მონების რიცხვი, ამჯობინებდა რა მათ ნაცვლად ჰყოლოდა სახლში ნაზარდი მონები (vernae) და აზატები (liberti).

მეტად სიმპტომატურია, რომ პრაქტიკოს პომპონიუს ატიკს თავის მეურნეობაში ჰყავდა მხოლოდ შინ ნაზარდი მონები (vernae). დასაკრძალავი აკლდამები (კოლუმბარიები)თავის რესპუბლიკის დასასრულისა და იმპერიისდროინდელი „მტრედის ბუდეებითურთ“ ადასტურებენ, რომ იმ დროს მსხვილ მამულებში მონათა დიდ ნაწილს უკვე ჰყავდა თავისი ოჯახები ან კიდევ ისინი გადაჰყავდათ აზატების რიგებში. აჯანყებათა შიშის გარდა, მონათა გათავისუფლება გამოწვეული იყო საწარმოო ძალების განვითარებით, ცხოვრების დონისა და სიძვირის გაზრდით, აქედან კი გამომდინარეობდა სურვილი შეემცირებინათ მონათა შესანახი ხარჯები, მეტადრე სუსტ, მოხუცებულ და ავადმყოფ მონებისა. რომში ისინი არაიშვიათად გადაჰყავდათ აზატების წყებაში, რომელნიც სახელმწიფო დახმარებას იღებდნენ. ასე იქცეოდნენ ატიკი, პომპეუსი და მრავალი სხვა მონათმფლობელი, რომელნიც თავიანთ მოხუცსა და სუსტ მონებს ათავისუფლებდნენ იმ მიზნით, რომ მათი შესანახი ხარჯები სახელმწიფოზე გადაეტანათ[2].

საისტორიო ლიტერატურაში სპარტაკის აჯანყებამ მაღალი შეფასება პოვა. სპარტაკის რევოლუციის თვალსაჩინოობას, მისი ბელადის განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ტალანტს, მის ნიჭსა, ტაქტსა და განათლებას აღიარებენ ძველი და ახალი დროის ყველა მიმართულების ისტორიკოსები.

„მონები, — ამბობს ფლორი, — დაიღუპნენ საუკეთესოთა ღირსი სიკვდილით, იბრძოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, თავგამეტებით, რაც სავსებით ბუნებრივია გლადიატორის უფროსობით წარმოებულ ომებში. თვითონ სპარტაკი არაჩვეულებრივ მამაცურად იბრძოდა პირველ წყებაში, მოკლულ იქნა და დაიღუპა, როგორც

---

[1] Liv., Epit., 96—97.
[2] Dio Cass., XLIX, 24.

ეს შეშვენოდა რომელიმე დიდ იმპერატორს“ (Spartacus ipse in primo agmine fortissime dimicans quasi imperator occisus est)[1].

„ეს ისეთი ომი იყო, — ამბობს ოროზი, — რომლისთვისაც უკვე არ შეიძლებოდა კაცს დამშვიდებით ემზირა, მაგრამ რომლისაც უნდა ეშინოდეს. ის, რომ იგი იწოდება გაქცეულ მონებთან ომად, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ის სინამდვილეში უმნიშვნელო იყო. ამ ომში რომის კონსულებმა ცალცალკე და ერთადაც არაერთხელ განიცადეს მისგან მძიმე მარცხი... მაშინ ბევრი წარჩინებული პირი იქნა მოკლული, ხოლო თვითონ მონებმა 100 ათას კაცზე მეტი დაჰკარგესო“[2].

ხსოვნა გმირი სპარტაკისა და მონათა გმირული ბრძოლისა დარჩა აგრეთვე ახალსა და უახლეს დროშიაც. ანტიკური გმირის სახელი შეიქნა ყოველივე გაბედულის, პროტესტის განმცხადებელისა და რევოლუციურის სიმბოლოდ. „სპარტაკი,—ამბობს მარქსი,—საუკეთესო პირია მთელ ანტიკურ ისტორიაში. დიდი სარდალი, კეთილშობილური ხასიათი, ძველი პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენელი“[3]. განსაკუთრებით პოპულარული იყო სპარტაკის სახე რევოლუციამდელ საფრანგეთში, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათათვის ბრძოლის ხანაში. 1766 წ. პარიზში გაჩნდა სორენის ტრაგედია „სპარტაკი“.

1916 წ. გერმანიაში წარმოიქმნა კავშირი „სპარტაკი“; მან გააერთიანა რევოლუციური მარქსისტები, რომელნიც ჩამოსცილდნენ სოციალ-დემოკრატებს და რომელთაც შეამზადეს გერმანიის კომუნისტური პარტიის დაარსება[4].

---

[1] Flor., III, 20.

[2] Oros., V, 23.

[3] Письмо Маркса к Энгельсу от 27 февраля 1861 г., Маркс и Энгельс, Соч., т. XXIII, стр. 15.

[4] А. В. Мишулин, Спартаковское восстание, гл. V, 1936 г., стр. 103.



თ ა ვ ი XI

პომპეუსის პრინციპატი

1. ომი მეკობრეებთან

სპარტაკის განადგურების შემდეგ რომის პირველი კაცი შეიქ-ნა გ ნ ე ი პ ო მ პ ე უ ს ი (დიდი). საისტორიო კურსებში პერიოდი სულადან ცეზარამდე ჩვეულებრივ იწოდება „პომპეუსის ხანად", „პომპეუსის რეჟიმად", „პომპეუსის პრინციპატად" და სხვა ამგვა-რად. გნეი პომპეუსი იყო 89 წლის კონსულის, მარსებთან ომის მო-ნაწილის, იუდაციილიუსზე გამარჯვებულის — პომპეუს სტრაბონის შვილი და ჩამომავლობით ეკუთვნოდა ძველისძველსა, ძალიან მდი-დარსა და გავლენიან პლებეურ გვარს. პომპეუსის აღზევება დაკავ-შირებული იყო 82 წლის სულასეულ გადატრიალებასთან, როცა ის მცირეოდენ სამხედრო სარდლებთან ერთად მიემხრო სულას, ხელს უწყობდა მისი ძალა-უფლების დამყარებას და ამით მოიპოვა დიქტატორის სიმპატია. უმბრიაში სენასთან და კლუზიუმთან კარ-ბონის ლეგატებზე გამარჯვებით პომპეუსმა გასწმინდა იტალია მა-რიუსელებისგან და მერე იგი გადავიდა სიცილიაში, შემდეგ კი აფრიკაში. აფრიკაში პომპეუსი, დაბადებიდან სულ რაღაც 25-იოდე წლისა, თავის ჯარისკაცების მიერ გამოცხადებულ იქნა იმპერატო-რად. იმპერატორი (imperator) საპატიო ტიტული იყო, რომლითაც ჯარისკაცები ბრძოლის ველზე აჯილდოვებდნენ თავიანთ სარდ-ლებს, რომელთაც დიდი გამარჯვება ჰქონდათ მოპოებული. ახალ-გაზრდა „იმპერატორის" პოპულარობის ზრდამ ჯარში მასზე გული აუყარა ეჰვიან სულას. სულას შურდა პომპეუსისა და ეშინოდა მი-

სი, მაგრამ არასდროს არ მოუკლია მისთვის თავისი მეგობრობა და მფარველობა.

აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ ჯარის ზეგავლენით, რომელიც ამბოხებით იმუქრებოდა, პომპეუსმა მიიღო ტრიუმფი სულას სურვილის წინააღმდეგ. ესეც კია, ამ მტრობას სერიოზული ხასიათი არ მიუღია. მიუხედავად შურისა და შიშისა, სულა მადლიერი იყო გაწეული სამსახურისთვის და მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მას მხარს უჭერდა და მფარველობდა.

„შემდეგშიაც კი მასთან მას თავი ალერსიანად ეჭირა ისევე, როგორც პირველ შეხვედრის დროს, პომპეუსის მოახლოებისას ფეხზე დგებოდა და თავიდან სახვევს იხსნიდა. არავის არ ჰქონდა შემჩნეული, რომ ეს მას გაეკეთებინოს სხვა ვისმეს მიმართ, თუმცა მას ძრავლად ეხვია ღირსეული ხალხი“ [1].

პომპეუსი, პირველ ყოვლისა, იყო სამხედრო კაცი და მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი. ამასთანავე პომპეუსის პოლიტიკური რწმენა არ იყო ურყევი და მტკიცე. თავდაპირველად სულას მომხრე-ოპტიმატი, შემდგომ გადავიდა პოპულარების მხარეზე, ხოლო უფრო გვიან კვლავ ოპტიმატებს დაუბრუნდა. ბევრი თავისი თანამედროვესავით პომპეუსიც პოლიტიკას უყურებდა წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით. მისთვის პოლიტიკას იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც მას შეეძლო ამათუიმ პოლიტიკური კომბინაციიდან მიეღო სარგებლობა თავისი პირადი მიზნებისათვის. თავისი პოლიტიკური კარიერით პომპეუსი უნდა უმადლოდეს იმდენად არა თავის პირად თვისებებსა და სამხედრო სიმამაცეს, რამდენადაც თავის უშველებელ სიმდიდრესა და ურიცხვ კლიენტელას.

პომპეუსი უმდიდრესი მაგნატი იყო, მსხვილი მიწისმფლობელი, მას შეეძლო მარტო ერთი თავის პიცენუმის მოიჯარადრეებისგან მთელი არმია მოეგროვებინა, რომლითაც იგი იბრძოდა მარიუსელების წინააღმდეგ.

პომპეუსის კარიერაში ახალი ხანა იწყება ლეპიდესთან და სერტორიუსთან ომით ესპანეთში, სადაც იგი გაგზავნა სენატმა, რომელიც მაშინ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაგზავნა პროკონსულის თანამდებობაზე წინასწარ მაგისტრატურათა გაუვლელად.

70-იანი წლების ბოლოს პომპეუსი გაუდგა სენატს და დაუახლოვდა პოპულარებს. სამხედრო წინამძღოლის დაახლოება დემოკრატიული პარტიის პელადებთან უაღრესად სიმპტომატური იყო რესპუბლიკური რეჟიმის უკანასკნელი წლებისთვის. რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელი ათეული წლების პოლიტი-

[1] Plut., Pompeius, VIII.

კური სიტუაცია ისეთი იყო, რომ არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ შეეძლო თავი გაეტანა ერთიმეორის დაუხმარებლივ. სარდლებს, რომელნიც ჯერ ისევ რჩებოდნენ რესპუბლიკურ მაგისტრატებად, კომიციები რომ ირჩევდნენ, ესაჭიროებოდათ პლებსის დახმარება ახალ სარდლობისა და დანიშვნათა მისაღებად. პოპულარებს კი, ქალაქის პლებსზე დამყარებულთ, იმ პლებსზე, რომელიც ცხოვრობდა პროვინციებისა და გაბოძების ხარჯზე, თავის მხრივ არ შეეძლოთ გაეძლოთ „კოლონიურ იმპერატორების“ დაუხმარებლად: ესენი ქალაქს პურით უზრუნველჰყოფდნენ და ეკონომიურ ცხოვრებას აცხოველებდნენ ფულისა და მონების შემატებით. რაც შეეხება სენატს, იგი განსაკუთრებულ გულმოდგინეობას არ იჩენდა ახალ დაპყრობათა მიმართ და ერთნაირი ეჭვიანობით ეკიდებოდა როგორც სამხედრო სარდლებს, ისე სახალხო ტრიბუნებს. ამის შედეგი ის იყო, რომ სენატისა და სენატის პოლიტიკით უკმაყოფილების ნიადაგზე გაერთიანდნენ სამხედრო წინამძღოლებიც — „კოლონიური იმპერატორებიც“ — და სახალხო ტრიბუნებიც.

I საუკ. 70-იან წლებში დემოკრატიული პარტიის ლოზუნგი იყო თავის წინანდელ უფლებებში სახალხო ტრიბუნატისა და სახალხო ტრიბუნების, რესპუბლიკური თავისუფლების ამ პალადიუმის, აღდგენის მოთხოვნა.

„რომის ხალხს, — ამბობდა ერთერთი მეტად პოპულარული სახალხო ტრიბუნი, 73 წლის ტრიბუნი ლ ი ც ი ნ ი უ ს მ ა კ რ ი,—მშვენივრად ახსოვს ის, თუ მისი წინაპრები როგორ არაერთხელ ჩამოშორდებოდნენ და განუდგებოდნენ ხოლმე პატრიციებს და თავის უფლებათა მოსარჩლეებად ირჩევდნენ სახალხო ტრიბუნებს. ამჟამად კი სხვა სურათს ვხედავთ. ბოროტმზრახველთა ბრბომ (factio noxiorum) ხელთ იგდო ძალა-უფლება და თავისი შემჭიდროებისა და ორგანიზირების წყალობით მთელ სახელმწიფოზე უფრო ძლიერი ჩანსო“ [1].

მაგრამ ოპტიმატების მიმართ რადიკალურად განწყობილ მაკრს ამავე დროს შესაძლებლად და აუცილებლივ საჭიროდაც კი მიაჩნდა პომპეუსთან კავშირი, თუმცა კარგად იცოდა მისი ამასწინანდელი მეგობრობა სულასთანა და ოპტიმატებთან.

„მე დარწმუნებული ვარ — ამბობდა მაკრი, — რომ პომპეუსი, ეს ჭაბუკი გმირი, სახელმოხვეჭილი, თქვენი თანხმობით ამჯობინებს პირველი როლი ითამაშოს სახელმწიფოში, ვინემ ძალა-

[1] Sallust., Hist, III, fragm. 48, 3—4.

უფლებაში წილი დაუდოს იმ პატივმოყვარე ხალხს, მჯერა ისიც, რომ ის იქნება ტრიბუნის ხელისუფლების აღმადგენელიო“ [1].

პომპეუსს სახალხო ტრიბუნების დახმარება ესაჭიროებოდა ახალ დანიშვნათა მისაღებად. 70 წელს, პოპულარებზე დამყარებით, პომპეუსმა კრასუსთან ერთად მიიღო კონსულობა და გაატარა რამდენიმე დემოკრატიული რეფორმა: აღადგინა სახალხო ტრიბუნების უფლებანი, გააფართოვა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა და გადაახალისა სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ერარიუმის ტრიბუნების შეყვანით. ერარიუმის ტრიბუნებად (tribuni aerarii) თავდაპირველად იწოდებოდნენ ხარჯის და გადასახადის (ტრიბუტის) ამკრეფნი, ხოლო უფრო ფართო გაგებით საერთოდ შეძლებული პლებეები. სასამართლო კომისიები ამიერიდან ეწყობოდა პარიტეტულ საფუძველზე: $^1/_3$ სენატორები იყვნენ, $^1/_3$ მხედრები და $^1/_3$-იც ერარიუმის ტრიბუნთაგან შესდგებოდა. ამასთანავე ერთად აღდგენილ იქნა სულას მიერ გაუქმებული ცენზურა, რაც საშუალებას წარმოადგენდა იმისას, რომ სენატიდან გაეძევებინათ რეფორმის მიმართ უაღრესად მტრულად განწყობილი ოპტიმატები — სულას მომხრეები. ცენზის პირველ გადასინჯვისასვე 60 კაცი ამოშლილ იქნა სენატორთა სიიდან.

რომის პოლიტიკის ერთერთ მწვავე საკითხს 70-იან წლებში შეადგენდა ბრძოლა მ ე კ ო ბ რ ე ო ბ ა ს თ ა ნ; ამან მეტად ფართო და მანამდე არნახული ხასიათი მიიღო და მას საშინელი ზარალი და ზიანი მოჰქონდა რომის ვაჭრობისათვის: მთელი ქალაქი ალყაშემორტყმულივით სიმშილობდა. ხმელთაშუა ზღვა გადაიქცა მეკობრეების ნამდვილ სამეფოდ, რომლის მთავარი ცენტრები იყო კუნძულ კრეტეზე და მცირე აზიაში, კილიკიაში — ზღვის მეზობლად მდებარე მთაგორიან ოლქში. მეკობრეთა ბინები გაბნეული იყო მთელ ხმელთაშუაზღვეთის სანაპიროებზე, ყველგან კუნძულებსა და მთებზე აღმართული იყო მათი საგუშაგო კოშკები.

მეკობრეთა ორგანიზაციებში სულ სხვადასხვაგვარი სოციალური ელემენტები შედიოდნენ — ზღვის სანაპირო ქვეყნების მცხოვრებნი, გაქცეული მონები, გაჩანაგებული თავისუფალი ხალხი, გაღატაკებული არისტოკრატები და ყველა ჯურის ავანტიურისტი, ხალხი, „რომელიც სხვებს აღემატებოდა სიბრძნით“ (prudentia praestantes), წყაროს თქმა რომ ვიხმაროთ; მეკობრეების „ვირთხა-გემები“ მსუბუქი და ჩქარი გემები იყო, მათ მამაცი ეკი-

---

[1] Sallust, Hist., III, fragm.

[2] Plut., Pompeius, XXIV.

ბაჟი ჰყავდათ, რომელსაც განაგებდნენ გამოცდილი და გაბედული მესაჭეები. ერთი-მეორეზე მითვლით, მეკობრეების ფლოტილია აღწევდა სხვადასხვა ზომის ათასამდე გემს. რომის ფლოტილია კი მცირერიცხოვანი იყო და, მსუბუქი ხომალდების უქონლობის გამო, ნაკლებმოძრავიც და ამიტომაც სავსებით უძლური იყო ზღვის ყაჩაღებთან ბრძოლაში. მეკობრეების თარეშითა და თავდასხმებით აკლებული და შეწუხებული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთისა და დასავლეთი ნახევრის ყველა ქვეყნები, იონიიდან და არგოლიდიდან დაწყებული სიცილიამდე და ბრუტიუმამდე. მეკობრეები არ ზოგავდნენ არც კერძოსა და არც სახელმწიფო ქონებას, არც ტაძრის განძეულობას, იპყრობდნენ მთელ ქალაქებსა, ვილებსა და ტაძრებს და ტყვედ მიჰყავდათ ყველა წოდების უამრავი ხალხი, რომელსაც მერე გზავნიდნენ ტყვეების ბაზრებზე. ტყვედ ჩაგდებულ რომაელებს აყენებდნენ ყოველგვარ შეურაცხყოფას და დამცირებას [1].

მეკობრეების თავდასხმათა გამო ხმელთაშუაზღვეთის საზღვაო ვაჭრობა სავსებით მოიშალა, რამაც ბუნებრივად მალე გავლენა იქონია რომის სახელმწიფოს, რომის ვაჭართა წრის, პუბლიკანების შემოსავალთა მდგომარეობაზე და აგრეთვე სატახტო ქალაქის სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზედაც. ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე. შემოსავლის კლება და პირველ საჭიროების საგნებზე ფასების ზრდა იწვევდა ქალაქის ფართო ფენების უკმაყოფილებას.

78 წლიდან დაწყებული რომი ნამდვილ ომს აწარმოებდა მეკობრეებთან, ოღონდ ამას თვალსაჩინო წარმატება და ნაყოფი არა ჰქონია. ამით ისარგებლეს სახალხო ტრიბუნებმა, პომპეუსის მოკავშირეებმა, რომელიც არაფერს ზოგავდა, ოღონდ კი ამ ტრიბუნების გული მოეგო. 67 წელს, როცა მეკობრეთა საფრთხე უკვე შენელებული იყო, პომპეუსის მომხრემ, სახალხო ტრიბუნმა გ ა ბ ი ნ ი უ ს მ ა კომიციებში წინადადება შეიტანა მიეღოთ უფრო ენერგიული ზომები მეკობრეებთან ბრძოლის საქმეში და ამ მიზნით პროკონსულისთვის მიენიჭებინათ განუსაზღვრელი უფლებები. ამასთანავე პროკონსულის ვინაობა არ ყოფილა დასახელებული, მაგრამ ყველა კი მიხვედრილი იყო, რომ წინადადება გულისხმობდა პომპეუსს. სხვათა შორის, გაბინიუსის წინადადებას მხურვალედ უჭერდა მხარს მაშინ ჯერ ნაკლებად ცნობილი გაიოს იულიის ცეზარი. წინადადება მიღებულ იქნა.

როგორც პროკონსული პომპეუსი იღებდა არაჩვეულებრივ რწმუნებას, იმაზე მეტსაც კი, ვიდრე გაბინიუსი წინადადებას

[1] Plut., Pompeius, XXIV.

იძლეოდა. მას მიენიჭა „იმპერიუმი“ მთელ ხმელთაშუა ზღვაზე ჰერკულესის სვეტებამდე და მთელი ზღვის სანაპიროზე ზღვიდან 10 მილის მანძილზე. გარდა ამისა, პომპეუსს უფლება ჰქონდა თავისთვის აერჩია სენატორთა წრიდან 24 ლეგატი როგორც სათათბირო და მისდამი ყველაფერში დამორჩილებული ორგანო და ორი კვესტორი; მას შეეძლო სახელმწიფო თანხების თავისუფალი გამგებლობა, პუბლიკანებში სესხის აღება და 200 გემის შემადგენლობით ფლოტის აგება. ერთი მეორეზე მითვლით პომპეუსის მესვეურობის ქვეშ ირიცხებოდა 500 გემი, 120 ათასი ქვეითა ჯარისკაცი და 5 ათასი ცხენოსანი. პომპეუსის დანიშვნამ საზოგადოებაში დაშოშმინება შეიტანა და პროდუქტებზედაც ფასები დასწია.

პომპეუსის რწმუნებათა ვადა სამი თვით იყო განსაზღვრული, მაგრამ მან დაკისრებული საქმე შეასრულა 48 დღეში. ზღვა გაწმენდილ იქნა — 10 ათას მეკობრამდე ტყვედ იქნა წაყვანილი ან ბრძოლებში დაიღუპა, მეკობრეთა კოშკები მიანგრმოანგრიეს და გადაწვეს, გემები და მდიდარი ნადავლი ხელთ იგდეს რომაელებმა. მეკობრეებზე გამარჯვებამ პომპეუსს მოუპოვა რომის „პირველი მოქალაქეობა“ — პ რ ი ნ ც ე პ ს ო ბ ა (princeps civitatis) [1]. იტალიაზე გავლის დროს მას ეგებებოდნენ მრავალრიცხოვანი დელეგაციები და მიესალმებოდნენ, როგორც ძლევამოსილს. მისდამი მიძღვნილ უთვალავ წარწერებში პომპეუსს ყოველგვარი ქებით ამკობდნენ და ადიდებდნენ მას როგორც გმირსა და ღმერთს. ერთერთ ასეთ წარწერაში ნათქვამი იყო: „რაც უფრო მეტად თვლიდი შენს თავს ადამიანად, მით უფრო მეტად ხარ ღმერთიო“.

ხოლო წარწერის მეორე მხარეზე ეწერა: „გელოდით, მოგესალმეთ, გნახეთ, გაცილებთ“ [2].

2. პომპეუსის ბრძოლა აღმოსავლეთში

პირველ დანიშვნას მალე მეორე და უფრო მეტად მნიშვნელოვანი დანიშვნა მოჰყვა — პომპეუსი დანიშნულ იქნა სარდლად მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს თ ა ნ მ ე ს ა მ ე ო მ შ ი. თუმც იძულებული იყო დარდანის ხელშეკრულება ეცნო, მითრიდატე მაინც იმედს არა კარგავდა იმისას, რომ რომაელებს შებრძოლებოდა, მიეცემოდა თუ არა საამისოდ მარჯვე შემთხვევა. 70-იან წლებში ასეთი შემთხვევა მიეცა კიდეც.

პონტოს მეფემ დაუყოვნებლივ ისარგებლა მისთვის ხელსაყრე-

[1] C i c., De domo, 66.
[2] P l u t., Pompeius, XXXVII.

ლი სიტუაციით და, შეუკავშირდა რა მეკობრეებს, დიდის გაფაციცებით დაიწყო ახალი ომისთვის მზადება. რომთან მომავალი ომის დროს მითრიდატეს იმედი ჰქონდა იმისი, რომ მას მხარს დაუჭერდა მისი სიძე, სომხეთის მეფე ტიგრანი, ერთერთი მეტად ძლიერი აღმოსავლურ-ჰელინისტური მბრძანებელი, „მეფეთა მეფე", რომელმაც თავისი გავლენა განავრცო მთელ მცირე აზიის სანაპიროზე.

ამასთანავე ერთად მითრიდატეს იმედი ჰქონდა პართელთა მეფის ფრააატის დახმარებისაც, რომელსაც იგი საამბოხოდ ამხედრებდა.

„ნუთუ შენ, — სწერდა ფრააატს მითრიდატე, — ვერ იცნობ რომაელებს, რომელთა ძლიერება თავიდანვე დამყარებული იყო ძარცვა-რბევაზე, უცხოთა და სხვათა მიწების, ცოლების და სახლკარის ხელში ჩაგდებაზე? ისინი მსოფლიოს წყლულს წარმოადგენენ (peste conditos orbis terrarum) და უგულვებელჰყოფენ ღვთისა და ადამიანის კანონს... ყველა მეფესთან და ხალხთან მათი ომების ერთადერთი სტიმული არის ძალა-უფლებისა და სიმდიდრის გაუმაძღარი წყურვილიო" (cupido profunda imperii et divitiarum)[1].

მითრიდატესთან მ ე ს ა მ ე ო მ ი ს (74 — 64 წწ.) საბაბად შეიქნა ბითინიის საქმე. ბითინიის მეფის ნიკომედ ფილოპატორის სიკვდილის შემდეგ (74 წ.) ბითინიის სამეფო ნიკომედეს ანდერძით რომის ხელში გადავიდა, რის წინააღმდეგაც ამხედრდა პონტოს მეფე, ხელთ იგდო ბითინია და კაპადოკია, წინასწარ კი კავშირი დასდო სერტორიუსთან და მეკობრეებთან.

სერიოზული მდგომარეობის გამო, აღმოსავლეთის ფრონტზე სასწრაფო წესით გაგზავნილ იქნენ 74 წლის კონსულები ლ ი ც ი ნ ი უ ს ლ უ კ უ ლ უ ს ი და ა ვ რ ე ლ ი უ ს კ ო ტ ა, რომელთაც შეაჩერეს მითრიდატეს წინსვლა. ლუკულუსმა, რომელსაც თავის ლაშქრობათა გაბედულობისა და სიფართოვის გამო რომის ქსერქსე უწოდეს, დაიჭირა პონტო და ბითინია, დაამარცხა მოწინააღმდეგის ფლოტი კუნძულ ტენედოსთან და დაიწყო გაბედული და სარისკო ლაშქრობა სომხეთში ტიგრანის, პონტოს მეფის მოკავშირის, წინააღმდეგ. მაგრამ ლაშქრობა სომხეთში უაღრესად ძნელი აღმოჩნდა, ჯარი დრტვინავდა, სენატი უკმაყოფილო იყო სარდლის დამოუკიდებელი მოქმედებით, ხოლო მხედრები ლუკულუსზე აღშფოთებული იყვნენ აღმოსავლურ პროვინციებში ჩატარებულ რეფორმების გამო, რამაც შეკვეცა მათი ფინანსიური რწმუნებანი. მცირეოდენი დამარცხების შემდეგ მას მთავარსარდლის რწმუნებანი ჩამოართვეს და ისიც,

[1] Sallust., Hist., IV, fragm 69.

იძულებული შეიქნა თავისი ლეგიონები გადაეცა თავის მოადგილისათვის.

ლუკულუსის უკან დახევის შემდეგ მდგომარეობა აღმოსავლეთში კვლავ საშიშარი შეიქნა. მითრიდატემ თავი წამოჰყო. შავი და ხმელთაშუა ზღვები ხელთ იგდეს მეკობრეებმა, რომელნიც ახლა მომაგრდნენ იმ დარბევის შემდეგ, რაც განიცადეს პომპეუსისგან. ამის გამო შეწყდა რომში პურის შეტანა და რომის მოსახლეობაც გრძნობდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებულობას. ასეთი იყო რომში საქმეთა ვითარება, როცა 66 წ. სახალხო ტრიბუნმა გ ა ი ო ს მ ა ნ ი ლ ი უ ს მ ა კომიციებში შეიტანა წინადადება აზიასა, ბითინიასა და კილიკიაში უმაღლესი სარდლობის პომპეუსისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც იმჟამად აღმოსავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა.

„პომპეუსი, — ასე მეტყველებდა მანილიუსის წინადადება — მიიღებს ლუკულუსისგან თავის განმგებლობაში ყველა პროვინციას და ჯარს ბითინიასთან ერთად, რომელსაც მმართავს გლაბრიონი, და შემდეგ განაგრძობს ომს მითრიდატესა და ტიგრანთან; მას თავის განკარგულებაში ეყოლება ფლოტი და ექნება ზღვაზე განუსაზღვრელი უფლებანი იმავე პირობებში, როგორადაც ეს ჰქონდა მას თავდაპირველადო“ [1].

მანილიუსის წინადადებამ, ისევე როგორც ამას წინათ შეტანილმა გაბინიუსის წინადადებამ, გამოიწვია პროტესტი ოპტიმატების მხრივ. მაგრამ მდგომარეობა გადაარჩინა ციცერონმა, რომელმაც ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა „მანილიუსის კანონის“ დასაცავად. ისინიო, ვინც კვინტუს კატულუსივითა და ჰორტენზიუსისავით, ოპტიმატების წინამძღოლები რომ არიან და ლაპარაკობენ ერთი ადამიანისათვის ხელისუფლების არაჩვეულებრივ რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ, არაგონივრულად იქცევიანო. თვითონ საქმის ვითარება და ლოგიკა, წარმართული რომის ხალხის კეთილდღეობისა და სარგებლობისათვის, მოითხოვს ერთი ადამიანის ხელში ძალა-უფლების კონცენტრაციას. ეს დაურღვეველი სიცხადით დაგვანახვეს ახლო წარსულის ამბებმაო.

„საჭიროა მხოლოდ შეგნება მიმდინარე მომენტის მთელი საშინელებისა! აზიის პროვინციის დაკარგვა აურაცხელ უბედურებას განუმზადებს ჩვენს მოკავშირეებს, რომლებიც ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობასა და ღირსებასთან ერთად; იჩაგრებიან და ისჯებიან აგრეთვე გადასახადებისა და ბაჟების ნარდად შემსყიდველები (პუბლიკანები), ეს მეტად დარბაისე-

[1] Dio Cassius, XXXVI, 42, 4.

ლი და პატივცემული პირნი (homines honestissimi atque ornatissimi), რომელთაც ამ პროვინციაში დააბანდეს თავიანთი სახსრები (suas rationes et copias), და, ბოლოს, იჩაგრებიან დანარჩენი მოქალაქეებიც, რომელნიც დაკავშირებული არიან ნარდად შესყიდვის ოპერაციებთან. ხომ ვერ მოეწყობა სახელმწიფოში საქმე ისე, რომ მრავალთა დანაკარგმა გავლენა არ იქონიოს მოქალაქეთა უფრო მეტ რიცხვზე!" [1].

რაც შეეხება მანილიუსის მიერ დასახელებული კანდიდატის პირად ღირსებათ, ამაში, — აღნიშნავდა ციცერონი, — ეჭვი არ შეაქვთ თვით კატულუსსა და ჰორტენზიუსსაც კი. პომპეუსს აქვს ყველა ის თვისება, რაც ესაჭიროება სარდალსა და დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეს. „იგი შრომის ამტანია (labor in negotiis), ძლიერია საშიშროებათა დროს (fortitudo in periculo), ენერგიულია (industria in agendo), სწრაფია მოფიქრებული და დაწყებული გეგმის მიმართ (celeritas in conficiendo), გონიერია მომავლის წინასწარ განჭვრეტაში (consilium in providendo)" [2]. „ამ ღირსებათა წყალობით პომპეუსმა არა თუ გვიხსნა ჩვენ სირცხვილისა და უბედურებისაგან, არამედ იმასაც მიაღწია, რომ ჩვენ გვიყურებენ, როგორც ყველა ტომისა და ხალხის მიმართ ნამდვილ ძლევამოსილებს ხმელეთსა და ზღვაზეო" [3].

ციცერონის არგუმენტაცია საკმაოდ საფუძვლიანი და დამაჯერებელი აღმოჩნდა და მანილიუსის წინადადებაც მიღებულ იქნა. პომპეუსმა რომში არყოფნისას, დაუსწრებლივ, მიიღო უმაღლესი სარდლობა ახალ ომში მითრიდატეს წინააღმდეგ და განუსაზღვრელი უფლებანი პროვინციებში — აზიასა, ბითინიასა და კილიკიაში (66 წ.).

დავალება პომპეუსმა შეასრულა ოთხ წელიწადში (66—62 წწ.). როცა ის აღმოსავლეთში ჩავიდა, ყველაზე უფრო მძიმე საქმე უკვე შესრულებული და მოთავებული ჰქონდა ლუკულუსს. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ ეფრატთან, სადაც პონტოს მეფემ დაახლოებით 10 ათასამდე კაცი დაჰკარგა, პომპეუსმა გაილაშქრა მითრიდატეს მოკავშირეების — სომხეთის მეფის ტიგრანისა და პართიის მეფე ფრაატის — წინააღმდეგ. აიძულა ისინი ხელი აეღოთ მითრიდატესთან მოკავშირეობაზე და თავისი თავი ეცნათ რომის სარდლის ვასალებად. ტიგრანმა დასთმო თავისი სამფლობელოები მცირე

---

[1] Cic., Pro lege Man., 17—18.
[2] Ibid., 29.
[3] Ibid., 17—18.

აზიის სანაპიროზე — სირია, ფინიკია, კილიკია, გალატია და კაპადოკია. მოკავშირეებისგან მიტოვებული და რომის ლეგიონებისგან დევნილი მითრიდატე უკან იხევს კოლხეთის (Colchis) მიმართულებით, ხოლო აქედან თავის ბოსფორის სამფლობელოებში ყირიმის ნახევარკუნძულზე. პომპეუსმა დაიპყრო ქალაქი არტაქსატა და სომხეთის მეფე თავის ვასალად აქცია.

სომხეთიდან რომის არმია შეიჭრა კავკასიის მთებში, სადაც მას თავს ესხმოდნენ მთის ხალხები (ალბანები და იბერები), მდინარე მტკვრის (Cyrus) ხეობაში, კავკასიის სამხრეთ ნაწილში რომ ცხოვრობდნენ. „ბედნიერ კოლხეთში" (რიონის ხეობა) ხმელეთის ჯარმა მიიღო დახმარება რომის ფლოტისგან, რომელიც მოქმედებდა შავ ზღვაში. პომპეუსმა ფლოტს მიანდო მითრიდატეს დევნა, თავად კი გაემართა ჰირკანის (კასპიის) ზღვისკენ, მაგრამ ეს გზა სავსებით დაუძლეველი აღმოჩნდა. გზის გაკვლევა ჯარს უხდებოდა მთის ბილიკებით, შემდეგ უწყლო, უდაბურ ადგილებით, თან მიჰქონდათ რა 10 ათასი გუდა, წყლით ავსებული. გარდა ამისა, ჰირკანიაში იშდენად ბევრი იყო შხამიანი გველი, რომ მათ წინაშე რომის ლეგიონებიც კი შედრკნენ. ამან აიძულა პომპეუსი მცირე სომხეთისკენ დაეხია. აქედან 64 წ. ტავრით იგი გადავიდა სირიაში და ხელი მიჰყო მცირე-აზიურ სამფლობელოთა რეორგანიზაციას. ამ რეორგანიზაციის შედეგად კილიკია გაერთიანებულ იქნა პამფილიასა და ისავრიასთან, ხოლო სირია გადააქცია რომის პროვინციად.

სირიიდან პომპეუსი დაიძრა პალესტინისკენ, რომელიც წინათ სელევკიდებს ეკუთვნოდა, მერე კი რომის დახმარებით გადაქცეულ იქნა დამოუკიდებელ სამეფოდ — ი უ დ ე ა დ. ამ დროს ი უ დ ე ა შ ი მიმდინარეობდა ბრძოლა უმაღლეს ხელისუფლების ორ პრეტენდენტს — ძმათა ჰირკანსა და არისტობულეს შორის, რომელთაც დავის გადასაწყვეტად მიმართეს რომის მოადგილეს. ჰირკანს მხარს უჭერდნენ ფარისეველნი, არისტობულეს — სადუკეველნი.

პომპეუსმა მხარი დაუჭირა ჰირკანს და შეიპყრო არისტობულე, რომლის მომხრეები ჩაიკეტნენ ერუსალიმის ტაძარში და მთელი სამი თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული იყვნენ. ბოლოს, ტაძარი აღებულ იქნა (63 წ.). პომპეუსი შევიდა მის მთავარ ნაწილში („წმინდათა წმინდაში"), წაიღო ტაძრის განძეულობა და სიწმინდენი და იუდეის მმართველად დანიშნა უმაღლესი ქურუმი ჰირკანი, რომელმაც თავისი თავი იცნა რომის ვასალად.

იერუსალიმის გარემოცვის დროს მოვიდა ცნობა მითრიდატეს სიკვდილის შესახებ, რომელიც საწამლავისგან გარდაიცვალა პანტიკაპეაში, დაბადებიდან 68 წლისა. მითრიდატეს სიკვდილის ამბავმა

ნამდვილი ზეიმი და სიხარული გამოიწვია რომის საზოგადოებაში, რომელიც ახლა გათავისუფლდა თავის უაღრესად ნიჭიერ და შეურიგებელ მტრისაგან.

„ჯარისკაცთა სიხარული გამოიხატა მთელ რიგ მსხვერპლშეწირულებებსა და ქეიფ-ნადიმებში. მითრიდატეს სახით რომს მოუკვდა ათასი მტერი. პომპეუსმა დაინახა, რომ მის ღვაწლსა და ლაშქრობას სრულიად მოულოდნელად ადვილად მოევლინა დასასრული და დაუყოვნებლივ შეუდგა არაბეთიდან უკან დახევას“ [1].

იუდეიდან პომპეუსი გაემართა პონტოში, ხელთ იგდო პონტოს მეფის განძეულობა და მონები, ხოლო თვით პონტოს სამეფო გადააქცია რომის პროვინცია პ ო ნ ტ ო დ (Pontus).

აღმოსავლეთის პროვინციები შესდგებოდა მთელ რიგ წვრილ და დამოკიდებულ სახელმწიფოთა და ქალაქებისგან. რომაელები ქალაქებს მფარველობას უწევდნენ, როგორც საორგანიზაციო ცენტრებს, მმართველობისა და კულტურის ცენტრებს. პომპეუსის დროს დაარსებულ იქნა 40-მდე ახალი ქალაქი და განახლებულ-შეკეთებულ იქნა მრავალი ძველი ქალაქი. ყველგან ჩნდებოდა პომპეოპოლისები, ნეოპოლისები, ნიკოპოლისები, მაგნოპოლისები, დიოპოლისები და ამგვარი სხვა ქალაქები. ახალ ქალაქებსა და პროვინციებში რომის ვაჭრობასა და მევახშეობას ეხსნებოდა მოღვაწეობის ფართო სარბიელი. ლუკულუსის მიერ შემოღებული შეზღუდვანი მსწრაფლ გაუქმებულ იქნა, მითრიდატეზე პირველ გამარჯვებისთანავე.

62 წელს აღმოსავლეთის კამპანია დამთავრებული იყო. აღმოსავლეთმა მუხლი მოიდრიკა რომის წინაშე, რომელიც შეენაცვლა უფლებებში ჰელინისტურ მეფეებს. მონათფლობელურმა რომმა პომპეუსის სახით დიდი გამარჯვება მოიპოვა. აღმოსავლეთის პროვინციებისა და ვასალურ სამეფოთა ადგილობრივი მოსახლეობა პომპეუსს უყურებდა როგორც მეორე ალექსანდრე მაკედონელს. თავისი ძლევამოსილებითა და გამარჯვებათა სახელით და დიდებით აღსავსე, საერო და სასულიერო ვასალებით, უთვალავი მსახურებით და აღმოსავლური ფუფუნებით გარემოცული პომპეუსი თავის თავს გრძნობდა ნამდვილ „მეფეთა მეფედ“.

62 წელს პომპეუსი გადმოვიდა ბრუნდიზიუმში. შემდგომ 61 წელს დღესასწაულებრ გადახდილ იქნა ბრწყინვალე ტრიუმფი, რომელიც ყველა შემდგომ ტრიუმფების ნიმუშად და მისაბაძ მაგალითად შეიქნა. ტრიუმფის დროს მოჰქონდათ დაფები იმ ქვეყნებისა და ხალხების სახელთა აღნიშვნით, რომელნიც კი პომპეუსის

[1] Plut., Pompeius, XXII.

მიერ იქნენ დამარცხებული. მრავალ სხვა ტყვეთა შორის ტრიუმფში მიდიოდა სომხეთის მეფის ტიგრანის შვილი, იუდეის მეფე არისტობულე. მითრიდატეს შვილები, ალბანელები, იბერიელები და მრავალი სხვანი, რომისათვის მანამდე ნაკლებ ნაცნობი ეროვნებანი. აღებულ ციხე-სიმაგრეთა, ქალაქებისა და გემების რაოდენობა ათასობით აღირიცხებოდა. სახელმწიფო ხაზინაში შეტანილ იქნა 20 ათასი ტალანტი ოქრო და ვერცხლი, ფული და ნივთეულობა, ასე რომ სახელმწიფო შემოსავალმა აიწია 15 მილიონიდან 85 მილიონ დენარამდე.

8. პოლიტიკური ცხოვრება რომში რესპუბლიკის დასასრულს

იმ დროს, როდესაც პომპეუსი აღმოსავლეთში საქმეებს აწესრიგებდა, თვითონ რომში მძვინვარებდა პარტიათა და კოტერიების გაშმაგებული ბრძოლა. მაშინ, როდესაც მონები და თავისუფალთა დაბალი ფენები იბრძოდნენ მონობისგან გათავისუფლებისათვის, მიწების გადამიჯვნისა და ვალების კასაციისათვის, მაგნატები ერთმანეთს ეცილებოდნენ სახელმწიფოში უმაღლესი ძალა-უფლებისათვის. მაგნატების ძალას შეადგენდა მათი სიმდიდრე, მიწები (ლატიფუნდიები) და კლიენტები, რომელთაც იზიდავდნენ საზოგადოების ყველა ფენიდან. თვითეული მაგნატის ზურგს უკან იდგა მთელი ლაშქარი მისი მეგობრებისა, კლიენტებისა და მონებისა. თავისი კლიენტებისგან რომაელი მაგნატები — პ ო მ პ ე უ ს ი, კ რ ა ს უ ს ი, დ ო მ ი ც ი უ ს ა გ ე ნ ო ბ ა რ ბ ი, ც ე ზ ა რ ი და სხვანი — აწყობდნენ მთელ არმიებს, უდგებოდნენ მათ სათავეში და ისე ებრძოდნენ ერთიმეორეს რესპუბლიკაში უმაღლესი ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად.

პომპეუსის ქონება, რომლის ვასალებად იყვნენ არა მარტო ცალკეული პირები, არამედ მთელი ქალაქები და პროვინციებიც კი, აღირიცხებოდა რამდენიმე ათეულ მილიონ სესტერციით. პომპეუსის მოკავშირემ დომიციუს აგენობარბმა ცეზარისა და პომპეუსის ომის დროს თავისი კაცებისგან — მონებისა, აზატებისა და კოლონებისგან — შეადგინა ფლოტილია შვიდი მსწრაფლმავალი გემის რაოდენობით და ამ ფლოტილიით მასილიას ალყა შემოარტყა (navibus actuariis septem, quas Igili et in Cosano a privatis coactas servis, libertis, colonis suis compleverat)[1].

მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი კ ლ ი ე ნ ტ უ რ დამოკიდე-

[1] C a e s., De bell. civ., I, 34.

ბულებაში ჰყავდათ მაგნატებს, რომელთაც ეს ნაწილი უყურებდა როგორც თავის მფარველებს. რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეში წესადაც კი იყო მიჩნეული, რომ ყოველი ადამიანი ყოფილიყო ვისიმე კლიენტი (hominem alicuius), ყოფილიყო ვისიმეს მფარველობის ქვეშ (se commendare alicui). კლიენტებს შეიძლებოდა თავისი კლიენტები ჰყოლოდათ, ასე ვთქვათ, მეორე ხარისხის კლიენტები და, ამრიგად, წარმოიქმნებოდა კლიენტურ დამოკიდებულებათა და ურთიერთობათა იერარქიული კიბე. რესპუბლიკის ბოლო საუკუნეებში საარჩევნო კამპანიები როგორც ცენტრსა, ისე პროვინციებში, არსებითად რომ ითქვას, მარტო იმაში გამოიხატებოდა, რომ კლიენტები თავის მხარეზე მიებირებინათ და ამომრჩეველთა ორგანიზაცია მოეწყოთ. არჩევნების ბედი, კანონპროექტების მიღება თუ უარყოფა დამოკიდებული იყო კლიენტების რიცხვზე და მოხერხებულ აგიტაციაზე.

სპეციალური სახელმძღვანელოებიც კი არსებობდა სახელმწიფო თანამდებობათა მოპოებაში მოცილეთათვის; აქ გადმოცემული იყო აგიტაციის მეთოდები, აგრეთვე კლიენტების შეძენისა და მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის ხერხები. ერთერთ ასეთ სახელმძღვანელოში სწერია: თავდაპირველად საჭიროა აგიტაციის გაწევა საკუთარ მეგობრებსა და კლიენტებს შორის, მერე უნდა გამოხვიდე უფრო ფართე სარბიელზე და შენკენ მიიზიდო, რაც შეიძლება ბევრი რაოდენობით, ამომრჩევლებიო.

თავის მხარეზე ამომრჩეველთა და მეგობრების მიბირების უაღრესად სწორ საშუალებად მიჩნეული იყო მოფერება, ქველმოქმედება (benignitas), სიუხვე (liberalitas), დაჟინება, პირმოთნეობა (blanditio), ყველაზე უფრო მეტად კი გამასპინძლება და დასაჩუქრება. მოქალაქეთა თვითეულ კატეგორიისათვის განსაკუთრებული მეთოდები იხმარებოდა: მაგისტრატების მიმართ — ერთნაირი, საქალაქო თემებისა და კავშირების მიმართ — მეორეგვარი, პლებსის დაბალი ფენების მიმართ (infima plebs) — მესამენაირი. ამ მიზნით ცალკე კატეგორიად გამოიყოფოდნენ კოლექტიური ერთეულები: სახელოსნო კორპორაციები, თემები, კავშირები და სათვისტომოები. წარმატებითი აგიტაციისათვის აუცილებლივ საჭირო იყო წინასწარი მუშაობა მოსახლეობაში მისი შემადგენლობის, რაოდენობის, განწყობილების და ამომრჩეველთა ზნე-ჩვეულების შესწავლის მიზნით, და არა მარტო თვითონ რომისა და იტალიის ამომრჩეველებისა, არამედ პროვინციებისაც.

„წარმოიდგინე გონების თვალით და მტკიცედ აღიბეჭდე მეხსიერებაში მთელი იტალია თავისი ტრიბებად დანაწილებით; გადა-

არჩიე შენს გონებაში ყველა მუნიციპია, კოლონია, პრეფექტურა, რომ არცერთი ადგილი არ დარჩეს ქვეყნად, სადაც კი შენ დასაყრდენი არ გექნება; გამოიკითხე და უთვალთვალე ყველა ოლქის ხალხს; გაეცანი მათ, სთხოვე, ათასი დაპირება მიეცი, დაარწმუნე, ეცადე, რომ ისინი შენი მომხრენი იყვნენ თავიანთი ადგილის ფარგლებში და რომ ისინი კანდიდატებივით იყვნენ შენი საქმისა“ [1].

მაგრამ ყოველივე ამას წარმატება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგიტაციას თან ახლავს საერთო-სახალხო ნადიმი (epulae), გამასპინძლება, გაბოძებანი და დღესასწაულები.

რომის რესპუბლიკის დასასრულის ისტორიიდან შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა, რაც ნათელჰყოფს პოლიტიკური აგიტაციის ზემორე აღნიშნულ პროგრამას. ამომრჩეველთა „მრავალრიცხვოვანი-ბრბოის“ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქრთამვას მიმართავდა ყველა ჩვენი ნაცნობი პოლიტიკური მოღვაწე გვიანარეს-პუბლიკური რომის დროისა, უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, მაგნატები. პომპეუსი მასპინძლობასა და გაბოძებას თავის ბაღებში აწყობდა, კრასუსმა იკისრა ქალაქის მოსახლეობის პურით მომარაგება სამი თვის განმავლობაში, ცეზარმა 60 წელს კონსულობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა მოქრთამა ხმისმიმცემი ცენტურიები. პოლიტიკური მოქრთამვის გამართლებას თეორიული ხასიათის საპუთებითაც კი ცდილობდნენ. ასე, მაგალითად, მარკოს ტულიუს ციცერონი ფიქრობდა, რომ პოლიტიკური მოქრთამვანი დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თუ კი ეს მოქრთამვა მეტად ტლანქი და უხეში არაა, არაფერს სააუგოს და საძრახისს არ წარმოადგენს: ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა ყოველ „თავისუფალ“ სახელმწიფოშიო.

„ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ იმ ხალხმა, რომელნიც ჩვენზე ამყარებენ მთელ თავის იმედს, ჩვენც აგრეთვე რაიმე მოგვცეს: იმათ არ შეუძლიათ არც ჩვენი დაცვა სასამართლოში, არც მძევლებად ყოფნა, არც თავის სუფრაზე ჩვენი მიწვევა, იმათ არაფერი არ გააჩნიათ, გარდა თავისი ხმებისაო“ [2].

როცა საკუთარი თანხები არ იყო საკმარისი, მაშინ საზოგადოებრივი თანხები და სახსრები იხარჯებოდა: მასის კვება სახელმწიფოს ხარჯზე, ვალების ნაწილობრივი ან სრული კასაცია (tabulae novae), ნადავლის დარიგება, დღესასწაულთა მოწყობა და ასპარეზობანი — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც შემდეგ ხანებში გაერ-

---

[1] Cic., De petitione consulatus, 30—31.

[2] Cic., Pro Murena, 34.

თიანდა „პურისა და სანახაობათა პოლიტიკის“ საერთო სახელით. I საუკ. შუა ხანებში მარტო რომში იაფი პურის მიმღებთა რიცხვი, იმ რომში, სადაც მოსახლეობა დაახლოებით ერთ მილიონს შეადგენდა, ავიდა 320 ათასამდე. იგივე, ოღონდ, რასაკვირველია, უფრო მცირე მასშტაბით, ხდებოდა მუნიციპიებსა და პროვინციებში. თუ გამარჯვებით და წარმატებით დათავდებოდა საარჩევნო საქმე, მაშინ დახარჯული ქონება ერთი-ათად ანაზღაურდებოდა ხოლმე ომებისა და პროვინციათა მართვა-გამგეობის დროს. პროვინციებში კი ისეთი ყოვლად შემძლე მაგნატები, როგორიც იყო პომპეუსი ესპანეთში ანდა ცეზარი გალიაში, თავიანთ თავს გრძნობდნენ ნამდვილ „კოლონიურ იმპერატორებად“.

4. მარკოს ტულიუს ციცერონი

ძველი წელთაღრიცხვის 60-იანი წლების ერთერთი მეტად თვალსაჩინო პოლიტიკური პიროვნება იყო **მ ა რ კ ო ს ტ უ ლ ი უ ს ც ი ც ე რ ო ნ ი** (Marcus Tullius Cicero, 106—43 წწ.). ციცერონი იყო მარიუსის თვისტომი, დაიბადა ქალაქ არპინუმის მახლობლად, ზემო ლირისაში, რომაელი მხედრის ოჯახში. გადმოცემის თანახმად, ციცერონის წინაპრები დროს ატარებდნენ და ცხოვრობდნენ სოფლად, მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით კი ცერცვის მოყვანას, საიდანაც მომდინარეობს მისი ზედმეტი სახელიც „ციცერონი“ (Cicero, cicer — ცერცვი, მუხუდო). თუმცა საშუალო შეძლების პატრონი იყო, ციცერონმა მაინც მიიღო ბრწყინვალე ფილოსოფიურ-ლიტერატურული და საორატორო განათლება. რომში ის მეცადინეობდა გამოჩენილ ორატორთან ლიციინიუს კრასუსთან, იურისტ კვინტუს მუციუს სცევოლასთან, ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ათენში და კუნძულ როდოსზე. ციცერონი მონაწილეობას იღებდა მოკავშირეთა ომში, დამსწრე იყო მარიუსისა და სულას ბრძოლისა, მოესწრო და გამოიარა სულასეული დიქტატურის ხანა და სპარტაკის აჯანყება. როგორც ვექილი, ციცერონი პირველად გამოვიდა პუბლიუს კვინქციუსის საქმეზე, ხოლო მერე, 80 წელს, სექსტუს როსციუს ამერიელის საქმეზე. პოპულარული კი ციცერონი ხდება სიცილიის პრეტორის ვერესის (Verres) გახმაურებულ პროცესის შემდეგ: ვერესი სულას მომხრე ოპტიმატი იყო და მას ბრალად დასდეს უფლებათა გადაჭარბება და პროვინციის გაძარცვა.

თავისი ბრალდება ახალგაზრდა ვექილმა ციცერონმა მეტად ეფექტურად ააგო, გადაშალა რა იმ დროს არაპოპულარული ოპტი-

მატების ერთერთი წარმომადგენლის უკონტროლო სამეურნეო მოქმედების სურათი. ვერესის საქმემ, რომელმაც რომი მიატოვა სასამართლო პროცესის დასაწყისში, დიდი ზიანი მიაყენა ოპტიმატებს, განამტკიცა მხედრები და დასაბამი მისცა ციცერონის სავექილო, სალიტერატურო და საპოლიტიკო კარიერას. სულას შემდგომ ხანაში არ ყოფილა არცერთი რამოდენიმედ მაინც თვალსაჩინო მოვლენა რომის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რომ მასში ციცერონს არ მიეღოს მონაწილეობა.

ისტორიკოსისათვის ციცერონი ინტერესს იმიტომ წარმოადგენს, რომ ის უფრო მკაფიოდ და სრულად, ვიდრე სხვა რომელიმე მისი თანამედროვე, თავის მრავალრიცხოვან, ფორმით ბრწყინვალე და შინაარსით მრავალფეროვან სიტყვებში, ფილოსოფიურ ტრაქტატებში და წერილებში ასახავს რესპუბლიკის ბოლოდროინდელი რომის ისტორიის ყველა პერიპეტიას. ციცერონის სასამართლო-პოლიტიკური სიტყვები, ფილოსოფიური ტრაქტატები და წერილები უმდიდრეს მასალას შეიცავს და ეხება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მხარეს. მისი ნაწარმოებები ეს ის სარკეა, რომელიც თავს უყრის და ასახავს რომის რესპუბლიკის სოციალური ცხოვრების და კულტურის მოძრაობათ.

ისტორიის სარბიელზე ციცერონის, სიტყვის სრული მნიშვნელობით „ახალი ადამიანის", გამოჩენა მოწმობდა რომის საზოგადოების მაღალ ინტელექტუალურ დონესა და მიუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელსაც მაშინ თამაშობდა რომის საზოგადოებაში ინტელიგენცია, — პოლიტიკოსები, მწერლები, ვექილები და პოეტები. პომპეუსის, კრასუსის, ცეზარისა და სხვა მაგნატებისა და სამხედრო წინამძღოლებისაგან განსხვავებით, ციცერონი არც მაგნატი იყო, არც სამხედრო, არც არისტოკრატი. საშუალო შეძლების ადამიანი, იგი დაწინაურდა თავისი პირადი ნიჭის, მჭევრმეტყველებისა, ლიტერატურული ტალანტისა და ენციკლოპედიური განათლების წყალობით.

ახალგაზრდობაში ციცერონი ახლოს იდგა პოპულარებთან, შემდეგ ოპტიმატებისკენ გადაიხარა, ხოლო უფრო გვიან პრინციპატის იდეოლოგი შეიქნა. ციცერონის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი დ ე ა ლ ი გამოხატულია მის მთავარ ტრაქტატებში—„სახელმწიფოს შესახებ" (De re publica) და „კანონების შესახებ" (De legibus), და ასახულია აგრეთვე მის პოლიტიკურ სიტყვებში და მიწერ-მოწერაში. ციცერონის თანახმად, იდეალურ წესწყობილებას წარმოადგენს ისეთი პოლიტიკა, სადაც არსებობს წოდებრივი ჰარმონია (concordia ordinum); ამ ჰარმონიის მიღწევა შეიძლება დაპირის-

პირებული კონსტიტუციური ელემენტების — არისტოკრატიისა, დემოკრატიისა და მონარქიის — წესიერი თანაშეფარდებით და თანაგანწყობით. სახელმწიფოში უმაღლესი წოდება უნდა იყოს მიწათმფლობელი არისტოკრატია, რომელიც შეივსება, ამოწყვეტა-გადაგვარებისა და დახავსიანების თავიდან ასაცილებლად, ახალ-ახალი ძალებით სხვა წოდებათა წრიდან. ისტორიისათვის ცნობილ პოლიტიკურ ფორმებს შორის — მონარქიასა, არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის — თვითეულს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, და გარკვეულ პირობებში ყოველი პოლიტიკური ფორმა, საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით, ცუდიც შეიძლება იქნას და აგრეთვე კარგიც. მაგრამ მაინც ყველაზე უფრო საუკეთესო არის ნარევი ფორმა, როდესაც მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული ელემენტები თავსდება შეხამებითო.

„შენ მიერ დასახელებულ სამ პოლიტიკურ ფორმას შორის, — ეკითხება სციპიონს ლელიუსი, დიალოგის „სახელმწიფოს შესახებ"-ის ერთერთი მონაწილე, — რომელი მიგაჩნია უფრო საუკეთესოდ?" (quid maxime probas)[1]. „არსებითად რომ ითქვას, არცერთი არ მიმაჩნია, — მიუგებს სციპიონი, — თვითეულს მათგანზე, ცალ-ცალკე აღებულზე, უკეთესად ვთვლი სამივედან შედგენილსა და ნარევ ფორმასო" (anteponogque singulis illud, quod conflatum fuerit ex omnibus)[2].

„საუკეთესო პოლიტიკური კონსტიტუცია ის კონსტიტუცია იქნება, რომლის მოქმედების დროსაც წესიერი პროპორციით შეთავსდება სამი პრინციპი: მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული"[3].

ასეთი კონსტიტუციის დროს შეინახება საუკეთესო პრინციპები, რომელნიც სხვადასხვა პოლიტიკური კონსტიტუციის შესაბამნი და თანაარსნი არიან: მეფის პატრიარქიული სიყვარული (caritas), საუკეთესო ადამიანთა გონიერება (consilium optimatum) და თავისუფლებისადმი სიყვარული ხალხისა (libertas populi). გარეული მხეცები და ნადირებიც კი ისე არაფერს არ შესტრფიან და უფრთხილდებიან, როგორც თავისუფლებას (libertate ne feris quidem quicquam esse dulcius)[4]. ხოლო მონარქიული ან კიდევ არისტოკრატიული წესწყობილების დროს საზოგადოებრივი ცხოვრების

---

[1] Cic., De re publica, I, 35.
[2] Ibidem.
[3] Ibid., II, 24; Nonius, IV, 292.
[4] Ibid., I, 35.

ასეთი საფუძველი არ არსებობს, და ხალხი, პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული, მონის მდგომარეობამდე ქვეითდება. არ შეიძლება რაღაც იქნას იმაზე უკეთესი, ლამაზი და ბედნიერი, ვიდრე ის მდგომარეობა, როდესაც უმაღლესი უფლება სახელმწიფოში — გამოსცეს კანონები, გაასამართლოს და დანიშნოს სათანამდებო პირნი — აი ეს უფლება ხალხს ეკუთვნისო (si vero ius suum populi teneant)[1].

თუ შეუძლებელია, როგორც ფიქრობს ზოგიერთი ფილოსოფოსი, ქონებრივი და ინტელექტუალური თანასწორობა, მაშინ პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობა მაინც უნდა იყოს და არსებობდეს. „არცერთს სხვა სახელმწიფოში, გარდა ისეთისა, სადაც უმაღლესი ძალა-უფლება ეკუთვნის ხალხს (in qua populi potestas summa est), არ შეიძლება თავისუფლება არსებობდეს“[2].

სახელმწიფოში ხალხის სუვერენიტეტის თეორიული აღიარება, ციცერონის თეორიით, არ გამორიცხავს, თავისთავად ცხადია, არც მონათმფლობელობას, არც წოდებათა არსებობას თვით სამოქალაქო თემის შიგნით, არც ქონებრივ უთანასწორობას არც სახელმწიფო სამსახურში მდგომარეობის არაერთიანობას. მის მიერ კონსტრუირებული იდეალური საზოგადოება, რაგინდ იგი ფორმალურად სავსებით დემოკრატიული იქნეს, არსებითად რჩება მონათფლობელური და არისტოკრატიული. ხალხის სანქცია საჭიროა იმისთვის, რომ შიგნით „წოდებრივი ჰარმონია“ შენარჩუნებულ იქნას და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას რომის ბატონობა პროვინციებში.

არისტოკრატია შეიწოვს იმ სიცოცხლისუნარმქონე ელემენტებს, რომელნიც გამოდიან მოქალაქეთა ჩვეულებრივი მასისგან და აღზევდებიან თავისი სიმდიდრითა და პირადი დამსახურებით. არსებობის ძირითად ეკონომიურ წყაროდ ციცერონს მიაჩნია მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, როგორც თავისუფალი ადამიანისთვის ყველაზე უფრო საპატიო და ღირსეული მოსაქმეობა. „არაფერი არაა მიწათმოქმედებაზე საუკეთესო, მასზე უფრო უხვი და ბარაქიანი, არაფერია მასზე უფრო სასიამოვნო, არაფერია მასზე უფრო ღირსშესაბამი თავისუფალი ადამიანისათვის“.

ხოლო მოსაქმეობის ყველა დანარჩენ სახეობათ — ფულად ოპერაციებს, მსხვილ ვაჭრობას და ინტელიგენტურ პროფესიებს — ის განიხილავს როგორც მეორე ხარისხის პროფესიებს, რო-

---

[1] Cic., De re publica, I, 32.

[2] Ibid., I, 31.

მელნიც მეტნაკლებად შესაწყნარი, დასაშვები და საჭირონი არიან სახელმწიფოს არსებობისთვის. ამ საკითხში ციცერონი ისეთივე იდეოლოგი არის აგრარულ-მონათფლობელური სახელმწიფოსი, როგორიც იყვნენ მისი ბერძენი მასწავლებლები — არისტოტელე და პოლიბიოსი.

ციცერონის არისტოკრატიზმი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოსჩანს სახელოსნო საქმიანობის მიმართ, როგორც არსებობის წყაროს მიმართ, ზიზღით სავსე განწყობაში. ტრაქტატში „მოვალეობათა შესახებ" (De officiis) ციცერონი განასხვავებს ორ რიგს მოსაქმეობას: მოსაქმეობა საპატიო, ღირსშესაბამი თავისუფალი მოქალაქისა (liberales) და მოსაქმეობა ჭუჭყიანი (sordidi), დამამცირებელი და არაღირსშესაბამი თავისუფალი მოქალაქისათვის. უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის სამუშაო, რაც დაკავშირებულია ფიზიკური შრომის გასამრჯელოს მიღებასთან. სახელოსნოში არ შეიძლება წესიერი ადამიანი შეიქნეო — ასეთია ციცერონის თვალსაზრისი, უაღრესად ტიპიური და დამახასიათებელი მონათფლობელური სახელმწიფოსათვის.

„ეს ხალხი — მსახურნი და ხელოსნები, — რომელიც იღებს თავისი ფიზიკური შრომისათვის გასამრჯელოს, ამით თითქოს ასხვისებს თავის პიროვნებას ან, სხვანაირად რომ ითქვას, ჰყიდის თავის თავს მონად..." (opifices omnes in sordida arte versantur nec enim quidquam ingenuum habere potest officina)[1].

უფრო საპატიოა მსხვილი ვაჭრების პროფესია, რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა, (magna et copiosa mercatura), და, პირიქით, საძულველია წვრილი ვაჭრობა, როცა ასეთ ვაჭარს ხელით დააქვს საქონელი ან რითიმე გადააქვს ადგილიდან ადგილზე. ინტელიგენტურ პროფესიათა შორის ყველაზე უფრო პატივმოსილია ხელოვნებანი (artes), მედიცინა, არქიტექტურა და მასწავლებლობა რასაც მოაქვს დიდება და საგრძნობი შემოსავალი[2].

ციცერონის მიხედვით, სახელმწიფო ძალა-უფლების ამოცანა მდგომარეობს „წოდებრივი წონასწორობის" (concordia ordinum) დაცვაში უმაღლესი კლასების — ოპტიმატებისა და მხედრების ბატონობის შენარჩუნებით. მ ა ნ ი ლ ი უ ს ი ს კანონის დასაცავად წარმოთქმულ და მომდევნო სიტყვებში და ტრაქტატებში ციცერონი მიისწრაფოდა მოერიგებინა ოპტიმატები და მხედრები საერთო ინტერესების, შინაგან და საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე.

---

[1] Cic., De officiis, I, 42.
[2] Ibid.

64 წელს ციცერონი გაიოს ანტონიუსთან ერთად არჩეულ იქნა კონსულად 63 წლისათვის. ოპტიმატებმა და მხედრებმა ციცერონი გაიყვანეს მეორე კანდიდატის — სულას მიმდევარ ლუციუს სერგი კატილინას წინააღმდეგ.

ციცერონის კონსულობა აღინიშნა რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მომხდარი ორი უდიდესი მოვლენით — სერვილიუს რულუსის აგრარული კანონპროექტითა და კატილინას შეთქმულებით.

5. სერვილიუს რულუსის აგრარული კანონპროექტი

64 წ. დეკემბერში სახალხო ტრიბუნი გ ა ი ო ს ს ე რ ვ ი ლ ი უ ს რ უ ლ უ ს ი (G. Servilius Rullus) გამოვიდა აგრარული კანონპროექტით (lex Serwilia). თავისი განზრახულობით რულუსის კანონპროექტი ფართო და გაბედული იყო: რულუსი ფიქრობდა მიწები მიეზომა რომის პროლეტარებისა და ვეტერანებისათვის გრანდიოზული, მანამდე არნახული რაოდენობით. განსხვავებულად წინა კანონებისაგან, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთებს (ასიგნაციებს) არიგებდნენ თითქმის განსაკუთრებით მარტო სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან, სერვილიუს რულუსი ფიქრობდა გამოეყენებინა იტალიაში გადარჩენილი მარაგი სახელმწიფო მიწებისა (ager publicus), ხოლო მიწების მეტი წილი კი, რაც საჭირო იყო გათვალისწინებულ კოლონიათა მოსაწყობად, შეეძინა პროვინციებში—ქალაქებისა და კერძო პირებისაგან. ეს იყო მეტისმეტად რთული ოპერაცია, რომელიც მოითხოვდა დიდ სახსრებს, ხანგრძლივ დროსა და უამრავ ძალას. ამ ოპერაციისათვის საჭირო ფულადი სახსრების გამოსანახად, მიწების შესაძენად და გადასამიჯნავად ნაგულისხმევი იყო სპეციალური ა გ რ ა რ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ი ს შექმნა 10 კაცისაგან; ამ კომისიას ფართო რწმუნება ეძლეოდა და თავის განკარგულებაში უნდა ჰყოლოდა 200 კაცის შტატი. დეცემვირების აგრარულ კომისიას ენიჭებოდა განსაკუთრებული რწმუნებანი შინაგანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში და, არაპირდაპირ, საგარეო პოლიტიკის საკითხებშიაც. კომისიას უფლება ეძლეოდა იტალიასა და პროვინციებში მიწები შეეძინა იმ რაოდენობით, რამდენიც მოესურვებოდა და ეს მიწები გაენაწილებინა საკუთარი შეხედულებისამებრ. ხოლო ამისთვის საჭირო თანხების მიღებას ვარაუდობდნენ პროვინციებში — მაკედონიასა, სიცილიასა, აფრიკასა და ეგვიპტეში — სახელმწიფო მიწების მასობრივი გაყიდვის საშუალებით. გარდა ამისა კომისიის განკარგულებაში გადადიოდა ბაჟების,

შეათვედებისა და გამოსაღებთა თვალსაჩინო ნაწილი და პომპეუსის სამხედრო ნადავლის ნაშთი.

დეცემვირების განზრახულ აგრარულ კომისიის სათავეში უნდა ჩამდგარიყვნენ კრასუსი და ცეზარი, რომელნიც რულუსის პროექტისათვის მხარის დაჭერაში კომპენსაციას იღებდნენ და ამ გზით იმედოვნებდნენ შეესუსტებინათ თავიანთი მოქიშპის — პომპეუსის გავლენა. თავისი კანონით რულუსი ლამობდა გაეთავისუფლებინა რომი ლუმპენპროლეტარების საშიშ სიმრავლისაგან, რომლებითაც სავსე იყო მსოფლიოს სატახტო ქალაქი.

მიუხედავად იმისა, რომ რულუსის პროექტი სავსებით დასაბუთებული იყო და სახელმწიფო თვალსაზრისითაც მიზანშეწონილი, მაინც მას სასტიკი ოპოზიციით შეხვდნენ ოპტიმატები და მხედრები. ოპტიმატების შეხედულებით, განუსაზღვრელი უფლებებით შემოსილი დეცემვირების კომისიის შექმნა პირდაპირი და აშკარა შეტევა იყო სენატის უმაღლესობაზე. რულუსის პროექტი სახარბიელო და წარმტაც პერსპექტივას ვერ უქადდა აგრეთვე მხედრებსა და ქალაქის პლებეებს, რომელთაც არ უნდოდათ ხელი აეღოთ მსოფლიო ქალაქის ჩვევებზე. ოპოზიციის მეთაური იყო ც ი ც ე რ ო ნ ი, 63 წლის კონსული. სწორედ ამ რულუსის პროექტის განხილვით იწყება კიდეც ციცერონის კონსულობა. რულუსის კანონპროექტის წინააღმდეგ ციცერონმა წარმოთქვა სამი სიტყვა, რომელთა თვალსაჩინო ნაწილები ჩვენამდეა მოღწეული.

თავის პასუხში კონსული ორ მთავარ დებულებას გამოსთქვამდა: 1) დარჩენილ სახელმწიფო მიწების გაყიდვა ფინანსიურ კრიზისს უქმნის სახელმწიფოს. საზოგადო მიწების დიდი თვალსაჩინო ნაწილი, განსაკუთრებით პროვინციებში, იჯარით იყო გაცემული, საიჯარო ფულები კი მთავარ წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ხაზინისათვის (agri vectigales); 2) დეცემვირების დიქტატურა აუცილებლივ და გარდუვალად გამოიწვევს სამოქალაქო ომსა და ტირანიას.

ციცერონის არგუმენტაციამ თავისი გავლენა მოახდინა. მან მოახერხა თავისკენ გადებირებინა არა მარტო ოპტიმატები და მხედრები, არამედ საშუალო შეძლებისა და წვრილი მესაკუთრეებიც, რომელნიც დააფრთხო აგრარული კომისიის განსაკუთრებულმა უფლებამოსილებამ, ადგილ-მამულებზე უფლებათა რევიზიისა, გადამიჯვნისა, გამოსახლებისა და საერთოდ ყოველგვარი გაუთვალისწინებელი გარემოების შესაძლებლობამ. კრედიტორებს უკვე ელანდებოდათ მრისხანე აჩრდილი ვალების კასაციისა, ხოლო „ბედნიერ მესაკუთრეთა“ (beati possidentes), ციცერონის თქმა, რომ ვიხ-

მაროთ, — მთელი მონათმფლობელური საზოგადოების წინაშე აღიმართა ახალი სამოქალაქო ომის ლანდი.

„დასასრულ, — ამბობდა ციცერონი, — მე განზრახული მაქვს, პატივმოსილო სენატორებო, ცოტა-რამ ვთქვა იმ საფრთხეზე, რომელიც განემზადება საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და თავისუფლებას. მე თქვენ გეკითხებით — განა დარჩება კიდევ რამე სახელმწიფოში წარუტაცებელი, განა შეინარჩუნებთ თქვენ აჩრდილს დამოუკიდებლობისა და ღირსებისას, როდესაც რულუსი და ისინი, ვისიც თქვენ გაცილებით უფრო მეტად გეშინიანთ, ვიდრე რულუსისა, უქონელი და გზა-კვალაბნეული ხალხით გარშემოჭდობილნი, მთელი თავისი ძლიერებით, ოქრო-ვერცხლის დაუფლებით, დაიკავებენ კაპუას და იტალიის სხვა ქალაქებს? აი, პატივმოსილო სენატორებო, რატომ გავუწევ მედგარსა და შეურიგებელ წინააღმდეგობას და არ დავუშვებ, რომ ჩემი კონსულობის დროს თავისი გეგმებით გამოვიდნენ ისეთი პირნი, რომელთაც უკვე კარგა ხანია განზრახული აქვთ დაამხონ არსებული წესყობილება“ [1].

ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ციცერონმა დააშინა ქალაქიდან შორეულ და ციებ-ცხელებიან ადგილებში, ლაღ ქალაქურ ცხოვრებასა და ქალაქის გართობა-სიამოვნებათაგან დაშორებით გასახლების პერსპექტივით და ნახევრადმათხოვრულად მცხოვრები სოფლელის არასახარბიელო პერსპექტივით.

„ტრიბუნმა განაცხადა, — თქვა ციცერონმა, — რომ ქალაქის მასამ მეტად ბევრი ძალა მოიპოვა სახელმწიფოში და ამიტომ საჭიროა მისი, ამ ძალის, ამოქაჩვაო (urbanam plebem nimium in re publica posse: exhauriendam esse).

„თქვენ ხედავთ, — ხაზგასმით ლაპარაკობს ციცერონი, — მან ისეთი სიტყვა იხმარა თითქოს ლაპარაკობდეს ბინძურ ორმოსა ან გუბეზე და არა მოქალაქეთა საუკეთესო წრეზე. მისმინეთ მე, კვირიტებო, მაგრად ჩაეჭიდეთ სიუხვე-წყალობას, ხმის მიცემის თავისუფლებას, თქვენს ღირსებას, ქალაქური ცხოვრების უპირატესობას, ასპარეზობა-გართობებს, სადღესასწაულო დღეებს, ეცადეთ შეინარჩუნოთ ყოველი ეს უპირატესობა და სარფიანობა; თქვენ ხომ არ მოისურვებთ სიპონტის უდაბნოსა და სალაპიის მავნე მიაზმებით სავსე ჭაობებზე გასცვალოთ ყოველივე ის, რასაც გაძლევთ თქვენ ქალაქი, რესპუბლიკის მზის მთელი ეს ბრწყინვალებაო“ [2].

რულუსის კანონპროექტი უარყოფილ იქნა, მაგრამ მისმა იდეამ

---

[1] Cic., De lege agr., I, 22.
[2] Ibid., II, 26—27.

ძალა შეინარჩუნა შემდგომ დროშიაც. ცეზარის, ანტონიუსის და ოქტავიანეს აგრარული კანონპროექტები წარმოადგენდნენ მხოლოდ რულუსის კანონპროექტის მოდიფიცირებულ განმეორებას. ვეტერანებისა და პროლეტარებისათვის მიწების მიზომვა გრძელდებოდა იმპერიის დროსაც. ვეტერანთა მიწათმფლობელობის ზრდა და საიმპერატორო ძალა-უფლების ზრდა—ესაა ორი მხარე ერთდაიმავე სოციალურ-ეკონომიური პროცესისა. ვეტერანების მიწათფლობელობა იყო ერთერთი საშუალება იმ წვრილი და საშუალო მიწათფლობელობის განმტკიცებისა და მისთვის მხარის დაჭერისა, რომელიც სხვადასხვა ოდენობით შენარჩუნებულ იქნა მთელი რომის ისტორიის მანძილზე.

6. კატილინას შეთქმულება

რულუსის დამარცხება აიხსნებოდა, რასაკვირველია, იმდენად არა ციცერონის მჭევრმეტყველობით, რამდენადაც რომის დემოკრატიის სისუსტით, მისი დემორალიზაციით და მაღალ კლასებისგან დამოკიდებულებით. სრული სიცხადით ეს გამომჟღავნდა იმავე შფოთიერი 63 წლის ბოლოს, კ ა ტ ი ლ ი ნ ა ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს (coniuratio Catilinae) დროს. შეთქმულების დედაარსი ასეთია.

I საუკ. 60-იან წლებში რომის პოლიტიკის უმაღლეს ხელმძღვანელობაზე პრეტენზიას აცხადებდა სამი მაგნატი — პომპეუსი, კრასუსი და ცეზარი. ყველა შანსი პომპეუსის მხარეზე იყო, რომელიც მაშინ თავის დიდების მწვერვალს აღწევდა, უთვალავი ძლევით იყო მოსილი და რომელსაც ჰყავდა მრავალრიცხოვანი კლიენტურა, ჰქონდა დიდძალი სიმდიდრე და მეგობრული კავშირი გავლენიან ტრიბუნებთან. თავისი მოქიშპის გავლენის სწრაფი ზრდით შეფიქრიანებული ორი სხვა მაგნატი, კრასუსი და ცეზარი, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ თავიანთი მოწინააღმდეგის დასაჩრდილად. ერთერთი ასეთი საშუალება იყო სერვილიუს რულუსის აგრარული კანონი, მეორე კი — ეგვიპტის ანექსია. პტოლემე X გარდაცვალების დღიდან (80 წ.), რომელსაც არ დარჩა პირდაპირი მემკვიდრეები, ეგვიპტეს შემოერთება წარმოადგენდა რომის პოლიტიკის ერთერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. ხმელთაშუაზღვის უმდიდრესი ქვეყნის — ეგვიპტეს — დაპყრობის პერსპექტივი ცხოველ გამოხმაურებასა და თანაგრძნობას პოებდა რომის მოქალაქეობაში, განსაკუთრებით მხედრებსა და ქალაქის დემოკრატიაში. მხედრებისათვის ეგვიპტეს დაპყრობა წარმოადგენდა შესყიდვითი ოპერაციათა გაფართოებას, ხოლო ქალაქის დემოსისათვის იაფი პუ-

რის მიღებას მოასწავებდა. პირადი მოტივებით ეგვიპტეს ანექსიას ყველაზე უფრო დაბეჯითებით მოითხოვდნენ რომის პირველი შექლებული მარკოს ლიცინიუს კრასუსიც და მისი მეგობარი და მოკავშირე იულიოს ცეზარიც.

65 წელს კრასუსმა, როგორც ცენზორმა, წინადადება შეიტანა ეგვიპტე დაებეგრათ გადასახადით და ამას იგი უყურებდა როგორც პირველ ნაბიჯს, სრული ანექსიის მიმართულებით გადადგმულს. მაგრამ ამ წინადადებას ოპოზიცია დახვდა სენატში, რომელსაც კრასუსის გაძლიერებისა არანაკლებად ეშინოდა, ვიდრე პომპეუსის ამაღლებისა. კრასუსის პროექტს სენატი უყურებდა, როგორც დემაგოგიურ ხერხს, მრავალი სახიფათო შედეგებით აღსავსეს.

სენატის ოპოზიციამ კრასუსი და ცეზარი იძულებული გახდა თავიანთი გეგმების განსახორციელებლად ეძიათ შემოსავლელი გზები. ამ მიზნით მათ გადაწყვიტეს შეთანხმებოდნენ სულას მომხრეთა გულნატკენ ჯგუფს, რომელსაც ბრალად ედებოდა ამომრჩეველთა მოსყიდვა და ამის საბუთით ჩამოერთვა საკონსულო წოდება (66 წ.). გულნატკენ სულასეულთა რიცხვს, რომელთა შორის იყო დიქტატორის ძმისწულიც — პუბლიუს კორნელი სულა, მიემხრო აგრეთვე ლუციუს სერგი კატილინაც, რომელიც კანდიდატთა სიიდან იქნა ამორიცხული აფრიკაში პრეტორობის დროს ჩადენილ მოქრთამეობაში ბრალდების გამო.

აცილებულმა კანდიდატებმა ისარგებლეს საერთო პოლიტიკური ანარქიით, სენატის არაპოპულარობითა და სისუსტით, გადასწყვიტეს შებმა მოწინააღმდეგესთან და შეადგინეს საიდუმლო კავშირი ანუ შეთქმულება (coniuratio). შეთქმულებას სათავეში ედგა გ ნ ე ი პ ი ზ ო ნ ი, რომელიც ეკუთვნოდა რომის „ოქროს ახალგაზრდობას“ და „გადატრიალებისადმი აღძრული იყო სიღარიბით და ცუდი შიდრეკილების წყალობით“. შეთქმულთა რიცხვში იყო აგრეთვე კატილინაც. შეთქმულები ფიქრობდნენ გადაეყენებინათ ოპტიმატების მიერ გაყვანილი კონსულები, მოესპოთ სენატის უფრო გამოჩენილი წევრები და თავიანთი თავი გამოეცხადებინათ კონსულებად. პიზონის შეთქმულება გამომჟღავნებულ იქნა, მაგრამ საქმე მიჩქმალეს იმის შიშით, რომ არ დაესახელებინათ კრასუსი და იულიოს ცეზარი, შეთქმულებს რომ ზურგს უმაგრებდნენ. პიზონმა ახალი დანიშნულებაც კი მიიღო და გაემგზავრა ესპანეთში, სადაც ჯერ კიდევ ღვიოდა სერტორიუსის მიერ აღგზნებული ომის ცეცხლი. პიზონის გამგზავრების შემდეგ შეთქმულებას სათავეში უდგეზა კატილინა.

ლუციუს სერგი კატილინა (L. Sergius Catilina) დაიბადა

108 წელს და წარმოშობით იყო სერგიების ძველი პატრიციული გვარიდან, რომლისაგანაც გამოვიდა მრავალი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე. კატილინა მისი მტრების წარმოსახვის მიხედვითაც კი ჩვენ გვეხატება ძლიერ პიროვნებად, რომელშიაც თავსდებოდა სულ ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებანი.

„ფიზიკურად ძლიერი, ის საოცრად ადვილად იტანდა სიმშილს, სიცივეს და უძილობას. ზნეობრივად თამამი, იგი იყო ვერაგი, მერყეევი, ცრუ, არაგულწრფელი, სხვის ქონებაზე ხარბი, მფლანგველი, ბგზნებარე გრძნობით. მჭევრმეტყველება მას საკმაოდ ჰქონდა“ [1].

თავისი ჭაბუკობის დროის პირველ დღეებიდანვე გაჭირვებულ ნივთიერ პირობებში მყოფმა (natus in patris egestate) [2], კატილინამ თავისი ქონებრივი საქმეები გამოასწორა სულას პროსკრიპციების დროს. როგორც სულას მახლობელი პირი, კატილინა ასრულებდა დიქტატორის ყველაზე უფრო სისხლიან დავალებებს. შეჰქონდა საპროსკრიპციო ტაბულებში და ხოცავდა როგორც ნაცნობებს, ისე უცნობ პირთ, თავის მეგობრებსა და ნათესავებს, მათ შორის მოჰკლა თავისი ღვიძლი ძმა და დის ქმარი [3]. სულას პროსკრიპციებმა, რომელთაც თან სდევდა დიდი კონფისკაციები და პროსკრიბირებულ ქონებათა აუქციონები, სულას მრავალ მეგობართ შორის გაამდიდრეს აგრეთვე კატილინაც.

ხოცვა-ჟლეტის ბოლო (finis iugulandi) იქამდე არ დამდგარა, სანამ სულამ სიმდიდრით არ ააესო ყველა თავისი მომხრე“ (omnis suos divitiis explevit) [4].

68 წელს კატილინამ მიიღო პრეტურა, ხოლო 67 წელს ის იყო პროვინციაᲐ აფრიკის პრეტორი [5]. 66 წელს კატილინა გამოცხადდა რომში და წამოაყენა თავისი კანდიდატურა 65 წლის კონსულობაზე, მაგრამ, რადგან მას ბრალი დასდეს მოქრთამეობასა და ძალაუფლების ბოროტად მოხმარებაში, ფორმალური მოტივებით მისი კანდიდატურა აცილებულ იქნა. 64 წელს კატილინამ ხელახლა წამოაყენა თავისი კანდიდატურა და ისევ მარცხი განიცადა. 63 წ. კონსულობისათვის დასახელებული იყო შვიდი კანდიდატი, მათ შორის ციცერონი და კატილინა. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობ-

---

[1] Sallust., De coniur. Cat., V.
[2] Quint., Cicero, Comment., pet., 9.
[3] Liv., Epit., 77; Plut., Sulla, 32; Oros., V, 21 და სხვ.
[4] Sallust., De coniur. Cat., LI, 34.
[5] Ascon., 85.

და დაძაბულ საზოგადოებრივ ატმოსფეროში. კატილინას მოწინააღმდეგენი, ოპტიმატები და მხედრები, რომელნიც თავს იყრიდნენ ციცერონის გარშემო, ათასნაირ ისეთ ხმას ავრცელებდნენ, რაც სახელს უტეხდა კატილინარიებსა და მათ წინამძღოლს. საშინელ ამბებს ლაპარაკობდნენ თვითონ კატილინაზე. ამბობდნენ, რომ კატილინა ყველა მონაწილეს აიძულებდა საშინელი ფიცი მიეღო და ღვინონარევი ადამიანის სისხლი დაელიაო. ამტკიცებდნენ, რომ კატილინამ უსაშინელესი დანაშაულობანი ჩაიდინა და რომ არაწმინდა სინიდისი მას მოსვენებას არ აძლევდა, თანაც უმატებდნენ, რომ თვითონ კატილინას გარეგნობაც კი არაჩვეულებრივად შეეხამება მის შინაგან დედაარსს: ფერწასული სახე, ჩამქრალი და უსიამოვნო თვალები, აჩქარებული სიარული, ხან გაქანებული და ხან მოშვებული. შემდეგ იმასაც ამბობდნენ, რომ კატილინა თავის გარშემო თავს უყრიდა ახალგაზრდებს და მათ ასწავლიდა ყოველივე გარშემო არსებულის სიძულვილს, ძარცვას, მკვლელობას და ზნეობის, სირცხვილისა და ნაკისრ ვალდებულების უარყოფას. კატილინას მიმართ ჩვენი წყაროების აშკარად მტრული განწყობილების პირობებში არც კი გვიხდება იმაში დაეჭვება, რომ მისდამი მიწერილ მანკიერებათა თვალსაჩინო ნაწილი უნდა მიეკუთვნოს მისი მტრების — ციცერონისა და სალუსტის — მდიდარსა და ლაღ ფანტაზიას.

ქალაქში დადიოდა ამაღელვებელი ხმები განმზადებულ სახელმწიფო გადატრიალებაზე, რომის ხანძარსა და კონსულების მოკვლაზე, ძარცვა-რბევასა და სხვა ამგვარზე. კრასუსი და ცეზარი იმის რიდით, რომ მათ სახელი არ გასტეხოდათ, კატილინას გაუდგნენ. შეთქმულების შესახებ ამგვარი ხმებით შეშინებულმა ყველა „კეთილმზრახველმა ადამიანმა“ (omnes boni) არჩევნებზე ხმა მისცა ციცერონს, ირჩევდა რა ორ ბოროტებათა შორის ნაკლებ ბოროტებას. საერთოდ კი რომ ითქვას, ციცერონი ამ ხანებში არ სარგებლობდა მტკიცე სიმპატიით არცერთს საზოგადოებრივ ფენაში და ამის გამო ციცერონის მდგომარეობა მთელი მისი კონსულობის განმავლობაში ვერ იყო მყარი. ერთის მხრივ, ეს აიხსნება მისი პირადი თვისებით[1] — მის გარშემო მყოფთათვის შეურაცხმყოფი ბაქიაობით და ქედმაღლობით, დაბალი წარმოშობით, და რაც უმთავრესია — იმ ოპტიმატებისა და მხედრების ინტერესთა-

---

[1] Энгельс, Письмо Марксу от 17 марта 1851 г. Маркс и Энгельс, Соб. соч., т. XXI, стр. 173.

სხვაობით, ვისზედაც მას სურდა დამყარება და რომელთა შედუ-ლებასაც ერთ გაბატონებულ ფენად იგი ცდილობდა.

64 წლის მარცხმა ვერ აიძულა კატილინა ხელი აეღო თავის განზრახვაზე — მოეპოვებინა კონსულობა შემდგომ 62 წლისთვის. გაითვალისწინა რა წინა წლების მარცხი, კატილინა მით უფრო მეტი წადიერებით გადაეშვა 63 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში იმ ვარაუდით, რომ კონსული შეიქნებოდა 62 წელს.

არსებითად რომ ითქვას, სწორედ ამ წლიდან იწყება და ფართოდ იშლება მთავარი ამბები, კატილინას შეთქმულებასთან რომაა დაკავშირებული. თავის მხარეზე რაც შეიძლება ამომრჩეველთა დიდი რიცხვის მისაზიდად, კატილინამ დაანთო მძაფრი აგიტაცია რომის საზოგადოების სულ სხვადასხვაგვარ ფენაში: ვალებით შეწუხებულ და ვალისგან გათავისუფლების მეტად მოწადინებულ უმაღლეს კლასებში — სენატორთა და მხედრებს შორის, განსაკუთრებით კი არისტოკრატიულ „ოქროს ახალგაზრდობაში“ ანუ, ციცერონის თქმა რომ მოვიმარჯვოთ[1], „კატილინას სანერგეში“ (seminarium Catilinae), აგიტაციას ეწეოდა გაჩანაგებულ სულასეულ ჯარისკაცთა შორის, იმათ შორის, ვინც სულას დიქტატორობის დროს დაკარგა მოძრავი და უძრავი ქონება და, საერთოდ, ყველა უკმაყოფილო პირთა შორის, ვინც გაჭირვებულ ყოფაში იყო ჩავარდნილი ვალისა და უმწეობისგან[2].

„კატილინას უახლოეს და ნდობით მოსილ პირად ხდებოდა ყველა არამზადა, გარყვნილი ადამიანი, ვინც თავისი ქონება გაფლანგა თამაშსა და ლოთობაში, ან ადამიანი დიდი ვალებით დატვირთულ-შეწუხებული, რომელსაც სურდა გათავისუფლება თავის შანკისა და ბოროტმოქმედებათაგან... მასთან მიილტვოდნენ და თავს იყრიდნენ ყოველგვარი მკვლელები, მკრეხელები... დაბოლოს, ყველა, ვისაც ჰქეჯნიდა სირცხვილი, სილატაკე და საკუთარ ბოროტებათა შეგნება“.

„კატილინამ აღუთქვა ვალების კასაცია, მდიდართა პროსკრიპციები, სამოქალაქო და საქურუმო თანამდებობანი, ძარცვა-ყვლეფა და ყოველივე, რაც კი თანსდევს სამოქალაქო ომსა და გამარჯვებულის თვითნებობას[3]. ასე ახასიათებდნენ კატილინას მიზნებს მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და პირადი მტრები.

I საუკ. 60-იან წლებში რომი და იტალია მწვავე ფინანსიურ

---

[1] Cic., Cat., II, 23.
[2] Ibid., 21; Sallust., De coniur. Cat., XXVIII, 4; XXXVII, 9.
[3] Sallust., De coniur. Cat., XIV, XXI.

კრიზისს განიცდიდნენ, რომელიც გაჩნდა საალებმიმცემო მეურნეობის, დავალიანებისა და ფულის საშინელი საჭიროების განვითარების ნიადაგზე. ფული ესაჭიროებოდა რომის საზოგადოების ყველა ფენას — ზოგს იგი სჭირდებოდა ვალის გასასტუმრებლად, ზოგს მიწისა და მონების შესაძენად, სხვებს კიდევ ძვირფასი ნივთეულობის, სახლების, სამკაულების სასყიდლად, ნადიმთა გასამართად და სხვა ამგვარისათვის.

ფინანსიური კრიზისი და მასთან დაკავშირებული მისწრაფება ვალებიდან თავის დაღწევისა წარმოადგენდა საერთო პლატფორმას, რომელიც აერთიანებდა მონათმფლობელური რომის სულ ნაირ-ნაირ ელემენტებს, კატილინას მიმართ სიმპატიით რომ იყო განწყობილი. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, კატილინას თანამგრძნობთა რიცხვი რომის რესპუბლიკაში ძალიან დიდი იყო რომის საზოგადოების ყველა ფენას შორის.

შეთქმულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, იზრდებოდა აგრეთვე კატილინას პოპულარობაც. შეთქმულთა შორის იყო მრავალი გამოჩენილი სენატორი და მხედარი, როგორც, მაგალითად, ლენტულ სურა, გაიოს ცეტეგი, მ. პორციუს ლეკა, ჰაბინიუსი და სხვანი, რომელთაც მიემხრო ზოგიერთი სახელოვანი მუნიციპალი და კოლონიათა მოღვაწე. და რაც უფრო მატულობდა შეთქმულთა რიცხვი, მით უფრო მეტად ყალიბდებოდა შეთქმულების პროგრამა.

გაცხარებულ საარჩევნო კამპანიის დროს შეთქმულთა კრებაზე კატილინამ დახატა რომის სახელმწიფოს მდგომარეობის უნუგეშო სურათი და აღნიშნა თავისი პროგრამის ძირითადი მუხლები.

„ყველამ ხომ კარგად იცის, — ლაპარაკობდა კატილინა, — რომ ამჟამად ძალა-უფლება იმყოფება ოლიგარქების ხელში, რომელნიც ბრძანებლობენ ხელქვეით მეფეებსა და ხალხებზე და მათგან ხარკს იღებენ... გავლენა, ძლიერება და პატივი მათ ხელშია თავმოყრილი ან მათთვის სათნო პირთა ან კლიენტების ხელში, ყველა დანარჩენ მოქალაქეს კი ხვედრად ერგო სახელმწიფო თანამდებობათაგან ჩამოცილება, სასამართლოს წესით დევნა და უკიდურესი სიღარიბე“ (at nobis est domi inopia, foris aes alienum, mala res, spes multo asperior)[1].

„მაშინ, როდესაც ისინი ფუფუნებაში იფლებიან, მთებსა და გორაკებს იღებენ და ზღვისმაგვარ გუბურებს თხრიან, ჩვენს სახლში ს ი ღ ა ტ ა კ ე ა, ვ ა ლ ი დ ა ნ ა მ ო უ ვ ა ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა, სიღარიბე აწმყოსა და მომავალში, ჩვენ არაფერი არ გაგვაჩ-

[1] Sallust., De conlur. Cat., XX, 13,

ნია, გარდა სულისა და ხორცისა. ამავე დროს კი ყველაფერი შეიძ-ლება იქნას. ყოველივე ბოროტებისაგან გათავისუფლებისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ი თ მ ო პ ო ე ბ ა, რასაც უკვე თავისთავად მოსდევს პატივი, დიდება და სიმდიდრე".

„ისინი მსოფლიოს მეუფე-მბრძანებლები არიან, ჩვენ კი უფლე-ბას მოკლებული და საცოდავი ბრბო ვართ.. მაგრამ არსებითად კი ჩვენი მდგომარეობა ოდნავადაც არ არის უნუგეშო. ჩვენ ბევრნი ვართ, ჩვენ ძლიერნი და ნიჭიერნი ვართ, გამარჯვება ჩვენ ხელთაა" (victoria in manu nobis est).

„დღევანდელი მდგომარეობა, — მიუთითებდა შემდეგ კატილი-ნა, — რაც კი შეიძლება საუკეთესოდ არის ხელისშემწყობი ჩვენი გეგმებისთვის. უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა, ამავე დროს კი ძალა-უფლება ისეთი ხალხის ხელშია, ვისაც არ შესწევს ნიჭი რაიმე თვალსაჩინო მოიმოქმედოსო" [1].

თუ სახელმწიფოს გადატრიალება წარმატებით დათავდებოდა, იმ შემთხვევისათვის კატილინა აღუთქვამდა ს ა ვ ა ლ ო ვ ა ლ დ ე ბ უ-ლ ე ბ ა თ ა კ ა ს ა ც ი ა ს (tabulae novae), მ დ ი დ ა რ თ ა მ ა მ უ ლ ე-ბ ი ს კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა ს (proscriptiones locupletium), მ ი-წ ი ს გ ა დ ა მ ი ჯ ვ ნ ა ს, მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა თ ა ა ხ ა ლ გ ა-ნ ა წ ი ლ ე ბ ა ს (magistratus, sacerdotia), ნადავლს (rapinas) და მისთანა სხვას, — ერთი სიტყვით, მთელი დემოკრატიული პროგ-რამა-მაქსიმუმის განხორციელებას.

კატილინა ცდილობდა თავისი მისწრაფებანი და თავისი მოღ-ვაწეობა დაეკავშირებინა პლებსის ინტერესებთან, რაც ემთხვეოდა მის საკუთარ ინტერესებს. „მარტო მას, — ამბობდა იგი, — ვინც თვითონაა უბედური, შეუძლიან იყოს უბედურთა ერთგული მო-სარჩლე; დაჭრილებო და გაუბედურებულებო, ნუ ერწმუნებით ზი-ანის უნახავთა და ბედნიერი ხალხის დაპირებებს; თუ თქვენ გწა-დიათ შეივსოთ და აინაზღაუროთ დანაკლისი, შეხედეთ ჩემს ვა-ლებს, ჩემს ქონებას, ჩემს გაბედულობას; ყველაზე უფრო ნაკლებად მხდალი და ყველაზე უფრო ჩაგრულ-წამებული უნდა იყოს ბელა-დად მოწოდებული და დაზარალებულთა მედროშე" [2].

თავისი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო პირველ ნაბიჯად კატილინა თვლიდა მის არჩევას კონსულად.

„მიყავით, რაც გსურდეთ; ამირჩიეთ მე თქვენ წინამძღოლად

---

[1] Sallust., De coniur. Cat., XX.
[2] Cic., Murena, 50.

ან ჩემი თავი თქვენს განკარგულებაში იყოს როგორც უბრალო და ჩვეულებრივი ჯარისკაცი; მე მთლად, სულითაც და გულითაც, თქვენ გეკუთვნებით და იმედი მაქვს, რომ თქვენი დახმარებით, ვიქნები რა კონსულად, ჩვენ დაწყებულ საქმეს სასურველ ბოლომდე მივიყვან. თქვენ თვალწინ მდებარებს უთვალავი სიმდიდრე, პატივი, დიდება (preaterea divitiae, decus gloria in oculis sita sunt)— ყოველივე, რაც თქვენ ასე მოწყურებულად მუდამ გინდოდათ" [1].

დიქტატურისკენ ლტოლვა, რაც გამოსჭვივის სალუსტის მიერ გადმოცემულ კატილინას სიტყვაში, სავსებით შეესაბამებოდა იმ დროის სულისკვეთებასა და განწყობილებას. დიქტატურისკენ მიილტვოდნენ პომპეუს სტრაბონი, ცინნა, კარბონი, ლეპიდუსი, კრასუსი, ცეზარი და კატილინა. ქალაქში მიმოსვლის დროს კატილინას თან ახლდა სულასეულ ვეტერანების რაზმი არეტიუმიდან და ფეზულიდან [2].

კატილინას მოქმედება სენატში უფროდაუფრო ნერვიული და მკვეთრი ხდებოდა. ასე, მაგალითად, ამომრჩეველთა და მოქრთამეობის შესახები ახალი კანონის განხილვის დროს, რომელიც, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო მის, კატილინას, წინააღმდეგ, მან მრისხანედ შენიშნა, რომ თუ მის სახლსა და ქონებას ცეცხლს წაუკიდებენ, ის ამ მძვინვარე ხანძარს ჩააქრობს არა წყლით, არამედ ნანგრევებით (si quod esset in suas fortunas incendium excitatum, id se non aqua, sed ruina restincturum) [3].

ციცერონის მოთხოვნაზე — განმარტოს აზრი შეთქმულთა საიდუმლო კრებაზე კატილინას მიერ წარმოთქმული სიტყვისა — უკანასკნელმა უპასუხა: „ჩვენს სახელმწიფოში ორი სხეულია: ერთი სუსტი, ოღონდ ძლიერი თავით — ესაა სენატი, მეორე კი ძლიერი, ოღონდ სუსტი თავით — ესაა ხალხი (duo corpora esse rei publicae: unum debile, infirmo capite, alterum, firmum, sine capite) [4], და თუ ეს მეორე სხეული მე მხარს დამიჭერს, მაშინ იგი სხეული, სანამ ცოცხალი ვიქნები, უთაოდ არ დარჩებაო". სენატორები მეტად ააშფოთა კატილინას უცნაურმა რეპლიკებმა, მაგრამ სდუმდნენ: ერთნი იმიტომ, რომ ისინი მას ეთანხმებოდნენ, მეორენი კი, პირიქით, იმიტომ, რომ ისინი არ იზიარებდნენ კატილინას სიტყვებს.

არჩევნები მიმდინარეობდა 63 წლის კონსულის ციცერონის

---

[1] Sallust, De conlur, Cat., XX, 14.

[2] Cic, Murena, 49; M. Gelzer, Die Nobilität der römischen Republik, 1912.

[3] Cic., Murena, 51.

[4] Ibid.

თავმჯდომარეობით, რომელიც სამხედრო პირის ტანისამოსში იყო გამოწყობილი და შეიარაღებული ამალით იყო დაცული. ამ შემთხვევაშიაც კატილინამ კვლავ განიცადა მარცხი.

ციცერონის ენერგიული დახმარებით კონსულებად არჩეულ იქნენ ლუციუს მურენა და იუნიუს სილანი. ციცერონი მხარს უჭერდა კატილინას მოწინააღმდეგეთა, „საპატიო პირების ჩამომავალთა", „საყოველთაო მოწონების ღირსთა" და „საფრთხის არავისთვის არაგანმამზადებელთა" კანდიდატურას და მოქმედებდა „ყველა კეთილი მოქალაქის" სახელით, ვისაც კი ეშინოდა სახელმწიფო გადატრიალებისა და ვინც დაკანკალებდა თავის მდგომარეობასა და სიმდიდრეს: „ყველა, ვისაც კი ძალიან უნდოდა სახელმწიფო ეხსნა ამ წყლულისგან, ხელათვე მურენას მხარეზე გადავიდა...

...განა საკვირველი და მოულოდნელი-ღა იყო ის, რომ კონსულ კატილინას ანაზდეულად წამოჭრილმა აჩრდილმა დაამთავრა მისი გამარჯვებაო" [1].

კატილინამ უკანასკნელი იმედი გადაწყვიტა კონსულობის ლეგალური გზით მიღებისა და იგი ახლა დაადგება აშკარა სახელმწიფო გადატრიალების გზას. ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად იგი განსაკუთრებით უნდა აჩქარებულიყო ორი მიზეზით: 1) მოსალოდნელი იყო სენატში ციცერონის გამოსვლა შეთქმულთა მხილებითა და გამომჟღავნებით და 2) მალე მოელოდნენ რომში პომპეუსის დაბრუნებას. გენერალური გამოსვლა უნდა მომხდარიყო 63 წლის ოქტომბრის ბოლოს, 25 ოქტომბერს, კონსპირატორებს შორის შეთანხმების თანახმად, უნდა მომხდარიყო სამხედრო ნაწილების გამოსვლა ეტრურიასა, კამპანიასა (კაპუასა) და აპულიაში.

ღამით 27-დან 28 ოქტომბერს ფიქრობდნენ მოეწყოთ ოპტიმატების ხოცვა-ჟლეტა და მოეკლათ კონსული, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი „კეთილგანწყობილი მოქალაქენი". მაგრამ კატილინას გეგმა ვერ შესრულდა. ციცერონმა მოახერხა დამასმენელთა საშუალებით შეეგროვებინა მასალა შეთქმულთა განზრახვის შესახებ, რაც საკმარისი იყო სენატორების დასაშინებლად, და იმანაც შესძლო ის, რომ მისთვის (ციცერონისთვის) მიეცათ ქალაქში სამხედრო წესების გამოცხადების მანდატი. სენატის დადგენილების ძალით, განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ (senatus consultum ultimum) 21 ოქტომბერს რომში გამოცხადდა საალყო წესები, კონსულს მიენიჭა საგანგებო რწმუნებანი, რათა (videant consules ne quid res publica detrimenti capiat) აეკვეთა და

[1] Cic., Murena, 51.

შოესპო რევოლუციური მოძრაობა, დაეპატიმრებინა მოქალაქეები და ჯარში გაწვევა ჩაეტარებინა.

საგანგებო პირობების შემოღება მოწმობდა სერიოზულ მდგომარეობას.

„მოქალაქენი შეძრწუნდნენ, მთელმა ქალაქმა ფერი და სახე იცვალა. უდარდელობისა და მხიარულების შემდეგ, რაც ხანგრძლივი მშვიდობიანობის ნაყოფი იყო, ანაზდეულად ყველა მწუხარებამ მოიცვა; ყველგან ჩოჩქოლი, ალიაქოთი, საყოველთაო უნდობლობა ადგილის მიმართაც და გარშემო მყოფთა მიმართაც; ომი არ ყოფილა, მაგრამ არც მშვიდობიანობა სუფევდა, ყველა საკუთარი შიშის მიხედვით მსჯელობდა საშიშროებაზე“ [1].

7 ნოემბერს ღამით შესდგა შეთქმულთა საიდუმლო სხდომა სენატორის მარკოს პორციუს ლეკას სახლში, რომელიც შეთქმულებს თანაუგრძნობდა. ამ სხდომაზე საბოლოო სახით შემუშავებულ იქნა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა და განაწილებულ იქნა როლები შეთქმულების ორგანიზატორებს შორის.

აჯანყების ორგანიზაცია კარგად იყო მოფიქრებული. შეთქმულთა გეგმით, მთელი იტალია დაყოფილი იყო რამდენიმე რაიონად, რომელნიც ჩააბარეს საიმედო პირებს. ამასთან ერთად აქვე დათქვეს, თუ ვინ უნდა დარჩენილიყო რომში და ვინ უნდა გამგზავრებულიყო წინდაწინვე დასახელებულ იტალიურ ქალაქებსა და პროვინციებში. ჯარების შესაკრებ პუნქტად არჩეულ იქნა ქალაქი პრენესტე, რომელიც რომის ახლოს მდებარეობდა და კარგადაც იყო გამაგრებული. იმ შეთქმულთა, ვინც კი რომში რჩებოდა, უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა ციცერონის ჩამოცილება: გადაწყდა მისი მოკვლა მის საკუთარ სახლში, ლოგინშივე [2]. მაგრამ ამ ჯერობაზე შეთქმულებმა სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს. თავისი კაცების მიერ, კერძოდ, არისტოკრატ ქალის ფულვიას მიერ, რომელიც ცხოვრობდა ვინმე კურიუსთან, ერთერთ შეთქმულთან, საქმის შესახებ გაფრთხილებულმა ციცერონმა სათანადო გამაფრთხილებელი ზომები მიიღო და ცოცხალი გადარჩა. „თქვენმა კრებამ დაშლაც კი ვერ მოასწრო და მე უკვე ყოველივე მეცნობა. მე გავაძლიერე გუშაგები, რომელნიც ჩემს სახლს დარაჯობდნენ, და ვუბრძანე ყველა ის. ვინც შენ დილაადრიანად ჩემთან გამოგზავნე მოსაკითხად და მოსასალმებლად, არ მიეღოთ; ხოლო ესენი სწორედ ის პირნი იყვნენ, ვინც მე წინდაწინვე დავუსახელე მრავალ მაღალ-

[1] Sallust., De contiur. Cat., XXXI.

[2] Cic., Cat., I, 10.

თანამდებობიან პირს და წინასწარვე ვამბობდი, რომ ისინი ჩემთან მოვლენ სწორედ ამ დროს-მეთქი“ [1].

შვიდი ნოემბრის ღამეს შესდგა შეთქმულთა ზემოხსენებული კრება ლეკას სახლში, ხოლო მეორე დღეს, 8 ნოემბერს, იუპიტერ სტატორის ტაძარში პალატინუმზე, რომელიც მდებარეობდა ბუნებრივად გამაგრებულ ადგილას და რომელსაც იცავდა მხედრებისგან შემდგარი გუშაგების გაძლიერებული რაზმი, მოწვეულ იქნა სენატის სასწრაფო და საგანგებო სხდომა შეთქმულების გამომჟღავნების საქმის გამო. ამ სხდომაზე მარკოს ტულიუს ციცერონმა წარმოსთქვა ბრწყინვალე (პირველი) სიტყვა კატილინას წინააღმდეგ, სადაც შეთქმულების მიზანი და მისი ორგანიზატორი დახატა მეტად საშინელ და უნუგეშო ფერებით. თავისი მოულოდნელი და უაღრესად მკაცრი გამოსვლით სენატში ციცერონს იმედი ჰქონდა დეზორგანიზაციას შეიტანდა თავის მოწინააღმდეგეთა რიგებში და შეთქმულების მეთაურს გააძევებდა რომიდან. უფრო გაბედული ზომების მიღებას კი ციცერონი, რომელიც არასდროს არ გრძნობდა თავის თავს მტკიცედ სენატში, მაშინ ვერა ბედავდა.

„კატილინავ! კიდევ დიდხანს გამოიყენებ ბოროტად ჩვენს მოთმინებას? კიდევ დიდხანს აბუჩად აგვიგდებ ჩვენ შენი უგუნურებით? რაც მოიმოქმედე შენ ორი უკანასკნელი ღამის განმავლობაში და რაზედაც შენ ბჭობდი, — ყოველივე ეს ცნობილია თვითეული ჩვენგანისათვის. ეს კიდევ ცოტაა. იგი ცხადდება სენატის სხდომაზე და მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში... უკვდავნო ღმერთნო, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? ეს რა სახელმწიფოა? ეს რა ქალაქია? აქ, ჩვენ შორის, მამანო-სენატორნო, დარბაისელთა ამ მაღალ კრებაში, რომელთაც მმართებთ მსოფლიოს თაიგულად და მშვენებად ყოფნა, ჩვენთან ერთად სხედან ისეთი პირნი, რომელნიც განიზრახავენ ჩემსა და ჩემი ამხანაგების დაღუპვას, რომელნიც განიზრახავენ ამა ქალაქში და ყველა ქვეყანაში ხანძრის დანთებას და მკვლელობათა დაწესებას. და მე, კონსული, არა მარტო დამშვიდებით ვუმზერ, არამედ ვეკითხები კიდეც მათ აზრს საზოგადოებრივ საქმეთა შესახებ. სიტყვითაც კი ვერ ვბედავ შეურცხვყო ისინი, ვინც დიდიხანია გვმართებდა სიკვდილით დაგვესაჯა.

საქმის ასეთი ვითარების პირობებში შენ, კატილინავ, ის-ღა დაგრჩენია მხოლოდ, რომ განაგრძო საქმე, შენგან დაწყებული. გადი, გაგვეცალე ქალაქიდან! მისი კარიბჭე შენთვის დიდიხანია ღიაა.

---

[1] Cic., Cat., 1, 10

მანლიუსის ჯარი მოუთმენლად მიგელის შენ როგორც თვის წინამძღოლს. ოღონდ, გეთაყვა, თან გაიყოლიე ყველა შენი თანამონაწილე; ხოლო თუ ყველასი არ მოხერხდება, მაშინ რაც შეიძლება ბევრისგან გაწმინდე შენ ქალაქი!" [1]

მოულოდნელად მხილებული კატილინა წამოეგო ციცერონის პროვოკაციას, გაემგზავრა ნებაყოფლობით ექსორიაში და აშკარად დაადგა რევოლუციურ გზას. ციცერონი გამარჯვებას ზეიმობდა.

„ძლივს-ღა არ შევძელ მე, კვირიტებო, — ლაპარაკობდა ის მეორე სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა სახალხო მიტინგზე (contio) კატილინას წასვლის შემდეგ მეორე დღეს (9 ნოემბერს), — ძლივს-ღა არ შევძელ მე მისი (კატილინას) გაძევება, თუმცა რარიგ არ ბობოქრობდა იგი თავისი გამეტებული მამაცობით, რარიგ არ იყო იგი ბოროტებით აღგზნებული, რარიგ არა ცდილობდა დაეღუპა თვისი მამული თავისი უპატიოსნო მოქმედებით, რარიგ არ გეექადოდათ იგი თქვენ და ჩვენს ქალაქს მახვილითა და ცეცხლით, — ძლივს-ღა, ვიმეორებ, შევძელ მე მისი... არც კი ვიცი ვთქვა „გაძევება" თუ „გაშვება", ან თუ „პატივისცემა გამოსათხოვარი, სამშვიდობო სიტყვით მისი ნებაყოფლობით წასვლისას". ი გ ი წ ა ვ ი დ ა, გ ა გ ვ შ ო რ დ ა, მ ა ნ მ ო ჰ კ უ რ ც ხ ლ ა, ი გ ი გ ა ქ რ ა; უკვე ველარ იოცნებებს ის, შეჩვენებული და გარეწარი, ჩვენი კედლების შიგნითვე მათ დანგრევაზე. ეს მოასწავებს იმას, რომ ჩვენ უეჭველად დავამარცხეთ ძმათაშორისი ომის თუნდაც ერთი ეს წინამძღოლი; ჩვენ აღარ ვიგრძნობთ ჩვენს მკერდში მის ხანჯალს, აღარ შევკრთებით, ოდეს ვიქნებით მარსის ველზე, ფორუმზე, კურიაში და არც ჩვენ ჭერქვეშ" [2].

კატილინას გაძევებას რომიდან ციცერონი მის მიერ დაწყებული კამპანიის მხოლოდ დასაწყისად თვლიდა. წინ კიდევ იდგა არანაკლებ რთული ამოცანის გადაწყვეტა — ეს იყო ქალაქის გაწმენდა კატილინას თანამონაწილეთა და მიმდევრებისაგან, რომლებითაც რომი სავსე იყო.

„წარმოიდგინეთ ახლა, რომ მას მიჰყვებიან მისი მეგობრები, მთელი ამ გზააბნეულ არამზადების სამარცხვინო კრებული; რარიგ მოხარული ვიქნებით ჩვენ, რარიგ ბედნიერი იქნება სახელმწიფო, რა დიდების შარავანდით შეიმოსება ჩემი კონსულატი. ამ ადამიანთა ვნებიანმა სურვილებმა ყოველგვარ ზომას გადააჭარბა, მა-

---

[1] Cic., Cat, I, 4, 9, 10.
[2] Ibid., II, 1.

თი უტიფარი გაბედულობა დასაშვებისა და ასატანის საზღვარს გადასცდა“ [1].

ეტრურიაში კატილინას გამგზავრების შემდეგ რომში მოძრაობის სათავეში იდგა პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი ლ ე ნ ტ უ ლ ი. რომში დარჩენილმა შეთქმულებმა (ლენტულმა, ცეტეგმა, ჰაბინიუსმა, სტატილიუსმა და სხვებმა) დაიწყეს გაძლიერებული აგიტაცია ქალაქის დაბალ ფენებში და თავისუფლებთან ერთად თავიანთ მხარეზე იზიდავდნენ აგრეთვე მონებსაც.

„მისი (ლენტულის) აგიტაცია არ შემოიფარგლებოდა სრულუფლებიან მოქალაქეთა წრით, არამედ ვრცელდებოდა ყველა ჯურის ხალხზე, თუ კი ისინი მისი შეხედულებით შეიძლებოდა სასარგებლონი ყოფილიყვნენ რითიმე მაინც ომისათვის“ (neque solum cives, sed cuiusque modi genus hominum, quod modo bello usui foret) [2].

კატილინასთან გაგზავნილ წერილში ლენტული კატეგორიულად არწმუნებდა მას ხელი აეღო ცრუ და წინასწარ აკვიატებულ აზრზე მონების მიმართ, გამოეცხადებინა თავისუფლება და შეიარაღებისათვის მოეწოდებინა ისინი. მონების მიმართ მერყეობამ ახლანდელ პოლიტიკურ მომენტშიო, სწერდა ლენტული კატილინას, შეიძლება აურაცხელი უბედურება დაგვატეხოს თავსო.

„გახსოვდეს, კატილინავ,—სწერდა ლენტული,—რომ შენ, როგორც მამაცი ვაჟკაცი, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფები. ეძიე ყველასთან დახმარება, ნურავის ნუ ითაკილებ, თუნდაც უაღრესად დაბალ ხალხსაც კიო“ (auxilium petas ab omnibus, etiam ab infimis).

სიტყვიერად კი თავის დესპანს ვოლტურციუსს ავალებდა გადაეცა კატილინასთვის: „რაღას ელის კიდევ, მას მერე, რაც იგი სენატმა კანონს გარეშე გამოაცხადა? რატომ-ღა აყოვნებს და არ მოიშველიებს მონებს?“ (quo consilio servitia repudiet?) [3].

ქალაქის პლებეებთან და მონებთან ერთად ლენტული შეუთანხმდა გალთა ტომის ა ლ ო ბ რ ო გ ე ბ ი ს წარმომადგენლებსაც, რომელნიც მაშინ შემთხვევით იყვნენ რომში. რომის ხელისუფალთა მოქმედებით უკმაყოფილონი და ვალებით შეწუხებული ალობროგების დელეგატები რომში ჩავიდნენ შუამდგომლობით, რათა ვალები შეემსუბუქებინათ. ლენტულმა გადასწყვიტა გამოეყენებინა ალობროგების უკმაყოფილება, დაიწყო მათთან მოლაპარაკება, გა-

---

[1] Cic., Cat., 10

[2] Sallust., De conlur. Cat., XXXIX, 6.

[3] Ibid., XLIV, 6.

ანდო მათ განმზადებული გადატრიალების ამბავი და აღუთქვა ვალების კასაცია. თუ კი გაიმარჯვებდა და ისინიც მას დაეხმარებოდნენ. მაგრამ აქაც კი შეთქმულთ თანსდევდა მარცხი. ალობროგები, ერთის მხრივ, არ ერწმუნენ ლენტულის ქიმერიულ დაპირებას, შეორის მხრივ, დაიმედებულნი იმით, რომ სენატისგან უხვსა და დიდ ჯილდოს მიიღებდნენ, ლენტულის წინადადებას გადასცემენ თავიანთ პატრონს ფაბიუს სანგას, ხოლო ეს უკანასკნელი გალებთან შეთქმულთა შეთანხმების ამბავს მიიტანს ციცერონთან.

კონსულის ბრძანებით, ალობროგები დაპატიმრებულ იქნენ, შოიყვანეს სენატში და იმათაც დაადასტურეს მათსა და შეთქმულთ შორის მომხდარი შეთანხმების ფაქტი, ამასთანავე უჩვენეს შეთქმულთაგან მიღებული რწმუნებულობის სიგელები შეთქმულების ხელმძღვანელთა ხელწერით და ბეჭდებით.

ალობროგებისა და მონების შესაძლებელმა ჩაბმამ შეთქმულებაში და აგრეთვე რომიდან მანლიუს-კატილინას ბანაკში იარაღის გაგზავნის განზრახვამ [1] ციცერონს მდიდარი მასალა მისცა ხელთ; ამ მასალით ხელში მას შეეძლო შიშის ზარი დაეცა და თავისკენ მიებირებინა მერყეევი ელემენტები არა მარტო სენატში, არამედ სახალხო მიტინგებზედაც.

დეკემბრის პირველ რიცხვებში წარმოთქმულ სიტყვებში, ალობროგების დელეგატთა დაპატიმრების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, ციცერონი ფანტასტიკური ფერადებით ხატავდა შეთქმულების შედეგთა შემაძრწუნებელ სურათს.

„კვალად გთხოვთ თქვენ, — ამბობდა ციცერონი, მიმართავდა რა ხალხს, — მთელი თქვენი წადიერებით იხსნათ სახელმწიფო, გაიხსენეთ ყველა ის ქარიშხალი, რომელთა პირისპირ ჩვენ მივიმართებით, თუ კი თქვენ მათ თავიდან არ აიცილებთ. თქვენ იცნობთ იმათ, რომელნიც მოელიან თავიანთ ხვედრს თქვენი სამართლის სასტიკი გადაწყვეტილებისამებრ: ესენი ტიბერიუს გრაქხი კი არ არიან, რომელმაც მოიწადინა ხელმეორედ გამხდარიყო სახალხო ტრიბუნი, ესენი გაიოზ გრაქხი კი არ არიან, რომელიც შეეცადა განეახლებინა აგრარული მოძრაობა, ესენი არც ლუციუს სატურნინი არიან, რომელმაც მოჰკლა გაიოს მემიუსი, — მხილებული არიან ისინი, ვინც რომში დარჩა ცეცხლის წაკიდების მიზნით, თქვენი საყოველთაო ამოხოცვის განზრახვით, კატილინასთვის ქალაქის ჩასაბარებლად: მხილებული არიან ისინი თავიანთი წერილებით, თავიანთი ბეჭდებით, თავიანთი ხელწერით, დანაშაულის პირადი აღიარებით.

---

[1] Cic., Sulla, 17.

თქვენ იცით — ისინი ამხედრებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ალობროგებს, აქეზებდნენ მონებს, მოუწოდებდნენ კატილინას; მათი ზრახვა იყო ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოეწყოთ, რათა ალარავინ გადარჩენილიყო, რომ სამგლოვიარო მოთქმით და დატირებით მაინც პატივი ეცა რომის ხალხის სახელისათვის, რომ ცრემლთა უკანასკნელი ძღვენი შეეწირა მსოფლიოს დასამარებული მპყრობელისთვის" [1].

ციცერონმა გამოიყენა საშუალო შეძლების ფენათა, „ანტიკური წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის" მერყეობა და გადამწყვეტ წუთს ისინი თავის მხარეზე გადაიბირა.

„საქმე ისაა, რომ ყველა ხელოსანი და ვაჭარი, მისი დიდი უმრავლესობა ან, უფრო მართებულად რომ ითქვას, მთელი ეს კლასი მეტისმეტად განწყობილია ფასი დასდოს გარეგან მშვიდობიანობას. ეს გასაგებიცაა: მთელი მათი ხელობა, მთელი მათი სამუშაო, მთელი ხელფასი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათთან მოსიარულე მოქალაქეებთან და ყოველივე ეს მოითხოვს მშვიდობიან, წყნარ გარემოს; და თუ სავაჭრო სადგომების დაკეტვისათანავე გარდუვალად შემცირდება დახლის შემოსავალი, მაშინ რის იმედი-ღა უნდა ჰქონოდა ამ ხალხს მაშინ, როცა მათი სადგომები და სავაჭროები ცეცხლის კერძი შეიქნებოდა" [2].

ციცერონის წინადადებით, ყველა შეთქმული 3 დეკემბერს დაპატიმრებულ იქნა, ხოლო სენატის შემდგომ სხდომაზე (5 დეკემბერს) შესდგა საგანგებო სასამართლო, რომელმაც დაპატიმრებულებს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ცალკე სენატორების წინადადება, მათ რიცხვში იულიოს ცეზარისაც, სიკვდილით დასჯა შეეცვალათ მუდმივი პატიმრობით, უარყოფილ იქნა სენატის უმრავლესობის მიერ, რომელმაც ხმა მისცა სიკვდილით დასჯას.

„არა თვითონ შეთქმულთა ხვედრი და ბედი, — ამბობდა ერთ-ერთი მეტად გავლენიანი სენატორი, ოპტიმატების წინამძღოლი კატონ უმცროსი, — უნდა გაფიქრიანებდეს თქვენ, არამედ ჩვენი საკუთარი უვნებლობა. ყველა სხვა ბოროტმოქმედება და დანაშაული შეიძლება სდევნო მას მერე, რაც იგი ჩადენილია; ხოლო ეს ბოროტმოქმედება, თუ კი ვერ დაასწარ დროზე მის აღკვეთას, ალარ გადროვებთ საკუთარ ხსნაზე ფიქრს. მას მერე, რაც ქალაქი ალებული იქნება შეიარაღებული ხელით, დამარცხებულებს უკვე ალარაფერი არა რჩებათ. გაფიცებთ უკვდავ ღმერთებს თქვენ, ვისთვისაც

---

[1] Cic., Cat., IV, 4.
[2] Ibid., 17.

კი სამშობლო უფრო ძვირფასია, ვიდრე თქვენი საკუთარი სახლები, ვილები, სურათები და ქანდაკებანი, აღსდეგით იმის დასაცავად, რაც თქვენთვის ასე ძვირფასია, და შეინარჩუნეთ შესაძლებლობა მისი გამოყენებისა და მისით სარგებლობისა. გაიხსენეთ, რომ საქმე ეხება არა გადასახადებსა და შეურაცხყოფას, მოკავშირის მიერ მოყენებულსა, არამედ თქვენს საკუთრებას, თავისუფლებას და სიცოცხლეს" (non agitur de vectigalibus, neque sociorum iniuriis: liberta et anima nostra dibio est).[1]

ლენტულისა და ცეტეგის ცდა — უკანასკნელ წუთებში აემხედრებინათ მონები, მსახურები და აზატები, „გაბედული და ყველაფერზე გამზადებული" ხალხი, და იარაღით ხელში ეხსნათ საფრთხისაგან დაპატიმრებულები — ვერ დაგვირგვინდა წარმატებით. განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში მამერტინის საპყრობილეში, სადაც დაპატიმრებულნი დააღრჩვეს თვითონ ციცერონის თანადასწრებით. „ისინი მკვდარნი არიან", — სთქვა ციცერონმა საპყრობილედან გამოსვლისას, როცა მას მხიარული ყიჟინით მიესალმა შეგროვილი ბრბო.

არღვევდა რა კანონიერ სასამართლო პროცედურას, ციცერონი ჩქარობდა მალე გასწორებოდა შეთქმულებს, რომელთაც განაჩენი საგანგებო წესით ჰქონდათ გამოტანილი, რადგან ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა და იწყებოდა სამოქალაქო ომი. კატილინას მიმდევარი ყველგან მოიპოებოდა. შეთქმულთა გარდაო, შენიშნავს სალუსტი, ცოტა არ იყო ისეთი ხალხი, რომელიც კატილინასთან გაემგზავრაო. „უკვე დიდი ხანია რომის პლებსი — ქალაქისა (opifices) და სოფლისა (agrestes) — რომლის მთელი სიმდიდრე და იმედი მისივე მარჯვენაში მდგომარეობდა, ბორგვისა და დუღილის მდგომარეობაში იმყოფებოდა და შურისძიების ცეცხლით იყო აღგზნებულიო" (plebes sic adcensa, uti opifices agrestesque omnes, quorum res fidesque in manibus sitae erant, relictis operibus frequentarent Marium)[2], თქმული უშუალოდ ეხება გაიოს მარიუსის ხანას, მაგრამ ამდენადვე, თუ მეტად არა, იგი მიუღგება აქ განხილულ ხანასაც.

შეთქმულების ძაფი რომიდან გაიბა ყველა მიმართულებით: მთელ იტალიაზე, გალიაში, ესპანეთსა და აფრიკაში. ყველგან მოიძებნებოდნენ კატილინას მომხრენი. ყველაზე უფრო ძლიერად კი მოძრაობა ეტრურიაში იყო, მსხვილი მიწათფლობელობისა და მონათ-

---

[1] Sallust., De coniur. Cat., LII, 6, 7.

[2] Sallust., Bellum Iugurt., 73, 6.

ფლობელობის ქვეყანაში, რომელიც კერა იყო განუწყვეტელი აჯანყებისა და შეთქმულებისა. აქ სულას გაჩანაგებული მიმდევრები გაერთიანდნენ სულასეული ცენტურიონის გაიოს მანლიუსის მესვეურობით.

„უფრო ფართოდ, ვიდრე ამას ფიქრობენ, — ამბობდა სენატში ციცერონი 5 დეკემბერს, — მიმობნეულია ამ ბოროტების თესლი; ბოროტებამ მოიცვა არა მარტო იტალია, არამედ იგი გზას იკვლევს ალპის გადაღმაც, იგი უკვე, შეუმჩნევლად გავრცელებული, ბუდეს იკეთებს მრავალ პროვინციაშიო“ [1].

ყველგან ხდებოდა ღამღამობით კრებები (conventus), იარაღის აღრიცხვას აწარმოებდნენ, ლაპარაკობდნენ სასწაულებსა და მაუწყებელ ნიშნებზე, ემზადებოდნენ ომისა და აჯანყებისათვის. აპულიაში, მონათა მოძრაობის კლასიკურ ქვეყანაში, ინთებოდა მონათა ომი, კაპუაში მღელვარებდნენ და დრტვინავდნენ საგლადიატორო სკოლები და მისთანა სხვა. მდგომარეობა იღებდა სერიოზულსა და დაძაბულ ხასიათს.

ყველაზე უფრო სერიოზული იყო მდგომარეობა ეტრურიაში, სადაც, ლეკას სახლში შემდგარი კრების გადაწყვეტილების თანახმად, დაიწყო გაიოს მანლიუსის აჯანყება.

27 ოქტომბერს გაიოს მანლიუსმა უშველებელ ბრბოსთან ერთად ხელთ აიღო იარაღი (C. Manlium arma cepisse cum magna multitudine ante diem VI Kalendas Novembris) [2].

ამრიგად, კატილინა მას მერე, რაც იძულებით გავიდა რომიდან და მანლიუსთან ერთად გამოცხადებულ იქნა მამულის მტრად, აღმოჩნდა სტიქიურად მზარდი რევოლუციური მოძრაობის სათავეში, რომელმაც მოიცვა რომის საზოგადოების სულ ნაირნაირი ელემენტი. სენატორ კვინტუს კატულუსის მიმართ გაგზავნილ წერილში, რომელიც დაწერილი იყო რომიდან იძულებითი გასვლის ახლო ხანებში, კატილინა თავის მიერ აღძრულ მოძრაობას იხილავს როგორც ისეთ მოძრაობას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, წარმართულია ხალხის გაღატაკებული, ღარიბი და მიუსაფარი ნაწილის ინტერესთა შესაბამისად.

„როგორც საკუთარი ჩვევის ერთგულმა, მე თავს ვიდე ყველა უბედური მოქალაქის საჯარო დაცვა; ეს მე მოვიმოქმედე ოდნავადაც არა იმიტომ, რომ არ შემეძლო გამესტუმრებინა ჩემი სახელით გაცემული სავალო ვალდებულებანი საკუთარი სახსრებით, — იმ

---

[1] Cic, Cat., IV,

[2] Sallust., De contur. Cat., XXX, 1.

ვალს, რომელიც სხვისი სახელით იყო აღებული, დაფარავდა ორესტილას სიუხვე თავის საკუთარი სახსრებიდან და თავისი ქალის სახსრებიდან, — არამედ იმიტომ, რომ მე ვხედავდი პატივით მოსილ უღირს ადამიანებს და ამასთან ერთად ვგრძნობდი ჩემს საკუთარ თავს ჩამოცილებულად ცრუ და უსაფუძვლო ეჭვის ძალით. ამის საფუძველზე მე ავირჩიე ჩემს მდგომარეობაში სავსებით საპატიო გზა, რომელიც იმედს მაძლევს იმისას, რომ შევინარჩუნებ შერჩენილ ღირსებასო“ [1].

კატილინას თანამგრძნობთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, ოღონდ თავისი სოციალური შემადგენლობით, იგი უაღრესად ჭრელი, სუსტად შეკავშირებული და ამიტომაც სუსტი იყო. კატილინას მომხრეთა ბირთვს შეადგენდა სოფლისა და ქალაქის პლებსი, „მუდამ გადატრიალებას მოწყურებული“ (cupida rerum novarum), მაგრამ ეკონომიურად სრულიად უძლური და ამ მხრივ ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებული. I საუკ.-ში ჩვენ წელთაღრიცხვამდე ეს იყო დეკლასირებული — ლუმპენპროლეტარული—მასა, რომელიც ადვილად აინთებოდა. მაგრამ ასევე ადვილად ჩაქრებოდა, თავის პოლიტიკურ სიმპატიებსა და ანტიპატიებში მერყეობდა, პირველ მარცხისთანავე ფსიქიურ წონასწორობას კარგავდა და გამარჯვებულის ბანაკში გადადიოდა.

„ამასობაში პლებსმა, რომელიც თავდაპირველად, გადატრიალებისადმი განწყობილი, სავსებით თანაუგრძნობდა სამოქალაქო ომს, შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ გამოიცვალა თავისი აზრი, დაუწყო წყევლა და კრულვა კატილინას განზრახვებს, ცამდე აიყვანა ციცერონი, იწყო მხიარულება და ზეიმი, როგორც თავისუფლება მინიჭებულ მონებმაო“ [2].

ასეთ ასპექტში გასაგები ხდება სალუსტის პესიმისტური შეხედულებაც კატილინარიების მოძრაობის აღსასრულზე.

„პლებსის ძალა, — ამბობს სალუსტი, — მცირდებოდა, ხოლო ოლიგარქების ძლიერება იზრდებოდა. იმათ ხელთ ეჭირათ არჩევითი თანამდებობანი, იმათ ხელში იყო პროვინციები და მთელი სახელმწიფო, ვერავინ მათ ვერ დასჩაგრავდა, ამიტომაც თავს ნეტარებაში გრძნობდნენ; იმათ, ვინც მომხრე იყო პლებსის მიმართ რბილად მოქცევისა, აშინებდნენ და აფრთხობდნენ სასამართლოს წესით დევნა-შევიწროებით. მაგრამ სულ მცირე მერყეობის შემთხვევებში ყოველთვის კვლავ აღიძრებოდა ხოლმე გადატრიალების იმედი და

---

[1] Sallust., De conlur. Cat., XXXV.

[2] Ibid, XLVIII, 1.

ბრძოლის ცეცხლი ედებოდა პლებსის თავსა და ტვინს. ამიტომაც, კატილინა რომ გამოსულიყო გამარჯვებული ან თუნდაც არა დამარცხებული პირველი ბრძოლიდან, სახელმწიფოს თავს დაატყდებოდა დიდი უბედურება და განადგურება, და გამარჯვებულნი მეტად დიდხანს ვერც შესძლებდნენ გამარჯვების შედეგით დატკბობას: მათ, მოღლილ-მოქანცულებსა და დასუსტებულებს, ძალა-უფლებასა და თავისუფლებას წაართმევდა ყველა, ვინც კი საბოლოოდ მათზე ძლიერი აღმოჩნდებოდა“ [1].

აქ ნათქვამს უნდა მრემატოს კიდევ კატილინარიების შეიარაღებული ძალის არასაკმარისობა და ტექნიკური სისუსტე. კატილინას ჯარი ძლივს აღემატებოდა 20 ათას კაცს და ამასთანავე მეტად უხეიროდ იყო შეიარაღებული. უკვე მარტო ეს გარემოება მაუწყებელი იყო დაწყებული მოძრაობის ტრაგიკული აღსასრულისა. სამხედრო დიქტატურათა ხანაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა ჯარს. ყოველივე ამან გამოიწვია კიდეც კატილინას მარცხი.

ციცერონის მესვეურობით არსებულ „კეთილგანმზრახველ პირთა“ პარტიის საგრძნობი უპირატესობა იყო სამხედრო ძალის დიდი რიცხვობრივი სიჭარბე. სახელმწიფო აპარატისა და ფინანსების მის განკარგულებაში არსებობა. მოვიდა თუ არა ცნობები დაწყებულ მოძრაობის შესახებ, რომიდან სასწრაფო წესით გაგზავნილ იქნენ ეტრურიასა, აპულიასა, კამპანიასა, პიცენუმში და რევოლუციური დუღილის სხვა კერებში პრეტორები და ლეგატები საგანგებო-სპეციალური დავალებით შეეგროვებინათ ჯარი და საბრძოლოდ განმზადებული ყოლოდათ იგი. ამასთანავე ერთად მოეწყო შპიონაჟისა და დასმენათა მთელი სისტემა. შეთქმულთა კონსპირატიულ საიდუმლოებათა გამომჟღავნებისათვის დანიშნული იყო გარკვეული ჯილდო: მონებს მიეცემოდათ თავისუფლება და 100 ათასი სესტერცია, თავისუფალ მოქალაქეებს — 200 ათასი და შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაუსჯელობა. საგლადიატორო სკოლები კაპუადან გადატანილი იყო სხვა ქალაქებში, ყველგან აყენებდნენ ყარაულს და პიკეტს. რომის სახელმწიფო მანქანამ ამ შემთხვევაშიაც გამარჯვება მოიპოვა. ციცერონს სრული საფუძვლიანობით შეეძლო განეცხადებინა:

„მამანო-სენატორნო, ყოველივე წინასწარ გათვალისწინებულია, მომზადებულია და გაკეთებული, არა მარტო ჩემი განსაკუთრებული ზრუნვისა და მეცადინეობის წყალობით, არამედ უმეტესად რომის ხალხის მტკიცე გადაწყვეტილების მეოხებით, რათა შეი-

[1] Sallust., De contur. Cat., XXXIX.

ნარჩუნოს უმაღლესი ძალა-უფლება და ხელშეუვალად დაიცვას ჩვენი საერთო ღირებულებანი“ [1].

რომში შეთქმულების ლიკვიდაციის ამბავმა და შეთქმულთა სიკვდილით დასჯამ მოშალა კატილინარიების რიგები. მრავალი, ვინც მოძრაობას მიეტმასნა ანგარებითი ანგარიშით, მდიდარი ნადავლის იმედით, თანამდებობის მიღებისა და სხვა ამგვარის შესაძლებლობით, ჩამოსცილდა მას. ხოლო ჯარის დარჩენილი ნაწილით, რომელიც მცირერიცხოვანი და ცუდი შეიარაღებული იყო, მაგრამ ერთგული კი დარჩა თავისი საქმისა და წინამძღოლისა, კატილინა, ფიქრობდა შემოვლითი გზით, მთის ბილიკებითა და გაუვალი გზებით გალიაში წასვლას. მას იქ იმედი ჰქონდა დახმარების მოპოებისა მებრძოლ გალურ ტომებს შორის, რომელნიც მზად იყვნენ მიმხრობოდნენ რომის საწინააღმდეგო მოძრაობას.

მაგრამ არც ეს მოხერხდა. კატილინას წინააღმდეგ რომიდან გაგზავნილ იქნა ორი არმია კვინტუს მეტელ ცელერისა და გაიოს ანტონიუსის, კატილინას წინანდელი მეგობრისა და თანამონაწილის, მეთაურობით. მტრის ჯარებით გარემოცული კატილინა იძულებული შეიქნა პირისპირ შებმოდა მოწინააღმდეგის აშკარად აღმატებულ ძალებს. რომაული ჩვეულებისამებრ, ბრძოლის წინ მან თავი მოუყარა ჯარისკაცებს და მათ წინაშე წარმოსთქვა მგზნებარე და ენთუზიაზმით აღსავსე სიტყვა, რომლითაც იგი მოუწოდებდა გმირულად დაეცვათ პატიოსნების თავისუფლება და პირადი ღირსება.

„ჩვენ ვიბრძვით სამშობლოსა, თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის, — ლაპარაკობდა კატილინა, — მაშინ როდესაც ჩვენი მტრები თავიანთ სისხლს ღვრიან მცირეთა ინტერესების გულისთვისო“... (illis supervacaneum est pro potentia paucorum pugnare)

„ჩვენ ხელთაა სიცოცხლე შევინარჩუნოთ ნებაყოფლობითი გადასახლებით, ოღონდ ეს იქნებოდა ნაზრახი სიცოცხლე. მრავალ ჩვენგანს შეეძლო ცხოვრება ეღონღიალა რომში სხვის ხარჯზე, მაგრამ თქვენ, როგორც ეს შეჰფერის ძლიერ ადამიანებს, შეიძულეთ ასეთი დაბალი და არაკეთილშობილური გზა და საშუალება ხსნისა. ბრძოლაში სიმამაცე საუკეთესო საწინდარია გამარჯვებისა, გამარჯვებულის ხელშია ზავის პირობა უკარნახოს. მეომრებო, კარგად გიცნობთ თქვენ და ვიგონებ რა თქვენ ვაჟკაცურ საქმეებს, დიდი მოიმედე ვარ გამარჯვებისა და წარმატებისა. ამის საწინდარს მაძლევს თქვენი გაბედულობა, თქვენი ვაჟკაცობა, თქვენი აყვავებული წლოვანობა, რაც ძალას მატებს მარჯვენას, განსაკუთრებით

---

[1] Cic., Cat., IV, 14.

კი თქვენი გამოუვალი მდგომარეობა, რომელმაც გაუბედავსა და მერყეევსაც კი უნდა მისცეს თავგანწირულის ვაჟკაცობა. ხოლო თუ შურიანი ბედი ჩვენ წარმატებით არ შეგვამკობს, დაე დავეცეთ, ოღონდ სანაცვლოს კი მივაგებთ ჩვენს გამო; ნუ ჩაუვარდებით ტყვედ, არ დაუშვათ ის, რომ მტრებმა ჩვენ აგვკაფოს როგორც ცხვრის ფარა. და თუ მტერი მაინც მოიპოებს გამარჯვებას, ეს იქნება მხოლოდდამხოლოდ ჩვენ სიკვდილთან ერთად, რაიც მას სისხლად და ცრემლად დაუჯდება“ [1].

გენერალური ბრძოლა მოხდა ეტრურიის მთაგორიან იწროებში. პისტორიასთან (Pistoria) 62 წელს რომაელი კონსულების ჯარმა ძვირად და დიდი ფასით იყიდა გამარჯვება. ამბოხებულებს თავი ეჭირათ განსაცვიფრებელი სიმედგრით და თითქმის ყველა უკანასკნელამდე დაეცა ბრძოლის ველზე. ყველაზე მეტი ვაჟკაცობა, თავდარიგიანობა და გმირობა თვითონ კატილინამ გამოიჩინა.

ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილით დაღუპულთა შორის იყო თვითონ კატილინაც. „კატილინა იპოვეს შორს თავისიანებისგან, მტრებს შორის. ის ჯერ კიდევ სუნთქავდა და მის სახეზე აღიბეჭდებოდა შეუდრეკელი, მძაფრი სული. თვითეული მისი ჯარისკაცი ისევე ნაკლებად იზოგავდა თავის სიცოცხლეს, როგორც ნაკლებად ინდობდა მტრის სიცოცხლეს“ [2]. ციცერონმა შეთქმულების გამომჟღავნებისა და მამულის ხსნისათვის მიიღო „სამშობლოს მამის“ (pater patriae) საპატიო ტიტული.

კატილინარიების მოძრაობის განადგურებამ უფრო მეტად მოშალა პოპულარების რიგები და რამოდენიმე ხნით. აღადგინა და აამაღლა ოპტიმატებისა და სენატის სახელი. დამარცხებული და დაქსაქსული დემოკრატია, რომლის მთავარი მასა შესდგებოდა ქალაქის დეკლასირებულ ელემენტებისგან, ამ დროიდან იარაღად გადაიქცა დემაგოგებისა და სამხედრო დიქტატორების ხელში. კატილინას შეთქმულება ერთ რგოლს შეადგენს რომის მონათფლობელური პოლისის ხმელთაშუაზღვეთის რომის იმპერიად გადაქცევის იმ ხანგრძლივსა და რთულ საისტორიო პროცესში, რომელიც დაიწყო ძველი წელთაღრიცხვით II საუკ.-ში და მომთავრდა ახალი წელთაღრიცხვით II. საუკ.-ში. რომის რესპუბლიკაში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე შექმნილ სიტუაციის პირობებში გამარჯვება შეეძლო მხოლოდ სამხედრო დიქტატორს, რომე-

---

[1] Sallust., De conlur. Cat., LVIII.
[2] Ibid., LXI.

ლიც ემყარებოდა იმპერიის ძალებს — უშუალოდ ჯარის ორგანიზებულ ძალას და სამხედრო ნადავლს. რომაული პოლისი კანონზომიერად იქმნებოდა ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად: ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე რომის მონათფლობელური სახელმწიფო შეიძლებოდა გადარჩენილიყო შინაგანი ხრწნისგან, ხოლო მისი საგარეო სამფლობელოები უზრუნველყოფილიყო მხოლოდ იმპერიის ძალთა საშუალებით.

თ ა ვ ი XII

ტრიუმვირატი და ცეზარის დიქტატურა

1. „სამთავიანი ურჩხული“

კატილინას შეთქმულებამ დააჩქარა იმპერატორთა ერთპიროვნული რეჟიმის დამყარება. თავისი ევოლუციის პროცესში რომის თვითმპყრობელობამ განვლო რამდენიმე საფეხური, რომელთა შორის პირველ საფეხურს წარმოადგენდა პირველი ტ რ ი უ მ ვ ი რ ა ტ ი (60 წ.); ასეა სახელდებული შეთანხმება სამი გავლენიანი რომაელი მაგნატისა—პომპეუსის, კრასუსისა და ცეზარის. ეს იყო „ძალა-უფლებისა, ფულისა და ჭკუის კავშირი“. შეთანხმება მოხდა სენატის მიმართ საერთო მტრული განწყობილებისა და ურთიერთ დახმარების საჭიროების ნიადაგზე. თვითეულს აქ დასახლებულ ტრიუმვირთაგანს ჰქონდა საბუთი სენატით უკმაყოფილო ყოფილიყო. პომპეუსი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სენატმა უარი განაცხადა დაემტკიცებინა მისი განკარგულებანი აღმოსავლეთის პროვინციათა და ვეტერანების დასაჩუქრების შესახებ, ცეზარი მიისწრაფოდა იქითკენ, რომ დაუსწრებლივ მიეღო კონსულობა, კრასუსი კი ამაოდ ცდილობდა გამოსასყიდ გადასახადთა შემცირებას მხედართა ინტერესების შესაბამისად და აღმოსავლეთში სარდლობის მიღებას. ტრიუმვირები მოქმედებდნენ, უპირველეს ყოვლისა, პირადი ინტერესების მიხედვით და თავიანთი მრავალრიცხოვანი კლიენტურის ინტერესთა შესაფერისად, ჰქონდათ რა დახმარება სხვადასხვა სოციალურ ფენაში. კრასუსი ემყარებოდა მხედრებს, ცეზარი მეგობრობდა პოპულარებს, პომპეუსს საყრდენად

ჰყავდა ნობილიტეტის ზოგიერთი ფენა, ხოლო ყველა ერთად საყრდენს ხედავდა ლეგიონებში, რომელთაც თვითეული მათგანი სარდლობდა. ტრიუმვირატის იდეა ეკუთვნოდა იულიოს ცეზარს, ამიტომაც, პირველ ყოვლისა, გვმართებს კიდეც გავიცნოთ მისი პიროვნება.

გაიოს იულიოს ცეზარი (Gaius Iulius Caesar, 100—44 წწ.) წარმოშობით იყო ძველი რომაული იულიოსების გვარიდან, რომლის მამამთავრად ითვლებოდა იულიუსი (Iulus), ენეუსის შვილი. დედის ხაზით გაიოს მარიუსის ნათესავს ცეზარს პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა ცინას ქალი კორნელია.

თავისი ინტელექტუალური თვისებებით და მრავალმხრივი ნიჭით იულიოს ცეზარი ეკუთვნოდა მისი დროის გამოჩენილ პირთა რიცხვს. მაგრამ იგი, იჩენდა რა ინტერესს ცოდნის ყოველგვარი სახეობის მიმართ—ფილოსოფიიდან და მჭევრმეტყველობიდან მოკიდებული და ასტრონომიითა და სტრატეგიით გათავებული,—ღრმად არ იკვრებოდა რომელსამე ერთს სამეცნიერო და ხელოვნების დარგში. თავისი ბუნებით ცეზარი უფრო იყო მსახიობი-დილეტანტი, ვიდრე მეცნიერი-სისტემატიკოსი.

ცეზარის ინტელექტუალური ნიჭიერება სავსებით როდი იყო შეხამებული მის ფიზიკურ ბუნებასთან. სუსტი, გამხდარი, სახით ნაზი, შაკიკისა და გულშელონებისადმი განწყობილი ცეზარი თითქოს უარყოფდა რომაულ პრინციპს „საღი გონება—საღ სხეულში“ (mens sana in corpore sano). მაგრამ მიუხედავად ჯანის სისუსტისა, თუმცა მისი ჯანმრთელობა შერყეული იყო არაზომიერი ცხოვრებით, გონებრივი და ფიზიკური დაღლილობით, ცეზარი მაინც ახერხებდა ხანგრძლივ მოგზაურობას უგზო-უკვლო და უწყლო ადგილებში ისე, რომ ცხენიდან თითქმის არ ჩამოდიოდა და ღამეს ათევდა ურემში გალიისა და გერმანიის ჩრდილოეთის ცის ქვეშ. მოგვითხრობენ, რომ მოგზაურობის დროს, რათა დრო ფუჭად არ დაჰკარგოდა, ცეზარი წერილებს უკარნახებდა, თხზავდა მემუარებს და ყოველმხრივად მოიფიქრებდა ხოლმე სტრატეგიული და პოლიტიკური ბრძოლების გეგმებს. მას შეეძლო ერთსადაიმავე დროს ეკარნახა კიდეც, ეწერა კიდეც და საუბარიც ეწარმოებინა. ენის წესიერებისა და სილამაზის მიმართ თავისი განვითარებული და გამახვილებული ალღოთი და აზრის სიკაშკაშით ცეზარი ბევრ რამეში უნდა უმადლოდეს თავის მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი სახელგანთქმულ რიტორს მოლონს.

ცეზარი ცხოვრობდა იმ ხანაში, როცა პოლიტიკური მოღვაწეობა წარმოადგენდა მხოლოდ მცირერიცხოვან მაგნატებისა და

მათი კლიენტების უპირატესობას. ამომრჩეველთა გულის მოსანადირებლად ძველი რომის საზოგადო მოღვაწეებს უხდებოდათ თავიანთ ხარჯზე უქმე-დღესასწაულების, გართობა-ასპარეზობათა და სანახაობათა მოწყობა, შენობათა აგება, საჩუქრების გაცემა, მოკლედ — მდაბიოს მოქრთამვა. ყოველივე ეს მოითხოვდა დიდძალ ფულს, საკუთარი სახსრები კი ამგვარი უშველებელი ხარჯებისათვის ცეზარს არ ჰყოფნიდა, და ამიტომაც მას ხშირად უხდებოდა ბლომად ფულის სესხება თავის მდიდარ მეგობრებსა და მფარველებში. განსაკუთრებით დიდად იყო ცეზარი დამოკიდებული კრასუსზე, რომელიც თავის მხრივ ცეზარს იყენებდა პირადი ინტერესების შესაბამისად.

და მაინც, რარიგ უხვი და მოწყალენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ცეზარის მეგობრები და მფარველები, მას მაინც არ შეეძლო მხოლოდ ვალების აღებით ერჩინა თავი. აქედან გამომდინარეობდა ცეზარის ლტოლვა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მიეღო შემოსავლიანი თანამდებობა ერთერთ მდიდარ პროვინციაში. 62 წელს გაურჯელად და კრასუსის დახმარებით ცეზარმა მიიღო პრეტორობა, ხოლო მომდევნო, 61 წელს — პროპრეტორობა ესპანეთში. როგორც პროპრეტორმა, ცეზარმა რამდენჯერმე გაიმარჯვა ესპანეთის ტომებზე (ლუზიტანებზე), მოაწესრიგა გადასახადებისა და ვალების საკითხი და ამასთან ერთად გამოიკეთა თავისი საკუთარი ნივთიერი მდგომარეობაც.

სენატისა და ოპტიმატების ეჭვიანმა განწყობილებამ ცეზარის მიმართ, რომელიც ითვლებოდა მარიუსელად და დემოკრატად, დააახლოვა იგი პომპეუსთან; ესეც სენატზე გულმწყრალად იყო: სენატმა მას 62 წელს უარი უთხრა აზიაში მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა დამტკიცებაზე.

ცეზარის თავდაპირველი იდეა იყო შეედგინა ზომიერი მთავრობა, ციცერონის იდეალს მიახლოებული. მაგრამ ოპტიმატების წინამძღოლის — კატონის მკაცრმა ოპოზიციამ ცეზარი იძულებული გახადა დასდგომოდა პომპეუსთან და კრასუსთან უფრო მჭიდრო დაახლოების გზას; ამათი დახმარებით 59 წელს მან მიიღო კიდეც კონსულობა, რასაც იგი კარგახანია ეძიებდა.

ტრიუმვირატი, „სამთავიანი ურჩხული“, როგორც მას შეარქვეს ოპტიმატებმა, განმტკიცებულ იქნა დინასტიური შეუღლებით. ცეზარმა პომპეუსს მიათხოვა თავისი ქალი იულია, რომელიც უკვე დანიშნული იყო სერვილიუს ცეპიონზე, სერვილიუსს კი მიათხოვეს პომპეუსის ქალი, დანიშნული დიქტატორის შვილზე — ფაუსტ სულაზე. თვითონ ცეზარმა მესამე ქორწინებით ცოლად შეირთო კალ-

პურნია, პიზონის ქალი, იმ პიზონისა, რომელმაც მომდევნო წელს კონსულობა მიიღო. ამგვარად წარმოიქმნებოდა ნათესაური ქსელი, რომელშიაც გაბმული იყო ამ ეპოქის ყველა მთავარი მოღვაწე.

სამთა შეთანხმების მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა. პომპეუსის პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულ იქნა იმით, რომ კომიციებმა აღიარეს ყველა მისი განკარგულება აზიაში, ხოლო კრასუსს შეჰპირდნენ პროვინციას და ომს პართიასთან.

კონსულის წოდებაში ყოფნისას ცეზარმა გაატარა მთელი რიგი კანონები. პირველ ყოვლისა, მხედრების ინტერესთა შესაბამისად მან კომიციებში გაატარა კანონი პუბლიკანების საზოგადოებათათვის შესასყიდ გადასახადთა მესამედის პატიების შესახებ. მითრიდატესთან ომის დროს შემსყიდველმა კომპანიებმა დიდი ზარალი ნახეს და ამის ძალით მხედრები მოითხოვდნენ შესასყიდი თანხის დაკლებას. მათი თხოვნა შეწყნარებულ იქნა[1]. შემდეგ: პომპეუსის ვეტერანებისა და ქალაქის დაბალი ფენების ინტერესთა მიხედვით გატარებულ იქნა ა გ რ ა რ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი, რომელიც ძირითადად იმეორებდა სერვილიუს რულუსის კანონს. დაახლოებით 20 ათასმა ვეტერანმა პომპეუსისამ და ქალაქის მცირემქონე მოსახლემ მიიღო მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, ცეზარმა აღუთქვა ვალების დაკლება, ბინის ქირის მოწესრიგება და სარგებლის ნორმის შემცირება. ცეზარის თანაშემწედ მის ამდროინდელ პოლიტიკურ კარიერაში იყო პ უ ბ ლ ი უ ს კ ლ ო დ ი უ ს ი პ უ ლ ხ ე რ ი (P. Clodius Pulcher), ცეზარიანული პოლიტიკის ერთერთი ენერგიული გამტარებელი, ჩამომავლობით რომის ერთერთი უძველესი გვარის — კლავდიუსების — წევრი. რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეში იყო რამდენიმე კლავდიუსი ანუ კლოდიუსი — და-ძმანი. კლავდიუსების მთელ გვარს ავანტურიზმის იერი გადაჰკრავდა, მაგრამ ამავე დროს მას არც გარეგანი მიმზიდველობა აკლდა, არც განათლება, არც ლიტერატურული, პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი. კლოდიუსის ბიოგრაფიას ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს თავისი შინაარსის სიჭრელით. თავდაპირველად იგი მსახურობდა მითრიდატესთან ომის დროს ლუკულუსის არმიაში, უაჩაღების ხელში ჩავარდა, მაგრამ თავი დაიხსნა ფულის გაღებით, შემდეგ მეგობრობდა კატილინას, მხილებულ იქნა „კეთილი ქალღმერთის" (Bona Dea) საწინააღმდეგო მკრეხელობაში, რომლის დღესას-

---

[1] Drumann, Geschichte Roms, Bd. III, 2 Auf., 1906; E. Meyer, Caesars Monarchie und das Prinçipat des Pompejus, 3 Auf., 1922.

წაულზე იგი შეიპარა ქალის ტანისამოსში გადაცმული, კავშირი ჰქონდა ცეზარის მეორე ცოლთან — პომპეასთან და მისთანა სხვა. 59 წელს ციცერონთან პირადი მტრობის გამო კლოდიუსი მიემხრო ცეზარს, გადავიდა პლებეების წრეში და ცეზარის დახმარებით 58 წლისთვის არჩეულ იქნა სახალხო ტრიბუნად.

ბუნებით გათახსირებული კლოდიუსი მაინც დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭით და ცეზარს დიდ სამსახურს უწევდა პოლიტიკურ მტრებთან — ციცერონთან და კატონთან — ბრძოლაში, რომელნიც ილაშქრებდნენ ცეზარის მონარქიულ მისწრაფებათა წინააღმდეგ. როგორც ცეზარის რწმუნებულმა, კლოდიუსმა 58 წელს გაატარა მთელი რიგი კანონები ქალაქის მასების ორგანიზირებისა და ცეზარის მხარეზე მათი გადაბირების მიზნით. ამ კანონთა რიცხვს მიეკუთვნება: 1) ქალაქის მოსახლეობაში უაღრესად პოპულარული (summe popularis) პ ურ ი ს კ ა ნ ო ნ ი, რომელიც აწესებდა მოქალაქეთათვის უფასო პურის გაცემას (ut frumentum populo... gratis darentur); 2) კანონი უქმე დღეებში კრებებისა და მიტინგების ნებადართვის შესახებ, როცა მოსახლეობის მშრომელი მასა სამუშაოდან თავისუფალი იყო, და 3) კანონი ძველი კოლეგიების აღდგენის შესახებ, რომელნიც სენატმა დახურა კატილინასეული მოძრაობის დროს, და ახალი კოლეგიების (lexde collegiis restituendis novisque instituendis) გახსნის შესახებ, რომელნიც შესდგებოდნენ „მონათა ნაძირალებისგან "(servitiorum faece constituta) [1], ციცერონის კომენტატორის — ასკონიუსის თქმა რომ ვიხმაროთ.

კოლეგიების საშუალებით კლოდიუსმა მოახერხა ქალაქის მასების ორგანიზირება, მათი დაკავშირება ცეზარის პოლიტიკასთან და საჭირო მომენტში თავისი პოლიტიკური მტრებისათვის დაპირისპირება.

ცეზარს რომ არ ჰქონოდა დასაყრდენი კოლეგიებში, ვერასდროს ვერ მოიპოებდა რომში ასეთ გავლენას და ვერც ასე მტკიცედ შეუკავშირებდა თავის პოლიტიკას ქალაქის დაბალი ფენების ინტერესებს.

კოლეგიათა დახმარებით კლოდიუსმა რომიდან გააძევა ოპტიმატების ყველაზე უფრო საშიში წინამძღოლები — ციცერონი და კატონი. ციცერონის წინააღმდეგ გამოცემულ იქნა სპეციალური კანონი, რომლის თანახმადაც ყოველი მაგისტრატი, ვინც კი რომის მოქალაქეს გაასამართლებდა სასამართლო ფორმალობათა დაუცა-

[1] A s c o n., Jn Pisoniam, 9.

ვად და შეუსრულებლივ, ისჯებოდა წყევლა-კრულვით და ქალაქიდან უნდა გაძევებული ყოფილიყო 400 მილის მანძილზე.

ამ კანონით, ციცერონს, რომელმაც საგანგებო სასამართლოს და გასამართლების ძალით კატილინას თანამოზიარენი სიკვდილით დასაჯა, უნდა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა რომი (58 წ.). ციცერონის მამულები და ქონება ჩამორთმეულ იქნა, ხოლო მის მდიდრულად მოწყობილ სახლში, ფორუმზე რომ იყო, დასახლდა თვითონ კლოდიუსი, რომელმაც შეისყიდა აგრეთვე მეზობელი სახლებიც.

ოპტიმატების წინამძღოლთა გაძევების შემდეგ ცეზარმა მიაღწია თავის მთავარ მიზანს — პროვინციის მიღებას. 59 წ. დასასრულს სახალხო ტრიბუნმა პ უ ბ ლ ი უ.ს ვ ა ტ ი ნ ი უ ს მ ა, ცეზარისგან მოსყიდულმა, კომიციებში სენატის დადგენილების გვერდახვევით გაატარა კანონი ცეზარისათვის საგამგებლოდ 5 წლის ვადით ალპისწინარე გალიისა და ილირიის მიცემის შესახებ ს ა მ ი ლეგიონითურთ (lex Vatinia). ამას მალე მიუმატეს ტრანსალპიური გალია და კიდევ ერთი (მეოთხე) ლეგიონი. ამ წამატების თანხმობა ეკუთვნოდა სენატს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ სახიფათო ომი დიდიხნით დააყოვნებდა ცეზარს იქ და მისი ყურადღება და თვალი მოსცილდებოდა რომს.

2. რომამდელი გალია

თანდათანობით მზარდი რომის რესპუბლიკა ზედიზედ იპყრობდა ხმელთაშუაზღვეთის ოლქებს. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ რომის ტერიტორიული ზრდა შედეგი იყო სავაჭრო-სავაჭრო კაპიტალისა და მონათფლობელური მეურნეობის ზრდისა. I საუკ. შუა ხანებში რომის საქმიანი სამყაროს თვალი მადიანად და მოწყურებულად უმზერდა ორს უშველებელსა და ერთიმეორისგან საკმაოდ დაშორებულ ოლქს — პართიას, ეფრატის აღმოსავლეთით მდებარე უმდიდრეს ოლქს, და გალიას, უშველებელ ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმული იყო იტალიის საზღვრებიდან ჩრდილოეთის ზღვამდე და ატლანტის ოკეანემდე.

გ ა ლ ი ა იყოფოდა ორ ნაწილად: ა ლ პ ი ს წ ი ნ ა რ ე (ციზალპიური) გ ა ლ ი ა დ (Gallia Cisalpina) და ა ლ პ ი ს გ ა დ ა ღ მ ა (ტრანსალპიური) გ ა ლ ი ა დ (Gallia Transalpina).

ციზალპიური გალია იწოდებოდა ტოგაში ჩაცმულ (Gallia togata) გალიად, ე. ი. მოშინაურებულ გალიად, ხოლო ტრანსალპიურ გალიას ეწოდებოდა გარეული ანუ ბანჯგვლიანი გალია (Gallia comata), „შარვლიანი გალია" (Gallia braccata). ალპის გადაღმა გალია შეიცავდა თანამედროვე საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლან-

დიის ნაწილს, შვეიცარიის მეტ წილსა და რეინის მარცხენა სანაპიროს. ურთიერთობას რომაელებსა და გალებს შორის გარემოებისდა მიხედვით ხან მშვიდობიანი და ხან მტრული ხასიათი ჰქონდა. პირველი ცნობები ჩრდილოეთ ქვეყნების შესახებ რომაელებმა მიიღეს ვაჭრებისგან, რომელნიც რეინის შესართავამდე ადიოდნენ, ხოლო დასავლეთით ოკეანეს აღწევდნენ.

გალიის უძველესი მოსახლეობა იყო ი ბ ე რ ე ბ ი და ლ ი გ უ რ ე ბ ი, რომელნიც შეერიენენ იმ კელტურ (გალურ) ტომებს, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, დუნაის ქვემო და შუა დინებიდან და ელბას გადაღმიდან რომ ვრცელდებოდნენ (VII ს.). განირჩეოდა სამი მთავარი ჯგუფი ამ გალთა ტომებისა: ბ ე ლ გ ე ბ ი ჩრდილოეთში, კ ე ლ ტ ე ბ ი ამ სიტყვის საკუთარი აზრით სენადან გარონამდე, ა კ ვ ი ტ ა ნ ე ბ ი გარონიდან პირენეამდე. ცეზარის დროს გალები მრავალ ტომად იყვნენ დანაწილებული: ჰელვეტებად, ედუებად, სექვანებად, არვენებად, ნერვიებად, ბელგებად და მისთანა სხვად. სოციალურ-ეკონომიური მხრივ ამ ტომებს შორის თვალსაჩინო სხვაობანი არსებობდა. მაშინ როდესაც ზოგიერთი ტომი ჯერ კიდევ გვაროვნული ყოფა-ცხოვრების სტადიაში იმყოფებოდა, სხვა ტომები უკვე საკმაოდ წინ წასული იყვნენ სახელმწიფოებრიობის გზით. თვითეულს ტომს ჰყავდა თავისი წინამძღოლები (principes), რომელთაც ირჩევდნენ ტომის მეტად მდიდარ და გავლენიან პირთა წრიდან. პრინცეპსებზე იყო დამოკიდებული კლიენტებისა (ამბაქტების) და მონების მასა.

მთავრებთან (ანუ თავადებთან) ერთად რომამდელ გალიაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქურუმები — დ რ უ ი დ ე ბ ი (druides), რომელნიც შეადგენდნენ კარდახშულ კორპორაციას. დრუიდები ითვლებოდნენ ძველი სიბრძნის მცველებად, წინასწარ მკითხაობდნენ მომავალს, განმარტავდნენ და ხსნიდნენ სამართალს და ასწავლიდნენ სხვადასხვა მეცნიერებას — მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას, მანტიკას (მკითხაობისა და წინასწარმეტყველების ხელოვნებას) და მისთანა სხვას. საკულტო კრებები იმართებოდა მაღალ მთებზე, მუხის ჭალებში და კუნძულებზე. მოსახლეობაში დრუიდებს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდათ. დრუიდიზმის ცენტრად ითვლებოდა ბრიტანეთი, განსაკუთრებით კუნძული მონა[1].

გალიის პრინცეპსებს შორის ცეზარის დროს განთქმული იყვნენ დივიციაკე, დუმნორიქსი, ორგეტორიქსი, ვერცინგეტორიქსი და

[1] Caes., De bello Gall., VI, 13—16; Strab., IV, 197.

სხვანი, რომელთაც ათასობით ჰყავდათ თავისზე დამოკიდებული ხალხი.

გალიის დიდკაცობის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა მეჯოგეობა და მიწათმოქმედება, მარცვლეულის და მცირე რაოდენობით ყურძნისა და ბაღის მცენარეულობის მოყვანა. გალიის უფრო მჭიდროდ დასახლებულ ოლქებში, გზებისა და მინდვრეების პირას, ჩნდებოდა ქალაქები, სადაც ეწყობოდა ვაჭრობა, ლაშქრის თავმოყრა და რელიგიური დღეობები, სადაც ჩერდებოდნენ რომაელი და ადგილობრივი ვაჭრები და ცხოვრობდნენ ხელოსნები. ვაჭრობის საგანს შეადგენდნენ მონები, ღვინო, ფუფუნებითი საგნები, რქოსანი პირუტყვი, ადგილობრივი ნახელავი და გალიის მდიდარი ბუნების პროდუქტები. რომაელი მწერლების (ცეზარი, დიონი, სტრაბონი) მოწმობით, გალიაში არსებობდა კერამიკული ჭურჭლეულობის, იარაღის, ოქროსი, ვერცხლისა და რკინის ნახელავთა წარმოება. რომაელი ვაჭრების გარდა, გალიაში ცხოვრობდა ბევრი ბერძენი ვაჭარი, რომელთა სამოსახლო ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი მასილია ხმელთაშუა ზღვის ნაპირას. გალიის ქალაქებს შორის დასახელებულ მწერლებს მოხსენებული აქვთ ბიბრაქტე (Bibracte), ედუების ფართო ქალაქი, ამას წინათ აღმოჩენილი ფრანგი არქეოლოგების მიერ ბოვრეში (Beauvray) წარმოებული თხრების დროს, გერგოვია (Gergovia), არვერნების დედაქალაქი ოვერნიში, ავარიკუმი (Avaricum). ბიტურიგების ძლიერი ციხე-სიმაგრე აკვიტანიაში და სხვ. I საუკ.-ში გალების რიცხვის ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელი ხდება. მეცნიერების მიერ ნავარაუდევი საერთო რიცხვი გალიის მოსახლეობისა მერყეობს 10 და 5 მილიონს შორის.

3. გალიის ომები
(58—51 წწ.)

რომაელების მიერ გალიის დაპყრობა იწყება II საუკ. 20-იანი წლებიდან. მასილიელებმა რომს მიმართეს თხოვნით — დახმარება გაეწია სალიების წინააღმდეგ, რომელნიც მათ საზღვრებს თავს ესხმოდნენ. რომაელებმა მიიღეს მასილიელების წინადადება, სალიები გადადევნეს ალპის გადაღმა (122 წ.) და, როგორც საყრდენი პუნქტი ჩრდილოეთის ხალხთა წინააღმდეგ და იტალიასა და ესპანეთს შორის დამაკავშირებელი წერტი, დაიჭირეს გალიის სამხრეთი ნაწილი — ნარბონის პროვინცია (Provincia Narbonensis), რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებდნენ მარტივად პროვინციას (Provincia, თანამედროვე პროვანსი).

პროვინციაში ცეზარის ჩასვლისთანავე, 58 წელს, იწყება კიდეც გალიის კამპანია.

გალია ამ დროს განიცდიდა ღრმა შინაგან კრიზისს. გვაროვნული წყობილება იშლებოდა, საგვარეულო საკუთრება სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით კერძო სამფლობელოთა სახეს იღებდა. ერთის მხრივ, გამოიყოფოდა არისტოკრატია, ხოლო, მეორის მხრივ— უამრავი ხალხი ღატაკდებოდა და არისტოკრატებისგან დამოკიდებული ხდებოდა: ან მის კლიენტებად იქცეოდა, ან კიდევ სავსებით ქვეითდებოდა. ცეზარის სიტყვით, რომელიც გალიის სოციალურ ურთიერთობასა და დაჯგუფებებს რომაული ტერმინებით გამოხატავდა, გალიის პლებსი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელიც უახლოვდებოდა სრულ მონობას (nam plebes paene servorum habetur). ხშირი აჯანყებანი გალიაში, რასაც გვაუწყებენ ცეზარი და სხვა რომაელი მწერლები, მოწმობს იმას, რომ არსებობდა სოციალური წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა. მოკლედ რომ ითქვას, I საუკ.-ში გალია განიცდიდა გვაროვნული წყობილების რღვევისა და გახრწნის იმავე პროცესს, რომელიც რომმა განიცადა რამდენიმე საუკუნით ადრე.

გალიაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განწყობილება რომის მიმართ ერთნაირი როდი ყოფილა. რომისადმი უფრო კეთილგანწყობილი იყო გვაროვნული არისტოკრატია, რომელსაც სურდა შეენარჩუნებინა გალიის ტომთა დაქსაქსულობა და გვაროვნული წესები. დემოკრატიული და პლუტოკრატიული ელემენტები, პირიქით, მომხრე იყვნენ გალიის გაერთიანებისა, მისი დამოუკიდებლობისა და რომის მიმართაც მტრულად იყვნენ განწყობილი.

რომანოფილური დაჯგუფების სათავეში იდგა დ ი ვ ი ც ი ა კ ი, ედუების მრავალრიცხოვანი ტომის მესვეური. ედუებისა და დივიციაკის მოწინააღმდეგენი იყვნენ არვერნები და სექვანები, რომელნიც მომხრე იყვნენ გერმანელებთან კავშირისა. 72 წელს მათი თხოვნით გერმანელი თავადი სვევი ა რ ი ო ვ ი ს ტ ი[1] 15 ათასი კაცით გადავიდა რაინს და ედუებს უკან დაახევინა. ედუების დამარცხების შემდეგ არიოვისტმა მთელი გალია, პროვინციის გამოკლებით, გამოაცხადა თავის საკუთრებად, დაადგინა თავისი რეზიდენცია სექვანების ტომის ოლქში, საონასა და რაინს შუა, და შეიქნა რომაელების მოკავშირე. მაგრამ მთელი გალიის დაპყრობაზე მეოცნებე სვევთა თავადის გეგმები სერიოზულ შიშს იწვევდა რომში. ედუების პრინცეპსი და რომანოფილურ დაჯგუფებათა მეთაური დივიციაკი

[1] Caes., De bello Gall., VI, 13.

ჩავიდა რომში და იქ გააკეთა მოხსენება გალიაში საქმის ვითარებისა და მდგომარეობის შესახებ. სენატი თანაგრძნობით შეხვდა „რომის ხალხის მეგობრის“ დივიციაკის თხოვნას, დაავალა პროვინციის ნაცვალს იულიოს ცეზარს გამოეძია საქმე და გადაეწყვიტა იგი ედუების სასარგებლოდ და სასურველად. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რომაელების მიერ ედუებისათვის გაწეული დახმარება არ იყო საკმარისი. არიოვისტის მიერ ზურგგამაგრებული სექვანები განაგრძობდნენ ომს და შეიჭრნენ ედუების ოლქში.

სექვანებთან ერთად, იმავე ხანებში თავისუფალი მიწებისა და საძოვრების ძიებისას სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით მიიწევდა ჰელვეტების (helvetii) მრავალრიცხოვანი ტომი, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე შვეიცარიაში. ჰელვეტების მიზანი იყო ნარბონის პროვინციაზე გადავლით შესულიყვნენ სანტონების მიწა-წყალში, გარონას შესართავთან, თავისუფალი მიწებისა და საძოვრების მოსაპოებლად. რომაელი მწერლები ჰელვეტების მოძრაობას გვიხატავენ ხალხთა დიდი გადასახლების მსგავს მოძრაობად. ჰელვეტების უშველებელი ურდო 300 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით, უთვალავი ურმებით და მთელი თავისი ავლა-დიდებით, ბარგითა და საქონლით, ცოლებითა და შვილებით, ზვავივით მიიმართებოდა დასავლეთისკენ.

ედუებთან შეთანხმებით, ცეზარმა გადასწყვიტა ჰელვეტების მოძრაობა შეეჩერებინა მათთვის ზურგიდან შეტევით. ცეზარის განკარგულებაში მაშინ იყო 5 ლეგიონი, ე. ი. დაახლოებით 25 ათასამდე კაცი — ეს რიცხვი თავისთავად უმნიშვნელო იყო, — მაგრამ იმ მტრობისა და შუღლის გამო, რომელიც იმ ხანებში სუფევდა გალიის ტომებს შორის, ბრძოლა ჰელვეტებთან დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ცეზარს ჯერ კიდევ არც კი ჰქონდა პროვინციის საზღვარი გადალახული, რომ მასთან გაემართნენ გალიის სხვადასხვა ტომთა დესპანები საჩივრით ჰელვეტებზე და დახმარების თხოვნით. ჰელვეტების წინამძღოლთა თხოვნაზე — ნება მიეცა მათთვის პროვინციაზე გავლისა — ცეზარმა კატეგორიული უარით უპასუხა. მაშინ ჰელვეტებმა გეზი აიღეს ჩრდილო-დასავლეთით სექვანებისა და ედუების ოლქზე გასავლელად, მაგრამ ცეზარი წამოეწია და დაამარცხა ისინი ქალ. ბ ი ბ რ ა ქ ტ ე ს თ ა ნ; ამ ბრძოლაში ჰელვეტებს დიდი ზარალი მოუვიდათ: ბევრი ჰყავდათ დახოცილი, დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი.

ჰელვეტების შემუსვრის შემდეგ ცეზარმა თავისი მახვილი მიმართა უკვე თვითონ არიოვისტის — ანტირომაულ დაჯგუფებათა მთავარი საყრდენი ძალის — წინააღმდეგ. არიოვისტთან ომი ცე-

ზარს უნდოდა დაეხატა როგორც გალების საერთო საქმე. რათა ეს ამბავი ფართოდ ეუწყებინა მთელი გალიისათვის, მისი თაოსნობით მოწვეულ იქნა სრულიად გალიის კონფერენცია (consilium totius Galliae), მოწყობილი რომისა და ცეზარის მეგობრების მიერ. კონფერენციამ ცეზარი გამოაცხადა საერთოდ ყველა გალების ინტერესთა მოსარჩლედ და წინამძღოლად.

გერმანელ თავად არიოვისტთან შეთანხმების ცდამ არავითარი დადებითი შედეგი არ გამოიღო. დაიწყო სამძიმო ომი უცნობ ქვეყანაში და რომაელებისთვის უჩვეულ პირობებში. მიუხედავად ამისა, არიოვისტი დამარცხებულ იქნა რომაელთა სამხედრო ტექნიკისა და მომარაგების უპირატესობის წყალობით, გალების მხრივ აღმოჩენილ დახმარებისა და ცეზარის, როგორც სარდლის, გენიის მეოხებით. გადამწყვეტი ბრძოლა რომაელებსა და გერმანელებს შორის, რომელიც დამთავრდა უკანასკნელთა დამარცხებით, მოხდა ქალაქ ვეზონტიონთან (Vesontio), ელზასში, მიულუზას მიდამოებში, 58 წ.

მომდევნო 57 წელმა ჩრდილოელ გალ-გერმანელ ტომებთან, ბელგებთან (belgae), ომში განვლო, რომელნიც ცხოვრობდნენ რაინსა, შელდასა, სენასა და ოკეანეს შუა. როგორც წინა ომში ჰელვეტებთან და არიოვისტთან, ახლაც ტომების დაქსაქსულობამ და თვითეული ტომის ფარგლებში პარტიათა შორის გამწვავებულმა ბრძოლამ ცეზარს გამარჯვება მოუპოვეს.

ცეზარის გალებთან ბრძოლის ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ მტერი გაეთიშა და მოწინააღმდეგის რიგებში აღრევა შეეტანა. ამ მხრივ ცეზარმა დიდ წარმატებას მიაღწია. მაშინათვე ყოველის მხრიდან სეტყვასავით წამოვიდა დასმენები და საჩივრები. ასე, მაგალითად, რემებმა, რომაელების მოკავშირეებმა, მოახსენეს, რომ ბელგებს შეუძლიათ ჯარი გამოიყვანონ 350 ათას კაცზე მეტიო, მაშინ როდესაც ცეზარის ძალა 35 ათას კაცს არ აღემატებოდა. მაშასადამე, ყველაფერი აქ დამოკიდებული იყო მოქმედების სისწრაფესა და დიპლომატიაზე. ცეზარმა მოახერხა მოწინააღმდეგეთა გათიშვა. პირველად განდგნენ ბელოვაკები, ბელგების ტომთა შორის ყველაზე უფრო ძლიერი ტომი. მათ მიჰყვნენ ამბიანები, ნერვიები, ატრებატები, ვირომანდუები და სხვ. გამარჯვება წილად ხვდათ რომაელებს, რომელთაც ხელთ იგდეს უშველებელი ნადავლი — უამრავი პირუტყვი, ძვირფასი ლითონები და 35 ათასი მონა. გალია გამოცხადებულ იქნა რომის პროვინციად. ამის გამო რომში გაიმართა დიდი დღესასწაულები და საყოველთაო სახალხო პარაკლისი, რაც მთელი 15 დღე გრძელდებოდა.

გალიის დაპყრობამ დაუყოვნებლივ მოახდინა ზეგავლენა როგორც იტალიის შინაგან მდგომარეობაზე, ისე ცეზარის მდგომარეობაზე. ნაღავლისა და მონების ახალმა ნაკადმა გამოაცოცხლა იტალიის ეკონომიკა, აღამაღლა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და ძალა და ცეზარის პოლიტიკური მეგობრები გაამხნევა.

გალიაში მოპოებულ გამარჯვებათა უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ 56 წელს, ცეზარის ინიციატივით, ქალაქ ლ უ კ ა შ ი (Luca), სადაც იგი ჩამოდიოდა ხოლმე როგორც პროკონსული ზამთარში დასაბანაკებლად, მოხდა ტრიუმვირების შეხვედრა. პაემანი ლუკაში მოხდა განსაკუთრებულ საზეიმო პირობებსა და გარემოში. ლუკაში ჩამოვიდა 200 სენატორი, მათ შორის ბევრი იყო ყოფილი კონსული, პროკონსული, პრეტორი და სხვა მაგისტრატი კლიენტებისა, მსახურთა და მონების მეტად აჭრელებული ამალით. მარტო ლიქტორთა რიცხვი, რომელნიც თან ახლდნენ კონსულებსა და პროკონსულებს, 120 კაცს შეადგენდა.

ლუკაში ტრიუმვირების შეხვედრას უნდა დაედასტურებინა იმ ტრიუმვირატის არსებობა, რომელიც არ მოსწონდა სენატს, და ტრიუმვირებისათვის უნდა უზრუნველეყო პროვინციები მომდევნო ხუთი წლით, 51 წლამდე. პაემანის მიზანი მიღწეულ იქნა — ტრიუმვირატი თავის ძალას ინარჩუნებდა. ყრილობის ინიციატორი ცეზარი მტკიცდებოდა გალიის პროკონსულის უფლებებში მომდევნო ხუთწლედისათვის, ე. ი. 49 წლამდე. მას მიენიჭა უფლება თავისი არმია გაეზარდა 10 ლეგიონამდე, ხოლო ამ ლეგიონთა შენახვა დაეკისრებინა სახელმწიფო ხაზინისათვის. პომპეუსმა და კრასუსმა განმეორებით მიიღეს კონსულობა 55 წლისათვის და, გარდა ამისა, მოადგილეობა: პომპეუსმა ორივე ესპანეთსა და აფრიკაში, ხოლო კრასუსმა სირიაში. ოპტიმატები, ბოღმის გულში ჩახვევით, უნდა შერიგებოდნენ „ლუკას მთავრობის“ გადაწყვეტილებებს და თავისი სანქცია მიეცათ.

ლუკაში თათბირის შემდეგ კრასუსი გაემგზავრა აღმოსავლეთში, პართელებთან საომრად,—ეს იყო მისი დიდიხნის სურვილის საგანი. რომიდან პართელებთან ომი ადამიანს ესახებოდა მიმზიდველ და იოლ საქმედ, რომელიც უქადდა სამხედრო დიდებას, მდიდარ ნადავლსა და მონებს. ასეთი განწყობილებით და ისე, რომ წინასწარ არავითარი სერიოზული სამზადისი და დაზვერვა არ მოუხდენია, კრასუსი 54 წელს 40 ათასიანი ჯარით შეიჭრა მესოპოტამიაში. რომაელებმა დაიჭირეს სირიისა და მესოპოტამიის ბერძნული ქალაქები—აპამეა, კარი, ემესეო და ნიკეფორიონი, მაგრამ ამის მერე მოხდა მოულოდნელი გადატეხა და მდგომარეობა გაუარესდა. უცნობი მიზეზების გამო, თავისი მეგობრებისა და მტრების გასაოც-

რად, რომელნიც დაძაბული ყურადღებით თვალს ადევნებდნენ აღმოსავლეთის ექსპედიციას, კრასუსი მოულოდნელად უკან გამოტრიალდა და თავისი ჯარი ჩამოიყვანა და დააბანაკა სირიაში საზაფთროდ. ამან პართელებს შესაძლებლობა მისცა ძალ-ღონე მოეკრიბათ და სერიოზულად მომზადებულიყვნენ მომავალი წლის კამპანიებისათვის.

პართელების მეფემ თავი მოუყარა მრავალრიცხოვან ჯარს; აქ იყვნენ მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები, მეშურდულენი და მოისარნი, რომელთაც რომაელების კარეს სეტყვასავით დაუშინეს ისრები. მედგარი ბრძოლის შემდეგ რომის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია და უკანდახევისას კ ა რ ე ს თ ა ნ (Carrhae) სავსებით დამარცხდა (53 წ.). კრასუსი, ჯარისკაცების ზეგავლენითა და მოთხოვნით, იძულებული შეიქნა მოსალაპარაკებლად გამგზავრებულიყო, რის დროსაც მოკლულ იქნა. ჯარის ნაწილმა კასიუსის სარდლობით უკან დაიხია დიდად დაზარალებულმა და მოწინააღმდეგეს საალაფოდ დაუტოვა რომაული დროშები (ვერცხლის არწივები). კრასუსის სიკვდილის შემდეგ ტრიუმვირატი სამთა კავშირისგან ავტომატურად უნდა გადაქცეულიყო ორთა კავშირად, ე. ი. პომპეუსისა და ცეზარის დუუმვირატად.

ლუკადან ცეზარი სასწრაფო წესით გაბრუნდა გალიაში, საიდანაც მოდიოდა არასანუგეშო ამბები. მისი არყოფნის დროს გალიაში მოხდა აჯანყება, მრავალი გალიური ტომი მზად იყო განდგომოდა რომს. გალებს, როდესაც ისინი ცეზარს მხარს უჭერდნენ არიოვისტთან ბრძოლაში, იმედი ჰქონდათ, რომ მოიპოებდნენ დამოუკიდებლობას, იმას კი არ მოელოდნენ, რომ ერთი დამოკიდებულებიდან მეორე დამოკიდებულებაში ჩაცვივდებოდნენ, გერმანული დამოკიდებულებითგან ჩავარდებოდნენ არანაკლებ სამძიმო რომაულ დამოკიდებულებაში; ამას ადასტურებს მძიმე ხარკი 4 მლნ. სესტერციის რაოდენობით, რომელიც ცეზარმა დაადო გალიას.

ანტირომაული განწყობილებანი, რასაც მხარს უჭერდა დემოკრატიული პარტია, უაღრესი ძალოვნებით თავს იჩენდა ვენეტების ოლქში (ბრეტანი), ტრევერებისა და აკვიტანების მიწა-წყალზე. შფოთი და მღელვარება მოედო მთელ გალიას და თანაგრძნობას იწვევდა მეზობელ გერმანულ ოლქებში და ბრიტანეთის კუნძულთა კელტელ მობინადრეებში. გალიის ტომები თავგანწირულად და მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მაინც ვერ გაუძლეს რომაულ ლეგიონებს. გალების სისუსტე მდგომარეობდა მათ დაქსაქსულობაში, მათ ტომობრივ შუღლსა და შინაგან უთანხმოებაში. ცეზარი ამ გათიშულ და მოშუღლე ტომებს ზედიზედ ამარცხებდა ერთს მეო-

რეზე მიყოლებით. განსაკუთრებით სასტიკი იყო ვენეტების მარცხი, რომელნიც რომაული ფლოტისა და ქვეითა ჯარის რკალში მოემწყვდნენ. ვენეტები დაიპყრეს და დაიმორჩილეს დეციმ ბრუტუსმა და ცეზარმა, ხოლო აკვიტანია დაიპყრო პუბლიუს კრასუსმა, ტრიუმვირის შვილმა.

ცეზარს ეფიქრებოდა რომის მიმართ საერთო მტრობის ნიადაგზე გალებისა და გერმანელების გაერთიანებისა, და ამიტომაც 55 წელს მან დაიწყო ლაშქრობა ჩრდილო-გერმანელ ტომების წინააღმდეგ. რაინზე გადასვლა მოხდა თანამედროვე ქალაქ ბონის მიდამოებში საგანგებოდ ამ მიზნისთვის დამზადებული ხიმინჯიანი ხიდით, რომლის მექანიკა საკითხის განსაცვიფრებელი ცოდნით აღწერილი აქვს ცეზარს თავის „გალიის ომის შენიშვნებში (კომენტარიებში)". ცეზარს რადაც უნდა დასჯდომოდა უთუოდ სურდა რაინის გადალახვა. რაინის გადალახვა იმდენადვე იყო სტრატეგიული მოსაზრებებით გამოწვეული, რამდენადაც პოლიტიკური მოსაზრებებით ნაკარნახევი. ცეზარს პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო მარადჟამს რომი განცვიფრებაში უნდა ჰყოლოდა თავისი არაჩვეულებრივ წამოწყებათა მეოხებით.

ხიდის გამალებული აგება წარმოებდა მდინარის წყალდიდობისა და აზვირთების დროს, როცა მისი მდინარება სწრაფი იყო და ძლიერიც. მდინარის გაქანებული დენა, რომელსაც გზადაგზა მოჰქონდა მოგლეჯილი ძირკვები და მთელი ხეები, მთელი თავისი სიმძიმით ეხეთქებოდა ხიმინჯსა და ჰგლეჯდა მას. სამუშაომ შეიწირა დიდი ძალ-ღონე და უამრავი ადამიანის სიცოცხლე. და მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ხიდი მაინც აგებულ იქნა ჯარისკაცების მიერ, დაუჯერებელ, საოცრად მოკლე ხანში — 10დღეში. გერმანელები ცეზარის მიერ დაწყებულმა საქმემ — ხიდის აგებამ — იმდენად გააკვირვა, რომ მათ ვერც კი გაბედეს პირისპირ გამოსვლა და შეხვედრა, და წავიდნენ ქვეყნის შუა გულში, გადაიმალნენ უღრან ტყეებსა და ჭაობნარში. რაიონის გაღმა ცეზარმა გაატარა 18 დღე და მერე კვლავ დაბრუნდა გალიაში. 54 წელს ცეზარმა დაიწყო მეორე ლ ა შ ქ რ ო ბ ა ბ რ ი ტ ა ნ ე თ შ ი, სადაც მან ხელთ იგდო მონათა დიდი რაოდენობა, მაგრამ ცეზარის ვარაუდი და იმედი ბრიტანეთის სრული დამორჩილებისა არ გამართლდა. ადგილობრივი ხალხების ენერგიულმა წინააღმდეგობამ, რომელნიც გააერთიანა წინამძღოლმა კასიველაუნმა, ერთის მხრივ, ხოლო, მეორის მხრივ, გალიაში ახალმა აჯანყებამ ცეზარი იძულებული გახადა ექსპედიცია შეეწყვიტა, ხმელეთზე დაბრუნებულიყო და კვლავ ხელი მიეყო გალიის საქმეებისთვის.

რომაული ფლოტის ოკეანეზე გადასვლისა და უცნობ ქვეყანაში ჯარის გადასხმის გარეგანი ეფექტი მეტად დიდი იყო. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, სენატმა ეს ამბავი აღნიშნა 20-დღიანი უქმობითა და ზეიმით.

4. გალიის დიდი აჯანყება

გალიაში ცალკე აჯანყებათა ჩაქრობამ და დამსჯელმა ექსპედიციებმა გერმანიასა და ბრიტანეთში, — ვერ შეარიგა გალები რომაელთა ჰეგემონიასთან. გალიის რომანიზაცია ოდნავადაც ისეთი სისწრაფით არ მიმდინარეობდა, როგორც ეს სურდა გალიის ნაცვალს. რომის პოლიტიკა გალიაში არასოდეს არ ჰპოვებდა თანაგრძნობას გალიის მოსახლეობის უმრავლესობაში. რაც უფრო მტკიცედ იკიდებდნენ ფეხს რომაელები გალიაში, მით უფრო მეტ პროტესტსა და აღშფოთებას იწვევდა აქ მათი პოლიტიკა. თავისი მეთოდებით ცეზარის პოლიტიკა არაფრით არ განირჩეოდა, მაგალითად, პომპეუსის პოლიტიკისგან აღმოსავლეთში და, საერთოდ, ყველა რომული დამპყრობელის პოლიტიკისგან. როგორც ყველა დამპყრობელ ქვეყნებიდან, ისე გალიის პროვინციიდან რომაელები ცდილობდნენ გამოეგლიჯათ რაც შეიძლება მეტი ღირებულება და ამის გულისთვის არავითარ საშუალებასა და ხერხს არ ერიდებოდნენ. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი იყო, რომ რომაელების პოლიტიკა, როგორც შეუნიღბავი, მძარცველობის პოლიტიკა, იწვევდა გალების საყოველთაო სიძულვილს რომაელების მიმართ. საყოველთაო სიძულვილის გრძნობაზე ერთიანდებოდნენ გალიის საზოგადოების ყველა ფენები, დაწყებული დრუიდებითა და თავადებით და გათავებული „დაღუპული ხალხით და ყაჩაღებით“, რომელთა რიცხვიც ომებისა და გაჩანაგების გამო ძალიან გაიზარდა.

54 — 52 წლებში გალიაში ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომელიც ადამიანს მოაგონებდა მდგომარეობას აზიაში მითრიდატეს ხანაში. მომენტი აჯანყებისათვის და რომაელთა უღლისგან გასათავისუფლებლად ისეთი მარჯვე და ხელსაყრელი იყო შერჩეული, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. რომის ჯარის დიდი ნაწილი ცეზარის ექსპედიციაში იმყოფებოდა, გალიაში კი დატოვებული იყო მცირერიცხოვანი გარნიზონები, ისიც მთელ ქვეყანაში გაფანტული.

გ ა ლ ი ი ს დ ი დ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა 54 — 52 წლებში დაიწყო ტრევერების ოლქში ი ნ დ უ ც ი ო მ ა რ ი ს წინამძღოლობით და ებურონებს შორის მაასზე ა მ ბ ი ო რ ი ქ ს ი ს წინამძღოლობით. როგორც 30 წლის წინათ აზიაში, ისე ახლაც მთელ გალიას მოედო

იტალიკების დარბევათა ტალღები: იტალიკები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ გალიის ქალაქებსა და დაბებში. არბევდნენ იტალიელ ვაჭრებსა და მევახშეებს, თავს ესხმოდნენ სამხედრო ურმებს, აფუჭებდნენ გზებს. ანგრევდნენ ხიდებს და მთელ მიდამოებს, სადაც კი რომაული ჯარები მიიმართებოდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ.

„ამასობაში გალიაში თავი იჩინა დიდი და უაღრესად სახიფათო აჯანყების ნიშნებმა. აჯანყების თესლს იდუმალად დიდიხანია სთესდნენ ისეთი პირნი, რომელნიც სარგებლობდნენ დიდი გავლენით შედარებით სხვებთან უფრო მამაც და მეომარ ტომებში. ბევრი რამ მატებდა ძალას აჯანყებას: უამრავი ხალხი, რომელსაც უნარი ჰქონდა იარაღის ხმარებისა და რომელიც თავს იყრიდა ყოველის მხრიდან და დროშებს ქვეშ დგებოდა, ერთ ადგილას მოზიდული უთვალავი ფული, გამაგრებული ქალაქები და თავდასხმებისათვის მიუვალი ადგილები“ [1].

ყველაზე უფრო ძლიერი იყო აჯანყება კარნუტებს შორის (52 წ.) ორლეანის მიდამოებში და არვერნებს შორის ოვერნიაში, რომელიც სიცოცხლედ დაუჯდა არა ერთ ათას რომაელ ვაჭარს.

არვერნებს (arverni), რომელთა წინამძღოლიც იყო ვერცინგეტორიქსი (Vercingetorix), მალე მიემატნენ და შეუერთდნენ სენონები (senones), პარიზიები (parisii), კადურკები (cadurci), ტურონები (turones) და მრავალი სხვა გალური ტომი. რომაული ცნობებით, მართალია, როგორც ყოველთვის, ახლაც გაზვიადებული ცნობებით, აჯანყებულთა საერთო რიცხვი აღწევდა 300 ათას კაცამდე. ცეზარის მდგომარეობა, რომელსაც 60 ათასი კაცი ჰყავდა, მართლაც განწირული იყო, ის უფსკრულის პირას იდგა ამ სიტყვის სრული გაგებით. ისე ჩანდა, თითქოს მთელი ეს გალიის ავანტიურა, ეგოდენ ბრწყინვალედ დაწყებული, სავსებით იფუშებოდა[2]. აჯანყების ცენტრად ითვლებოდა ქალაქი გერგოწია (Gergovia), არვერნების კარგად გამაგრებული სატახტო ქალაქი. გერგოვიის გარემოცვას ცეზარმა დიდი ძალღონე შეალია და მრავალი ხალხიც დაჰკარგა და მაინც ვერ შესძლო ქალაქის აღება. გერგოვიის გარემოცვის მარცხმა უფრო გაათამამა და წაახალისა გალიის ტომები; აჯანყებულებს მიემხრნენ ედუებიც კი, რომელნიც რომის ყველაზე უფრო ერთგული მოკავშირენი იყვნენ.

მაგრამ გალური ტომების ერთსულოვნება ხანმოკლე აღმოჩნ-

---

[1] Plut., Caesar, XXV.

[2] Delbrück, Geschichte der Kriegskunst, I, 466.

და. მალე იჩინა თავი გალების ორგანიზაციის სუსტმა მხარეებმა — ტომთა წინამძღოლებს შორის შუღლმა და უთანხმოებამ, ცუდმა შეიარაღებამ და მომარაგებამ, გალიის ლაშქართა უდისციპლინობამ და, საერთოდ, იმან, რომ გალებს არ შესწევდათ უნარი ხანგრძლივი ომისათვის. ყოველივე ეს ცეზარმა იცოდა, გაითვალისწინა და გამოიყენა კიდეც.

გალიის მეამბოხეთა და რომაელებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქალაქ ალეზიასთან (Alesia), მანდუბიების მიწა-წყალზე, მდ. ლუტოზის პირას. ქალაქში ჩაკეტილი გალები იბრძოდნენ უდიდესი სიმედგრით და მამაცობით. ცეზარს მოუხდა ხანგრძლივი და რთული გარემოცვის (obsessio) წარმოება ტექნიკური ხელოვნების ყველა წესის გამოყენებით — მიზიდა კედელსანგრევი მანქანები, შეამტვრია კედლები, გალავანი და კარიბჭეები, მუდმივ განსაცდელსა და საფრთხეში იყო, რომ ზურგიდან მტერს არ შემოევლო და იგი გარს არ შემორტყმოდა. ბოლოსდაბოლოს, ალეზიის ძველმა კედლებმა ვეღარ გაუძლო რომაელთა ძალაყინებსა და საალყო ბურღებს (terebrae) და დაეცნენ.

ალეზიის აღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი გალიის კამპანიისათვის. მან გადასწყვიტა როგორც გალიის დიდი რევოლუციის ბედი, ისე მისი წინამძღოლის ვერციგენტორიქსის ხვედრი, რომელიც გამარჯვებულ მტერს დანებდა სამოწყალოდ მისი კეთილშობილების იმედით. მაგრამ ვერცინგენტორიქსის ანგარიში არ გამართლდა: იგი ტყვედ იქნა წაყვანილი და როგორც სამხედრო ტყვე მონაწილეობას იღებდა ცეზარის გალურ ტრიუმფში, ხოლო უფრო გვიან სიკვდილით იქნა დასჯილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გალიის კამპანიის დროს ცეზარმა გამოიჩინა საშინელი სისასტიკე, ვერაგობა და ცბიერება. 51 წელს, როცა ჩააქრეს რამოდენიმე უმნიშვნელო ანტირომაული მღელვარება, გალიის ომი მოთავდა და უმდიდრესი ქვეყანა 10-მილიონიანი მოსახლეობით შევიდა რომის რესპუბლიკის ფარგლებში.

გალიის ომი უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს რომის ისტორიაში: მან დააჩქარა რესპუბლიკის რღვევა და იმპერიის წარმოქმნა. აღნიშნულ საკითხში ანტიკური და თანამედროვე ისტორიკოსები ერთსულოვანნი არიან. გალიის ლაშქრობებმაო, ლაპარაკობს პლუტარქოსი, ცეზარს გაუხსნა ცხოვრებაში ახალი გზა, აღძრა ახალი გეგმები და ძირფესვიანად შესცვალა პოლიტიკური სიტუაცია რომშიო.

უდიდესი ნადავლი მოხვდა ცეზარისა და მისი უახლოესი ამალის ხელში. დამპყრობელები ომის უფლების ძალით ეუფლებოდნენ

გალიის დიდკაცობის ქონებას, ძარცვავდნენ უძვირფასესი შეწირულებით აღსავსე ტაძრებს, ძარცვა-რბევის გულისთვის ანგრევდნენ მთელ ქალაქებს და იჭერდნენ ათიათასობით სამხედრო ტყვეებს, რომელნიც შემდეგ იგზავნებოდნენ ტყვეთა ბაზარზე. გალიის გაძარცვის შედეგად ცეზარს ისე დიდძალი ოქრო აღმოაჩნდა, რომ მას იგი ჰყიდდა იტალიასა და პროვინციებში გირვანქას 3 ათას ნუმუსად [1]. ცეზარის გალიაში ყოფნის განმავლობაში აღებულ იქნა 800 ქალაქი, დაპყრობილ იქნა 300 ტომი და ტყვედ წაყვანილ იქნა რამდენიმე ასი ათასი გალი.

მდიდრდებოდა რა თავად, ცეზარი არ ივიწყებდა აგრეთვე თავის მეგობრებსა და თანამოღვაწეებსაც; თავის მეგობრებს ცეზარი ნებას აძლევდა არა თუ აეღოთ, არამედ პირდაპირ ეხვეტათ ოქროს წყაროებიდან მდიდარი გალური ნადავლი. ცეზარის მრავალი მეგობარი და თანამოსაგრე გალიის ომში გამდიდრდა და ნამდვილ მაგნატად იქცა. გალიის ნადავლმა ცეზარის მომხრეებს — კლოდიუსს, კურიონსა და მარკოს ანტონიუსს — შესაძლებლობა მისცა გაეშალათ ფართო დემაგოგიური პოლიტიკა. გალიაში მოპოებული ფულიდან იფარებოდა ხარჯები სანახაობათა და დღესასწაულთა მოწყობაზე. გაბოძება-დასაჩუქრებაზე, ძღვენებსა და ქრთამებზე. ამასთან ერთად გალიის ომმა მოქმედების ფართო ასპარეზი გადუშალა წინ რომაულ ვაჭრობას, ხელოსნობას და ფულად სპეკულაციას. გალიის დაპყრობას ანტიკური მსოფლიოსთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც ამერიკის დაპყრობას ახალევროპულ სამყაროსთვის.

დაპყრობის შემდეგ გალიას მიაწყდა რომის მოსაქმეებისა, ფინანსისტებისა, მონათმფლობელებისა, წამომწყებთა და კოლონისტების ტალღა. რომაელი მხედრების საქმიანობა გალიაში კარგად აქვს გაშუქებული ციცერონს თავის სიტყვაში ფ ო ნ ტ ე უ ს ი ს დ ა ს ა ც ა ვ ა დ რომ წარმოთქვა; ფონტეუსი იყო ნარბონის გალიის პროპრეტორი (74 — 72 წწ.), ბრალად ედებოდა მოქრთამეობა და დასჯილიც იყო. ამ სიტყვიდან ჩვენ ვიგებთ, რომ გალია უკვე 70-იან წლებში სავსე იყო რომაელი მოსაქმეებით (referta Gallia negotiatorum est, plena civium Romanorum), არცერთ გალს არ შეუძლია რაიმე საქმე დაიწყოს რომის მოქალაქის უკითხავად (nemo Gallorum sine cive Romano quidquam negotii gerit); არცერთი კაპეიკი არ რჩება გალიაში ისე, რომ არ იყოს შეტანილი რომის მოქალაქეთა ანგარიშში (nummus in Gallia nullus sine tabulis civi-

[1] S u e t, Caesar, 54.

um Romanorum commoveretur)[1]. გალია თავისი უშველებელი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ტყეებით, საძოვრებით და მინდვრებით სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა არა მარტო პუბლიკანებისა და ვაჭრებისათვის, არამედ აგრეთვე მესაქონლეებისა (pecuarii), მოიჯარადრებისა (coloni) და მიწათმფლობელებისთვისაც (aratores).

გალიის დაპყრობის პირველ წლებშივე რომის ხაზინაში შევიდა 40 მლნ. სესტერცია, მასობრივი ძარცვისა და მტაცებლობის ჩაუთვლელად, რასაც პირადი ინტერესების შესაბამისად ჩადიოდნენ ცეზარი და მისი თანამოღვაწეები. ფულმა და მონებმა, რომელთა დენა წინა წლებში შესუსტდა, გამოაცოცხლა ვაჭრობა, ხელოსნობა და სოფლის მეურნეობა და გაზარდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი; გამოცოცხლდა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება. ოქროს ღირებულება ვერცხლის კურსთან შედარებით დაეცა 25%-ით.

გალიის ეპოპეამ მოიცვა არა მარტო საეჭვო ზნეობის ისეთი პირნი, როგორნიც იყვნენ კურიონი, ანტონიუსი, ვატინიუსი და მისთანა სხვანი, არამედ მეცნიერების ისეთი მგზნებარე და აღფრთოვანებული დამფასებელიც, როგორიც იყო იურისტი და ისტორიკოსი ტრებაციუსი (Trebatius), ციცერონის მეგობარი.

გამარჯვებებმა გალიაში მნიშვნელოვნად უკვე წინასწარ განსაზღვრეს იმ სამოქალაქო ომის აღსასრული, რომელმაც მყისვე იფეთქა ტრიუმვირებს შორის გალიაში ომის დამთავრებისთანავე. შაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ ამ ომის შესწავლაზე, აუცილებლივ საჭიროა აღვადგინოთ რომის პოლიტიკური ცხოვრების სურათი გალიაში ცეზარის ყოფნის დროის მანძილზე.

5. პოლიტიკური ანარქია რომში 50-იან წლებში

იმ ხანებში, როდესაც ცეზარი გალიას იპყრობდა, იტალია განიცდიდა ღრმა პოლიტიკურ კრიზისს. უაღრეს სიმწვავეს კრიზისმა მიაღწია 50-იანი წლების ბოლოს იმ ორმაგ კატასტროფასთან დაკავშირებით, რაც რომმა გამოიარა: ეს იყო მესოპოტამიაში კრასუსის დამარცხება და გალიაში დაპყრობილი ტომების აჯანყება. მესოპოტამიაში მომხდარმა კატასტროფამ, რომელიც დაემთხვა „გალიის აჯანყებას", თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა რომში, მეტადრე მოსაქმე წრეებზე — სავაჭრო, საფინანსო და სამრეწველო წრეებზე. რომის კოლონიურმა სახელმწიფომ მძიმე ზარალი

[1] Cic., Pro Fonteio, 11, 12.

განიცადა ორ უაღრესად მნიშვნელოვანსა და ადვილმისაწვდომ ადგილას — აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში.

საგარეო მარცხმა მყისვე გავლენა მოახდინა შინაურ პოლიტიკაზედაც. პოლიტიკური ცხოვრება სავსებით მოიშალა. სენატის მთავრობა უძლური იყო წესიერება აღედგინა ქალაქში, ხოლო პომპეუსი, ფაქტიურად რომის უმაღლესი მმართველი, ამას არ ჩადიოდა პირადი ხასიათის მოსაზრებებით, რადგან იმედოვნებდა, რომ პოლიტიკური ანარქია უფრო დამთბობად გახდიდა ოპტიმატებს და სენატს აიძულებდა იგი ოფიციალურად ეცნა პრინცეპსად.

52 წლისათვის კონსულთა არჩევნები არ შესდგა. კონსულობაზე ერთიმეორეს ისეთი ხალხი ეცილებოდა, რომელთაც არც ავტორიტეტი გააჩნდათ და არც კარგი სახელი ჰქონდათ არცერთს საზოგადოებრივ ფენაში; ესენი იყვნენ: მილონი, ჰიპსეუსი, მეტელი, სციპიონი და სხვ. კლოდიუსი ეძიებდა პრეტურას, ხოლო მარკოს ანტონიუსი, ცეზარის ნათესავი, იმედოვნებდა კვესტურის მიღებას.

„პომპეუსს თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ის დიქტატურაზე უარს ამბობდა, ნამდვილად კი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რომ იგი დიქტატორად გამოეცხადებინათ“ [1].

არ ეძინათ აგრეთვე არც ცეზარიელებს, რომელთაც ყველა ზომა და საშუალება იხმარეს, რათა თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ ამომრჩევლები. ამ წლებში ცეზარი განსაკუთრებული ხელგაშლილობით არიგებდა აღთქმა-შეპირებებს და მზად იყო მიეღო დემოკრატიული პროგრამა-მაქსიმუმი. კლოდიუსი გაცხარებით ეწეოდა აგიტაციას „პატარა ხალხის“ კოლეგიათა კრებებზე და, უკიდურეს შემთხვევაში, თუ კი საქმე აშკარა ომამდე მივიდოდა, მზად იყო თავისუფლებისა და ჯილდოების შეპირებით მონები აეჯანყებინა.

პოლიტიკური დემაგოგია ამ წლებში ყოველგვარ ზომას და საზღვარს აღემატებოდა. „საზოგადოებრივ თანამდებობათა კანდიდატებს ქუჩებში გამოჰქონდათ მაგიდები და უსირცხვილოდ, დაურიდებლივ ქრთამავდნენ ბრბოს“. ამათუიმ კანდიდატის ვარგისობა ხმის მიცემით კი არა წყდებოდა, არამედ ტლანქი ფიზიკური ძალლონით — „ისრით, მახვილითა და შურდულით“. „ტრიბუნა სისხლით იყო შებილწული, მოქალაქეებმა რესპუბლიკა ალალ ბედზე მიაგდეს და საერთო ანარქიის პირობებში იგი, რესპუბლიკა, აზვირთებულ ტალღებში მიიმართებოდა როგორც მესაჭეს მოკლებული ხომალდი“ [2]. ცეზარიელთა ტაქტიკური ხერხი, გარდა მზნებარე

[1] Plut., Pompeius, XXI.
[2] Plut., Caesar, XVIII.

აგიტაციისა, იყო ყოველნაირი ჩხუბისა და აყალმაყალის მოწყობა, არჩევნების ჩაშლა, პოლიტიკური ასპარეზიდან თავიანთი მოწინააღმდეგის დაურიდებელი ჩამოცილება, ხანდახან აშკარა მკვლელობაც კი [1].

ცეზარის თანდათანობით მზარდმა პოპულარობამ მოსახლეობის დაბალ ფენებში, რომელნიც კომიციებში უმრავლესობას შეადგენდნენ, პომპეუსი იძულებული გახადა უფრო მჭიდროდ დაახლოებოდა ოპტიმატებსა და სენატს. ამრიგად, პომპეუსი ტრიუმვირი, რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმული, ძალაუნებურად ხდებოდა ამ რესპუბლიკის მოსარჩლე და დამცველი, და ასეთივე დარჩა შემდგომ თაობათა ხსოვნაში. ანტიკური სამყაროს და ახალი დროის ადამიანის შეგნებაში პლებეი პომპეუსი სიმბოლო იყო არისტოკრატიული რესპუბლიკისა და რესპუბლიკური თავისუფლებისა და, პირიქით, არისტოკრატი ცეზარი ცეზარული მონარქიისა და ცეზარული დესპოტიზმის სიმბოლოდ შეიქნა. პომპეუსის ოპტიმატებთან გარეგნული დაახლოება გამოიხატა იმაში, რომ მან ცოლად შეირთო ოპტიმატების წინამძღოლისა და პირველი სენატორის (princeps senatus) მეტელ სციპიონის ქალი.

პოლიტიკური ანარქია დღითი-დღე ძლიერდებოდა, ხოლო მებრძოლ მხარეთა ვნებანი ღვივდებოდა და მწვავდებოდა. 52 წლის საარჩევნო კამპანია რომ იყო გაჩაღებული, ამ დროს რომის ქუჩებში და მთელ იტალიაში მუდმივი შეტაკებანი ხდებოდა. ერთერთი ასეთი შეტაკების დროს კინაღამ დაიღუპა მარკოს ციცერონი, ხოლო აპიუსის გზაზე მომხდარ ჩხუბში მოკლულ იქნა პ უ ბ ლ ი უ ს კ ლ ო დ ი უ ს ი. იულიოს ცეზარის მარჯვენა ხელის — კლოდიუსის—მკვლელობა დამახასიათებელი ეპიზოდია გვიანდელ-რესპუბლიკის რომაულ ცხოვრებაში. თვითონ მკვლელობა შემდეგ პირობებში მოხდა. ტიტე ანიუს მილონი, პომპეუსის აგენტი და კლოდიუსის პირადი მტერი, ლანუვიუმში მიმავალი შეხვდა კლოდიუსს. ერთსაც და მეორესაც თან ახლდა შეიარაღებულ მონათა ამალა, დაახლოებით 30 კაცისგან შემდგარი. მილონის გლადიატორებს შელაპარაკება მოუხდათ კლოდიუსის კაცებთან, შელეპარაკება ჩხუბში გადავიდა, რაშიც მონაწილეობა მიიღეს თვითონ ბატონებმაც. ამ ჩხუბისა და ერთმანეთში დარევის დროს კლოდიუსი დაჭრილ იქნა და თავი შეაფარა მეზობელ ტავერნაში, მაგრამ მი-

---

[1] D r u m a n n, Geschichte Roms, Bd. III, 2 Auf .von P. Groebe, 1906; 125—684; 684—827.

ლონის გლადიატორები წამოეწივნენ და იგი მოჰკლეს თავიანთი ბატონის თანხმობით.

კლოდიუსის მკვლელობა საბაბად იქცა რომში დიდი მღელვარებისა. კლოდიუსის სახლის ახლოს თავი მოიყარა ბრბომ, რომელიც მოითხოვდა პოპულარული დემაგოგის სისხლის აღებას. კლოდიუსის მეგობარი ტრიბუნების სიტყვებით, მათ შორის ცეზარის მომხრის — ისტორიკოს სალუსტის სიტყვებითაც, აღტყინებულმა ბრბომ საზეიმო პროცესიით კლოდიუსის ცხედარი წაასვენა ჰოსტილიუსის კურიაში, სენატის საკრებულო ადგილას, იქ დააგროვა სკამები, მაგიდები, ძონძები და ყოველივე ის, რაც კი ხელთ მოხვდა, და დაანთო კოცონი. ალი სწრაფად მოედო შენობას და მახლობლად მდებარე პორციუსის ბაზილიკას. ამას მოჰყვა კლოდიუსის მტრების სახლების დარბევა.

მთელი 52 წლის ზაფხულის განმავლობაში რომი იმყოფებოდა საშინელ პანიკასა და აჟიოტაჟში. ქუჩებში ხდებოდა კრებები, ჩხუბი, გაისმოდა აღგზნებული სიტყვები, ამასობაში კი ქურდები სარგებლობდნენ საერთო ჩოჩქოლით, არეულ-დარეულობით და სახლებს აჩანაგებდნენ. მილონი იძულებული გახდა რომი მიეტოვებინა. ციცერონის ბრწყინვალე სიტყვამაც კი, რომელიც მან წარმოსთქვა მილონის დასაცავად, ვერ იხსნა იგი ხალხის რისხვისგან.

უკიდურეს საზღვრამდე მისულმა პოლიტიკურმა ანარქიამ ისეთი მკაცრი რესპუბლიკელიც კი, როგორიც იყო კატონ უმცროსი, იძულებული გახადა თავის პრინციპები გვერდზე გადაედო და დათანხმებულიყო სამხედრო დიქტატურაზე ერთპიროვნული კონსულობის სახით. 52 წ. მიწურულში პომპეუსი, კატონის წინადადებით, დანიშნულ იქნა ერთმართველ კონსულად „გაფართოებული ძალაუფლების“ მინიჭებით. პომპეუსი ამ დროს ათავსებდა ორ უმაღლეს რესპუბლიკურ თანამდებობას — კონსულისას და პროკონსულისას. გარდა ამისა, იგი შემოსილი იყო საგანგებო რწმუნებით სურსათსანოვაგის ქალაქისათვის (cura annonae) მიწოდების მხრივ. რომში დარჩენილი პომპეუსი რჩებოდა აგრეთვე ესპანეთისა და აფრიკის ნაცვლადაც, ხოლო ამ პროვინციებს ის განაგებდა თავისი ლეგატების საშუალებით.

სენატის მიერ მისდა მინდობილი თითქმის დიქტატორული ძალაუფლება პომპეუსმა გამოიყენა ოპტიმატების ბატონობის შესანარჩუნებლად, თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად და თავისი მოწინააღმდეგის ცეზარის ავტორიტეტის დასამცირებლად. ტაქტიკურ მოსაზრებათა გარდა, ოპტიმატებთან კავშირი სავსებით

შეესაბამებოდა პომპეუსის კონსერვატორულ ბუნებას, რომელსაც ეშინოდა ყოველივე გაბედულისა და უჩვეულო საქმისა.

მისი წინადადებით გადასინჯულ იქნა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა სიები, გატარებულ იქნა კანონი არჩევნებში მოქრთამვის ალაგმვის შესახებ, კანონი ძალადობის შესახებ (lex de vi), რომელიც გამარტივებულ სასამართლო პროცესს აწესებდა პოლიტიკურ საქმეებისთვის და სხვ. კანონი პროვინციათა შესახებ აწესებდა ხუთი წლის ხარვეზს კონსულობისა და პრეტორობის შემდეგ პროკონსულობისა და პროპრეტორობის ძიებისათვის, ე. ი. პროვინციათა მისაღებად. დაბოლოს, კანონი მაგისტრატების უფლების შესახებ (lex de iure magistratuum) კრძალავდა კონსულობის დაუსწრებლივ მიღებას. ცხადი იყო, რომ ორი უკანასკნელი კანონი, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო იულიოს ცეზარის წინააღმდეგ.

პომპეუსის პოლიტიკას ჰქონდა წარმატება, განსაკუთრებით არისტოკრატიულსა და ინტელიგენტურ წრეებში, და ამ პოლიტიკამ შეარყია ცეზარის ავტორიტეტი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ პომპეუსის მხარეზე გადავიდა მარკოს ციცერონი, პოლიტიკოსი და პოპულარული მწერალი სამოქალაქო და სახელმწიფო სამართლის საკითხების შესახებ, რომელმაც იმ ხანებში გამოაქვეყნა კიდეც ტარქტატი „სახელმწიფოს შესახებ“ (De re publica) და „კანონებისთვის“ (De legibus). პოლიტიკური სიტუაციის ზეგავლენით, ციცერონმა თვალსაჩინოდ დასთმო თავისი წინანდელი კონსტიტუციური პრინციპები ცენტრალიზებული ხელისუფლების სასარგებლოდ, ვინაიდან ფიქრობდა, რომ შექმნილი პოლიტიკური ანარქიის პირობებში „ოპტიმატების ნაციის“ (natio optimatium) ინტერესთა შესაბამისად და სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებისათვის აუცილებლივ საჭირო იყო ისეთი მაგისტრატი, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ექსტრა-ორდინარული უფლებებით. ციცერონის წარმოდგენით, როგორც რესპუბლიკის პირველი მოქალაქე (პრინცეპსი) ხსენებული მაგისტრატი გამოდიოდა „სოციალურ წინააღმდეგობათა მომრიგებელისა“ (moderator rei publicae) და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართველის (noster hic rector) როლში. აღნიშნულ პოლიტიკურ ტრაქტატებში ციცერონი ცდილობს მოგვცეს პრინციპატის, როგორც მართველობის შესაძლებელი ფორმის, თეორიული დასაბუთება.

„პრინციპატი, — ამბობს ციცერონი „სახელმწიფოს შესახებ“

დიალოგის ერთერთი მონაწილის, სციპიონის სიტყვით — ოდნავადაც არაა უხეირო პოლიტიკური ფორმა, პირიქით, იგია ერთერთი საუკეთესო და უაღრესად მყარი პოლიტიკური კონსტიტუცია. რომ შევადაროთ წმინდა, შეურეველი ტიპები, მაშინ არა თუ არ გვექნება საფუძველი გავკიცხოთ მონარქიული წესწყობილება, არამედ დარწმუნებული ვარ, რომ იგი უნდა დავაყენოთ სხვა წესწყობილებებზე შეუდარებლივ მაღლაო".

მისი პირველი საზრუნავი უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ძლიერების, სიმდიდრის, დიდებისა და სამხედრო ვაჟკაცობის მოპოება.

„როგორც ექიმი, — მსჯელობს ციცერონი ერთს წერილში თავის მეგობარ პომპონი ატიკუსის მიმართ, — ზრუნავს თავის ავადმყოფთა ჯანმრთელობაზე, სწორედ ასევე პრინცეპსიც ზრუნავს თავის თანამოქალაქეთა სიკეთეზეო".

ტრაქტატი „სახელმწიფოს შესახებ" თავდება სციპიონისადმი მოწოდებით — სახელმწიფო იხსენიო. „ახლა, სციპიონ, სამშობლოს ინტერესთა შესაფერისად შენ უნდა გაშალო შენი ჭკუის, ნიჭისა და სიბრძნის მთელი ძალა. მე ვხედავ ამ ეპოქის ბედ-იღბლის მერყეე გზას... მთელი რომი შენ ერთს მოგმართავს, მიმართავს შენს სახელს.

შენსკენ აქვს თავისი თვალი მოპყრობილი სენატს, ყველა კეთილად მოაზროვნე მოქალაქეს, ყველა ჰოკავშირესა და ლათინს; შენ იქნები ერთადერთი საყრდენი ძალა სახელმწიფოს ხსნისათვის, — ერთი სიტყვით, საჭიროა, რომ შენ როგორც პრინცეპსმა მოაწესრიგო რესპუბლიკა" [1].

რარიგადაც არ უნდა იყოს ცხადი ერთმართველობის დადებითი მხარეები, მაინც ამ პოლიტიკურ ფორმაშიო, აღნიშნავს ციცერონი, იმალება დიდი საფრთხე და საშიშროება სამოქალაქო თავისუფლებისათვის — ესაა მონარქიის გადაქცევა ტირანიად:

„აბა, რაღა თქმა უნდა, რომ ეს, როგორც უკვე ვთქვი, საუკეთესო წესწყობილებაა, ოღონდ მასში არის მიდრეკილება გადაიქცეს ყველაზე უფრო დამღუპველ წესწყობილებად—ტირანიადო" [2].

ერთპიროვნული ძალა-უფლების ტირანიად გადაქცევის საწინააღმდეგო ერთადერთ საიმედო გარანტიად ციცერონს მიაჩნია ის, რომ პრინცეპსს გარს შემოხვეული ჰქონდეს რესპუბლიკური დაწესებულებანი და რომ შერჩენილ იქნას რესპუბლიკური ტრადიციები.

---

[1] Cic., De respubl., VII, 12.
[2] Ibid., II, 26.

„წესიერ მოწყობილად ის სახელმწიფო ითვლება, რომლის სათავეშიაც დგას რაღაც მეფის მსგავსი (quoddam regale), ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ შენარჩუნებულ იქნეს არისტოკრატიის გავლენა და პატივისცემა ექნეს ხალხის ნება-სურვილსა და მსჯელობას. მხოლოდ ასეთი კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს გონივრულ თანასწორობას და იძლევა მისი არსებობის სიმტკიცის გარანტიას“ [1].

თავისი მსჯელობით ციცერონი წინასწარ სჭვრეტდა რომის რესპუბლიკის უახლოეს ათეული წლების პოლიტიკურ სინამდვილეს და მოქალაქის გონებას და აზროვნებას ამზადებდა „რესპუბლიკური მონარქიისათვის“ პომპეუსის პრინციპატის, ცეზარის დიქტატურისა და, დასასრულ, ოქტავიანე ავგუსტოს პრინციპატის სახით.

6. ცეზარის ომი პომპეუსთან

ცეზარისა და პომპეუსის მომხრეთა შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიშალა 51/50 წ.; პომპეუსის თავგამოდებული მომხრე, სენატორი მარკოს კლავდიუს მარცელი სენატში გამოვიდა 51 წელს წინადადებით, გალიის ომის დამთავრების გამო, გამოეწვიათ ცეზარი გალიიდან და მის მაგიერ სხვა დაენიშნათ. ამას წინააღუდგნენ ცეზარიელები, რომელთაც სენატში მთელი აურზაური ასტეხეს. ცხარე კამათის შედეგად მარცელის წინადადება ხმების უმრავლესობით უარყოფილ იქნა, მაგრამ მის მიერ აღძრული საკითხი, რათა ცეზარს თავიდან მოეხსნა უმაღლესი სარდლობა, ხალხის გონებას მაინც აღელვებდა და დღის წესრიგიდან არ ყოფილა მოხსნილი მთელი 51/50 წლის განმავლობაში.

ცეზარის მომხრეთა შორის იმ დროს განსაკუთრებით გამოირჩეოდა გ ა ი ო ს ს კ რ ი ბ ო ნ ი უ ს კ უ რ ი ო ნ ი, 50 წლის სახალხო ტრიბუნი, თავდაპირველად რესპუბლიკელი და ოპტიმატი, პომპეუსის აგენტი, მერე კი ცეზარის მხურვალე მომხრე, მჭევრმეტყველი და ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ვალიდან ამოუვალი“. 50 წლის კონსულის გაიოს მარცელის, მარკოსის ნათესავის, წინადადებაზე — ცეზარი გამოვიწვიოთო, — კურიონმა უპასუხა კონტრწინადადებით — სარდლობა ჩამოერთმიათ აგრეთვე პომპეუსისთვისაც. წინადადების აზრი ნათელი იყო. თუ თანამდებობებიდან ორივენი ერთდროულად გადადგებოდნენ, ასეთ შემთხვევაში მოგება ამ რჩე-

---

[1] Cic., De respubl., V, 3.

[2] Suet, Caesar, 15; Plin., Historia naturalis, XXXVI, 29.

ბოდა ცეზარი, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა გალიის ნადავლი, ჰყავდა მასზე დამოკიდებულ პირთა მთელი შტაბი, კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი დემოკრატიულ პარტიასთან და საკმაოდ ჰყავდა მომხრენი სენატშიაც. ცეზარის გავლენა სენატში მყისვე გამომჟღავნდა კურიონის წინადადებისათვის კენჭისყრისთანავე. სენატორების დიდმა ნაწილმა — 370-მა წინააღმდეგ 21-ისა — ცეზარის წინაშე შიშით თუ იმ ფულის დახარბებით, რომელსაც გალიის დამპყრობელი მარჯვნივ და მარცხნივ აბნევდა, მიიღო კურიონის წინადადება ცეზარისა და პომპეუსის მიერ საგანგებო რწმუნებათა ერთდროულად მოხსნის შესახებ და ამით, მაშასადამე, ტრიუმვირატის დამთავრების შესახებაც. რესპუბლიკის მიმართ სენატის ღალატით გაცოფებულმა მარცელმა დაუყოვნებლივ დაშალა კრება და ბრაზმორევით შენიშნა: „გიხაროდეთ თქვენი გამარჯვება და ცეზარის სახით ინებეთ დესპოტი“ [1].

თავისი აგენტების მიერ რომში მომხდარ ამბების შესახებ გაფრთხილებულმა ცეზარმა 49 წლ. იანვარში სენატს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ის შემდეგს გამოსთქვამდა: მზად ვარ დავშალო არმია და დაუბრუნდე კერძო ცხოვრებას იმ პირობით, თუ პომპეუსიც ამასვე გააკეთებსო. მაგრამ ამ ჯერობაზე ცეზარს თავისი მანევრი არ გაუვიდა. წერილი არ იქნა წაკითხული, სენატი დგდგა მარცელის მხარეზე, რომელიც წინადადებას იძლეოდა ცეზარი გამოეცხადებინათ სამშობლოს მტრად, თუ კი ის არ დაემორჩილებოდა სენატის დირექტივას სარდლობიდან გადაყენების შესახებ. ამ წინადადების წინააღმდეგ პროტესტის განმცხადებელი ტრიბუნები კვინტუს კასიუსი ლონგინი და მარკოს ანტონიუსი გარიცხულ იქნენ კურიიდან და მონებად გადაცმული გაიქცნენ რომიდან ცეზარის ბანაკში, რომელიც მაშინ რავენაში იმყოფებოდა. ეს შეიქმნა ომის დასაწყისად მონათმფლობელური რომის უმაღლეს ხელმძღვანელობის ორ პრეტენდენტს — ცეზარსა და პომპეუსს — შორის. ერთი შეხედვით, ბრძოლა ცეზარისა პომპეუსთან ადამიანს ეჩვენება ორ პატივმოყვარე სარდალს შორის ბრძოლად, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ სახელმწიფოში უმაღლეს ხელმძღვანელობას. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით უფრო რთული იყო. ცეზარის ომი პომპეუსთან იყო არა მარტო პირად ვნებათა შეტაკება, არამედ აგრეთვე და უწინარეს ყოვლისა სოციალურ ინტერესთა შეტაკებაც. პომპეუსი წარმოადგენდა არისტოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს, ცეზარი კი განასახიერებდა წარმოსაშობად განმზადე-

---

[1] App., Bell. civ., II, 30.

ბულ ხმელთაშუაზღვეთის იმპერიას. რესპუბლიკაც და იმპერიაც ორივე იყო მონათფლობელური ორგანიზაცია, მაგრამ მონათმფლობელთა კლასის სოციალური შემადგენლობა სხვადასხვა იყო. რესპუბლიკის მომხრე იყო უმთავრესად რომ-იტალიის არისტოკრატია (ნობილები) თავისი მრავალრიცხოვანი კლიენტელით, იმპერიის წესწყობილებას კი მხარს უჭერდა ჯარი, პროვინციები, მდიდარი აზატები და სხვ., ერთი სიტყვით, ყველა ის ელემენტი, ვინც ვერ ეტეოდა ქალაქ-სახელმწიფოს კონსტიტუციურ ჩარჩოებში.

თანამედროვეებისა და შემდგომ თაობათა შეგნებაში პომპეუსი ეხატებოდათ როგორც უფლებისა და ტრადიციის დამცველი, ცეზარი კი რესპუბლიკურ საფუძველთა დამარღვეველად და ახალი რეჟიმის შემოქმედად. „შვიდას მესამე წელს რომის დაარსების შემდეგ, კონსულების ლენტულისა და მარცელის დროს, გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ერთი უფრო კეთილშობილურ საქმეს იცავდა, მეორე კი უფრო ძლიერი იყო. ერთის მხარეზე იყო ბრწყინვალე გარეგანი ფორმა, მეორისაზე კი—ძალა. პომპეუსის იარაღი იყო სენატის ავტორიტეტი, ცეზარი კი აღჭურვილი იყო ჯარისკაცთა მხრივ აღიარებითა და თავდადებულობით“ [1].

ექვს იანვარს კასიუს ლონგინი და მარკოს ანტონიუსი გაიქცნენ რომიდან, ხოლო 49 წ. 14 იანვარს დილით რომში მოვიდა ცნობა, რომ ცეზარმა გადმოლახა მოსაზღვრე მდინარე რუბიკონი და დაიჭირა საზღვარზე მდებარე ქალაქი არიმინუმი. ცეზარმა იცოდა იტალიის ვითარება, რომში გაბატონებული პოლიტიკური ანარქია, ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხარე სრულიადაც არ იყო მომზადებული მოსალოდნელი ომისთვის და ჩქარი მარშით გასწია რომისკენ, რათა თავის მოწინააღმდეგეს ანაზდეულად წასდგომოდა თავს. ცეზარის ტაქტიკა დამყარებული იყო მოქმედების მოულოდნელობასა და სისწრაფეზე. იგი არ იყო იმაში დარწმუნებული, რომ მისი არმია მზად იყო ახალი ომი ეწარმოებინა იტალიის მიწა-წყალზე და ამიტომ რუბიკონი გადმოლახა ღამით მარტო ერთი ლეგიონით და სამასი მხედრით, ისე რომ დანარჩენმა არმიამ ამისი არა იცოდარა. შემდეგში შეითხზა ლეგენდა, თითქოს სამხედრო მოქმედება დააწყებინა რომელიღაც არაჩვეულებრივი სილამაზისა და ტანის უცნობმა ჭაბუკმა, რომელიც მას ძილში გამოეცხადა. ეს უცნობი გაემართა მდინარისკენ, ფლეიტით სამხედრო ნიშანი მისცა და დაიწყო მეორე ნაპირას გადასვლაო. „წინ! — შესძახა მაშინ ცეზარ-

[1] Vell. Pat, II, XLIX.

ბა, — საითკენაც მოგვიხმობს ჩვენ ღმერთების ნიშანი. და მოწინააღმდეგის უსამართლობაო!" — და დაუმატა: „წილი ნაყარია!" (Alea iacta est!).[1] ეს იყო კლასიკური ფრაზა, შემდეგში ანდაზად გადაქცეული. ჯარის გადაყვანის შემდეგ ცეზარმა მოიწვია სამხედრო ყრილობა, აქ მან განმარტა მდინარის მეორე ნაპირას გადმოსვლის მიზანი.

„ჩვენ, — ამბობდა იგი, მიმართავდა რა ჯარისკაცებს, — ეგოდენ მრავალ სახელოვან საქმეთა შემდეგ სამშობლოს მტრებად გამოგვაცხადეს. ხოლო აი ეს ხალხი (ტრიბუნები კასიუს ლონგინი და მარკოს ანტონიუსი) იმისათვის, რომ თავიანთ თავს ნება მისცეს თავისუფალი სიტყვა ეთქვათ, რომიდან გამოაძევეს მეტად სამარცხვინო სახითო". ამას ზედ მოჰყვა დაპირება ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის ჯილდოს მიცემისა, თუ კი „იძულებითი კამპანია" იღბლიანად დათავდებაო. თვითეულ ჯარისკაცს ცეზარმა აღუთქვა მხედრის შეძლება 400 ათასი სესტერციის რაოდენობით და მხედრის ბეჭედი, ხოლო ოფიცრებს ორჯერ მეტს შეჰპირდა[2].

იტალიაში ცეზარის ანაზდეულმა გამოცხადებამ თავგზა აუბნია მის მოწინააღმდეგეთ. პომპეუსს მისცეს ფართო უფლებები იტალიაში მოეგროვებინა არმია 100 ათასი კაცის რაოდენობით, განევო სახელმწიფო, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში კერძო თანხებიც; სინამდვილეში კი პომპეუსის უფლებები ფიქტიური იყო, რადგანაც იტალიაში, რომელსაც ეშინოდა ახალი ომისა და არ გააჩნდა ამის საწარმოებლად საჭირო თანხები და ხალხი, — მას ჰქონდა სუსტი სოციალური საყრდენი ძალა. ყველა რიგის იტალიელ მონათმფლობელს ყველაზე უფრო მეტად აფრთხობდა და შიშის ზარს სცემდა სამეურნეო ცხოვრების დარღვევის, ვილების გაძარცვის პერსპექტივი, მტაცებლობა და რბევა, რეკვიზიციები და მონათა აჯანყებანი და მისთანა სხვა. მონათფლობელური იტალია მერყეულ და გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არ იცოდა, ორ მოპირდაპირეს შორის რომელს და როგორ მიმხრობოდა, და ამიტომ არც ერთს ემხრობოდა და არც მეორეს. შექმნილ სიტუაციაში პომპეუსის მდგომარეობა კვლავინდებურად კრიტიკული რჩებოდა, და ახლა მას მარტო ერთი რამ-ღა ჰქონდა დარჩენილი: მიეტოვებინა იტალია და საყრდენი ძალა ეძია პროვინციებში, სადაც მას შეეძლო იმედი ჰქონოდა თავისი მრავალრიცხოვანი ვასალებისა და კლიენტებისა. პომპეუსი მიდიოდა, ცეზარი მას კვალდაკვალ სდევ-

---

[1] Suet., Caesar, 32.

[2] Ibid., 33.

და, და როდესაც პომპეუსმა ბრუნდიზიუმს მიაღწია, ჰყავდა რა თავის განკარგულებაში 30 ათასიანი ქვეითა ჯარი და ფლოტი, დაიწყო გადასვლა ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე დირაქიუმის (Dyrrhachium) მიმართულებით. „რა სირცხვილია (turpe dictu) — გაიძახის პატრიოტულად განწყობილი რომაელი ისტორიკოსი ფლორი: — პომპეუსი, სენატის მესვეური, ომისა და ზავის გადამწყვეტი, იტალიიდან უგუშაგოდ გაიქცა დამტვრეულ გემზე, რომელზედაც იგი ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ ტრიუმფს იხდიდაო“ [1].

მისდევდა რა კვალდაკვალ პომპეუსს, ცეზარი იპყრობდა პომპეუსელების მიერ მიტოვებულ იტალიის ქალაქებს, საქალაქო ხაზინას, ყადაღას ადებდა ტაძრის ქონებას და თავის ჯარს ავსებდა ახალი ელემენტით. 17 დღეში დაახლოებით 500 კილომეტრამდე გაიარა ცეზარმა და მიაღწია ბრუნდიზიუმს, მაგრამ, რადგან ფლოტი არ ჰყავდა, დირაქიუმში ვეღარ გადავიდა, გამობრუნდა რომისკენ, შევიდა ქალაქში, ხელთ იგდო „საღვთო“ ფულადი ფონდი (aerarium sanctus) და გაეშურა ესპანეთში, სადაც იმყოფებოდა ვეტერანთა შვიდი ლეგიონი პომპეუსელების — ა ფ რ ა ნ ი უ ს ი ს და პ ე ტ რ ე უ ს ი ს სარდლობით, რომელნიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ ზურგიდან. ამიტომ აღმოსავლეთში ოპერაციათა წარმატებით საწარმოებლად და გაშლისათვის საჭირო იყო არა მარტო იტალიის დაუფლება, არამედ აგრეთვე ესპანეთისაც. ესპანეთის ომი მეტად მედგარი იყო, მას დიდი დაძაბულობა, ძალთა დაჭიმვა დასჭირდა და მხოლოდ მრავალი მარცხის შემდეგ ცეზარმა შესძლო პომპეუსის ლეგატების ჯარი გაეფანტა ი ლ ე რ დ ა ს თ ა ნ (49 წ.). ესპანეთის ომის გათავების შემდეგ სამხედრო ოპერაციათა აღმოსავლეთ თეატრისკენ მიმავალმა ცეზარმა გზად შეუხვია რომში და 49 წ. ნოემბერში პირველად გამოცხადებულ იქნა დ ი ქ ტ ა ტ ო რ ა დ. რომში ცეზარი დარჩა სულ 11 დღე და ამ ხნის განმავლობაში გასცა მთელი რიგი განკარგულებანი თავისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის და მღელვარე მოსახლეობის დასამშვიდებლად. გამოცხადებულ იქნა ვალების ნაწილობრივი კასაცია, გაიმართა დღესასწაული, მოეწყო გაბოძებანი, საბოძვართა გაცემა, ემიგრანტებს ამნისტია აღეთქვა, თუ კი ისინი რომში დაბრუნდებოდნენ და სხვა. ამის შემდეგ მან ბრუნდიზიუმისკენ მიაშურა, რომ ჯარი დირაქიუმში გადაეყვანა, სადაც გამაგრდა პომპეუსი. გადასვლა წარმოებდა არახელისშემწყობ პირობებში: ის ად-

[1] Flor., IV, 2, 18.

გილი, სადაც ცეზარი გადავიდა, იყო სუსხიანი, ღარიბი და უდაბური. ცუდი მომარაგების წყალობით ცეზარის ჯარისკაცები რამდენიმე დღე ზედიზედ არ იღებდნენ საჭმელს და იკვებებოდნენ ბალახეულითა და ფესვებით. ჯარის ასეთი ყოფის პირობებში ცეზარი შეება ბრძოლაში პომპეუსის უფრო დასვენებულ ჯარებს და დამარცხებულ იქნა.

„არავის, — ამბობს პლუტარქოსი, — არ შეეძლო გაეძლო პომპეუსის იერიშისათვის. თხრილები სავსე იყო გვამებით, ჯარისკაცები გამხეცებულები ეცემოდნენ მიწაყრილებსა ან სიმაგრეზე. ცეზარი გამოდიოდა მათ შესახვედრად, ცდილობდა ლტოლვილები უკან გაებრუნებინა, მაგრამ ვერაფერი გაარიგა. იგი მივარდებოდა ხოლმე დროშებს, მაგრამ მედროშენი მათ ჰყრიდნენ, რის გამოც 32 მათგანი მოწინააღმდეგის ხვედრი გახდა“ [1].

დირაქიუმთან დამარცხების შემდეგ ცეზარი თავის საქმეს საბოლოოდ წაგებულად თვლიდა, მაგრამ იგი განსაცდელისგან იხსნა თვითონ პომპეუსმა, რომელმაც ერთბაშად ვერ გამოიყენა მოპოებული გამარჯვება ბოლომდე და დამარცხებულ მტერს საშუალება მისცა მთებში წასულიყო და იქ მიეღო ახალი ძალები. გამარჯვებით თავბრუდახვეულმა პომპეუსელმა ოფიცრებმა სრულებით თავი აიშვეს, ცხოვრობდნენ მდიდრულ კარვებში, ერთობოდნენ თამაშით, დროს ქეიფში ატარებდნენ, კამათობდნენ მომავალ ჯილდოთა შესახებ, იყოფდნენ დასაპყრობად განზრახულ მტრის მამულებს, რომლის შემუსვრის ეჭვიც კი არ ჰქონდათ, ინაწილებდნენ თანამდებობებს და სხვ. თავის გამარჯვებაში დარწმუნებული პომპეუსი, ჯარის ზეგავლენით, რომელიც დრტვინავდა მთავარსარდლის ნელი მოქმედების გამო, თუმც საკმაოდ არ იყო მომზადებული, მოუფიქრებლად შეება ბრძოლაში ცეზარს თ ა რ ს ა ლ ი ს ვ ე ლ ზ ე, თესალიაში, 48 წ. აგვისტოში და სასტიკად იქნა დამარცხებული.

თარსალის ბრძოლა იყო მედგარი და სისხლისმღვრელი, პომპეუსის არმია სავსებით იქნა განადგურებული: 6 ათასი კაცი დაეცა ბრძოლის ველზე, 24 ათასი ტყვედ იქნა წაყვანილი, წართმეულ იქნა 180 დროშა, 9 ვერცხლის არწივი და, გარდა ამისა, დაიღუპა ჯარის მრავალი მსახური, უმთავრესად მონები, რომელნიც საგუშაგო სამსახურს ეწეოდნენ ან აღალს ემსახურებოდნენ.

„აი რა უნდოდათ მათ, — სთქვა ცეზარმა, როცა ათვალიერებდა ბრძოლის ადგილს.—იმათ მაიძულეს ეს გამეკეთებინა. მე, გაიოს ცეზარს, რომელმაც იღბლიანად მოვამთავრე უძნელესი ომები,

---

[1] Plut., Caesar, XXXIX.

სარდლობა რომ მომეხსნა, ისინი ალბათ სიკვდილს მომისჯიდნენ-ნო“ [1]...

„აქ მე არ შევუდგები, — შენიშნავს თარსალის ბრძოლის გამო ველეუს პატერკული, — აღწერას რომაელთა სახელისათვის ამ ეგოდენ სისხლიანი დღის უბედურებისას (illum cruentissimum Romano nomini diem), სისხლის ნაკადებისას, რომელიც ორივე მხრიდან იღვრებოდა, რომის სახელმწიფოს ორი ბელადის შეტაკებისას, დიდი ადამიანის, რომის ერთერთი ლამპრის დასასრულისას, რომელთანაც ერთად დაიღუპა ეგედონი პომპეუსელიო“ [2].

ბრძოლის ბედი გადასწყვიტა გალურმა და გერმანულმა კავალერიამ, რომელსაც კარგი სასყიდელი ეძლეოდა და რომელიც ერთგული იყო თავის წინამძღოლის.

დამარცხებულებს ცეზარი შეწყნარებით მოეპყრო, ცდილობდა ლმობიერი მოქცევით თავისკენ მიეზიდა გაცამტვერებული მტრები და დაეშოშმინებინა თავის ბედ-იღბალზე შეფიქრიანებული და მღელვარე ადგილობრივი მოსახლეობა. მრავალ ტყვედჩაგდებულ არისტოკრატს თავისუფლება მიენიჭა, მათ შორის დეციმ ბრუტუსსაც, შემდეგში ერთერთ მთავარ შეთქმულსა და ცეზარის მკვლელთაგანს.

დამარცხებული პომპეუსი გაიქცა საბერძნეთიდან ლესბოსზე, ხოლო აქედან — ეგვიპტეში.

„პომპეუსმა... დაუმსახურებლივ მოიპოვა დიდება თავდაპირველად იმის წყალობით, რომ მიითვისა ლუკულუსის წარმატებანი (მითრიდატეს წინააღმდეგ), შემდეგ სერტორიუსისა (ესპანეთში) და მისთანა სხვა... როგორც გენერალი — იგი არის რომაელი ოდილონ ბარრო. როგორც მცდელი ცეზარის საწინააღმდეგო ბრძოლაში თავისი ნიჭის გამოჩენისა — სრული არარაობაა“ [3].

ეგვიპტეში ამ დროს დინასტიური ომი იყო გაჩაღებული, გამოწვეული მეფე პტოლემე ავლეტის სიკვდილით, რომელიც ოდესღაც ტახტზე პომპეუსმა აღადგინა. ანდერძის თანახმად, ტახტის მემკვიდრეებად ინიშნებოდნენ გარდაცვალებულ მეფე პტოლემეს 10 წლის ვაჟი — დიონისე და მისი და კ ლ ე ო პ ა ტ რ ა, რომელიც ეგვიპტური წესისამებრ დანიშნული იყო თავის ძმაზე. ამ შეუღლებას წინააღუდგა კარის პარტია, რომელმაც კლეოპატრა გააძევა

---

[1] P l u t., Caesar. XLVI.

[2] V e l l. P a t, II, LII.

[3] М а р к с и Э н г е л ь с, Письмо Маркса к Энгельсу от 27 февраля 1861 г., Собр. соч., т. XXIII, стр. 15.

და სახელმწიფოს რეგენტად გამოაცხადა მეფის მეურვე საჭურისი პოტინი. ცეზარის შურისძიების შიშით და აგრეთვე იმის შიშით, რომ პომპეუსი კლეოპატრას მხარეს დაიჭერდა, პტოლემე დიონისეს მრჩევლებმა ბრძანება გასცეს პომპეუსი მოეკვდინათ იმაზე უფრო ადრე, სანამ ის ფეხს გადმოსდგამდა ეგვიპტის მიწა-წყალზე.

პომპეუსს უკან სდევდა ცეზარი რამდენიმე ათასი ქვეითა ჯარისკაცით, კავალერიით და ფლოტით. ალექსანდრიაში ჩასვლისთანავე ცეზარი ჩაერია დინასტიურ უთანხმოებაში და თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა კლეოპატრა. ცეზარის ჩარევამ შინაურ საქმეებში, მეტადრე მის მიერ ეგვიპტეზე შეწერილმა ფულადმა კონტრიბუციამ და ნატურალურმა ბეგარა-გადასახადებმა გამოიწვიეს მკვიდრი მოსახლეობის აღშფოთება, რაც გადაიზარდა ნამდვილ ომად. აჯანყებულებს მიემხრო ადგილობრივი გარნიზონი, რომელიც შესდგებოდა დაქირავებულ ჯარისკაცებისგან. მეფის კოშკში კუნძულ ფაროსზე, ალექსანდრიის ნავსადგურში შესავალთან, ჩაკეტილი ცეზარი რამდენიმე თვის განმავლობაში უძლებდა მწარე გარემოცვას, რომლის დროსაც მან ბრძანება გასცა ცეცხლი წაეკიდებინათ მტრის ფლოტისთვის და ალექსანდრიის ნავსადგურის შენობებისთვის. ხანძარი გადავიდა ქალაქის მეზობელ უბნებზე და მოსპო მრავალი საზოგადოებრივი შენობა და კერძო სახლი; ხანძრისგან დაღუპულ შენობათა შორის აღმოჩნდა სახელგანთქმული ალექსანდრიის ბიბლიოთეკაც, სერაპისის ტაძართან არსებული, სადაც თავმოყრილი იყო მთელი ლიტერატურა ბერძნულ ენაზე.

47 წ. მარტში ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ი ს ო მ ი (bellum Alexandrinum) დამთავრდა. ცეზარი ზეიმით შევიდა ალექსანდრიაში და დედოფლად გამოაცხადა 20 წლის კლეოპატრა, რომელმაც იგი მოაჯადოვა თავისი სილამაზით, ჭკუითა და განათლებით. კლეოპატრათი გატაცებული ცეზარი რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩა ალექსანდრიაში, სადაც დროს ატარებდა გართობასა, მოგზაურობასა და სიამოვნებაში.

მაგრამ ცეზარის სიმშვიდე დაარღვია აზიიდან მოსულმა საშიშარმა ამბებმა, სადაც იმის წინათ მეფე ფ ა რ ნ ა კ მ ა, მითრიდატეს შვილმა, დაამარცხა რომის ნაცვალი და ხელთ იგდო რომის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი. ეგვიპტედან აზიაში გამგზავრებულმა ცეზარმა ხუთი დღის განმავლობაში მოათავა ომი ფარნაკთან და თავის გამარჯვების ამბავი სენატს მოახსენა ლაკონიური ფრაზით: „მოველ, ვნახე, დავამარცხე“ (veni, vidi, vici).

ფარნაკზე გამარჯვებამ ცეზარს ხელში ჩაუგდო მთელი აღმო-

სავლეთი, რომელიც მან გადაახალისა მმართველობის მხრივ თავისი ინტერესების მიხედვით. აღმოსავლეთის მეფეებმა, დინასტებმა, ტაძრებმა და ქალაქებმა, რომელთაც მორჩილება განუცხადეს ცეზარს, შეინარჩუნეს თავიანთი წინანდელი სამფლობელოები და, გარდა ამისა, მიიღეს სხვადასხვა ჯილდო და წყალობა. აღმოსავლეთის რეორგანიზაციის შემდეგ 47 წელს ცეზარი დაბრუნდა იტალიაში, სადაც მას მოუხდა იმ ვეტერანების აჯანყების ჩაქრობა, რომელნიც განკუთვნილი იყვნენ აფრიკაში გასამგზავრებლად. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ცეზარი გაემგზავრა აფრიკაში, სადაც თავი მოიყარეს პომპეუსელთა რაზმებმა სციპიონისა და კატონის წინამძღოლობით. 46 წელს თაფსუსთან და უტიკასთან ბრძოლაში რესპუბლიკური ჯარი დამარცხებულ იქნა და მასთან ერთად დაიღუპნენ რესპუბლიკელი წინამძღოლებიც — შეუდრეკელი რესპუბლიკელი კატონ უმცროსი, რომელმაც თავის მოკვლა არჩია იმას, რომ სიცოცხლის მოწყალება მიეღო გამარჯვებულის ხელიდან, სციპიონი, იუბა და სხვანი.

46 წ. აპრილში ცეზარი დაბრუნდა რომში. სენატმა მისი დაბრუნების გამო დანიშნა სამადლობელი 40-დღიანი ზეიმი — გამოაცხადა იგი დიქტატორად 10 წლით და მიაკუთვნა მას ცენზორის უფლებანი 3 წლის ვადით და სენატში პირველი ხმის უფლებით. ცეზარის რომში შესვლას თან ახლდა ოთხმაგი ტრიუმფი — გალიასა, ეგვიპტესა, პონტოსა და ნუმიდიაზე. საზეიმო პროცესიის წინ მიჰქონდათ რაინის, როდანისა და ოკეანეს განმასახიერებელი ქანდაკებანი, 3 ათასი ოქროს გვირგვინი, უამრავი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეულობა და ნაირნაირი ძვირფასეულობა.

ცეზარის უკანასკნელი შეტაკება პომპეუსელებთან მოხდა ესპანეთში მუნდასთან 45 წ., სადაც ცეზარი გაემგზავრა ტრიუმფის ვათავების შემდეგ. მუნდასთან ბრძოლა იყო ანტიკური ისტორიის ერთერთი უაღრესად სისხლისმღვრელი ბრძოლა. „მუნდა იყო ცეზარისა პომპეუსთან ომის უკანასკნელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ცეზარს თავდაპირველად არ ჰქონდა თავისი ჩვეულებრივი ბედი, ისე ჩანდა, თითქოს ბედი ამ ჯერობაზე მას განუდგაო“ (nescio quid deliberare Fortuna)[1].

ჩვეულების წინააღმდეგ ცეზარს ბრძოლის დროს დაფიქრებული სახე ჰქონდა, იგი ფიქრობდა თავისი მეგობრისა, სიძისა და მერე მტრად ქცეული პომპეუსის უცნაურსა და უკუღმართ ბედზე, რომელიც თავბრუდამსხმელ სიმაღლემდე აღზევდა, მერე კი დამხობილ იქნა.

[1] Flor., IV, 2, 3.

რესპუბლიკური არმია, რომელსაც სათავეში ედგა პომპეუსის ორი ვაჟი, გ ნ ე ი დ ა ს ე ქ ს ტ უ ს ი, თუმცა ერთგვარი, მაგრამ მრავალრიცხოვანი, იბრძოდა გააფთრებული სიმამაცით სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

„პომპეუსის შვილები ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ მათ მაინც შესძლეს უშველებელი არმიის შეგროვება და, გარდა ამისა, გამოიჩინეს ვაჟკაცობა, რითაც მათ დაიმსახურეს ღირსეული სარდლობის სახელი... ბრძოლის შემდეგ ცეზარმა თავის მეგობრებს უთხრა — მე არაერთხელ მომხდომია ბრძოლა გამარჯვებისათვის, დღეს კი მე ჩემი საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ვიბრძოდიო“ [1].

პომპეუსელები თავგამეტებით იბრძოდნენ, თავის მოწინააღმდეგეებს უთვალავ ზიანს აყენებდნენ და ხშირად უტევდნენ, თვითონ ცეზარიც კი კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს. საბოლოოდ მაინც ცეზარმა გაიმარჯვა მოწინააღმდეგის ბანაკზე მავრეტანელი ცხენოსანი ჯარის მარჯვე შეტევის წყალობით. ბრძოლის ველზე დაეცა 30 ათასი კაცი, მათ შორის ტიტე ლაბიენი, გალიის ომის თვალსაჩინო მონაწილე, რომელმაც ცეზარს უღალატა, და პომპეუსის უფროსი ვაჟი — გნეი; პომპეუსის მეორე ვაჟი, სექსტუსი, მთებში გაიქცა და იქ თავის გარშემო შემოიკრიბა დამარცხებულ პომპეუსელთა ნაშთები.

7. ცეზარის ერთმპყრობელობა

პომპეუსელთა შემუსვრამ ცეზარი გახადა ერთპიროვნულ მმართველად რომის რესპუბლიკაში. 46 წელს, თაფსუსის შემდეგ, ცეზარი იღებს 10-წლიან დიქტატურას, სიკვდილამდე ცენზორის ძალა-უფლებას (praefectura morum), უფლებას წამოაყენოს კანდიდატები სახალხო ტრიბუნებად და ედილებად. ხოლო 44 წელს, მუნდას შემდეგ, შეიქნება ს ი კ ვ დ ი ლ ა მ დ ე დ ი ქ ტ ა ტ ო რ ა დ (dictator perpetuus). როგორც მუდმივმა დიქტატორმა, ცეზარმა მიიღო განუსაზღვრელი უფლება სახელმწიფო ფინანსებით, შეიარაღებული ძალებით განკარგულებისა, მმართველების პროვინციებში დანიშვნისა, ფულის მოჭრისა, საზოგადოებრივ ვალდებულებათა შესრულებისას ტრიუმფალური ტანისამოსის (ძოწეული ტოგის, წითელი წაღებისა და დაფნის გვირგვინის) ტარებისა და კიდევ praenomen-ად—იმპერატორის სიკვდილამდე ტიტული, როგორც უმაღლესი სამხედრო ძალა-უფლების სიმბოლო. იმპერატორის ტიტულმა მას შემოუმტკიცა სამხედრო ძალა-უფლება;

[1] P l u t., Caesar, LXI.

დიდი პონტიფექსის (pontifex maximus) წოდება მას ხდიდა ყველაზე უფრო გავლენიან ქურუმთა კოლეგიის მესვეურად, ხოლო სახალხო ტრიბუნის სიკვდილამდე უფლებანი მას ხელთ აძლევდა კანონმდებლობითი ინიციატივას და მის პიროვნებას ღვთაებრივ პიროვნებად ხდიდა. ცეზარის თავს გამოხატავდნენ ხოლმე ფულზე, მის გენიას მსხვერპლსა სწირავდნენ ღმერთების თანასწორად, მისი ძოწეული ტოგა ადამიანს მოაგონებდა ძველი მეფეების ტოგას; მსახურთა ამალით გარშემოხვეული დიქტატორი თვითოვნე აჩენდა სამართალს, ოქროს სავარძელში მჯდომარე, და სენატორებს იღებდა ისე, რომ ფეხზე არ წამოდგებოდა. იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ მოეწყოთ იუპიტერ-იულიოსის ცალკე ტაძარი ქურუმთა ცალკე კორპორაციით.

ცეზარის რეჟიმი ისევე, როგორც მისი ადრინდელი წინა იმპერატორების—მარიუსისა და სულას—რეჟიმი, იყო სამხედრო რეჟიმი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ომსა და ჯარს ცენტრალური ადგილი ეჭირათ გალიის დამპყრობელისა და პომპეუსის დამამარცხებელის პოლიტიკაში. არსებითად ცეზარის რეჟიმი უფრო მონარქიას უახლოვდებოდა, ვიდრე რესპუბლიკას, ამასთანავე ორა პირველი რომაული დინასტიის კლავდიუსების ნახევრადკონსტიტუციურ მონარქიას, არამედ II—III საუკუნეთა სეველრების „ჯარისკაცულ მონარქიას". ცეზარის მომდევნო მოადგილეები, იულიოს-კლავდიუსების დინასტიის პრინცეპსები, თვალსაჩინოდ ასცდნენ მისგან ნაჩვენებ გზას უფრო ზომიერი „რესპუბლიკურ მონარქიის", ანუ პრინციპატის მიმართულებით.

ცეზარი მოქმედების მხრივ შებოჭილი იყო მის გარშემო მყოფ ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნება-სურვილით. თავიდანვე ცეზარსა და ჯარს შორის ურთიერთობამ მიიღო საქმიანი, კომერციული ხასიათი. ჯარის მოთხოვნილებათა შეუსრულებლობა იწვევდა დრტვინვას, უკმაყოფილებას და მასობრივ დეზერტირობას. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ ცეზარის ჯარისკაცთა ყოფაქცევა 49 წელს იტალიიდან საბერძნეთში გადასვლის დროს.

„სად და რისთვის, — კითხულობდნენ ჯარისკაცები, — მივყევართ ამ ადამიანს? როდის-ღა, ბოლოსდაბოლოს, ვეღირსებით ჩვენ მოსვენებას? ის ისე გვიყურებს ჩვენ, თითქოს უსულო არსებანი ვიყვნეთ და დაღლილობას არ ვგრძნობდეთ. მახვილებიც კი მოიღუნებოდა ამდენი დარტყმით; ფარსა და აბჯარს უფრთხილდებიან, როცა ისინი ამდენ ხანს ემსახურებიან ადამიანს. ნუთუ ცეზარი ჩვენს ჭრილობებზე ვერ ამჩნევს, რომ ის ადამიანებს სარდლობს,

რომ ჩვენ როგორც ადამიანებს შეგვიძლიან ვიწვალოთ და ვიტანჯოთ? თვითონ ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ ბრძოლა ფლოტთან და ქარიშხალთან ზღვაზე, ხოლო ცეზარი ყოველივეს ისე აკეთებს, თითქოს სურდეს აჩვენოს, რომ იგი კი არ სდევნის მოწინააღმდეგეს, არამედ მას გაურბისო" [1].

ჯარისკაცების აჯანყებისა და შეთქმულებათა თავიდან ასაცილებლად და, ამასთან ერთად, თავის მხარეზე ვეტერანების მისაზიდად, ცეზარი ორგვარ ღონისძიებას ხმარობდა — მუქარას და დასჯას, ერთის მხრივ, ჯილდოსა და ტრიუმფებს, მეორის მხრივ. სიმდიდრით, ბრწყინვალეებით და ზეიმით ცეზარის ტრიუმფები აღემატებოდა წინანდელ სარდალთა ტრიუმფებს. განსაკუთრებული ბრწყინვალებით განირჩეოდა ზემორე აღწერილი 46 წლის ტრიუმფი. რომის ქუჩებში გაწყობილი იყო 22 ათასი სუფრა და უმასპინძლებოდნენ ჯარისკაცებსა და რომაელ მოქალაქეებს, ცირკებში გაიმართა გრანდიოზული წარმოდგენები, მოეწყო ასპარეზობანი და საზღვაო ბრძოლები (ნავმაქიები). თავმოყრილ ხალხის წინაშე კომიციებში ცეზარმა ხოტბითი სიტყვა წარმოთქვა, სადაც ჩამოთვლიდა თავის გამარჯვებებს და აღნიშნავდა მის მიერ დაპყრობილ უშველებელ მიწებს, რომელთაც სახელმწიფოსთვის უნდა მოეცათ დიდი შემოსავალი 200 ათასი მედიმნი ხორბალი და 3 მლნ. საწყაო ერბო..

თვითეულ ჯარისკაცს მიეცა 20—25 ათასი სესტერცია — თანხა, რომაული ანგარიშით, დაუჯერებლივ დიდი, ცენტურიონებს — ორჯერ მეტი, ხოლო პრეფექტებსა და ტრიბუნებს — ოთხჯერ უფრო მეტი.

რომის საზოგადოების რესპუბლიკურად განწყობილსა და ამ ნაწილზე, რომელსაც უფრო დამოუკიდებლად ეკავა თავი, ცეზარის ტრიუმფმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც სამოქალაქო თავისუფლებაზე პოლიტიკური მონობის ზეიმმა. „ბრაფერი არ ყოფილა ისე სამძიმო რომაელებისათვის, როგორც ცეზარის ეს ახალი ტრიუმფი. ცეზარმა დაამარცხა არა უცხო სახელმწიფოთა წინამძღოლები, არა ბარბაროსთა შეფეები, არამედ ამოჟლიტა უბედური რომაელის (პომპეუსის) გვარი, რომელიც ეგოდენი გავლენით სარგებლობდა. იგი (ცეზარი) შეჰხაროდა ბოროტებას, რომელსაც ის მარტო ერთ გამართლებას თუ მოუძებნიდა, — რომ ეს აუცილებელი საჭიროების ძალით მოხდა... მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, რომაე-

[1] Plut., Caesar, XXXVII.

ლებმა ქუდი მოიხარეს ამ ადამიანის ბედნიერების წინაშე, ნება მისცეს მათზე უღელი დაედგათ და, თვლიდნენ რა მონარქიას მოსვენებად სამოქალაქო ომებისა და განცდილ უბედურებათა შემდეგ, გამოაცხადეს იგი სიკვდილამდე უცვლელ დიქტატორად. ეს იყო აშკარა ტირანია. უპასუხისმგებლო მონარქია შეუერთდა სიკვდილამდე ძალა-უფლებას.

ის პირველი პატივი, რომლის შესახები წინადადება ციცერონმა შეიტანა, დიდი იყო, მაგრამ ამ პატივში რაღაც ადამიანური მაინც გამოსჩანდა, შემდეგ კი ყოველივე ამას ზედ დაერთო ახალი, საგანგებო რწმუნებანი, რომელთა თაოსნობაც ეკუთვნოდა ისეთ ხალხს, ერთი მეორეს რომ ეცილებოდნენ და ეჯიბრებოდნენ ცეზარის წინაშე დამსახურებაში. იმ დეკრეტების წყალობით, რომელნიც ყოველგვარ ზომასა და საღი გონიერების საზღვარს სცილდებოდნენ, ცეზარი საძულველი ხდებოდა ყველაზე უფრო გულკეთილ მოქალაქეებისთვისაც კი“ [1].

ერთდროულ ჯილდოთა გარდა, ვეტერანებს ურიგდებოდათ მიწის ნაკვეთებიც. თავის წინამოადგილეების მსგავსად, ოღონდ შეუდარებლივ უფრო მეტი რაოდენობით, ცეზარმა გაშალა კოლონიური პოლიტიკა. წყაროებში არის მითითებანი იმისა, რომ რომაული კოლონიები არსებობდა აფრიკაში, რომელნიც ცეზარმა დააწესა იტალიაში, აფრიკისა, გალიისა და სხვა ქვეყნების პროვინციებში. მიწების შესაძენად და კოლონისტებისათვის სესხის მისაცემად საჭირო თანხებს ნაირნაირი გზით შოულობდნენ. ხარჯების ნაწილი იფარებოდა გალიის ნადავლიდან, ნაწილი აღებულ იქნა ჩამორთმეულ სატაძრო ქონებიდან, ნაწილი კი — მოწინააღმდეგეთა ჩამორთმეულ ქონებიდან.

ცეზარისა და მის ირგვლივ დაჯგუფებული ოფიცრების შტაბის ხელში რჩებოდა მოპოებული ნადავლის, ძვირფასეულობის, მიწებისა და მონების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. 61 წელს ესპანეთში გამგზავრებისას ცეზარს ვალი ჰქონდა 25 მლნ. დენარამდე, ომის შემდეგ კი ყველა ვალი სავსებით დაფარული იყო. გალიის კამპანიის განმავლობაში ცეზარმა ტყვედ იგდო უამრავი მონა — ერთი რიგი ცნობებით 400 ათასი, ხოლო მეორეგვარი ცნობებით — მილიონიც კი, რომელთა გაყიდვით აღებულ იქნა დაახლოებით 100 მლნ. დენარამდე [2]. 46 წ. ცეზარმა იშოვა ნადავლის გაყიდვითა და იმ ხარკიდან, რომელიც მან დაადო ესპანეთსა, აზიასა და იტალიას, დაახლ. 150 მლნ. დენარამდე. ხელში ჩაგდებული თანხები

[1] Plut., Caesar, LVI—LVIII.
[2] Well. Pater., II, 47; Suet., Caesar, 54.

მიდიოდა დიქტატორის პირად განკარგულებაში, ოფიცრების, ჯარისკაცების, ფავორიტებისა და ფავორიტ ქალების საჩუქრებზე, ჯარის შენახვაზე, სახალხო ტრიბუნების მოქრთამვაზე დასახარჯად. მაგალითად, ტრიბუნმა კურიონმა მიიღო ერთდროული საჩუქარი 500 ათასი დენარის რაოდენობით.

იოლად მოპოებული ქონება და თანხები ასევე იოლად და ადვილად იფლანგებოდა. ოფიცერთა წრე, რომელიც ცეზარს გარს ეხვია, ხელგაშლილად ცხოვრობდა, იძენდა მშვენიერ აგარაკებს (ვილებს) ქალაქ გარეთ, სახლებს რომში, ძვირფას მოწყობილობას, ავეჯს, სურათებს, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეულობას. ოფიცერთა მაღალი წრის ხალხში გამოსული ერისკაცის მაგალითს წარმოადგენდა მ ა რ კ ო ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს ი, გალიისა და სამოქალაქო ომის გმირი, და გალიის ომის მეორე მონაწილე — მხედარი ფორმიადან მ ა მ უ რ ა. მარკოს ანტონიუსსავით მამურაც, ლამაზი, თავხედი და თავაშვებული ოფიცერი, რომელიც ფულს მარჯვნივ და მარცხნივ ფლანგავდა, სარგებლობდა დიქტატორის განსაკუთრებული განწყობილებით და მის ფავორიტად ითვლებოდა. მამურა ჩვენთვის ცნობილია, როგორც კატულის იმ ეპიგრამათა გმირი, რომელნიც საუკეთესო წყაროს შეადგენენ რესპუბლიკის ბოლოდროის რომაული საზოგადოების შეცნობისათვის და ავსებენ ისტორიკოსთა მშრალსა და მონოტონურ თხრობას.

„უსირცხვილოებისა, მსუნაგთა დალოთებს გარდა, ვის შეუძლია ამის ნახვა და ატანა? მამურა ახლა ფლობს იმას, რაც წინათ ჰქონდათ ბანჯგვლიან გალიასაც და შორეულ ბრიტანეთსაც. უსირცხვილო რომულ, შენ ამას ხედავ და ითმენ. ეს შეძლებული არამზადა ახლა სასურველი სტუმარი შეიქნა ყველა მდიდარი სახლისათვის. ნუთუ შენ, დიდო ცეზარო, შორეული დასავლეთის კუნძულებზე იმისათვის იყავ, რომ შენ საყვარელ მეგობარს შთაენთქა 30 მილიონი სესტერცია?... ჯერ კიდევ ცოტა აქვს გაფლანგული და ცოტა აქვს შეყლაპული... ჯერ ნაფლეთ-ნაფლეთად ხელიდან წაუვიდა მამისეული შეძლება, შემდეგ პონტოში ნაშოვნი ნადავლი, მერე ესპანეთის ალაფი, რის შესახებ ზოგი-რამ უწყის ოქროს წყაროს — ტაგუსმა, და ასეთი არამზადასი ეშინიან გალიასა და ბრიტანეთს. ნეტა რას ელოლიავებით ასეთ საძაგელს? მას რა შეუძლია, გარდა იმისა, რომ ხეთქოს უამრავი ქონება? აი სწორედ ამისთვის, უპატივცემულესნო ბოქალაქენო, სიმამრო და სიძევ (ცეზარი და პომპეუსი), დაღუპეთ მთელი ქვეყანა!“ [1].

---

[1] Catull., 29.

ჯარის გარდა ცეზართან დაკავშირებული იყო სულ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების — ფინანსისტების, ვაჭრების, მოიჯარადრეთა და მისთანა სხვათა ინტერესები. მათ შორის მრავალი იყო იტალიკი და პროვინციალი, თავისუფალი და აზატი. უფრო გვიან, იმპერიის დროს, ამ ელემენტებისგან ჩამოყალიბდა იმპერიის მხედართა წრე, მაღალი და საშუალო მოხელეობა, იმპერიის ბიუროკრატია. ცეზარის ეპოქის მოსაქმე კაცისა და ბიუროკრატის ნიმუშს წარმოადგენს ლ უ ც ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი ბ ა ლ ბ ი, ესპანეთში ძველი ფინიკიური ახალშენის გადესის ნატურალიზებული მკვიდრი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მის დასაცავად ციცერონის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან (C i c e r o. Pro Balbo), და ციცერონის მიწერმოწერით. ბალბის კარიერა დაიწყო ჯერ კიდევ პომპეუსის დროს და ფართოდ გაიშალა ცეზარის ხელში. როგორც ამ დროის გმირთა უმრავლესობა, ბალბიც მონაწილეობდა გალიის ომში საინჟენერო ნაწილთა უფროსის თანამდებობით (preafectus fabrum), მოიპოვა ცეზარის ნდობა და გამდიდრდა. მერე ბალბი შეიქნა სახელმწიფო ქონებათა მმართველად, ხელთ ეჭირა სახელმწიფო ფინანსები და განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობდა. ბალბის განკარგულებანი დაუყოვნებლივ იღებდა დიქტატორის სანქციას და იგი (ცეზარი) მის უკითხავად არცერთ სერიოზულ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა ხოლმე [1].

8. ცეზარის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა

ც ე ზ ა რ ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს სისტემატიზაცია იოლი საქმე როდია. ცეზარის მიერ მოფიქრებული გეგმების დიდი ნაწილი არ გამოსულა პროექტების სტადიიდან ნაწილობრივ ცეზარის რეჟიმის ხანმოკლეობის გამო და ნაწილობრივ მათი განხორციელების სიძნელის გამო. როგორც თვითონ ცეზარის პიროვნებაში, ისე მის სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკაშიაც შერწყმული და გადახლართული იყო გენიალობა და ავანტიურიზმი, რითაც აიხსნება კიდეც ცეზარის რეჟიმისა და თვითონ ცეზარის პიროვნების შეფასებათა და მის შესახებ მსჯელობათა დიდი მრავალფეროვნება. ცეზარის გეგმით, რომის სახელმწიფო უნდა გადაქცეულიყო უშველებელ სახელმწიფოდ, რომელიც მიყვანილი იქნებოდა თავის ბუნებრივ საზღვრებამდე. გალიის ომის შემ-

[1] C i c., Ad Attic., X, 11; XI, 6; Ad fam. VI, 8.

დეგ ცეზარი ამუშავებდა გეგმას ახალი, არანაკლებ გრანდიოზული და ავანტურისტული ლაშქრობისას პართიაზე, რომელიც განთქმული იყო თავისი აურაცხელი სიმდიდრით. პართიას რომ დაიმორჩილებდა და მაგიერს გადაუხდიდა რომაული დროშების შეგინებისათვის, ცეზარი მერე ფიქრობდა გასულიყო ჰირკანიაში, შემოევლო კასპიის ზღვის ნაპირისა და კავკასიისათვის, შეჭრილიყო სკვითებში, ხოლო აქედან წასულიყო გერმანიაზე და გალიაზე გადავლით დაბრუნებულიყო იტალიაში.

ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოს ეკონომიური გამოცოცხლებისათვის ნავარაუდევი იყო ფართო საამშენებლო და საკოლონიზაციო პოლიტიკის გაშლა. ნაგულისხმევი იყო კორინთოს არხის გაჭრა, ოსტიადან ადრიატიკის ზღვისაკენ გრანდიოზული არხის გაყვანა, შეერთება ტიბრისა ადრიატიკის ზღვასთან და სხვ. მუშავდებოდა პროექტი სენტინუმისა და პომტინას ჭაობთა ამოშრობისა და მინდვრებად ქცევისა, სადაც შეიძლებოდა ათასობით ხალხს ემუშავნა. შემდეგ განზრახული იყო ფუცინუს ტბის წყალი გაეშვათ, აეგოთ მიწაყრილი რომის უახლოეს მიდამოთა ნაპირებზე, რომელთაც ზღვა ფარავდა ხოლმე, მოესპოთ ოსტიას ნაპირას მეჩეჩები და ბრაგები (წყალქვეშა კლდეები), გაეფართოებინათ და ჩაეღრმავებინათ ნავსადგურები და ნავსაყუდები, რომ უფრო სახერხო ყოფილიყვნენ დიდ სატვირთო ხომალდებისათვის.

სავაჭრო ბრუნვის გასაადვილებლად და სავალუტო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მიღებულ იქნა მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი მ ო ნ ე ტ ა, — ო ქ რ ო ს ი დ ა ვ ე რ ცხ ლ ი ს ა, 8,18 გრამის თანატოლი,—და განზრახული იყო კანონთა ფართო კრებულის შედგენა, რომელიც თავს მოუყრიდა პრეტორთა გაფანტულ ედიქტებსა და სენატუს-კონსულტებს. ზუსტდებოდა და მარტივდებოდა დროის აღრიცხვა. სპეციალურმა კომისიამ ალექსანდრიელი ასტრონომის სოზიგენის მეთაურობით შესცვალა მანამდე იტალიაში მიღებული მთვარის წელიწადი უფრო ზუსტი, მზის წელიწადით, $365^1/_4$ დღის ვარაუდით, ყოველ ოთხწლეულში ერთი დღის ჩამატებით (ნაკიანი წელიწადი).

იმ იმპერიის, რომელიც ის-ის იყო ეწყობოდა და ყალიბდებოდა, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრად რჩებოდა ისევ ქალაქი რ ო მ ი, სატახტო ქალაქი და იულიოს ცეზარის ადგილსამყოფელი. ცეზარი ფულს არ იშურებდა სატახტო ქალაქის გალამაზებაზე, მშვენიერ საზოგადოებრივ და კერძო შენობათა აგებაზე. მის დროს აგებულ იქნა მარსის ტაძარი ამოშრობილ ტბაზე, უშველებელი ზომის თეატრი, რამდენიმე ბიბლიოთეკა, იულიოსის ფორუ-

ში ვენერა-დედის ტაძრითურთ და სხვ. პროვინციების შემომტკიცების მიზნით, ვეტერანების დასაკმაყოფილებლად, დიდი ქალაქების მოსახლეობით სიჭარბის შესანელებლად და პროვინციათა-გამოსაცოცხლებლად ცეზარი აღადგენდა ძველ ქალაქებს ან აგებდა ახლებს, ასახლებდა რა იქ რომაელ კოლონისტებს. რომაელი კოლონისტები დასახლებულ იქნენ კართაგენში, კორინთოში, უტიკაში, გადესსა და მთელ რიგ პროვინციულ და იტალიურ ქალაქებში. სხვათა შორის, კამპანიაში დასახლებულ იქნა VII და VIII ლეგიონები, რომელთაც მიიღეს თარსალის ბრძოლაში დაღუპულ იმ კამპანიელთა მიწები, პომპეუსის მხარეზე რომ იბრძოდნენ [1].

პერიფერიაში სახსართა და ხალხის მიზიდვის წყალობით პროვინციებმა იწყეს გამოცოცხლება და რომანული სახის მიღება. მრავალმა პროვინციურმა ქალაქმა და დაბამ მიიღო ლათინური უფლება, რომაული კოლონიის უფლებანი ან კიდევ რომაული სრული უფლება. ასე, მაგალითად, ესპანეთის სავაჭრო ქალაქი გადესი ერთბაშადვე გადაკეთებულ იქნა რომის მუნიციპიუმად; ცეზარი უხვად ურიგებდა პროვინციალებს სამოქალაქო უფლებებს (civitate donavit), მეტადრე გალებსა და ესპანელებს, აგრეთვე აზატებსა და უცხოელებს.

რომის სამოსახლო ადგილთა ცენტრი იტალიაში და პროვინციებში იყო ქ ა ლ ა ქ ი (მუნიციპიუმი), რომელიც საყრდენს წარმოადგენდა საიმპერატორო წესწყობილებისათვის. ცეზარის სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკაში მუნიციპალურ პოლიტიკას ცენტრალური ადგილი უჭერია. 46 წ. გამოქვეყნდა სპეციალური კ ა ნ ო ნ ი მ უ ნ ი ც ი პ ი უ მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ (lex Julia de municipiis), რომელიც ორი წლის შემდეგ შევსებულ იქნა რუბრიუსის კანონით (lex Rubria de Gallia Cisalpina); ამ კანონით მუნიციპიუმები სამოქალაქო უფლებათა მხრივ გაუთანასწორდნენ რომს. მუნიციპიუმებს მიენიჭათ ავტონომია ისეთ საკითხებში, რომელნიც შეეხებოდა მათ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას — ხარკ-გადასახადებისა და ბეგარათა გაწერაში, სამუნიციპალო მაგისტრატების, სამუნიციპალო საბჭოს წევრთა არჩევნებში და მისთანა სხვაში. მუნიციპიუმების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა კურია, სამუნიციპალო საბჭო ან სენატი, არჩეული ქალაქის შეძლებულ პირთაგან.

ი უ ლ ი ო ს ი ს კ ა ნ ო ნ ი მ ო ქ რ თ ა მ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ (lex Iulia de repetundis, 59 წ.), ხელსაყრელი პროვინციალე-

---

[1] Nicolaus Damasius, Vita Caesaris; Cic., Philipp., II, 102.

ბისათვის, აწესებდა ხარკისა და გადასახადების ნორმას. ნაცვალთა უფლებანი იზღუდებოდა, ამასთან ერთად მცირდებოდა თვითნებობის შესაძლებლობაც. პროვინციალების ბეგარა ნაცვლის მიმართ გამოიხატებოდა ტრანსპორტის გამოყვანაში, პირუტყვისათვის საკვების მიცემაში და მსახურთათვის სადგომის შოვნაში. პროვინციათა რიცხვი ცეზარის დროს გაიზარდა. ძველ პროვინციებს მიემატა ლუგუდუნიუმის გალია, ბელგიკა და პროვინცია ილირიკი.

რაც უფრო ფართოვდებოდა რომის სახელმწიფოს საზღვრები, იცვლებოდა სოციალური დაჯგუფებანი და რთულდებოდა მმართველობის ამოცანები, მით უფრო სწრაფად სცვლიდა ქალაქ-სახელმწიფოს ძველ ფორმებს მმართველობის იმპერიული სისტემა, რაც რესპუბლიკას მონარქიად ხდიდა. რესპუბლიკური დაწესებულებანი ქვეითდებოდა დიქტატორზე დამოკიდებულ სახელმწიფო ორგანოთა მდგომარეობამდე. სენატი ხდებოდა სახელმწიფო საბჭოდ, სენატორთა რიცხვი 900-მდე გაიზარდა. დიდგვარიან ნობილებთან ერთად სენატორის წოდება ახლა ებოძებოდათ ხოლმე მხედრებს, პლებეებს, აზატებსა და პროვინციალებს (გალებს, ესპანელებს). სენატორის წოდება ეძლეოდა ყველას, ვინც კი მახლობელი აღმოჩნდებოდა ყოველგვარ წყალობათა წყაროსი—იულიოს ცეზარისა. ამასთან ერთად ჩატარებულ იქნა სენატის გენერალური წმენდა, სენატის არსებული შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა დიქტატორის რეკომენდაციით ახალი წევრების შეყვანის გზით, იმატა მაგისტრატურათა — პრეტორების, ედილების, კვესტორების — რიცხვმა. უფლებამოკლებულ ამომრჩევლებს სახელმწიფოს მეთაურის ნება-სურვილის თანახმად აღადგენდნენ წინანდელ უფლებებში; კანდიდატების ერთ ნახევარს ხალხი ირჩევდა, მეორე ნახევარს კი ცეზარი ნიშნავდა. საარჩევნო ოლქებში (ტრიბებში) იგზავნებოდა განსაკუთრებული სარეკომენდაციო წერილები წარწერით: „დიქტატორი ცეზარი ამადაამ ტრიბას. რეკომენდაციას ვაძლევ თქვენთვის ამას და ამას, რათა თქვენი ხმებით მათ მიიღონ მათი ღირსების შესაბამისი“ [1].

კომიციები გადაიქცნენ დიქტატორის მიერ ნარჩევ სათანამდებო პირთა ასარჩევ ორგანოდ, მოღებულ წყალობათათვის მადლობის გამომცხადებელ ორგანოდ, ხოლო ეს წყალობა ხალხს ეძლეოდა მოწყალების მიცემის, საგლადიატორო ბრძოლათა მოწყობის, ბინის ქირის დაკლებისა და სხვა ამგვარის სახით.

თავის ხანას ცეზარი უცქეროდა, როგორც კულტურის მთელი

---

[1] Suet., Caesar, XLI.

წინანდელი ისტორიის მომთავრების ხანას და მას განზრახვა ჰქონდა დაეგროვებინა და ერთ ფართო ბიბლიოთეკაში გაეერთიანებინა ბერძნული და რომაული ლიტერატურის ყველა ნაწარმოები. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციასა და წიგნების შერჩევაზე ზრუნვა ეკისრებოდა მარკოს ტერენციუს ვარონს, ცნობილ რომაელ სწავლულს, წიგნის საქმის მოტრფიალეს, მრავალი თხზულების ავტორს, პომპეუსელს, რომელიც ცეზარის მხარეზე გადავიდა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ცეზარის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა ყველა მიმართულებით წინ უსწრებდა რომის იმპერიის პოლიტიკას. საქმის ვითარების ბუნებრივი მსვლელობით ამოძრავებული, ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი ის იყო, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზი გაერთიანებულიყო ქალაქ რომის ჰეგემონიის ქვეშ და რომის რესპუბლიკა გადაქცეულიყო ხმელთაშუაზღვეთის სახელმწიფოდ.

9. სოციალური მოძრაობანი და სოციალური უტოპიები ცეზარის დროს

ცეზარის სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკას ჰქონდა თავისი ცუდი მხარეც. ომებმა და სამხედრო ნადავლმა ერთნი გაამდიდრა და აღამაღლა, მეორენი კი გააჩანაგა და ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოაგდო. ომისდროინდელი აოხრებანი, მონათა მოზღვავება, ფულადი და სავაჭრო სპეკულაციები არღვევდნენ სამეურნეო ცხოვრების რითმს, რაც გამოიხატებოდა მუდმივ ეკონომიურ კრიზისებსა და დეპრესიებში. მაღალი სამეურნეო კონიუნქტურის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ახალი დაპყრობანი, რაც სწორედ აღარ ყოფილა ცეზარის სიცოცხლის ბოლო წლებში. 50-იანი წლების თავბრუდამხვევ აღმავლობას მოჰყვა ასევე რეტდამსხმელი კრიზისი 40-იანი წლებისა. ეკონომიური დეპრესიები და მათ ნიადაგზე აღმოცენებული ცეზარის დიქტატურით უკმაყოფილება უაღრესი ძლიერებით შეიგრძნობოდა თვითონ რომში, მსოფლიო სიღატაკისა და უკმაყოფილების დაგროვების ცენტრში, და აგრეთვე იტალიაშიც.

დეპრესიის გამომწვევ დროებით მიზეზების გარდა, ცეზარის დროს შეიგრძნობოდა აგრეთვე იტალიის ეკონომიკის საერთო დაქვეითება. ზემორე აღწერილ სოციალურ-ეკონომიურ ძვრებთან და ცეზარის მთელ პოლიტიკასთან დაკავშირებით იტალია კარგავდა თავის უპირატეს მნიშვნელობას ხმელთაშუაზღვეთის ხალხებს შორის. იტალიის სავაჭრო მონოპოლია ვიწროვდებოდა იტალიურ ნავსადგურებში საბაჟო გამოსაღების შემოღების გამო, იტალიის ვაჭრობა

ნაკლებ ხელსაყრელი ხდებოდა და მცირდებოდა, რაც გავლენას ახდენდა ხელოსნობისა და ფინანსების მდგომარეობაზე. თავი იჩინა აგრეთვე შეძლებული ათასანი ხალხისა და კაპიტალების პერიფერიაში გადანაცვლებამ. ფულის ნაკლებობა და დიდი სასესხო სარგებელი ზრდიდა მოვალეთა და ლუმპენპროლეტარების რიცხვს, რომლებითაც სავსე იყო რომი.

დედაქალაქის მოსახლეობის განწყობილება 40-იან წლებში მღელვარე იყო. პირველ შესაძლებლობისათანავე ქალაქის პლებსი მოქმედებაზე გადადიოდა, მოითხოვდა ვალის სრულსა ან ნაწილობრივ კასაციას, საბინაო პირობათა გაუმჯობესებას და სახელმწიფო დახმარებას მცირემქონეთათვის. მაშინ სოციალურ ჰორიზონტზე კვლავ გამოჩნდებოდა ხოლმე კატილინას აჩრდილი. მიუხედავად ისტორიული ცნობების სიმწირისა, მაინც შესაძლებელია საკმაოდ ნათლად წარმოვიდგინოთ 40-იანი წლების სოციალურ შეტაკებათა სურათი. პირველი დიდი აჯანყება მოხდა რომში 48 წელს, ცეზარის საბერძნეთში გამგზავრების უმალვე. მისი ორგანიზატორი იყო პრეტორი მ ა რ კ ო ს ც ე ლ ი უ ს რ უ ფ უ ს ი, ოდესღაც ცეზარის მხურვალე მომხრე, შემდეგში კი მისგან განდგომილი. რუფუსმა გამოაცხადა ჯერ ვალების გასტუმრების ვადის გაგრძელება, მერე კი მათი სრული გაუქმება და ბინის ქირისაგან გათავისუფლება. რუფუსს მრავალი მომხრე გამოუჩნდა ქალაქის მოსახლეობაში, რომელმაც ახლა თავისი თავი იგრძნო მძიმე ტვირთად დაწოლილ ვალებისგან გათავისუფლებულად. რუფუსის კოლეგის, მეორე პრეტორის ტრებონიუსის ცდა — წინააღმდეგობა გაეწია ამ წინადადებისათვის — დაიმსხვრა: ხალხი მას არ შეეპუა. საქმეში ჩაერია კონსული სერვილიუსი, რომელიც ქალაქში იმყოფებოდა. ჯარისკაცების მიერ დაცულმა სერვილიუსმა მოიწვია სენატის სხდომა, დაამსხვრია ის დაფები, რაზედაც იყო დაწერილი დეკრეტი ვალების კასაციის შესახებ, უბრძანა რუფუსი ჩამოეთრიათ საორატორო ტრიბუნიდან, ჩამოართვა მას პრეტორის წოდება, ხოლო ქალაქში შემოიღო სამხედრო წესები.

რუფუსი იძულებული შეიქნა ქალაქი მიეტოვებინა და გაემგზავრა კამპანიაში, სადაც იგი შეუერთდა ცეზარის ძველისძველ მტერს ტ ი ტ ე ა ნ ი უ ს მ ი ლ ო ნ ს. კამპანიაში მოეწყო საკმაოდ საგრძნობი არმია აჯანყებულებისა, შემდგარი თავისუფალ ხალხისგან და მონებისგან, რომელთაც აღეთქვათ თავისუფლება. მოძრაობა გავრცელდა სამხრეთ-იტალიის ოლქებზე — აპულიასა და ბრუტიუმში, რომელნიც წარმოადგენდნენ მონათა აჯანყების მუდმივსა და უქრობელ კერებს. აჯანყება არ შესწყდა არც იმის შემდეგ, რო-

ცა სერვილიუსთან ბრძოლაში მოკლულ იქნა მილონი, მამაცი ჯარისკაცი და კარგი ორგანიზატორი. თვითონ რომში გამეფებული იყო სრული ანარქია.

„მშვიდობიანობა რომში ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი... ღმერთების მიერ მოვლენილმა მაუწყებელმა ნიშნებმა ყველას შიშის ზარი დასცა და ეს შიში უფროდაუფრო იზრდებოდა თვითონ ქალაქის საცოდავ და უჩვეულო შესახედაობით. არსად არ ჩანდა არც კონსული, არც პრეტორი. მარტო ერთმა მარკოს ანტონიუსმა თითქოს შეინარჩუნა ერთგვარი სიმშვიდე და ხალხმართველობის გარეგნობა: ატარებდა პრეტორის ტოგას, სარგებლობდა მარტო ექვსი ლიქტორით, იწვევდა სენატს და სხვ. მაგრამ თუნდაც მარტო ის, რომ ანტონიუსი დაიარებოდა მახვილ შემორტყმული, მოწმობდა მდგომარეობის დაძაბულობას... ძარცვა, ძალმომრეობა და მკვლელობანი ყოველდღიურ მოვლენად იქცა“ [1].

ცეზარის მოადგილის მარკოს ანტონიუსის და მისი მეგობრების თავაშვებულობა საბაბი შეიქნა ახალი აჯანყებისათვის, რომელიც 47 წ. ზაფხულში მოაწყო სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს კორნელი დოლაბელამ. დოლაბელას მოძრაობა განსაკუთრებით იყო სახიფათო, იმიტომ ,რომ იგი დაემთხვა დასავლეთში კონცენტრირებული ლეგიონების ძლიერ მღელვარებას. ლოზუნგები ძველი რჩებოდა — ვალების კასაცია და საბინაო ქირის შემცირება. ქალაქი მოიფინა ბარიკადებით, რომელთაც გზა შეჰკრეს ცენტრალურ მოედნისკენ. ბარიკადების ახლოს მოხდა გაშმაგებული ბრძოლა, რომელიც სიცოცხლედ დაუჯდა 800 კაცს. ამბოხებულთა მიერ რომის ხელში ჩაგდების საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ ვესტას ქალ-ქურუმებმა დასტოვეს ქალაქი და ცდილობდნენ გადაერჩინათ ტაძრის ქონება. მხოლოდ პროვოკაციათა და სხვადასხვა ფანდების საშუალებით შესძლო ანტონიუსმა აჯანყების ჩახშობა.

ცეზარის სოციალური პოლიტიკა კომპრომისულ ხასიათს ატარებდა და მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ დროებითი შენელება კრიზისისა. მოვალეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გამოცემულ იქნა კანონი, რომლის თანახმად კრედიტორებს დაგირავებული მამულები უნდა მიეღოთ ომამდელ ფასებში, წესდებოდა სესხის სარგებლის გარკვეული ნორმა, ხოლო უკვე გადახდილი სარგებელი ირიცხებოდა თავნში. ღარიბი მდგმურების ინტერესთა შესაბამისად, იულიოს კანონით ბინის ქირათა შესახებ (lex Iulia de mercedibus habitationum annis), მოხდა ბინის საურავის

[1] Dio Cass., XLII, 26—27.

ნაწილობრივი კასაცია. ამასთან ერთად ადგილი ჰქონდა აგრეთვე პოლიციური ხასიათის ღონისძიებებსაც. ამათ რიცხვს ეკუთვნის: 1) ქალაქის პლებსის ორგანიზაციის ერთადერთი ლეგალური ფორმის — კოლეგიათა — გაუქმება; 2) მეამბოხე ლეგიონების დაშლა და ლეგიონში უჯრედების აკრძალვა და, ბოლოს, 3) საქალაქო პოლიციის მოწყობა ყოფილ სამხედრო პირთაგან (praefecti) და სხვ. ცეზარის პოლიტიკის ანტიდემოკრატიული ხასიათი განსაკუთრებით ნათელი და აშკარაა მისი სასამართლო და სამუნიციპალო კანონიდან, რომელიც მმართვა-გამგებლობასა და სასამართლოს აძლევდა ᲛᲓიდარ მოქალაქეთა ხელში. შეფიქრიანებული იმით, რომ დედაქალაქი აივსო ლუმპენპროლეტარული ელემენტებით, რომ მათ შენახვასთან დაკავშირებული იყო საკმაო ხარჯები, ცეზარმᲯ გაბედა გაეტარებინა სერიოზული ღონისძიება — შ ე ე მ ც ი რ ე ბ ი ნ ა გ ა ბ ო ძ ე ბ ა, წ ყ ა ლ ო ბ ა თ ა გ ა ც ე მ ა დ ა ქ ა ლ ა ქ ი დ ა ნ გ ა ე ს ა ხ ლ ე ბ ი ნ ა Ჭარბი მოსახლეობა. პურის მიმღებთა რიცხვი 320 ათასიდან დაყვანილი იყო 150 ათას კაცამდე, რომელთაგან 80 ათასი უნდა გადასახლებულიყო ზღვის გადაღმა კოლონიებში. ამასთანავე იმავე დროს მიწათმფლობელებს ბრძანება მიეცათ მწყემსებს შორის ერთი მესამედი მაინც თავისუფალი ხალხი Ჰყოლოდათ.

Მუდმივ გადატრიალებასა და კატასტროფასთან დაკავშირებით, რაც რომის საზოგადოებამ გამოიარა სულას შემდგომ ხანაში, მრავალს, მათ შორის თვითონ იულიოს ცეზარსაც, აღეძრა აზრი არსებული წესწყობილების არასრულყოფლობისა და მისი შეცვლისა ახალი სოციალური ორგანიზაციით, რომელიც უფრო სრულყოფილი იქნებოდა და უფრო შეხამებული ადამიანის ბუნებასა და გონიერების მოთხოვნილებასთან. ამ ნიადაგზე რესპუბლიკის დასასრულს და იმპერიის დასაწყის ხანებში გაჩნდა ბევრი ს ო ც ი ა ლ უ რ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ ტ ო პ ი ა, რომელთაც ჩვენ ვეცნობით ნაწარმოებით „წ ე რ ი ლ ე ბ ი ც ე ზ ა რ ი ს მ ი მ ა რ თ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ“ (Epistulae ad Caesarem de re publica), რაც მიეწერება ისტორიკოს სალუსტის. „წერილების“ ისტორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ჩვენ შევყევართ სოციალურ ატმოსფეროში და რომ ისინი გვაცნობენ იმ დროის იდეოლოგიას. „წერილების“ სინამდვილე და სალუსტის ავტორობა, რაც ერთ დროს უარყოფილი იყო, ამჟამად ნამდვილად არის მიჩნეუ-

ლი[1]. „წერილებში“, როგორც საერთოდ სალუსტის ნაწარმოებებშიაც, თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი არსებული წესწყობილების კრიტიკას განსაკუთრებით მორალისტური თვალსაზრისით. სოციალური უტოპიის ნიშანდობლივ თავისებურებას სალუსტის წარმოსახვაში შეადგენს პროგრესული და რეაქციული მოტივების შერევა ერთმანეთში.

თვლის რა არსებულ წესწყობილებას არანორმალურად, „წერილების“ ავტორი სახავს მთელ რიგ რეფორმებს, რომელთაც, მისი აზრით, შეუძლიანთ გააჯანსაღონ საზოგადოება, დაიფარონ იგი მოახლოებული კატასტროფისაგან და დააბრუნონ იგი ძველი, უწინდელი რესპუბლიკის ზნე-ჩვეულებებისკენ. თვითონ „წერილების“ ავტორი, როგორც ეს ცხადჰყვეს ბოლოდროის გამოკვლევებმა, არის ძველი სტილის რესპუბლიკის მომხრე მისი სადა „ზნე-ჩვეულებითურთ“. მთავარი ბოროტება — ასეთია ამ ნაწარმოების აზრთა მსვლელობა — მდგომარეობს ფულსა და სიმდიდრეში, რომელთა დაუფლება ადამიანში ბადებს მისწრაფებას ფუფუნებისადმი, ბადებს სასახლეთა და ბრწყინვალე ვილების აგების სურვილს, მშვენიერ ქანდაკებათა, ძოწეულ ქსოვილების შეძენის წყურვილს, გემოვნების სიფაქიზეს, ნებივრობას, გარყვნილებას, ფიზიკურ და ფსიქიურ მოდუნებას. ყოველივე ეს გაქრება და საზოგადოება კვლავ განახლდება მხოლოდ მაშინ, როცა გაქრება, მოისპობა ფულები და მასთან ერთად ანგარებაც — ჩვენი დროის ბოროტება.

„ანგარება დამღუპველი და დამაქცევარი ვნებაა, იგი არ ინდობს არც ქალაქებს, არც მინდვრებს, არც ტაძრებს, არც სახლებს, არ შედრკება არაფრის წინაშე, არც ღვთაებრივის წინაშე. ვერავითარი ჯარი, ვერავითარი გალავანი ვერ შეუშლის ხელს მის შეპარვას; იგი ართმევს ხალხს ყველაზე უფრო სანუკვარ გრძნობებს — სამშობლოს სიყვარულს, ოჯახის სიყვარულს, სათნოებისა და უმწიკვლოებისადმი სიყვარულს“... „უდიდეს ქველ საქმეს, — მიმართავს სალუსტი ცეზარს, — გააკეთებდი შენ სამშობლოსთვის, თანამოქალაქეებისათვის, შენი თავისა და საკუთარი ოჯახისათვის, დაბოლოს, ადამიანთა მთელი მოდგმისათვის, რომ სრულებით ამოგეკვეთნა ან, თუ ეს შეუძლებელია, შეგემცირებინა მაინც ფულისადმი სიყვარული. როდესაც სიყვარული ფულისა გაბატონებულია, შეუძლებელია წესრიგი არსებობდეს გინდ კერძო ცხოვრე-

---

[1] H. Dahlmann, Sallust., Politische Briefe, „Hermes“, 1934, Bd. 69. H. 4, S. 380—389.

[2] Werner Schur, „Klio“, XXIX.

ბაში, გინდ საზოგადოებრივში, შეუძლებელია ომშიაც და მშვიდობინობის დროსაც“ [1].

„წერილთა“ ავტორის თანამიმდევრობით გატარებული პროგრამის მიხედვით უნდა შეიცვალოს ფულად-სასაქონლო ურთიერთობა ნატურალური ურთიერთობით, როგორც უფრო სადა, ბუნებასთან დაახლოებული და, ამის გამო, უფრო საღი ურთიერთობით. „მაშინ აღიგვება პირისაგან ქვეყნისა ყველა შუამავალი და თვითეული დასჯერდება თავის შეძლებას და სახსრებს. ესაა ნამდვილი, უებარი საშუალება, მიმყვანი იქითკენ, რომ თანამდებობის პირნი ემსახურებოდნენ არა კრედიტორს, არამედ ხალხს“ [2].

ამთელ თავის კონცეპციასთან სრული შეხამებით, „წერილთა“ ავტორი ბედნიერ ძველ დროს, პატრიარქალური ურთიერთობისა და ნატურალური მეურნეობის ხანას, უპირისპირებს მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებულ ფულად ურთიერთობას და ძველ დროს ახასიათებს როგორც საუკეთესო დროს, როგორც კაცობრიობის ისტორიის „ოქროს საუკუნეს“. „იყო დრო, როცა დაბალი მდგომარეობის მქონე მოქალაქესაც კი არაფერში დანაკლისი არ ჰქონდა არც სახნისზე მუშაობისას და არც ომში, რაც კი საჭირო იყო რიგიანი ცხოვრებისათვის, ასე რომ იგი აკმაყოფილებდა თავის თავსაც და სამშობლოსაც“ [3].

„ოქროს საუკუნეთი“ გატაცებას ერთგვარი ხარკი მიუძღვნა თვითონ იულიოს ცეზარმაც, რომელიც თავის „გალიის ომის შესახებ კომენტარიებში“ აშკარა თანაგრძნობით აღწერს ძველი გერმანელების წესებს. ლაპარაკობს რა გერმანელთა სოციალურ წყობილებაზე, ცეზარი განსაკუთრებული სიამოვნებით აღწერს გერმანელების აგრარულ ურთიერთობას, რადგანაც ფიქრობს, რომ სათემო (საგვარეულო) მიწათმფლობელობა საფარია ყველა სოციალურ უბედურებათა საწინააღმდეგოდ. სათემო მიწათმფლობელობა იფარავს გერმანულ წესწყობილებას შინაგან გახრწნისაგან [4]. გერმანელებს შორის არავინ არ მიილტვის ფართო ტერიტორიათა მფლობელობისკენ, მათ არ გააჩნიათ ლატიფუნდიები, და ძლიერები არ ართმევენ მიწას სუსტებს, მათში არაა არც პარტიები და არც შუღლი. ხალხი დამშვიდებული რჩება, როდესაც იგი ხედავს, რომ უძლიერესი პირნიც კი არ არიან ყველაზე ღარიბ ადამიანზე მდიდრებიო.

---

[1] Sallust., Epist., I, 8.
[2] Ibid., II, 5
[3] Ibid, I, 5.
[4] Caesar, De bello Gallico, VI, 22.

ცეზარის ზემორე აღწერილი სოციალური ღონისძიებანი — კოლონიათა მოწყობა, ქალაქის განწმენდა ლუმპენპროლეტარული ელემენტებისგან, მონა-მწყემსების რიცხვის შემცირება და ზოგიერთი სხვა ღონისძიებანი — რამოდენიმედ მაინც წარმოადგენდნენ რესპუბლიკის ბოლო ხანებში პოპულარულ სოციალურ-პოლიტიკურ იდეათა ანარეკლს.

თ ა ვ ი XIII

რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლები

1. 44 წლის მარტის იდუსი

ცეზარის პოლიტიკური კარიერა შესწყვიტა მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა 44 წლის მარტის შუა რიცხვებში.

ცეზარის დაცემა შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. ცეზარის რეჟიმის მერყეობის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ საკმაოდ მტკიცე ვერ იყო ის სოციალური ძალები, რომლებზედაც შემდეგში ემყარებოდა რომის იმპერია. რესპუბლიკას ჯერ კიდევ ბევრი მომხრე ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, რომელთა თვალშიც მონარქია მოასწავებდა პოლიტიკური თავისუფლების აღსასრულს. ამ დასახელებულ საერთო მიზეზების გარდა, ცეზარის დიქტატურით გამოწვეულ საერთო უკმაყოფილებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა 40-იანი წლების იტალიის ეკონომიურმა და ფინანსიურმა კრიზისმა, რაზედაც ლაპარაკი გვქონდა წინა ფურცლებზე. ცეზარს ადანაშაულებდნენ კრიზისში, ყველა იმ უბედურებასა და გაჭირვებაში, რაც კი რომმა გამოიარა საძმათაშორისო ომის დროს. და ძველი რესპუბლიკური წესწყობილება, პირიქით, ადამიანის გონებას ეხატებოდა „ოქროს საუკუნედ“, პოლიტიკური თავისუფლების ხანად, სადა, პატიოსან და ძლიერი ხასიათის ადამიანთა ხანად, იმ ხასიათის ადამიანთა ეპოქად, რაც იგულისხმება ცნებაში, „რომაული სიმამაცე“ (virtus romana).

ცეზარის საწინააღმდეგო მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ოპტიმატები, რომელნიც ცეზარზე შურს იძიებდნენ რესპუბლიკური კონსტიტუციის დარღვევისათვის, პომპეუსის სიკვდილისათვის, სახელმწიფო თანამდებობათაგან გადაყენებისა და მთელ რიგ უფრო წვრილმან და უმნიშვნელო წყენისა და შეურაცხყოფის გულისთვის.

შეთქმულებას სათავეში ედგნენ მარკოს იუნიუს ბრუტუსი და დეციმ იუნიუს ბრუტუსი; ესენი თავიანთ თავს წარმოშობით უკავშირებდნენ იმ ნახევრადლეგენდარულ ლუციუს იუნიუს ბრუტუსს, რომელმაც რომიდან ტარკვინიუსები გააძევა. მარკოს ბრუტუსი თავის მომხრეთა წრეში ცნობილი იყო რესპუბლიკისადმი პრინციპული ერთგულებით, განთქმული იყო თავისი უაღრესად თავდაჭერილი ცხოვრებით და ფილოსოფიის სიყვარულით. ბრუტუსი ყველაზე უფრო მეტად ეთვისებოდა და ესისხლხორცებოდა სტოიკურ ფილოსოფიას, ხოლო მისი საყვარელი მწერლები იყვნენ არისტოტელე და პოლიბიოსი, რომელთა ნაწარმოებთ ის გულისხმიერებით სწავლობდა და საიდანაც მას ვრცელი ადგილები ჰქონდა ამოწერილი. ამავე დროს მარკოს ბრუტუსი ცნობილი იყო, როგორც ერთერთი მეტად მძვინვარე რომაელი მევახშე, რომელიც პროვინციალებს ფულს მეტად დიდი სარგებლით აძლევდა ხოლმე სესხად. გაცემულ ვალს ბრუტუსი, მისი მეგობრები და აგენტები არაადამიანური სიმკაცრით ახდევინებდნენ ხოლმე, და ამის გამო, მაგალითად, კვიპროსის ქალ. სალამინში სიმშილით სული ამოჰხადეს ქალაქის ხუთ გამოჩენილ მოღვაწეს. დოქტორინიორის ასეთივე თანამიმდევრობით ბრუტუსმა ხელი მოჰკიდა შეთქმულთა გეგმების განხორციელებასაც.

მარკოს ბრუტუსი ვერ შეარყია ვერც ბრწყინვალე კარიერის პერსპექტივმა, ვერც სხვა მოტივებმა და ანგარიშმა. ბრუტუსს არც ის უტეხდა გულს, რომ შეთქმულთ შეეძლოთ მარტო სენატის დიდკაცობის ვიწრო წრის, პომპეუსის პარტიის ნაშთების, იმედი-ღა ჰქონოდათ, და არც ის, რომ რომში ბევრი იყო ცეზარის ვეტერანი და ჯარისკაცი. უკიდურესი ფანატიკოსი, მოკლებული სამხედრო და პოლიტიკურ ნიჭსაც, ბრუტუსი ოდნავადაც კი არ ფიქრობდა შეთქმულების შესაძლებელ შედეგებზე.

ასეთ რიგორისტულ პიროვნებად როდი გვევლინება მეორე ბრუტუსი, დეციმ იუნიუს ბრუტუს ალბინი, გალებთან ომის მონაწილე, უებრო სარდალი, რომელმაც თავი ისახელა ქალაქ მასილიის გარემოცვის დროს, რწმენით რესპუბლიკელი. თავდაპირ-

ველად დეციმ ბრუტუსს სჯეროდა ცეზარის დემოკრატიზმისა, მაგრამ როდესაც განსაკუთრებით აშკარად იჩინა თავი მისი მმართველობის ანტირესპუბლიკურმა ხასიათმა, დეციმ ბრუტუსი მაშინ უკვე მიემხრო შეთქმულებს.

მესამე თვალსაჩინო შეთქმული იყო გ ა ი ო ს კ ა ს ი უ ს ლ ო ნ გ ი ნ ი, პომპეუსელი, რომელიც ცეზარის მხარეზე გადავიდა და სარგებლობდა კიდეც მისი ნდობით. კასიუსი ცნობილი იყო როგორც კარგი სარდალი, მონაწილეობას იღებდა როგორც კვესტორი პართიის წინააღმდეგ კრასუსის ლაშქრობაში, რომლის სიკვდილის შემდეგ დიდი ხელოვნებით და მოხერხებით ჩაატარა დამარცხებული ჯარის უკან დახევა.

შეთქმულების დღედ დანიშნულ იქნა მ ა რ ტ ი ს ი დ უ ს ი (მარტის 15 რიცხვი); ამ დღით უნდა შემდგარიყო სენატის უკანასკნელი სხდომა, სანამ პართელებთან ომი დაიწყებოდა, და ამ სხდომაზე განზრახული იყო ცეზარისთვის მიეცათ არაჩვეულებრივი რწმუნებანი. ცეზარის მეგობრები საზოგადოებრივ აზრს ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებისთვის და ამ მიზნით ხმებს ავრცელებდნენ, რომ, სივილას სამისნოს მკითხაობისა და წინასწარმეტყველების მიხედვით, პართელების დამარცხებას მხოლოდ მეფე (rex) შესძლებსო.

აშკარა აღიარება იმისი, რომ ცეზარს მიეღო მეფის უფლებანი, რესპუბლიკელთა თვალში ნიშნავდა თვითნებობის გაძლიერებას და რესპუბლიკური კონსტიტუციის სრულ მოსპობას. ასეთი თვალსაზრისისა იყო სენატის უმრავლესობა და ამიტომაც შეთქმულების ადგილად არჩეულ იქნა კიდეც სწორედ სენატი.

შეთქმულთ, რომელთა რიცხვი 60 კაცს აღწევდა, იმედი ჰქონდათ უმაღლესი წოდების სრული ერთსულოვნებისა, იმ წოდებისა, რომელიც ვერ შერიგებოდა დიქტატორის მსახურთა მდგომარეობამდე თავის დაქვეითებას. ამასთანავე თვითონ ცეზარის მოქმედება სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ადასტურებდა უაღრესად პესიმისტურ ვარაუდს. დიქტატორი არაფრად აგდებდა არა მარტო ცალკეულ სენატორებს, არამედ სენატორთა მთელ კორპორაციასაც. ერთხელ სენატმა მას საგანგებო პატივი სცა და, ახალი დანიშვნის მიღების გამო, მილოცვით წარსდგა; ცეზართან გამოცხადნენ კონსულები და პრეტორები, მათ თან ახლდა სენაცის სრული შემადგენლობა, მაგრამ ცეზარმა ისიც კი არ სცნო საჭიროდ, რომ ფეხზე წამომდგარიყო, და შეთავაზებული პატივი მიიღო ისე, როგორც სავსებით ჯეროვანი და საკადრებულო. „მისმა ასეთმა ქცევამ არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო სენატზე, არამედ ხალხზედაც,

რომელსაც სენატის სახით შეურაცხყოფილად მიაჩნდა მთელი სახელმწიფო. ყველა, ვისაც კი ჰქონდა წასვლის ნება, დაუყოვნებლივვე უკუიქცა ღრმად დამწუხრებული, ასე რომ ცეზარი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. იგი ხელათვე დაბრუნდა სახლში და ყელგადაწეული გაჰკიოდა მეგობრებში—მზად ვარ იმათი მსხვერპლი შევიქნე, ვისაც ჩემი მოკვლა სწადიანო“.[1]

რასაკვირველია, რესპუბლიკელებს არ მოეწონებოდათ ცეზარ დიქტატორის განწყობილება რესპუბლიკური კონსტიტუციის მიმართ.

„რესპუბლიკაო,—ამბობდა ცეზარი,—ესაა მხოლოდ ლიტონი სიტყვა, მოკლებული შინაარსსა და ბრწყინვალებას, და სხვა არაფერიო. სულა ბავშვი იყო პოლიტიკის საქმეში, რაკი მან ნებაყოფლობით ხელი აიღო დიქტატურაზეო“[2].

ასევე არასასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ცეზარისთვის ანტონიუსის მიერ სახალხო დღესასწაულის ლუპერკალიების დროს სამეფო გვირგვინის მირთმევამ. ცეზარის ქანდაკებაზე ჩამოცმული სამეფო გვირგვინი ჩამოგლიჯეს სახალხო ტრიბუნებმა. მაგრამ ასეთი კადნიერებისათვის ორივე ტრიბუნს, თუმცა ტრიბუნის პიროვნება შეუვალი იყო, დიქტატორის ბრძანებით აჰყარეს მათი წოდების ღირსება და დააპატიმრეს,—ეს იყო ისეთი ფაქტი, რომელმაც სახელი გაუტეხა ცეზარს ხალხის თვალში; ხალხში ჯერ კიდევ შერჩენილი იყო სახალხო ტრიბუნის ავტორიტეტი.

ათასნაირი ჭორი და მითქმა მოთქმა გამოიწვია რომის იმპერატორის მიჯნურობამ ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრასთან, რომელიც აშკარად ჩავიდა რომში ცეზარის ვაჟით ცეზარიონით. ცეზარი მაშინ სულ რაღაც 56 წლისა იყო, მაგრამ გამოიყურებოდა, როგორც მთლად გატეხილი მოხუცი, ხშირად კარგავდა სულიერ წონასწორობას და გულიც მისდიოდა. ხალხს იგი მეტად არათანაბრივ ექცეოდა. გარშემო მყოფთა მიმართ ეჭვიანი ცეზარი ძალიან თავდაჯერებული იყო და ბრმად სწამდა თავისი ნეტარი და განსაკუთრებული ბედისა.

პართელებთან ომისა ცეზარს დიდი იმედები ჰქონდა. მდიდარ ნადავლს შეეძლო გამოეცოცხლებინა ეკონომიური ცხოვრება, კრიზისი შეენელებინა და ამით განემტკიცებინა მისი მდგომარეობა. ეს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული შეთქმულთაც, რომელნიც ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ მაინც ჩაეშალათ კარგად

---

[1] Plut., Caesar, LX.

[2] Suet, Caesar, 77.

მოფიქრებული ლაშქრობა. ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რომ ნელად მომქმედი მარკოს ბრუტუსი აეძულებინათ დაუყოვნებლივ დაეწყო გაბედული მოქმედება. ტრიბუნა, რომელზედაც ბრუტუსი, როგორც პრეტორი, სასამართლო საქმეებს იხილავდა, სავსე იყო ასეთი შინაარსის ბარათებით: „ბრუტუს, რატომ გძინავს?". „არა, შენ ბრუტუსი არა ხარ" [1].

საბედისწერო სხდომის წინადღით კასიუსმა ბრუტუსს მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა: „როგორ მოვიქცეთ ჩვენ სენატში, თუ ცეზარს მლიქვნელი ხალხი მეფედ გამოაცხადებსო?". ამაზე ბრუტუსმა მიუგო—მე იქ სრულებითაც ფეხს არ შევდგამო. „რაღას ვიზამთ ჩვენ,—განაგრძობდა კასიუსი,—თუ ჩვენ იქ დაგვიძახებენ როგორც პრეტორებს?". „მე,—მიუგო ბრუტუსმა,—დავიცავ ჩემ სამშობლოს სიკვდილამდეო" [2].

სენატის სხდომა მარტის იდუსში დანიშნული იყო პომპეუსის კურიაში (Curia Pompeia), ცოტახნის წინათ აგებულ ბრწყინვალე შენობაში. შესვლის უმალვე ცეზარს გარს შემოეხვივნენ შეთქმულნი, რომელნიც მას თხოვდნენ ერთერთი მათგანის ძმისათვის ამნისტიის მინიჭებას. შეთქმულები დაჟინებით მიმართავდნენ თხოვნით და რკალივით მჭიდროდ გარს ეხვევოდნენ ცეზარს, მერე ერთმა მათგანმა ხელი წაავლო ცეზარის ტოგას, რაც პირობითი ნიშანი იყო თავდასხმისთვის. შეთქმულები ცეზარს ეცნენ და ხანჯლებით უთვალავი ჭრილობა მიაყენეს, მთელი სხეული დაუსერეს. სენატორთა მასამ არა იცოდა რა შეთქმულთა გეგმისა და „უცვალებელი, მუდმივი დიქტატორის" ანაზდეულმა მკვლელობამ ზარი დასცა მათ,—შეკრთომისა და ძრწოლისაგან ყვირილიც კი ვეღარ შესძლეს. მთელი ცხოვრება ერთი წუთით შეწყდა. კურიის შუაგულში გართხმული იყო დიქტატორის სხეული, რომელსაც გარსშემოხვეოდნენ შეთქმულები გასისხლიანებული ტოგებით და ზეაპყრობილი ხანჯლებით. ბრუტუსი ლაშობდა რაღაცის თქმას, მაგრამ მას არავინ უსმენდა. შემდეგ რამოდენიმედ გონს მოსული სენატორები ეცნენ კარებს, გამოცვივდნენ ქუჩაში, შეჰქნეს განგაში მოედანზე და ამით საშინელი პანიკა გამოიწვიეს ქალაქში. დიქტატორის მოკვლის ხმა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს.

ყველა ყვიროდა, გარბოდ-გამორბოდა და ფუსფუსებდა. ზოგი სახლში მიეჩქარებოდა და იმალებოდა, ზოგი კი საქმეს თავს ანე-

---

[1] Plut., Caesar, LXII.
[2] App., Bell., II, 113.

ბებდა და მკვლელობის ადგილისკენ მიეშურებოდა. ყოველივე მოძრაობდა და ღელავდა. არავინ არ იცოდა, რა მოხდებოდა შემდეგში. ეს არ იცოდნენ თვით შეთქმულებმაც, რომელთაც მიაშურეს კაპიტოლიუმზე, ქალაქის უფრო ნაკლებად სახიფათო ადგილისკენ, თავის შესაფარებლად იმის მომიზეზებით, რომ სამადლობელო მსხვერპლი შეეწირათ იუპიტერ კაპიტოლიუმელისთვის.

საზოგადოებრივი აზრი უშუალოდ მკვლელობის შემდეგ შეთქმულთა მხარეზე იყო. ზოგიერთმა მაგისტრატმა (მაგალითად, ციონამ), რომელთაც თავის დროზე ცეზარმა მისცა რეკომენდაცია, აჩქარებით უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე, საჯაროდ ხელი აიღო თავის უფლებებზე და მოედანზე დასწვა თავისი გარეგანი ნიშნები.

უფრო რთული პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ მარკოს ანტონიუსი და ლეპიდე, ცეზარის უახლოესი მეგობრები; არავის არ ჰქონდა იმის ეჭვი, რომ ესენი თანაუგრძნობდნენ ცეზარის პოლიტიკას. მათ თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს საიმედო პირნი და იარაღი აისხეს.

ასე დამთავრდა 44 წ. იდუსი.

2. რომი პირველ დღეებში ცეზარის მოკვლის შემდეგ

მეორე დღეს შეთქმულთა მეთაურმა მარკოს ბრუტუსმა მიმართა ხალხს სიტყვით და აუხსნა მას შეთქმულების აზრი. კრება, რომელსაც დაესწრო ცეზარის მრავალი ვეტერანი, ბრუტუსის სიტყვას სამარისებური დუმილით შეხვდა და ამით უჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრი უკვე აღარ იყო შეთქმულთა მხარეზე. „ხალხი არ უჩვენებდა ორატორებს არც თავის კმაყოფილებას, არც აქებდა და იწონებდა მათ ასეთ საქციელს, არამედ თავისი ღრმა დუმილით გარკვეულად ეუბნებოდა, რომ მას ენანებოდა ცეზარი და ერცხვინებოდა ბრუტუსისა“ [1].

17 მარტისთვის კონსულმა ანტონიუსმა დანიშნა სენატის საგანგებო სხდომა მიწის ქალღმერთის ტაძარში; ამ სხდომაზე შეთქმულებმა კვლავ განიცადეს მარცხი. წინადადება—ცეზარი გამოეცხადებინათ ტირანად და მისი გვამი ტიბრში გადაეგდოთ, ხოლო ტირანის მკვლელებისთვის დეკრეტით ჯილდო მიეცათ,—არ გავიდა. წინადადება მეტად რადიკალურ წინადადებად მიიჩნიეს. მას წინააღუდგნენ თვითონ შეთქმულებიც კი იმის შიშით, რომ არ დაეკარგათ

[1] Plut., Caesar, LXVII.

ცეზარისგან მიღებული მიწები და ჯილდოები. გაიმარჯვა ციცერონის საკომპრომისო წინადადებამ: საძმათაშორისო ახალი ომის თავიდან ასაცილებლად დავიწყებისთვის მიეცათ ურთიერთშორისი შეღლი, გამოეცხადებინათ ფართო ამნისტია, დაემტკიცებინათ დიქტატორის განკარგულებანი, ხოლო ცეზარის დარჩენილ ქალაღდების გარჩევა მიენდოთ კონსულ ანტონიუსისათვის. 19 მარტს, ანტონიუსის დაჟინებით, გახსნილ იქნა ცეზარის ანდერძი, რომლითაც ქონების დიდი ნაწილი რჩებოდა ძმისწულის შვილს ოქტავიუსს, ხოლო დანარჩენი სხვა ძმისწულის შვილებსვე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შევიდოდნენ მემკვიდრეობის მფლობელობაში, ქონება გადადიოდა დეცემ ბრუტუსისა და მარკოს ანტონიუსის ხელში. შემდეგ ამას მისდევდა ნუსხა ჯილდოებისა ვეტერანებისა და ლეგიონერებისათვის აღთქმული, რომელნიც თავს იყრიდნენ იტალიის სხვადასხვა ადგილებიდან. ღარიბი მოქალაქეები იღებდნენ თითო 300 სესტერკიას. გარდა ამისა, ხალხის განკარგულებაში გადადიოდა მშვენიერი ბაღები ტიბრის ნაპირას, სადაც თავის დროზე კლეოპატრა ცხოვრობდა.

20 მარტისთვის დადგენილი იყო სენატისაგან ნებადართული საზოგადოებრივი დაკრძალვა. დაკრძალვის დღეს ვეტერანებმა და ხალხმა გაიტაცეს ცეზარის გვამი, დასდეს იგი ფორუმზე დანთებულ კოცონზე და დასწვეს, თანაც საზარლად გაჰკიოდნენ, მოსოქვამდნენ, ქვითინებდნენ და ამასთან ერთად გაისმოდა სამუსიკო საკრავთა ხმა, იარაღის ჟღარუნი და მუქარა შეთქმულთა მისამართით. „მაშინ როდესაც ერთნი წინადადებას იძლეოდნენ ცეზარის გვამი დაეწვათ კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძარში, მეორენი კი—პომპეუსის კურიაში, უცაბედად გაჩნდა ორი უცნობი, წელზე ქამართან მახვილშემორტყმულები და ორი შუბით ხელში, და ცვილის ჩირაღდნებით წაუკიდეს ცეცხლი კოცონს. მყისვე ირგვლივ მდგომარე ხალხმა იწყო სროლა ანთებულ კოცონში ხმელი ჩხვრიმალის, სკამების, მოსაძართლეთა სავარძლებისა და ყოველივე იმისი, რაც კი მოტანილი იყო ძღვნად მიცვალებულისათვის. შემდეგ ფლეიტისტებმა და სცენის მსახიობებმა სატრიუმფო სამკაულთა საწყობიდან წამოღებული და საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის ჩაცმული ტანისამოსი გაიძრეს, დახიეს და ცეცხლში ისროლეს, ვეტერან-ლეგიონერები ყრიდნენ თავის იარაღს, რომლითაც ისინი მისდევდნენ სამგლოვიარო პროცესიას, ხოლო მრავალი მატრონა ისროდა თავის სამკაულებს, აგრეთვე ბულებსა და ბავშვთა ტანისამოსს.

სახალხო გლოვას თავისი გოდება შეუერთა მრავალმა უცხოელმა. „განსაკუთრებით გლოვობდნენ მიცვალებულ ცეზარს იუდე-

ველები, რომელნიც მთელ ღამეებს ათევდნენ მის დაწვის ადგილზე“ [1].

ვინმე ჰეროფილემ, რომელიც თავის თავს მარიუსის ძმისწულს უწოდებდა, ცეზარი გამოაცხადა საწყალთა და ჩაგრულთა მოსარჩლედ და იგი მოუწოდებდა ხალხს შური ეძიათ და მდიდრები დაერბიათ.

შეთქმულთა მდგომარეობა სახიფათო ხასიათს იღებდა და ისინიც ამის გამო სხვადასხვა საბაბით ჩქარობდნენ რომიდან გასვლას, მიემგზავრებოდნენ პროვინციებში ან კიდევ თავიანთ ვილებისკენ მიეშურებოდნენ.

უფრო გავლენიან შეთქმულთა ქალაქიდან წასვლის შემდეგ, საყოველთაო დაბნეულობისა და უღონობის პირობებში, გარემოების ბატონ-პატრონი შეიქნა მარკოს ანტონიუსი, რომელიც შეუერთდა ლეპიდეს, ცხენოსანი ჯარის უფროსს. რომში ანტონიუსს უყურებდნენ როგორც გარდაცვალებული ცეზარის კანონიერ მოადგილეს და მისი პოლიტიკის გამგრძელებელს, რაც სავსებით შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ანტონიუსის პირველი საზრუნავი საქმე იყო თავის მხარეზე გადმოებირებინა ვეტერანები და ქალაქის პლებსი — ორი უაღრესად ორგანიზებული ძალა. სენატის ნება-სურვილის წინააღმდეგ მან გამოაქვეყნა მის მიერ ცეზარის ქაღალდებში ნაპოვნი კანონპროექტები, მიწით და ფულით დაჯილდოებანი. აპრილში გამოქვეყნდა ანტონიუსის აგრარული კანონი (lex de coloniis in agros deducendis), რომელიც ადასტურებდა ცეზარის წინანდელ კანონს. აპრილშივე, კონსულ ანტონიუსის თაოსნობით, გამოცემულ იქნა კანონი დიქტატურის გაუქმების შესახებ. სენატის საგანგებო დადგენილებით (senatus consultum) სექსტუს პომპეუსს ეძლეოდა პირადი ხელშეუხებლობის გარანტია და უბრუნდებოდა მამულები. ყველა ამ წინადადებით ანტონიუსს უნდოდა ერთსადაიმავე დროს გული მოეგო ვეტერანებისა, პლებსისა და სენატისათვის. პროვინციების გაცვლის შესახებ კანონის ძალით (lex de permutatione provinciarum) ანტონიუსს ეძლეოდა ციზალპური გალია, რომელიც წინათ მიმტკიცებული ჰქონდა დეციმ ბრუტუსს. გამგებლობა ციზალპური გალიისა, რომელიც რომთან ახლოს მდებარეობდა, მის გამგებელისთვის უზრუნველყოფდა ბატონობას იტალიაში და თვითონ რომშიც.

---

[1] Suet., Caesar, 84.

მაგრამ ანტონიუსის საქციელმა მალე გამოიწვია რესპუბლიკურად განწყობილი ხალხის პროტესტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა 60 წლის მოხუცი მარკოს ტულიუს ციცერონი. ციცერონმა დიდი მოწადინებით მოჰკიდა ხელი საქმეს, მას იმედი ჰქონდა, რომ სენატორებს შეარიგებდა მხედრებთან, მოახდენდა პომპეუსელთა პარტიის რეორგანიზაციას და აღადგენდა „წესიერი ხალხის რესპუბლიკას". თავის სიტყვებში მარკოს ანტონიუსის წინააღმდეგ, რომელნიც მან წარმოთქვა 44 წ. ბოლოს და 43 წ. დასაწყისში, რომის დიდი ორატორი მოითხოვდა ანტონიუსი კანონ გარეშე გამოეცხადებინათ და სენატის უფლებანი აღედგინათ. საერთოდ, ამ თემაზე ციცერონმა წარმოთქვა 14 სიტყვა, რომელნიც „ფილიპიკების" სახელით არიან ცნობილი. ციცერონის „ფილიპიკები" წარმოადგენენ არა მარტო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საისტორიო წყაროს, არამედ კლასიკური სიტყვა-კაზმული ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებსაც, რომელიც შესანიშნავია სიტყვის სიმდიდრით, კეთილხმოვნობით და ჰარმონიით, ნათელი და ძალოვანი აზრით, სიტყვათქცევის მრავალფეროვნებით, გულწრფელობით და წარმტაცი რესპუბლიკური პათოსით.

„ყველა თქვენ,—ამბობდა ციცერონი ერთერთ თავის „ფილიპიკაში",—ერთსა გრძნობთ და ერთისაკენ ბიილტვით: ააცდინოთ რესპუბლიკას მარკოს ანტონიუსის ზრახვები, ჩააქროთ მისი გონწასულობა, ჩაახშოთ მისი კადნიერება. ეს სურს ყველა წოდებას, ამას მოითხოვენ კოლონიები, მუნიციპიები, მთელი იტალია. თავისთავად მტკიცე სენატი თქვენ თქვენი ავტორიტეტით უფრო მტკიცე შექმენით. კვირიტებო, დადგა დრო მოქმედებისა, დადგა იგი, მართალია, უფრო გვიან, ვიდრე ამას მოითხოვდა რომაელი ხალხის ღირსება, როცა უკვე აღარ შეიძლება საქმის დაყოვნება...

ჩვენ კრიტიკულ მომენტს განვიცდით. ბრძოლა არის თავისუფლებისათვის (de libertate decernitur). კვირიტებო, თქვენ უნდა გაიმარჯვოთ, და მე მწამს, რომ ჩვენ გამარჯვებას მივაღწევთ ჩვენი ერთსულოვნობით და საქმისადმი ერთგულებით. დაე იყოს ყველაფერი, რაც გნებავდეთ, ოღონდ მონობა კი არა. სხვა ხალხებს შეუძლიანთ აიტანონ ტყვეობა და მონობა, რომაელ ხალხს კი შეუძლიან მხოლოდ თავისუფლად ყოფნა" (aliae nationes servitutem pati possunt, populi Romani est propria libertas)[1].

---

[1] Cic., Phil.; VI, 19.

ყოველთვის მერყევი და გაუბედავი ციცერონი ახლა აშკარად მოუწოდებდა ხალხს რესპუბლიკა იარაღით დაეცვათ. მას მერე, რაც სენატმა იმის მაგიერ, რომ ანტონიუსი კანონგარეშე გამოეცხადებინა, ანტონიუსთან მოლაპარაკება გამართა, ციცერონი კი დაუმეგობრდა ცეზარის ძმისწულს—გაიოს ოქტავიანეს.

გ ა ი ო ს ი უ ლ ი ო ს ც ე ზ ა რ ი ო ქ ტ ა ვ ი ა ნ ე (Gaius Julius Caesar Octavianus), შვილად აყვანამდე გაიოს ოქტავიუსი,—დაიბადა 63 წელს, იულიოს ცეზარს ერგებოდა ძმისწულის შვილად, სარგებლობდა მისი განწყობილებით და მის მიერ იქნა შვილად აყვანილი. მარტის იდუსში ოქტავიუსი იმყოფებოდა საბერძნეთში, ქალაქ აპოლონიაში, სადაც განათლებას ივსებდა და იმავე დროს ემზადებოდა პართელების საწინააღმდეგო ლაშქრობისათვის. მიიღო თუ არა ცეზარის მოკვლისა და თაკისი შვილად აყვანის ცნობა, ოქტავიუსი, რომელმაც შემდეგში მიიღო გაიოს იულიოს ცეზარ ოქტავიანეს სახელი, მოულოდნელად გადმოვიდა იტალიაში და თავისი უფლებანი განაცხადა ცეზარის მემკვიდრეობაზე. ციცერონი მისი სახით მიესალმა რესპუბლიკური თავისუფლების მოსარჩლეს. ანტონიუსი კი ცეზარის 19 წლის შვილს მოეპყრა ირონიით და უდიერად, როგორც უბადრუკსა და დიდი ცეზარის მემკვიდრეობის ნაკლებ ნიჭიერ პრეტენდენტს. ანტონიუსმა დაცინვით და ცივად უთხრა, რომ მისი მამობილის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა მარტო ვალებისგან შესდგებაო. მახლობელი ადამიანის ასეთმა შეურაცხმყოფმა მოპყრობამ, თავმოყვარე ოქტავიანე იძულებული გახადა სენატის პარტიას მიმხრობოდა და ოპტიმატების წინამძღოლ ციცერონთან შეკავშირებული გამოსულიყო ანტონიუსის წინააღმდეგ.

ანტონიუსი და ოქტავიანე ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული ადამიანი იყო. ა ნ ტ ო ნ ი უ ს ი იშვიათი ფიზიკური ძალღონის პატრონი იყო, სანგვინიკური ხასიათი ჰქონდა, სწრაფად აღიგზნებოდა და ასევე სწრაფად აძლევდა თავს მელანქოლიას, განთქმული იყო თავისი ახირებული უცნაურობით, თავგადასავლით, სამიჯნურო კავშირით, ქეიფით და ვალებით. ანტონიუსის დავალიანება რამდენიმე მილიონ სესტერციას აღწევდა. პროსკრიპციები, ფულის დატყუება, ცეზარის ანდერძის გაყალბება და ძვირფასი ნივთეულობის აშკარა მიტაცება—ყოველივე ეს გამოწვეული იყო ანტონიუსის ხელგაშლილი ცხოვრებით.

ანტონიუსის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ო ქ ტ ა ვ ი ა ნ ე. ჯანმრთელობის მხრივ სუსტი, მაგრამ ლამაზი, სახით ნაზნაკვთებიანი, ცისფერ, განმჭვრეტ, მაგრამ განუჭვრეტელ თვალება-

ოქტავიანე საარსებო მოთხოვნილებათა მხრივ თავშეკავებული, თავმდაბალი, მხდალი, გულჩახვეული, ცბიერი, სასტიკი და შურისმაძიებელი ადამიანი იყო.

ანტონიუსის სიტყვას აღგზნებული, უსწორმასწორო და გაქანებული სტილი ჰქონდა; ოქტავიანეს კი სიტყვა ჰქონდა მარტივი, სადა, მწყობრი, არა წარმტაცი, მაგრამ დამაჯერებელი. ოქტავიანეს არ გააჩნდა ანტონიუსის სამხედრო ნიჭი, მაგრამ ეხერხებოდა საჭირო ხალხის მოძიება და მისი გულის მონადირება. ანტონიუსზე ოქტავიანეს გამარჯვებაში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე ცეზარის ტახტის ორივე პრეტენდენტის პირადმა თვისებამ.

ოქტავიანეს პირველი საზრუნავი საქმე იყო განემტკიცებინა თავისი გავლენა ჯარსა და ხალხში, რასაც მიაღწია კიდეც საბოძვართა გაცემით, უქმე-დღესასწაულთა მოწყობით და მოქრთამვით. მიცვალებულ ცეზარ დიქტატორთან ნათესაობის გარდა, ოქტავიანეს მხარეზე ვეტერანების გადასვლას ხელს უწყობდა სამსახურში დიდი ხელფასის დანიშვნა, ერთდროული საჩუქრები და მომავლისათვის ჯილდოთა აღთქმა. მაშინ როდესაც ანტონიუსი ჯარისკაცებს აძლევდა ას-ას დენარს, ოქტავიანე 500 ურიგებდა. ამ გზით მან მოახერხა თავის დროშის ქვეშ თავი მოეყარა ძველი ჯარისკაცების დიდი ნაწილისთვის („მარსის ლეგიონი") და მათგან შეექმნა საიმედო გვარდია. რესპუბლიკელები და ცეზარელები თავის მხრივაც მხარს უჭერდნენ ოქტავიანეს, ვინაიდან იგი ერჩივნათ „საძაგელ ტირანს" ანტონიუსს, ე. ი. ორი ბოროტებიდან ნაკლებ ბოროტებას ამჯობინებდნენ.

„ამასობაში ციცერონმა მოასწრო სატახტო ქალაქში დიდი გავლენის მოპოება. იგი სპობდა ყველას, ვისი მოსპობაც კი უნდოდა; მან მიაღწია ანტონიუსის დაცემას, აიძულა იგი გასცლოდა და მის წინააღმდეგ ჯარით გაეგზავნა ორი კონსული, ჰირციუსი და პანსა, რათა ანტონიუსი იტალიიდან გაეძევებინათ; დაბოლოს, მან დააჯერა სენატი ახალგაზრდა ცეზარისთვის მიეცათ ლიქტორები და საპრეტორო ძალა-უფლების ნიშნები როგორც სამშობლოს მოსარჩლესთვის" [1].

ანტონიუსი იძულებული შეიქნა რომი დაეტოვებინა და წასულიყო ჩრდილოეთში, სადაც მას იმედი ჰქონდა ციზალპურ გალიაში გამაგრებისა.

43 წლის კონსულების, ჰირციუსისა და პანსის მეთაურობით, ანტონიუსის წინააღმდეგ გაგზავნილმა ჯარებმა, რომელთაც შეუერთ-

---

[1] Plut., Antonius, XVII.

და პრეტორის წოდებით მოსილი ოქტავიანეც, გაიმარჯვეს. მ უ ტ ი-ნ ა ს მიდამოებში ანტონიუსის დამარცხებას თან მოჰყვა სენატის დეკ-რეტი, რომელიც მას აცხადებდა სამშობლოს მტრად, ხოლო შემ-დეგ—პროვინციათა ახალი განაწილება; ამ განაწილებით მარკოს ბრუტუსი იღებდა მაკედონიას, კასიუსი—სირიას, სექსტუს პომპეუსს კი ეძლეოდა რომის ფლოტის მესვეურობა.

მუტინას ომი დიდი გამარჯვება იყო რესპუბლიკელ-ლეგიტი-მისტებისა და, უპირველეს ყოვლისა, მათი წინამძღოლის, „სამშობ-ლოს მამის“ ციცერონისა, რომელმაც თავისი ნიჭით, თითქოს მეო-რეჯერ იხსნა რესპუბლიკა.

3. მეოთხე ტრიუმვირატი (43 წ.)

მაგრამ რესპუბლიკელთა ზეიმი დიდხანს როდი გაგრძელებულა. ისტორიისგან დასაღუპად განწირულ საქალაქო რესპუბლიკას არ შე-ეძლო თავისი არსებობა შეენარჩუნებინა იმ გაშმაგებულ ბრძოლაში, რომელიც ფართოდ გაიშალა I საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე. პოლიტიკური ანარქიის მრავალ წელთა მანძილზე რესპუბლიკის სა-სახელმწიფო აპარატი სავსებით მოშლილი იყო. რესპუბლიკელებს, რომელთა შორის ცოტა არ იყო გამოჩენილი პოლიტიკოსი და სამ-ხედრო ნიჭით დაჯილდოებული პირი, არ გააჩნდათ ის, რაც ყველა-ზე უფრო მთავარია—ჯარი და ფული, და ანტონიუსზე თავისი გა-მარჯვებით იმათ უნდა დაემადლათ ოქტავიანესა და მისი ლეგიონე-ბისათვის, ცეზარის ნაცად მეომრებისთვის. ხოლო ოქტავიანეს მეგობ-რობა სენატთან, როგორც ეს ყველას კარგად ესმოდა, იძულებითი იყო—ცეზარის შვილი ვერ იქნებოდა „ტირანის მკვლელთა“ მეგობა-რი. ოქტავიანეს არ სურდა ანტონიუსის ამაღლება, მაგრამ მას არც სენატის განმტკიცება უნდოდა; სენატსა და მის წინამძღოლს ციცე-რონს იგი უცქეროდა როგორც მხოლოდ საკუთარი ძალა-უფლების განმტკიცების იარაღს. ეს აშკარა შეიქნა მუტინას ომის გათავების უმალ, როცა ის, სენატის რეჟიმის რესტავრაციის შიშით, დაადგა ან-ტონიუსთან და ლეპიდესთან დაახლოების გზას.

ცეზარელთა წინამძღოლებთან ოქტავიანეს დაახლოებას ყვე-ლაზე უფრო მეტად მოითხოვდა ჯ ა რ ი, რომელიც სულას დროიდან მოკიდებული გამოდიოდა როგორც რომის ისტორიის სვე-ბედის გადამწყვეტი. წინამძღოლებსა და ჯარს შორის დამყარდა ორმხრივი დამოკიდებულება, ორივე მხარისთვის აუცილებლივ საჭირო, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო პირადი განწყობილება ამათუიმ წი-

ნამძღოლის მიმართ. „წინამძღოლებისთვის საჭირო იყო, რომ მათი ძალა-უფლებისათვის მხარი მიეცა ჯარს, ხოლო ჯარისთვის საჭირო იყო ის, რომ ხელისუფლებას ეარსებნა, რათა დაეცვა და განემტკიცებინა მის მიერ მონაპოვარი და მიტაცებული“ [1].

რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წელი, მეორე ტრიუმვირატის ხანა, ჩვენ გვეცნობა როგორც გაბმული ბრძოლა ლეგიონებისა და მათი წინამძღოლებისა, რამაც დააჩქარა რესპუბლიკის, როგორც ქალაქ-სახელმწიფოს, რღვევა და ხელი შეუწყო საიმპერატორო წესწყობილებაზე გადასვლას. შეთანხმება სამ სამხედრო სარდალს შორის (მეორე ტრიუმვირატი)—ოქტავიანეს, ანტონიუსსა და ლეპიდეს შორის—მოხდა 43 წელს ბონონიაში, ატარებდა ოფიციალურ ხასიათს და დამტკიცებულ იქნა კომიციების მიერ.

კომიციების დადგენილების თანახმად, ტრიუმვირებს ეძლეოდათ განუსაზღვრელი რწმუნება ფორმალურად 37 წლის 1 იანვრამდის „სახელმწიფოში წესიერების აღსადგენად“ (triumviri rei publicae constituendae consulari potestate).

ტრიუმვირატის პირველი საქმე იყო პროვინციათა გაყოფა და თანამდებობით უზრუნველყოფა საკუთარი თავისა და თავიანთი კლიენტებისა. ანტონიუსს დაუმტკიცეს ციზალპური და ტრანსალპური გალია, ლეპიდეს—ნარბონური გალია და ესპანეთი, ოქტავიანეს—სარდინია, სიცილია და აფრიკა.

ტრიუმვირატის დაარსების შემდეგ უკვე აღარავითარი ეჭვი არ იყო ტრიუმვირ—ცეზარელებსა და რესპუბლიკელებს შორის—ახლო ხანში სამოქალაქო ომისა. რესპუბლიკელები მშვენივრად ხედავდნენ სამხედრო მოქმედებათა მალე დაწყებას და გამალებით ემზადებოდნენ მოახლოებულ ომისთვის—თავს უყრიდნენ ჯარისკაცებს, აგებდნენ ფლოტს, ფინანსიურად მარაგდებოდნენ. საერთოდ, გადასახადებისა და კონფისკაციების გზით შეაგროვეს $63^1/_2$ ათასი ოქროს ტალანტი. ამ ფულით შეგროვილი ჯარი აღწევდა 19 ლეგიონს 10 ათასი ცხენოსანითურთ, ე. ი. თითქმის უდრიდა ტრიუმვირების ჯარის რაოდენობას. გარდა ამისა, რესპუბლიკელთა განკარგულებაში იყო საკმაოდ მოზრდილი ფლოტილია დომიციუს აგენობარბისა და სექსტუს პომპეუსის უფროსობით, რომელიც, ციცერონის წინადადებით, დანიშნულ იქნა რომის მთელი საზღვაო ძალების ადმირალად.

---

[1] App., Bell. civ., V, 13.

ერანაკლები ენერგიით ემზადებოდნენ მოახლოებული ომისთვის ეგრეთვე ტრიუმვირელებიც. ტრიუმვირების ჯარის საერთო რაოდენობა აღემატებოდა რესპუბლიკური ჯარების რიცხვს, სამაგიეროდ მათი ფლოტი საკმაოდ სუსტი იყო რესპუბლიკურ ფლოტილიაზე, თუმცა რესპუბლიკელებმა ვერ მოახერხეს სათანადოდ გამოეყენებინათ თავიანთი ფლოტის უპირატესობა. ყველაზე უფრო მწვავე საკითხი ტრიუმვირებისათვის იყო ფინანსების საკითხი. ომის საწარმოებლად საჭირო თანხებს ისინიც ისევე, როგორც მათი მოწინააღმდეგე რესპუბლიკელები, შოულობდნენ შემოსავალზე, ქონებასა, ბინებსა და მიწებზე გადასახადების შეწერით და მასობრივი კონფისკაციების საშუალებით. მეორე ტრიუმვირთა პროსკრიპციებმა შსხვერპლის რაოდენობით, სისასტიკითა და დაურიდებლობით, რასაც ისინი იჩენდნენ პროსკრიპციების დროს, გაცილებით გადააჭარბეს წინადროის დიქტატორის პროსკრიპციებს. პროსკრიპციების დაწესების საბუთად ტრიუმვირების მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში დასახელებულ იქნა შურისძიება ცეზარის მოკვლისათვის.

„დაე ნუვინ ჩათვლის ამ აქტს უსამართლოდ,—მეტყველებდა პროკლამაცია,—სასტიკად ან გადაჭარბებულად. დაე მან თავის შეგნებამდე დაიყვანოს მარტო ის, რაც განიცადა გაიოს ცეზარმა და რაც ჩვენ თვითონ განვიცადეთ. მათ (შეთქმულებმა) მოჰკლეს ცეზარი, რომელმაც დაიმორჩილა და შემუსრა რომისათვის ყველაზე უფრო საშინელი ხალხები, ვინც პირველმა გადალახა ჰერკულესის სვეტები და პირველი შეიჭრა მანამდე ხელმიუწვდომელ ზღვაში და პირველმა აჩვენა რომაელებს უცნობი მიწა-წყალი“ [1].

აპიანე გვიხატავს ტრაგიზმით აღსავსე სურათს იმ ამბებისას, რაც რომში დატრიალდა მარტის იდუსის მომდევნო უახლოეს წლებში. „და აი მთელს ქვეყანაში და თვითონ რომშიაც... დაიწყო მოულოდნელი მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი და კაცთა ხოცვის მრავალნაირი ხერხები“ [2]. დამსმენთ ჯილდოები ენიშნებოდათ. თავისუფალი ჩამომავლობის დამსმენელთ ეძლეოდათ პრემიად სულზე 25 ათასი დენარი, ხოლო მონებს—10 ათასი დენარი, თავისუფლება და სამოქალაქო უფლებები. ბავშვები და ცოლები იღებდნენ საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდულ და მათი დასმენით ჩამორთმეულ ქონების ნაწილს მათი მშობლებისა და ქმრებისას. საერთოდ, დაიღუპა 300 სენატორი, 2000 მხედარი და სხვადასხვა მდგომარეობის უამრავი მოქალაქე.

---

[1] App., Bell. civ., IV, 8.

[2] Ibid., 13.

ფინანსიურ ანგარიშთან ერთად პროსკრიპციების დროს არა-ზცირედ როლს თამაშობდა აგრეთვე სხვა მოტივებიც—შურისძიება, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის გრძნობა, მეტოქის ჩამოცილება, კონკურენცია და მისთანა სხვა.

საპროსკრიპციო სიებში მოხვდა თვითონ ციცერონი; მერყევმა-ოქტავიანემ იგი მსხვერპლად შესწირა იმ ანტონიუსის მძვინვარე გა-ბოროტებასა და შურისძიებას, რომელსაც ციცერონისა ეშინოდა და-სძულდა. ციცერონი 16 სხვა უაღრესად გავლენიან რესპუბლიკელ-თან ერთად შეტანილ იქნა სიკვდილმისჯილთა პირველ სიაში. შეპყ-რობილი ქალაქ კაეტაში სამხედრო ტრიბუნის პოპილიუს ლენატის მიერ, ციცერონი დაიღუპა ცენტურიონ ჰერენიუსის ხელით იმ წუთას, როცა თავი გამოჰყო ტახტრევანიდან 43 წ. 7 დეკემბერს. მისი თა-ვი და მარჯვენა ხელი ანტონიუსს ჩამოუტანეს და გამოფინეს საორა-ტორო ტრიბუნაზე. რამოდენიმე ხანს ციცერონის მოკვეთილი თავი იდვა ანტონიუსის სასადილო მაგიდაზე, სანამ იგი არ დასტკბა ამ შემზარავი სანახაობით, სანამ მან არ დაიკმაყოფილა შურისძიების გრძნობა თავისი ყველაზე უფრო საშინელი მტრის მკვდარი თავის მზერით.

„ანტონიუსის დანაშაულმაო,—მოგვითხრობს ღრმა აღშფოთე-ბის გრძნობით ციცერონის მკვლელობის ამბავს ველეუს პატერკუ-ლი,—სამუდამოდ ჩაახშო საზოგადოებრივი სინიდისის ხმა. ვერავინ ვერ გაბედა გამოსარჩლებოდა მას, ვინც მრავალი წლების მანძილზე იცავდა სახელმწიფოს და ცალკეულ მოქალაქეთ . მაგრამ მე გეუბ-ნები, ვაი შენ, მარკოს ანტონიუსო, შენ ვერაფერს ვერ მიაღწიე, შენი დანაშაულით და ბოროტმოქმედებით, როდესაც სასყიდელი დაადგინე ამ ღვთაებრივი ნათელი თავისთვის, სამშობლო რომ იხსნა. შენ ციცერონს წარუტაცე მხოლოდ რამდენიმე მღელვარე დღე, მისი მოხუცებულობის ჟამისა, შენი ბატონობის დროს სიცოცხლე მრავალჯერ უფრო უარესია, ვიდრე სიკვდილი შენი ტრიუმვირატის დღეებშიო“ (vitam miseriorem te principe quam sub te trium-viro mortem)[1].

რესპუბლიკური და ცეზარიელთა ჯარების გენერალური შეხ-ვედრა მოხდა ეგნაციუსის გზაზე, ქალაქ ფ ი ლ ი პ ი ს (Philippi) მახ-ლობლად, მდინარე განგზე. რესპუბლიკელებს ეჭირათ მეტად მარჯვე პოზიცია: მათ განკარგულებაში იყო ზღვა, სურსათის მარაგი თა-სოსის კუნძულზე და, გარდა ამისა, პანგეონის უმდიდრესი ოქროსა-

[1] Vell. Pat., II, LXVI.

და ვერცხლის მაღაროები. ცეზარიელთა საოპერაციო ბაზისად იყო ქალაქი ამფიპოლისი, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი ხელსაყრელი პირობები. და მაინც, მიუხედავად მათი მდგომარეობის ყოველმხრივი უპირატესობისა, რესპუბლიკელებმა ბრძოლა წააგეს, დაიწყეს რა ნაადრევად სამხედრო მოქმედება. ბრძოლა ფილიპთან (42 წ.) მოიგო მარკოს ანტონიუსმა, რომელმაც გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი და დაამარცხა ჯერ კასიუსი, ხოლო შემდეგ ბრუტუსიც. ტრიუმვირების ორივე მოწინააღმდეგემ თვითმკვლელობით მოისწრაფეს სიცოცხლე. ბრძოლის ველზე დაეცა სერვილიუს კასკა, რომელმაც პირველმა დასცა ხანჯალი ცეზარს, და კატონი, იმ კატონ უტიკელის შვილი, აფრიკის ომში რომ დაიღუპა. რესპუბლიკური ჯარი დაიშალა: 17 ათასი კაცი დანებდა გამარჯვებულებს, მათ ლმობიერებას მიანდო თავი, ხოლო დანარჩენები მიმოიფანტნენ, დაიღუპნენ ან ჭრილობისგან დაიხოცნენ.

ფილიპთან დამარცხება ნიშნავდა რომის რესპუბლიკის ფაქტიურ აღსასრულს. კასიუსის, ორივე ბრუტუსის და ძველი რომის სხვა წარმომადგენელთა ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ რესპუბლიკა აღარ არსებობდა. დარჩა მარტო რესპუბლიკის ორგანიზებული ძალა— რომის ფლოტი სესქტუს პომპეუსისა და დომიციუს აგენობარბის უფროსობით.

ფილიპთან მტრის განადგურების შემდეგ მოახდინეს პროვინციათა ახალი განაწილება, რის შემდეგაც ანტონიუსი აღმოსავლეთში გაემგზავრა რესპუბლიკური ჯარების ნაშთებთან ომის გასაგრძელებლად, აღმოსავლეთის პროვინციების რომთან აბნეულ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და, რაც მთავარია, სახსრების გამოსაძებნად. იტალიაში ამ წლების მანძილზე ფაქტიურ დიქტატორად იყო ოქტავიანე; მის წინაშე მაშინათვე წამოიჭრა მწვავე და გადაუდებელი საკითხი ვეტერანების დაჯილდოებისა მიწით და ფულით, რადგანაც მარტო ვეტერანებზე დამყარებით შეეძლო ოქტავიანეს განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა იტალიის შიგნით ღა ეწარმოებინა ომი ანტონიუსთან, რის აუცილებლობაში მას ეჭვი არასდროს არ შეპარვია. პირველ რიგში ფიქრობდა დაეკმაყოფილებინა გალიური ლეგიონები, რომელნიც ცეზარის დროს მსახურობდნენ, როგორც ყველაზე უფრო სანდობი და მომთხოვნი. გალიელ ვეტერანებისგან იმედოვნობდნენ შეექმნათ საშუალო შეძლების მიწათმფლობელთა ძლიერი ბირთვი, სამხედრო დიქტატურის სოციალური საყრდენი. მიწის ნაკვეთის საკმაოდ დიდი ნორმის პირობებში—ნავარაუდევი იყო ნორმად 200 იუგერი და უფრო მეტიც კი—საჭირო იყო საკმაოდ

დიდი საადგილმამულო ფონდიც, რაც აუცილებელი იყო ერთდროულად სამხედრო და აგრარული პრობლემის გადასაწყვეტად. იმისათვის, რომ თვითეულ ლეგიონერს მისცემოდა 200 იუგერი (50 ჰექტარი), საჭირო იქნებოდა 400 ათასი ჰექტარი კარგი მიწა. თავისუფალი მიწების და ფულის უქონლობის პირობებში ამ პრობლემის გადასაწყვეტად ერთადერთ ღონისძიებას წარმოადგენდა საქალაქო, სატაძრო და კერძო მფლობელთა მიწების კონფისკაცია.

ოქტავიანეს მიერ მოხდენილმა კონფისკაციამ თავისი მოცულობით გადააჭარბა ყველა წინანდელ კონფისკაციას. ექსპროპრირებულ იქნა 16 ქალაქის ტერიტორია; ეს ქალაქები იყო: ანკონა, მანტუა, ბონონია, კაპუა, კრემონა, ფლორენცია, არიმინუმი, ვენუზიუმი და სხვ. სენატორებთან და მხედრებთან ერთად დაზარალდნენ აგრეთვე საშუალო შეძლებისა და წვრილი მესაკუთრეები, მათ რიცხვში პოეტი ვერგილიუსიც, რომელმაც, სევდით, შიშითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე, მოხდენილ ლექსად აღწერა ტრიუმვირების ძალადობა და იმ მიწათმფლობელთა ტანჯვა-ვაებანი, რომელთაც ჯარისკაცები მიერეკებოდნენ თავიანთ მამულებიდან. ოქტავიანე შეეცადა გამოეყენებინა სენატორთა მიწები, მაგრამ ამაში ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია სენატმა და ამიტომაც ამაზე ხელი აიღო. ამის გამო ვეტერანების დაკმაყოფილების დროს მთელი აქედან გამომდინარე სიმძიმე ტვირთად დააწვა გლეხობის საშუალო და წვრილ მიწათმფლობელთა ფენებს, რომელნიც ისედაც ბევრს იტანდნენ და ტანჯული იყვნენ საერთო მოშლილობის, ფინანსიური კრიზისისა და გადასახადებისგან. ამ მძიმე და რთული ოპერაციის ცხოვრებაში გატარება მინდობილი ჰქონდა ე ქ ს ტ რ ა ო რ დ ი ნ ა რ უ ლ ს ა მ ხ ე დ რ ო კ ო მ ი ს ი ა ს, რომელსაც მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებანი. კომისიის ამოცანას არა მარტო მიწების განაწილება შეადგენდა, არამედ აგრეთვე ახალ სამეურნეო ერთეულების მომარაგებაც საჭირო ინვენტარით, მუშა საქონლითა და მონებით.

4. პერუზიას ომი (41 წ.)

I საუკ. 40-იან წლებში იტალია მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. ომის დროინდელმა აოხრებამ, რეკვიზიციებმა, ხელისუფლების თვითნებობამ, კონფისკაციებმა, ფულის დატყუებამ და გადასახადებმა მონებზე, მემკვიდრეობაზე, მზითევზე, ჯარის ჩაყენებამ ოჯახებში და პროსკრიპციებმა საგსებით არია ეკონომიური ცხოვრება და დასცა მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი ძალა.

ყველგან ადგილი ჰქონდა ძარცვა-რბევას, ქურდობას, ძალადობასა და მკვლელობას, სამიწათმოქმედო მუშაობა შეწყდა, სახელოსნოები დაიხურა. რომში სრული ანარქია სუფევდა, მძვინვარებდა საშინელი სიმშილობა და მისი აუცილებელი თანამგზავრი—ეპიდემიები. მოსახლეობის ნაწილი ამოწყდა ომისა, სიმშილისა და ეპიდემიისგან, ხოლო მეორე ნაწილი პროვინციაში გაიხიზნა და თან გაიყოლა თავისი ძალა, გამოცდილება და თანხები. „ხალხი ხურავდა თავის სახელოსნოებს და არც ცნობდა არავითარ ხელისუფალთ, გაღარიბებულსა და გაძარცულ ქალაქში თითქოს არც კი ყოფილიყო საჭიროება არც ხელობისა და არც მაგისტრატებისა“ [1].

ყველა განცდილ ბოროტებასა და უბედურებაში დამნაშავედ თვლიდნენ ცეზარის შვილს გაიოს ოქტავიანეს. ოქტავიანეს წინააღმდეგ საერთო უკმაყოფილებით ისარგებლა ლ უ ც ი უ ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს-მ ა, ტრიუმვირის ძმამ, რომელიც პოპულარებს ემხრობოდა. ლუციუს ანტონიუსს ხელს უწყობდა მარკოს ანტონიუსის ცოლი ფ უ ლ-ვ ი ა, რომელსაც იმედი ჰქონდა ამ საშუალებით მალე დაებრუნებინა ანტონიუსი იტალიაში. „ფულვიამ ერთბაშად, წმინდა ქალური გრძნობებით ამოძრავებულმა, იწყო ლუციუსის წაქეზება საჩხუბრად და უსიამოვნების ასატეხად“ [2].

თავის სიტყვებში ლუციუს ანტონიუსი აღნიშნავდა ოქტავიანეს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებას, ძალმომრეობით მიწების ჩამორთმევას და მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოესპოთ ტრიუმვირატი, რომელიც, მისი სიტყვით, უკვე დიდი ხანია ემძიმებოდა მის ძმას; ისაო—ამბობდა ლუციუსი—ყოველ წუთს მზად არის უარი განაცხადოს საგანგებო რწმუნებაზე, რა წუთსაც კი ოქტავიანეც ამას მოიმოქმედებსო. მის მიერ დაწყებულ მოძრაობას ლუციუს ანტონიუსი უყურებდა როგორც სახალხო მოძრაობას, ხოლო თავის თავი მიაჩნდა ხალხის მსახურად, რომელიც მზად არის მის საქმეს შესწიროს საკუთარი სიცოცხლე. „ხოლო რაც შემეხება პირადად მე,—ამბობდა ის,—მე მზად ვარ სამშობლოსათვის ვიბრძოლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. სამშობლოსათვის სიკვდილი საუკეთესო მოწმობა იქნება ჩემი აზრისა და შეხედულებისა. მაგრამ მე არ შემიძლიან დიდება მოვიპოვო თქვენ ხარჯზე, რომელთა კეთილდღეობაც ჩემთვის უფრო მაღლა დგას ჩემს პირად კეთილდღეობასა და დიდებაზეო“ [3].

---

[1] App. Bell. civ., V, 18.
[2] Ibid., 19.
[3] Ibid., 39.

ლუციუს ანტონიუსი საერთო პროტესტის სიმბოლოდ იქცა არა მარტო ტრიუმვირების ძალმომრეობითი პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ, საერთოდ, არსებული წესწყობილების წინააღმდეგაც. ანტონიუსის სიტყვებს ყველაზე უფრო მეტი გამოხმაურება ჰქონდა ჯარში ახლად გაწვეულთა შორის, რომელნიც შეჰკრიბეს ხელოსნებში, აზატებსა და მონებში, იმ ხალხში, ვინც განსაკუთრებით სასტიკად იჩაგრებოდა კრიზისისგან და ვინც ყოველი მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ თავისი პროტესტის გამოსაცხადებლად. მღელვარება იყო მთელს იტალიაში, ხოლო მოძრაობის ცენტრად იქცა ქალაქი პერუზია (ეტრურიაში), რომლის სახელის მიხედვით მიიღო კიდეც მთელმა მოძრაობამ პ ე რ უ ზ ი ა ს ო მ ი ს სახელწოდება.

ფრთხილმა და თავისი ძალებით არც თუ საესებით დაიმედებულმა ოქტავიანემ ბოლოს, ვეტერანების ზეგავლენით, რომელთაც თავის მიწის ნაკვეთების ეფიქრებოდათ, გაბედა აშკარა ომი და დაიწყო პერუზიას გარემოცვა (41 წ.). ოქტავიანეს მდგომარეობა კიდევ იმ გარემოებამ გაართულა, რომ მოძრაობამ მოიცვა აგრეთვე პროვინციებიც. რომის მოკავშირე სახელმწიფოები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქალაქ-ჰეგემონის გაჭირვებული მდგომარეობა და მას განდგომოდნენ. ასე, მაგალითად, მავრიტანიის მეფე ბოქსმა გადასწყვიტა დაპატრონებოდა ოქტავიანეს ესპანურ პროვინციებს. აფრიკის ყოფილი მმართველი სექსტუსი აჯანყდა ფანგონის, აფრიკის ახალი ნაცვლის, ოქტავიანეს მომხრის, წინააღმდეგ და განუდგა; კამპანიაში ლუციუსის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა ტიბერიუს კლავდიუს ნერონი, ძველი ცეზარელი, რომელიც ცეზარის სიკვდილის შემდეგ გადავიდა შეთქმულთა მხარეზე.

პერუზიას გარემოცვამ დიდხანს გასტანა. პერუზია იყო კარგად გამაგრებული ბუნებრივი ციხე, მას ჰყავდა დიდი გარნიზონი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვითონ ლუციუს ანტონიუსი. ანტონიუსის წინააღმდეგ ერთბაშად სამი არმია იქნა გაგზავნილი, მაგრამ ვერც მათ შესძლეს ქალაქის აღება. მაშინ ოქტავიანემ დაიწყო ქალაქის ხანგრძლივი გარემოცვა რომაული სამხედრო ტექნიკის ყველა წესისამებრ.

ქალაქს გარს შემოვლებული ჰქონდა ღრმა თხრილები, მიწაყრილები, იგი გამაგრებული იყო 1500 ხის კოშკით ერთი მეორისაგან 60 ფუტის მანძილზე დაშორებით. სანგრებზე აღმართული მიწაყრილები ჰკეტავდნენ გარემოცულებს. მთელ მსოფლიოს მოწყვეტილ ქალაქში მძვინვარებდა სიმშილი, რომელიც მუსრს ავლებდა

ალყაშემორტყმულ არმიის რიგებს. მცირე მარაგი, ქალაქში რომ იყო, მალე გამოილია, და ამის გამო სასტიკი ეკონომიის გაწევა უხდებოდათ ყველაფერში. პირველ რიგში შეუმცირეს ულუფა მონებს. დამშეული მონები ჯგუფ-ჯგუფად დაყიალობდნენ გარემოცული ქალაქის ქუჩებში და საზრდოობდნენ ბალახ-ბულახით, მწვანე ფოთლებით და სხვადასხვა სუროგატით. სიმშილის გამო მოსახლეობაში სიკვდილიანობა გახშირდა. ქუჩებში იხრწნებოდა, ყროლდებოდა და ჰაერს შხამავდა დაუკრძალავი გვამები, რომელთა დაწვა არ შეიძლებოდა იმის შიშით, რომ მტრის ყურადღება არ მიექციათ.

მას მერე, რაც შეუძლებელი შეიქნა შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა, ქალაქი იძულებული გახდა გამარჯვებულ მტერს დანებებოდა სამოწყალოდ, დამარცხებულებს მეტად სასტიკად გაუსწორდნენ. ჯარისადმი გასაძარცვად მიცემული პერუზია, ეტრურიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი 12 ქალაქს შორის, ჩანთქა ხანძარმა. პერუზიის ყველაზე უფრო გავლენიანი მოქალაქეები, ადგილობრივი სენატის წევრები, დეკურიონები, სიკვდილით იქნენ დასჯილი, ხოლო დანარჩენები, მათ შორის აჯანყების მეთაური ლუციუს ანტონიუსი, თავისუფლად იქნენ გაშვებული.

„ასე დამთავრდა პერუზიას გარემოცვა და ამასთან ერთად მთელი ეს ომი, რომელსაც ჰქონდა ნიშნები გახანგრძლივებისა და მთელი იტალიისათვის ხიფათის შექმნისა“ [1].

ამასობაში იტალიაში გადმოვიდა ტრიუმვირი ანტონიუსი. მისი ჩამოსვლისთანავე პერუზიას ომი უნდა გადაქცეულიყო ტრიუმვირებს შორის ომად და მხოლოდ ჯარის ენერგიული ჩარევის წყალობით, რომელიც მოღლილი იყო დაუსრულებელი ლაშქრობითა და ათასგვარი შევიწროებით, ეს აღარ მოხდა.

ჯარის მშვიდობიანი განწყობილება უფროდაუფრო იზრდებოდა, რამდენადაც მტკიცედ მკვიდრდებოდნენ მიწებზე ვეტერანები და ეს ჯარისკაცები ხდებოდნენ მშვიდობიან მოქალაქეებად—მიწათმფლობელებად და მონათმფლობელებად. ჯარისკაცთა ყრილობებზე არაერთხელ ყოფილა მიღებული ისეთი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ომის შეწყვეტას და ტრიუმვირებს შორის კავშირის შეკვრას.

ჯარისკაცთა ყრილობაზე გ ა ბ ი ა ში (Gabii) მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ამბობდა, რომ კონსულებმა სახელმწიფო უნდა მართონ და განაგონ ძველი ჩვეულებისამებრ ისე, რომ „ერთ-

[1] A p p., Bell. civ., V, 49.

შანეთს ზიანი არ მიაყენონო". იმ მრავალრიცხოვან კრებებზე, რომელნიც ქალაქში ტარდებოდა, სასტიკად კიცხავდნენ ოქტავიანეს და გაიძახოდნენ, რომ „იგი ძარცვავს მოსახლეობას, ართმევს რა უკანასკნელ ნაშთს ქონებისას. ტრიუმვირებმა დააცარიელეს სახელმწიფო ხაზინა, გაძარცვეს პროვინციები და ახლა საბოლოოდ აოხრებენ აგრეთვე იტალიასაცო". „მსხვერპლი უფრო იმიტომაა სამძიმო, რომ იგი შეიწირება არა გარეშე მტერთან ომის გულისთვის, არამედ იმიტომ, რომ იგი მსხვერპლი ადამიანმა უნდა გაიღოს საკუთარ მოქალაქეებთან ძმათაშორისი ომის გამოო".

იტალიის მდგომარეობა 40-იანი წლების ბოლოს თითქმის კატასტროფიული იყო. მუდმივმა ომებმა, მობილიზაციებმა, პროსკრიპციებმა, სიმშილობამ და ეპიდემიებმა სავსებით მოშალეს იტალიის მეურნეობა, შეამცირეს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა, გაზარდეს მონების ფასი და გამოიწვიეს თავისუფლებისა და მონების გაძლიერებული ემიგრაცია პროვინციებსა და განაპირა ქვეყნებში. ერთს ლექსში ვერგილიუსის მიერ აწერილია გაღატაკებული იტალიკების ემიგრაცია, რომელნიც ბედისა და ახალი სამშობლოს საძიებლად მიემართებიან აფრიკასა, სკვითეთში, აზიასა და ბრიტანეთში.

მდგომარეობის კატასტროფიულობის გამო 40 წელს ტრიუმვირებმა ერთმანეთს შორის ახალი შეთანხმება მოახდინეს ქალაქ ბ რ უ ნ დ ი ზ ი ა ში სახელმწიფოს ახალი განაწილების მიზნით. ბ რ უ ნ დ ი ზ ი ა ს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს მიხედვით, რომის სახელმწიფო სამად იქნა გაყოფილი. აღმოსავლეთი პროვინციები—მაკედონია, საბერძნეთი, აზია, სირია, კირენაიკა—ანტონიუსის ხელში გადავიდა, ხოლო დასავლეთ ევროპის პროვინციები, დალმაციის, ილირიკის, ნარბონისა და ციზალპური გალიის ჩათვლით, დარჩა კვლავინდებურად ოქტავიანეს. დასავლეთისგან აღმოსავლეთის გამყოფ საზღვრად აღიარებულ იქნა ის ხაზი, რომელიც გადიოდა ილირიის მდინარე სკოდრაზე (სკუტარიზე). ლეპიდეს, მესამე ტრიუმვირს, რომელმაც ამ დროისთვის თითქმის უკვე დაკარგა თავისი გავლენა, დარჩა მხოლოდ ლიბია აფრიკაში.

5. სექსტუს პომპეუსის სიცილიის სახელმწიფო

ერთერთი მიზეზი, რომელმაც ტრიუმვირები აიძულა დაედოთ ბრუნდიზიას ხელშეკრულება, იყო იმ სექსტუს პომპეუსის ს ი ც ი ლ ი უ რ ი სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელიც გამაგრდა სიცი-

ლიაში, სადაც მან დააარსა ნამდვილი საზღვაო სახელმწიფო და თავს იყრიდა ყველა, ვინც კი ტრიუმვირების უკმაყოფილო იყო ერთის მხრივ, მამის ხსოვნის წყალობით და, მეორის მხრივ, პირადი ვაჟკაცობის მეოხებით, სექსტუს პომპეუსი შეიქნა პრეტესტის სიმბოლოდ ტრიუმვირების ძალადობისა და მოახლოებული მონარქიის წინააღმდეგ. პომპეუსისკენ ყოველის მხრიდან იწყო ლტოლვა უამრავმა ხალხმა, ვინც კი ჩაგრული იყო ძმათაშორისი ომით და ტრიუმვირების თვითნებობისაგან. მათ შორის ბევრი იყო თავისუფალი და მონა, იტალიური ქალაქების მცხოვრებნი, ტრიუმვირებისგან დარბეულ-გაძარცული, აფრიკისა და ესპანეთის ფლოტის უთვალავი მეზღვაურნი, რომელთაც არ სურდათ ტრიუმვირების სამსახურში ყოფნა. ემიგრანტების რიცხვში ცოტა არ იყო მდიდარი მოქალაქე, რომელთაც დაკარგეს თავიანთი ქონება და რომელნიც გაიქცნენ ჩაგრულთა და შეურაცხყოფილთა „ყველასგან საყვარელ“ წინამძღოლთან, „პომპეუს დიდის“ შვილთან.

პომპეუსის სახელი და დიდება მით უფრო მეტად იზრდებოდა, რაც უფრო მეტად ღრმავდებოდა კრიზისი. ომისა და პროსკრიპციებისაგან ყველა დაზარალებულის თვალში პომპეუსის გვარი წარმოადგენდა რესპუბლიკური თავისუფლების, რომის დიდებისა და ბრწყინვალების სიმბოლოს. პომპეუსის სახელმწიფო მდებარეობდა სიცილიაში, მონათმფლობელობისა და მონათა რევოლუციის მთავარ ცენტრში. სიცილიელ მონათა და აზატების შეგნებაში ბუნებრივად იშლებოდა შორეული წარსულის სურათები, როცა მონებმა საკუთარი ძალ-ღონით, ჩამოიხსნეს რა რომაელი მონათმფლობელების უღელი, ააგეს საკუთარი ახალსირიული სახელმწიფო. მათკენ სულ მუდამ მოიმართებოდნენ მონები იტალიიდან და ხმელთაშუაზღვეთის სხვა ქვეყნებიდან.

აზატები და მონები სიცილიის სახელმწიფოში თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ: აქ მათ პასუხსაგები თანამდებობანი ეკავათ და ასეთივე მდგომარეობა ჰქონდათ. თავისი ადმინისტრაციული და სამხედრო ნიჭით განსაკუთრებით განირჩეოდა აზატი მ ე ნ ო დ ო რ ე, პომპეუსის ერთერთი მახლობელი პირი.

სიცილიის სახელმწიფო სწრაფად ფართოვდებოდა და თავის საზღვრებში იტევდა კორსიკასა და სარდინიას—მნიშვნელოვან საინედლეულო ბაზებსა და სტრატეგიულ პუნქტებს. იტალიის ცხვირწინ „სამეკობრეო სახელმწიფოს“ არსებობა შიშს უნერგავდა ზარს სცემდა იტალიელ ვაჭრებს, მიწათმფლობელებს და მონათმფლობელებს როგორც ძველებს, ისე ახლებს, რომელთაც ეფიქრებოდათ

თავიანთი ვილებისა, სახლებისა და ფულებისა. მონათა მასობრივი გაქცევა, მეურნეობის მოშლა და სიმშილი, გამოწვეული ნაპირების ბლოკადით, ვაჭრობის შემცირებით და პურის შემოზიდვის შეწყვეტით, ყოველ ცისმარე დღესა და წუთში ადამიანს აგონებდა სიცილიის სახელმწიფოს არსებობას.

რომის მოქალაქეობას არ მიაჩნდა შესაძლებლად პომპეუსის შემუსვრა აშკარა ბრძოლაში, არ სჯეროდა და არ სწამდა ეს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, იმ ოფიცრებსა და ვეტერანებს, რომელთაც მიწის ნაკვეთები მიიღეს და რომელნიც გამდიდრდნენ, და ამიტომ მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება და ზავი დაედოთ. ამასობაში ტრიუმვირებისადმი უკმაყოფილება იზრდებოდა და ამ უკმყოფილებამ უმაღლეს წერტილს მას შემდეგ მიაღწია, როცა სახელმწიფო შემოსავლის ნაკლებობის გამო, შემოღებულ იქნა ახალი კანონი მონათა მფლობელობასა და მემკვიდრეობაზე. გადასახადს შეხვდნენ საშინელი აღშფოთებით. „სიმშილით, გადასახადებით, ქონების დაკარგვითა და ათასგვარ სხვა საერთო გაჭირვებითო,—ლაპარაკობდნენ ორატორები ჯარისკაცთა მიტინგებსა და კრებებზე,—ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ რამდენიმე კაცის პირად პატივმოყვარეობასა და ახირებულებასაო". ყველა იმას, ვინც კი ბედავდა საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას, ქვებს ესროდნენ ხოლმე. ქვები სეტყვასავით დაუშინეს თვითონ ცეზარს ოქტავიანეს, როცა იგი შეეცადა ელაპარაკნა საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ. დაჭრილი ოქტავიანე გადაარჩინა სიკვდილს უეცრივ მისულმა ანტონიუსმა.

რომის ქუჩებში ნამდვილი ბრძოლა და ომი დატრიალდა, რომელიც ბევრ მოქალაქეს სიცოცხლედ დაუჯდა: ბევრი იქნა ამ შეტაკებისას მოკლული და დაჭრილი. ბოლოს აჯანყება ჩაქრობილ იქნა შეიარაღებული ძალით, ხალხი ძლივს გაფანტეს და მოკლულთა გვამები მდინარეში გადაყარეს. „ასე შეწყვეტილ იქნა ეს შფოთი და არეულობა, რომელმაც გამოიწვია შიში და სიძულვილი მმართველების მიმართ. ამასობაში სიმშილობა მეტისმეტად გაძლიერდა და ხალხიც გმინავდა და გაჩუმებული იყო" [1].

მომხდარ უწესოებათა ზეგავლენით 39 წელს დაიწყო მოლაპარაკება ტრიუმვირებსა და პომპეუსს შორის, რომელიც წარმოებდა ტივებზე მისენის კონცხთან, პუტეოლის მახლობლად. ტრიუმვირებს შორის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა მ ი ს ე ნ ი ს შე-

[1] A p p., Bell. civ., V, 68.

თ ა ნ ხ მ ე ბ ა, რომელიც დაიდო შემდეგი პირობებით: ომი ხმელეთსა და ზღვაზე წყდებოდა და საზღვაო ვაჭრობა უნდა განახლებულიყო. პომპეუსს უნდა მოეხსნა ბლოკადა იტალიისა და მან აღუთქვა ამიერიდან აღარ მიეღო თავის ბანაკში არც მონები და არც თავისუფლები. ამ დათმობებისთვის პომპეუსი იღებდა შემდეგს: აღიარებულ უნდა ყოფილიყო მისი უფლებები მის მიერ დაჭერილ კუნძულებზე—სიცილიასა, სარდინიასა, კორსიკაზე და პელოპონესზე, ხუთი წლის ვადით (34 წლამდე); ირიცხებოდა იგი პონტიფექსების კოლეგიაში და, გარდა ამისა, იღებდა 70 მლნ. სესტერციას მისი მამის ჩამორთმეული ქონების ასანაზღაურებლად. ის მონები, ვინც პომპეუსს ემსახურებოდა ომში, იღებდნენ თავისუფლებას, ხოლო მისი არმიის ყველა ჯარისკაცი იღებდა მიწის ნაკვეთს და ჯილდოებს ანტონიუსისა და ოქტავიანეს ლეგიონერებთან თანასწორად. გარდა ამისა, ცხადდებოდა საერთო ამნისტია, ცეზარის უშუალო მკვლელებისა და შეთქმულთა გამოკლებით. იტალიაში დაბრუნებულ ემიგრანტებს უბრუნდებოდათ მათი ქონების მეოთხედი.

იტალიის საზოგადოებრივი აზრი მისენის შეთანხმებას შეხვდა უდიდესი აღტაცებით. ტრიუმვირების რომში დაბრუნება ჰგავდა დიდებულ ტრიუმფს. ძნელი არ არის, ადამიანი მიხვდეს სიხარულისა და აღტაცების მიზეზს. ზავის დადება ნიშნავდა სამხედრო გაწვევის, ძარცვა-რბევის, გადასახადების, მინდვრების აოხრების მოსპობას, მონათა გაქცევის დასასრულს, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის აყვავებას და, ბოლოს, საშინელი სიმშილის გათავებას.

მისენის შეთანხმების შემდეგ ანტონიუსი გაემგზავრა აღმოსავლეთში და სავსებით გართული იყო აღმოსავლეთის საქმეებით, პართელებთან ომით და კლეოპატრასთან სასიყვარულო ინტრიგებით [1], ხოლო დასავლეთი სავსებით მიანება ოქტავიანეს.

რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ის ენთუზიაზმი, რომლითაც შეხვდნენ მისენის ხელშეკრულებას, მაინც იტალიელი მონათმფლობელებმა გული ვერ დაიმშვიდეს. მათი შეხედულებით, უკვე მარტო ერთი ის ფაქტი, რომ იტალიის გვერდით არსებობდა „მეკობრეებისა და მონების სამეფო“, ადამიანს უნდა სჩვენებოდა აბსოლუტურად არანორმალურ მოვლენად.

რომში მისენის ხელშეკრულებას უცქეროდნენ მხოლოდ როგორც პირველ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულ იქნა სიცილიის სახემლწიფოს სრული განადგურებისათვის. არ იყო ხელშეკრულებით კმაყოფილი აგრეთვე პომპეუსიც.

[1] Umberto Ammirato, Cleopatra, Milano 1934.

არცერთი მხარე არ გრძნობდა თავის თავს მისენის შეთანხმებით მტკიცედ შებოჭილად და ამიტომ ორივენი ემზადებოდნენ ახალი ომისთვის, რაც, რასაკვირველია, გავლენას ახდენდა იტალიის ეკონომიკის მდგომარეობაზე და ხალხის განწყობილებაზე.

„რომაელებისთვის თითქმის არ ყოფილა არავითარი შემსუბუქება სიმშილისაგან, ასე რომ ხმამაღლა დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ხელშეკრულებამ შემსუბუქება კი არ მოიტანა, არამედ კიდევ მეოთხე ტირანი შეგვძინაო“ [1]. უკვე მომდევნო, 38, წელს ზავი დარღვეულ იქნა და განახლდა საომარი მოქმედებანი „მონათა მეფის“ პომპეუსსა და ოკტავიანეს შორის.

საომარი მოქმედების დაწყების საბაბად იქცა მენოდორეს ღალატი, რომელიც პომპეუსისგან ოქტავიანეს მხარეზე გადავიდა და რომელმაც მას სარდინია გადასცა. ორ წელიწადს გაგრძელებული ომი პომპეუსის შვილსა და ცეზარის შვილს შორის დამთავრდა პომპეუსის დამარცხებით მილასთან (Mylae), სიცილიაში (36 წ.). კამპანიის ბედი გადასწყვიტა რომაული ფლოტის უპირატესობამ. ყველა ტექნიკური უპირატესობა—შეიარაღება, საბრძოლო მანქანები, გემების შეჭურვილობა და ეკიპაჟის რაოდენობა—რომაელების მხარეზე იყო. იტალიის საზღვაო ძალთა უფროსმა ვიპსანიუს აგრიპამ პომპეუსის წინააღმდეგ გაგზავნა რამდენიმე ასეული მძიმე გემი მასიური კიდურებით, მანქანებითა და ჰარპაგებით გაწყობილი. ჰარპაგო (harpago) შესდგებოდა ექვსი ადლის სიგრძის ხის ძელისგან, რომელიც გადაჭედილი იყო რკინით და ორივე ბოლოში რგოლებით. ერთ რგოლზე იყო რკინის კაუჭი (ესაა სწორედ ჰარპაგო), მეორეზე კი მრავალი წვრილი ბაგირი, სატყორცნ მანქანებზე რომ იყო მიმაგრებული. სატყორცნ ხელსაწყოს საშუალებით გამოტყორცნილი ჰარპაგო ედებოდა მოწინააღმდეგის ხომალდს და სძირავდა მას დაჭიმულობის ძალით. ბრძოლა მილასთან ეს იყო ანტიკურ სამხედრო ისტორიაში ერთერთი ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი ბრძოლათაგანი. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 600 საომარი გემი. პომპეუსის 180 გემიდან გადარჩა მარტო 17, დანარჩენი კი ჩაიძირა ან კიდევ ტყვედ ჩაიგდეს. დამარცხებული პომპეუსი გაიქცა მესანაში, ხოლო აქედან გადავიდა მცირე აზიაში, სადაც იგი მალე დაიღუპა კიდეც (35 წ.).

სიცილიის სახელმწიფოს გაცამტვერებამ ოქტავიანე სახალხო გმირად აქცია და ანტონიუსთან შემდგომ ბრძოლისათვის გაუნაღდა იტალიის მონათმფლობელების მხრივ ზურგის გამაგრება.

[1] App., Bell. civ., V, 77.

პომპეუსის დამამარცხებელი ოქტავიანე დიდი ბრწყინვალებით დაბრუნდა რომში, რომელსაც მიესალმებოდა სენატიც და ხალხიც. გვირგვინებით თავშემკული სენატორები სრული შემადგენლობით გამოეგებნენ ოქტავიანეს და მიაცილეს იგი თვით სახლამდე.

მეორე დღეს ოქტავიანე გამოვიდა კომიციებში ვრცელი სიტყვით, სადაც ჩამოთვალა თავისი გამარჯვებანი და დამსახურებანი, გამოაცხადა მშვიდობიანობის ერა, აპატია ხალხს ვალის ნაწილი და შეუმცირა გადასახადები.

ამასთან ერთად, ყველა ნაცვალსა და ცალკეული სამხედრო ნაწილების სარდლებს გაეგზავნათ წერილები ბრძანებით—გაეხსნათ ეს წერილები ყველა ნაწილში გარკვეულ დღესა და საათზე. თავის საიდუმლო წერილებში ოქტავიანე უბრძანებდა მათ გულფიცხლივ გამოეკვლიათ თავიანთ ნაწილთა არსებული შემადგენლობა, რათა მათში მყოფი მონები გაეცათ თავიანთ ბატონებისთვის. უქმდებოდა მისენის ხელშეკრულების ყველა ის პირობა, რაც კი მონებს შეეხებოდა. შეპყრობილი მონები უბრუნდებოდნენ თავიანთ მფლობელებს, ხოლო თუ ასეთებს ვერ იპოვიდნენ, მაშინ მათ ჯვარზე აცვამდნენ იმ ქალაქის კარიბჭესთან, საიდანაც ისინი გაიქცნენ. ოქტავიანეს ბრძანების თანახმად, 30 ათასი მონა გადაცემულ იქნა თავიანთი პატრონების სრულ განკარგულებაში, ხოლო 6 ათასი, რომელთა მფლობელებიც არ გამოცხადნენ, ჯვარზე იქნენ გაკრული. იტალიელი მონათმფლობელების უფლებათა აღდგენას თავიანთ მონების მიმართ, და ამასთან ერთად ზღვის გათავისუფლებას მეკობრეებისაგან, ოქტავიანე თვლიდა თავის მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტად. ეს საგანგებოდ არის მოხსენებული მის „პოლიტიკურ ანდერძში“.

„ზღვა, – ლაპარაკობს „ანდერძის“ პარაგრაფი,—მე მეკობრეებისგან გავწმინდე. ამ ომში მე ტყვედ ჩავიგდე დაახლოებით 30 ათასი მონა, რომლებიც გამოექცნენ თავიანთ ბატონებს და რომელთაც იარაღი აღმართეს სახელმწიფოს წინააღმდეგ, და გადავეცი ისინი დასასჯელად მათ ბატონებსო“ (Mare pacavi a praedonibus. Eobello servorum, qui fugerant a dominis suis et arma contra rem publicam ceperant, triginta fere millia capta dominis ad supplicium sumendum tradidi)[1].

---

[1] Monum. Ancyr., 25.

6. 32 წლის გადატრიალება და ბრძოლა აქციუმთან

სექსტუს პომპეუსის განადგურებამ იტალიაში გაზარდა ოქტავიანეს გავლენა და შეარიგა მასთან იტალიელი მიწათმფლობელები, რომელთაც იწყეს გამობრუნება კრიზისისგან და სწყუროდათ მყარი წესიერება თავიანთ უფლებათა განმტკიცებისათვის.

„ცეზარმა ოქტავიანემ წესიერების სწრაფი და მოულოდნელი აღდგენის წყალობით მოიპოვა საყოველთაო სიმპატია; აღადგინა რა წინანდელი რესპუბლიკური ერთწლიანი დაწესებულებანი, მან, ძველი წესისამებრ, მრავალი აზიარა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობას.

სამოქალაქო ომის ყველა წერილობითი საბუთი დასწვეს. მან აღუთქვა მთლიანად აღედგინა წინანდელი კონსტიტუცია, დაბრუნდებოდა თუ არა ეგვიპტედან ანტონიუსი, რადგან იყო დარწმუნებული, რომ ანტონიუსიც მოისურვებდა თავის რწმუნებისაგან გათავისუფლებას მას მერე, რაც მომთავრდებოდა სამოქალაქო ომი. ამის შემდეგ გაისმა სიხარულის ყიჟინა და იგი არჩეულ იქნა სიკვდილამდე უცვლელ სახალხო ტრიბუნად, ალბათ, იმისათვის, რომ ამით იგი აეძულებინათ ხელი აეღო სხვა დანარჩენ რწმუნებაზე“ [1].

ტრიუმვირატის მოსპობა, ზემოხსენებულ ობიექტურ მიზეზების გარდა, გამოწვეული იყო აგრეთვე თვითონ ტრიუმვირების პირადი ურთიერთობითაც. ლეპიდე მას მერე, რაც შეეცადა გათავისუფლებულიყო ოქტავიანეს მეურვეობისაგან, დამარცხდა, დაკარგა აფრიკა და ყველა ლეგიონები და თითქმის ჩამოსცილდა პოლიტიკურ ასპარეზს. ამ დროიდან მოკიდებული თვითონ ტრიუმვირატიც ფაქტიურად იქცა ანტონიუსისა და ოქტავიანეს დუუმვირატად, ურთიერთობა მათ შორის უფროდაუფრო უარესდებოდა და გამორიცხავდა ყოველგვარი მშვიდობიანი შეთანხმების შესაძლებლობას.

საერთო პოლიტიკური სიტუაცია ეწყობოდა ოქტავიანესთვის ხელსაყრელად. ფილიპთან ბრძოლის შემდეგ ანტონიუსი გაემგზავრა აღმოსავლეთში, დაუკავშირა რა თავისი ბედ-ღობალი აღმოსავლეთ პროვინციებს და ეგვიპტეს. 36 წელს ანტონიუსმა დაიწყო იულიოს ცეზარის მიერ შემზადებული ექსპედიცია პართელთა სამეფოს წინააღმდეგ, აზრად ჰქონდა გადაელახა ეფრატი და მესოპოტამიაში განმტკიცებულიყო. პართელთა წინააღმდეგ ექსპედიცია კი დამთავრდა ანტონიუსის სამარცხვინო მარცხით, რამაც წინდაწინვე გადასწყვიტა

---

[1] App., Bell. civ., V, 132.

კიდეც მისი შემდგომი ბედი და ხვედრი. ანტონიუსის ნივთიერი ბაზისი და ფინანსიური საქმეები არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. არმია მეტწილად შესდგებოდა აღმოსავლეთის ხალხებისაგან, რომელნიც არ იყვნენ ომისადმი განწყობილი და დისციპლინის მხრივაც ძალიან მოისუსტებდნენ. ხოლო საუკეთესო კადრები, რომელთა ბირთვს შეადგენდნენ ცეზარის ლეგიონები, ოქტავიანესთან იყვნენ.

ანტონიუსს არ გააჩნდა მტკიცე სოციალური ბაზისი აღმოსავლეთში და იგივე მას არ ჰქონდა არც იტალიაში. იტალიაში ხანგრძლივად არყოფნამ, მისწრაფებამ აღმოსავლეთისკენ და თანდათანობით მზარდმა მისი გულის მონადირებამ კლეოპატრას მიერ, რომელმაც შესაძლებელია იგი გამოიყენა კიდეც თავისი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად ეგვიპტეს ბატონობის ქვეშ დიდი ჰელინისტური სახელმწიფოს შექმნისათვის,—ყოველივე ამან ანტონიუსი არაპოპულარული გახადა რომაელების თვალში. მაგრამ საბოლოოდ ანტონიუსმა სახელი მას მერე გაიტეხა, როცა მან, წინააღმდეგ ყოველგვარი რომაული წესებისა, ტრიუმფი გადიხადა ალექსანდრიაში, დაიწყო მიწების და თანამდებობათა დარიგება კლეოპატრას შვილებისა და მის მახლობელ პირებისადმი და იგი ფორმალურად განშორდა თავის ცოლს ოქტავიას, ოქტავიანეს დას, რომელიც შუამავლის როლს თამაშობდა ერთიმეორის მოძულე დუუმვირებს შორის. ოქტავიასთან გაყრამ გაწყვიტა დუუმვირებს შორის მეგობრობის უკანასკნელი ძაფი.

32 წელს კონსულები გნეი დომიციუს აგენობარბი და გაიოს სოსიუსი, ორივე ანტონიუსელი, სენატში გამოვიდნენ და მკვეთრად წაუყენეს ბრალდება ოქტავიანეს ხელშეკრულების დარღვევაში და ლეპიდესთან თვითნებურად ანგარიშის გასწორებაში. ამის საპასუხოდ ოქტავიანე შეიარაღებული ამალით გამოცხადდა სენატში და მოახდინა გადატრიალება, რომელსაც ბურჟუაზიულ ლიტერატურაში უწოდებენ რომის რესპუბლიკის „XVIII ბრიუმერს". ანტონიუსის მომხრეებს, რომელთა რიცხვი სენატში იმ დროს მცირე არ იყო, ოქტავიანემ წინადადება მისცა რომი დაეტოვებინათ. ამ წინადადებას გამოეხმაურა 400 სენატორი, მათ შორის ორივე კონსული, რომელთაც სასწრაფოდ დასტოვეს რომი და მიაშურეს ანტონიუსს, ხოლო დარჩენილი ანტონიუსელები გადავიდნენ ოქტავიანეს მხარეზე. აქვე გახსნილ იქნა ანტონიუსის ანდერძი, ვესტას ტაძარში შენახული, რომელმაც გამოამჟღავნა ანტონიუსის სახელის გამტეხი ფაქტები. ანდერძის თანახმად, ანტონიუსის ქონების მემკვიდრეებად ცხადდებოდნენ კლეოპატრასგან შეძენილი მისი შვილები, ხოლო თვითონ

ანტონიუსი, მისი ბრძანებით, ალექსანდრიაში უნდა დამარხულიყო. სენატმა ეს ანდერძი იცნო რომაელი ხალხის გრძნობათა შეურაცხყოფად და კლეოპატრასა და მასთან ერთად ანტონიუსსაც ომი გამოუცხადა. დაიწყო ერთი მხრივაც და მეორე მხრივაც გამალებითი სამზადისი ომისთვის, რაშაც შეიწირა 32 წლის დასასრული და 31 წლის დასაწყისი. 31 წლის ზაფხულში ანტონიუსის განკარგულებაში იყო 100 ათასი ქვეითი ჯარისკაცი, 12 ათასი ცხენოსანი და 500 გემი, მას აზრად ჰქონდა გადასულიყო კუნძულ კორკირაზე, ხოლო აქედან იტალიაში და ამ აზრით ჯარი გაიყვანა თრაკიასა და მაკედონიაში. გეგმა სწორი იყო, ოღონდ ანტონიუსს დაასწრო ოქტავიანემ, რომელმაც კამპანიის წარმოება გადასცა ნიჭიერ სტრატეგსა და საიმედო ადამიანს ვიპსანიუს აგრიპას.

31 წლის შემოდგომაზე აგრიპა, რომლის განკარგულებაშიც გაცილებით ნაკლები ძალები იყო, გამოვიდა ფლოტით ტარენტუმიდან, დაიკავა მეტონა, პელოპონესის სამხრეთით, და დაიწყო შეტევა პელოპონესის მთელი ნაპირის გაყოლებაზე, რომ ამით მოწინააღმდეგის ყურადღება აეცილებინა თავის მთავარ მიზნისგან—კორკირაში ჯარის გადასხმისგან. ოქტავიანე მთავარი ძალებით გადმოვიდა კუნძულის ჩრდილოეთში, მერე გაჰყვა ნაპირს და გამაგრდა ამბრაკიას ნავსადგურში. ზღვას მოწყვეტილი ანტონიუსი იძულებული შეიქნა თავისი ძალებისათვის თავი მოეყარა აქციუმის (Actium) კონცხთან, ამბრაკიას ნავსადგურის გამოსავალთან. ანტონიუსთან ოქტავიანეს გადამწყვეტი ბრძოლა 31 წლის 2 სექტემბერს დამთავრდა ანტონიუსის სრული განადგურებით. ანტონიუსის მძიმე გემებს, რომელნიც აგებული იყო აგრიპას ძველი გემების მიხედვით, მათზე დამყარებული იმედები რომ გაამართლეს სექსტუს პომპეუსთან ღია ზღვაში ომის დროს, არ შეეძლოთ ვიწრო სრუტეში გაეშალათ თავიანთი ძალოვნება და სრულიად უმწეონი აღმოჩნდნენ აგრიპასა და ოქტავიანეს მსუბუქ და სწრაფმავალ ფლოტილიასთან ბრძოლაში.

ოქტავიანემ უმთავრესად ცენტრს შეუტია, სადაც იმყოფებოდა კლეოპატრას ესკადრა, რომელმაც იერიშს ვერ გაუძლო და უკუიქცა. გაარღვია რა ბლოკადა, მას კვალდაკვალ მიჰყვა ანტონიუსი 30-ათასიანი რჩეული ჯარით, რომელიც გემებში ჩასვეს. ხოლო დანარჩენი არმია ალალბედზე იქნა მიგდებული გამარჯვებულის საწყალოდ. ოქტავიანე, სდევნიდა რა ანტონიუსს, გაემართა მცირე აზიაში და დაიმორჩილა მცირეაზიური ქალაქები და სამთავროები..

ანტონიუსი კლეოპატრასთან ერთად, რომელიც ამაოდ ცდილობდა აღედგინა მეგობრობა ოქტავიანესთან, გაიქცა ალექსანდრი-

აში. იქ მან ერთ წლამდე დაჰყო და, როდესაც სავსებით დაეკარგა იმედი ხსნის შესაძლებლობისა, თავი მისცა მელანქოლიასა და მიზანთროპიას. ტიმეონის კოშკში, რომელიც გაშენებული იყო დიდ მანძილზე ზღვაში შეჭრილ კლდოვან კონცხზე, ის მუდმივ ქეიფობდა და დააარსა „სინაპოტანუმენთა საზოგადოება“, რაღაც „სიკვდილის კლუბის“ მსგავსი.

უკანასკნელი შეტაკება ანტონიუსსა ღა ოქტავიანეს შორის მოხდა ალექსანდრიასთან და დამთავრდა ანტონიუსის დამარცხებით. დამარცხებულმა ანტონიუსმა თავი მოიკლა; მალე კლეოპატრაც, რომელსაც არ სურდა ოქტავიანეს ტყვედ ჩავარდნოდა, გადმოცემის მიხედვით, გარდაიცვალა შხამიანი გველის კბენით, რომელიც მას გადასცეს მისი ბრძანებით ფოთოლწაფარებულ ლეღვით სავსე კალათში.

30 წ. 1 აგვისტოს ოქტავიანე შევიდა ალექსანდრიაში და ეგვიპტე, ძველი ფარაონების ქვეყანა, გამოაცხადა რომის სამფლობელოებთან შეერთებულად. შემდეგ ოქტავიანემ იმოგზაურა ეგვიპტეში, ინახულა მემფისი, ფარაონების ძველი სატახტო ქალაქი და ღვთაებრივი ხარის აპისის ადგილსამყოფელი.

ხანგრძლივი ომებისა და პოლიტიკური ანარქიის დროის განმავლობაში ეგვიპტე ძალიან გაჩანაგდა და გაღარიბდა, სარწყავი სისტემა მოიშალა, ვაჭრობა, ხელოსნობა და სახნავ-სათესი ფართობი შემცირდა. ოქტავიანემ შემოიღო გარეგანი წესი და ბრძანება გასცა აღედგინათ და ხელახლად გაეკეთებინათ არხებისა და კაშხალების სისტემა და ამით გადადგა პირველი ნაბიჯი ეგვიპტეს ეკონომიკის აღსადგენად [1].

პოლიტიკური მოსაზრებებით ოქტავიანემ კლეოპატრას შვილები ჩამოიშორა როგორც ეგვიპტეს ტახტის კანონიერი პრეტენდენტები და მისი შესაძლებელი მეტოქეები; მან ბრძანება გასცა მოეკლათ ცეზარიონი, იულიოს ცეზარისგან ნაყოლი კლეოპატრას შვილი, როგორც ყველაზე უფრო სახიფათო მეტოქე; კლეოპატრას სხვა შვილები კი, ანტონიუსისგან შეძენილი, აღსაზრდელად აიყვანა ოქტავიამ, ოქტავიანეს დამ, ანტონიუსის ცოლმა.

კლეოპატრას სიკვდილით ისტორიულ სარბიელს მოსცილდა პტოლემეების დინასტიის უკანასკნელი ნაშიერი და ეგვიპტეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობაც შეწყდა. „ეგვიპტის მარგალიტი“ შევიდა რომის კოლონიური სახელმწიფოს ფარგლებში. ლაგიდების აურაცხელი განძეულობა---ტერიტორია, ხალხი,

---

[1] Suet., Augustus, 18, C. I. L., 6627; Dio Cass, LI. 18.

ოქრო, სუფთად და ნატიფად დამზადებულ ოქრო-ვერცხლეულის განსაცვიფრებელი კოლექციები და მისთანა სხვა—ყოველივე ეს ძლევამოსილ ოქტავიანესა და მის მხედრობას დარჩა. ოქროს და ვერცხლის ნივთეულობა ფულად იქნა გადადნობილი. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უხვი საჩუქრები მიიღეს მოპოებული ნადავლიდან. ეგვიპტეს მცხოვრებლებს ხარკი შეაწერეს [1].

ეგვიპტე ჩვეულებრივ პროვინციასავით როდი შევიდა რომის ფარგლებში, იგი რომს შეუერთეს განსაკუთრებულ პირობებში—როგორც ოქტავიანეს პირადი საკუთრება, რომელმაც ეგვიპტეს გამგებლობა გადასცა პრეფექტს (praefectus Aegypti), არამდიდარსა და არაწარჩინებულ მხედარს გაიოს კორნელი გალს. „ეგვიპტე მე დავუმორჩილე რომაელი ხალხის ხელისუფლებაპ“ (Aegyptus imperio populi Romani adieci),—აცხადებს ავგუსტუსი თავის „პოლიტიკურ ანდერძში“ [2].

ეგვიპტედან ოქტავიანე გაემართა სირიაში, ხოლო აქედან მცირე აზიით რომში.

[1] Dio Cass., LI, 17; Suet., August., 71.
[2] Monum. Ancyr., 27.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
შ ე ს ა ვ ა ლ ი .	3

რომი მეფეთა ხანაში

თ ა ვ ი I. ქალაქ რომის ამაღლება და რომაელი მეფეები .	27

რესპუბლიკა

თ ა ვ ი II. რომის რესპუბლიკა VI—IV საუკუნეებში . .	61
თ ა ვ ი III. რომი და კართაგენი	101
თ ა ვ ი IV. ჰელინისტური აღმოსავლეთის დაპყრობა . . .	132
თ ა ვ ი V. მესამე პუნიკური ომი	148
თ ა ვ ი VI. რესპუბლიკის კრიზისი.	158
თ ა ვ ი VII. სამოქალაქო ომი რომში რესპუბლიკის დასასრულს. .	192
თ ა ვ ი VIII. სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავება რომის რესპუბლიკაში II ს. ბოლოს და I ს. პირველ ნახევარში	243
თ ა ვ ი IX სამხედრო დიქტატურათა ხანა	279
თ ა ვ ი X. კლასობრივი ბრძოლა სულას შემდგომ ხანაში.	309
თ ა ვ ი XI. პომპეუსის პრინციპატი.	347
თ ა ვ ი XII. ტრიუმვირატი და ცეზარის დიქტატურა .	391
თ ა ვ ი XIII. რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლები.	440

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი გ. გოზალიშვილი

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი მ. ბერძნიშვილი

ტექრედაქტორი ვ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე
კორექტორი მ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი
გადაეცა წარმოებას 4/V-40
გამომცემლობის შეკვეთის № 65
სტამბის შეკვეთის № 283

ტირაჟი 3000
ანაწყობის ზომა 6×10
ქაღალდის ზომა 60×90
უე 1364
ხელმოწერ. დასაბეჭდად 25/IX-40

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახ. თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამომც. სტამბა, მარის ქ., № 1